K 240103
3



გივი მარგველაშვილი

მუცალი

გივი მარგველაშვილი

მუცალი

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა 5

წიგნის პერსონაჟის მძიმე ხვედრი

თემი და თომინო 11
შავ მერანზე 24
სიკვდილი თემსა და თომინოში 38
თამაშის მანევრები 48
თეთრი მერანი შავ თემში 53
გიგლებთან 57

შატილში

ქისტური კონტრაბანდა 68
ჩემი რწმენა მკითხველის თავისადმი 74
ქისტური თემის სარფიანი ეკონომიკა 78
ორი თვალსაზრისი კლასიკისშესახებ 86
ჩვენი თემატური საზღვარი 88
იმედით სავსე პანაშვიდები 92
რეალური განთიადი თემის ცაზე 94
მზე ახალი შატილის თავზე 98
ისტორიის მცირე რეკონსტრუქცია 102
დაპატიმრება ავლაბარში 107
რეალური აზრის ძალა თემის წინააღმდეგ 113
იერიში და კონტრიერიში 117

სიზმრის გზები

თემი თემატიკის გარეშე 128
რეალური თავების ყალბი რეალიზმი 135
ჩვენს ისტორიაში ხელის ჩამორთმევის აღმოჩენის შესახებ 141
მოგზაურობა კოსმოსში სიზმრად 146
სასეირნო ქისტური პასპორტი და ზღაპრულად ფანტასტიკური იმპორტული საქონელი 149
თოვლივით ქათქათა რაში ჩემი სიზმრისეული დაბადების ადგილას 152
ქისტური წიგნის სამყაროს ტერიტორიაზე შავი მერანით ჩემი საბედისწერო თავგადასავლის თემატიზაციის რამდენიმე პრობლემის შესახებ 156
PanaMeranican Airways 159
ქისტური წიგნის უბნებში ყველა სიზმრის ხევსურ მგზავრთა ეთერული მდგომარეობის შესახებ 164
სიზმრად ყოფნის ვადის გაგრძელება აკრძალულია 168
წიგნის უბნიდან ჩემი გაქცევა, როგორც ონტოლოგიური შეუძლებლობა 175

ალუს თემატური სიზმარი

რეალური მკითხველის თავთა წარმოსახვითი ძალის ფუძემდებლური მნიშვნელობის შესახებ წიგნის სამყაროს უბნებში თემატური მოგზაურობისათვის 182
ეთერული კარცერი 185
უკეთური თემატური სიზმრის სურათ-ხატები 188
გვამისმჭამელი 192
ალუს ზარდამცემი თვითდაეჭვება 197
ანტითემატური პარტიული შეკრება 201
ალუს მძიმე სევდა 215
ვარსკვლავებისაკენ გადებული ხიდი 222
რეალური აზრის ამწე 227
მზადება რეალურ თავში გასამგზავრებლად 236
ქისტური წიგნის უბნებში რეალური სიცოცხლის შესახებ 246
წიგნის სამყაროს გაიძვერა ჯაშუშობა რეალური სამყაროს სივრცეში 252
ეროტიკული კოსმოდრომებისა და იმ შესაძლებლობის შესახებ, თუ როგორ ჩაედინება რეალური აზრის ნაკადი ქისტური წიგნის სამყაროს უბნებში 259
ჩვენი თემის ხელახალი და ტოტალური იზოლაცია აზრის ნაკადის დეტექტორისა და თემატური რეალური თავების მიერ 263
ანტითემატური ასტრონავტიკა წიგნის სამყაროს ისტორიული მნიშვნელობის მქონე სტარტი 271
საკუთარი თემის თავზე, წიგნის უბნის მთვარის სიმაღლეზე 276
გამოთხოვება წიგნის სამყაროს სფეროსთან 279
ჩვენი წიგნის სამყაროს კოსმოსის საერთო ტექსტუალური რეალური ხედის პრობლემა და ქისტების მიერ მისი წარმატებული დამუშავება 283
საერო პოზიცია ჩვენი თემების თავზე 289
ცუდი ფსევდოავტორის ხრიკები 295
წიგნის სამყაროს ცის ტექსტის გავლით 299
იმის შესახებ, თუ როგორ შევცურდით რეალური თავის ცნობიერების ნაკადში 304
უჩვეულო ყინულის ბელტები 308
რეალური აზრის ნაკადით ალუს ექსპერიმენტისა და რეალური სამყაროს სხვა დანარჩენი მნიშვნელოვანი შედეგების შესახებ 311
რეალური აზრის მყინვარი 323
შეხვედრა ალუ II-სთან 327
სიუჟეტური მასალა რეალური აზრის ნაგვის გატანა 331
წითელი წერტილი საბრალო ხელისგულზე 338
რეალური აზრის მასალის შრეებში დანახული ისტორია 343
ქისტი მუცალის შემაჯამებელი და საბოლოო მოსაზრებები რეალურის აზრის მყინვარზე 360

წინათქმა

,,ნუ დასვამთ წეტილებს, სჯობს ხაზები გაავლოთ!"– ესაა ფრანგი ფილოსოფოსის, ჟილ დელიოზის ძირითადი პრინციპი. ხაზში ის იმ გაქცევის ხაზს გულისხმობს, რომელსაც ადამიანი საკუთარ ცხოვრებაში გაავლებს. გაქცევა აქ ონტოლოგიური ცნებაა და არაფერი ესაქმება შიშსა და თავის დაძვრენასთან. ადამიანი, შესაძლოა, მებრძოლი იყოს გაქცევის დროსაც. ყოველი გაბედული წინააღმდეგობა უმთავრესად ნებელობით არის მოტივირებული – გაექცე არასასურველ მდგომარეობას, რეპრესიულ სიტუაციას და ა.შ. იქ, სადაც ნებელობა ნამდვილ, ეგზისტენციურ მცდელობას წარმოადგენს, ლიტერატურის ქმნაა, ანუ, დელიოზის თანახმად, იმ ხაზის გამოთავისუფლებაა, რომელიც შემდეგ მწერლის ეგზისტენციურ ხაზად, ანდა მისი წიგნის ფიგურების ხაზად შეიძლება იქცეს. ჩემს ,, მუცალში" სწორედ ამას ვაკეთებ, უფრო ზუსტად: მე ვაგრძელებ ვაჟა ფშაველას პოემაში გავლებულ ალუდა ქეთელაურის ხაზს, ვადიდებ და ვაძლიერებ მას მეორით: – ქისტი მუცალის ხაზით. მოგეხსენებათ, პოემის დასაწყისში ხევსური ქეთელაური თოფით კლავს მუცალს. მკვლელობა ქისტი მუცალის ცხოვრებაში მხოლოდ ფინალურ წერტილს კი არ სვამს, არამედ ქეთელაურის ახლებურად აზროვნებისა და მისი ღრმად მონანიე ცხოვრების წესის ამოსავალი წერტილის მნიშვნელობასაც იძენს. ეს არის გაქცევის ხაზის დასაწყისი საზოგადოებიდან – საკუთარი თემიდან, სადაც არ ესმით მოკლული ქისტის მიმართ ქეთელაურის მოწიწება და ის სინანული, რომელსაც იგი მომხდარის გამო განიცდის. თემიდან (რომელიც შეიძლება გავიგოთ, როგორც გაქვავებული, ტრადიციული ცხოვრების წესად შეჭმუხნული წერტილი) ქეთელაურის გაურკვევლობისაკენ მისწრაფი გაქცევის ხაზი ვაჟა ფშაველას პოემის ფინალური სცენაა.

ამ ტექსტის ჩემს ვარიანტში მეორე, მსგავსი – ქისტი მუცალის – ხაზით ვოპერირებ, რაც ჟილ დელიოზის მეორე აქსიომას უკავშირდება, რომლის თანახმადაც ,,და" უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ,,არის". ,,არის" ნიშნავს რამეს დეფინიციას, წერტილამდე მიყვანას. მისგან განსხვავებით კი ,,და" – აზრის ხაზისებურ სწრაფვას ნიშნავს, მის გაქცევას წერტილისაგან. დელიოზი ევროპელ ფილოსოფოსთა უმრავლესობას საყვედურობს იმას, რომ მათ განმსაზღვრელმა წერტილმა თავგზა აუბნია. რაც მას ანგლოსაქსურ ფილოსოფიურ აზროვნებაში ასე ხიბლავს, ეს არსებითად მისი კონუქციური ხასიათია და ამავე მიზეზით ხსნის იგი ინგლი-

სურ–ამერიკული ლიტერატურით საკუთარ გატაცებასაც, სადაც, მისი მოსაზრებით, კონუქციური ელემენტი დიზუქციურზე დომინირებს და სურათხატებიც ამდენად მეტი ინტენსივობით განიცდება. ჩემი მუცალი მკვდრეთით აღდგება და კონუქციური ხდება; ის შეეკვრება ქეთელაურს, რათა ერთად მოიფიქრონ, როგორ გაიქცნენ თემიდან, ვერაგი თხის მწყემსების მიერ თავხედურად დაპყრობილი ხევსურული საზოგადოებიდან და მიაღწიონ დედამიწის პოლიტიკურ დასავლეთ ნაწილში დასახლებულ და, ამდენად, პრინციპულად თავისუფალ ქისტებთან. მუცალის რეზურექცია მისი ყოფიერების რაგვარობას – რომელიც წიგნის პერსონაჟულია – პრინციპულად შესაძლებელს ხდის. წიგნის პერსონაჟები ხომ რეალური პირები არ არიან – რეალურ სამყაროში საკუთარი სიკვდილით, როგორც საბედისწერო და გადაულახავი წერტილით შეპყრობილნი – არამედ წიგნში (წიგნის სამყაროში) სიკვდილის შემდეგ ყოველი მათზე დაფიქრებული მკითხველის მიერ წასაკითხად და სასიცოცხლოდ გამოხმობილნი, პერსონაჟები, რომელთათვისაც რეალისტური ბედისწერა დროებით, საკითხავი დროით მოზომილ, ეგზისტენციურ — თემატურ ინკარნაციას ნიშნავს, ისინი, ვისაც წიგნებში კითხულობენ, ისინი, ვინც საკუთარი ბედისწერა მარად და მარად უნდა აღასრულონ. დელიოზის ფილოსოფიაში არსებობს მსგავსი ცნება, კერძოდ „personnages conceptuels" – რომელიც, თუმცა კი წიგნის პერსონაჟთა შესახებ ჩემს მოსაზრებას მთლად არ შეესაბამება, მაგრამ მას ერთგვარად უახლოვდება და ამიტომაც მოვიხსენიებ მას ამ კონტექსტში. ამ მსგავსებაში გადამწყვეტი ის გახლავთ, რომ ჩემი წიგნის პერსონაჟებს საშუალება ეძლევათ საკუთარ წიგნებს, ანდა ეგზისტენციურ თემებს ჯერ აზრობრივად გამოეყონ, წიგნის პერსონაჟული სრული ცნობიერებით მათი ობიექტივაცია შეძლონ და – თუ ეს თემა და თემი არ მოსწონთ (მუცალისა და ქეთელაურის შემთხვევაში სწორედ ასე გახლავთ) – საკუთარი წასაკითხი ცხოვრება ამ თემა—თემის გარეშე, ანუ ანტი და ჰეტერო—არათემატურად წარმოიდგინონ. თემა—თემიდან გაქცევის ხაზის გავლება უკვე ამგვარი თეორიული რეფლექსიის შემდეგაა შესაძლებელი, მისი გამომსახველი ხერხები კი მრავალია. როგორც ხედავთ, წიგნის პერსონაჟთა შესახებ მსგავსი მოსაზრება მათი წასაკითხი ცხოვრების მეტათემატურად განვრცობის შესაძლებლობას ქმნის, რათა მათი ცხოვრება თემა–თემის თემატურ საზღვრებში გამომწყვდეულ გადაულახავ წერტილში ჩაჭედილად კი არ წარმოიდგინო, არამედ ის უსასრულო „და" პერსპექტივაში განვითარდეს.

ჩემს „მუცალში" ამ მიზეზთა გამო სწორედ ეს კონუქციურ — კომბინაციური მომენტია ყველაზე უფრო მეტად და ძლიერად

გამოხატული. აქ არა მარტო ჩემი წარსული და აწმყო განცდებია – მუცალის სიმბოლურად გაუცხოებული, ერთმანეთის გვერდით მყოფი და ერთმანეთში გარდამავალი განცდები. კონუქციურია და ასევე, ჩემი აზრით, დელიოზისებურია ჩემი ტექსტის ძირითადი ცნებების ესთეტური გამომსახველობითი ხერხებიც. მოვიყვან ამ რიგის ორ მაგალითს: ხევსურულ თემში შავი მერანით (ავბედითი შავი ყორანის თანხლებით) ქისტი მუცალის მოტაცება სუკის მიერ მოწყობილი ადამიანის მძევლად აყვანის ასახვაა, რომელმაც მე და მამაჩემი 1946 წლის გაზაფხულზე გვიმსხვერპლა. ,,მუცალში" არის ასევე შესაბამისი კონტრაპუნქტული ცნებებიც: თეთრი მერანი და მშვიდობის თეთრი მტრედი, რომელსაც დროდადრო გულმოწყალე რეალური მკითხველის თავი საბჭოეთად გადაკეთებულ პერვერსიულ თემი—თემაში ფანტაზიის ძალით წარმოიდგენს და მუცალს თანადგომას უწევს, სადაც მას თავისი გაქცევის ხაზი საშიშ სიტუაციაში ახვევს. ქისტეთი ჩემს ,,მუცალში" ჩრდილო ამერიკული გავლენის სფეროა, თავად ქისტები კი ჩრდილოამერიკელები, რომლებიც პროგრესულად მოაზროვნე ხევსურებს სანუკვარ ოცნებებში გამოეცხადებიან და – ეს ყოველთვის ღამით ხდება – შტატებში საოცნებო მოგზაურობაში მიჰყავთ. მფრინავები ჩემს წიგნში საჰაერო ავიაკომპანიის ,,PanaMeranican-ის" წარმომადგენლები არიან. თხის მწყემსების საკონტროლო პუნქტებისათვის, მათი რადარებისა და რაკეტებისათვის, საბედნიეროდ, არაფერია ისეთი მოუხელთებელი და მიუწვდომელი, როგორც ხევსურთა საჰაერო ფრენა.

„მოვლენები – წერს დელიოზი – კრისტალებია, რომლებიც ყალიბდება, გამოკრისტალდება და შეეზრდება ნაპირებს". აშკარაა ამ ფილოსოფემის მიმართება მეორე, ზემოთ მითითებული მისი თეორიის აქსიომატასთან: თუკი ცხოვრება გაქცევაა, მაშინ ის მარგინალობისაკენ, განაპირა მხარისკენ (საზღვრისაკენ) სწრაფვაც უნდა იყოს, საიდან წასვლაც და რაღაც ახალში გადასვლა იოლად განსახორციელებელია. დელიოზისეული ძირითადი იდეა არეკლილია ასევე ჩემი „მუცალის" ძირითად ცნება – „თომინოში". „თომინო" აერთიანებს სამ ცნებას – დომინო, თემა და თემი. თომინო თამაშია, რომელიც მთელი რიგი მოვლენებისაგან შედგება. ჩემს წიგნში „თომინო" მუცალის მიერ სრულქმნილი თამაშია, რომლის არსიც შემდეგში მდგომარეობს: ვაჟა ფშაველას პოემის ჩემ მიერ განვრცობილ და მოდერნიზებულ ვერსიაში მოქმედ პერსონაჟთა ამსახველი ქვები მაგიდაზე თავშესაქცევი კომბინაციური მეთოდით ლაგდება. თამაშის სიახლე კი ახალი დასახელების ქვების შემოღებაა: „შავი მერანი", „ყორანი," „თეთრი მერანი" და „თეთრი მტრედი." პირველი ორი ქვით შეიძლება დაჩქარდეს მოთამაშე პერსონაჟთა,

განსაკუთრებით კი მუცალის, თემატური განსაცდელი. ბოლო ორი ქვა ამ განსაცდელს ანელებს, ანდა სულაც მის ბლოკირებას ახდენს. თომინოს დომინოს პრინციპით თამაშობენ, ანუ ქვები განაპირა ქვებზე ლაგდება. ჩემი წიგნის თემა—თემის მცხოვრებთათვის მას მხოლოდ თავშესაქცევი, გასართობი ფუნქცია აქვს. თომინო ყოველგვარი თემურ—თემატური განსაცდელისაგან გაქცევას – ანუ, შეიძლება ითქვას, – გაქცევის ხაზს წარმოადგენს, სადაც მოგებული რჩება მხოლოდ ის, ვინც -- თუ მას საუკეთესო ქვები მოუვიდა და თამაშიც უფრო სწრაფად დამთავრდა – თემი–თემატური მექანიზმიდან პირველი გაიქცევა. მაგიდასთან მსხდარი ჩემი წიგნის ხევსური პერსონაჟები თომინოს ურახუნებენ და თხის მწყემსურად პატივაყრილ თემი-თემას დეთემატიზაციას ახდენენ, მის ეგზისტენციურ თემას ნულოვან ხარისხამდე ამცირებენ. დეთემატიზაცია აქ თამაშით ხორციელდება და კომბინაციურია, მაგრამ ის უკვე – სწორედ ეს გახლავთ გადამწყვეტი – როგორც სათამაშო ქვებისა და წესების ერთი განსაზღვრული ანსამბლი ფაქტობრივ მნიშვნელობას იძენს.

დელიოზის ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაში შეიძლება დავძებნოთ ტერმინი დეტერიტორიალიზაცია. დიალექტიკური თვალსაზრისით ამასვე განეკუთვნება ცნება – რეტერიტორიალიზაცია (მე ვიყენებ რეთემატიზაციის ცნებას, რომელიც მიახლოებით ამასვე გამოხატავს). გაქცევის ხაზის გასავლებად დელიოზის კონცეფციაში *დე* და რეტერიტორიალიზაციის რიტმი განმსაზღვრელია. რაც (ვინც) გარბის, ამ დიალექტიკის პულსით მოქმედებს: ტერიტორიას, ველს, სეგმენტს ანდა სფეროს სხვას უტოვებს, სადაც გარკვეული ხნის შემდეგ ცხოვრება თავიდან იწყება, რათა ისიც შემდეგ ამგვარადვე გათავისუფლდეს, ანუ ამ ტერიტორიას დაეხსნას. ჩემი „ მუცალი" დელიოზის დიალექტიკის ნიშნით უნდა გავიაზროთ, რადგან ის, რაზეც აქ ვსაუბრობთ, სწორედ საძულველი, დიქტატორული თემი—თემას დეტერიტორიალიზაციას (დეთემატიზაციას) და მეორე, მსგავსი თემატიკის რე-თემატიზაციას წარმოადგენს. არებობს კიდევ ერთი მომენტი, -- რაც ჩემი ღრმა რწმენით წიგნის კულმინაციური წერტილია – როცა *დე*- და *რე*-ტერიტორიალიზაციის დიალექტიკა თავად იქცევა წიგნის რეალობად თუ წიგნის ფაქტობრივ სინამდვილედ. ეს ის წუთია, როცა თემი — თემას მკითხველი რეალური თავის ინტენციური აზრის სხივით წიგნის ორი პერსონაჟი, მუცალი და ალუდა, ზევით, ჯერ წიგნის სამყაროს უბნის თავზე და შემდეგ კი მის მიღმა (უფრო მაღლა) წიგნის სამყაროს კოსმოსში ავლენ და ახალი ეპოქის ასტრონავტები ხდებიან. მათ ერთადერთი სურვილი ამოძრავებთ – შეიტყონ, რას ფიქრობს მკითხველი რეალური თავი მათი თემი—თემას შესახებ: ხვდება თუ არა ვერაგ, სოციალურ ტყუილს, თუ, სხვა

დანარჩენ რეალურ თავთა მსგავსად, ამ ტყუილს იჯერებს. წიგნის პერსონაჟები ტოვებენ ტერიტორიას, პოემა– წიგნის სამყაროს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და რეალური მკითხველის თავში, მისი ცნობიერების ნაკადში აღმოჩნდებიან, რომლის სანაპიროებზეც ხევსურულ-ქართული თემი–თემა უნდა მდებარეობდეს. როგორია ხევსურულ – ქართული წიგნის პერსონაჟთა ცხოვრება რეალური მკითხველის თავის ცნობიერების სარკეში? კრიტიკულად მოიაზრებენ თუ არა ისინი თხისმწყემსურ სიუჟეტს, მიაგებენ თუ არა შესაბამის პატივს მუცალის, ალუდასა და პროგრესულად მოაზროვნე ხევსურთა ანტი და არათემატურ წინააღმდეგობას? ამ კითხვაზე პასუხის ძიებას მუცალი და ქეთელაური ჯერ წიგნის სამყაროს კოსმოსში მიჰყავს და შემდეგ კი მის ზემოთ, რეალურ თავში. ჩემი აზრით, ეს გახლავთ ასევე *დე* - და რეტერიტორიალიზაციის დელიოზისეული დიალექტიკის ლიტერატურული გამოხატვის ფორმა, – როგორც ფიქსირებული, ეგზისტენციურ–თემატური წერტილიდან გაქცეული, საზღვრებს ვერშეგუებული და მასთან მებრძოლი ადამიანის ცხოვრების რიტმიკა.

თუ, დელიოზისა და გუატარის მტკიცების თანახმად, გაქცევის ესთეტიკა მართლა არსებობს, – ესთეტიკა, რომლის გამომსახველობით ფორმებსაც ფიგურები (ხვეულები, ზიგზაგები და ა.შ) წარმოადგენს, და რომელიც ცხოვრებას გაქცევის ხაზებით აღწერს, მაშინ ჩემი „მუცალი," ალბათ, ამგვარი ესთეტური ფორმის ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. მსგავს ლიტერატურას დელიოზი *მინორიტარულ* ლიტერატურას უწოდებს, რადგან, მისი თქმით, ავტორები ამ შემთხვევაში იყენებენ ენას, რომელიც არ არის მათი. ჩვენს ეპოქაში ამ სტილის თვალსაჩინო წარმომადგენლად იგი კაფკას ასახელებს, რომლის ნაწარმოებშიც ცხოველად გადაქცევა ადამიანურობიდან სხვაგვარ ყოფიერებაში გაქცევის მცდელობაა. გაქცევის ესთეტიკის ავტორის ეს დეფინიცია სრულიად მიესადაგება ჩემს პერსონას, თუმცა კაფკასთან, ალბათ, ბევრი არაფერი მაკავშირებს. რჩება კიდევერთი შეკითხვა: გრძელდება თუ არა მუცალის გაქცევის ხაზი, და, თუ გრძელდება – როგორ? თუ მისი გაქცევის ხაზი ყველა იმ წერტილს შემოუვლის, რომელიც მას ჯერ კიდევ შეიძლება დაესვას (ან შეიძლებოდა დასმოდა), მაშინ, იმედია, ის პრინციპულად უკეთეს, წასაკითხად და საცხოვრებლად ვარგის პირობებში შეძლებს გადანაცვლებას, რადგან ამ ხაზებს დასასრული არა აქვს.

გივი მარგველაშვილი

ბერლინი, 2001

წიგნის პერსონაჟის მძიმე ხვედრი

თემი და თომინო

მე წიგნის პერსონაჟი ვარ. ეს იმას ნიშნავს, რომ წიგნში ვცხოვრობ და მხოლოდ წიგნის ორ ყდას შორის გამომწყვდეულს შემიძლია არსებობა. ტელეფონის ნომრის ნაცვლად წიგნის გვერდის ნომერი გამაჩნია. დროდადრო რომელიმე რეალური პირი ჩამომხედავს, უფრო სწორად, ჩამოგვხედავს ხოლმე, რადგან ჩემს წიგნში მე მარტო არა ვარ – ეს იშვიათად კი ხდება, მაგრამ წელიწადში რამდენიმე სტუმრის იმედი მაინც შეიძლება ჰქონდეს კაცს. აქ ჩემთან ერთად ასობით სხვა ადამიანიცაა. ჩვენ მრავალფეროვან, ფართოდ განშტოებულ თემატურ ნათესაობას ვქმნით. ბარემ ისიცა ვთქვათ, რომ რეალური სამყაროსაგან განსხვავებით, სადაც ადამიანები, უმთავრესად, სისხლის ნათესაობის ნიშნით ლაგდებიან, წიგნის პერსონაჟთა საგვარეულოს საფუძვლად თემა უდევს. მე, მაგალითად, ჩემი თავი წიგნში არსებული პერსონაჟების გარეშე ვერც კი წარმომიდგენია. თუმცა ერთმანეთს არ ვენათესავებით, ამ სიტყვის საზოგადოდ მიღებული აზრის თანახმად, მაგრამ იძულებულნი ვართ, ერთმანეთთან მჭიდროდ ვიყოთ დაკავშირებულნი. როგორც ამბობენ, სხვა წიგნებშიც ზუსტად ასევეა. სისხლისა და თემის ერთად შეთავსება სავსებით დასაშვებია. არსებობს გვარებით დასათაურებული სქელტანიანი წიგნების საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომლის თემასაც სწორედ სისხლი წარმოადგენს. ჩემს წიგნში კი საქმე სულ სხვაგვარადაა – ჩემი წიგნის თემა თავადაა სისხლიანი, რადგან მე დასაწყისშივე მკლავენ. ისედაც ხანმოკლე ცხოვრების გზაზე, რომელიც ამ წიგნში მერგო, ერთი წუთითაც არა მაქვს მოცლა. მთელი ჩემი ყურადღება წიგნის მეორე პერსონაჟისაკენაა მიმართული, რომ ყელში არა მწვდეს და ბოლო არ მომიღოს. ამგვარად, მხოლოდ იმითი ვარ დაკავებული, რომ ხმლითა და იარაღით დავიცვა თავი – მე დაუნდობელი ორთაბრძოლის მსხვერპლი ვხდები. ერთადერთს – თოფის დამიზნებასა და სროლას ვახერხებ. ეს დუელი კიდევ იმიტომაცაა ფატალური, რომ წიგნის ყველა პერსონაჟისათვის სანუკვარ საქმიანობაში მიშლის ხელს, კერძოდ კი: მშვიდად ვადევნო თვალი კითხვის პროცესში მყოფ რეალურ პირებს. ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია ის შთაბეჭდილება, რომელსაც მკითხველზე ვახდენთ, რადგან იგი, თუ საკმარისად ღრმა აღმოჩნდა, რეალობის განცდას გვანიჭებს.

საკუთარი რეალობა ლამის თვითონვე დავიჯეროთ და ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს ცისქვეშეთში მყარ მიწაზე გვედგას ფეხი. თითოეული ჩვენგანის ოცნებაც ხომ ისაა, რეალური მნიშვნელობა თუ არა, რაიმე ფაქტობრივი ღირებულება მაინც შევიძინოთ. მაშინ ის განსაცდელი, რომელიც წიგნებში გვერგო, უფრო ასატანი ხდება, ხოლო თემატური სიკვდილი – უფრო იოლი. ამიტომ ყველაზე დიდ მოვლენას სწორედ ის წარმოადგენს, როცა რეალური პირების თვალებში საკუთარ არსებობას ვჭვრეტთ. მე კი, ამ ბედკრული დუელის გამო, რომელიც წიგნში ბოლომდე უნდა აღვასრულო, დროც არ მრჩება, რეალურ პირებს დავაკვირდე და ჩემი უიღბლობაც სწორედ ესაა. უბრალოდ რომ შევხედო, ამის უფლება არა მაქვს – ეს არც ერთ ტექსტში არ წერია. მხოლოდ მაშინ ვიწყებთ მკითხველზე დაკვირვებას, თუკი წიგნები მათზე ფარული მზერის შევლების ნებას გვრთავენ. ზოგიერთი იღბლიანი პერსონაჟი წიგნის მეშვეობით ისეთ მდგომარეობაშიც აღმოჩენილა, რომ რეალური პირისთვის სახეშიც შეუხედავს. ეს კი მხოლოდ იმ წინასწარ განსაზღვრულ შემთხვევებში ხდება: თუ პერსონაჟს რეალური პირი დაკვირვებით შეისწავლის, ანდა როცა პერსონაჟი მონოლოგს წარმოთქვამს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ რეალური პირისათვის არის განკუთვნილი. ცხადია, რეალურ პირთან პირისპირ მდგარ პერსონაჟსაც არა აქვს უფლება, აგრძნობინოს, რომ ხედავს; პირიქით, რეალური მზერა უნდა გაასაიდუმლოოს და ისე მოიქცეს, თითქოს არც თვითონაა დამკვირვებელი და არც მას აკვირდებიან.

სხვათა შორის, წიგნის ერთ ადგილას მასთან პირისპირ შეხვედრა მეც მიწევს, მაგრამ ამისგანაც დიდი ვერაფერი ხეირია. ეს ხომ ჩემი სიცოცხლის ბოლო წუთებში ხდება: ტყვიით განგმირული მიწაზე ვეცემი, მიმქრალი მზერით წიგნს და რეალურ სამყაროს ვეღარ აღვიქვამ, თვალთ მიბნელდება და თემატურად ვკვდები. ერთადერთი, რაც იმქვეყნად თან მიმაქვს, რეალური მზით, ან ნათურის ხელოვნური შუქით განათებული მკითხველის ძალზე ბუნდოვანი სახეა, რომელიც გადაშლილ წიგნს უზარმაზარი მთვარესავით დანათის. არ ვიცი და საკუთარი გამოცდილებით არც შეიძლება ვიცოდე, როგორ აღიქვამენ ჩემს სიკვდილს რეალურ სამყაროში. იძულებული ვარ, სიკვდილს გადარჩენილი ჩემი თემელი კოლეგების მონაყოლს დავჯერდე, რომლებსაც მთელი წიგნის განმავლობაში მკითხველზე დაკვირვების შესაძლებლობა მრავალჯერ ეძლევათ. წიგნის პერსონაჟები ყოველთვის მამშვიდებენ და მეუბნებიან, რომ თურმე ყველა მკითხველი ჩემს სიკვდილს გმირობად მიიჩნევს და აღფრთოვანებითაც ხვდება, მაგრამ ჩემთვის ეს არაა საკმარისი. მკითხველისაგან თანაგრძნობაც მჭირდება.

თუ მათთვის მართლა რაიმეს წარმოვადგენ, მაშინ უნდა დამიტირონ კიდეც. დიდ გლოვას არ ვითხოვ და არც მაქვს უფლება, რადგან ასეთი რამ მხოლოდ იმ პერსონაჟების ხვედრია, რომლებიც თემებში დიდხანს ცოცხლობენ, მკითხველსაც, ჩემგან განსხვავებით, უკეთ აცნობენ თავს და დასაწყისშივე უსახელოდ არა ქრებიან. რომელიმე რეალური თავის მიერ ჩემთვის გულწრფელად დაღვრილი ცრემლები, ანდა დანანებით აღმომხდარი უეცარი ოხვრა დიდ შვებას მომგვრიდა. ოღონდ მკითხველმა ხმამაღლა უნდა ამოიოხროს, რომ სიკვდილის პირას მყოფს, მეც ჩამომესმას და გონებაში აღმებეჭდოს.

ამის ნაცვლად, ჩემს სიკვდილს მუდამ მხოლოდ ის პერსონაჟი დასტირის, რომელიც მკლავს. მისი დაგვიანებული, თემატური სინანულის ცრემლები და სიტყვები ვერაფერი ნუგეშია. თუ ფაქტებს დავეყრდნობით, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მკითხველი ჩემს მიმართ სრულიად გულგრილია. ასეთსავე გულგრილობას გამოიჩენდა იგივე მკითხველი ჩემი როლის შემსრულებელი წიგნის ნებისმიერი პერსონაჟის მიმართ, თუკი იგი, ვთქვათ, ჩემსავით ტყვიით განგმირული დაეცემოდა. მიყრუებული, ჩემს წიგნში გაკვრით მოხსენებული აულებიდან ჩამოსულ თხის მწყემსებს მრავალჯერ შევუცვლივარ ჩემი მეტოქის სანადირო თოფისა და, რაც მთავარია, იმ რეალურ მკითხველთა წინაშე, ვისაც, არაერთგზის შეხვედრის შემდეგ, ასე თუ ისე უნდა ვიცნობდე. ჩემი იქ არყოფნა თვალში არავის ხვდება, ეს ჩემი ხელმოცარულობისა და ზედმეტობის დამამტკიცებელი საბუთია. მკითხველისათვის ჩემი მოწინააღმდეგე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია და ორთაბრძოლის დროსაც ძირითადად მას ადევნებს თვალს, მე ცალი ყურით მისმენს და უსულგულოდ მექცევა. ყველაფერი ჩემი მოწინააღმდეგის სასარგებლოდ მთავრდება: – ურიცხვი მკითხველის თავებსა და გულებში მისი რეალური ცხოვრების საფასურს საკუთარი ცხოვრებით ვზღავ.

მე ობიექტური ადამიანი ვარ და ამის გამო არც ვუბრაზდები. რა მისი ბრალია! ამ და მსგავს შემთხვევებში (რაც, სხვათაშორის, ხშირად ხდება ხოლმე) ესღა შეიძლება თქვას კაცმა: c'est la vie , ანუ როგორც ჩვენ, წიგნის პერსონაჟებს გვჩვევია: c'est le livre . რეალურ პირთა უმრავლესობა ისევე უძლურია საკუთარი ცხოვრების მიმართ, როგორც ჩვენ ჩვენივე წიგნების მიმართ. სიმართლე ითქვას, რა მაქვს საწყენი? ჩემი მოკვლის შემდეგ ხომ მეცა და, აქედან გამომდინარე, ჩემს გვამსაც კარგად ექცევა. არც მარჯვენას მაჭრის და ჩემს სიკვდილსაც მწარედ დასტირის; მეტი რაღა უნდა მოსთხოვოს კაცმა. ახლა უკვე ვმეგობრობთ კიდეც და ხშირად, წარმოდგენის დაწყებამდე, სანამ წიგნი დახურულია, წიგნის თემატური ტერიტორიის მაღალ მთებში ჯიხვებზე სანადიროდაც

დავიარებით. გართობაც გვიყვარს და, თუ ჯიხვები არ ჩანან, თავშესაქცევად ერთმანეთს ვიღებთ მიზანში. სროლით კი ერთმანეთს არასდროს ვესვრით, რადგან წიგნისთვის მზად უნდა ვიყოთ: ის – სიცოცხლისათვის, მე – სიკვდილისათვის. ხოლო მას შემდეგ, რაც ჩვენი წიგნი ნაკლებ მკითხველს იზიდავს (თუ არ ვცდები, საუკუნეთა გასაყარიდან, რადგან 1900 წლამდე, ჩვენი წიგნის თავზე საშუალოდ დღეში ოცი რეალური თავი მაინც ჩნდებოდა ხოლმე), მოგზაურობამ კიდევ უფრო გაგვიტაცა.

წინათ შორს ვერ გავცდებოდით მჭიდროდ დასახლებულ თემატურ ადგილს – წიგნში ჩვენ ასი კვადრატული კილომეტრის მოცულობის პოემის ტერიტორიაზე ვცხოვრობთ – რადგან რომელიმე რეალურ პირს ყოველ წუთს შეიძლებოდა გადაეშალა წიგნი. დღეს შორეულ მოგზაურობებშიც კი თამამად დავდივართ, რადგან იმის შიში, რომ ვინმე ჩაგვეჩხირება, აღარ გვაქვს. წიგნის გადაშლის სიხშირეზე ზუსტ სტატისტიკას ვაწარმოებთ და ამიტომ ჩვენი თემისათვის და მკითხველისათვის რეალური წარმოდგენების შესაქმნელადაც მუდამ დროულად ვცხადდებით. შესაძლოა, მკითხველმა ჩვენგან შორს მდებარე რომელიმე ცალკეული თემატური ადგილი – შესაბამისად – ლექსი გადაშალოს. თუკი იქიდან რეალური თავი ჩვენი ლექსის ტერიტორიისაკენ მიმავალ გზას კითხვა-კითხვით გამოუყვება, მეცა და ჩემს მოწინააღმდეგესაც იქაური თხის მწყემსები მაშინვე თავაზიანად შეგვატყობინებენ ხოლმე. მათი სალამურის ხმაზე ვხვდებით, რომ თემა გვიხმობს და სიკვდილ-სიცოცხლის ჟამიც დგება. შეხსენება არასდროს გვჭირდება და მოვალეობის აღსრულებას სალამურის ჩაბერვისთანავე ვიწყებთ. ის თავის იარაღს სტაცებს ხელს, მე კი – ჩემსას და ჩქარი ნაბიჯებით, ანდა რაშებით – თუ შორსა ვართ, სასწრაფოდ უკან, ლექსის ტეროტორიაზე ვბრუნდებით. ჩვენს ღია, ანუ როგორც ვამბობთ ხოლმე, თემატურ მდგომარეობაში სრულიად გარდავისახებით და ერთგული მეგობრებისა და პარტნიორებიდან ერთმანეთის დაუძინებელი მტრები ვხვდებით.

მხიარული ნადირობა ადამიანებზე სევდიანი ნადირობით იცვლება და ჩემი აწ დაუნდობელი მტერი და მდევარი ტყვიითა და ბილწი გინებით სასიკვდილოდ გულში მჭრის.

თემა, ანუ თემი, როგორც მას წიგნში ვუწოდებთ, ყველასათვის წმინდა და ხელშეუხებელია. წესდებისამებრ, წარმოდგენაზე გამოუცხადებლობა, როცა მკითხველი გვიხმობს, ანდა გადაშლილ წიგნში არათემატურად ჩადენილი თვითნებური საქციელი მკაცრად ისჯება. ამ წესების დარღვევას, ან მათ უგულვებელყოფას ვერავინ ბედავს. ვფიქრობ, ძალიანაც რომ გვინდოდეს, თემას თავს ვერ დავაღწევთ, რადგან თხის მწყემსთა უმრავლესობა, ყოველ შემთხვევაში ის

მეორეხარისხოვანი მწყემსი პერსონაჟები, რომლებიც წიგნში მკითხველის წინაშე უშუალოდ არასდროს ჩნდებიან, ჩვენს სამეთვალყურეოდ არიან მოჩენილები. ამის დამტკიცებას ვერც მე შევძლებდი და ვერც ვინმე სხვა, რადგან ეჭვი თემისგან განდგომას ნიშნავს, რაც დღემდე ვერავის გაუბედავს. ამ ეჭვს მთელი რიგი გარემოებანიც ბადებს. ის, რომ ეს ხალხი, რომელიც თავს თხის მწყემსებად ასაღებს, დროის უმეტეს ნაწილს ფარასთან კი არა, ჩვენთან, წიგნის პერსონაჟებთან ატარებს, განა ამ ვაჟბატონებზე შექმნილ ჩემს მოსაზრებას არ ადასტურებს? მართალია, უშუალოდ ჩვენს შორის არ ტრიალებენ, რადგან, როგორც აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, ჩვენს თემს უშუალოდ არც ეკუთვნიან. თანაც არც ერთ მნიშვნელოვან პერსონაჟთან თუნდაც მცირე თემატური კავშირიც კი არ გააჩნიათ. წიგნის არსებობის მანძილზე – სულ მალე ასწლიან იუბილეს ვიზეიმებთ – მათთან რომელიმე პერსონაჟის სისხლით ნათესაობაც კი არ დადასტურებულა. არც ჩვენთან დასახლებას აპირებენ და მუდამ დისტანციას იცავენ. ასე მაგ: თუ გაშლილ მინდორზე დავბანაკდით, თვითონ იქით, ტყის პირას რჩებიან, ხოლო თუ რომელიმე სოფელში შევჩერდით, დაცარიელებული ბეღლებიდან გვითვალთვალებენ. გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ მათი რიგები საიდანღაც ახალ-ახალი ცვლით ივსება და ჩვენც მათ შორის მუდამ უცნობ სახეებს ვხედავთ. ეს და სხვა დანარჩენიც შემდეგი ლოგიკური დასკვნის გამოტანის უფლებას გვაძლევს: მათი სახით საქმე გვაქვს საიდუმლო, ჩვენს თემაზე საგანგებოდ მოჩენილ მეთვალყურეებთან. ისინი ჩვენი თემის საქმეებში განსაცვიფრებლად ერკვევიან, რაშიც თვითოეული ჩვენთაგანი უთვალავჯერ დარწმუნებულა. ტექსტი ჩვენზე უკეთ, ზეპირად იციან. მკითხველი წიგნს ისე იშვიათად შლის, რომ ყველანი თემიდან ცოტათი ამოვვარდით კიდეც. ცხადია, ყველაფერი არ დაგვვიწყნია და არც დაგვავიწყდება, მაგრამ წარმოდგენაზე ისე იშვიათად გვიხმობენ, რომ უმრავლესობა ტექსტს სრულად ვეღარც იხსენებს. რაც უნდა გავაკეთოთ, კარგად გვახსოვს, რადგან ეს ადვილი საქმეა, მაგრამ აი, რა უნდა ვთქვათ, განსაკუთრებით ზუსტი თემატური ტექსტი ხანგრძლივად დახურულ წიგნში თანდათანობით გვავიწყდება კიდეც. ასე რომ, ხატოვნად რომ ვთქვათ, ცალი ფეხით თემში ვდგავართ და ცალი ფეხით კი, ვინ იცის,– სად. ღმერთმა იცის, რა მოხდებოდა, ზემოხსენებული თხის მწყემსები რომ არა: ისინი მუდამ მზად არიან, დაგვეხმარონ და როგორც კი მკითხველი, წიგნისა და აქედან გამომდინარე, ჩვენი ლექსის ტერიტორიის გადაშლას დააპირებს, მაშინვე რეპლიკებს შემოგვაშველებენ ხოლმე. მეხსიერებაში ამ დროს თემში წარმოსათქმელი თითოეული სიტყვა და გამო-

ნათქვამი გვიცოცხლდება. განათლებული პერსონაჟებისათვის კი, ვისაც თემის არდადეგები წერა-კითხვის შესასწავლად გამოუყენებია, თემატური ბარათები აქვთ მზად – ეს ბარათები მცირე ზომის, თვალისათვის თითქმის შეუმჩნეველი ფურცლებია – საიდანაც გადაშლილი წიგნის დროსაც კი ძალზე საჭირო ინფორმაციას ვიღებთ. თავდაპირველად რეპლიკა თხის ტყავის პატარა ნაგლეჯებზე იყო ამოჩხაპნილი – ქაღალდი ჩვენში მოგვიანებით გავრცელდა. დროთა განმავლობაში თემატური ბარათები კიდევ უფრო შინაარსიანი გახდა და დღეს უკვე მათზე თემაში ჩვენი მოქმედებისა და წარმოსათქმელი სიტყვის შესაბამის ტექსტსაც იხილავთ. თავშესაქცევად, თუ უკეთესი არაფერი გვეგულება, ბარათებს ერთად ვაწყობთ და ამგვარად, თემის ამსახველ ხელნაწერ საბუთს – მთელი ლექსის ტერიტორიის ერთგვარ ლილიპუტურ რუკას ვადგენთ. ცხადია, მასზე მთელი რიგი ცარიელი ადგილებიც გვხვდება, რაც წერა-კითხვის უცოდინარი წიგნის პერსონაჟებით არის გამოწვეული, ამიტომაც მათ თემატური ბარათები არ ურიგდებათ. ჩვენ კი მათ ტექსტს კარგად ვიცნობთ და ხშირად საკუთარ ბარათებზე მივაწერთ ხოლმე. განათლებული პერსონაჟები პოემის მიმდებარე ტერიტორიებზეც ასევე იქცევიან. ასე რომ, თემატური ბარათები ჩვენში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ბარათები ხის ნაფოტებზე დავაწებეთ და თავს მათი განლაგებით ვირთობთ. გამარჯვებულად კი თამაშის დროს ის ითვლება, ვინც ხის ნაფოტების კომბინაციებით თემის ზუსტი ტექსტის აღდგენას შეძლებს. რადგან თამაში დომინოს პრინციპს იმეორებს და თემზე თუ თემაზეა ორიენტირებული, სახელად თომინო შევარქვით.

ვფიქრობ, იდეა თხის მწყემსებს უნდა ეკუთვნოდეთ. ყოველ შემთხვევაში თამაში მათ ინტერესებშია და უშუალოდ მათ მიზნებს ემსახურება. კერძოდ: ჩვენ, წიგნის პერსონაჟებმა, თემი ხანგრძლივად დახურულ წიგნში მეხსიერებაში ცოცხლად უნდა შემოვინახოთ. თომინოში ჩემი პატარა როლის გამო, რომელიც მოწინააღმდეგის მისამართით მხოლოდ ორი თუ სამი სალანძღავი სიტყვის წამოძახების ნებას მრთავს, ცუდ პარტნიორად ვითვლები. ხშირად საათობით მიწევს ლოდინი, სანამ მაგიდაზე ჩემი თემის ხის ნაფოტს ჩამოვა ვინმე. ამიტომ თამაში, თუ მეც ვღებულობ მონაწილეობას, მუდამ ჭიანურდება და ყოველთვის გარდაუვალი წაგების მიზეზი ვხდები – თომინოში ხომ მთავარი ყველა ქვის სწრაფად გათამაშებაა. ასე რომ, თემაშიც და თომინოშიც ერთნაირად ზედმეტი ვარ და ჩემი ნახვა არავის სიამოვნებს. სათამაშო მაგიდას თუ მივუჯდები, მოთამაშეები უკმაყოფილო სახეს იღებენ და ჩემს მიმართ აგრესია უჩნდებათ. ჩვენ ხომ ფულზე, ან თხებზე ვთამაშობთ. საქმეში

ჩაბმა, როგორც ვამბობთ ხოლმე, ჩვენი ლექსის ტერიტორიის რომელიმე გაუნათლებელი პერსონაჟის სახელითა და როლით შემიძლია მხოლოდ. კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ საზრიანობით მოწინააღმდეგეს თემში თუ არა, თომინოში მაინც ვჯობნი. კინკლაობის გამომხატველი, ღვარძლიანი სიტყვებით წაწერილი თომინოს ორი ქვით თამაშის დაწყებისას გამარჯვებული მუდამ მე გამოვდივარ, რადგან თემში ბოლო სიტყვა ყოველთვის ჩემს მოწინააღმდეგეს რჩება და ამიტომ თომინოში ჩემზე მეტი ქვები ეკუთვნის. თავდაპირველად თემში გამარჯვებას მიჩვეული მოწინაამდეგე დამარცხებას ვერ ეგუებოდა. თომინოში ჩემს გამარჯვებას თაღლითობას მიაწერდა და მაშინვე ყვირილსა და წყევლა-კრულვაზე გადადიოდა. ცხადია, ვალში არც მე ვრჩებოდი და ერთმანეთს თავში იმავე უკმეხ, თემატურ სიტყვებს ვესროდით. ერთხელ, მორიგი გააფთრებისას, ჩემმა მოწინააღმდეგემ ხმალიც კი იშიშვლა, მე სანადირო თოფი ჩამოვხსენი კედლიდან და თხის მწყემსები რომ არ ჩამდგარიყვნენ ჩვენს შორის, ვინ იცის, ერთმანეთს ავჩეხავდით კიდეც. რაც დავმეგობრდით, მსგავსი რამ აღარ მოგვსვლია. თემის გარეთ ძველ მტრობას ვივიწყებთ და თომინოშიც ყოველთვის ერთად ვართ.

ხშირად მკითხველს მაშინაც გადაუშლია წიგნი, როცა ჩვენ, თომინოს რომელიმე კომბინაციის განხორციელებით გართულნი, მაგიდაზე ხის ნაფოტებს ვურახუნებდით. ამ დროს თხის მწყემსები მხარზე ხელის გამაფრთხილებელი დარტყმით ცდილობენ, თემი შეგვახსენონ. თუ ამანაც არ იკმარა, მაშინ გვერდში მუჯლუგუნსაც წაგვკრავენ, ხოლო ვინც თამაშს თავს მაინც არ ანებებს, ქეჩოშიც სწვდებიან. ხშირად თამაშით გაცხარებულნი ხის ნაფოტებს მაგიდიდან ერთიანად მოისვრიან ხოლმე. როგორც წესი, პროტესტი მე არ შემხებია, თემში ჩემი წიგნის პერსონაჟობა ხომ ხანმოკლეა: დუელი, რომლის დროსაც მე მკლავენ, ასე 10 წუთს თუ გრძელდება; იმ დროს, როცა სხვებს წიგნში კითხულობენ, ანდა ისინი რეალურ პირთა პირისპირ დგანან, მე თავისუფლად დავიარები. ასე რომ, როცა თხის მწყემსები მათ თემისკენ უხმობენ, მე ჯდომას ვაგრძელებ და თუთუნს ნება-ნება ვეწევი. ეს კი უმშვენიერესი წუთებია, ვინაიდან თომინო მხოლოდ ჩემს განკარგულებაში რჩება. მთელ ქვებს ჩამოვარიგებ ხოლმე და თავს იმაზე ვიმტვრევ, რაიმე ხერხით ჩემი პოემის ტერიტორიის ხალხი თომინოში მაინც ჩავაჩუმო, – *თემაში ისინი ძირითადად მხოლოდ ჩემზე ლაპარაკობენ* – და ამგვარად, ფარ-ხმალიც დავაყრევინო. თომინოს პარტია არაერთხელ მომიგია და მივმხვდარვარ, რომ ჩემი პერსონაჟის მნიშვნელობა თემში ანგარიშგასაწევია. აქაც გადაუჭარბებლად გეტყვით, რომ ტექსტის თანახმად, თომინოს ქვების უმრავლესობა პირდაპირ, ან ქარაგმებით მაინც, ჩემზე მიუთითებს.

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

მოთამაშის მიერ ჩამოსული თითოეული ფსონი მე მიკავშირდება და, შესაბამისად, ქვებიც მხოლოდ ჩემს გარშემო ლაგდება. უეჭველია, უჩემოდ ვერც თომინო და ვერც თემი ვერ განვითარდება. ასე რომ, პოემის მთელ ტერიტორიაზე თემისათვისაც და თემატიკისთვისაც უმნიშვნელოვანეს პერსონაჟს წარმოვადგენ და, რაც მთავარია, თომინოში ძირითად ქვად ვითვლები.

ჩემი განსაკუთრებული მნიშვნელობა მტკიცედ დავიჯერე, რამაც სიამაყე შემმატა და ახლა უკვე თემში, წინანდელთან შედარებით, თავდაჯერებული მკვლევარის სახით დავიარები. ჩვენი პოემის ტერიტორია, რადგან იგი ჩემი წიგნის პერსონაჟს ეძღვნება და მისი ყოფიერებისა და არსისაკენ არის მიმართული, ერთმნიშვნელოვნად მე მეკუთვნის და სხვას არავის. ის ფაქტი, რომ სათაურად პოემა ჩემი მეტოქის სახელს ატარებს და არა ჩემსას, რაც ცხადია, უფრო თემატურიც იქნებოდა – აღმაშფოთებელ უსამართლობად მიმაჩნია, რასაც ვერასდროს დავეთანხმები. თუმცა ვიმედოვნებ, დროთა განმავლობაში, შესაძლოა თხის მწყემსების დახმარებით, მთელი რიგი შესწორებების შეტანას შევძლებ.

თემში დამსახურებისამებრ ჩემი მომგებიანი მხრით წარმოჩინება მთელი ამ გულისგამტეხი გამოცდილების ფონზე დიდად გაძნელდება – ჩვენი პოემის ტერიტორიაზე წიგნის ყველა მთავარი პერსონაჟი ჩემს თემატურ ღირებულებას საკამათოდ მიიჩნევს და უფრო მნიშვნელოვნად ჩემს მეტოქეს თვლის.

ყველაზე დიდი წინააღმდეგობა კი თემსა და თემაში ჩემი ნაადრევი სიკვდილია. ამ საკითხში მთელი პოემის ტერიტორია ჩემს წინააღმდეგ ილაშქრებს და მოწინააღმდეგენიც მუდამ ერთსა და იმავე პრეტენზიას მიყენებენ: ძვირფასო, თვალთახედვიდან (იგულისხმება თემიდან) სწორედ იმიტომ ქრები, რომ პირადად შენ სათქმელი აღარ გრჩება. როგორ გინდა აუხსნა ამ ცხვრის, უფრო სწორად, თხის- თავიანებს, რომ ჩვენს თემში, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სწორედ ეს უპიროვნობაა. გარედან მას, როგორც ყველა თემს, პიროვნული სახე აქვს, მაგრამ ამ თხისთავიანებს ვინ მისცა უფრო ღრმა ანალიზის უნარი? თემატურად ხანგრძლივი სიცოცხლეც რომ მრგებოდა, ჩვენი პოემის ტერიტორიაზე მაინც ვერაფერს გავაწყობდი, რადგან წიგნის დანარჩენი პერსონაჟებისგან გადაულახავი უფსკრული მაშორებს. მე მთის სულ სხვა რასას, ენასა და რელიგიას განვეკუთნები, ჩვენი თხებიც სულ სხვაგან ძოვენ და არა იქ, სადაც მე თემატურად დავსახლდი. თავში აზრადაც კი არავის მოუვა, რომ გადამთიელს რაიმე მნიშვნელობა მიანიჭოს. ჩვენი ტერიტორიის ძველთაძველ პერსონაჟებს დღემდე ისიც კი ვერ მოუნელებიათ, რომ მე მათ თემს ვეკუთვნი და თუმცა საჯაროდ ამის თქმას ვერ ბედავენ,

მაგრამ გულში კი ტექსტიდან ჩემი ნაადრევი ამოვარდნა-გარდაცვალება ახარებთ კიდეც. ყველა გზა მოჭრილი მაქვს და ამიტომ რევანშის აღებას თომინოში შევეცდები. კომბინაციათა მრავალფეროვნების მიუხედავად, თამაშს ერთფეროვნების საფრთხე ემუქრება. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მოთამაშეები საკუთარი ქვებით იწყებენ თამაშს. ამ დროს თომინო თემივით მოსაწყენი ხდება. ხშირად თამაშს ვწყვეტთ და კარტზე ან დომინოზე გადავდივართ (სპარსული მაგიდის თამაში, რომელსაც აქ ყველა კარგად იცნობს). შექმნილი მდგომარეობა ხელსაყრელ პიროებებს მიქმნის, თომინოს განახლების საბაბით ახლებური წინადადებები წამოვაყენო. ლაპარაკია თემატური ქვებისათვის ახალი მნიშვნელობის მინიჭებაზე, რომელიც მას, თამაშში რიცხობრივი უპირატესობის გამო, ისედაც ეკუთვნის. არ იფიქროთ, რომ დიდ პრეტენზიებს ვაცხადებდე. მე მხოლოდ ის რამდენიმე ქვა მაქვს მხედველობაში, რომლიც თამაშის ახლებურად განმარტებისათვის გამოდგება, მასზე გამომაცოცხლებლად იმოქმედებს და, ამდენად, დაუყოვნებლივ თამაშს სასურველ მიმართულებასაც მისცემს. ეს ის ქვებია, რომლებზეც ჩემი სახელი აწერია, უფრო ზუსტად მხოლოდ ის, სადაც უშუალოდ მე ვარ დასახელებული. ეს არც ბევრია და არც ცოტა, ანუ სწორედ ის მოქლონია, რომელიც თამაშს ერთსულოვნად კრავს. განსაკუთრებული ჭკუა არც იმის მიხვედრას სჭირდება, რომ ჩემი დასახელების ყველა ქვა უპირატესად კოზირად გამოდგება და თომინოს მოთამაშეს გარკვეულ პრივილეგიასა და უფლებას მიანიჭებს. კერძოდ, მოთამაშეს მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით ორი-სამი ქვით მეტი ექნება და თითოეული მოწინააღმდეგის ტექსტის განვითარებას ოსტატურად ნასროლი რეპლიკებით შეაფერხებს. ეს კი საკუთარი პოზიციების გამყარებას შეუწყობს ხელს და ა.შ. თომინო მრავალრიცხოვანი ვარიანტით გამდიდრდება და ერთფეროვნების საფრთხეც გაქრება. არც ის არის გამორიცხული, თომინოში ჩემი ქვების გაუმჯობესებას თემში ჩემი მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვეს. შესაძლოა, პოემის ტერიტორიის გაყოყოჩებულ პერსონაჟებს თანდათანობით თვალი აეხილოთ და შეიგნონ, თემატურად რამდენად მნიშვნელოვანი ვარ მათთვის, ხოლო ისინი – ჩემთვის და იქნებ აბსოლუტურ პერსონაჟად თუ არა, მთავარ პერსონაჟად მაინც მაღიარონ. დასაწყისისათვის სრული თემატური თანასწორუფლებიანობაც საკმარისი იქნებოდა. ცოტას თუ მოვითმენდი, თომინოს კოზირები თემში ჩემს ტრიუმფსაც უეჭველს გახდიდა. ამ აზრით შეპყრობილი ამიტომაც ვიმტვრევდი თავს, როცა მარტო ვრჩებოდი, თამაშის ახლებური გეგმის შემუშავებაზე და მსურს, ამ თხისთავიანებსაც გასაგებად ავუხსნა. ეს საქმე ისე გამიტაცებს ხოლმე, რომ

ყველაფერი მავიწყდება, ხანდახან იმასაც კი ვერ ვამჩნევ, რომ მკითხველი წიგნს შლის და პოემის ტერიტორიაზე წარმოდგენა იმართება. იმის მაგივრად, დუელში ჩავება, ჩემი მოწინააღმდეგე შევაჩვენო და მისი ხელით მოვკვდე, თომონოს ვუზივარ. აღარც ის ხმაური მესმის, რომელსაც თხის მწყემსები სამიკიტნოს გაქონილ სცენაზე საყვირებითა და სტვირით საგანგებოდ ჩემთვის ატეხენ ხოლმე. თუ ამ დროს იქ ვიმყოფები, რომელიმე მათგანი ზედ ჩემს ზურგს უკან გაწაფული ხელებით დოლს უბრახუნებს და მორზეს ანბანის მსგავსი რიტმებით: მოკლე – გრძელი, მოკლე – გრძელი, მოკლე – გრძელი, – სურს შთამაგონოს: წადი თემში, თემში, თემში. თხის მწყემსებს ძალით არასდროს წამოვუგდივარ ფეხზე, როგორც დანარჩენ პერსონაჟებს ექცევიან ხოლმე. პირიქით, ყოფილა შემთხვევა, თავი დაუნებებიათ და ჩემს მაგივრად ტყვიასთან შესაგებებლად ჩემი ასაკისა და გარეგნობის ვინმე სხვა ახალგაზრდა გაუშვიათ. ამ ამბავმა თავიდან შემძრა. სხვისი დაღვრილი სისხლი ისე არ მაწუხებდა, როგორც ჩემი პერსონაჟის აშკარა მეორეხარისხოვნების შეგრძნება. მერე კი თანდათან ამასაც შევეგუე და რადგან თხის მწყემსები მწყალობენ, ახლა უკვე თემზე მეტად თომინოთი ვარ დაკავებული. დაღუპული ახალგაზრდების გამო სინდისი ნაკლებად მქეჯნის და თამაშის ახალ გეგმაზე აქტიურად ვაგრძელებ მუშაობას. წიგნის დახურვის შემდეგ ეს ბიჭები ულმობელ თემში ისედაც უკან ბრუნდებიან ისევე, როგორც მე და სხვა დანარჩენნი. ასე რომ, არ ღირს ამ ამბის გულთან მიტანა. ამ საჩოთირო სცენას ერთგვარი ფიზიკური დაძაბულობაც ახლავს თან, მაგრამ თემში დახოცილებს მღელვარებისათვის სერიოზული საფუძველი მაინც არ უნდა ჰქონდეთ: ჩვენი თემი ხომ, სხვა დანარჩენ უმჯობეს თემთა მსგავსად, უკვდავია. როგორც უნდა მოვკვდეთ, მაინც ცოცხლები ვრჩებით, რადგან თემში სიკვდილი აბსოლუტურ გაუჩინარებას კი არ ნიშნავს, არამედ შესაბამისი პოემისა და ისტორიის ტერიტორიაზე ფარულ სიცოცხლეს, მომდევნო თემატური სეანსისა და ახალი, რეალური მკითხველის მიერ წიგნის შემდგომი გადაშლისათვის ფარულ მზადყოფნას. წიგნის დამთავრებისთანავე, როგორც კი ისტორიას წიგნის ბოლოყდა დაეხურება, მკვდრეთით აღდგომის დიდებული ჟამიც ჩამოჰკრავს. ვიზმორებით, თითქოს ხანგრძლივი სიზმრიდან გამოვერკვიეთო, უკან გადაგდებულ თავებს წამოვწევთ, სისხლს ვიწმენდთ და ფეხზე გაუბედავად წამოვიმართებით, მთელ ტანში კი მაინც ყრუ ტკივილს ვგრძნობთ. ახალი სიცოცხლის დასაწყებად ხშირად წიგნის დამთავრებაც არ არის საჭირო. მთავარია, მკითხველი იმ ადგილს მაინც გასცდეს რამდენიმე გვერდით, ან სტრიქონით, სადაც სული უნდა განვუტევოთ და ჩვენც მაშინვე სუნთქვას

ვიწყებთ. მკითხველმა რომ წიგნი უცაბედად უკან გადმოშალოს, ბევრ ჩვენგანს, რომლებიც მანამდე, რამდენიმე წამით ადრე, თავის ფიქრებში დაასამარა, დანაშაულის სისხლიან ადგილას, ან სასიკვდილო სარეცელზე, სადმე სხვაგან, სადაც თემატური სიკვდილი გვიწევს, სიცოცხლით სავსეს გვიხილავს.

ისე კი მკითხველი მოულოდნელად უკან იშვიათად ბრუნდება, და თუ ეს მაინც მოხდა, სასწრაფოდ თავებს მოვიმკვდარუნებთ ხოლმე. ჩვენი ცუღლუტობა თვალში არავის ხვდება, რადგან სხეული ჭრილობებით გვაქვს დასერილი და ერთიანად სისხლში ვცურავთ. ლოდინი მხოლოდ იმ პერსონაჟებს უწევთ, ვისაც თემში მარხავენ, კუბოებში აწვენენ და მიწაში ფლავენ. მიწის ზემოთ თუნდაც მკვდრებივით დაყრილი მათი გვამების დანახვა მკითხველს ხომ ეუცხოვებოდა და ძალზე განაცვიფრებდა. ამიტომ ისინი, თუ კი მკითხველი არ ჩქარობს, მოთმინებით ორმოებში სხედან. თემატურად დამარხულები გარე სამყაროს მიწისქვეშა დერეფნებით უკავშირდებიან და სულის მოსათქმელად წუთით ჰაერზე ამოდიან. პერსონაჟის სიკვდილი თემიდან დროებით გადაადგილებას ნიშნავს. სიკვდილი ისტორიისა და პოემის წყნარ, მშვიდობიან კუთხესა და ადგილებზე გვიყრის თავს, იქ, სადაც თემა მთავრდება და აღარც რეალური წარმოდგენებია მოსალოდნელი. აქ სამედიცინო მომსახურების პუნქტებია მოწყობილი. თუმცა თემატური ჭრილობები, ტრავმები და ავადმყოფობები, რაც უნდა შემაძრწუნებლად გამოიყურებოდეს, სიცოცხლისათვის სახიფათო არ არის, მაგრამ მისი განკურნებისთვის მაინც საგულდაგულო მოვლაა საჭირო. ისტორიისა და, შესაბამისად, პოემის სხვა ტერიტორიებზე რა ხდება, ვერ გეტყვით, ჩვენ კი თხის მწყემსები ჭრილობებზე ბალზამს გვასხამენ. ისინი გარეგნულადაც იცვლებიან და წითელჯვრიანი თეთრი ხალათებით დაიარებიან. ჯიბეებში, ჩვეული ხანჯლების ნაცვლად, სიცხის საზომები უწყვიათ. ჩვენი გამოჯანმრთელების პროცესს უცნაური კანონზომიერება მართავს და ამიტომაც ავადმყოფობას მალევე ვაღწევთ თავს. წიგნის დამთავრებისთანავე ყველაზე ღრმა, პირდაღებული ჭრილობებიც კი გვიხორცდება. თითოეული წაკითხული სტრიქონი, თითოეული გადაშლილი გვერდი, ახალი ძალებით გვავსებს. შეტაკების შემდეგ თხის მწყემსები მოჭრილ ხელ-ფეხს და თავებსაც დიდი სიფრთხილით აგროვებენ და ზედ გვაკერებენ. მე კი ყველაზე დიდხანს, წიგნის დამთავრებამდე ხეიბარი ვრჩები.

მარჯვენა მკლავის ნარჩენი საგულდაგულოდ შეხვეული მაქვს და მანამ ზედ ხელს მომარგებდნენ, სახიჩარი ვარ. ჩვენს ბედს იოლად ვუმკლავდებით, რადგან ჭრილობები არც ისე მტკივნეულია და თანაც

ყველაფერი კეთილად მთავრდება. ტყვიით განგმირული, თემიდან დროებით ამოვარდნილი, მკლავს მაინც ვინარჩუნებ, რასაც ბევრი მკვდარი პერსონაჟი ვერ დაიქადნიდა.

მოკვეთილი სხეულის ნაწილისათვის პატარა, მაგრამ არცთუ ისე მცირე კომპენსაცია მაქვს. ეს არის თომინოს ქვა, რომელიც ჩემს მარჯვენას სიმბოლურად განასახიერებს და ვინაიდან თემის ყველა მთავარი პერსონაჟი მას მრავალჯერ მოიხსენიებს, ამიტომ იგი თამაშში ყველაზე ხშირად ხმარებულ ქვათა რიცხვს განეკუთვნება. რომ არ დამავიწყდეს ჩემი გეგმების შესახებ, ახლავე მოგახსენებთ: ვაპირებ, თომინო რამდენიმე ქვით გავამდიდრო. კერძოდ: თამაშში ჩემი გულმოწყალე მეტოქის მარჯვენის აღმნიშვნელი ქვა შემოვიღო, რადგან მის წინაშეც თავს დავალებულად ვგრძნობ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სიკვდილის შემდეგ ადამიანურად მომექცა და მეორეც: ჩემთვის თემის გარეთ, ხანგრძლივად დახურული წიგნის მდგომარეობაში გულწრფელი მეგობრობა არაერთხელ დაუმტკიცებია. თომინოში ამ ქვების ურთიერთშეხვედრა მოთამაშეს – რომელიც ამ rendezvous განახორციელებს – გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებს. მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით მას ზედიზედ ორი სვლით მეტი უფლება ეძლევა. ამ ქვების rendezvous, სიმბოლურად, ხელის ჩამორთმევა ვუწოდე, იგი მეორე, მისივე მსგავსი, ასევე ჩემს მიერ ახლად შემოღებული ქვებისაგან განსხვავდება. ამ ქვაზე უკვე იმ კაცის მარჯვენაა გამოსახული, რომელიც ჩემს ტყვიით განგმირულ გვამს ულმობელი თემის სახელით მარჯვენას ჰკვეთს. ჩვენი ქვების ურთიერთშეხვედრა მოთამაშისთვის წამგებიანია, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარეს ორი დამატებითი სვლის უფლებას აძლევს. ქვაზე გამოსახული მარჯვენის ცერა თითი შუა და საჩვენებელ თითებშია ჩამალული და ვერაფერი სანახავია. ამ ქვების rendezvous-ს Schisch დავარქვი.

თემაში ხელის ჩამორთმევას და Schisch-ს არავითარი შესატყვისი არ გააჩნიათ. ძალა მათ მხოლოდ თომინოში აქვთ – და ისიც მაშინ, თუ თამაშის ჩემს ახალ გეგმას პოემის ტერიტორიის დანარჩენი პერსონაჟებიც დასთანხმდებიან. იმაშიც მინდა გამოგიტყდეთ, რომ თემში ხშირად უფრო Schisch-ისკენ ვარ მიდრეკილი და თემატურად მკვდარი, ტყვიით განგმირული და ნებისმიერი Schisch-ისთვის შეუსაბამო (არათემატური) რომ არ ვყოფილიყავი, ჩემი მარჯვენის მოსაკვეთად მოსულ კაცს სიამოვნებით გავუშვებდი ცარიელი ხელით. იმ დღიდან, რაც თემი არსებობს, სულ იმას ვცდილობ, რომ ამ კაცს ხელიდან ჩემი მარჯვენა გამოვტაცო და ბილწი, გვამის შემაგინებელი საქციელის გამო Schisch-ით მაინც მოვუწამლო გუნება. ამიტომ მორჩილად კი არ ვრჩები

იმ ადგილას, სადაც ჩემი გულმოწყალე მეტოქე დუელის შემდეგ ფრთხილად მაფარებს ფარს, არამედ წიგნის პერსონაჟული ცნობიერების დაბრუნებისთანავე სასწრაფოდ ვიცვლი ადგილსამყოფელს. რადგან ფეხზე წამოსადგომად ძალა არ შემწევს, პირველივე ბუჩქისაკენ მივბობღავ, ორი-სამი დღის განმავლობაში იმ ვაჟბატონს ვუთვალთვალებ, რომელიც ჩვენი ლექსის ტერიტორიის დაუნდობელი თემატური კანონის თანახმად, ჩემი მარჯვენის მოსაჭრელად მოდის. კაცს მოუსვენრობა იპყრობს, თუ წინასწარ განსაზღვრულ ადგილას ვერ აღმომაჩინა. ცხენს აქეთ-იქით დააქროლებს, ნერვიულად აკანტურებს თხისთავს, მეძახის, ილანძღება, მე კი ამასობაში მისი Schisch-ის ყურებით ვტკბები. თუ კარგ ხასიათზე ვარ, დიდხანს რომ არ ვაწვალო, თვითონვე ვაძლევ ნიშანს. ხანდახან კი მოლოდინით გულს ვუწვრილებ. თემი ხომ ჩემი მარჯვენის გარეშე ვერ განვითარდება. ამიტომ მოგვიანებით თხის მწყემსებიც მოდიან, რათა ჩემი ხელის მოსაკვეთად გამოსულ კაცს ის ადგილი დაანახონ, სადაც მე ვწევარ. ასეთ დროს ორი ან მეტი ადამიანია საჭირო, რომ გამაკავონ და პირი ამიკრან. ისე გავყვირი, რომ თემშიც კი ესმით ჩემი ხმა. მრავალი წელი გავიდა, სანამ ჩემი ხელის მომკვეთს მივეჩვეოდი. სხვათაშორის, ეს კაცი თემის გარეთ ძალზე თავაზიანი ადამიანია. ისე მივეჩვიე, რომ იმ ხელსაც ვართმევ, რომელიც უნდა მომჭრას და უსიტყვოდ, წარბშეუხრელად ვემორჩილები.

თამაშის ახალი გეგმის მიხედვით, ყოველი Schisch შეიძლება ხელის ჩამორთმევით შეიცვალოს, ანდა, ასევე პირიქით: თუ, მაგალითად, ხელის ჩამორთმევას მივაღწიე, მაშინ მოწინააღმდეგეს შეუძლია შესაბამისი ქვებით ჩემი გულმოწყალე მეტოქის მარჯვენა ჩემი ხელის მომკვეთის მარჯვენით შეცვალოს და ამგვარად, Schisch შექმნას, თუ მაგიდაზე Schisch აწყვია, ჩემი მომკვეთის მარჯვენა ჩემი გულმოწყალე მეტოქის მარჯვენით შეცვალოს და ამით ხელის ჩამორთმევას მიაღწიოს. ბუნებრივია, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია ხელის ჩამორთმევა Schisch-ით გააუქმოს, ან პირიქით, – შესაბამისი ქვებით (ჩემი მარჯვენით, ჩემი გულმოწყალე მეტოქის მარჯვენით, ანდა ჩემი ასევე გულმოწყალე მკლავის მომკვეთის მარჯვენით) Schisch ხელის ჩამორთმევით შეცვალოს. გათამაშებული ქვების ხელმეორედ გამოყენება არ შეიძლება, როგორც ეს უმეტესად აზარტულ თამაშებში ხდება. თომინოში თითოეული ხელის ჩამორთმევას მოწინააღმდეგის Schisch მოჰყვება და, პირიქით, Schisch-ს – ხელის ჩამორთმევა. ვისაც შესაბამისი მეტი ქვა აღმოაჩნდება, შეუძლია მოწინააღმდეგეს ტუზიც გაუჭრას და ამგვარად ხელის ჩამორთმევა ან Schisch განახორციელოს. მოწინააღმდეგე მხარეთა შორის ხელის ჩამორთმევისა და Schisch-ის დაძაბულ

მონაცვლეობას დუელი დავარქვი.

თამაშის გეგმა იმდენად განვავითარე, რომ Schisch-ისთვის და ხელის ჩამოსართმევად სამივე მნიშვნელოვანი პერსონაჟის მარცხენა ხელის გამოყენებაც შემიძლია. ეს იდეა ძალზე სახარბიელოდ მესახება, ამისათვის კი ქვების შესაბამისი რაოდენობაა საჭირო – (ჩემი მარცხენა ხელი, ჩემი გულმოწყალე მეტოქის და ჩემი ხელის მომკვეთის მარცხენა ხელები). დასახელებული ქვები თომინოში საინტერესო და ამაღელვებელ სიტუაციას შექმნიდა, კერძოდ, ორმაგ ხელის ჩამორთმევასა და Schisch-ს, ანუ, ე.წ. Doubleschisch-ს, რაც ერთდროულად თამაშს საინტერესოსაც გახდიდა და თან გააბუნდოვნებდა კიდეც. ამიტომ, ჯერ კიდევ ვყოყმანობ, შემოვიღო თუ არ თამაშში ამ სახის ტუზები. თითოეულ Doubleschisch-ს შესაბამისი სვლა უნდა მოჰყვეს (ოთხჯერ ზედიზედ). ამიტომ Schisch-ს მაშინ თუ გარისკავს მოთამაშე, თუკი მას ამ სვლებთან შესაბრძოლებლად შესატყვისი ქვები აღმოაჩნდება. წინააღმდეგ შემთხვევაში Doubleschisch თავად ავტორს დაუპირისპირდება და მოწინაღმდეგე მხარეც ავტომატურად მიიღებს უფლებას, ეს Schisch თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. ხშირად ისეთი სიტუაცია იქმნება, როდესაც უბრალო Schisch-სა და ხელის ჩამორთმევას ორმაგ ტუზზე მეტი ძალა ენიჭება. შეძლებს თუ არა მოწინააღმდეგე მხარე, ქვების ოსტატური გათამაშებით, მეორე მხარის Doubleschisch-საკენ მიტყუებას, ანდა მის იძულებას, ეს უკვე მის ეშმაკობაზეა დამოკიდებული. დუელი, რომელიც შესაძლოა, გაძლიერებული ტუზების საფუძველზე გაიმართოს, ძალზე სასაცილო ფიგურებს ქმნის. მაგ: ნახევარ Schisch-სა და ნახევრად ხელის ჩამორთმევას, თუ ჩემი მარჯვენა – ჩემი გულმოწყალე მეტოქის მარჯვენით, ხოლო ჩემი მარცხენა კი ჩემივე გულმოწყალე ხელის მომკვეთის მარცხენით გადაიკვეთა.

შავ მერანზე

მე მქვია მუცალი. ვარ ქისტი. რომ არა ის წყეული ცხენი, რომელმაც ქრისტეებთან, ანუ იმავე ხევსურებთან გამაქროლა, არც მტერს ჩავუვარდებოდი ხელში და არც მათ სასტიკ თემში აღმოვჩნდებოდი ოდესმე, სადაც ასე მუხანათურად წამერთვა სიცოცხლეცა და ყველა უფლებაც. თუ არ ვცდები, ეს ამბავი იმ ავადსახსენებელ 1888 წელს მოხდა. ერთმანეთისაგან ჩვენს სოფლებს მაღალი მთები ყოფს: თუ ამ მთებიდან გადაიხედავთ, მათ სოფლებსა და ცხენებს მოჰკრავთ თვალს. ამ მთების

გაჩენის დღიდან ჩვენ ერთმანეთის მოსისხლე მტრებად ვითვლებით და ბრძოლაც ქისტებსა და ქრისტებს შორის აღარ შემწყდარა. ჩვენ, ქისტები, ცხენებისადმი ლტოლვის დაუკმაყოფილებელი ჟინით ვართ შეპყრობილი. ცხენებს ჯოჯოხეთის მოციქულებივით დავაქროლებთ და მთელ დღეებს უნაგირზე გადამსხდარნი ვატარებთ. უნაგირზე გადაკიდებულ ხურჯინში ერთი ნაჭერი თხის გაქვავებული ყველი და ერთი ტიკი ღვინო გვიდევს და ცხენზე ამხედრებულებს მთელ დღეს გვყოფნის. ლამაზი ფაშატისა და ულაყის ხილვისას მონუსხულივით ვშეშდებით და მხოლოდ იმის თქმასღა ვახერხებთ, რასაც წინასწარმეტყველი მუჰამედი ამბობდა ხოლმე მათი ხილვისას. ცხენის ქურდობა ჩვენში ღირსეულ საქმედ ითვლება. ახალი და უკეთესი ცხენების მოხელთების ჟინი ქვევით, ქრისტების სოფლებისაკენ მიგვერეკება და მათი თემის თავლებზე თავდასხმისაკენ გვიბიძგებს.

ბავშვობიდან უთვალავ ასეთ ყაჩაღურ ლაშქრობაში მიმიღია მონაწილეობა და უკან, აულებში ყოველთვის დიდი ნადავლით დავბრუნებულვარ – ჩალისფერი, ლურჯა და შავრა ცხენებით.

ასეთ ექსპედიციებში მხოლოდ მამაცი ქისტები თუ წავლენ, რადგან სისხლიანი შეტაკებები ამ დროს ხშირია. თუ ხევსურმა თავის თემში თვალი მოგვკრა, ჯერ ეცდება, გზა მოგვიჭრას, შემდეგ ყელი გამოგვჭრას და ბოლოს – მარჯვენა მოგვჭრას, რომელიც სამხედრო ნადავლის სახითა და თავისი გმირობის დამამტკიცებელ საბუთად მიაქვს შინ. ამის პატიება კი არ შეიძლება და თითოეული ჩვენგანი ღამით, ქრისტების თავლებზე თავდასხმის წინ, თავისიანებს ანდერძს უტოვებს. თავის დროზე მე თავზეხელაღებულ ქურდად ვითვლებოდი. დაღამებასაც კი არ ვაცდიდი, ხევსურებს ისე ვსტუმრებოდი და ბრძოლებიდან ყოველთვის უვნებელი ვბრუნდებოდი მანამ ... დიახ, სანამ მერანს მოვკრავდი თვალს. ასე ეძახიან ალუდა ქეთელაურის შავრა ცხენს. ნეტა ის დღე არ გამთენებოდა!

ამ ცხენზე ჩვენში ბევრს ლაპარაკობდნენ და მის შესახებ მე მხოლოდ თუ გამეგონა. ბევრი ნატრობდა ამ საოცარ ცხენთან შეხვედრას, რომელიც ლაღად დანავარდობდა ველ-მინდვრებზე და ხშირად ქისტების მიწაზეც გადმოსულა. ზოგი იმასაც ამტკიცებს, თითქოს მერანს ხელით შეხებოდეს, მაგრამ იგი ყოველთვის უსხლტებოდა მდევარს და ჭიხვინით გადაევლებოდა ხოლმე მთებს. ვინც მიეკარებოდა და ერთი ნაჭერი შაქრით მის მოტყუებას ეცდებოდა, წიხლს უთავაზებდა, ანდა მკლავზე კბენდა. მუდმივად ვნადირობდით მასზე, მოხელთება კი ვერავინ შეძლო. ტყვიაც კი არ ეკარებოდა. ერთხელ მორიგი ასეთი ნადირობიდან დაბრუნებული რამდენიმე ქისტი გაოგნებული ყვებოდა, თუ როგორ გადააფრინდა ღრმა უფსკრულს ქარაფზე შემომდგარი მერანი.

მრავალი პოეტი, უმთავრესად ხევსური, მოგვიანებით კი ქისტიც, ვინაიდან ხალხური ზეპირმეტყველების გზით ამ რაშზე შექმნილი ლეგენდები ჩვენს მთებსა და თემის საზღვრებს გასცდა, უმღერის მერანს. ზოგი ლექსის მოსასმენად დიდი მოთმინება მართებს კაცს, ვინაიდან მათში მხოლოდ ცხენის სახელი თუ ისმის. ლექსებში ხშირად მერანის მფლობელ ალუდა ქ-საც მოიხსენიებენ, რომელიც ხევსურებს ზეციურ რაინდად წარმოუდგენიათ. ქისტი პოეტები ალუს – ასე ეძახიან შემოკლებით ჩვენში ალუდას – ჯანდაბის გზას გაუყენებენ ხოლმე. იმას, რაც ჩვენ, ქისტებმა ვერასდროს შევძელით და, ჩემი ღრმა რწმენით, ვერც ვერასდროს შევძლებთ, ფანტაზიით ვავსებთ ხოლმე. ქისტმა პოეტებმა ლექსებში ალუდას ცხენი ჩამოართვეს და მის მფლობელად სახელ-მოხვეჭილი ქისტი (ცხენის ქურდი) დაასახელეს. იმ დროს ქისტებში მე ვპირველობდი და ხევსურებზე ყაჩაღური თავდასხმებით სახელიც მოვიპოვე, ამიტომ ლექსებში ხშირად მერანის გვერდით ჩემს სახელსაც იხილავდით. მე მადიდებდნენ, როგორც რაშის ერთადერთ პატრონს. ამ მელოდიურად ამღერებული ტექსტების მოსმენისას თავს პირობა მივეცი, პოეზია სინამდვილედ. მექცია და მერანის ერთადერთი და ჭეშმარიტი მფლობელი გავმხდარიყავი. საამისოდ ჩემი ქისტი მტრებიც კი მაქებებდნენ, ისინი, ვისაც ჩემი დამსახურებული მდგომარეობისა შურდა და ჩემი სახელისათვის ჩრდილის მიყენებას ცდილობდა. თუკი, მაგალითად, რომელიმე პოეტი ჩემსა და მერანზე სიმღერას წამოიწყებ-და, ისინი მაშინვე თავის კანტურს მოჰყვებოდნენ, ეშმაკურად ჩაახვე-ლებდნენ, უსირცხვილოდ მომაშტერდებოდნენ, ანდა სულაც მკითხავ-დნენ ხოლმე: რაო, მართალია?

ამას ემატებოდა ჩემი პატივმოყვარეობაც, რომელიც მაიძულებდა, არ დამეთმო ის სიმაღლეები, რაზეც პრეტენზიას ვაცხადებდი. ასე რომ, მალე მერანის კვალს დავადექი და ჩვენსა და ქრისტებს შორის საზღვა-რთან იმ ადგილებში ჩავუსაფრდი, რომლის ხასხასა მინდვრებზე საბალახოდ ამოდიოდა ხოლმე. უცნაურია, მაგრამ მერანი დიდხანს არ ჩნდებოდა. მე კი, მოლოდინით დაქანცული, მერანზე შექმნილ რომე-ლიმე ლექსს (ქრისტულს, ანდა ქისტურს) ზეპირად წარმოვთქვამდი. ეჰ! ცოტა მეტი ყურადღებით რომ მომესმინა ეს ლექსები, ხომ მივხვდე-ბოდი, რა მახესაც მიგებდა მერანი და ჩემს განზრახვაზეც – რომელიც თვითმკვლელობის ტოლფასია – ხელს ავიღებდი. მაშინ ხომ ქისტებთან დავრჩებოდი და აღარც ქრისტ ხევსურთა თემის სამუდამო ტყვე შევიქნებოდი.

ლექსებმა მერანი ჩემთვის კიდევ უფრო მეტად სანატრელი და საოცნებო გახადა, რის გამოც მისი მუქარის გამომხატველი აზრი

მხედველობიდან გამომეპარა.

ხევსური პოეტის ლექსი მერანზე ჩვენში განსაკუთრებით უყვარდათ და უყვართ კიდეც, მაგრამ არა როგორც მერანის სადიდებელი, არამედ როგორც შიშის მომგვრელი და ფატალური, მრავალ ქისტთათვის უბედურების მომტანი. უფრო ჭკვიანი ქისტი პოეტები თავიანთ სიმღერებში ამ საბედისწერო ურჩხულის მამხილებელ (ხევსურულ) მასალას იყენებდნენ და ადამიანებს მოუწოდებდნენ, რომ ამ ცხოველს მორიდებოდნენ. ლექსი, რომელზეც მე მოგახსენებთ, მერანის ბედკრული მფლობელის მიერ არის დაწერილი. დაკვირვებული და ყურადღებიანი მსმენელი პირველი სტრიქონიდანვე ბევრ საგულისხმოს იგებს:

,,მირბის, მიმაფრენს, უგზოუკვლოდ ჩემი მერანი."

გახდეს უგზო-უკვლო ჭენების მსხვერპლი – ამას საკუთარი მწარე გამოცდილებაც მალაპარაკებს – იმათი ხვედრია, ვინც მერანს შეთამაშებას გაუბედავს. მოვუსმინოთ მეორე სტროფს, სადაც ავისმომასწავებელი ნიშნები კიდევ უფრო მეტად იკვეთება.

,,უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი".

თვალბედითი შავი ყორანი რაშისა და მხედრის მდევარი კი არა, მისი თანმხლები, მისი ერთგვარი დამატება (თუ წანამატი), მისი მოკავშირეა. შემდეგ კი ყორანი ბედკრულ მხედარს მდელოთა შორის ტიალ მინდორზე ჩამოაგდებს (გათელს)? და ჩხავილით დაასამარებს.

ფრინველისა და ცხენის მსგავსი ენობრივი აღმნიშვნელი მათ შორის კავშირს ნათელყოფს.

მერანი – ყორანი (ყორანი ყვავის ხევსურული სახელია).

მესამე სტრიქონი კი მერანის ფატალური ბუნების აშკარა დახასიათებაა:

,,გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი"

უგზოუკვლობა და უსამშობლოობა, – სამწუხაროდ, დღეს მე ეს უკვე კარგად ვიცი, – სწორედ ეს არის ხევსურთა თემი, სადაც მერანის დაუფლების ბრმა ჟინმა მიმიყვანა. ეს ის ადგილია, სადაც მე მხოლოდ შებილწული, მარჯვენამოკვეთილი გვამი ვარ. ეს ის ადგილიცაა, საიდანაც ჩემი კეთილი მოქიშპე ალუ დედაბუდიანად აიყარა, რადგან საკუთარივე სასტიკი თემი სულს უხუთავდა. ეს ის ადგილია, სადაც მე მხოლოდ სიკვდილი შემიძლია, რათა კვლავ, მარად და მარად მკვდრეთით აღვდგე არა ახალი, არამედ თემში ძველივე ცხოვრებისთვის, ალუს მიერ კვლავ მოსაკლავად და მარჯვენის მოსაკვეთად. ეს ის ადგილია, საიდანაც ალუ მიდის, მაგრამ კვლავ უკან ბრუნდება, რათა მომკლას და მოინანიოს, ის ადგილია, სადაც სხვა დანარჩენნი უკუნითი უკუნისამდე მუდამ იმავეს ჩადიან და ამბობენ, მარადიული სიკვდილის როკვის მოედანი, რომლის

შელამაზებასაც წიგნის დამთავრების შემდეგ, თავისუფალ დროს, ჩემი თომინოთი თუღა ვახერხებ ხოლმე. მოგება ყველას შეუძლია, თუკი ჩემსავით კარგად ერკვევა თამაშის წესებში. მერანზე ზემოხსენებული ხევსურული ლექსის მესამე სტრიქონი არა მარტო უსამშობლოობისა და უგზოუკვლობის ტრაგიზმის გამომხატველია, არამედ – ამ გარემოებას საგანგებოდ უნდა მიექცეს ყურადღება, ვინაიდან იგი ჩემი თავგზის არევის ერთ-ერთი მიზეზთაგანიცაა – მბრძანებლური ტონითაა დაწერილი და ისეთ შთაბეჭდილებას ბადებს, თითქოსდა მხედარი ამ ჩემი უკეთური ხევსურული თემის მსგავს აბსოლუტურ უდაბურებაში მოხვედრასა და იქ დაღუპვას ელტვოდეს. მბრძანებლურ ტონს ერთგვარ დახვეწილ ხრიკადაც მივიჩნევ, რომელიც მსხვერპლს მერანის უნაგირი-საკენ უბიძგებს. მბრძანებლური ტონი ლექსს თითქოს ლოცვის ხასიათს ანიჭებს და მისი წარმოთქმით ადამიანი მერანით ქროლვის სურვილს ამყღავნებს.

ტექსტი რომ ბოლომდე მცოდნოდა – სამწუხაროდ, ლექსის მხოლოდ პირველი სამი სტრიქონი მქონდა გაგონილი – იქნებ შუა სტროფის წარმოთქმისას შევმცბარიყავი და მერანის მიმართ მეტი სიფრთხილეც გამომეჩინა. სტროფები, რომელიც მერანის მხედრის კაეშანს ამხელს, შემდეგნაირად ჟღერს – ამ ნაწილს მოგვიანებით გავეცანი, როდესაც უკვე ხევსურული თემის უმომავლო ტყვედ ვიქეცი:

„რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა;

ნუღა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს, ტკბილმო-უბარსა,"

სად დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო".

სწორედ სამშობლოს, თანატოლებს, მშობლებს, მათთან ტკბილ ყოფას (საბედნიეროდ, სატრფო ჯერ კიდევ არ მყავდა) მომწყვიტა მერანმა. მერანის ზურგს მოვექეცი და ყოველივე წარსულად იქცა: მთები, ქისტები, ნათესავები. ამ ფატალური წუთიდან თემის მსხვერპლი გავხდი, სადაც უბადრუკი, მეორეხარისხოვანი როლიღა მერგო. სიზუსტისათვის ლექსის იმ ადგილზე მინდა ვისაუბრო, რომელიც მის ძირითად იდეას ამხელს. იგულისხმება ყველა ის მხედარი, ვინც ჩემ შემდგომ მერანის, ანდა მსგავსი ჯაგლაგის ჭენებას შეძლებს, ანდა უკვე უჭენებია კიდეც, და ამ გზით უფრო ლმობიერ (უკეთეს) თემში მოხვდება – თუ ეს ასე იქნება, გულწრფელად გავიხარებ.

,,და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება,

და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,

და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!"

ეს სტროფები ცარიელი სიტყვებია და სავარაუდოა, რომ ჩემ

შემდგომ მოძმესაც იმავეს, ანდა უარესს უქადის. ბოლო სტროფები აშკარად წინააღმდეგობრივია და ლექსის ძირითად ნათელ აზრს აბუნდოვნებს.

მე თქვენ გეკითხებით, შეიძლება კი უგზოუკვლო ჭენებით გზის გაკვალვა – ამას დასაწყისშივე უარვყოფდი და ახლაც იმავეს გავიმეორებ. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კაცი არც პოემას უნდა ენდოს და არც იმ ურჩხულს, რომელიც პოემას თავის სადიდებლად გაუხდია.

რა თქმა უნდა, მაშინ, ქისტებისა და ქრისტებს შორის საზღვარზე მერანის მოლოდინში გაუვალ ბუჩქნარში ჩასაფრებული, შორს ვიყავი მსგავსი მოსაზრებისაგან. დღეები გადიოდა, მერანი კი არ ჩანდა. სადილად მეზობელი სოფლიდან პატარა ქისტ მწყემს ბიჭს ჩემთვის ყველი, ღვინო და მწვადი ამოჰქონდა ხოლმე. ყველას გაეგო, რასაც ვაპირებდი და შედეგს მოუთმენლად ელოდნენ. შორიახლოდან ცნობისმოყვარეები მითვალთვალებდნენ. ლოდინი უიმედოდ გაჭიანურდა, მაგრამ სადარაჯოს მაინც არ ვტოვებდი. როგორც იქნა, ვარსკვლავებით მოჭედილ ნათელ ღამეს, როდესაც თითქმის მარტო ვიყავი, რადგან, როგორც ჩანს, ჩასაფრებულ მაყურებელს ჩასძინებოდა, დიდი ხნის ნანატრი, ჩორთით მოარული რაშიც გამოჩნდა. მანამდე კი ჩემთვის მერანზე შექმნილ ლექსს განსაკუთრებული გზნებით ვამბობდი. მერანი ხშირად მილანძღია უშვერი სიტყვებით – იგი ხომ ჩემი უბედურების მიზეზთა მიზეზია, მაგრამ, თუკი ვინმე მკითხავდა მასზე რაიმეს, მაინც ვეტყოდი, რომ იგი ცხენთა შორის უმშვენიერესია. მაღალი, გრძელი, მოქნილი სხეულით პატარა ფეხებზე შემდგარი – ისეთი კეთილშობილური სანახავი იყო, რომ ანდამატივით მიმიზიდა, ბუჩქებიდან დაუფიქრებლად გამოვედი და მისკენ გავემართე. ადგილიდან არ იძვროდა, ისეთივე მომნუსხველი იყო, როგორც თავად ლექსი. თხელი ნესტოები უთრთოდა და ამით თუ მიხვდებოდით, რომ სიზმარი კი არა, ცხადი იყო. მისი ნდობა რომ მომეპოვებინა, ხმამაღლა მასზე შექმნილი ლექსის კითხვა წამოვიწყე. სიტყვები ჩემთვის უჩვეულო ენაწყლიანობით თავისთავად მოედინებოდა. იმ შეშლილს ვგავდი, რომელიც საკუთარ უბედურებას თავადვე ჭედავს. საღად განსჯის უნარი რომ შემომრჩენოდა, ბოლო კრიტიკულ წუთებში მაინც უნდა მივმხვდარიყავი, რა უბედურებაც მელოდა. უცბად ფრთების ტყლაშუნის ხმა მომესმა. ზემოთ რომ ავიხედე, ყვავს მოვკარი თვალი, რომელმაც ცაზე წრე შემოხაზა და იქვე, შორიახლოს, ქვაზე დაეშვა.

ამ ბედუკულმართის მოვლინება აშკარა ნიშანი იყო იმისა, რომ ყველა იმ ლექსს, რომელიც თავში ასე ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიტრი-

ალებდა, სინამდვილესთან პირდაპირი მიმართება გააჩნდა. საჭირო იყო კიდევ ერთი პერსონაჟი – კერძოდ კი მე – რათა მერანს საკუთარი მხედარი გასჩენოდა და უბედურებაც დატრიალებულიყო. ძალზე გულწრფელი ვიყავი საიმისოდ, რომ ამ სიტუაციიდან საშიში თემატური მნიშვნელობები შემერჩია, რომ აღარაფერი ვთქვა მისი შეფასებისა და რაიმე დასკვნის გამოტანის აუცილებლობაზე. მახეში გულუბრყვილოდ გავები. მერანს კისერზე მოვხვიე ხელი, შემოვაჯექი (იგი საგანგებოდ ჩემთვის იყო შეკაზმული), ზურგზე გავეკარი და სიხარულისაგან აღტყინებულმა ფერდებზე ქუსლი შემოვკარი. ცხენი ყალყზე შედგა და ჭიხვინით ქისტეთისაკენ კი არა, ხევსურთა თემისაკენ გამაქროლა. აღვირს ამაოდ ვექაჩებოდი, ისე თავაწყვეტილი მიმაქროლებდა, რომ გადმოხტომაც კი ვერ შევძელი. ქვებსა და ჯაგნარზე მთიდან მოწყვეტილი ზვავივით მივქროდით. ორიოდე მეტრის დაშორებით, უკან, ყვავი მოგვდევდა. ლექსი განსხეულდა და, რასაც ცოტა ხნით ადრე ჩემთვის უაზროდ ვბუტბუტებდი, საშიშ სინამდვილედ მექცა. მოგვიანებით ხშირად მიფიქრია, თომინოში მერანის აღმნიშვნელი ხომ არ შემომეღო. ამას ის ნამდვილად იმსახურებდა. უიმისოდ ხომ ვერც ხევსურები ჩამიგდებდნენ ხელში და ვერც მათი თემი იარსებებდა, ყოველ შემთხვევაში, იმ ფორმით მაინც, როგორადაც ის დღეს არის ცნობილი. თომინო მერანით უნდა დაწყებულიყო. ვისაც მერანი მოუვიდოდა, ბოლო ფსონსაც ის ჩამოვიდოდა. შესაძლოა, მერანისთვის შუა თამაშში რაიმე უფრო ზუსტი ფუნქციაც მოგვეძებნა, თუკი მერანის მფლობელი მოთამაშე ვალდებული იქნებოდა, სწორედ მაშინ ჩამოსულიყო ფსონს, როცა პასის თქმა იქნებოდა მომგებიანი.

მერანისა და ყვავის თემატური კავშირითაც შეიძლებოდა სარგებლობა. თამაშის დასაწყებად კი ორი ნაფოტის შემოღება დაგვჭირდებოდა (ერთი ცხენისათვის და ერთიც – ფრინველისათვის), რაც მეტად საჩოთირო სიტუაციას შექმნიდა და აშკარად შეუშლიდა ხელს რომელიმე მოთამაშეს თამაშის დასრულებაში, რადგან ან მერანისთვის ყვავი დააკლდებოდა, ანდა, პირიქით, ყვავისთვის – მერანი. შეიძლებოდა ორივე ვარიანტის დაშვებაც: მერანი უყვავოდ და მერანი ყვავით მოგვეთავსებინა თომინოში და შესაბამისად Schisch-ად და Doubleschisch-ად მიგვეჩნია. კონტრასტისთვის სიამოვნებით დავუმატებდით სრულიად სხვა, აბსოლუტურად პოზიტიურ წყვილს, კერძოდ: ლურჯა ცხენისა და მტრედის ნაფოტებსაც. ამ მეორე (თეთრი) მერანის წყვილს შავისაგან (ყვავი, ყორანი) განსხვავებული ფუნქცია დაეკისრებოდა – უვნებლად, განსაკუთრებული დანაკარგის გარეშე გამოეყვანა თომინოდან ის მოთამაშე, რომელსაც შესაბამისი ორი ნაფოტი ექნებოდა. თეთრი მერანი

ამ თვალსაზრისით დიდ სამსახურს გაუწევდა ყოველ მოთამაშეს, ვინც წამგებიანი კარტის გამო რისკზე მიდის და თამაშის (შესაბამისად – თხების) წაგება ემუქრება, მტრედებიან მოთამაშეს კი უფლებას მისცემდა, კარტი მოესროლა და თამაში მიეტოვებინა. წინასწარ სხვა გართულებებიც უნდა ვივარაუდოთ, როცა, მაგ: თომინოდან გასვლის მსურველი იძულებული გახდება დარჩეს თამაშში იმ მიზეზით, თუ თეთრი მერანისთვის მხოლოდ ყვავი ეყოლება, ხოლო მტრედისთვის – შავი მერანი. მეორე მხრივ, ეს მერანი ჩვენი თომინოსთვის, ცოტა არ იყოს, მეზედმეტება კიდეც, ვინაიდან იგი ჩვენი კონკრეტული ლექსის ტერიტორიაზე საერთოდ არ გვხდება. თემისთვის მერანს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ეს მისი თამაშგარე მდგომარეობაში დატოვების აუცილებლობასაც მკარნახობს. ის, რომ ხევსურებმა ხელში ჩამიგდეს, ამ ცხენს და მის უკან მდგარ ბნელ ძალებს უნდა უმადლოდნენ. ამიტომ სრულიად უადგილო იქნებოდა თომინოში ახალი ნაფოტების შემოღება, რომელიც თავისი ფუნქციით ჩემს სახელზე შედგენილ ყველა ნაფოტს, ერთად აღებულს, გადააჭარბებდა და, პირდაპირ გეტყვით, თემში ჩემი მთავარ პერსონაჟად აღიარების გზაზე წინ გადაულახავ წინააღმდეგობად დამხვდებოდა. ალბათ იმისი თქმაც ზედმეტია, რომ თუკი ხევსურს საშუალება მიეცა, ჩემს კარტებს ყველა მთავარ ფუნქციას ჩამოართმევს და ხევსურული წარმოშობის ცხენს – მერანს – გადააბარებს.

მერანი უეცრად გაქრა, გაუჩინარდა და მე უკვე ძლიერ, მაგრამ სრულიად ჩვეულებრივ ულაყს მივაჭენებდი. ეს უცნაური გაუჩინარება – სხვათა შორის, თემში ის მეტი აღარასოდეს მინახავს – სრულ უფლებას მაძლევს, რომ მერანი თომინოში საერთოდ არ გავითვალისწინო. მერანის სხვა ცხენით შეცვლა ქისტური თემიდან მოშორებით მოხდა. მერანის ზურგზე მოქცეულმა ცხვრის ფარას ჩავუქროლე და უცბად ვიგრძენი, რომ უნაგირი რამდენიმე სანტიმეტრით უკან ჩაცურდა, მანამდე მაგრად მოჭერილი აღვირი მოულოდნელად მოეშვა, მოდუნდა, რადგან ახალ ცხენს გაცილებით მოკლე კისერი ჰქონდა. ცოტაც და, ცხენიდან ჩამოვვარდებოდი კიდეც, რომ არა ის სულიერი სიმშვიდე და მხნეობა, რაც ჩვენ, ქისტებს, მსგავს შემთხვევაში გვახასიათებს. წონასწორობის შენარჩუნება როგორღაც შევძელი. მერანთან შედარებით, ახალი ცხენი გაცილებით ნელი ტემპით მიაჭენებდა და ფრუტუნით მამცნობდა თავის არსებობას (მერანი უჩუმრად მიჰქროდა). ამგვარი ცვლილება ჩემთვის ასმაგად გასახარი იყო, რადგან უკან მიხედვისას დავინახე, რომ ყორანი, რომელიც ჩემ უკან მოფრინავდა, გაუჩინარებულიყო. ჩემი შეშფოთების მიზეზი ვარსკვლავებით მოჭედილი უჩვეულო ცა (ვარსკვლავებს თითქოს ხელით ვწვდებოდი), ჩვენი მთებისათვის უცხო, ხშირი ნაძვნარი, აყვავებული

მდელოები, მთებზე შეფენილი ერთმანეთის გვერდით მჭიდროდ ჩარიგებული ცხვრის ფარა და მკვრივი ჰაერიც იყო (შეუჩვეველი სულს ძლივს ვითქვამდი) – ნეტავ ეს მაინც შემემჩნია! ყველა ეს ნიშანი ახალი ლექსის ტერიტორიაზე მიუთითებდა, რომლის ტყვეც სამარადისოდ შევიქენი.

დღეს უკვე ვიცი, ზემოთ დასახელებული ნიშნებისთვის ყურადღებაც რომ მიმექცია და ცხენის ქისტებისაკენ გაქროლება მომეხერხებინა, მაინც ვერ ავცდებოდი მოსახდენს. ჯერ ერთი, ქისტეთის მთები, რომლებიც ჩვენს თემს გადმოჰყურებენ, სულაც არ არის ის მთები, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე. საამისოდ ისინი მეტისმეტად ახლოს დგანან ერთმანეთთან და თუმცა მათი დაკბილული მწვერვალები სამშობლოს მახსენებენ – საბოლოოდ მაინც უცხოობის განცდას მიქმნიან. მეორეც, ჩემი მოქიშპე ალუ, ხევსურთა თემიდან, პირველსავე ჯერზე უნდა წამომწეოდა და შუა გზაზე განვეგმირე ტყვიით. მოგვიანებით – სანამ გაწეული რისკის უაზრობაში დავრწმუნდებოდი – ქისტეთის მთებზე გადასვლა მრავალჯერ ვცადე, მაგრამ ამაოდ, თემში ალუ მუდამ კუდში დამდევდა და ისღა დამრჩენოდა, მის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩავბმულიყავი. ქისტეთის მთებისაკენ რომ დავადგებოდი გზას ფეხით, ანდა ცხენის ჭენებით – როცა მკითხველი არა გვყავს, პოემის ტერიტორიაზე თავისუფლად დავეხეტებით – ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, თითქოს ერთ ადგილს ვტკეპნიდი და მთებისკენ მიმავალ მანძილს ოდნავადაც ვერ ვფარავდი. სასაზღვრო მთებთან, ტყეებთან და მდინარეებთან დაკავშირებით ჩემმა კოლეგებმაც თემში იგივე გამოცდილება შეიძინეს.

მე უკვე მერანს კი არა, რომელიღაც სხვა, სრულიად ჩვეულებრივ ცხენს მივაჭენებდი და ამიტომ, როდესაც ალუდა ნაპრალებიდან ჩემკენ გამოემართა, არც კი მიცდია ავრიდებოდი. ბარძაყებქვეშ ალუდას ამაყ რაშს აღარ ვგრძნობდი, ნამუსი სუფთა მქონდა და როცა ხევსური მომიახლოვდა, მისალმების ნიშნად გავუღიმე კიდეც. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ალუს მერანთან, ხოლო მერანს ალუსთან, თემატურად არანაირი კავშირი არა აქვთ და ყველა ის ქისტური სიმღერა და ლექსი, რომლებიც ალუდა ქეთელაურს მერანის მფლობელად ასახელებს, მცდარ წყაროებს ეყრდნობა. სინამდვილეში მერანი არც ალუს და არც დანარჩენ ხევსურთ რეალურად არასდროს შეხვედრიათ. მერანზე ეს მითქმა-მოთქმა ჩვენში თხის მწყემსების გავრცელებულია. ისინი მუდამ ჩვენს თემზე არიან მოყურადებულები და ერთმანეთს გამაოგნებლად ჰგვანან. პირდაპირი სამხილი არ გამაჩნია, მაგრამ ის ფაქტი, რომ მოხსენიებული თხის მწყემსები შავრა ცხენებისა (ისინი მხოლოდ შავ ცხენებს დააჭენებენ) და ყვავების მიმართ (ფრინველები ისე ჰყავთ

მოჩვეული, რომ მათი ხელისგულიდან კენკავენ) ასეთ სიყვარულს იჩენენ, ამის მტკიცების უფლებას მაძლევს. უფრო მეტიც: ჯერ მერანზე გაავრცელეს ჩვენში ამბავი, შემდეგ კი თავად მერანიც გამოუშვეს რომელიმე ჩვენგანის თემში მისატყუებლად. ის, რომ ამ ფანდს მე, მუცალი წამოვეგე, შეიძლება სრული შემთხვევითობა იყოს. შეიძლება–მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მერანი საგანგებოდ ჩემთვის გამოგზავნილსაც ჰგავს, რათა ალუს გადავყროდი და თავიანთი თემის სამსახურში ჩავეყენებინე. ათეულ წელზე მეტია, რაც ჩვენ, ორ გვარს, ერთმანეთის სისხლი გვმართებს (ალუს დიდი პაპის ძმისწული ჩემი გვარის დიდმა ბიძამ ორთაბრძოლაში ხანჯლით მოკლა). ეს ძველი, სისხლიანი ისტორია თავში არც კი მომსვლია, როცა მერანის გაუჩინარების შემდეგ ალუს მოვკარი თვალი. ქისტების მოძულე, მაგრამ ჩვენივე მთების შვილი ხევსურის დანახვით გახარებულმა ცხენი მასთან მივაგელვე. ალუს მრისხანე სახის დანახვამ შემზარა. გონს მოსვლა არც კი მაცალა, თოფი გადმოიღო და მესროლა. ტყვიამ წუილით ჩამიარა. ის–ის იყო, უნდა გავქცეულიყავი, რომ ახლა ხრიალის ხმა მომესმა. ჩემს უკან, მარჯვნივ, უცნობი მხედარი, რომელიც მანამდე არც კი შემიმჩნევია, ცხენიდან ჩამოვარდნილიყო და მკვდარი, გაყინული თვალებით მომშტერებოდა. მერე კი უცნობი მხედრის გვამს ცხენების რემამ გადაუქროლა. მაშინ პირველად შიშთან ერთად იმ აზრმაც გამიელვა, რომ ყველაზე საშინელ, ყაჩაღურ ისტორიაში ვიყავი ჩათრეული და ამ სისხლიანი ამბიდან ვეღარაფერი მიხსნიდა. ალუ მშვიდად იდგა და თოფს ხელახლა ტენიდა, როგორც ჩანს, მეც საიქიოში მიპირებდა გასტუმრებას. ამის დანახვაზე წამოვენთე, წამში თოფი მოვიმარჯვე და გაფრთხილების ნიშნად ჰაერში გავისროლე – ორთაბრძოლას არ ვაპირებდი, უბრალოდ, სულის მოსათქმელად დრო მჭირდებოდა, რომ ალუსთვის ყველაფერი ამეხსნა. ჩემი ნასროლი ტყვია კლდეს მოხვდა და წვრილი ნამსხვრევები ალუს წვიმასავით დაეყარა თავზე. ალუს სახე აერია. მე შევშინდი, სერიოზულად ხომ არ დავაშავე-მეთქი, ამიტომ მაშინვე ხევსურულად ვკითხე: – ხომ არ დაგჭერ? – შემდეგ კი, წყეული ქისტური ჩვევის გამო, – ვფიცავ, განგებ არ მითქვამს, – უნებლიეთ უწმაწური სიტყვა, ‚რჯულძაღლი,“ თავისით წამომცდა. მაშინვე ენაზე ვიკბინე, მაგრამ რაღას ვიზამდი, ნათქვამს უკან ხომ ვეღარ წავიღებდი. დღეს უკვე ვხვდები, რომ ვერც წინდახედულებითა და ვერც სიფრთხილით ისედაც პირქუში ალუს მრისხანებას ვერ ავიცდენდი. ეს საძრახისი სიტყვა მაინც წამომცდებოდა, რადგან ჩვენთვის თემი მხოლოდ ამ სიტყვას უკავშირდება, ისევე როგორც ჩემი შეკითხვა, ჰაერში ნასროლი გამაფრთხილებელი ტყვია და ალუს ტყვიით მოკლული უცნობი მხედარი ჩვენი უბედური, ხევსურული

ლექსის ტერიტორიაზე წინასწარი განსაზღვრულობით გამოწვეული გარდაუვალი მოვლენა იყო. ჩემს გამოუცდელობასა და უცხოობაზე ჩემი ნასროლი ტყვიის ჰუმანური მიზანი (გაფრთხილება) და ალუსათვის დასმული კითხვის თბილი ინტონაციაც მეტყველებს. (რჯულძაღლი უნებლიეთ წამომცდა, ამიტომ ეს სიტყვა სრულიად უფერულია). ჩემი საქციელის აზრი და მიზანი ალუსთვის გაუგებარი დარჩა, უფრო მეტიც, ყოველივე წმინდა თემატურად გაიგო. ჩათვალა, რომ ტყვია შემთხვევით ავაცდინე, ჩემი შეკითხვა მისი ვერმოკვლით გამოწვეული სინანულის წამოძახილად მიიჩნია, ხოლო „რჯულძაღლი" – მისკენ ნასროლ ქვად.

ალუს ჩემდამი მტრობას თავისი მიზეზი გააჩნდა, რასაც პირველი სისხლიანი შეხვედრისთანავე, ცხადია, ვერ გავიგებდი. მთელმა ხევსურულმა თემმა ალუ ჩემს წინააღმდეგ წააქეზა და დააჯერა, თითქოს მე და ერთ ქისტს მისი ცხენები ხევსურული საძოვრებიდან წაგვესხას. მართალია, ხევსურებისთვის – სანამ მე – ბედშავს! მერანი გამიტაცებდა – მრავალი ცხენი აგვიწაპნია, მაგრამ ალუდა ქეთელაურის თემს ყაჩაღურად თავს არასდროს დავსხმივართ. საამისოდ მისი თემი ჩემი აულისგან ძალზე შორს იყო და თანაც ჩვენს წინაპართა შორის დაღვრილი სისხლის გამო მასთან შეხვედრას თავს ვარიდებდი. იოტისოდენა სიმართლეც კი არ ურევია იმაში, რასაც ჩემზე ალუს თემში ლაპარაკობდნენ. ეს ხმები იქით იყო მიმართული, რომ ალუ ჩემს წინააღმდეგ აემხედრებინათ და თავს უბედურება დამტეხოდა. ჩემზე, ვითომცდა ცხენების ქურდზე, თხის მწყემსები თემში ათასგვარ სისულელეს ჩმახავდნენ და სახელს მიტეხდნენ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ალუმ თავის ცხენზე მოჯირითე დამინახა, – მეორე ცხენიცა და ცხენების რემაც მისი საკუთრება გახლდათ, – მაშინ გასაგები გახდება მისი ჩემ მიმართ შეურიგებელი მტრობის მიზეზი. ალუსთან პირველი შეხვედრისას, ცხადია, ამ დამამძიმებელ გარემოებათა შესახებ არაფერი ვიცოდი. ალუს ცხენზე უმწიკვლო ანგელოზის სახით ვიჯექი და ვცდილობდი, დაძაბულობა კეთილგანწყობილი ღიმილით შემენიღბა. მრისხანებისაგან გონდაკარგული ალუ თემის სახელით ლაპარაკობდა და მოქმედებდა.

ეს იმ ავყია პასუხებიდანაც ჩანდა, რომელსაც გაფხორილი ინდაურივით ჩემკენ ისროდა. შიშისაგან გავქვავდი. მაშინღა მივხვდი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გარდაუვალი იყო. – თავს ნუ იგდებ! – მომაძახა ალუმ. – გუდანის ჯვარის მსახურთან ვერას გახდები, რჯულძაღლო! – გუდანის ჯვარის ხსენებაზე გულ-მუცელი ამემღვრა. ამ სიტყვებმა ხევსურთა ჯვაროსნული ლაშქრობები გამახსენა, ის ველური, სარწმუნოებრივი ომი, რომელიც ჩვენსა და მათ მოდგმას შორის არსებობდა. ვხედავდი, როგორ სჭრიდა გადამწვარ აულებში გამარჯვებული მტერი

დამარცხებულ ქისტებს მარჯვენას, ამის გახსენებაზე სისხლი ამიდუღდა. თემის ინტერესებშიც სწორედ ეს იყო. რა თქმა უნდა, თამაშში გუდანის ჯვარს დიდი ღირებულება აქვს და ეს მას თემატურად ეკუთვნის კიდეც. ყველა ჯვარდასმულ ქვას ყველა კოზირის გაუქმება შეუძლია (იქნება ეს უბრალო ორმაგი ხელის ჩამორთმევა, თეთრი მერანი და ა. შ.) ასე, მაგ.: დავუშვათ, თამაშის დროს ორი მოკავშირე მაგიდასთან ხელის ჩამორთმევის, ანუ შესაბამისი ქვების კომპოზიციის დამუშავებას ცდილობს, მოწინააღმდეგე წყვილს შეუძლია, ბოლო წუთს გუდანის ჯვარით ჩაერიოს. თამაშის წესები მას უფლებას აძლევს, ჩემი და ჩემი გულმოწყალე მოქიშპის მარჯვენა ერთმანეთისაგან დააშორიშოროს და ამ გზით ხელის ჩამორთმევა შეუძლებელი გახადოს; შესაძლებელია, აგრეთვე, მოთამაშისათვის გზის მოჭრაც, თუკი იგი თეთრი მერანითა და თეთრი მტრედით სათამაშო მოედნის დატოვებას ეცდება. ამ შემთხვევაში მისი მონაწილეობა თამაშში რამდენიმე სვლით გაგრძელდება, რაც მერანის გასანადგურებლად საკმარისი იქნება. თომინოში გუდანის ჯვარი მხოლოდ პირობითი კოზირის როლს ასრულებს და თამაშის სამ ეტაპზე განსხვავებული უფლებები აქვს. მოთამაშე თომინოს სამ ხელს თამაშობს. პირველ ხელზე გუდანის ჯვარი აბსოლუტურ ღირებულებას ინარჩუნებს, უბრალო და ორმაგი ხელის ჩამორთმევას აუქმებს და ნახევარი თამაშის მანძილზე თეთრი მერანის სვლასაც აფერხებს. მეორე ხელზე კი საკმარისია ნებისმიერი მოთამაშის მიერ ჯვრით გამოსახული კარტის ათი სვლა და იგი ძალას კარგავს. მესამე ხელზე გუდანის ჯვარი, უბრალოდ, კოზირად აღარ გვევლინება. მსგავსი გადანაწილება სიმბოლურად ასახავს ჩემსა და ალუს შორის წლების მანძილზე მომხდარ შეხედულებათა ცვლილებას. დროთა განმავლობაში ჩემსა და ალუს შორის რელიგიური (და სხვა დანარჩენი) სიძულვილი განელდა და დღეს, თუკი ერთმანეთის წინააღმდეგ თემმა არ წაგვაქეზა, დიდი მეგობრობა გვაქვს.

ცხადია, ყოველივეს სხვაგვარად ვხედავდი, როცა პირველად თემში ჩამითრიეს და ალუს დამიპირისპირეს. ეს იყო თემში ჩემი პირველი და, შესაბამისად, ყველაზე მკაცრი პარტია, რასაც ალუს მიერ ჩემკენ ისარივით ნასროლი შხამიანი სიტყვებიც ადასტურებს. თოფის ხმა ჭექა-ქუხილივით გაისმა და ტყვიამ წვერი შემიტრუსა. – მოგკალ, ... ძაღლო? – მომაძახა ალუმ გამარჯვებული ხმით და, ალბათ, ისიც შეამჩნია, როგორ შევკრთი: რეალური სროლების დროს მსგავსი შეკითხვები, თუკი საერთოდ ის ვინმეს გაუჩნდა, უპასუხოდ რჩება. ალუსთვის პასუხის გაცემა რეალურ ცხოვრებაში აზრადაც არ მომივიდოდა. მეც სროლით ვუპასუხებდი, რაც სრულიად საკმარისი იქნებოდა, რომ ჩემზე სწორი

წარმოდგენა შეჰქმნოდა. ამის ნაცვლად კი წარმოუდგენელი რამ ჩავიდინე – ალუს ყველა კითხვას ვპასუხობდი და საკუთარ ყბედობას გაოგნებული ვუსმენდი. ვერ ვხვდებოდი, რომ მომხდარი მოვლენები თემის მიერ იყო ნაკარნახევი და ახლა იგი ჩემი და, სხვათა შორის, ალუს პირითაც ლაპარაკობდა. მახსოვს, როგორ მინდოდა, გავჩუმებულიყავი და რაღაც სხვა მეთქვა, მაგრამ ენას ვერ ვიმორჩილებდი. იგი ჩემი გონებისა და გულის დაუკითხავად აგრძელებდა ლაპარაკს და მხოლოდ თემის სათქმელსღა გამოხატავდა. ალუს ნასროლმა მეორე ტყვიამ კინაღამ შემიწირა, მაგრამ ბოღმისაგან გააფთრებული, სასიკვდილოდ მაინც ვერ ვიმეტებდი. მეც დავუმიზნე, მაგრამ განგებ ავაცდინე. იქნებ უკეთესიც ყოფილიყო, რომ მომეხვედრებინა, მე ხომ საუკეთესო მსროლელად ვითვლებოდი. გაფრთხილების ნიშნად მხარზე თასმით გადაკიდებული ტყვია-წამლის დიდი აბგა გავუხვრიტე და გაამაყებულმა მივაძახე: – იქნებ ახლაც ვერაფერი დაგაკელ? – და უნებლიეთ (თემატურად) ისევ ის უხიაგი სიტყვა –„რჯულძაღლი“ წამომცდა. იმედი მქონდა, ჩემი საბრძოლო ხელოვნებით ალუზე შთაბეჭდილებას მოვახდენდი. თვითონაც დამინდობდა და საპასუხოდ ნასროლ ტყვიას ასევე ამაცდენდა. ეს სრულიად სპონტანური საქციელი – იქნებოდა ეს ალუს აბგას დამიზნებული ტყვია თუ მერე წამონასროლი სიტყვები, თემმა მიისაკუთრა და ჩაიწერა. ალუსთან პირველ შეტაკებას, ალბათ, მალულად თხის მწყემსებიც ესწრებოდნენ და ჩემს ნალაპარაკევს იწერდნენ. ერთი რამ ცხადზე უცხადესია: თემზე არა მარტო მე ვიყავი ორიენტირებული, არამედ, თავის მხრივ, ისიც – ჩემზე. მეორე მხრივ, ჩემსა და ალუს შორის კიდევ ბევრი რამ ითქვა, რაც მოგვიანებით დაიკარგა (ამოშალეს). ასე მაგ, ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად, რამდენჯერმე ხმლები ვიშიშვლეთ და ერთმანეთს ვეძგერეთ. ალუ ხმალზე წამოგებას მიპირებდა, მე კი დაზავებას ვთავაზობდი. ასეთი შეხლა-შემოხლა აღარასოდეს გამეორებულა.

აბგის ტყვიით გახვრეტის შემდეგ ჩემს მოშუღლეს პირიდან თემატური სიტყვათა ნაკადი წასკდა, რაც იმ წუთს ყურში ძალზე უცხოდ მხვდებოდა. რაღაცას გაუთავებლად ლაპარაკობდა ძლევამოსილ გუდანის ჯვარზე, რომელიც თურმე ხევსურებს ძნელბედობის ჟამს ზეციურ დახმარებას უწევს. შემდეგ მარწმუნებდა, ტყვია გულში არ მომხვედრია, უბრალოდ აბგა გამიხვრიტაო. საბოლოოდ კი თავისი ურყევი ნება გამოხატა და გამომიცხადა, სამაგიეროს გადახდასა და (ღმერთო, რისთვის?!) განადგურებას გიპირებო. მთელი ამ ტირადის დროს გაურკვეველი გრძნობა დამეუფლა: თითქოს ალუ მხოლოდ ჩემთვის კი არა, ვიღაც სხვისთვისაც ლაპარაკობდა, ვიღაც მესამესთვის, რომელიც სადღაც

შეუმჩნევლად, შესაძლოა, ჩემს ზურგს უკანაც ყოფილიყო ჩასაფრებული. მომეჩვენა, თითქოს დაუნდობელი მტრებით ვიყავი გარშემორტყმული და გადავწყვიტე, საკუთარი სიცოცხლე, რაც შეიძლება, ძვირად დამეთმო. ვგრძნობდი, რომ უსამართლობის მსხვერპლი ვხდებოდი და ამან მთლად გამაცოფა. თოფის დატენა რომ შემძლებოდა, ალუს იქვე მივასაღებდი. ცხადია, მისი განადგურების სურვილიც თემატური იყო და მოტივად მის მიმართ რაიმე პირადი ზიზღი კი არ ედო, არამედ ამ საზარელი გაუგებრობით გამოწვეული სასოწარკვეთილება.

თოფის დატენა ვეღარ მოვახერხე. ალუმ კი სწორედ ამ დროს ჩახმახს ხელი გამოჰკრა და, სამწუხაროდ, შიგ გულში გამარტყა. მაშინვე მივხვდი, რომ სასიკვდილოდ დამჭრა და გამარჯვებაც ამ ნაძირალას ერგო. ჩემი ბედისწერის მიმართ ისეთი ბოღმა ვიგრძენი, რომ ფიზიკური ტკივილები დამავიწყდა. ღვარძლით ვფიქრობდი საკუთარ ბედზე, რომელმაც ასე ტყუილაუბრალოდ, ალუს ხელით გამწირა. ხევსურის შეკითხვა, – თითქოს შიშის გასისხლიანებული ცივი საბურველი გაკვეთაო,– ისე მომესმა: – ჰა, რჯულძაღლო, მიიღე? პასუხის გაცემა არ მინდოდა. არ მინდოდა იმიტომ, რომ ვიცოდი, ისედაც ასე უნდა მომხდარიყო, ისიც ვიცოდი, რომ სიკვდილი არ უნდა ამცდენოდა, თითქოს რაღაცამ მაიძულაო, ისევ აუხსნელი საქციელი ჩავიდინე, ანუ თემსა და ჩემს მკვლელს ტყვიის მიზანში მორტყმა დავუდასტურე და ყოველივე ზუსტად ავუწერე. – გულში მომარტყი, რჯულძაღლო! – უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე და ისეთი თავგამოდებით დავიღრიალე, თითქოს ამ ნათქვამზე მნიშვნელოვანი რამ ყოფილიყო დამოკიდებული. – უბედურ ვარსკვლავზე გავჩენილვარ. ჯერ ჩემი ძმა მოჰკალ, ახლა კი – მე. სად არის ღვთის სამართალი? – თვითონაც არ ვიცოდი, რომელ ძმაზე ვლაპარაკობდი. ალალ ძმას რომ არ ვგულისხმობდი, ცხადია, მე ხომ და-ძმა არ მყავდა. გონების წართმევამდე, ბოლო საღ წუთებში ალუს ტყვიით განგმირული მხედარი გამახსენდა, ჩემს სიტყვებში თემმა – სანამ რამეს მივხვდებოდი, ორ მოკლულს შორის (სიკვდილამდე რამდენიმე წუთიღა დამრჩენოდა) კავშირი დაამყარა – კავშირი ჩემსა და იმ მეორე კაცს შორის.

სიკვდილის პირას მყოფი იარაღს ხელს მაინც არ ვუშვებდი. უნაგირიდან ჩამოვცურდი და მიწაზე დავემხე. ცალი ხელით ბალახი მოვგლიჯე და სისხლიან ჭრილობაზე დავიდე, მეორე ხელით კი ალუს ვესროლე და, ცხადია, კვლავ ავაცდინე. ალუ ნელა მიახლოვდებოდა, კონდახი მოვუქნიე. ისევ მარცხი... როგორც ყოველთვის ამ წყეულ თემაში. ალუ ჩემკენ დაიხარა. უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე, ყელში მინდოდა ვწვდომოდი და გამოთხოვების ნიშნად ერთი გემრიელად, ქისტურად შემე-

კურთხებინა კიდეც, მაგრამ ჩვენ შორის კვლავ თემი ჩადგა. წყევლა-კრულვის ნაცვლად სულ სხვა რამ აღმომხდა: ლაპარაკი დავიწყე ჩემს იარაღზე, რომელიც ალუს ფეხებთან ეგდო. – შენი იყოს! – ვხრიალებდი, – ურჯულო ძაღლო...! – მინდოდა, თემატური აზრი გონებაში მაინც დამესრულებინა და მეთქვა; აიღე, რაღას უცდი, თუ სროლა გინდა, მესროლე; მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, ალუს მისამართით ქათინაურებს ვლუღლუღებდი. – ამ იარაღით მხოლოდ შენ გაქვს სროლის უფლება.. – ყალბი, ჩემი სულიერი მდგომარეობისათვის სრულიად შეუფერებელი ტექსტის წარმოთქმით გამწარებულმა ზეცას ავხედე ვედრებით. შემდეგ აღსასრულიც დადგა. გულისცემა შემიწყდა, ირგვლივ უკუნეთი ჩამოწვა, ოღონდ თემის თავზე მაინც შევამჩნიე ადამიანის ვეებერთელა თავი, რომელიც ღრუბლებიდან ინტერესით დამშტერებოდა. ვიფიქრე, ალბათ, ღმერთია-მეთქი, მაგრამ ჩემი ვარაუდი მაშინვე უკან წავიღე. თავი აშკარად ხევსური თხის მწყემსისა იყო. – ნეტავ, ეს თავი საიდანღა გაჩნდა? – ამ აზრმა უკანასკნელად გამიელვა და მოვკვდი. ამის შემდეგ, პირველად ისტორიაში, ჩვენი სისხლიანი თემი ჩემი უბადრუკი სიცოცხლის ხარჯზე განვითარდა.

სიკვდილი თემსა და თომინოში

თემში სიკვდილს თომინოში სიკვდილი შეესატყვისება. ამ უკანასკნელს კი Doubleschisch-ი იწვევს, რომელიც შეიძლება მოთამაშეს ერთი პარტიის განმავლობაში ხვდეს წილად. სამივე დუელში დამარცხებული მოთამაშე მკვდრად ცხადდება (უბრალო Schisch-ით, უბრალო ხელის ჩამორთმევით). ვთქვათ, თუ მოთამაშე სამივე დუელში დამარცხდა, მოთამაშის მოკვლა მის თამაშიდან გაძევებას ნიშნავს, მოკლული მოთამაშის ხის ნაფოტები მოწინააღმდეგე მხარეს გადაეცემა. თუმცა თომინოში სიკვდილი საბოლოო მაინც არ არის, ვინაიდან პირველ პარტიაში მკვდრად გამოცხადებული მოთამაშე მეორე პარტიაში ცოცხალმკვდრად ითვლება, ხოლო მესამე პარტიაში კი კვლავ ცოცხლდება.

შესაბამისად, მოთამაშე ან ნახევარი, ან სრული რაოდენობის (ანუ ნორმით გათვალისწინებული) ნაფოტებით თამაშობს. სიკვდილი მხოლოდ მაშინ ხდება საბოლოო, თუ მოთამაშე მკვდრად ბოლო პარტიაში გამოცხადდა და თამაშიც აღარ გაგრძელდა. თუ თომინო რამოდენიმე ტურისა (ჩვეულებისამებრ, 3 ტურისაგან) და მრავალი (ძირითადად 9) პარტიისაგან შედგება, მაშინ, პირველი ტურის ბოლოს მკვდრად გამოცხადებული მოთამაშე მეორე ტურის დასაწყისში ცოცხალმკვდა-

რია, ხოლო მომდევნო ტურში კი საბოლოოდ ცოცხლდება (ამ დროს მას თავისი ქვები სრული შემადგენლობით უბრუნდება). თემის მსგავსად, თომინოშიც სიკვდილი ყოველ ნაბიჯზეა ჩასაფრებული. სიკვდილი ემუქრება ყველას, ვინც მოწინააღმდეგის კოზირებს, ანუ მათი Schisch-ად გამოყენების შესაძლებლობას ვერ გათვლის. თემისაგან განსხვავებით, მოთამაშეს თვითმკვლელობის უფლებაც ენიჭება. ეს მისი თავისუფალი არჩევანია. გაუბედავად ხელის ჩამორთმევას მოწინააღმდეგის მხრიდან Schisch-ი და Doubleschisch-ი მოჰყვება, რომელსაც იგი მოთამაშეს საფანტივით აყრის. ამ სახის თვითმკვლელები, მთელ რიგ შემთხვევებში, ტაქტიკურ მნიშვნელობას იძენენ.

სასურველია, თუ მოთამაშე ნაკლებ მოწინააღმდეგეს დახოცავს, — რითაც თომინო მნიშვნელოვნად განსხვავდება თემისაგან, – რადგან მოკლულის ნაფოტები მკვლელს გადაეცემა და, შესაძლოა, ამ გზით მოპოვებული სიმდიდრე თავად მკვლელისთვისვე იქცეს სახიფათო ტვირთად. ხელში ჩაგდებული სიმდიდრე მოთამაშეს ბრძოლის ველიდან სწრაფად გასვლის შესაძლებლობას უკარგავს და თამაშს მოწინააღმდეგის სასარგებლოდ წარმართავს. სასურველია ასევე, თუ მოთამაშეს ნაკლები ცოცხალმკვდარი მეტოქე ეყოლება, რათა დროულად და წარმატებით დაიხსნას თავი მისი კუთვნილი ქვებისაგან და მის წინააღმდეგობასაც გაუმკლავდეს (ცოცხალმკვდარ მეტოქეს ხომ ნაწილობრივი საბრძოლო აღჭურვილობით თამაშის გაგრძელების უფლება აქვს). ცოცხალმკვდარი მეტოქე იმიტომაც არის უსიამოვნო, რომ მისი მეტად მოკვლა შეუძლებელია, ანუ კოზირებით მისი თამაშიდან გაძევება აღარ ხერხდება. თუმცა ცოცხალმკვდარ მეტოქეზე Schisch-ითა და Doubleschisch-ით თავდასხმა შესაძლებელია, მაგრამ მის მოკვლას მოთამაშე ვერც ამ გზით ახერხებს.

მკვდრეთით აღდგომას თომინოში, ისევე როგორც თემში, წინ ვერაფერი აღუდგება.

მე თამაშის ახლებური გეგმის იმ წესების პრაქტიკულ დემონსტრირებას ვახდენ, — თუ ცნობისმოყვარეები მოიძებნებიან, - რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის მონაცვლეობას ეხება. თუმცა ეს წესები მრავალი ჩემი თემატური (თემელი) ამხანაგისათვის აუხსნელი და ძნელად გასაგებია. ცხადია, ყოველი გონიერი ადამიანისათვის ნათელია ის, რაც თომინოს ეხება (კერძოდ: სამმაგი შიშის შემდეგ თამაშის დაწყება და შეწყვეტა). მაგრამ, - და სწორედ ეს არის ჩემთვის მნიშვნელოვანი — ჩვენს წიგნთან გავლებული პარალელები, - ანუ თემში სიკვდილთან და მკვდრეთით აღდგომასთან დაკავშირებული — სამწუხაროდ უმრავლესობას ან ზედაპირულად ესმის, ანდა საერთოდ გაუგებარია. თომინო ჭეშმარიტად მხოლოდ მას ესმის, ვინც თავად გამხდარა თემის მსხვერპლი,

ვისაც თავად განუცდია წიგნის პერსონაჟის ხელით სიკვდილი, ანდა ის, ვინც თემატურად უბედურ შემთხვევას შეწირვია. სიკვდილის გამომწვევი შიში (დუშიში), მხოლოდ ამგვარ გამოცდილ მოთამაშეში იწვევს სერიოზულ შეშფოთებას, ისევე როგორც თამაშის მანძილზე თანდათანობით მოპოვებული სიცოცხლის უფლებაც მხოლოდ მათ ანიჭებს ჭეშმარიტ სიხარულს. ისინი კი (ვისაც თემის მხრიდან არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ და თემატურად უკვდავნი არიან) თომინოს მექანიკურად აღიქვამენ და მათ მწუხარებას და სიხარულსაც მხოლოდ რეალური მოგება, ან წაგება განსაზღვრავს. მათ ხელში თომინო გადაგვარებულ დომინოდ იქცა, რადგან თუ მოთამაშესთან თომინოს ქვების თემატური მიმართება დავიწყებულია და მხოლოდ თხების მოგებაზეა ორიენტირებული, თომინო სრულებით კარგავს თავის არსს.

თემში, სამწუხაროდ, ყველაზე ხშირად სწორედ ასე ხდება: თომინოს მაგიდაზე დომინოსავით უბრახუნებენ და ეს მშვენიერი თამაში არაფრისმთქმელ პროცესად აქციეს. ცხადია, ჩემთვის სრულიად მიუღებელია თამაშში რაიმე შეზღუდვების შემოღება, ანდა მისი რაიმე კონკრეტული მიმართულებით განსაზღვრა. თხებზე მეც მითამაშია. ასეთ შემთხვევაში პარტნიორად ყველას ალუს ვამჯობინებ. თომინოს ქვები უბრალო სათამაშოდ კი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ, — ხანდახან მაინც, — მრავალი მნიშვნელოვანი კომბინაციის განხორციელების საშუალებადაც, კერძოდ: მასში თემის (ბედისწერის) ნება უნდა შევიცნოთ.

თემატური თომინო — მიუხედავად იმისა, და სწორედ იმიტომაც, რომ მას მოგებაზე არ ვთამაშობთ — არათემატურზე ბევრად უფრო მიმზიდველია. თემატური თომინო სიკვდილ — სიცოცხლეზე თამაშია, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ტექსტი (თემა, ანდა თემი) ადამიანის სიცოცხლის ფასად ვითარდება. პატარა მაგიდაზე წიგნის ველური სიუჟეტი — დევნა, მკვლელობა და ა.შ. თამაშდება, რაც ზოგჯერ პოემის (ისტორიის) ტერიტორიის დიდ სივრცეს ითხოვს. ამ დროს ქვები ხანჯლებივით ეძგერებიან ერთმანეთს, ხოლო მაგიდაზე ქვების გაგულისებული ბრახაბრუხი კი თემატურად გასროლილ თოფის ხმას ემსგავსება. არანაკლებ საინტერესოა ის ცვლილებებიც, რასაც თემი თომინოში ქვების ურიცხვ კომბინაციათა შესაძლებლობებით განიცდის. სიკვდილ-სიცოცხლე უკვე აღარსად არის წინასწარ განსაზღვრული და, რეალური სამყაროს მსგავსად, პიროვნების საზრიანობასა და ცოტაოდენ გამართლებაზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია აქვე შურისძიების ის ტკბილი გრძნობაც, რომელიც თემატურად მოკლულს თემატურ თომინოში თავისი მკვლელის მკვდრად გამოცხადების დროს ეუფლება, ანუ როცა იგი მკვლელს სიცოცხლეს, შესაბამისად ქვებს ართმევს.

თემატურ თომინოში ყველაზე უფრო მიმზიდველად მაინც ის მეჩვენება, რომ ამ დროს, მოვლენების არა უშუალო თანამონაწილენი ვხდებით, არამედ მას გვერდიდან, ან ზემოდან ვაკვირდებით და დაახლოებით იმავე პოზიციას ვინარჩუნებთ, როგორც მკითხველი ჩვენი წიგნის მიმართ. ერთადერთი, რაც მკითხველისაგან განგვასხვავებს, ის არის, რომ იგი ჩვენი და თემის უბრალო მაყურებელია და ზემოდან ჩამოგვყურებს. რასაც ჩვენ ვუმზერთ, იმ წარმოდგენებს უნდა დაემთხვეს, რაც ჩვენს შესახებ მკითხველს ექმნება. მკითხველთან შედარებით, ჩვენი მდგომარეობა მომგებიანადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. თუ მკითხველის მზერა წიგნის იმ გვერდითა და სტროფით არის შემოსაზღვრული, რომელსაც იგი დროის მოცემულ მონაკვეთში კითხულობს, ჩვენ, მაგიდაზე თემატურად განლაგებული ქვები, მთელი ხედის ანი-დან ჰაე-მდე განჭვრეტის შესაძლებლობას გვაძლევს. საქმეში გათვითცნობიერებულ მოთამაშეს თომინო მუდმივ სიახლეებს ჰპირდება, სწორედ ამიტომაც – განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მაგიდაზე ერთი, ან რამდენიმე ქვა განსხეულდება, – მიეცემა ხოლმე თომინოს მოთამაშე თავდავიწყებას.

თემატური თომინოს არსი ჩემსავით პოემის ტერიტორიის მხოლოდ ერთადერთ პერსონაჟს ესმის, ამიტომ მიყვარს მისთვის თამაშის გეგმისა და მისი გაუმჯობესებული ვარიანტების ჩვენება, რომელიც შიგადაშიგ მომაფიქრდება ხოლმე. თუ თემაში რაიმე სხვა საქმითა ვარ დაკავებული, შესანახად მხოლოდ მას შემიძლია ვანდო გეგმაცა და თომინოს ყველა ქვა. ხოლო თუ რომელიმე წიგნის პერსონაჟი, ალუ, ან ვინმე სხვა თომინოთი გართობას მოისურვებს, მას შეუძლია მიაკითხოს და თამაშის დამთავრების შემდეგ მასვე დაუბრუნოს ქვები. არც იმის შიში მაქვს, რომ რაიმე დაიკარგება: ზედმიწევნით ყურადღებით სდარაჯობს თითოეულ ნაფოტს და უმნიშვნელო ზიანისთვისაც კი ანაზღაურებას ითხოვს. ეს პერსონაჟი ის ანონიმური მხედარია, რომელიც ალუმ თემში ჩემი გამოჩენისთანავე უნაგირიდან ჩამოაგდო. თუმცა მას არავინ მოიხსენიებს, იგი მაინც მთელი ისტორიის კუთვნილებაა და წიგნის გადაშლისთანავე, როგორც კი რეალური მკითხველი ჩვენი თემის წარმოსახვას შეუდგება, ისიც დაუყოვნებლივ ჩნდება. მე ჯერ მისი სიკვდილის მოწმე ვხდები, შემდეგ კი ჩემი ჯერიც დგება. თემში განვითარებული დრამატული მოვლენების გამო, სადაც მხოლოდ ჩვენ ორნი ვართ გარეული, ერთმანეთთან დაახლოების შესაძლებლობა საერთოდ არ გვეძლევა, ისე სწრაფად გვკლავენ, ერთმანეთის შესახებ ვერაფერს ვიგებთ. გაცნობას ვერც ხანგრძლივად დახურული წიგნის მდგომარეობაში მკვდრეთით აღდგენისა და თემის წყნარ კუთხეებში მოწყობილ სამედიცინო დახმარების პუნქტებში ვახერხებთ, სადაც მშვიდობიანად

ვცხოვრობთ. ეს კი იმიტომ ხდება, რომ იგი უბრალოდ, მუნჯია და ურთიერთობას ჩვენთან მუნჯურად ამყარებს.

მისი ეს სავალალო მდგომარეობა, იმით არის გამოწვეული, რომ მას თემაში არც ერთი სიტყვა არ ერგო. ეს ერთადერთი მეორეხარისხოვანი პერსონაჟია, რომელიც უთქმელად კვდება და რომელსაც არავინ არაფერს ეკითხება. ვერც წერა-კითხვა შეისწავლა და ჩემი და ალუს არაერთგზისი მცდელობაც, მისთვის ხევსურული ან ქისტური ანაბანა რამენაირად შეგვეგნებინებინა, უნაყოფო აღმოჩნდა.

ჩვენ მას მუნჯ მხედარს, ანდა, უბრალოდ, შემოკლებით მუნჯს ვეძახით. ამ ადამიანზე ჩვენში ერთობ ღვარძლიანი გამოთქმა დამკვიდრდა. ჩვენი პოემის ტერიტორიის რომელიმე პერსონაჟი, რაიმეს მიმართ აგდებული დამოკიდებულების გამოსახატავად, შემდეგ ფრაზას ხმარობს: ჩემთვის ეს მუნჯივით სულერთია, ანდა: ეს მე ისევე არაფერს მეუბნება, როგორც მუნჯი. მას ყველა ზემოდან უყურებს და თვით ის პერსონაჟებიც კი, რომლებსაც თემაში მხოლოდ ერთი და ისიც ყოვლად უმნიშვნელო სიტყვა აქვთ სათქმელი, მათ, ვისაც არანაირი ინდივიდუალური სახე არ გააჩნიათ და გუნდურად სხვებთან ერთად მხოლოდ ბანალურ ფრაზებს წარმოთქვამენ ლუღლუღით, ისინიც კი მას არასრულფასოვნად მიიჩნევენ და არც ფარავენ ამას.უფრო მეტიც, აგრძნობინებენ კიდეც. რამდენად აღემატებიან მას სინამდვილეში, ეს ჯერ კიდევ საკითხავია. პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ ჩემს გარდა მასავით თემატური თომინო (ჩემი ახალი გეგმის მიხედვით) არავის ესმის. ამ წერა-კითხვის უცოდინარს – ეს საოცრება დღემდე ვერ ამიხსნია – თითოეული ქვის ზუსტად განსაზღვრის უნარი აქვს. დიახ, ქვებს შორიდანაც კი ცნობს და მეგობარი, მტერი, ქისტი თუ ქრისტი ერთმანეთში არასდროს ერევა;თითოეული ნაფოტის პიროვნულ ხასიათს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზედმიწევნით იცნობს და მათი ზედაპირის ფორმის, კანტისა თუ მოხაზულობის ცალკეულ დეტალში ზუსტად ერკვევა. ამ ქვების ერთმანეთისაგან განსხვავება სხვაგვარად შეუძლებელია. ერთხელ გამოსაცდელად ნაფოტებზე წარწერები შევცვალე, ბერდიას ნაცვლად ალუ დავაწერე, ხოლო ჩემი დასახელების ქვას კი მინდიას ეტიკეტი მივაკარი (მინდია ჩემი მარჯვენის მომკვეთის სახელია) და – პირიქით. მუნჯმა რაინდმა, ქვები რომ დავუწყე წინ, კინაღამ ჭკუა დაკარგა. აღგზნებული აქეთ-იქით წრიალებდა და მაშინღა დამშვიდდა, როდესაც ნაფოტებს თავისი პირვანდელი სახელები დავუბრუნე. ასევე კარგად ერკვევა იგი თომინოს ყველა კოზირში. ასე რომ, ხელის ჩამორთმევას Schisch -ად, ანდა შავ მერანს თეთრად ვერ შეასაღებ, ისე ღრმად და თემატურად ესმის თომინოს არსი. ამიტომ დასანანია და თანაც პარადოქსული, რომ

მას თამაშის არც ერთ პარტიაში არა აქვს — როგორც წესი და რიგია —. მონაწილეობის მიღების უფლება. მხოლოდ თვალყურის დევნება აქვს მისჯილი. ამას იგი დაუზარლად აკეთებს და მხოლოდ მეთვალყურის როლს სჯერდება, რაც მისი აბსოლუტური მეორეხარისხოვნებით შეიძლება აიხსნას, ანუ იმ მიზეზით, რომ მას თემში ყველაზე ნაკლებად ახსენებენ და, შესაბამისად, ყველაზე ნაკლები, საბოლოო ჯამში რაღაც ორი ქვა თუ ერგება. მუნჯი რაინდის ქვებით რამდენიმე კომბინაციის, უფრო სწორად, არც ერთი კომბინაციის შედგენა არ ხერხდება, თანაც ეს ქვები თემატურად იმდენად შორს არიან ერთმენეთისაგან, რომ როდესაც მისი ჯერი დგება, მოწინააღმდეგე მხარეს თავისი ქვები უკვე დიდი ხნის დაწყობილი აქვს. ასეთ დროს მაგიდაზე მისი ქვების გამოჩენა სრულიად ზედმეტია, რადგან მათ დანარჩენ ქვებთან თემატური კავშირი არა აქვთ და ამიტომაც თამაშის მსვლელობაზე გავლენას ვერ მოახდენენ. დასაშვებია, რომ მუნჯმა რაინდმა თემატურად უფრო მნიშვნელოვანი პერსონაჟის ქვებით მიიღოს თამაშში მონაწილეობა – თუ ეს პერსონაჟი სხვაგან წავა, შეუძლოდ იგრძნობს თავს, ანდა სხვა საქმე გამოუჩნდება. ასეთი რამ კი ჩვენთან ხშირია. ახალი გეგმის თანახმად, მეორე ტურში სხვისი ქვებით თამაში სავალდებულოცაა. რადგან წინასწარ არავინ იცის, რომელი (ვისი) ქვებით მოუწევს თამაში, ამიტომ მოთამაშის ინიციატივაცა და ინტერესიც ერთიორად იზრდება. მუნჯი რაინდი კი იმ მიზეზით, რომ მას თომინო მხოლოდ თემატურად ესმის, თამაშში სხვისი ქვებით ვერ ჩაერთვება.

მუნჯი რაინდისთვის ნამდვილი დღესასწაული დგება, თუ თემატური თომინოსთვის ჩვენი ლექსის ტერიტორიაზე რამდენიმე ადამიანის შეგროვება შევძელი, რადგან თემატურად თამაში მას მხოლოდ ასეთ დროს შეუძლია.

თემსა და თომინოში მისმა ნაადრევმა, სრულიად უმნიშვნელო სიკვდილმა განაპირობა ის, რომ თამაშისთვის ვარგისი იგი მხოლოდ მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ხდება. პირველი პარტიის განმავლობაში იგი ფაქტიურად, ეგრეთწოდებული მკვდარია, მეორე პარტიის დროს მაგიდას ცოცხალმკვდარი, ანუ მეოთხედი მკვდარი (ანუ, ასე თუ ისე ცოცხალი) უზის და არც ერთ ქვას არ ეხება. მინდოდა, მისი ორი ქვა ტუზად მექცია, რათა მოვლენებში ჩართულიყო, ამის უფლება კი მან არ მომცა. აშკარაა, რომ თომინოში თემატურ სიზუსტეზე თავისი ინდივიდუალური ქვების გავლენით დიდად არ არის დაინტერესებული. მუნჯ რაინდთან ძირითადად თემმა დამაკავშირა, თუმცა მასთან პირად კონტაქტს მაინც თომინოს უნდა ვუმადლოდე. ეს იმით აიხსნება, რომ მკვდრად ერთმანეთის მიყოლებით გვაცხადებენ, – მე უფრო ადრე, მას

კი ცოტა მოგვიანებით – თამაშს ერთდროულად ვეთიშებით და მკვდრეთით აღდგომასაც ერთად ველოდებით. ამ დროს ძირითადად უსაქმოდა ვართ და რადგანაც ყველა საკუთარი ქვებითაა ხოლმე დაკავებული, თანდათანობით ერთმანეთითაც დავინტერესდით. თომინოში სიკვდილი მუნჯ რაინდს გულთან ახლოს მიჰქონდა და მიცვალებულივით გაცრეცილი იჯდა. მე ის ძალიან მეცოდებოდა და როგორც წესი, დახლიდან მისთვის წითელი ღვინო და მწვადები მომქონდა. მუნჯი მადლიერებით იღებდა ყველაფერს, რასაც ვთავაზობდი, მაგრამ გამოცოცხლება მხოლოდ თომინოს მეორე პარტიის დაწყებისას დაეტყობოდა ხოლმე და ჭამა-სმასაც მაშინ შეუდგებოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში თანაგრძნობით მაკვირდებოდა, გულის არეში და მარჯვენაზე სიბრალულით მიყურებდა, მე კი გული მიკვდებოდა, ჩემს განადგურებულ ყოფიერებას თვალნათლივ ვხედავდი და თემზე განრისხებულს თომინოს გათელვა მინდებოდა. ვგრძნობდი, როგორ მიპყრობდა სურვილი, მაგიდა თავის ნაფოტებიანად ამეყირავებინა, მოთამაშეები ჯანდაბის გზას გამეყენებინა და თამაშის გეგმაც დამეხია. ძლივს ვახერხებდი, თავს მოვრეოდი. ჯერ ერთი, თემის წინააღმდეგ აჯანყებას არავისთვის მოუტანია სიკეთე და მეორეც, არ მინდოდა თომინოში მკვდრეთით აღდგომის სიხარული ჩაგვშხამებოდა, რომელიც თამაშიდან გაძევებულებს მეორე პარტიის დაწყებისთანავე ეუფლებათ. თუმცა ეს სიხარული მაინც ჩამწარებული გვქონდა, თუ მოთამაშეები თამაშის გაგრძელებაზე უარს განაცხადებდნენ. თემატური თომინოს თამაშის წესი თხებზე, ფულზე ან სხვა რამ ღირებულებებზე თამაშს კრძალავს და ამიტომ მოთამაშეებიც ჭირვეულობდნენ, თამაში სწყინდებოდათ და გაგრძელების სურვილი უქრებოდათ, ქვებს განზე სწევდნენ, მე კი თამაშში მათ დასაკავებლად ორატორის ხელოვნებას მოვუხმობდი და მჭერმეტყველებაც აღარ მშველოდა. ხშირად თამაშს შუაში წყვეტდნენ, დგებოდნენ და მე და მუნჯ რაინდს მაგიდასთან მკვდრებს, ან ცოცხალმკვდრებს გვტოვებდნენ. ჩემს ენერგიულ პროტესტს არაფრად აგდებდნენ და ყურს იყრუებდნენ. მაგრამ ეს ხომ თამაში იყო და ამიტომ სალაპარაკოდაც არ ღირდა. ვინმეს რომ ამ დროს მუნჯი რაინდისთვის შეეხედა, წელში გატეხილი ქვებთან სიკვდილმისჯილივით უმწეოდ იჯდა. თემატურ თომინოსთან დღეს უკვე წიგნის ვერცერთ პერსონაჟს ვერ მიიზიდავ (თვით ალუსაც კი, რომელიც თემის გარეთ მუდამ მზად არის ჩემს დასახმარებლად), ამიტომაც მუნჯი რაინდი მუდმივად თამაშგარეთ მდგომარეობაშია, რაც, შესაძლოა – იმ სასტიკ მკვლელობასთან შედარებით, რომელიც მან მუდამ უნდა გადაიტანოს, – მისთვის უკეთესიც კი იყოს. მუნჯი რაინდი თომინოს თავს მაინც არ

ანებებს. ქვებს ტომარაში ერთგულად ინახავს, რათა შემდეგ, მოთამაშეთა სურვილისამებრ, კვლავ დაარიგოს და დამთავრებისთანავე აკრიფოს. თომინოში მისადმი გამოჩენილი ყურადღებისთვის მადლიერების ნიშნად თავს დავალებულად თვლის. ცდილობს, თემში სიკვდილი გამიადვილოს და როდესაც ტყვიით განგმირული მიწაზე ვეცემი, ნაფოტებს და საგულდაგულოდ დაკეცილ თამაშის გეგმას გულზე მადებს. ჩემი გულმოწყალე მეტოქე ალუ დიდი პატივით მკრძალავს. ჩემს თოფს და თავის სპილოსძვლისტარიან ხანჯალს ბასრ მახვილთან ერთად ხელში მაჭერინებს, ნაბადს მაფარებს და ზემოდან ფარს მადებს. მაგრამ ეს პატივი, – რადგან იგი მაინც თემისაგან ნასესხებია, – თომინოს მაინც ვერ შეედრება, რომლის ამჟამინდელი მაღალგანვითარებული ფორმაც ჩემთვის ყველაზე ძვირფასია და ჩემს იდეებსაც სრულად წარმოაჩენს. ჩემს სანუკვარ ქისტეთში მიცვალებულს თავის საყვარელ ნივთებს საფლავში თან ატანენ და ამიტომ მუნჯი რაინდის საქციელი, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც პირველად ვიგრძენი საკუთარ მკერდზე ნაფოტებით სავსე ტომარა — ორმაგად სასიამოვნო იყო. საყვარელ ნივთებთან ერთად დასაფლავება უსაზღვრო ბედნიერებაა, მაგრამ უფრო დიდი ბედნიერება მაინც ამ ნივთებთან ერთად მკვდრეთით აღდგომაა, როდესაც სიცოცხლე თანდათან გვიბრუნდება და სიკვდილის ჯანღი იყრება. მუნჯი რაინდიც სწორედ ამას ისახავს მიზნად: განმაცდევინოს ნეტარი წუთები და ჩემს თემატურ გეგმასაც სწორედ ამიტომ ადებს თომინოს. იარაღიცა და თომინოც საჩუქარივითაა და არაფერი მახარებს ისე, როგორც ჩემი ძვირფასი თომინოს დანახვა. გული მაშინვე გამეტებით მიწყებს ძგერას და გამოჯანმრთელების მტკივნეული და შემაწუხებელი პროცესიც მიადვილდება. ასეთ შემთხვევებში რეალური მკითხველის თავს ვემსგავსები, რომელიც რამდენიმე გვერდით, ან მხოლოდ რამდენიმე სტროფს მოშორებით იმყოფება იმ ადგილიდან, სადაც მე ვწევარ. მე ისევე ვკითხულობ თამაშის გეგმას, რომელიც ასე შემაძრწუნებლად ასახავს ისტორიის მკვლელობას, როგორც რეალური მკითხველი ჩვენს ისტორიას. ჩემი საკითხავი ლიტერატურა უდავოდ სჯობს მისას და ამიტომ მინდება მისთვისაც ხელმისაწვდომი გავხადო იგი. ეს სურვილი კი განსაკუთრებით მაშინ მიძლიერდება, როდესაც ისე ახლოდან ვხედავ ჩვენი თემისაკენ დახრილ მკითხველის თავს, რომ მისი ჩრდილიც კი მეცემა. ამ დროს თამაშის გეგმას ჰაერში ვაფრიალებ, აქეთ-იქით შლეგივით ვიქნევ, ვღრიალებ, რათა როგორმე მისი ყურადღება მივიქციო. ვფიქრობ, რამდენჯერმე შევძელი კიდეც. ჩემი ხმაურით შემცბარი მკითხველი თემს სასწრაფოდ უკან უბრუნდებოდა, ხოლო ჩემი ჯანმრთელობის უეცარი, სერიოზული გართულება კი იმის ნიშანი

იყო, რომ მკითხველი მიახლოვდებოდა. უეცრად ალუს ტყვია ისევ მკერდში აღმომაჩნდებოდა, გული სულ უფრო სუსტად მიცემდა, მთელი ჩემი ხარახურით (ალუს ხანჯლითა და მახვილით, თოფითა და ა.შ.) ძირს ვეცემოდი და, წინასწარგანსაზღვრული კანონის თანახმად, ნაბადისა და ფარის ქვეშ აღმოვჩნდებოდი. სანამ სიკვდილი მეწვეოდა, ფართოდ გადაშლილ გეგმას სასწრაფოდ თავზე ვიფარებდი და მკითხველსაც, თუკი ჩამომაშტერდებოდა, ჩემი კოზირები უნდა შეეძჩნია. აი, თხის მწყემსები კი ვეღარ გავითვალისწინე. ისინი იქვე, ახლომახლოს ჩასაფრებულიყვნენ და მათი ყურადღებაც, ალბათ, ყვირილით მივიქციე. რა გასაკვირია, რომ ქათქათა თეთრი ფურცელიც – თამაშის გეგმა – მაშინვე მოხვედროდათ თვალში. მათგან ყველაზე მოხერხებულმა ხელის მარდი მოძრაობით, ასე ვთქვათ, ზედ ცხვირწინ ააცინცლა რეალურ თავს ფურცელი. მეორედ ისიც კი შევძელი, სასიკვდილოდ მაშინ გავწოლილიყავი, როდესაც ის-ის იყო მკითხველი უნდა გამოჩენილიყო. არც მაშინ გამიმართლა. იქვე ახლოს ბუჩქნარში ჩამალულმა თხის მწყემსებმა შეერთებული ძალებით ფურცელს სული შეუბერეს. ხელოვნურმა ქარმა ფურცელი ჰაერში აიტაცა და კლდიდან ქვემოთ, ხეობისაკენ ფრიალ-ფრიალით წაიღო. რეალურმა თავმა ისევ ვერაფერი შეამჩნია და უკან მობრუნებულს კვლავ ჩემი თემატური გვამი დახვდა. ასეთი და მსგავსი წარუმატებლობა იმედს არ მაკარგვინებს და უწინდებურად ვიმედოვნებ, თამაშის გეგმა მკითხველს ოდესმე მაინც დავუდო თვალწინ.

ამისთვის კი, ვფიქრობ, ჩვენი წიგნის თეთრი ლაქებით ვისარგებლო. ეს ლაქები ჩვენი თემის ტერიტორიის იმ ზოლს შეესაბამება, სადაც არაფერი ხდება, მაგრამ მათი არსებობა მთელი ტერიტორიის პატარა პროვინციებად (საერთო ჯამში, ექვსი ასეთი პროვინციაა) დაყოფისთვის არის საჭირო. პირველ პროვინციაში ალუს პირისპირ ვდგები და მასთან ორთაბრძოლაში ვკვდები. მეორე პროვინციაში მთელი თემი განურისხდება ალუს, რადგან იგი მარჯვენას არ მაჭრის და ალაფის სახით თავისი სახლის კარზე არ აჭედებს. მესამე პროვინციაში ჩემი სიკვდილი ალუს სინდისს მძიმედ აწვება. მე მას სიზმარში გამოვეცხადები და მადას ვუფუჭებ. მეოთხე პროვინციაში მინდიას ჩემი მარჯვენა მიაქვს თემში, რათა ყველას დაანახოს ალუს გამარჯვება და მის მიმართ თემი კვლავ კეთილად განაწყოს. აღშფოთებული ალუ უარყოფს ჩემს მარჯვენას და სიძულვილით ლაპარაკობს ხელისა მოკვეთისა და ყელის გამოჭრის თემურ ჩვეულებზე. მეხუთე პროვინციაში ალუ უკიდურესობაში ვარდება: ხევსური ხევისბერის, ბერდიას აღშფოთებულ პროტესტს არაფრად აგდებს და მე, ვიღაც ქეციან ქისტს, ხარს მწირავს.

ამით მან თავადვე უარყო თემი და თუ სახლ-კართან ერთად სიცოცხლის დაკარგვაც არ სურს, დაუყოვნებლივ ემიგრაციაში უნდა წავიდეს. მეექვსე პროვინციაში თემიდან მოკვეთილები მიდიან. ალუ, მისი ცოლი, შვილები და დედა, მთელი ავლადიდებით თემის დათოვლილ მთებს გადივლიან და უჩინარდებიან. პირველი და მეექვსე პროვინცია ჩვენი ლექსის ტერიტორიის მაღალ მთებშია განლაგებული. მათ შორის მოქცეული პროვინციები კი შატილსა (ასე ჰქვია ხევსურთა ციხე-სოფელს) და მის შემოგარენს მოიცავს. რაც შეეხება ცალკეულ პროვინციათა შორის არსებულ ცარიელ ტერიტორიულ ზოლებს, ისინი მხოლოდ ჩვენი წიგნის ფურცლებზე ტოვებენ შედარებით ვიწრო, თეთრი შუალედური სივრცის შთაბეჭდილებას. თავად თემში კი ეს ზოლები თვალშისაცემად გრძელია. მაგ: იმ ადგილიდან, სადაც მე მკვდარი ვეცემი, შატილამდე ცხენით ორი დღის სავალია. ასევე საგრძნობლად დიდია დროში განსხვავება. შატილის სივრცეში განლაგებულ შუა პროვინციებს შორის, ცხადია, ყველაზე დიდი მაინც ის ცარიელი ტერიტორიაა, რომელიც ჩვენს მხარეს მიმდებარე პოემის ტერიტორიისაგან (ჩემდა საუბედუროდ, ყველაფერი ხევსურული თემის საკუთრებაა) ყოფს. შუალედურ სივრცეში აუტანელი, თვალისმომჭრელი განათებაა – რადგანაც თემის მზე აქ დაუნდობლად დაგვნათის და სულისშემძვრელი პაპანაქება დგას. ამიტომაც ამ სივრცეში ვერც ერთ პერსონაჟს ვერ იხილავთ, თუ მან წინა, ან უკანა თემის პროვინციებში არ დააპირა წასვლა. აქ თავად თხის მწყემსებსაც კი იშვიათად შეხვდებით. შუალედურ ტერიტორიებს ისინი თემატურად უმნიშვნელო, ცარიელ და უნაყოფო ადგილებად მიიჩნევენ, სადაც რეალურ თავს სიცოცხლე არც და ვერც წარმოუდგენია. მე მათ შეხედულებას არ ვიზიარებ და საამისოდ მტკიცე საფუძველიც მაქვს. ამის შესახებ, მუნჯი რაინდის გარდა ვერავისთან ვბედავ ლაპარაკს, რომ თავისუფალი მოქმედების უფლება არ დავკარგო და ხელ-ფეხი არ შემეკრას. ჯერ ერთი, შუალედური ცარიელი სივრცეები წიგნის პერსონაჟებს რეალურ თავებთან არათემატური ურთიერთშეთანხმების შანსს აძლევს და იმედითაც სწორედ ეს მავსებს. მართალია, მსგავსი სივრცეები თემის უკაცრიელ ტერიტორიებს ქმნის და იმ ადგილებზე მიუთითებს, სადაც ასე უეცრად მთავრდება თემი, მაგრამ რა აუცილებელია ჩვენი წიგნის დახურვა! პირიქით, თუკი მკითხველი, შემდგომი მოვლენების გასაცნობად, ჩვენი პოემის ტერიტორიის თემატურ პროვინციებში მოისურვებს ჩახედვას, წიგნი იქნებ გადაშლილიც კი დარჩეს. შუალედურ სივრცეებში თემატურად შეუზღუდველნი ვართ და რეალურ მკითხველთან თითქმის tête a tête ვრჩებით. მთელი ისტორიის ტერიტორიაზე ეს

ერთადერთი ადგილია, საიდანაც შეიძლება გარე სამყაროს არა-თემატური ჭეშმარიტება ვამცნოთ და გავაგებინოთ, სინამდვილეში ვინ და რანი ვართ.

მეორეც: ჩვენს წიგნებში არსებული ყველა შუალედური სივრცის თეთრ სიცარიელეში კონტრასტული მოქმედებით შეიძლება მკითხველის ყურადღება შემთხვევით წარმოქმნილ, არცთუ ისე მცირე ზომის ბნელ წერტილებსა და ლაქებზე გაგვემახვილებინა. იმის დამტკიცებაც შემიძლია, რომ მსგავს ლაქებთან შეხვედრის შიშნარევი მოლოდინის გამო მრავალი მკითხველი შუალედურ სივრცეებს გაურბის კიდეც. თუმცა გეტყოდით, რომ ზოგიერთი მკითხველი შუალედური ტერიტორიების მიმართ მეტ სიფხიზლეს იჩენს, ვიდრე თემთან და თეთრ სიბრტყემდე ისევე მიდიან, როგორც მორბენალი –მიზანთან. მსგავსი სიბრტყეები მათი მხედველობის არეში ექცევა და ერთხანს მზერასაც არ აცილებენ. ამ დროს მკითხველისათვის მიწოდებული თითოეული ნიშანი – იმ პირობით, თუ ეს ნიშნები საკმარისად კონტრასტულია და მას გარე-მოსაგან თვალნათლივ გამოჰყოფს, – ერთიორად საინტერესო ხდება.

მესამეც: შუალედური სივრცეები სულაც არ წარმოადგენს სიცარი-ელეს. უბრალოდ, ისინი უშუალო თემატურ მასალას არ შეიცავენ, რაც სრულებით არ ნიშნავს, თითქოს წარმოდგენებით ღარიბ სივრცეებთან გვქონდეს საქმე, სადაც მკითხველი თავის საკვებს ვერ იპოვნიდა. ამ ტერიტორიული ზოლების შუა ნაწილში, კლდის გუმბათოვან მწვერვა-ლებზე, სადაც მხოლოდ ჯიხვები ბინადრობენ, ადამიანის სიმაღლე რიგობითი რიცხვითი სახელებია აღმართული და მასზე მომდევნო თემატური პროვინციაა მითითებული. ცხადზე უცხადესია, რომ ისინი მკითხველის მაორიენტირებელი რიცხვებია. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამ თავებისათვის შუალედურ სივრცეებში, სხვა თუ არა, ეს ციფრები მაინც უნდა იყოს საინტერესო. სავსებით რეალუ-რად მიმაჩნია, რომ ჩემს სათამაშო გეგმაში ციფრებს (თომინოში გამოყენებული ნაფოტები, კოზირები, კონტრკოზირები, ტუზები, თამაშის სვლები, – თუ შუალედურ სივრცეებში მათი ნათლად წარმო-ჩენა შევძელი) მკითხველი უდავოდ აითვისებს.

თამაშის მანევრები

მას შემდეგ, რაც ის რეალური შესაძლებლობები გავაცნობიერე, რომელსაც შუალედური სივრცეები მთავაზობს, თემატურ პროვინციებზე უფრო ხშირად იქ დავიარები. თემატურ პროვინციებში

ისედაც არაფერი მესაქმება, რადგან მე-2 და მე-6 პროვინციებში მკვდრად ვითვლები და ჩემი მოკვეთილი მარჯვენის გარდა (რომელიც მეოთხე პროვინციაში წარმოდგენებზე ჩნდება) თავად მე ვერსად მიხილავთ. თუ წიგნი დახურულია და გარედან არავინ გვითვალთვალებს, მთელ ტერიტორიაზე თავისუფლად ღავიარები და ყველა პროვინციაში წარმოდგენებსა და თემის შეკრებებსაც ვესწრები. კატეგორიულად მეკრძალება რეალური თავის მხედველობის არეში მოხვედრა, ან წასაკითხ ტერიტორიაზე გამოჩენა და მუდამ მოვლენების მიღმა, ჩრდილში ვრჩები. სტუმრად სიარული ჩემი და მუნჯი რაინდის თავშესაქცევ საქმიანობად იქცა. ჩვენ, მკვდრები, წიგნის ცოცხალი პერსონაჟების ყურებით ვერთობით და ვაკვირდებით, უჩვენოდ როგორ ვითარდება თემში მოვლენები. ასე რომ, თემს მუდამ ორგვარი მაყურებელი ჰყავს: ერთი – რეალური თავის სახით, რომელიც მას ზემოდან დაჰყურებს და მეორე კი – ჩვენ, მკვდრად მიჩნეულები, თხის მწყემსების მიერ ჩვენთვის საგანგებოდ ამოთხრილი ორმოებიდან მოთვალთვალე, ახალი თემატური ტურისათვის გამოცოცხლებული, მკვდრეთით აღმდგარი, გამოჯანსაღებული პერსონაჟები.

როგორც უკვე მოგახსენეთ, დღეს მე ეს უკვე ნაკლებად მაინტერესებს. თემატურ პროვინციებში დარჩენას შუალედურ სივრცეებში წასვლა მირჩევნია და ვცდილობ, თამაშის გეგმა წინ წავწიო, მისი რეალური თავისთვის მიწოდება შევძლო. შუალედურ ტერიტორიებამდე, რომელიც უშუალოდ პირველ თემატურ პროვინციას ესაზღვრება, ფეხებს ძლივს მივათრევ და საზღვარზე გადასვლისას მკვდრეთით ახლად აღმდგარი ისეთი დაუძლურებული ვარ, რომ თუ მუნჯი რაინდი არ ამომიდგა მხარში, ნაბიჯსაც ვერ გადავდგამ. ჩვენი გზა ძალზე დამქანცველია. მთის აქაფებულ, გიჟმაჟ მდინარეში მოლიპულ ქვებზე წონასწორობას ძლივს ვიცავთ და თუ თავი უღონოდ ვიგრძენი, სულის მოსათქმელად ნაპირზე ჩამოვსხდებით ხოლმე. თხის მწყემსებმაც სწორედ აქ აღმოგვაჩინეს. რა თქმა უნდა, როგორც კი თვალს მოგვკვრავდნენ, მაშინვე ღრიალს იწყებდნენ და მეც იძულებული ვხდებოდი, სასწრაფოდ ჩემს ჩვეულ მდგომარეობას დავბრუნებოდი, რათა მინდიას, თემის სურვილისამებრ, ჩემთვის მარჯვენა მოეკვეთა. შედარებით ლმობიერი თხის მწყემსები თავს მანებებდნენ და მეც ვპირდებოდი, დათქმულ დროს ადგილზე გამოვცხადებულიყავი და მინდიასთვის მარჯვენა ჩამებარებინა. თამაშის გეგმა თვალში რომ არ მოხვედროდათ, მისგან პარკს ვაკეთებდი და, ვითომდა მზისაგან დასაცავად, თავზე ვიხურავდი. მუნჯ რაინდს კი თომინოს ნაფოტებით სავსე ტომარა ხელში ეჭირა, რადგან თუ მოვახერხებდი, თამაშის გეგმა რეალური თავისთვის დამენახვებინა.

შესაძლოა, – ამ აზრს საკუთარ თავსაც კი ვერ ვუმხელდი, – რეალურ თავს მოწყალება გაეღო, სურვილი გასჩენოდა და თავისი რეალური წარმოდგენების საგნად თემის ნაცვლად თომინო გაეხადა.

ამაზე დიდხანს ვფიქრობდი. თემიდან გაქცევის გზაზე ეს იდეალური შემთხვევა იქნებოდა და ნამდვილ ხსნად მოგვევლინებოდა. მკითხველთა თავების წინაშე მხოლოდ ამის შემდეგ თუ შევძლებდით ჩვენ, წიგნის პერსონაჟები ისეთად წარმოვჩენილიყავით, როგორც თამაშის გეგმის ინსტრუქციაში ვართ ნაგულისხმევი და თუ მანამდე მკითხველთა წარმოდგენებს ის ნაბეჭდი ასოები ედო საფუძვლად, რომელიც ჩვენი პოემის ტერიტორიის შესაბამისი წიგნის გვერდებს ფარავს, სადაც ხევსურული თემის უსასრულო და შეუბრალებელი მოვლენებისათვის გამოგვიხმობდნენ ხოლმე, ახლა უკვე, იმავე მკითხველის წარმოდგენებს თომინოს ქვები განაპირობებს და ჩვენც, თავისუფალი (არათემატური), მუდამ განახლებული თომინოს ვარიანტებისათვის გამოგვიწვევენ. ბოლოს და ბოლოს, ჩემი მშვენიერი კოზირებიც (უბრალო, ორმაგი ხელის ჩამორთმევა და ა.შ.) რეალურ წარმოდგენებს დაემთხვეოდა და თემსაც და მკვლელობის საბედისწერო ადგილსაც უკან მოვიტოვებდით.

ამ საკითხთან დაკავშირებით ყველაზე დიდ იმედებს მერანზე ვამყარებ და თუ რეალურმა მკითხველის თავმაც იგი ისევე აღიქვა, როგორადაც მე მას ვხატავ, მაშინ იგი რეალურად შეისხამს ხორცს და ცარიელ შუალედურ ტერიტორიაზე წიგნის ჭეშმარიტ ცხენად გადაისახება, ჩვენ კი ზედ შემოვახტებით და თავის გადასარჩენად, ექვსივე თემატური პროვინციიდან სხვა, უკეთესი თემისკენ გავქუსლავთ. ერთი სული მაქვს, რომელიმე ქისტურ აულამდე მივაღწიო, საიდანაც ჩემს მშობლიურ რეალურ აულში იოლად მოვხვდები. მუნჯი რაინდი მთელი გზნებით შეუდგა ჩემი გეგმის განხორციელებას. დროის უმეტეს ნაწილს შუალედურ სივრცეებში ატარებს, სადაც თხის მწყემსების მეთვალყურეობისაგან თავისუფალი, ასტრონომიითაა დაკავებული. ასტრონომია – ეს არის მოძღვრება თემის ცაზე – რეალური მკითხველის თავების მოძრაობის, მათი განლაგების და ურთიერთმიმართებების შესახებ. იგი შეისწავლის წიგნის თხელ (გამჭვირვალე) ყდას, თემის ცას გარედან აკრავს. მოკლედ რომ ვთქვათ: ასტრონომია ჩვენი წიგნის სამყაროსთან დაკავშირებულ რეალურ სამყაროსა და მის საზღვრებს იკვლევს. ჩვენი ჩანაფიქრი მეცნიერების გარეშე ვერ განხორციელდება. ამისთვის კი საჭიროა ზუსტი მონაცემები გვქონდეს მეტეოროლოგიურ პირობებსა და სინათლის კოეფიციენტებზე, საიდანაც ჩვენი მკითხველი ჩამოგვყურებს. რეალური შუქი მკითხველს მხოლოდ თემს უნათებს და, ცხადია, თამაშის გეგმასაც იგი (რაც უნდა მოხერხებულად ჩამოვკიდო, რომელიმე შუალედური ტერიტორიის

მთის გუმბათოვან მწვერვალზე აღმართული რიგობითი რიცხვითი სახელების გვერდით) რეალურად ვერასდროს შეამჩნევს. აუცილებელია, მკითხველის თავს ნათელი გონება ჰქონდეს და არა ისეთი დახშული ცნობიერება, რის გამოც მას, თემის გარდა, კითხვის პროცესში სხვა დანარჩენი შეუმჩნეველი რჩება. რეალური სინათლის კოეფიციენტი ჩვენგან შედარებით იოლად შეიძლება განისაზღვროს. ამისათვის მუნჯმა რაინდმა რეალური მზის საათისაგან მცირე მოცულობის სისტემა შექმნა, რომელიც ზუსტ ინფორმაციას გვაწვდის რეალური ცის მნათობთა სიდიდისა და ძალის შესახებ. (დრო ჩვენში თემის მიერ დადგენილი ნორმებით იზომება, ასე მაგ: როდესაც ჩვენთან განთიადია, მკითხველთან შუადღე, ან საღამო დგება). გაცილებით რთულია თავად მკითხველის თავის დაზვერვა. ჩვენნაირი თემიდან მათი ზუსტად დანახვა ჭირს. საქმეს ისიც ართულებს, რომ წიგნის პერსონაჟებს, – არც მეტი და არც ნაკლები, – მათთვის შეხედვის უფლებაც კი არა გვაქვს. თხის მწყემსების აკრძალვები დიდი ხანია ყველას ფეხებზე გვკიდია, მაგრამ უცნაური ის არის, რომ ეს წესი ერთხელაც არ დაგვირღვევია. მე ჯიუტი, შეუპოვარი ხასიათი მაქვს და მსგავსი გაუბედაობა თემურ გადმონაშთად მიმაჩნია, რომელსაც, ალბათ, დროთა განმავლობაში დავძლევ. მიუხედავ მთელი რიგი შეზღუდვებისა, მაინც არსებობს გარკვეული შესაძლებლობები, რომ მკითხველის თავი უფრო ღრმად შევიმეცნოთ. მკითხველის რეაქცია ჩვენი თემის მიმართ, სწორედაც რომ, საიმედო ნიშანია. თუ იგი თან გვახლავს, – ასეთ შემთხვევებში, თავი ხშირად დუმს და მის არსებობას მხოლოდ წიგნის ფურცელების შრიალი ამხელს, ჩვენს ამბავს, ხმამაღლა, მგზნებარედ წარმოთქვამს და მისი მჭექარე ხმა მთელს თემს აყრუებს. ისე იქცევა, რომ მისთვის თამაშის გეგმის ჩვენების სურვილი მიქრება. კეთილგანწყობილებას მხოლოდ თემის მიმართ ავლენს და სხვა ვერაფერს ამჩნევს. ისეთი მკითხველიც არსებობს, რომელსაც ჩემი თამაშის გეგმა აღაფრთოვანებს და მას საკუთარი შეგრძნებების გამოხატულებად მიიჩნევს. ასეთი მკითხველისათვის სასაცილოა თემიცა და მისი სევდიანი ამბებიც. მთელ ამ ისტორიას სერიოზულად ვერ აღიქვამს, ანდა ხმამაღლა დასცინის კიდეც. ასეთები, შესაძლოა, ბევრნი არ იყვნენ, მაგრამ არცთუ ისე იშვიათად ჩნდებიან ჩვენი თემის ცაზე. ასე რომ, წარმატების იმედს არ ვკარგავთ. შუალედურ სივრცეში მთის გუმბათოვან მწვერვალებზე აღმართულ რიგობით რიცხვით სახელებს გამალებით ვაკვირდებით, რომლებზეც ჩემი გეგმა მივაკარი. თავდაპირველად თამაშის გეგმა ფურცელზე დავწერე, მაგრამ ქარმა იგი მაშინვე ააგლიჯა და სადღაც, შორს გააფრინა. ამიტომ შევცვალე ქაღალდი ქათქათა ტილოთი – და ზედ თამაშის საგნები საღებავებით მოვხატე. ჩემი გეგმა ექვსივე მწვერვალზე ფრიალებს. სხვათა

შორის, ეს მწვერვალები ზღვის დონიდან ყველაზე მაღალი წერტილებია და თუ შესაბამისმა მკითხველმა ჩამოიხედა, მწვერვალებზე უთუოდ შეამჩნევს გამოკიდებულ დროშებს. სხვა დროს მუნჯი რაინდი დროშებს ხსნის, რათა შემთხვევით, უცხო პერსონაჟმა, ან თხის მწყემსებმა არ მოჰკრან თვალი და ყველაფერი წყალში არ ჩაგვეყაროს.

ალუს მიერ ჩადენილი სისხლიანი მკვლელობის შემდეგ პირველი თემატური პროვინციის განაპირა მხარეს, ცარიელი ტერიტორიის საზღვართან სიცოცხლე მიბრუნდება და ამოსუნთქვისთანავე თვალებით ვეძებ ჩემს დროშას. თუ ყველაზე მაღალ მწვერვალს დროშა ამკობს, მაშინვე ვხვდები, რომ თემის თავზე შესაბამისი მკითხველის თავი გამოჩენილა.

ჩემი დაჟინებული მზერა გასაკვირი არ არის. დროშა ხომ იმიტომ ფრიალებს, რომ შეამჩნიონ. არახელდასხმულნი კი, მაგ: თხის მწყემსები, ანდა წიგნის უბრალო პერსონაჟები შორს ისედაც ვერ იხედებიან. ასე რომ, როდესაც თემატური სიკვდილის შემდეგ კვლავ სიცოცხლეს ვუბრუნდები, როგორც წესი, მთის მწვერვალზე აფრიალებულ ჩემს დროშას ვხედავ, რომელსაც იქ მუნჯი რაინდი ამაგრებს, – ეს უკეთილ-შობილესი ადამიანი, – და ამით მიაგებს პატივს ჩემს მკვდრეთით აღდგომას. ქარში აფრიალებულ დროშას თვალებით ვეალერსები და გული სიხარულით მევსება. თუ ჩემი თამაშის გეგმა ღრუბლებმა დაფარა, ან თვალი მომჭრა მზის ნათებამ და ვეღარ შევამჩნიე, მაშინვე იმედი მიჩნდება, რომ იქნებ მკითხველი შეჩერდა, მწვერვალებიდან ჩამოხსნა და გამოსაკვლევად რეალურ სამყაროში თან წაიღო.

ცხადია, ეს მხოლოდ ჩემი ოცნებებია, რადგან, მუნჯი რაინდის გამოთვლების თანახმად, პირველ და მეორე თემატურ პროვინციებს შორის შუალედურ სივრცეში მსგავსი გამოკვლევების ჩატარების ალბათობა უიმედოდ მცირეა. მკითხველის თავი წინ მომდევნო თემატური პროვინციებისაკენ შეუჩერებლივ მიიწევს, ალბათ, იმ იმედით, იქნებ მოულოდნელმა სიახლემ თემი უფრო ასატანი გახადოს. ჩვენი პოემის (ისტორიის) მესამე პროვინციიდან მეოთხემდე, რეალური თავი კითხვას ანელებს. ამ ზონაში თემი უკვე ისე ღლის მკითხველს, რომ მას რაიმე არათემატურის, მაგ: ჩემი თამაშის გეგმის შემჩნევის თავიც კი აღარ აქვს – მე და მუნჯმა რაინდმა სანგრები გავთხარეთ და მუდამ მზად ვართ, წამოვხტეთ და მკითხველს დავენახოთ, თუ მან ჩვენი რეალური წარმოდგენა ჩემი თამაშის გეგმის მიხედვით მოისურვა. სამალავში მისვლას ყოველთვის ვაგვიანებ: ჯერ ერთი, მკვდრეთით აღდგომას გარკვეული თემატური დრო სჭირდება და მეორეც, მე ხომ სწორედ იმ ადგილას უნდა გადავცე მინდიას ჩემი მარჯვენა, სადაც მკლავენ. ასეთი რამ ჯერ არ

მომხდარა. მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავთ. მას შემდეგ, რაც პიტალო კლდის მწვერვალებზე ჩვენი დროშები ავაფრიალეთ, ამაღლებული განწყობილება არ გვტოვებს და თავი ლამის რეალურ არსებად მივიჩნიო. მეჩვენება, თითქოს თემის ჰაერი კეთილსურნელებით იყოს გაჟღენთილი და ხანდახან, ვიწრო ნაპრალებს შორის, ფართოდ გაშლილ ჰორიზონტსაც ვხედავ. არ არის გამორიცხული, რომელიმე მკითხველი ჩემს გეგმას უკვე გასცნობოდა და დროდადრო მას რეალურ აზრსაც უძღვნიდეს. ამისათვის სრულებითაც არ არის საჭირო მისი მწვერვალებიდან ჩამოხსნა. მკითხველს შეიძლება, თემში უშუალოდ ჩარევა ვერ გადაუწყვეტია – თეთრი შუალედური სივრცეებიც ხომ თემს ეკუთვნის – და შორიახლო უტრიალებს. თავს დავდებ, რომ თამაშის გეგმაზე მონიშნული ზოგი საგანი ცოცხლად წარმოიდგინა. ალბათ, ჩემი ნათქვამი დამაჯერებლად არც ჟღერს და მუნჯმა რაინდმაც დაეჭვებით გადააქნია თავი, როცა ჩემი ვარაუდი გავუმხილე. დაჟინებით ვიმეორებ: ჩემსავით გამჭრიახი თვალი თომინოს რამდენიმე კოზირს, არცთუ ისე იშვიათად რეალურ წარმოდგენებად გარდაქმნის, ანუ ისინი მკითხველის თავის ფანტაზიაში ცოცხლდებიან და თემის სხვადასხვა ადგილებში ჩნდებიან.

მე თვითონ რამდენჯერმე მინახავს საკუთარი თვალით ლურჯა ცხენი, რომელიც პირველი თემატური პროვინციის საზღვართან, ჩემი მკვლელობის ადგილიდან ცოტა მოშორებით, შუალედური ტერიტორიის მთის კალთებიდან დაოთხილი მოაჭენებდა და შემდეგ მინდვრებში მშვიდად იწყებდა ძოვას. ჩვენს თემში მრავალი ასეთი ლურჯა ცხენი კი არის, მაგრამ ასეთ დროს მათ ვერსად შეხვდებით. ისინი ან თავლებში ჰყავთ გამომწყვდეული, ანდა საკუთარი მხედრები დააჭენებენ, თანაც, ხევსურული ცხენები ალაგ-ალაგ ხალებიანია და არა ისეთი უბადლო თეთრი, როგორსაც მე ვხედავ ხოლმე. ხანდახან თეთრ მტრედსაც ვამჩნევ, რომელიც ცაზე წრეს შემოხაზავს და ცხენს აჯდება ზურგზე. თავიდან მოჩვენება მეგონა, მაგრამ ერთხელ ცხენის ჭიხვინისა და მტრედის ღუღუნის ხმაც მომესმა და ახლა უკვე დანამდვილებით ვიცი, რომ ეს ცხენი თეთრი მერანია თავისი მტრედით, ანუ ჩემი საუკეთესო კოზირებია, რომელსაც მკითხველის თავი წამიერად, მაგრამ სისხლსავსედ წარმოადგენს ხოლმე ჩვენს მერანი შავ თემში თემში.

თეთრი მერანი შავ თემში

დღეს ჩემი ერთადერთი საზრუნავია, რომ თეთრი მერანი თხის მწყემსებმა ვერ შეამჩნიონ. ლურჯა ცხენი და მტრედი ჩვენი თემის მუდმივი ბინადარნი ჯერ არ გამხდარან, ამიტომ მათი გამოჩენა თემში

ნაადრევი იქნებოდა. ისინი ისევე წამიერად ჩნდებიან და ქრებიან, როგორი სისწრაფითაც მათ ერთი, ან რამდენიმე მკითხველი წარმოიდგენს. ხოლო მათი დანახვით გაოგნებული თხის მწყემსები უთუოდ თემის შემოწმებას მოისურვებდნენ და – ღმერთმა დამიფაროს – მთის მწვერვალზე დროშასავით აღმართულ თამაშის გეგმასაც შეამჩნევდნენ. ეს კი საბოლოოდ დაუსვამდა წერტილს თემში მკითხველის მიერ ჩემი საუკეთესო კოზირების რეალურად წარმოდგენის შესაძლებლობებს და პოემიდან (ისტორიიდან) თავის ხსნის ყველა იმედი საბოლოოდ დასამარდებოდა. დროებით მათზე წიგნის არცერთმა პერსონაჟმა, თვით ალუმაც კი, არაფერი არ უნდა იცოდნენ, რადგან თუ რამე წამოსცდათ, თხის მწყემსების ყურამდეც მიაღწევს. თუ რეალურმა მკითხველის თავმა თეთრი მერანი ისევე მჭიდროდ დაუკავშირა ჩვენს ისტორიას, როგორც სხვა დანარჩენი თემატური ცხენები – ვთქვათ ის რაშები, რომელზე ამხედრებულებიც, მე და ალუ ერთმანეთს ვესხმით თავს – მაშინ ჩემთვის უკვე სულ ერთი იქნებოდა, აღმოაჩენდნენ თუ არა მას თხის მწყემსები. ისინი თეთრ მერანს ვეღარაფერს ავნებდნენ, რადგან იგი უკვე თემში მკითხველის ჩანაფიქრად გადაიქცეოდა და წიგნის პერსონაჟების სხვა დანარჩენ ცოცხალ არსებათა მსგავს ღირებულებებს შეიძენდა. მერანის განაწყენება მკითხველთან შეჯახებას მოასწავებდა, რასაც ძალაუფლების მქონე თხის მწყემსებიც კი ვეღარ გაბედავდნენ. ამიტომ ჩვენს თემში თეთრი მერანის საბოლოოდ დამკვიდრებამდე მის შესახებ არავინ არაფერი უნდა იცოდეს.

თუ თეთრი მერანი თემის ტერიტორიაზე გამოჩნდა, ქვებს ვუშენ და უკან, შუალედური სივრცეებისაკენ მივერეკები. ისეთი თავხედია, ხშირად შუაგულ თემშიც შემოჭრილა და მანამ გაუჩინარდებოდა, შიშისაგან ოფლად ვიღვრებოდი. ერთხელ მე და მუნჯი რაინდი წარმოდგენიდან გათავისუფლებულ პერსონაჟთან და თხის მწყემსებთან ერთად, – მკითხველი სწორედ მეხუთე თუ მეექვსე პროვინციის ამბებს კითხულობდა – თომინოს მაგიდას ვუსხედით, რომ უეცრად ღობიდან მერანმა თეთრი თავი ამოჰყო. საბედნიეროდ, შემთხვევით ზურგშექცევით ვისხედით და თანაც ყველა ისე იყო თამაშით გართული, რომ შეუმჩნევლად წამოდგომა მოვახერხე, ღობეს შემოვურბინე და მერანის პირისპირ აღმოვჩნდი. ასე ახლოს მასთან არასდროს ვმდგარვარ. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ძლივს შევიკავე თავი, ზურგზე არ მოვქცეოდი და თემიდან და თომინოდან უკანმოუხედავად არ გამექროლებინა. ხევსურული ისტორიიდან თავის დასაღწევად მერანი მთელი წიგნის სამყაროში გადაადგილების ერთადერთი საშუალებაა. რადგან შავი მერანი ერთხელ უკვე ვიწვნიე, თეთრს ასე უბრალოდ აღარ მივეკარებოდი.

მერანი მერანია, გინდა შავი და გინდა თეთრი, რაც უნდა იყოს, ის მაინც ხევსურული ჯიშია და თუ წინასწარ არ იცი, რას გიპირებს, სჯობს არც გაეკარო. ჯერ დავუმეგობრდები, მის გულს შაქრით მოვინადირებ, მოვიჩვევ და თუ დავრწმუნდები, რომ იქით გამაჭენებს, საითაც მინდა, ანუ ხევსურული თემის საზღვრებს გადამაქროლებს, ზურგზეც მაშინ მოვახტები. თანაც იმ წუთას მარჯვენა ხელიც მაკლდა. მინდიამ მომკვეთა და ბოლო პროვინციაში გააქანა, სადაც ასე სჭირდებათ თემატურად. ასე რომ, მერანზე ცალი ხელით ამხედრება სრული სიგიჟე იქნებოდა.

ცხენზე უფრო მეტად მტრედი მაწუხებს. მუდამ ჩემს თვალწინ დაფრინავს და ნერვებს მიშლის. ვინ მოგცემს იმის პირობას, რომ მტრედს თეთრი მერანიც არ მოჰყვება? თვით ყველაზე დაბნეული მკითხველის თავიც კი, მტრედის გაფიქრებისას, მაშინვე თეთრ მერანს წარმოიდგენს. აი, პირიქით კი უფრო დასაშვებია. ლურჯა ცხენი თემის გზებზე მრავალჯერ შემხვედრია ფრინველის გარეშე. თავისთავად მტრედი არანაირ ეჭვს არ აღძრავს (თემში თეთრი და ცისფერი შეფერილობის უამრავი მტრედია), მაგრამ ის ხომ აშკარად თვალშისაცემია, – თომინოს თამაშის დროს, თუ თეთრი მერანისათვის მტრედი დამაკლდა, უღრუბლო ცაზე გავარდნილი მეხივით, ისიც მაშინვე იქ ჩნდება და ჩემს გვერდით ჩამოფრინდება. ხანდახან მხარზეც ჩამომასკუპდება ხოლმე და იქიდან დაჰყურებს თომინოს ქვებს. მოთამაშეებსაც მეტი არ უნდათ და თავიანთ სრულიად საფუძვლიან ეჭვს ხუმრობით გამოსთქვამენ. „შეხედე, შეხედე, მუცალმა თავისი ქვები გააცოცხლა!". „მუცალო, ეხლა კი შეგიძლია აქედან (იგულისხმება, თემიდან) მოუსვა, ნახე, ჩიტმა მოგაკითხა. ერთი შეხედე, როგორ იბღინძება, მიდი, საკენკი დაუყარე". – ასეთი და მსგავსი ლაზღანდარობა სულს მიფორიაქებს, გულზე მხვდება და მაგრძნობინებს, რომ ეს მხოლოდ ხუმრობით ნათქვამი სიტყვები როდია. ხშირად ცხენსაც გადასწვდებიან და მტრედის დანახვისას მეუბნებიან:„მერანი რაღა უყავი?" ანდა ,ჩიტი უკვე მობრძანდა, ეხლა ის ჯაგლაგიც გამოჩნდება". თავიდან ფრინველი მხოლოდ ჩემთან მოფრინავდა და მეც, ეჭვების გასაფანტად, ჩემს საკუთარ, მოშინაურებულ მტრედად ვასაღებდი. ერთხანს ყველამ დაიჯერა, მაგრამ შემდეგ კი, თუ რომელიმე მოთამაშეს კორელაციური ქვა დააკლდებოდა, ისიც მაშინვე თავზე, ზურგზე, ან მხარზე დააფრინდებოდა ხოლმე. ბუნებრივია, ეს არავის დარჩენია შეუმჩნეველი და თემში მას მფრინავი ნაფოტი შეარქვეს. ზედმეტსახელად პაწაწუნა ნაფოტს ეძახიან და ენის წკლაპუნით მოუხმობენ ხოლმე. ბევრს იგი მართლაც ჩემი საკუთრება ჰგონია, მაგრამ მე მაინც დღითიდღე ვკარგავ მოსვენებას. თემში ნაფოტს მყიდველებიც გამოუჩნდნენ და სანაცვლოდ

ფანტასტიკური რაოდენობის თხებს მთავაზობენ. საეჭვოც სწორედ ეს არის. ყველა ხვდება, რომ მტრედი ჩემზე უფრო მეტად თომინოსთან არის დაკავშირებული. მე კი განვაცხადე, რომ ჩემს ქვას მთელი თემის თხის ფარაზეც კი არ გავცვლიდი. დაჟინებულმა უარმა მათი ცნობისმოყვარეობა ერთიანად გაზარდა. მტრედის გამო თომინო დღეს უჩვეულო აღმავლობას განიცდის. თამაშის სურვილი ყველას გაუჩნდა, რადგან საკუთარი თვალით სურთ ნახონ, როგორ დააჯდება ფრინველი მაშინვე იმ მოთამაშეს, ვისაც კი თეთრი მტრედი დასჭირდება. ლოგიკურია, რომ ყველას ჩემი საუკეთესო (თეთრი) კოზირი ურჩევნია. თეთრ კოზირებს უამრავი პრეტენდენტი ჰყავს და ისიც შეშლილივით დაფრინავს მოთამაშეთა შორის. თეთრი კოზირი ერთადერთი საშუალებაა, რომ მოთამაშემ თომინოს თხების წაუგებლად დააღწიოს თავი. მისი მოთხოვნის უფლება კი მხოლოდ იმ მოთამაშეებს აქვთ, ვისაც ხელთ უხვირო ქვები უჭირავთ და, ამდენად, წაგების რეალური შანსი აქვთ. თუ მოთამაშესთან ფრინველი მოფრინდა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მას თომინოში შესაბამისი ნაფოტი მოუვა. წიგნის პერსონაჟთა ამ სისუსტეს ზოგი გაიძვერა თავის სასარგებლოდ იყენებს და სათამაშოდ მხოლოდ იმიტომ ჯდება, რომ შემდეგ თეთრი მტრედის თაყვანისმცემლებს ფრინველი თხების საფასურად მიჰყიდოს. მე და მუნჯმა რაინდმა ბევრი ვიმტვრიეთ თავი, რათა ამგვარი ბინძური ვაჭრობა როგორმე აღგვეკვეთა. ჯერ ვფიქრობდი, თომინოს ყველა პარტია თემატური გამეხადა, მაგრამ გამოსავალი არც ესაა, რადგან თემატური თომინოს ყველა კოზირი, რომელიც მოთამაშეთა თემატური ბედისწერის ხაზს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, – ასეთია სწორედ, თეთრი მერანი და მტრედი (ანუ, მათი შესაბამისი ქვები) – სრულიად ზედმეტი ხდება. თანაც თავად მტრედი დღემდის თემატური თომინოს არც ერთ პარტიაში არ გამოჩენილა. არსებობს კიდევ ერთი გზა ამ ნაძირალების ასალაგმად. როგორც კი ეს სპეკულანტები თომინოს მიუსხდებიან, ქვები მაშინვე უნდა მოვაცილო იქაურობას. მართლაც, რამდენჯერმე, ქვები დაუფიქრებლად ჩავტენე ზურგჩანთაში, მუნჯ რაინდს ფრინველი წავაყვანინე და ამ გზით მრავალი მოთამაშე თხების წაგებისაგან ვიხსენი. ცხადია, ქვის თაყვანისმცემელმაც და სპეკულანტებმაც ერთი ვაიუშველებელი ატეხეს. იმუქრებოდნენ, სასოწარკვეთილი ხმით ითხოვდნენ ფრინველს, მაგრამ ჩემს შეჩერებას ვერავინ ბედავდა, რადგან თემში იგი ჩემს საკუთრებად ითვლება. ფრინველი მხოლოდ მაშინ შემიძლია მოვაშორო თომინოს, თუ იგი სადმე, ჩემს მახლობლად ზის, ხოლო თუ ვინმესთან მიფრინდა, მაშინ ვეღარ ვიჭერ. ეს კი ხშირად ხდება. მტრედი მაგიდის გარშემო დაფრინავს და იმ მოთამაშეებთან მიფრინავს, ვისაც წინ მისი შესაბამისი ქვა უდევს. თუ

მიუახლოვდი, მაშინვე აფრინდება და ყველაზე მაღალი სახურავიდან ელოდება ჩემს წასვლას, რათა მაშინვე იქ დაბრუნდეს, სადაც „თეთრი მტრედია" საჭირო. ფრინველს უშედეგოდ, ჯიუტად დავდევ და მის გამო ყველა დამცინის. ამასწინათ აზრად მომივიდა, თამაშიდან ამომეღო „თეთრი მტრედის" შესაბამისი ქვები. ვფიქრობ, ამ ნაძირალებისაგან თავის დასაღწევად ეს ერთადერთი საიმედო საშუალებაა. სულ ცოტა ხნის წინ ერთი შემზარავი ამბავი მოხდა, რომელმაც კინაღამ წერტილი დაუსვა თემიდან ჩემი გაქცევის ოცნებას. კიდევ კარგი, ბეწვზე გადავრჩი. სწორედ ამან მაიძულა, რადიკალურად შემეცვალა ჩემი დამოკიდებულება თეთრ მერანთან და მისი ქვა თომინოდან კარგა ხნით მომეშორებინა.

გიგლეგთან

სწორედ ის მოხდა, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა და რასაც გავურბოდი. მუნჯი რაინდი მუდამ სადარაჯოზე იდგა და თეთრ მერანს უთვალთვალებდა, რომ გამოჩენისთანავე დაეფრთხო თემის ტერიტორიიდან. ერთხელ თომინოს მაგიდას წიგნის აბსოლუტურ მეორეხარისხოვან პერსონაჟებთან ერთად ვუჯექი, როცა მას მოვკარი თვალი. ეს ამბავი მაღალმთიან ხევსურულ სოფელში მოხდა. მთელი დღე ალუსთან ერთად ვნადირობდი. შემდეგ კი მოულოდნელად მკითხველმა ჩვენი წიგნი ლექსის ტერიტორიის მეექვსე პროვინციაზე გადაშალა და ალუც იძულებული გახდა, დაუყონებლივ იქ გაჩენილიყო. ¶გი ხომ მთავარი პერსონაჟია და ყველა მოვლენებში მონაწილეობს, მე კი ნანადირევი ჯიხვებით იმ ადგილას აღმოვჩნდი, რომელსაც ჩვენი თემის მთავარი მოვლენები არც კი შეხებია. ადგილობრივ მაცხოვრებელთაგან ლექსისა თუ ისტორიის ტერიტორიაზე არასდროს არავინ გამოჩენილა და, ცხადია, მეც არავის ვიცნობდი. როგორც კი სოფელში ჩავედი, მაშინვე დუქნისკენ გავემართე, ანუ, მორყეული სკამებითა და მაგიდებით გაწყობილი ადგილისაკენ, რომელიც დუქნის მაგივრობას სწევდა. აქ ადგილობრივ ხევსურ გლეხებს მოეყარათ თავი. მე ყველა მიცნობდა. ალბათ, ჩვენი ლექსის ტერიტორიის მთავარ მოედანზე თუ ვყავდით ნანახი, როდესაც წიგნი იხურება და ჩვენც, შინაგანად თავისუფალნი, პირადი ცხოვრებისათვის ვიცლით. ყველა იმდენად ჰგავდა ერთმანეთს, ვერც განასხვავებდა კაცი. არც არის გასაკვირი! ასეთ მივარდნილ ადგილებში ხომ ძირითადად სისხლით ნათესავები ცხოვრობენ. არ შეგიმჩნევიათ, რომ რაც უფრო მეორეხარისხოვანია პერსონაჟი, მით უფრო ემსგავსებიან ერთმანეთს და სადაც უნდა გადასახლდნენ, მათი

წასვლით თემს დიდი არაფერი დააკლდება! ალბათ, სათქმელადაც არ ღირს, რომ ყველას ერთნაირად ეცვა. გლეხები ფერადი ძაფებით მოქარგულ ხევსურულ ტანსაცმელში გამოწყობილიყვნენ და წელზე შემორტყმულ ქამარზე ტყვია-წამლის აბგა ეკიდათ, აბგაზე კი თემის ემბლემა ამოექარგათ. მათში ყველაზე ახალგაზრდა ოცდაათი წლისა იქნებოდა, ხოლო ყველაზე ხანდაზმული კი – სამოცისა.

სახელიც ერთნაირი ჰქონდათ. ყველას გიგლა ერქვა. ისინი წყვილ-წყვილად შემოდიოდნენ და ჩემს გარშემო საპატიო წრეს კრავდნენ. მე კი წრის შუაგულში ნანადირევი ჯიხვებით დატვირთული ვიდექი. ნანადირევი კი მერე ადგილობრივმა ჩასუქებულმა მზარეულმა მადის აღმძვრელ მწვადად აქცია. სოფლის თავკაცმა ჩემს პატივსაცემად ერთი მომცრო კასრი არაყი მოიტანა. პოემაში ღვინის უქონლობის გამო, ყველა ამ საზიზღარ, შინნახად არაყს სვამს. იქაურების ყურადღება მესიამოვნა და გადავწყვიტე, იმ საღამოს მეც კეთილგანწყობა გამომეჩინა. გიგლების გარდა იქ, რა თქმა უნდა, თხის მწყემსებიც იყვნენ, ანუ ისინი, ვინც ჩემი და ალუს ნადირობას შორიდან უთვალთვალებდნენ და რომლებმაც შემდეგ ალუ სასწრაფოდ მეექვსე ფინალურ პროვინციაში გაამწესეს. ერთ-ერთმა მათგანმა ალუ საიდუმლო ბილიკით წაიყვანა (ამ ბილიკს მხოლოდ თხის მწყემსები იცნობდნენ, რომელიც ჩვენი უზარმაზარი პოემის ტერიტორიაზე მიმავალ გზას იმდენად ამოკლებს, რომ პირველი პროვინციიდან მეექვსეში მოსახვედრად სულ რაღაც ხუთი წუთია საჭირო). დანარჩენები მწვადის საამურ მოლოდინში იზმორებოდნენ. სოფლის თავკაცმა ჩაის ჭიქები ჩამოარიგა და არყით პირთამდე აავსო. მე, როგორც საპატიო სტუმარს, ორი ჭიქა მერგო, და მაშინვე ბოლომდე გამომაცლევინეს. ჩამავალმა მზის სხივებმა მთის წვერები შეაწითლა. ჩვენ ზემოთ, ნაძვნარში ვისხედით და თვალწინ გადაშლილი პოემის ტერიტორიის ხეობებისა და ველების ცქერით ვტკბებოდით. პირველი ოთხი პროვინცია მაინც მშვენივრად მოჩანდა. იმ შეგრძნებით ბედნიერმა, რომ თემიდან შორს ვიმყოფებოდი, ორივე ჭიქა სულმოუთქმელად გამოვცალე და მაშინვე შევთვერი. გიგლებიც ყოჩაღად სვამდნენ და დროდადრო მწვადსაც წაატანდნენ ხოლმე ხელს. შემდეგ დოლიც დაუკრეს. მის ხმაზე ხევსურები წამოიშალნენ და ბალახზე რიტმულად დაიწყეს ბუქვნა.

არაყი თავში აგვივარდა. მე უკვე მეთხუთმეტე ჭიქაზე ვიყავი. ეს კი ის მდგომარეობაა, რომელიც, პირველ რიგში, კაცს თვალებზე ეტყობა. მეც ასე დამემართა. გიგლებს გაორებულად ვხედავდი, თვალები ამიჭრელდა. თემის ოთხივე პროვინცია ერთმანეთში ირეოდა და აქეთ-იქით გადაყირავებულ მთის მწვერვალებს ვხედავდი. თხის მწყემსებიც

გვარიანად გამოთვრნენ. ერთ-ერთი მათგანი გარეთ გამოვიდა და ფუნით სავსე ორმოში თავდაყირა ჩავარდა. იქიდან რომ ამოფოფხდა, ფუნაში ამოგანგლული აუტანლად ყარდა. ორ თუ ოთხ გიგლას (შეიძლება ერთიც კი იდგა) ჩემს სევდიან ისტორიას ვუყვებოდი – როგორ აღმოვჩნდი მათ თემში. თხის მწყემსებს ყურადღებას არ ვაქცევდი. ისინი კი იქვე იდნენ და ჩემი ხმა კარგად ესმოდათ.

ლაპარაკი ჩემთვის არავის აუკრძალავს, მაგრამ მწყემსებს არ უყვართ, როცა თემში ამ თემას ვეხები. ხშირად სიტყვას მაწყვეტინებენ და ცდილობენ, ჩემი ხმა დოლის ბრახუნითა და სალამურით ჩაახშონ. თუ ამანაც არ უშველა, მაშინ თავაზიანად მეუბნებიან: „თუ შეიძლება, მეტი ილაპარაკეთ თემზე!" ამ სისულელის გამო, ცხადია, მათ გაღიზიანებას არ ვაპირებ; მაგრამ სასმელთან ლაპარაკის საღერღელი მეშლება და მთვრალს ეს ამბავი არაერთხელ მომიყოლია. ჩემს ისტორიას თემში ისე არ ხვდებიან, როგორც მოველი. ყველა ფრთხილობს და რაიმე აზრის გამოთქმისაგან თავს იკავებს. იმ გულწრფელი თანაგრძნობის გარდა, რომელსაც ალუ და მინდია იჩენენ ჩემს მიმართ, სხვა დანარჩენ მსმენელში, როგორც წესი, ცუდად შენიღბულ გულგრილობას ვაწყდები. სიმთვრალეში ყველას მინდა გავაგებინო, რა მტარვალი ურჩხულიცაა მათი მერანი და განურჩევლად ყველას ამაზე ველაპარაკები. ამჯერადაც ასე მოხდა. გიგლებს მერანით ჩემს იძულებით ჭენებაზე ვუყვებოდი და, ის-ის იყო იმის თქმა დავაპირე, თუ როგორ გამომაქროლა მათ თემში ცხენმა, რომ უეცრად, ერთ-ერთი თხის მწყემსი ჯგუფს გამოეყო, მომიახლოვდა და ღიმილით თომინოს თამაში შემომთავაზა. გიგლები აენთნენ. ის ფაქტი, რომ გიგლებიც იცნობდნენ ჩემს თომინოს, ძალზე მესიამოვნა და თომინოს ქვებით სავსე პატარა ტომრის მოტანას დავპირდი, რომელიც წამოღებულ ბარგში მედო. თხის მწყემსს ვიღაცამ დაუძახა. გადავწყვიტე, მესარგებლა და გიგლებისთვის ჩემი ისტორია ბოლომდე მომეთხრო, – თუ როგორ აღმოვჩნდი მათ თემში ალუს დამიზნებული სანადირო თოფის წინაშე, მერანის წყალობით. მოყოლისას ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს გიგლები ჩემს ნათქვამს წესიერად ვერც კი იგებდნენ. ვიგრძენი, რომ თემსა და თომინოს ერთმანეთში ურევდნენ და ეგონათ, თამაშის მსვლელობაზე ველაპარაკებოდი. ბოლოს ერთმა მეტიჩარამ ისიც კი მითხრა, თუ გინდა გადარჩე, შავი მერანიდან თეთრზე გადაჯექი და Schisch გამოაცხადეო. სიმთვრალისაგან ენა დამება და თვითონაც ველარ ვხვდებოდი, თემზე ვლაპარაკობდი თუ თომინოზე. ალბათ, ამანაც აურია თავგზა გიგლებს.

ფუჭი ლაპარაკით დავიღალე და იმედგაცრუებულმა ზურგჩანთიდან ხის ნაფოტები ამოვაწყვე. მანამ გამოვაჩენდი, კიდევ ერთხელ დავ-

ფიქრდი, ხომ არ აჯობებდა თეთრი მტრედი (ხის ნაფოტი) საერთოდ მომეშორებინა თამაშიდან. სწორედ ის პერიოდი იყო, როდესაც ნამდვილი ფრინველის პროგრამულმა გამოჩენამ თომინოს მოთამაშეებში უამრავი ეჭვი აღძრა და ამიტომ გადავწყვიტე, დროებით, ცოტა ხნით მაინც, ხის ნაფოტთა შორის უპირველესი ტომრიდან არ ამომეღო. გიგლებისთვის მტრედის გადამალვა სავსებით დასაშვებად მიმაჩნდა. ამიტომ მოვინდომე, მისი შესაბამისი ხის ნაფოტი ტომარაში სასწრაფოდ უკან ჩამედო. თემს, თომინოს და, რაღა თქმა უნდა, ქვებსაც გაორებულად თუ გასამებულად ვხედავდი და როგორც კი ხის ნაფოტებს ხელის ჩავლებას დავუპირებდი, მაშინვე მისხლტებოდა და ჰაერში ვფათურობდი. ასე მეგონა, ხის ნაფოტებმა ფრთები გამოისხეს და აქეთ-იქით დაფრინავენ– მეთქი. ამ დავიდარებაში გართულს თავზე რამდენიმე გიგლა წამომადგა და, რადგანაც არაფრის თქმა არ მინდოდა (არ შემეძლო), ქვები, მეორე მხარეს, დიდი მაგიდისაკენ წაიღეს, სადაც ნავთის ორი ლამპა მხიარულად ციმციმებდა. თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ იქნებ ის მკითხველი, რომელიც სადღაც, მეექვსე პროვინციის დასასრულს კითხულობდა, ის არ ყოფილიყო, რომელსაც ჩემი დროშა აღმოეჩინა და თეთრი მერანი და თეთრი მტრედი რეალურად წარმოედგინა, და თუ ეს მაინც ასე იყო, მეექვსე პროვინციაც და ჩვენი ადგილსამყოფელიც ხომ იმდენად შორს იყო ერთმანეთისაგან, რომ ქვა – მერანზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩვენამდე ასე ადვილად ვერ მოაღწევდა. ასე რომ, სათამაშოდ დავსხედით.

ქვები ჩამოარიგეს. არაყს ისევ ჩაის ჭიქებით ვსვამდით, შემდეგ მოთამაშეები ფსონსაც ჩამოვიდნენ და სულ მალე მაგიდა Schisch-მა, Doubleschisch-მა და ათასნაირმა კომბინაციამ დაამშვენა. მე ორჯერ გამმაცხადეს მოკლულად და გაცოცხლებამდე მშვიდად ვაგრძელებდი არყის სმას. თანაც გულაჩუყებული ვფიქრობდი მუნჯ რაინდზე, რომელიც, ალბათ, მთებზე გრიგალში იდგა და ჩემს დროშას აფრიალებდა. როგორც ჩანს, ნაფიქრალი სმის დროს ხმამაღლა წამომცდა და ორმა თხის მწყემსმა ცნობისმოყვარედ გადმომხედა. ჩემზე მეტად თვითონ გამომთვრალიყვნენ. როგორც კი რომელიღაცა გიგლამ არაყი ჩამოუსხა, მაშინვე მიმივიწყეს კიდეც. გალეშილი გიგლები ეყარნენ და თამაშს საბოლოოდ გამოეთიშნენ. თხის მწყემსების უმრავლესობას თავი თომინოს ქვებზე დაედო და ხვრინავდნენ. მხოლოდ ექვსი თუ შვიდი მოთამაშე იყო საღ გონებაზე და გაბოროტებულები ქვებს მაგიდაზე აქეთ-იქით დაარახუნებდნენ, თან წამდაუწუმ მეძახდნენ და თამაშის წესების ახსნას მთხოვდნენ. მე მაგიდის მეორე მხარეს ვიჯექი და იქიდან ვპასუხობდი ხმამაღლა, თან ოფლად ვიღვრებოდი და ქვებს ისე

ჩამოვდიოდი.

ჩემი ქვებით ვერც ერთი ხელის ჩამორთმევა ვერ მოვიგე. საღი ინსტინქტი მკარნახობდა, რომ თამაშის გაგრძელების შემთხვევაში, წაგება გაუგონარ მასშტაბებს მიაღწევდა და იძულებული გავხდებოდი, გიგლებისთვის მთელი ჩემი საქონელი გადამეცა. თანაც დავეჭვდი, რომ ინფორმაცია, რომელსაც თამაშის განმარტებისათვის ასე ხალისით ვიძლეოდი, გიგლების მდგომარეობას აუმჯობესებდა, ჩემს ქვებს კი შანსს აკარგვინებდა, რაც გარდუვალი წაგების წინაპირობა იყო. მივხვდი, რომ გიგლების დაგებულ მახეში გავები და მრისხანებისაგან თავგზა ამებნა. გადავწყვიტე, გავჩუმებულიყავი და თუ რამეს მკითხავდნენ, ხმა აღარ ამომეღო. უბედურება კი გარდაუვალი იყო.

ჩემი ქვები გიგლების Schisch-ისა და Doubleschisch-ის ძლიერი დარტყმების მსხვერპლი ხდებოდა და მეც თავს ვერაფრით ვიცავდი. ვერც„თეთრი მერანი" და ,,თეთრი მტრედი" ჩავიგდე ხელში. ამ ქვების მოგება ბევრჯერ კი შემეძლო, მაგრამ როგორც კი გადაცოცებას დავაპირებდი, გიგლები გამარჯვებული სახით გუდანის ჯვარს მიჩვენებდნენ და მეც იძულებული ვხდებოდი, თომინოს დავბრუნებოდი. მინდოდა, თამაშისათვის თავი დამენებებინა და ქვები მომესროლა, მაგრამ გამახსენდა, რომ რომ უკვე მესამე პარტიაზე ვიყავით და გუდანის ჯვარს ძალა აღარ ჰქონდა.

გადარჩენის რეალური შანსით წახალისებულმა უკანასკნელად მოვითხოვე თეთრი მერანი და მტრედი. ეს კოზირები რომ პირველსა და მეორე პარტიაში მომსვლოდა, ახლა ლოდინი მომიწევდა და მოუთმენლობა დამტანჯავდა. თეთრი მერანი და თეთრი მტრედი, რომ აღარაფერი ვთქვათ ორივეზე ერთად, ჩემდა საუბედუროდ, ამ ქვებში აღარასოდეს იქნებოდა და თუ ისინი გიგლების ქვების გვერდით აღმოჩნდებოდა, თამაშიც მომთავრებული იყო. ქვების ამორჩევის ჯერი რომ დგებოდა, მოუსვენრად ვიწყებდი წრიალს, მაგრამ არც მერანი და არც მტრედი არც ერთხელ არ ამომსვლია. უეცრად ეჭვი გამიჩნდა: – გიგლებმა ეს ქვები მაგიდიდან ხომ არ გადამალეს– მეთქი. ამის გაფიქრებაზე გავფითრდი და მოთამაშეებს ხელებში მივაშტერდი. ყველაფერს გაორებულად ვხედავდი, მაგრამ გამოთვლა მაინც მოვახერხე და მივხვდი, რომ მაგიდაზე გაცილებით ნაკლები ქვა იდო, ვიდრე ამას თამაშის გეგმა გულისხმობდა. სიძულვილისა და მრისხანებისაგან ყელში ბოღმა მომაწვა. აღარ ვიცოდი, წამოვმხტარიყავი, გიგლებს მივვარდნოდი, თუ მაგიდა ამეყირავებინა, სიბნელეში გავუჩინარებულიყავი და გაქცევით მეშველა თავისთვის. ორივე შეუძლებელი იყო. გიგლები აუცილებლად დამიჭერდნენ და მაგრად მიმბეგვავდენენ. მერე ვიღას დააჯერებდი, რომ წაგებულის

გადახდისაგან არ ვაპირებდი თავის დაძვრენას? გიგლებს სიმართლეს პირში ვერ მივახლიდი, ჯერ ერთი, ყურადღებას არ მომაქცევდნენ და მეორეც, სიმთვრალისაგან ქვებს ყველა გაორებულად ვხედავდით. ასე რომ, ფაქტები გიგლების სასარგებლოდ ლაპარაკობდა. ფხიზელი მოსამართლის მეტი ვეღარავინ მიშველიდა. სოფლის თავკაცი, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენელი იყო, დიდი ხანია მაგიდის ქვეშ ეგდო მთვრალი. თამაში დასასრულს უახლოვდებოდა. მე ბოლო არჩევანი უნდა გამეკეთებინა, რის შედეგადაც საბოლოოდ გადაწყდებოდა ჩემი ყოფნა-არყოფნის საკითხი. აკანკალებული თითები ოთხ ნაფოტს ზევიდან დავადე ისე, რომ ქვები არც გადმომიბრუნებია. სიჩუმე ჩამოვარდა. გიგლები დამშეული მგლის ხროვასავით მომაჩერდნენ.„სანაცვლოდ შენი მარჯვენა უნდა დატოვო,"– თქვა ერთ-ერთმა მოზეიმე ხმით.„როცა ცხვრებს მოიყვანენ, მარჯვენასაც მაშინ დაგიბრუნებთ". სიამოვნებით გავარტყამდი ამ ნაძირალას სახეში, მაგრამ თავს მოვერიე. ხევსურთა თემი არასდროს მძულებია ისე, როგორც იმ წუთს! ისიც დამთრგუნველად მოქმედებდა ჩემზე, თუ რა უიმედოდ თემატური იყო საშუალო ფენა ჩვენს ისტორიაში. ეს გიგლები ჩვენს თემაში არანაირ მონაწილეობას არ იღებდნენ და არც ერთ მკითხველის თავი მათ მიმართ სერიოზულ დაინტერესებას არ იჩენდა. სწორედ ამიტომ იყო მათგან მოსალოდნელი თავისუფალი აზროვნება და აზრის თამამად გამოთქმის სურვილი. მოვლენებთან დისტანციურ დამოკიდებულებას მათთვის კრიტიკული შეფასების უნარი უნდა განევითარებინა. ამის ნაცვლად კი ირონიულად ლაპარაკობდნენ ჩემს თემატურ წარუმატებლობაზე და მზად იყვნენ, ასევე (თემატურად) მომქცეოდნენ. ვინმეს რომ მათი არყით შეშუპებული სახეებისათვის შეეხედა, მაშინვე ირწმუნებდა ჩემს ნათქვამს. ვალში რომ არ დავრჩენილიყავი, საკმაოდ მტკიცე ხმით განვუცხადე:„თქვენს თემში ჩემი მარჯვენის მოკვეთის უფლება ერთადერთ მთავარ პერსონაჟს აქვს. თქვენ თვითონ იცით, ვის, მხოლოდ მინდიას– მეთქი.„ამჯერად ამ როლს რომელიმე გიგლა შეასრულებს", – დაიგუგუნა ყველამ ერთხმად.

„ჩვენც გვყავს აქ მინდია", – თქვა რომელიღაცამ. – „ვინ"? –„ვინ და მეწაღე, იმასაც მინდია ჰქვია". შემდეგ მე მომიბრუნდა:„სწორედ ის შეასრულებს ამ როლს, ყველაფერი რომ თემატურად ჩატარდეს!" მინდიას მოსაყვანად კაცი გაგზავნეს. „მოითმინეთ"! დავიყვირე და ორი ქვა უგერგილოდ გადმოვატრიალე – ისევ შეცდომა დავუშვი სიმთვრალის გამო – არც მერანი ამომივიდა და არც მტრედი! გიგლებმა კმაყოფილების ნიშნად თავი დაიქნიეს. სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი. მაგიდის ქვეშ ხელში ჩაბღაუჭებული ხმალი მეჭირა. ამ ნაძირალებს მარჯვენას ცოცხალი თავით არ დავუთმობდი, – რაც სხვათაშორის, უფრო თემატურიც იქნებოდა. სანამ

ხელს მომჭრიდნენ ჩემი ხმლის სიმწარეს ვაგემებდი. „თხის მწყემსები ამას არ დაუშვებენ“, რაც შეიძლება ხმამაღლა ვთქვი, იმ იმედით, რომ იქნებ მწყემსებსაც გაეგოთ, რომლებიც მაგიდასთან ყვინთავდნენ. ბოლოს-დაბოლოს, ისინი ხომ ჩვენს ისტორიაში საიდუმლო სამსახურის ფუნქციას ასრულებენ და ამიტომ ის უმსგავსობაც უნდა დაეგმოთ, რომელსაც გიგლები ჩემს წინააღმდეგ გეგმავდნენ. „მეგობარო“, – ნება-ნება მითხრა ერთ-ერთმა მწყემსმა და უტიფარი თვალებით შემომხედა, –„არაჩვეულებრივი იდეაა, რადგან ეს კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშირებს თამაშს ჩვენს ისტორიასთან. მუცალო, თუ თომინოს საფასურს ხანდახან მაინც გადაიხდი, განა ეს თამაშის გეგმას ეწინააღმდეგება?“

ყველა იცინოდა. ვიცოდი, რაც მელოდა, ამიტომ პირველივე ქვა ამოვარჩიე და ელვის უსწრაფესად ჩამოვედი. შანსები არათანაბარი იყო. მაგრამ თუ პირველი დარტყმა გამიმართლებდა, იქნებ გამოვმძვრალიყავი კიდეც. მთვრალი გიგლები გაორებულად მხედავდნენ, თანაც სიბნელეც დამიცავდა და მათი დარტყმების უმეტესობაც უთუოდ ამცდებოდა.„გადახედე ქვებს“, – მოუთმენლად მითხრა ჩემს გვერდით მჯდარმა რომელიღაცა გიგლამ, და რადგან მე არ განვძრეულვარ, თვითონ შემიმოწმა ქვები.„ეჰ, წააგე“, – ჩაიბუტბუტა მლიქვნელური თანაგრძნობით.„აი, მინდიაც მოვიდა“! – გიგლები აჩოჩქოლდნენ და სკამები აახმაურეს. უნდოდათ, მინდიასთან მივეყვანე, რომლის გამოცარიელებული, აბსოლიტურად მეორეხარისხოვანი სახე იოტისოდენადაც კი არ ჰგავდა ჩემს ოფიციალურ (თემატურ) მარჯვენის მომკვეთს. ცხადია, ხელი არ ჩამომირთმევია და მხოლოდ თავი დავუკარი. მომდევნო წუთები ყველაფერს გადაწყვეტდა. მაგიდასთან აღარავინ იჯდა, ამიტომ ძნელი არ იყო ნავთის ლამპის გადაყირავება და წყვდიადიც ჩამოდგებოდა.

‘ხედავ, მუცალო“, – თქვა რომელიღაცა გიგლამ, – აი, მინდიაც, ხელის მოკვეთას წინ აღარაფერი უდგას. იმედია, არ გაგვიძალიანდები, თორემ...“ სიტყვა ვეღარ დაასრულა, რადგან ფრთების ტყლაშუნის ხმა მოგვესმა, მაგიდის განათებულ წრეში ნაფოტი (მტრედი) ჩამოვარდა და მარჯვენა მხარზე დამაფრინდა. ორ მტრედს კი ვხედავდი, მაგრამ დანამდვილებით ვიცოდი, ეს მხოლოდ ჩემი საყვარელი ქვა უნდა ყოფილიყო და ენით აღუწერელმა სიხარულმა მომიცვა.

მარტო მტრედი ვერაფერს მიშველიდა:„შენი მტრედი ხელის მოჭრას ვერ გადაგვაფიქრებინებს“, – მითხრა იმავე გიგლამ, –„ჰო, ჰო“, – ბუტბუტებდნენ გიგლები და მიახლოვდებოდნენ. ხელი ყველას ხანჯლის ტარზე ედო. უეცრად, ზურგს უკან ცხენის ჭიხვინის ხმა გაისმა. შემოვბრუნდი და ჩემგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, ნავთის ლამპით განათებულ სიბნელეში რაში დავინახე, მოუთმენლად სცემდა ფლოქვებს და თითქოს მეუბნებო-

და„რაღას აჭიანურებ, რა გინდა ამათთან! ჩქარა მომახტიო“! კაცმა რომ თქვას, გამომთვრალი რაშს ორად ვხედავდი, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ეს ოპტიკური ცდომილება.იყო და, რაც უნდა დაუჯერებელი ყოფილიყო, ფაქტია, ჩემს წინ თეთრი მერანი იდგა, რომელიც ღმერთმა, უფრო სწორად მკითხველის კეთილმა თავმა რეალური წარმოდგენის სახით ჩვენს თემში გამომიგზავნა – შესაძლოა, ეს იგივე მკითხველი ყოფილიყო, რომელიც მეექვსე პროვინციის მოვლენებს ეცნობოდა. დღესაც არ ვიცი, როგორ გადავაფრინდი იმსიგანე მაგიდას და ხელი უნაგირს წავატანე. გიგლები აღრიალდნენ. არყის ჭიქებმა ზედ ცხვირწინ ჩამიქროლა. ამ ღრიანცელში გარკვევით მომესმა თხის მწყემსების ყვირილი:„ცხენი დაიჭით, ცხენი“! გიგლების ხროვა მიახლოვდებოდა. მე კი, არყით გაბრუებული, სიცარიელეში ვაფათურებდი ხელებს და ამაოდ ვცდილობდი უნაგირისთვის მიმეგნო. ნამდვილ ცხენს ფანტომისგან ვეღარ ვარჩევდი. ბოლოს, როგორც იქნა, ნამდვილი ცხენი დავიჭირე და ზედ შემოვახტი. გიგლები ფეხზე დამებღაუჭნენ. მე ხმალი ვიშიშვლე და ჩემსკენ გამოწვდილ თემატურ ხელებს გადავაფრინდი. ცხენს ფერდებზე დეზი შემოვკარ და ის ჯერ წინა ფეხებით შედგა ყალყზე, შემდეგ კი – უკანათი და გიგლები ფიტულებივით აქეთ-იქით მიმოისროლა. თეთრი მერანი ადგილს მოსწყდა, წინ ისარივით გაიჭრა, მთვარის შუქით განათებულ ვერცხლისფერ მწვერვალს გადაევლო და ჩვენი ისტორიის მშვიდი, უსაფრთხო შუალედური ტერიტორიებისკენ გამაქროლა.

ჰაერში ქროლვა ძალზედ ცოტა ხანს, ალბათ, ხუთ წუთს თუ გაგრძელდა. თუმცა, ეს ხანმოკლე ქროლვაც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ამ მშვენიერი ლურჯა ცხენით დავმტკბარიყავი და თავისუფლებისკენ ჭენება იმისთვის შემედარებინა, რაც მე, თითქმის საუკუნის წინ, შავი მერანით განვიცადე. მაშინ სამშობლოდან გამომიტყუეს და ცხოვრებას მომწყვიტეს. არც ერთმა ქისტმა არ ვიცოდით, რომ შავრა ცხენი ხევსურთა თემისა იყო. სწორედ ამიტომ მასზე ამხედრებული ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს გავარვარებულ ნაღვერდალზე ვმჯდარიყავი; სანამ ალუს სანადირო თოფის წინ არ აღმოვჩნდი, არც კი ვიცოდი, საით მიმაქროლებდა, ოღონდ კარგი რომ არაფერი მელოდა, ეს თავიდანვე ცხადზე უცხადესი იყო. თეთრ მერანზე კი თავს შინაურულად ვგრძნობდი. შიშის გრძნობა ერთხელაც არ დამუფლებია, თუმცა თემის თავზე ასი მილის სიმაღლეზე მივქროდით. მერანს თემისკენ ერთხელაც არ გაუხედავს. ვიცოდი, რომ არც ხანჯლისაკენ, არც ხელის მომკვეთისა თუ ყელის გამომჭრელისაკენ არ მიმაქანებდა. მერანი თავისუფლებისაკენ მიმაქროლებდა და თანაც იგი თემის საკუთრება კი არა, არამედ ჩემი და მხოლოდ ჩემი აზრის ნაყოფი იყო. მე

ის თამაშის გეგმაში ჩავსვი, შემდეგ კი, შესაძლოა, მცირე, მაგრამ შემდგომი მოვლენებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი რეალობა მივანიჭე. სწორედ ჩემი დამსახურებაა ის, რომ მკითხველის თავს ამ ცხენზე რეალური წარმოდგენა ექმნება. მერანი მხოლოდ მე მეკუთვნოდა, მხოლოდ მე მემორჩილებოდა და დაუზარებლად მემსახურებოდა. იოლად შემეძლო მისი მოთოკვა და, საითაც მოვისურვებდი, აღვირის სულ მცირე მოქაჩვითაც კი იქით მივმართავდი. შავრა კიდე პირიქით თავის არჩეულ გეზს არასდროს გადაუხვევდა. ფრთების ტყლაშუნის ხმაზე უკან ვიხედებოდი და ცაში მოლივლივე თეთრ მტრედს ვხედავდი. უფრო საიმედო მცველს ვერც ვინატრებდი. თანაც, არც მერანის უნივერსალურ მნიშვნელობაში მეპარებოდა ეჭვი. შავი მერანი კი, – როგორც მასზე შეთხზული მრავალი ლექსი ამხელს, – კაცთა მოდგმაზე იყო გაავებული და ყველას შემაძრწუნებელი თემისკენ მიაქანებდა. თუკი მერანი ჩემი თამაშის გეგმის დროშის მკითხველთა რეალურ თავებში დამკვიდრდებოდა, მაშინ იგი თავისი მოსახელის შავბნელ საქმიანობას სათანადოდ დაუპირისპირდებოდა და ადამიანებს თემისგან იხსნიდა (თუკი ეს მათი სურვილიც იქნებოდა). თუკი იქ, გარეთ, რეალური თავები თეთრი მერანის რეალურად წარმოსახვას შეძლებდნენ, – რისი დიდი იმედიც მქონდა, მაშინ ეს რაში სულ მალე ყველა დატყვევებული და გატანჯული წიგნის პერსონაჟთა წარმოსახვით სამყაროშიც შეაღწევდა, ანუ იმ ლექსში, ეპიკურ პოემასა თუ მოთხრობაში, რომელიც ამ თემაზე შექმნილა და რომელიც, თემისა და თემელ თხის მწყემსთა მიმართ ამ ადამიანთა შეურიგებელ წინააღმდეგობას გამოხატავს. ყოველივე ამის შემდეგ კი ყველა თემში თეთრი მერანის გაგზავნაღა იქნებოდა საჭირო. ჩემი ღრმა რწმენით, საუკეთესო წიგნის პერსონაჟთა ტანჯვასა და თემის უკეთურებაში დარწმუნებული რეალური მკითხველი ამგვარ სამუშაოს სულ იოლად გაართმევდა თავს.

იმის იმედი, რომ ყველაფერი კეთილად წარიმართებოდა, გულს სიხარულით მივსებდა. ცხენს ალერსით კისერზე ვუთათუნებდი ხელს და ვიმედოვნებდი, იქნებ სადმე ალუსთვის, მინდიასთვის, ანდა ჩემთვის სასურველი რომელიმე ხევსური პერსონაჟისთვის მომეკრა თვალი. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, თემიდან ერთი, ან იქნებ ორი პერსონაჟიც კი მეხსნა – (მეჩვენებოდა, რომ მერანი იმდენად ძლიერი იყო, ას კაცსაც ზიდავდა). შიში თხის მწყემსებისა, რომლებიც იქ, ქვევით დაძვრებოდნენ, უკვე აღარ მქონდა, რადგან ის გარემოება, რომ თეთრმა მერანმა გიგლებთან მომაგნო, იმედს მაძლევდა, იგი თემში საკმარისად მატერიალიზებული იყო იმისთვის, რომ ვეღარავის შესძლებოდა მისი დაფრთხობა. ჩვენს თემში თეთრი მერანი და მტრედი თამაშის გეგმის

დროშასა და რეალური მკითხველის თავზე, როგორც მათივე წარმოდგენები, უკუ ირეკლებოდა. ეს პროცესი კი დიდხანს არასდროს გაგრძელდებოდა. თეთრი მერანი და„ხის ნაფოტის“ მტრედი ყოველწუთს, შესაძლოა, მოულოდნელად ჰაერში აორთქლებულიყო, რადგან რეალური წარმოსახვის ის ძალა, რომელსაც რეალური თავი იქ, ზემოთ, ჩვენს თავზე, ამ ორი ცხოველისათვის ხარჯავდა, საკმარისი არ იყო. ეს ფაქტი კი, სამწუხაროდ, იმაზე მიუთითებს, რომ რეალური თავი თეთრი მერანითა და მტრედით სერიოზულად კი არ არის დაკავებული, არამედ მათით მხოლოდ ერთობა. ცხადია, თეთრ მერანზე ამხედრებული ამას ჯერ ვერ ვხვდებოდი და რადგან ქვევით, თემში, ვერც ერთი კეთილი ნაცნობი ვერ აღმოვაჩინე, გეზი სასაზღვრო ტერიტორიების მთის ზოლისაკენ ავიღე, რომელიც, მიუხედავად განსხვავებულობისა, მაინც ქისტეთს მახსენებს. თუკი საზღვრებს გადავივლიდი, მაშინ ხევსურთა ისტორიას მთელი თავისი თხის მწყემსებით, თემატურად გარდაუვალი სიკვდილით, მარჯვენის მოკვეთით და ა.შ. სამუდამოდ უკან მოვიტოვებდი. დიახ, განზრახული მქონდა, თემისაგან საბოლოოდ მეხსნა თავი და რეალურ სამყაროში თუ არა, რომელიმე სხვა ისტორიაში მაინც გადავსახლებულიყავი, ვინაიდან ხევსურთა თემს ნებისმიერი სხვა თემი მერჩივნა. ამით მეგობრების მიმართ (ალუ, მინდია, მუნჯი რაინდი) არც ერთგულების ფიცს გავტეხდი, რადგან რაში და„ხის ნაფოტი“, ჩემი ვარაუდით, საკმაოდ მჭიდროდ იყო ჩვენს ისტორიასთან დაკავშირებული და თემის გამოცვლის მსურველ კეთილშობილ პერსონაჟებს დიდ სამსახურს გაუწევდა. რაშს დეზი ვკარი და სასაზღვრო მთებისაკენ გავაჭენე, ამაყ კლდეებს რამდენიმე კილომეტრიღა მაშორებდა – მსგავსი ბედნიერება არავის რგებია – რომ, უეცრად, ჩემი ცხენი აორთქლდა. როგორც ჩანს, რეალურმა თავმა თეთრი მერანის აქტიური წარმოსახვა შეწყვიტა, რამაც სამწუხაროდ ჩვენს ისტორიაში მის რეალურ ყოფიერებას წერტილი დაუსვა. ცხენმა ჯერ წონა დაკარგა, ჰაეროვანი გახდა, შემდეგ კი აორთქლდა და ღრუბლებს შეერწყა. მე ძირს ჩამოვვარდი და თემში ქვასავით დავენარცხე. დაცემისას სხეულის ყველა ნაწილი დამიზიანდა და, სამწუხაროდ, კისერიც მოვიტეხე. ასე ვეგდე ერთხანს, არათემატურად მკვდარი, სანამ თხის მწყემსთა პატრულმა არ აღმომაჩინა, ჩემი გვამი არ შეაკოწიწა და მკვდრეთით აღდგომამდე (რეალური თავი უკვე მეექვსე პროვინციის ისტორიის კითხვას შედგომოდა) თავის განყოფილებაში დამაკავა. გონს რომ მოვეგე, დამკითხეს. ხელისუფლებისათვის ჩემი არათემატური სიკვდილის მიზეზი უნდა ამეხსნა. მწყემსები ცდილობდნენ ჩვენი საუბრისათვის ძალდაუტანებელი ხასიათი მიეცათ. სასთუმალთან მეგობრულად

ჩამომისხდნენ, უხეში სიტყვაც კი არ წამოსცდენიათ და არც ფორმა ეცვათ, მაგრამ მათ ენერგიულ, მედიდურ მანერებზე მივხვდი, რომ მაღალი ჩინის მოხელეებთან უნდა მქონოდა საქმე. მათი კითხვების მიღმა ფარული გესლიც ვიგრძენი. ცხადია, გიგლებზე დაუფარავად ვუამბე. რაშზე კი სიტყვა არ დამცდენია. როდესაც მწყემსებმა თეთრ მერანზე ფრთხილად დამიწყეს გამოკითხვა, მე ის მთვრალი გიგლების ახირებას მივაწერე და ტყუილებიც გამოვურიე. ვუთხარი, რომ გიგლები მარჯვენის მოსაჭრელად გამომეკიდნენ, მე კი მთებში გაქცევით ვუშველე თავს, სადაც შემდეგ გზა ამერია და მწვერვალიდან ხევში ჩავვარდი– მეთქი. ნაკლებად სავარაუდოა, რომ თხის მწყემსებს ჩემი ნათქვამი დაეჯერებინოთ. ბოლოს კი ერთ-ერთმა ისეთი ხმით გამომიცხადა, შენი სიკვდილ-სიცოცხლე თემის საკუთრებაა და თუ კიდევ გაბედავ, ერთ-ერთი მათგანი (ან ორივე) შენი ხის ნაფოტზე დამოკიდებული გახადო, იძულებული ვიქნებით, თომინო თემში საერთოდ ავკრძალოთო, – შეპასუხებაც კი ვეღარ გავბედე.

ამჯერად იოლად გამოვძვერი. მხოლოდ გაფრთხილება მაკმარეს. ამ მწარე გამოცდილების შემდეგ, ალბათ, გასაგებია, თუ რატომ ვცდილობდი ასე საგულდაგულოდ გიგლებთან მომხდარი ინცინდენტის ყოველგვარი კვალის წაშლას. მერანი თემში კარგა ხანს აღარ უნდა გამოჩენილიყო. ამიტომ რაღაც მოვიმიზეზე, მისი ხის ნაფოტი თომინოდან საერთოდ ამოვაგდე და მხოლოდ დროშა დავტოვე, რათა მკითხველის თავებში რეალური წარმოდგენები აღეძრა და ყურადღება მიექცია. ხის ნაფოტთა შორის უპირველესი კი თამაშში დავტოვე, რადგან ჩვენს თემში მტრედი ასე თუ ისე უკვე მიღებული იყო.

შატილში

ქისტური კონტრაგანდა

შატილში ერთოთახიანი ბინა მაქვს ტელეფონით. ეს უკანასკნელი კი, როგორც მრავალი სხვა რამ, ჩვენს ისტორიაში ტექნიკურმა პროგრესმა მოიტანა. ჩემი აივნიდან მაღალი მთის ძირში ჯგუფ-ჯგუფად განლაგებული ქალაქის ბანიანი სახლები მოჩანს. ეს ჩვენი თემის დედაქალაქია, თუ მას საერთოდ ქალაქი შეიძლება უწოდოს კაცმა. ქუჩები, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, აქ არ არსებობს. რამდენიმე სავალი გზა მხოლოდ სახლებს აკავშირებს ერთმანეთთან. თავისთავად ამ გზებს სხვა ფუნქცია არც გააჩნიათ, ვინაიდან შატილში ყოველგვარი ცხოვრება ჩამკვდარია.

ქალაქმა ციხე-სიმაგრის ხასიათი საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნა და როგორც თავდაცვითი სამხედრო ნაგებობები, ისე აღმართულა. ქუჩაში მოწანწალე არათემატური ვიგინდარებისაგან თავდასაცავად ფანჯრები გისოსებშია ჩასმული, ხოლო გვარების ნაცვლად, სახლების კარებზე მოკლული ქისტების მოჭრილი და გამომხმარი ტორები ჰკიდია.

აღსანიშნავია, რომ შატილში ხევსურთა უმრავლესობა მარჯვენის მოკვეთის სისხლიანი ადათის წინააღმდეგია და ჩვენ, ქისტებს, ისე ლმობიერად გვიყურებენ, ლამის მათი ჩვენდამი სიყვარული ირწმუნოს კაცმა.

დიდ გასავალშია თიხის ქოთნები ქისტური ორნამენტით. ასევე ძვირად ფასობს ფერადი, მოქარგული ქისტური ცხენის აღკაზმულობა, ჩიბუხი და ჩვენი მშვენიერი ქარვა, განსაკუთრებით თუ მასში პატარა ხოჭო მოჩანს. ქისტურ სიგარეტებსა და მაგარ კონიაკზე ხევსურები პირდაპირ ჭკუას კარგავენ. რაც შეეხება ქისტურ მოდას, შეიძლება ითქვას, რომ შატილში ის მართლაც ტონის მიმცემია. დიდ სითამამედ ითვლება ქისტური წვეტიანი ფეხსაცმლის ტარება და შარვლის ტოტიდან ჭრელი ქისტური წინდების გამოჩენა. ხევსური ქალებიც ქისტურ ყაიდაზე იხატებიან – წარბებს ნახშირით იხატავენ, ქუთუთოებს მუქ ლურჯად იღებავენ, ტუჩებზე კი სქელ წითელ საცხს იდებენ. მინი კაბები, როლებიც მამაკაცთა ხარბ მზერას შიშველი ფეხებისა და დუნდულებისკენ თავისუფალ გასაქანს აძლევს, ქისტების მოგონილია (სიტყვა „მინი" ქისტური წარმოშობისაა და „ტრიკოს" ნიშნავს). მიუხედავად იმისა, რომ ქისტური მუსიკა და ცეკვა ოფიციალურად აკრძალულია, მის ხმას შატილის ყველა ციხე-სახლში გაიგებთ. ხევსურები, უმთავრესად კი

ახალგაზრდები, განუწყვეტლივ ქისტურ დაფდაფებზე უკრავენ და მუცლის ცეკვით ერთობიან. ქისტური ზეგავლენა ასეთ მკაცრ თემში ძნელი ასახსნელია. საზღვრის გადალახვის უფლება თვით უმნიშვნელო, აბსოლუტურად მეორეხარისხოვან პერსონაჟსაც კი არა აქვს. ამის მიზეზი იმ არათემატურ სივრცეში უნდა ვეძიოთ, სადაც შატილის ხელისუფალთა ძალაუფლება უფერულდება და თხის მწყემსები ვეღარ მბრძანებლობენ, შატილში კი ისინი ფორმებში გამოწყობილნი დაიარებიან და გვერდზე გრძელი რეზინის ხელჯოხები ჰკიდიათ. დღეს უკვე სრული დამაჯერებლობით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ქისტური გავლენების დამკვიდრებაში დიდი წვლილი სწორედ ჩემს თომინოს მიუძღვის. პირადად მე ამ საქმესთან უშუალო კავშირი არ მაქვს. საქმე ის არის, რომ ჩვენი ისტორიის შიგნით სულ უფრო მეტად ძლიერდება თეთრი მერანისა და თეთრი მტრედის ზემოქმედება, რომელიც შორს, ჩვენი თემის თავზე რეალური მკითხველის თავებსა და მასმედიაში ჩნდება და შემდეგ თემის ისტორიაზე პროეცირდება. ამგვარმა ზემოქმედებამ გარკვეული ცვლილებები განიცადა და დროთა განმავლობაში ისეთი ელემენტები შეიძინა, რომელსაც თავისთავად ჩემი თამაშის გეგმასთან აღარაფერი ესაქმება, არც მასზეა აღნიშნული და მხოლოდ ამა თუ იმ რეალური მკითხველის თავის ინდივიდუალური ფანტაზიის ნაყოფად შეიძლება მივიჩნიოთ. და მაინც, თუ უკეთ დავაკვირდებით, ცხადი ხდება, რომ ეს ფენომენი ჩემს თომინოს, უფრო სწორად, ჩემს საუკეთესო თეთრ კოზირს ეყრდნობა.

თხის მწყემსების ყველა მცდელობა (თემის ყველა კუთხესა და საზღვარზე მოწყობილი საკონტროლო პუნქტები, ქუჩებში აღმართული ბარიკადები) ამაო აღმოჩნდა. თუ მათი მოქმედება ამ ტემპით გაგრძელდა, საბოლოოდ მთელ თემს გაქისტება არ ასცდება, რადგან თეთრი მერნების რემა ჩვენთვის იღვწის. ისინი წიგნის გადაშლისთანავე ჩნდებიან და თემის მთელ ტერიტორიაზე, ექვსივე პროვინციის ველებზე, ტყეებსა და ხეობებში, სახლების დერეფნებშიც დაუფარავად დანავარდობენ. თხის მწყემსები კი ცდილობენ, გაყარონ, ან შეზღუდონ მაინც მათი თარეში და კოვბოებივით ფართოფარფლებიან ქუდებში გამოწყობილნი, რევოლვერითა და თეძოზე შემოჭერილი სავაზნე ლენტებით, შავრა ცხენებზე ამხედრებულები, ქამანდმომარჯვებულნი, გარეულ ცხენებზე ნადირობენ. მერნებს უკვე აღარ ესვრიან, როგორც ამას დასაწყისში აკეთებდნენ, რადგან მიხვდნენ, რომ თემში მხედარზე მეტი თეთრი მერანია და თემის ტერიტორიებიდან მხოლოდ მათი გარეკვით კმაყოფილდებიან. თეთრ მერნებზე ნადირობა წიგნის დახურვამდე გრძელდება, ხოლო როგორც კი ჩვენი თემის თავიდან რეალური მკითხველი უჩინარდება, ის წარმოსახვის ძალაც ქრება, რაც ჩვენს ისტორიაში

თეთრ მერანს აცოცხლებს. სამწუხაროდ, ეს ძალა არასაკმარისია იმისათვის, რომ რაშმა წიგნის დახურვის შემდეგაც შეინარჩუნოს თავი თემში. ისინი მაშინვე ჰაერში ორთქლდებიან, რაც თხის მწყემსებისათვის, მოგეხსენებათ, ძალზე ხელსაყრელია. აი, წიგნის დამთავრებამდე კი საშინელი ალიაქოთია. მწყემსები თემის ერთი კუთხიდან მეორეში დაჰქრიან, რათა ცხენებს დაეპატრონონ და ჩვენი პოემის ტერიტორიის პერსონაჟებს (ყველა ხევსურს, დიდსა თუ პატარას), ცხენთან მიახლოება და უნაგირზე გადაკიდებული აბგიდან მშვენიერი ქისტური ნაწარმის აღება არ დაანებონ (ხანდახან მერნებს ქისტური ნაწარმი ფუთებით ჰკიდიათ) დიახ, დღეს უკვე ჩვენს თემში ყველანაირი ქისტური საქონლით დატვირთულ მერნებს შეხვდებით და ზემოთ ნახსენები გავლენებიც სწორედ იმ ნივთებს უნდა მივაწეროთ, რომელიც ჩვენამდე მათი წყალობით აღწევს. იმ ადგილებში, სადაც მერნები ჩამოივლიან ხოლმე, შატილის მკვიდრნი, აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, ყველაზე გაქნილი ქორვაჭრები არიან დადარაჯებული, რათა საქონელი ჩაიბარონ. ამ სარისკო საქმეს ბევრმა თავიც დაანება. თუ თხის მწყემსებმა ვინმეს თეთრ მერანთან წაასწრეს, სამუდამო კატორღა არ ასცდება. ამის გამო, ჩვენი პოემის ტერიტორიის რამდენიმე საცოდავი, აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი პერსონაჟი სამხედრო ტრიბუნალით გაასამართლეს და დახვრეტაც მიუსაჯეს. ქისტური საქონელი, გაწეული რისკის გამო, სავახშო ფასებში იყიდება, რაც, მართლაც რომ გულდასაწყვეტია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ის ციდან ჩვენ პირდაპირი მნიშვნელობით საჩუქრად გვეძლევა. მერნებიდან საქონლის გადმოტვირთვა ერთხანს სპეკულანტებსაც უჭირდათ. ცხენები მათაც ისევე კბენდნენ ხელებზე და ურტყამდნენ ფლოქვებს, როგორც თხის მწყემსებს. ზოგიერთი თეთრი მერანი იმასაც კი ცდილობდა, თვითონ ჩამოერიგებინა სახლებში ქისტური საქონელი. ჭიხვინით დაჰქროდნენ ქუჩებში, სახლის დერეფნებში თეთრი ფრინველებივით იჭრებოდნენ და ნესტოებათრთოლებულნი მოთმინებით ელოდნენ, როდის ჩამოხსნიდნენ სახლის პატრონები ზურგიდან ფუთებში ჩაწყობილ ტვირთს, შემდეგ კი ადგილიდან მოსწყდებოდნენ და წიგნის დამთავრებამდე ახალი ქისტური საქონლის მოსატანად მიჰქროდნენ.

ბუნებრივია, მერნების მიერ ქისტური საქონლის სახლში ჩამორიგება დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. თხის მწყემსებმა სახლის კორიდორებში სამხედრო ნაწილები ჩააყენეს და მერნებს ქამანდით იჭერდნენ. უფრო ხშირად კი სახლის სახურავებიდან ესროდნენ. ხოცვა-ჟლეტისთვის არაერთხელ მიდევნებია თვალი ჩემი აივნიდან და ამ შემაძრწუნებულ სანახაობას დღემდე ვერ ვივიწყებ. მერნები მომაკვდავი გედებივით

ეყარნენ წუმპეში და მათი სისხლი ქუჩებს წითლად ღებავდა. ტომრებიდან და ფუთებიდან გადმოყრილი საუკეთესო ქისტური კონტრაბანდა კი თხის მწყემსთა გვარდიის ჩექმებქვეშ ითელებოდა. ვაი იმ ხევსურს, ვინც რაიმეს აღებას გაბედავდა. ისინი სამუდამოდ უჩინარდებოდნენ არათემატური, მეამბოხე პერსონაჟებისთვის განკუთვნილ ბანაკებში. თეთრი მერნების ლეშს და ტომრებიდან გადმოყრილ ქისტური საქონელს ქუჩაში დიდხანს არავინ აჩერებდა. თხის მწყემსთა სამხედრო ქვედანაყოფებით დაცული თემატური ნაგვის მანქანები ქუჩებს წმენდდნენ, ხოლო შატილის მოსახლეობა მთელ ამ მოვლენებს ჩარაზული ფანჯრებიდან უსიტყვოდ ადევნებდა თვალს.

ამგვარი სისხლიანი შეჯახების შემდეგ მერნები შატილს თავს არიდებდნენ და მხოლოდ ქალაქის გარეუბნებში თუ გამოჩნდებოდნენ ხოლმე. სპეკულანტებსაც ისე აღარ კბენდნენ, როდესაც ისინი ძვირფასი ქისტური ტვირთის ჩამოხსნას ცდილობდნენ. შატილში უამრავი რაში დახოცეს, ამიტომ მათ ნაცვლად ჩვენს თემაში დღემდე იმავე ფერის სახედრები და აქლემების ქარავანი მოემართება. ეს პირუტყვი კი გაცილებით ნელა მოძრაობს და მწყემსებიც მათ იოლად იჭერენ. ამიტომ ისინი ჩვენი ისტორიის ტერიტორიის ყველაზე უფრო მიუვალ ადგილებში, – თეთრ შუალედურ სივრცეებში, – ჩერდებიან ხოლმე და მათი ადგილსამყოფელიც მხოლოდ სპეკულანტებმა იციან. ჩვენი თემისა და განსაკუთრებით კი შატილის თავზე თეთრი მტრედების უზარმაზარი გუნდი ისევ დაფრინავს. როგორც წესი, ესენი საფოსტო მტრედები არიან, რომლებსაც საზღვარგარეთიდან ხევსურებისათვის სახლებში ფოსტა მოაქვთ და პირიქით, მათგან საზღვარგარეთ მიაქვთ. დღეს უკვე ყოველ მეორე ხევსურს საიდუმლო მიმოწერა აქვს ქისტ კაცთან, ან ქალთან. მწყემსები კი საჯაროდ ვერაფერის ბედავენ, ამბობენ, რადგან მას შემდეგ რაც ქისტმა პიკასომ თავისი სახელგანთქმული ნახატით მტრედი წიგნის ტერიტორიათა შორის თემატური მეგობრობის ემბლემად აქცია, მწყემსების მხრიდან ფრინველების დახოცვა, უბრალოდ, უსინდისობა იქნებოდა. ამიტომ, შაშხანებით შეიარაღებული მწყემსები შატილის სახლის სახურავებზე კი აღარ უსაფრდებიან მტრედებს, არამედ ჩვენი თემის სასაზღვრო მთებში და კიდევ კარგი, ყველა მტრედს კი არა, მხოლოდ მათ ესვრიან, რომლებსაც საეჭვოდ მიიჩნევენ. მწყემსებმა ამ ადგილებში დიდი სამტრედეებიც დადგეს და მტრედებს მისატყუებლად საკენკიც დაუყარეს. ისინი გუნდ-გუნდად მოფრინდებიან ხოლმე და საზღვარგარეთიდან ჩამოსული ფოსტა თხის მწყემსებს დაკოჟრილ ხელებში უვარდებათ. უფრო ფრთხილი შატილელები კი ქისტებს წერილებში მხოლოდ ამინდზე, ანდა ჩვენი თემის მშვენიერ ხედზე სწერენ.

მთელ ამ მოვლენებში ჩემი საუკეთესო კოზირი, კერძოდ, თეთრი მერანი და თეთრი მტრედი, აშკარად თვალშისაცემია. ცხადია, რომ ქისტური საქონლის მოწოდება ამ კოზირს ემთხვევა და თემში მისი მატერიალიზებაც ჩემი თამაშის გეგმით არის გამოწვეული. ეს შესაბამისობა, ბუნებრივია, არც მწყემსებს დარჩენიათ შეუმჩნეველი. ამის გამო პირადად მე პასუხისგებაში არავის მივუცივარ, თუმცა თომინო თემში დღეს უკვე აკრძალულია. თუ თხის მწყემსებმა ვინმეს თამაშის დროს წაასწრეს, ყველა ხის ნაფოტს ულმობლად ჩამოართმევენ, თავად მოთამაშეებს კი რამდენიმე დღით თავიანთ განყოფილებაში აკავებენ. შუალედურ სივრცეებში მათ მუნჯი რაინდიც დაიჭირეს, რომელიც მწვერვალზე დანთებული სასიგნალო კოცონით თემის თავზე მყოფი რომელიღაც მკითხველი თავის ყურადღების მიქცევას ცდილობდა. მას შემდეგ, თხის მწყემსები მას მხოლოდ წარმოდგენის წინ ათავისუფლებენ. ჩემი თამაშის გეგმის დროშები მწვერვალებიდან ჩამოხსნეს და ჩვენი შეთქმულებაც საბოლოოდ ჩაიშალა. მცირეოდენი იმედიც აღარ გაგვაჩნია, რომ ამ საქმეს უმოკლეს ხანში ხელს მოვკიდებთ. დღემდე ყოველ წუთს ველოდები, როდის დამაპატიმრებენ. ყოველთვის, როცა ფანჯრებიდან ვიყურები, ქუჩაში რომელიმე მწყემსს ვხედავ – ის ან გაზეთს კითხულობს, ანდა ვიტრინებს აკვირდება. ჩემს დაჭერას რატომაც აჭიანურებენ, სავსებით ნათელია: მწყემსებს ჩემს წინააღმდეგ საკმარისი სამხილი არ გაჩნიათ. ქისტური საქონელი, თეთრი სახედრები და აქლემები ხომ ჩემს გეგმაში არ არის მოხსენიებული. თომინოთიც მხოლოდ თეთრი და არა საფოსტო მტრედია გათვალისწინებული. რაც შეეხება თეთრ მერანს, თამაშის წესების თანახმად, ამ ცხენმა (ნაფოტმა) მოთამაშეები უნდა გაიყვანოს თომინოდან, ხოლო იმ რაშებს კი, რომლებიც მწყემსებში ასეთ შეშფოთებას იწვევს, თემში ქისტური ტვირთი შემოაქვთ. თანაც, ჩემი წარმოდგენით, თეთრი მერანი შავის მსგავსად უკვდავია, დედამიწასთანაც არის დაკავშირებული და აფრენის უნარიც შესწევს. როგორც ბოლო ათწლეულების დაკვირვება ცხადყოფს, ჩვენს ტერიტორიაზე მოსული მერნები კი უკლებლივ ყველა მოკვდავია და არც ერთ მათგანს ჰაერში აფრენის უნარი არ შესწევს. ჩემს თავისუფლებას ამ განსხვავებას უნდა ვუმადლოდე. სამწუხაროდ, მწყემსებს ქისტური საქონელი ხშირად უვარდებათ ხელში და მეც შიშით გული მისკდება, რომ ვინმემ ჩემს თომინოსთან რაიმე ახალი პარალელი არ აღმოაჩინოს.

ასეთი რამ მომხდარა კიდეც. თეთრი მერანისა და მტრედის გარდა თემში ჩემი სხვა კოზირებიც გამოჩენილან, რაც ქისტეთიდან გამოგზავნილ საქონელსა და ჩემი თამაშის გეგმას შორის არსებულ შინაგან კავშირს უფრო ნათლად წარმოაჩენს. მაგალითისთვის მოგახსენებთ, ქისტეთიდან

გამოგზავნილ საქონლის პარტიაში ერთი ტომარა პაპიემაშესაგან დამზადებული მარჯვენა მკლავები აღმოვაჩინე, რომელიც ქისტმა პერსონაჟებმა ხევსურებს ძველი შუღლის დავიწყებისა და ძმურად ხელის ჩამორთმევის ნიშნად გამოუგზავნეს: ტომარას შავი ხევსურული შრიფტით შემდეგი სიტყვები აწერია:„ხელიდან ხელში", რაც ქისტური მუყაოს საქონელსა და ჩემს კოზირს შორის ნათესაურ კავშირებს, ასე ვთქვათ, სრულიად არაორაზროვნად წარმოაჩენს. ვერც იმას უარვყოფთ, რომ ჩვენს თემში ქისტების მიერ შემოთავაზებული ხელის ჩამორთმევის იდეას უამრავი შატილელი უჭერს მხარს. ზოგი, უმთავრესად კი ახალგაზრდა ხევსურები, კულტურული გაცვლის მიზნით ჩამოსულ თითო-ოროლა ქისტურ დელეგაციას – მოცეკვავეს ან სპორტსმენს – აეკიდება ხოლმე და მაშინ ჩემი კოზირიც რეალობად იქცევა: ორივე მხარე ერთმანეთს ხელს ართმევს, თუ გარეგნულად ვიმსჯელებთ, ძალზე გულწრფელადაც. ამ სანახაობას არასდროს ვუშვებ ხელიდან და მისი ხილვით საიმედო სამალავიდან ვტკბები. ამგვარი შეხვედრები მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც მწყემსებმა ჩვენი ქისტური ლექსისა და ისტორიის ტერიტორიასთან მშვიდობიან თანაარსებობაზე დაიწყეს საუბარი. ცხადია, ეს ნათქვამი სიტყვასიტყვით არ უნდა გავიგოთ და ქისტ სტუმრებს ზედმეტად არ უნდა დავუახლოვდეთ. თანაარსებობა იმავე საფეხურზეა, რომელზეც ჩვენ ვიმყოფებით. ეს არის თანაარსებობა ფარული, ანდა აშკარა შიშით.

ძალზე საწყენია, თუმც ვფიქრობ, რომ ეს ლოგიკურიცაა. ოფიციალურ ხევსურულ მხარეს თანაარსებობაზე სერიოზულად არასდროს უფიქრია, ვინაიდან ის ხევსურებსა და ქისტებს შორის საყოველთაო ხელის ჩამორთმევას გამოიწვევდა და თემს, რომელიც ჩემს მოკვეთილ მარჯვენას ეყრდნობა, ისტორიულად გამოუსადეგარს გახდიდა. მწყემსები მსგავს მოვლენებს არასდროს დაუშვებენ. ისინი ჩვენს ისტორიაში (ჩვენს ლექსში) ძველი მკაცრი ხაზის ფანატიკური მიმდევრები და დამცველები არიან და ამიტომ არ ღირს ჩვენი ურთიერთობების გაუმჯობესებაზე რაიმე ილუზიების შექმნა. ჩვენთვის თანაარსებობაზე უბრალო საუბარიც კი პატარა იმედია, და მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო ხელის ჩამორთმევამდე უნუგეშოდ შორსა ვართ, ამ თემაზე შატილის ციხესახლებში ყველა დიდი სიამოვნებით ლაპარაკობს. ცხადია, ამაზე მხოლოდ სანდო ადამიანებთან შეიძლება საუბარი და კაცს დიდი სიფრთხილეც მართებს. მწყემსებმა უამრავი ჯაშუში დაგზავნეს, რომლებიც ეჭვმიტანილ ხევსურებში ხელის ჩამორთმევის აზრის პროვოცირებას ცდილობენ და შემდეგ კი მათ საპყრობილეში ამწყვდევენ. შატილელების უმრავლესობა დათრგუნულია და აღარ

იციან, რა იწამონ, რადგან ერთის მხრივ ჩვენი თემის უაზრობაში დარწმუნებულან, ხოლო მეორე მხრივ კი საყოველთაო ხელის ჩამორთმევის იმედი სრულიად დაუკარგავთ. თუ ვინმემ მკითხა, რისი გწამსო, ვუპასუხებდი:„მკითხველი თავის გონიერებისა"-მეთქი. პრინციპში, თუ ამ რეალურმა თავებმა თეთრი მერნისა და თეთრი მტრედის რეალურად წარმოსახვა შეძლეს, მაშინ ისინი ოდესმე ჩემს დანარჩენ კეთილ ტუზებს და, უმთავრესად კი, ხელის ჩამორთმევასაც შეასხამენ ხორცს.

ჩემი რწმენა მკითხველის თავისადმი

მკითხველის თავისადმი რწმენა დღეს თემში ერთადერთ გონივრულ რელიგიად მიმაჩნია. ჩვენს რთულ დროში ეკლესია ვეღარავის – ყოველ შემთხვევაში ვერც ერთ წიგნის პერსონაჟს ვერ შველის. იქ სიარულსა და ისტორიიდან (ლექსიდან) ხსნისათვის ლოცვას აზრი არა აქვს. რამდენჯერ დამიხრია დაღლილი თავი შატილის დღეს უკვე დანგრეულ მეჩეთში სალოცავ ხალიჩაზე! რამდენჯერ მომიყრია მუხლი იმავე ქალაქის ქრისტიანულ ეკლესიაში მოციმციმე სანთლის წინაშე! რამდენჯერ გავრეულვარ შატილის სინაგოგაში მლოცველთა მობუტბუტე გუნდში! ყველგან ერთი რომელიმე წმინდა წიგნისა და ამ წიგნის რომელიმე პერსონაჟს ვხედავდი. მესმოდა მხოლოდ წაკითხული თავად წაკითხულთა, ანუ წიგნის პერსონაჟთა მიერ. ღმერთს კი, ჩვენი და ყველა თემის ყოვლისშემძლე მკითხველს, ვერც ვერსად ვხედავდი და არც მისი ხმა მესმოდა სადმე. მივხვდი, რომ გამონაკლისს ამ მხრივ არც ეკლესია წარმოადგენდა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დღეს მორწმუნე წიგნის პერსონაჟთა უმრავლესობაც ასევე ფიქრობს. ის, რომ ჩვენს უღმერთო ისტორიაში ისინი მხოლოდ წაკითხულ პერსონაჟებს წარმოადგენენ, მათ დიდად სტანჯავთ. არაფერი ისე უცხო არ არის ჩემთვის, როგორც თემის ცაზე მოძრავი მკითხველის თავის ყოვლისშემძლე უფალთან გაიგივება. მსგავსი რამ აზრადაც არ მომსვლია, თუმცა კი ბოროტი ენები რას აღარ მომაწერენ! მე მხოლოდ იმას ვამტკიცებ, რომ ყველაზე უკეთ ღმერთზე დაკვირვება მკითხველის თავებშია შესაძლებელი, რომლებიც ჩვენს თემს ზემოდან ჩამოჰყურებენ. ეს თეზისი ყველამ უნდა გაიგოს: თუკი ჩვენ ყველა, სხვადასხვა თემაში ერთად წაკითხულ პერსონაჟებს წარმოვადგენთ, მაშინ ჩვენი მკითხველიც თავად უფალი ყოფილა, ანუ ის, ვინც ჩვენ ყველას გვკითხულობს და თავის ყოვლისმომცველ თავში გვაერთიანებს, ის ვინც წიგნის მთელ ისტორიას განჭვრეტს და ხან მოწყალედ, ხანაც მრისხანედ განგვსჯის. ერთადერთი ადგილი, სადაც მის თაყვანისცემას ჯერ

კიდევ აზრი არ დაუკარგავს, მკითხველთა თავებია, რადგან ამ თავებს, როგორც მკითხველებს, რაღაც ღვთაებრივი უნდა გააჩნდეთ. მათ ხომ საკუთარი გონებითა და თვალით უნდა განსაჯონ თემი, პერსონაჟთა თავებში უნდა იმოქმედონ და ჩვენი თემის ცაზე მუდამ ახალი, კეთილშობილი იდეები შვან. ღმერთს რომ არ აეხილა მათთვის თვალი და გამჭრიახი გონება არ მიეცა, როგორ შეძლებდნენ ჩვენი თემის თეთრ შუალედურ სივრცეებში მთის მწვერვალებზე აღმართული ჩემი ერთი ბეწო თამაშის გეგმის შემჩნევას, ან ამ გეგმაზე რთული სიმბოლოებით დაშიფრული თამაშის წესებით შენიღბულ ძახილის გაგებას. უფრო მეტსაც გეტყვით: თეთრი მერნები და თეთრი მტრედები, თეთრი სახედრები და აქლემები, ძვირფასი ქისტური სამომხმარებლო ნივთებით დატვირთული ურმების უსასრულო დინება რეალური მკითხველის თავების გზით ღმერთის მიერ გვეძლევა. ღმერთი თუ შეაძლებინებს, გაუნათოს გონება ჩვენი თემის თავზე დაკიდებულ მკითხველის თავებს, რათა მან ცხოველები და საგნები ჩვენთან ერთად წარმოიდგინოს. მხოლოდ ღმერთს შეუძლია გააგებინოს მათ ჩვენი ისტორიული გაჭირვება და, ჩემი ღრმა რწმენით, ყოველ მკითხველს ანიჭებს ძალას, რათა ყველა პერსონაჟში უკეთესი თემის იმედი შთანერგოს. დიახ, რეალური მკითხველის თავებში, ანდა მის მიღმა მყოფი ღმერთისგან ველი ჩემი და ყველა იმ რეალური პერსონაჟის ხსნას, რომლებიც, როგორც წიგნის სამყაროს ტყვეები, ისტორიის (პოემის) თანამონაწილენი ვართ. თეთრი მერანებისა და საფოსტო მტრედების უსასრულო არალეგალური გუნდი, ქისტური საქონლითა და ფოსტით დატვირთული იმავე ფერის სახედრები და აქლემები, ღვთის სასწაულის ნიშნებია, რომელიც ჩვენზე და მკითხველის თავებზე, სულიწმინდის მარადიულ, კურთხეულ გავლენას ცხადყოფს. ეს ნიშნები ამ თავებში ღვთის რეალურ ყოფიერებაზე მეტყველებს. ჩვენ ყველამ მისი სახელი უნდა ვადიდოთ და ღვთის მოსაობით ხოტბა შევასხათ. წიგნის მთელ სამყაროში (უფრო სწორად: წიგნის სამყაროს თავზე) უფრო წმინდა ადგილი არ მეგულება.

ასევე ეშმაკისთვისაც ბევრად უფრო ბუნებრივი და დამაჯერებელი ადგილსამყოფელი აღმოვაჩინე. მისი ადგილი ჯოჯოხეთში კი არა – როგორც მე ვქადაგებ – არამედ წიგნის ტერიტორიის ავტორებშია: – ყველა უკეთური წიგნის ავტორთა თავებში.

თუმცა ყოველივე, რაც ეშმაკთან არის დაკავშირებული, უკუნით არის მოცული, მაგრამ ის, რომ ავტორები მათთან არიან დაკავშირებულნი, იქიდანაც კარგად ჩანს, რაც ჩვენ, წიგნის პერსონაჟებს მათი წყალობით დაგვტეხია თავს; პირველ რიგში კი ეს თემის სიუჟეტს და იმ პერსონაჟებს ეტყობათ, რომელთაც თხის მწყემსები ასე თავგამოდებით იცავენ. ჩვენი თემის სიუჟეტს შატილში ყველა ეშმაკეულსა და ჯოჯოხეთურს უწოდებს

– თუმცა აშკარად ამის გამხელას ვერავინ ბედავს – რადგან ის საყოველთაო ხელის ჩამორთმევას უპირისპირდება და ქისტებთან თანაარსებობას (ნახევრადფარული) შიშით შეუძლებელს ხდის. უცნაურია, მაგრამ შატილელთა აღშფოთებას არასდროს, – ან იშვიათ შემთხვევაში – იწვევს არა თავად ავტორი ამ სიუჟეტისა, რომელსაც ყველა მხოლოდ სახელით იცნობს და რომლის ყველა ზომის სურათსაც გასაყიდად ნებისმიერ მაღაზიაში იხილავთ; ხევსური თავისი სიუჟეტის მიზეზად მიიჩნევს არა ავტორს, არამედ – როგორც შევამჩნიე, – ცდილობს ავტორი სიუჟეტისაგან განაცალკევოს და როგორც საქებარს და განდიდების ღირსს, ისეთად წარმოიდგენს. ასე მაგ: თვლიან, რომ ჩვენი ავტორი თითქოსდა საყოველთაო ხელის ჩამორთმევისაკენ ისწრაფოდეს, თითქოს ეს უკანასკნელი ჩვენი საერთო თემის უმთავრესი და უძირითადესი აზრი იყო, სანამ თხის მწყემსებმა ის Schisch-ად და ყველა დროის სამარცხვინო მოვლენად არ აქციეს. კარგად ვიცი, რომ ჩვენი თემის ავტორის წინაშე თავშეკავება მმართებს – მე მას სახეზე ვცნობ და თემში ჩემს პირველ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ვნახე – მაგრამ არ შემიძლია, ჩემი სევდიანი თემატური როლის გამო მარადიული საყვედურებით არ ავავსო. სწორედ ის არის პირველი და გადამწყვეტი მოწმე ალუსთან ჩემი თავდაპირველი დუელისა და მთელ ამ ისტორიაში დანაშაულიც მხოლოდ მას მიუძღვის. მე თქვენ გეკითხებით, თუ სიუჟეტით თავიდანვე არ იყო გამიზნული, რატომ დაუშვა მან საერთოდ ეს ორთაბრძოლა? თუ მისი თემი მშვიდობისმოყვარე იყო, რატომ არ მოგვცა უფლება, დასაწყისშივე ერთმანეთს ხელგაშლილები შევხვედროდით და ხელი ჩამოგვერთმია? რატომ უნდა დაწყებულიყო მთელი ეს ისტორიაა დიდი, შავი Schisch-ით, თუ იგი თავისი არსით მომაკვდინებელი არ არის? დიახ, რატომ გამომიგზავნეს ჯერ მერანი, თუ თემი ძალადობაზე არ არის დამყარებული და ძალადობით არ ვითარდება? ეს საჩოთირო პრობლემა ამ და მსგავს სევდიან შეკითხვებს ბადებს და, ჩემის ღრმა რწმენით, ჩვენი ავტორის თავზე განკითხვის დღეს მოასწავებს.

თვით ამ მძიმე, ჩვენი ისტორიის საძულველ თემატურ პირობებშიც კი შეიძლებოდა ალბათ, ადამიანური ყოფა, შატილში რომ მხოლოდ თავისუფლად მოაზროვნე ხევსურებს ეცხოვრათ, ანუ იმათ, ვინც ავტორის წინააღმდეგ თუ არა, – სიუჟეტის წინააღმდეგ მაინც ილაშქრებს. სამწუხაროდ, სწორედ მათ არ გააჩნიათ რაიმე თემატური მნიშვნელობა. ჩვენი ისტორიისათვის ისინი აბსოლუტურად მოერეხარისხოვან პერსონაჟებს წარმოადგენენ და ჩვენი თემის ოფიციალური წარმოდგენებიდან შორს, უკანა პლანზე დგანან. რაიმეს თქმის უფლება შატილში მხოლოდ აბსოლუტურ მთავარ პერსონაჟებს ან ნაწილობრივ მთავარ პერსონაჟებს აქვთ. მაღალი თანამდებობებიც მათ უკავიათ და თხის მწყემსების

ნდობითაც ისინი სარგებლობენ. ბოლო ხანებში კი სპეციალური ვიზით საზღვარგარეთ, ქისტებთან გამგზავრების უფლებაც მოიპოვეს. ამ მოგზაურობისათვის მთავარ პერსონაჟთაგან მხოლოდ თემატურად განსაკუთრებულად სანდო, უცხო თემთან საყოველთაო ხელის ჩამორთმევის მოწინააღმდეგე პერსონაჟებს ირჩევენ. ასე, მაგ: მოხუცი უშიშა და შატილის ხევისბერი ბერდია (ქისტურად ხევისბერი„ქალაქის მერს" ნიშნავს), – უცხო ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი ქისტურ ისტორიასთან (პოემასთან) უკომპრომისო შეკჰისკჰი-თ თანაარსებობის ფანატიკური მიმდევრები – არაერთხელ სწვევიან ოფიციალური ვიზიტით სხვადასხვა ქისტურ თემს. ეს თემები, ყოველ შემთხვევაში ჩვენთან ასე ჰყვებიან, ღარიბ-ღატაკი და თემის ცაზე სულმდაბალი მკითხველის თავებით ყოფილა მოფენილი. წიგნის პერსონაჟთა (მთავარი პერსონაჟები თემატურად უცხო ისტორიიდან, ლექსიდან) ქვეყანაში შესასვლელად, ან ქვეყნიდან გასასვლელად საჭიროა, რომ ინტერთემატური მიმოსვლა წიგნის დახურულ მდგომარეობას ემთხვეოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ რეალური მკითხველის თავის წინაშე გადაშლილი წიგნის მდგომარეობაში, ყოველ ასეთ სტუმრობას შედეგად თემში ან ზედმეტად მეტი, ან ზედმეტად ნაკლები მოქმედი პერსონაჟი მოჰყვებოდა, რაც წესდებით გათვალისწინებულ ისტორიულ მსვლელობას შეაფერხებდა – ანუ, რეალური მკითხველის თავისთვის თემატურ დამაჯერობლობას სერიოზულად დააყენებდა კითხვის ნიშნის ქვეშ. ამ თვალსაზრისით ჩვენში, საზღვარგარეთ გამგზავრების პირობები სწორედაც რომ იდეალურია. თხის მწყემსების ფოცხვერივით ფხიზელი თვალი რომ არ გვდარაჯობდეს ყველგან და საზღვარზე გადასასვლელ საიდუმლო ბილიკები ვიცოდეთ, ნებისმიერ დროს დიდი ხნით შევძლებდით ქისტებთან გადასვლას. ჩვენი წიგნი ხომ უკვე დიდი ხანია აღარ იშლება. როგორც ჩანს, რეალური მკითხველის თავი ჩვენი თემისაგან სულ უფრო დიდ დისტანციას იცავს. საშუალოდ, რეალური ნახევარი წელი გადის ისე, რომ არც ერთი სერიოზულად დაინტერესებული რეალური თავი ჩვენს თემში აღარ იხედება. იშვიათად, რომ ჩვენი წიგნი სრულფასოვანმა მკითხველმა გადაშალოს. რეალური თავები ჩვენი თემის მიმართ მხოლოდ ზედაპირულ ინტერესს იჩენენ, სცენაზე გამოსულ პერსონაჟებს უყურადღებოდ ექცევიან და თემის ცაზე ისე სწრაფად გადაიქროლებენ, რომ ქვემოთ მოვლენები წესიერადაც კი ვერ ასწრებს განვითარებას. წიგნის ელვისებური სისწრაფით გადაშლის დროს რეალური თავი რაიმე თემატურს კი ვერ ხედავს, არამედ თვალწინ მხოლოდ არათემატური, ძირითადად კი ძვირფასი ქისტური საქონლით დატვირთული თეთრი მერანები, მტრედები, სახედრები და აქლემები წარმოუდგება.

ქისტეთში, პოემის (ისტორიის) ის ტერიტორია, რომელსაც ჩვენსავით იშვიათად სწყალობს მკითხველის თავი, თემად საერთოდ არ ითვლება. მას სამუდამოდ კეტავენ, მის რეალურ წიგნს ადუღაბებენ და პერსონაჟებიც მთელი თავიანთი ბარგი-ბარხანით (მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟებით) მეორე, ისეთ თემაში გადადიან საცხოვრებლად, რომელსაც უფრო ხშირი სტუმარიც ჰყავს და მეტადაც კითხულობენ. ისტორიისათვის ზედმეტად არათემატური (მოხუცი) პერსონაჟები, საგანგებოდ დაჩაჩანაკებული პერსონაჟებისთვის გამოყოფილ სემანტიკურ უბნებში გადაჰყავთ, ეგრეთწოდებულ ჯურღმულებში, როგორც მათ ქისტურად უწოდებენ – სადაც ისინი სიცოცხლის ბოლო დღეებს ყველასაგან მივიწყებულნი, სრულ მარტოობაში გალევენ. საკუთარი მკითხველის თავის დაკარგვა, ცხადია, არც ერთი ქისტური თემის ინტერესებში არ არის. მკითხველის თავების შესაძენად და მათ მისაზიდად ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ. იქიდან, რასაც ჩვენთან აქ, შატილში ყვებიან, ჩანს, რომ ქისტი პერსონაჟების შემოქმედებითი მობილიზების უნარი მართლაც რომ ფანტასტიკური უნდა იყოს. ქისტურ ისტორიაში (პოემაში) ყოველ წარმოდგენას პრემიერის ბრწყინვალება ახლავს თან და მის დონეზე ტარდება. უშიშაზე და მოხუც ბერდიაზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ფაქტმა, რომ ქისტურ თემში მათ პატივსაცემად საგანგებოდ გამართულ წარმოდგენას არც ერთი რეალური თავი არ დასწრებია. ხევსურ სტუმრებს ქისტეთის ისტორიიდან ცალკეული, მოკლე თავები უჩვენეს; მსგავსი რამ ჩვენთან, სადაც თემატური მოვლენები ჯერ კიდევ ასე მკაცრად არის დაკავშირებული წიგნის გადაშლის პროცესთან, უბრალოდ წარმოუდგენელია. ჩვენგან განსხვავებით, ქისტი პერსონაჟები თავიანთი წიგნებიდან ბევრად თავისუფლები და დამოუკიდებელნი არიან. დაუჯერებლად ჟღერს, მაგრამ ამის შესახებ ბერდიასა და უშიშას დელეგაციის წევრებმა გვამცნეს. თანაც ქისტურ ჟურნალებში შავით თეთრზე წერია, თუ რა გადმოაქვთ საზღვარზე ჩვენთან თეთრ მერნებს, როდესაც რეალური მკითხველის თავი მათ წარმოსახვას შეუდგება. ქისტ პერსონაჟებს შეუძლიათ საერთოდ უგულვებელყონ გადაშლილი წიგნი და წარმოდგენებში არ მიიღონ მონაწილეობა. ასევე უარს აცხადებენ წარმოდგენის გამართვაზე, თუ პერსონაჟი რეალურ თავს არ დაეთანხმა და იგრძნო, რომ იგი მათ თემს ან აღემატება, ან ჩამორჩება განვითარებით და მათი შეუფერებელია.

აქედან ჩანს, თუ რა შორს წასულან ქისტური თემები რეალური სამყაროს (თავის) კვლევის საკითხებში. უშიშასა და ბერდიას ძლიერი ტელესკოპებით აღჭურვილი ობსერვატორიები შემოატარეს. გადაშლილ წიგნში თემის ცისკენ აღმართული ტელესკოპები უშორესი მკითხველის თავის ფოტოებს ახლოდან იღებს. ამ ტელესკოპებს მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში იყენებენ.

ხშირად თემის ცაზე მკითხველის თავი ისე ახლოს მოჩანს, რომ მისი დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც იოლად შეიძლება. როგორც წესი, მკითხველი ქისტურ თემს მრავალჯერ დიდი ყურადღებით კითხულობს, – ამიტომ პერსონაჟს მასზე ხანგრძლივი დაკვირვების შესაძლებლობა ხშირად ეძლევა. ალაგ-ალაგ რეალური თავი იმდენად ღრმად ხრის თავს ქისტური თემისკენ, რომ ლამის მის მიწას შეეხოს და მოქმედ პერსონაჟებსაც დიდი სიფრთხილე მართებთ, რომ მათ არ დაეჯახონ, ან რამე არ ავნონ. *რეალური პირის ასეთი სიახლოვე ხევსურულ თემს, ძველ, ბედნიერ დროშიც კი არ განუცდია – ჩვენი პრემიერა 1888 წელს შედგა,* ანუ მაშინ, როდესაც მე შავმა მერანმა აქ მომიყვანა. ცხადია, რეალური მკითხველის თავის გაუნელებელი ინტერესი, რომელსაც იგი ქისტური თემის მიმართ იჩენს, ობიექტური მიზეზებით არის განპირობებული: ეს ინტერესი თემის რეალური სიცოცხლისუნარიანობითა და მკითხველისთვის მისი მაღალი რეალური ღირებულებებით აიხსნება. ქისტური თემის შეცნობის სურვილი რეალურ თავში არ კლებულობს, უფრო მეტიც: თუ მას პერსონაჟი პიროვნულად მოეწონა – რაც ხშირად ხდება კიდეც – იქ ყოფნის სურვილიც უჩნდება. ქისტი პერსონაჟები, შესაძლოა, ყოველთვის არა, მაგრამ ძირითად საკითხებში რეალურ სამყაროზე უფრო რეალურნი არიან და, ამგვარად, მკითხველის თავში მარად დაუცხრომელ ინტერესს იწვევენ. ჩვენი თემატური პირობებისათვის მრავალი მათი მეთოდი თავიდანვე მიუღებელი და ჩვენი პერსონაჟებისათვის ისეთივე, ანდა უფრო მეტად შორეული იყო, ვიდრე თავად რეალური მკითხველის თავები.

თემში ან მის თავზე რეალური თავების მოსაზიდად ერთი ნაცადი ხრიკი არსებობს, რომლის შესახებაც თეთრი მერნების, სახედრებისა და აქლემებს აკიდებული ტომრებიდან ამოღებული ჟურნალებიდან შევიტყვეთ. ბერდიამ და უშიშამაც საკუთარი თვალით ნახეს და მოგვიყვნენ. ახალგაზრდა, მიმზიდველი, შილიფად ჩაცმული, ანდა სულაც შიშველი მდედრობითი სქესის პერსონაჟები თემში თავისუფლად დასეირნობენ და მოურიდებლად, დედიშობილა ეჩვენებიან რეალურ თავებს, რომლებიც მათ რამდენიმე მილიმეტრის სიახლოვიდან უყურებენ. ქისტურ ისტორიაში (პოემაში) ქალური მომხიბვლელობის ამ სახით

წარმოჩინება თემატურად არის განპირობებული, რომელსაც ჩვენი ოფიციალური მხარე ურცხვ საქციელად მიიჩნევს. ეს პერსონაჟები ბავშვობიდანვე ამ წიგნის მკვიდრნი არიან. შიშველი სხეულების კულტურა ქისტური თემის ერთადერთი არსი ნუ გეგონებათ. მათ სხვა, ამაღლებული მიზნებიც აქვთ. ქისტური სტატისტიკის თანახმად, ყველაზე მეტი სტუმარი იმ ადგილებს ჰყავს, სადაც მდედრობითი სქესის პერსონაჟები შიშველი ფეხებისა და მკერდის დემონსტრირებას ახდენენ. თემატურად დაინტერესებული მკითხველის თავები ქისტ ქალებს (წიგნის პერსონაჟებს) თავს დასტრიალებენ და ხშირად ტუჩებს საკოცნელადაც უწევენ. ამ თავებს განსაკუთრებით იმ სცენების ასახვა აგიჟებთ, უფრო სწორად, აშტერებთ, თუ მდედრობითი სქესის პერსონაჟებმა მამრებთან ყველას თვალწინ ხვევნა-კოცნა გამართეს. ამ სცენის შემყურე რეალური თავი დიდი ხნით რჩება ასეთ ადგილებში, ანდა წასვლის სურვილი აღარ უჩნდება. ეს და მსგავსი თემატური სცენები საყოველთაოდ მიღებულია. სასიყვარულო ნეტარებას ეს პერსონაჟები თემატურ საწოლზე, თემატურ ველზე, ან, რაც უფრო ხშირია, თემატურ მანქანაში მიეცემიან ხოლმე. ზოგ თემატურ თემს საერთოდაც ამგვარი ადგილებით უდგას სული, თუმცა, მათი ისტორია სულ სხვა რამისკენ ისწრაფვის. რეალური თავი ქისტურ ისტორიას მუდამ ზემოთ მოხსენიებულ ადგილებზე შლის და პერსონაჟებიც განუწყვეტლივ მოქმედებენ. როგორც უშიშა და ბერდია ირწმუნებიან, ამ სახის სცენები ქისტური თემის მარილია, რომლის გარეშეც ვერცერთი ისტორია ვერც შინაარსს შეიძენდა და მომხიბვლელობასაც დაკარგავდა. თემი კი, ცის თაღზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თემის მიწაზე რეალური მკითხველის თავებს ვეღარ შეინარჩუნებდა.

მკითხველის თავი ჩვენი თემის ცაზე ყოველდღიურად კლებულობს. როგორც ჩანს, ამის შესახებ საზღვარგარეთელი ქისტი კოლეგები ჩინებულად არიან ინფორმირებულნი, სწორედ ამიტომ ურჩიეს უშიშას და ბერდიას ჩვენს ისტორიაში (ლექსში) მეტი მდედრობითი სქესის პერსონაჟი გამოექექათ და მუცლით ცეკვა, ანდა გაშიშვლება თემატურად დაეშვათ. მათი აზრით, ამის შემდეგ მკითხველის თავები ჩვენს თემს უსასრულო ნაკადად მოაწყდებოდნენ. სამწუხაროდ, მსგავსი მეთოდები ჩვენს თემთან სრულ წინააღმდეგობაშია, რომლის თანახმადაც მდედრობითი სქესის პერსონაჟები, თუ მათი არსებობა თემატურად საერთოდ დაუშვეს, მამრობითი პერსონაჟების მსგავსად, როგორც ქვეყნის მტრის წინააღმდეგ მებრძოლი მეომრები, თემში ისე ჩნდებიან. სანამ ისინი სასიკვდილოდ განგმირულნი მიწაზე არ დაეცემიან, მათი სქესის შესახებ თვით მკითხველის თავიც კი ვერაფერს

იგებს. მაშინ კი რომელიმე პერსონაჟი ქურთუკს შემოიგლეჯს და ჭრილობას უხვევს. ჩვენს ისტორიაში გაშიშვლება მხოლოდ ამ სახით არის დაშვებული. ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას ჩვენში ხმამაღლა ასხამენ ხოტბას. თუმცა კი ეს თანასწორუფლებიანობა მხოლოდ ქაღალდზე დაწერილად რჩება და ქალურობაც, შესაბამისად, მეორეხარისხოვან მნიშვნელობას იძენს. ამ საკითხს არსად, ან უკიდურეს შემთხვევაში თემატურად მხოლოდ დარცხვენით, ზედაპირულად ეხებიან.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქისტური შიშველი სხეულების კულტურას, როგორც რეალური მკითხველის თავების მოზიდვის საშუალებას (ამ კულტურის ჩვენს თემთან შერწყმა ჩვენი ადათ-წესების ძირეულ ცვლილებებს გამოიწვევდა და შატილში თავისუფლად მოაზროვნე ელემენტებს კიდევ უფრო გააქტიურებდა), ამ სფეროში ქისტებისგან ბევრი რამ გვაქვს სასწავლი და ყურადსაღები. ჩემთვის, როგორც წარმოშობით მკვიდრი ქისტისთვის, ამის აღნიშვნა ძალზე სასიამოვნოა. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ჩემი პირადი აზრია. მიუხედავად ქისტური კონტრაბანდული საქონლის მიმართ ჩვენი წიგნის სამყაროს თითქმის ღია მდგომარეობისა და უნივერსალური ხელის ჩამორთმევის მეთოდით სრულიად შერყეული თემისა, ყველა თემატურად მნიშვნელოვან ხევსურს ღრმად სწამს, რომ ყოველივე ქისტური ხევსურული თემისთვის მიუღებელია. საზღვარგარეთ მოგზაურობამ უშიშასა და ბერდიაზე ღრმა, დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა მკითხველის თავების მიმართ ქისტური რეალური პოლიტიკის ნაწილობრივ გატარებას მაინც მტკიცედ უარყოფენ. (სხვათა შორის, ქისტური პოლიტიკა მხოლოდ შიშველი სხეულების კულტურით არ ამოიწურება). ასევე კრიტიკულად შეაფასეს მათ ამ პოლიტიკის სხვა მხარეც, რაც ჩვენს სასარგებლოდ შეიძლებოდა გამოგვეყენებინა. მხედველობაში მაქვს ქისტური თემის თავისებური შინაგანი სტრუქტურა – უმთავრესად კი თემის შიგნით ყველა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო მოვლენების უცნაური წყობა, რომელიც ყოველი მკითხველის თავში დაძაბულ ინტერესს არ ანელებს. ქისტეთში თემატური მოვლენების, როგორც სივრცესა და დროში ჩაკეტილი ერთიანობის ჩვენება, იშვიათია. მას პატარ-პატარ ნაწილებად შლიან, შემდეგ კი ამ ნაწილებს მთელი თემის ცაზე დროში გადაანაწილებენ. ეს ფანდი არა მხოლოდ საგრძნობლად ანელებს ისტორიის თემატურ სისწრაფეს და კუს ნაბიჯებამდე დაჰყავს იგი, არამედ ამ ისტორიასთან გარედან მოახლოებულ რეალურ პირთა დაინტერესებასაც დიდად ზრდის და თემის გახანგრძლივებას, ანუ მკითხველ თავებში რეალური წარმოდგენების გახანგრძლივებას იწვევს.

ასე რომ, ქისტ მკითხველს მთელი თემატური მოვლენები კი არ ხვდება (რეალურ) თავში, არამედ, პირიქით, მხოლოდ ამ მოვლენის ნატეხებს ხედავს, რაც მას ნარჩენი მოვლენებისაკენ წააქეზებს და სანამ უკანასკნელ ნატეხს არ მიიღებს, ამ ისტორიის ნახვის სურვილიც არ უქრება, – ამასობაში კი მთელი თემი ჩაივლის და წიგნიც სრულდება. თემატური კუს ნაბიჯების პრინციპი (უფრო სწორად, თემატური მოვლენების დაყოფა რეალური დროის გახანგრძლივების მიზნით) უაღრესად რაფინირებულ, მკითხველის თავის დამაინტრიგებელ საუკეთესო ხრიკად მიმაჩნია, რომლის წარმატებით გამოყენებასაც ჩვენს ისტორიულ პირობებში, უეჭველია, სულ იოლად შევძლებდით, თუკი, ცხადია, ჩვენი ისტორიის ხელისუფლება ამ საკითხისადმი სათანადო თანაგრძნობას გამოიჩენდა. ამ ხერხით ჩემსა და ალუს შორის გამართული სროლები თემის ცაზე გაიბნეოდა, რაც რეალური მკითხველის თავის ცნობისმოყვარეობას ამ შეხვედრის შედეგებზე შესაბამისად გაზრდიდა. ჩვენი დუელის ტემპის დაცემა შეიძლება განსაკუთრებული დავიდარაბის გარეშე მოხერხდეს. ეს დუელი ოთხი თანამიმდევრული გასროლისაგან შედგება – ჩემი მისამართით ალუს ორი გასროლისაგან და ალუს მისამართით ჩემი ორი გასროლისგან. დუელის ტემპის შესანელებლად საჭირო იქნებოდა სროლებს შორის დროის ხანგრძლივობა გაგვეზარდა, ანუ პირველად დასაწყისში გვესროლა, მეორედ – შუაში, მესამედ – დასასრულისაკენ და მეოთხედ კი თემის ფინალურ ნაწილში. ამ გზით ჩემი და ალუს ორთაბრძოლას რეალური მკითხველი თავი წამიერად, ყოველ მეორე პროვინციაში დაინახავდა და ნაცვლად იმისა, რომ დუელი პირველი თემატური პროვინციის დასაწყისშივე დასრულებულიყო, ექვსივე პროვინციაზე გადანაწილდებოდა. ეს კი თემში ჩემს სიცოცხლეს გაახანგრძლივებდა. მაშინ რეალური მკითხველის თავში იმდენ ხანს ვიცოცხლებდი, რამდენსაც ჩემი თემელი კოლეგები ცოცხლობენ, ხოლო ჩემი პერსონაჟის დიდმნიშვნელოვნება კი ყველას – თემის შიგნით თუ თემის გარეთ – თვალში მოხვდებოდა. ამგვარად, ერთგანზომილებიან თემს ორგანზომილებიანად გავხდიდი და იგი შინაარსობრივად განსხვავებულ, მაგრამ ერთდროულად ორ პერსპექტივად გაიშლებოდა: დუელის პერსპექტივაში, როდესაც მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ და დუელის შემდგომ პერსპექტივაში, როდესაც მე უკვე მკვდარი ვარ. ორგვარი თვალთახედვით განვითარებული ისტორია კიდევ იმიტომაც არის უკეთესი, რომ ჩემს მარჯვენას, რომელიც დუელისათვის აუცილებელია, მთელი თემის განმავლობაში შევინარჩუნებდი (უნდა შემენარჩუნებინა) და იქ, სადაც ჩემი მარჯვენა უჩემოდ ჩნდება, იძულებული შეიქნებოდნენ, ასლით შეეცვალათ. მარჯვენა მკლავის

ხელოვნური ეგზემპლარები ამასწინათ ქისტებმა ტომრებით გამოგვიგზავნეს. ეს ორგვარი თვალთახედვა იმიტომაც არის ფასეული, რომ ჩემი სიკვდილის თემატური ფაქტი და ხელის მომკვეთ მინდიას მიერ ჩემი გვამის დასახიჩრება რეალობას დაკარგავდა და თუმცა ორივე შემაძრწუნებელ სანახაობად გადაიქცეოდა, თავისთავად დუელი ბოლომდე აღარ განვითარდებოდა. დიახ, ეს თემატური ფაქტი ერთ, ან ორსავე მოშუღლეში – ალუში, ანდა ჩემში, – თემატური აზრის სახით გაიელვებდა და წინასწარ ყველა იმ სევდიან მოვლენას განჭვრეტდა, რაც თემში ჩვენს დუელს მოყვება. ამ თვალსაზრისით უფრო თემატური იქნებოდა და ასევე ლოგიკურიც, თუ მე და ალუ დუელს დროულად, ანუ მეოთხე სროლაზე შევწყვეტდით, თემატური ავი წინაგრძნობით შეპყრობილნი იარაღს ძირს დავუშვებდით და ბოლო წუთს ერთმანეთს ხელს ჩამოვართმევდით. თუ მოვლენები ზემოხსენებული გზით განვითარდებოდა, მე უწინდებურად ალუს ხელით აღვესრულებოდი. ჯერ ერთი, სრულებით დამაკმაყოფილებდა ჩემი ნაძალადევი სიკვდილის რეალობა და მეორეც, თემიც და მთელი ისტორიაც დამთავრდებოდა. ასე რომ, წიგნის არცერთი პერსონაჟის თემატური სიცოცხლის რეალური ხანგრძლივობა ჩემსას აღარ აღემატებოდა.

ცხადია, ჩვენს თემში განახლების ქისტური მეთოდების პრატიკულ გამოყენებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ხელისუფლება, რომელსაც არ სურს, ჩვენი ისტორიის პირველადი სტრუქტურიდან ერთი მილიმეტრითაც გადაუხვიოს, საბოლოო ჯამში, თემის რეკონსტრუქციას ერთი წუთითაც კი არ დაუშვებს არა მარტო იმიტომ, რომ მის საგარეო (და საშინაო) პოლიტიკას Schisch უდევს საფუძვლად, არამედ იმიტომაც, რომ თემის ტექნიკის თანამედროვე (ქისტური) ცნებები, როგორიცაა: მოვლენათა დაყოფა, თემატური კუს ნაბიჯები, სიკვდილსა და სიცოცხლეში წიგნის პერსონაჟთა მრავალგანზომილებიანი შრეები მისთვის სრულიად უცხოა. ხელისუფლებას სურს, რომ იგი კვლავინდებურად მკაცრად რეალისტური იყოს და იგი დაუნაწევრებელი, ურყევი და შეუქცევადი ფორმით შეინარჩუნოს. ეს შეხედულება კი ერთი საუკუნით მაინც გვწევს უკან და ჩვენ, წიგნის პერსონაჟებს, მოქმედების თავისუფლებას გვართმევს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ხელის ჩამორთმევის შანსს საერთოდ გვაკარგვინებს. ვერ გეტყვით, რა აიძულებს ჩვენს ძვირფას ხელისუფლებას, ასეთი ჯიუტი იყოს. თუ ჰგონია, რომ ადამ და ევას დროინდელი რეალიზმით თუნდაც ყველაზე მოკრძალებულ მკითხველზე (ამაღლებულ მკითხველზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელიც, ალბათ, თავად ღმერთია) მოახდენს შთაბეჭდილებას, საბედისწეროდ ცდება. სწორედ სტრუქტურულად ღარიბი თემის შედეგებია მის ცაზე

სერიოზულად დაინტერესებულ მკითხველთა მცირე რიცხვი. ხელისუფლება მცირე ექსპერიმენტის უფლებასაც კი არ იძლევა, ხოლო ისტორიულ თემებზე ვარიაციათა არარსებობა მკითხველს ვერ ართობს. ეს უკანასკნელი კი ქისტურ თემზეა ორიენტირებული და წიგნებისგან შიშველი სხეულების კულტურის კომპლექსურ სტრუქტურას, ანდა ორივეს ერთდროულად მოითხოვს და თუ წიგნებში ვერცერთი ვერ აღმოაჩინა, სამუდამოდ ხურავს და ხელს აღარ ჰკიდებს. ის, რომ ჯერ არ გადავუყრივართ, არ დავუვიწყებივართ და – (როგორც თხის მწყემსები ამბობენ და, ალბათ, დაეჯერებათ კიდეც) კარადებში საპატიო ადგილი მოგვიჩინეს, მართლაც გასაოცარია. ეს ფაქტი, ალბათ, უმეტესი მკითხველი თავების ჯიუტი და წიგნის მიმართ დღეს უკვე სრულიად ზედაპირული პატივისცემის გრძნობით შეიძლება აიხსნას. აქვე უნდა ვაღიაროთ იმედის ფაქტორიც. მხედველობაში მაქვს რეალური თავების იმედი, – იქნებ ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი თემი უკეთესი და ადამიანური გახდეს და, ბოლოს-დაბოლოს, საყოველთაო ხელის ჩამორთმევასაც მივაღწიოთ. ჩვენი თემის მიმართ რეალური თავების პოზიტიური დამოკიდებულების დამამტკიცებელ საბუთს იმაშიც ვხედავ, რომ მათი მზერა – თუ მათ საერთოდ ჩვენი წიგნის წაკითხვის სურვილი გაუჩნდათ – მხოლოდ შატილისაკენ არის მიმართული, წიგნს მხოლოდ ჩვენი ტერიტორიის ცენტრალურ ადგილზე შლიან იმის შესამოწმებლად, ბოლოსდაბოლოს, თემატური ცვლილებები ჩვენს თემშიც ხომ არ დაიწყო. თანაც მე არც ისე სულელი ვარ, ვერ მივხვდე, რას ფიქრობენ ეს თავები. რეალურ სამყაროსთან დაკავშირებულ ყველა პრობლემაზე საკმაოდ დამაჯერებელი, თუმცა არაპირდაპირი სამხილი მაქვს: ჯერ ერთი, მკითხველი თავი, რომელიც ჩვენს თემში მუდამ რეალური წარმოსახვის ძალით, ქისტური კონტრაბანდით დატვირთულ მერნებს, სახედრებსა და აქლემებს აგზავნის, შატილს როგორც ქისტურ თემს, ისეთად განიხილავს. მეორეც: ის გარემოება, რომ ის შატილს და არა ჩვენი ისტორიის სხვა რომელიმე ადგილს აკვირდება დაჟინებით, მის ფარულ ოპტიმიზმზე მეტყველებს, რადგან თუ ოდესმე ჩვენს თემში ძირეული ცვლილებები მოხდა, ეს მაინც შატილიდან უნდა დაიწყოს. Schisch-ის ხელის ჩამორთმევით შეცვლა, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ამ ცვლილების პირველი ნიშნები ხევსურული თემის ცენტრში, მხოლოდ მის დედაქალაქშია მოსალოდნელი. იქ, სადაც ბილწი ნაკადი საუკეთესო (ანტითემატურ) ნაკადს ერთვის. სხვათა შორის, ქისტური კონტრაბანდა შატილს სწორედ ამიტომაც მოეწოდება. ცხადია, ჩვენ, შატილელები, დიდ ცვლილებებამდე უნუგეშოდ შორსა ვართ. ხანდახან მეჩვენება კიდეც, რომ ჩვენი პრინციპული უკვდავება აბსურდულია და ჩვენ, წიგნის პერსონაჟები, ამ ცვლილებებს ვერ მოვესწრებით, ისევე, როგორც მოკვდავი

რეალური თავების ჭრელი მასა. ჩვენი თემის ცაზე ამ თავების მერამდენე თაობამ გადაიარა და იმედი კი არ გამართლებია.

აშკარაა, რომ უცვლელი შატილის შემყურე გულდაწყვეტილ მკითხველს ჩვენი მდგომარეობა არ მოსწონს. როცა ისტორიის ფურცლებს შლის, სიახლის ძებნას იწყებს და სხვანაირი თემის ხილვა სურს. მათ გულისწყრომას უეცარი, არანორმალური თემატური რყევით ვხვდებით, რომელიც, სამწუხაროდ, არასდროს ისეთი ძლიერი არ არის, რომ ჩვენი თემი კალაპოტიდან ამოაგდოს. რყევა – ეს სიტყვა გულისხმობს არა ჩვეულებრივ, სამგანზომილებიან მიწისძვრას, არამედ ისტორიულ ძვრებს, რომელიც პირველ რიგში, წიგნის პერსონაჟთა ყველა ტიპიურ სიტყვას, გამონათქვამს, აზრსა და მოქმედებას თავდაყირა აყენებს (ყოველი ასეთი ბიძგის შემდეგ ერთხანს თემს ვეღარც ვიხსენებთ). წიგნის ამგვარი, თავშეუკავებლად მკვეთრი დახურვის შემდეგ, უცნაური შეგრძნებები გვეუფლება. ბუნებრივია, ამ დროს გეოგრაფიულად არაფერი იცვლება. ჰორიზონტზე მთები იმავე ადგილას მოჩანს, ადგილიდან არც შატილი იძვრის, – ფიზიკური მიწისძვრისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც ყველაფერი შიშისმომგვრელად იწყებს რყევას. ჩვენ კი, წიგნის პერსონაჟები, ხუთი, ათი წუთით ვყრუვდებით, თემი ძირფესვიანად გვივარდება თავიდან და გარკვეულ ხანს, მის არსებობას თომინოც კი ვეღარ გვახსენებს. თვით მეც კი, თამაშის გეგმის ავტორი, ხის ნაფოტებს უაზროდ ვაშტერდები და მათ ერთმანეთისგან – რამდენიმე არათემატური კოზირის გარდა – ვეღარ ვასხვავებ. წამიერი, სრული თემატური აპათიიდან, თხის მწყემსების ველური ყიჟინა და მათრახების ტყლაშუნის ხმა გვაფხიზლებს – უცნაურია, მაგრამ თავად თხის მწყემსებს თემატური მიწისძვრა არ ეხებათ. აბსოლუტურ მეორეხარისხოვან პერსონაჟებს ისინი გვარიან პანღურსაც ამოჰკრავენ ხოლმე.

თხის მწყემსებს თემის უსაზღვრო ნდობა აქვთ. მათზე არც მკითხველის აშკარა სიძულვილი ახდენს შთაბეჭდილებას, არც მათი იშვიათი სტუმრობა და არც ნაჩქარევად დახურული წიგნით გამოწვეული თემატური მიწისძვრა. მკითხველის თავის მიერ ჩვენი თემის უარმყოფელ გულგრილობას ისინი დროებით მოვლენად მიიჩნევენ და თვლიან, რომ ხევსურულ თემთან მათი დამოკიდებულება, ბიწიერი აზრების,დაბინდული გონების, ცხოვრების უგვანო წესისა და ქისტურ თემში სარეველა ბალახივით მოდებული მოდერნისტული სტრუქტურის შედეგია. მათი ბრმა რწმენით, რეალურ სამყაროში ყოველივე ეს დიდხანს ვერ მოიკიდებს ფეხს და მას წიგნისა და რეალურ სამყაროდან გაქრობის განაჩენი გამოუტანეს. ყოველივე ამას რეალური და წიგნის სამყაროს შატილის სამხარეო საბჭოს გაუთავებელ პოლიტიკურ სემინარებზე ვისმენთ ხოლმე. ისე კი ასეთი რამ ჯერ არ

შეგვიმჩნევია. პირიქით, ყველაფერი ისე ჩანს, თითქოს თხის მწყემსების აპოკალიფსური წინასწარმეტყველებანი ქრისტურ თემს კი არა, ჩვენს ხევსურულ ისტორიას ეხებოდეს. თითქოს რეალური სამყაროდან უხმოდ, უკვალოდ გაქრობას ისინი კი არა, ჩვენ ვაპირებდეთ.

თხის მწყემსებს ერთი უცნაური ჩვევა აქვთ – ყველაფრისაგან თემატური სარგებლობა ნახონ. ამბობენ, რომ რეალური თავებისთვის ჩვენი ისტორია ისეთ არაჩვეულებრივ მოვლენად იქცა და ისე გაუჯდათ ძვალსა და რბილში, რომ მის ყოველდღიურ წაკითხვას აღარ საჭიროებენ. აღტკინებულნი იმასაც ამტკიცებენ, თითქოს ჩვენი თემი რეალურ სამყაროს შესისხლხორცებოდეს, რაზეც ხანგრძლივად დახურული წიგნიც მეტყველებს. ამ მდგომარეობას ისინი მაღალ შეფასებას აძლევენ, ხოლო იმ გარემოებას, რომ რეალურ პირთა წიგნის კარადებში ხელუხლებლად ვაწყვივართ და დროდადრო, ათ წუთში ერთხელ, ჩვენი ახალი გამოცემები ქვეყანას ევლინება, რომელსაც თუმცა არავინ კითხულობს, მაგრამ მაინც კარგად იყიდება, ამის დამამტკიცებელ საბუთად მიიჩნევენ. აქედან თხის მწყემსებს ის დასკვნა გამოაქვთ, რომ რეალურ სამყაროში ჩვენი ადგილი სრულიად ურყევია, ხოლო ჩვენმა ისტორიამ კი დროთა განმავლობაში ისეთი ბუნებრიობა შეიძინა, რეალურ თავებს ის საკუთარი სამყაროს განუყოფელ ნაწილად მიაჩნიათ და მას დაუფიქრებლად (წაუკითხავად), სიხარულით ეგებებიან.

ორი თვალსაზრისი კლასიკის შესახებ

მარადისობისთვის რეალურ სამყაროში, როგორც შეურყეველი, თანაბრად ყველა რეალური თავის მიერ ერთხმად აღიარებული, გააზრებული ბუნებრიობისა და თავისთავადობისთვის თხის მწყემსებს ერთადერთი სიტყვა – „კლასიკური“ აქვთ. ისინი ცდილობენ თავში ჩაგვიდონ, რომ ჩვენი თემი ყველაზე გამძლე, რეალური, ჰარმონიული, მშვენიერი და ბოლოს, (წიგნისა და რეალური პირებისთვის), ყველაზე სასარგებლოა, მოკლედ რომ ვთქვათ, უბრალოდ „კლასიკურია“. შატილის მთავრობის სასახლის კედლებზე ჩვენი თემისა და მისი მიმდებარე მსგავსი ხევსურული თემების ავტორთა ადამიანის სიმაღლე პორტრეტები ჰკიდია. ერთ-ერთ სურათზე წვერებიანი კაცი ვიცანი, რომელიც ამ უკეთურ თემში ალუს ტყვიით პირველად განგმირულს, კმაყოფილებით ზემოდან დამყურებდა. ჩვენს თემს კლასიკური სტრუქტურა აქვს და ამიტომ შატილში კლასიკური სტილით ნაგებ საცხოვრებელ სახლებს და ციხე-სიმაგრეებს ხშირად შეხვდებით. ზოგ სახურავს ბერძნული ფრონტონი ამკობს, ხოლო სადარბაზოები კი მრგვალ დორიულ სვეტებს ეყრდნობა.

ცხადია, თხის მწყემსებს Schisch -იც კლასიკურად მიაჩნიათ. (ასობით მაგალითი არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ Schisch-თან მიმართებაში თვით ხევსური პერსონაჟებიც შინაგან დისტანციას იცავენ). სამწუხაროდ, გარეგნულად ისევე იქცევიან, როგორც იმ პირველ თემატურ დღეს. თხის მწყემსების აზრით, ჩვენთან Schisch ქისტების წინააღმდეგ თემატურად განვითარდა და რეალურ სამყაროში, მას ჩვენი თემის მკითხველი პირების სახით, შესაძლოა არც თუ ისე მკაცრი, მაგრამ მისივე მსგავსი რაობანი გააჩნია. ამიტომ რეალური პირებისთვის (თავებისთვის) არ არსებობს უფრო ბუნებრივი და თავისთავადი რამ, ვიდრე სხვა (ქისტური) ისტორიისაგან (რეალური და წიგნის) პერსონაჟთა მიერ სასტიკი და ხელის დამოკლებით შენარჩუნებული თემატური იზოლაცია. დანამდვილებით არც ერთმა წიგნის პერსონაჟმა არ იცის, თუ რა მდგომარეობაა რეალურ სამყაროში, მაგრამ ინტუიციით, რომელიც არასდროს გვღალატობს, ვხვდებით, რომ არც რეალურ და არც წიგნის სამყაროში, Schisch, თემის (ისტორიის) მოსართავად არ გამოდგება.

ალბათ, ამიტომ გავრცელდა რეალური Schisch-ით გამოწვეული რეალური მკითხველი თავების ანტიპათია, – რომელიც მათ საკუთარ ქვეყანაში სტანჯავდა, – ჩვენი თემის Schisch-ზე. ასე რომ, თხის მწყემსების ვარაუდი რეალური Schisch-ის არსებობაზე, რომელსაც თითქოს, ჩვენი ისტორიის თემატური Schisch-ისთვის კლასიკური სიმტკიცის მინიჭება სურს, უპირველეს ყოვლისა, რეალური და წიგნის პერსონაჟთა მიერ მის პრინციპულ მიუღებლობას ამხელს. ჩვენი Schisch-ის ისტორიულობაზე ლაპარაკი სრულიად უსაფუძვლოა და ვფიქრობ, ამას თავად თხის მწყემსებიც გრძნობენ. მათი კლასიკური სიმშვიდე მოუსვენრობის ნაპერწკლებს აფრქვევს, რომელიც მხოლოდ გაწაფული თვალისათვის არის შესამჩნევი, ხოლო გამოჩენილ ადამიანთა დაძაბულობა მით უფრო იზრდება, რაც უფრო ნაკლებად კითხულობენ რეალური თავები ჩვენს წიგნებს. ამაზე მეტყველებს ბოლო ხანებში ქისტურ თემთან კონტაქტის დამყარებით დაინტერესებული მწყემსების ჟესტიკულაცია და უშიშასა და ბერდიას ქისტეთში მოგზაურობა იქაური ცხოვრების დონისა და განსაკუთრებით კი ტექნიკის დასათვალიერებლად, რომელიც ასე იზიდავს რეალურ თავებს.

ჩემი აზრით, ჩვენს ისტორიას კლასიკურობას მხოლოდ ხელის ჩამორთმევა ანიჭებს. მტკიცედ მჯერა, როგორც რეალური, ასევე წიგნის პერსონაჟებისთვის ხელის ჩამორთმევა ბუნებრივი და თავისთავადი მოვლენაა. ხოლო სადაც ხელის ჩამორთმევა თემატურად არ არსებობს, არც წასაკითხია რამე და არც ცხოვრება ღირს. შატილი რომ რეალურ

სამყაროში არ მოსწონთ, გასაგებია. ყველას, ვინც ამ ქალაქს მკითხველივით აკვირდება, მის შესახებ უარყოფითი აზრი ექმნება და ფიქრობს, რომ ქალაქში მხოლოდ ყელის გამომჭრელები და მარჯვენის მომკვეთნი ცხოვრობენ. ფიქრობენ, რომ შატილელებს მეზობელ ქისტურ ისტორიის ტერიტორიასთან Schisch-ის გარდა არაფერი აკავშირებს. ცხადია, ეს არ არის სწორი. შატილში დღეს ხელის ჩამორთმევას უფრო ჰყავს მომხრე, ვიდრე Schisch-ს, თუმცა ისინი თემატურად არსად ჩნდებიან.

ჩვენი თემატური საზღვარი

ჩვენს თემში ერთადერთი პერსონაჟი, რომელსაც Schisch-ის (უფრო ზუსტად: მარჯვენის მოკვეთის) წინააღმდეგ აზრის საჯაროდ გამოთქმის უფლება აქვს, ალუა. იგი ჩვენი ისტორიის დასაწყისშივე თოფით მკლავს და მას შემდეგ სინდისის ქენჯნა არ ასვენებს. ალბათ გახსოვთ, რომ სიკვდილის შემდეგ პატივით მკრძალავს და არც მარჯვენას მაჭრის, როგორც ეს მას თემატურად – ხევსურულად – უნდა ჩაედინა. ტრადიციის დარღვევის გამო ის დანარჩენ ხუთივე პროვინციაში მმართველ ხროვასთან იჭერს საქმეს და ვინაიდან ქისტების წინააღმდეგ მიმართული Schisch ამაზრზენად მიაჩნია, საბოლოოდ, მეექვსე და უკანასკნელი თემატური პროვინციიდან, ჩვენი ისტორიიდან განდევნიან. მოვლენების ამგვარად განვითარების გამო ამასწინათ ქისტებმა ალუ თავიანთ თემში მიიწვიეს საცხოვრებლად, რამაც იგი დიდად გაახარა. თხის მწყემსები დიდი ხნის განმავლობაში უმალავდნენ მას ამ მიწვევას, მანამ ალუმ ამის შესახებ საფოსტო მტრედით არ შეიტყო. ქისტებისადმი ზიზღი ალუში არასდროს ყოფილა თემატურად ძლიერი. შემდეგ კი მათ მიმართ ანტიპათიაც სრულებით გაუქრა და მისი ადგილი თემთან ხელის ჩამორთმევის, ისტორიული სამართლიანობის რწმენამ დაიკავა.

ალუს არ შეუძლია ქისტებთან გადასვლა, ვინაიდან ჩვენი ისტორია მისთვის ისეთივე საპყრობილეა, როგორც ჩვენთვის და სხვა დანარჩენი პერსონაჟებისათვის. ფაქტიურად, თხის მწყემსები მას არასოდეს გაუშვებენ, რაც უნდა აღაშფოთოს იგი ჩვენმა წიგნმა და მისმა ბოროტებამ (Schisch, ხელის მოკვეთა, ყელის გამოჭრა, სრულიად ირაციონალური ზიზღი ქისტები მიმართ და ა.შ.)

ისტორიიდან მისი განდევნა ჩვენი თემის საზღვრებს არ სცილდება. ყველაფერი ისე რეალურად არის გათამაშებული, რომ კაცი იფიქრებს, ალუ მართლა გვტოვებსო. ცოლ-შვილითა და მთელი ავლა-დიდებით ჩვენი ლექსის (ისტორიის) ბოლოში აღმართულ მთებზე ადის და უღელტეხილზე უჩინარდება.

ყოველივე ისე გამოიყურება, თითქოს ალუდა მეორე (ქისტური) წიგნის ტერიტორიაზე გადავიდა და ჩვენ, წიგნის პერსონაჟებსაც კი, დიდხანს გვჯეროდა ასე. წიგნის დამთავრების შემდეგ ალუ ყოველთვის უკან ბრუნდება. მისმა სისტემატურმა გაუჩინარებამ და ისტორიის დასასრულის შემდეგ კვლავ გამოჩენამ მიგვახვედრა, რომ სერიოზულად (თემატურად) იგი არასდროს გაუძევებიათ, თუმცა ვფიქრობდით, რომ ალუს ცოტა ხნით მაინც ჰქონდა ამ საპყრობილიდან ცხვირის გაყოფის უფლება. მისი ჯიუტი დუმილი, რომლითაც იგი ჩვენს შეკითხვებს პასუხობდა, როგორც კი ამ საკითხზე გავუბამდით საუბარს, ვარაუდს კიდევ უფრო მეტად გვიმტკიცებდა. მაშინ ჯერ კიდევ წარმოდგენა არ გვქონდა, რომ თხის მწყემსები მკაცრად უკრძალავდნენ ლაპარაკს იმაზე, რაც თემატურ გამგზავრებას ეხებოდა.

ერთ დღეს ჩვენი თემის რამდენიმე გაბედულ პერსონაჟთან ერთად გავუდექი გზას, რათა ეს საქმე ადგილზე გაგვერკვია. ვაპირებდით, ალუს შევერთებოდით, როდესაც ის თავის ოჯახთან ერთად, თემიდან ოფიციალურად განდევნილი, უღელტეხილზე გადავიდოდა. თხის მწყემსები სასაზღვრო ზოლს ფხიზლად სდარაჯობენ და თუ ვინმე უცხოს მოჰკრეს თვალი, გაუფრთხილებლად ესვრიან. ამიტომ იქ გამოჩენა მეტად სარისკო იყო. როგორ გავძვერით, დღესაც ვერ გეტყვით. იქნებ თხის მწყემსებმა, რომლებიც უღელტეხილის მისასვლელებს სდარაჯობენ, სწორედ იმ დღეს მოადუნეს ყურადღება. შესაძლოა, იქ საერთოდ არაც არავინ დგას, რადგან უღელტეხილისაკენ სავალი გზები თემატური წიგნის ტერიტორიას განეკუთვნება და მკითხველის თავების მხედველობის არეშია მოქცეული. ალუს და მისიანების გარდა იმ წუთს იქ ხეტიალის უფლება არავის აქვს. ალუს უკანასკნელი თემატური გზა მეექვსე პროვინციის ბოლოს ერთადერთია, რომლითაც ჩვენი ისტორიის საზღვარი შეიძლება ისე გადავჭრათ, რომ მთებმა უკან არ დაიხიოს და ჩვენც ისეთი შეგრძნება არ დაგვეუფლოს, თითქოს ერთ ადგილს ვტკეპნიდეთ.

ალუს პროცესიას უკან ადევნებულები ძლივს მივბარბაცებდით. თემატური სიკვდილის შემდეგ ახალი გამოჯანმრთელებული ვიყავი და მუხლები მიკანკალებდა. ეს გზა ყველაზე ძნელადსავალი იყო და იძულებული ვიყავი, სიარულისას ჩემს თანმხლებს დავყრდნობოდი. გასაგებია, – თუმცა მაინც უცნაურად მეჩვენება – რატომაც ვერ შეგვამჩნია რეალურმა თავმა, რომელიც იმ წუთს ალუს უღელტეხილზე გადასვლისას ციდან ჩამოჰყურებდა. მთის ქედზე ისეთი ხშირი ნისლი ჩამოწოლილიყო, რომ სასაზღვრო ტერიტორიის საერთო ხედი არც მოჩანდა. თავის დასაზღვევად დისტანციას ვიცავდით, თანაც ამინდის გამო ირგვლივ ყვლაფერი ბუნდოვნად მოჩანდა. სამაგიეროდ, ჩვენს ყურამდე ქალების წინასწარგანსაზღვრუ-

ლი ქვითინი აღწევდა. დიდი იყო საყვარელ თემთან განშორებით გამოწვეული მწუხარება და ქალები თავშეუკავებლად ტიროდნენ. ტირილის ხმა განსაცვიფრებლად დამაჯერებლად ჟღერდა, თუმცა დახშული ხმებით, რომლებიც ნისლიდან ჩვენამდე ნაწყვეტ-ნაწყვეტ აღწევდა, მივხვდით, რომ ქალებს ისტერიული სიცილი ატეხოდათ, რაც მთელ თემატურ მწუხარებას (ანუ საძაგლობას) ეწინააღმდეგბოდა. არამც და არამც! ეს იყო არა სამგლოვიარო პროცესია, არამედ სასოწარკვეთილი წიგნის პერსონაჟების მსვლელობა, რომლებიც დაუნდობელი თემის კანონებს ვერ დამორჩილებოდნენ და მასთან ცრემლმარევი გამომშვიდობების სურვილი დაკარგვოდათ.

ამაზე მეტყველებს ბოლო წუთები, რომლებიც ჩვენი თემის კულმინაციურ წერტილს, ანუ წიგნის ფინალურ ნაწილს წარმოადგენს, რის გამოც მკითხველი, თავის რეალურ თავს ჩვენგან შეაბრუნებს. მხედველობაში აქვს ის ადგილი, როდესაც ალუ ბოლო თემატურ კლდის შვერილზე შედგება, რათა – როგორც იტყვიან, „საყვარელ თემს უკანასკნელად შეავლოს მზერა", თანაც ხმამაღლა, ამაღელვებელი სიტყვებითთავის გულისნადებს ამხელს. ალუს ბევრჯერ უთქვამს, რომ ჩვენი პატივაახდილი, ტოტალურ Schisch-ამდე მისულ, ისტორიის ზღვარზე მდგომს ყველაზე მეტად ამ სიტყვების წარმოთქმა უჭირდა, რითაც თემისადმი თანაგრძნობას გამოხატავდა ფარისევლურად. რის უფლებასაც ის უღელტეხილზე თავის თავს აძლევს, დიდი რისკია, რადგან მოქმედი პერსონაჟის ხმადაბლა წარმოთქმული სიტყვაც კი რეალურ თავს, ცის თაღზე კარგად ესმის და არც თხის მწყემსებს რჩებათ შეუმჩნეველი. თემატურად წარმოთქმულ თვინიერ ლოცვას უკან უწმაწური ხევსურული გინება მიაყოლა, რითაც მანამდე ნათქვამი წაშალა; ეს კი თემის მიმართ მისი შეურიგებელი მტრობის საუკეთესო გამოხატულება იყო. რამდენიმე წუთის შემდეგ უღელტეხილიდან ცხვირი გადავყავით და ისეთი რამ დავინახეთ, თვალებს არ ვუჯერებდით. ჩვენგან ასე, ასი მეტრის მოშორებით ქისტური თემი გადაჭიმულიყო. მაშინვე ვიცანი მშობლიური მთის ქედები, მომეჩვენა, რომ ისე ამაყად აღარ წამომართულიყო, როგორც წინათ. ქისტების მხრიდან საზღვარი არაფრით იყო აღნიშნული. ამაღლებულ ადგილზე დიდი სამტრედე დაედგათ, საიდანაც პერიოდულად, უზადო თეთრი მტრედების გუნდი აფრინდებოდა და საზღვრის ტერიტორიის თავზე წრეს კრავდა. ამბობდნენ, რომ ნაკაფში ქისტები საბაჟოს მოწყობას აპირებდნენ, სადაც ვიზის წარდგენის ნაცვლად, მოხუცი მებაჟისთვის ხელის ჩამორთმევა იქნებოდა მხოლოდ საკმარისი. ქისტური ნაწილის მაღალმთიან პლატოზე თეთრი მერნები დანავარდობდნენ. ცხენების რემას ქისტი კოვბოები მოხერხებული სწრაფი ჯიპებით აქეთ-იქით ერეკებოდნენ და ზოგს ჩვენს თემში

კონტრაბანდის შემოსაზიდად არჩევდნენ და ზოგსაც კი – დოღისთვის. ეს ყოველივე ჩემთვის ახალიც იყო და თან კარგად ნაცნობიც, რადგან ქისტურ თემში გადასასვლელს ჩემი საუკეთესო თომინოს კოზირები ამშვენებდა. ჩვენი მხარე კი Schisch-ს მიშტერებოდა. სასაზღვრო ზოლს გარს მავთულხლართები ერტყა და ზედ თხის მწყემსებს, თვალისთვის შეუმჩნევლად, ზარები დაეკიდათ. მავთულხლართების შიგნით კი, მიწაზე გაცრილი ქვიშა დაეყარათ – თუ ვინმე საზღვრის დარღვევას გაბედავდა, ნაკვალევი კარგად დამჩნეოდა. სასაზღვრო ზოლის იქით, ჯაგნარში, ავი ძაღლები ყმუოდნენ. ღრმად გათხრილი სანგრებიდან ჩაფხუტიანი, საველე დურბინდებითა და თანამედროვე ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი თხის მწყემსები საზღვრის იქითა ისტორიულ სანაპიროს უთვალთვალებდნენ. უღელტეხილი, რომლითაც ქისტეთში გადასვლის იმედი გვქონდა, –ჰოი,ბედის ირონიავ– პირდაპირ ამ სანგრებს უერთდებოდა. ეს სევდიანი დასასრული მხოლოდ უღელტეხილზე გადასვლის შემდეგ ჩანდა. ამ გზის შუაგული წიგნის დასასრულია და ამიტომ რეალური თავები ვეღარ ხედავენ, სად და როგორ მთავრდება ეს გზა. თავაც მკითხველი საკმარისად ინფორმირებულია ჩვენი თემის შესახებ, და ამ გზის დასასრული – საზღვარზე განლაგებული Schisch, მშვენივრად შეუძლია წარმოიდგინოს.

უღელტეხილზე კლდის უკან დავიმალეთ და დავინახეთ, როგორ მიიღეს ალუ თხის მწყემსებმა, მეგობრულად მხარზე ხელი დაჰკრეს და ოჯახის წევრებთან ერთად, შეძახილით„უკან – იარ!" – თემში გააბრუნეს. ჩვენც სასწრაფოდ გავეცალეთ იქაურობას, რომ არავის აღმოვეჩინეთ. უკანა გზაზე ამ უნამუსო ფარსით აღშფოთებულები თავშეუკავებლად ვილანძღებოდით. იმ დღიდან ყველამ გაიგო შატილში, რას წარმოადგენს სინამდვილეში ალუს გაძევება. დიდხანს ვფიქრობდი, რატომ არ იცილებენ თავიდან თხის მწყემსები ალუს, რომელშიც Schisch-ში სანახევროდ იღებს მონაწილეობას და ბოლოს მას საჯაროდ უარყოფს და ისეთ გაბედულებას იჩენს, რომ თხის მწყემსებსაც კი უჯანყდება. დაახლოებით მსგავსი სტრუქტურის მქონე ხევსურული თემი ფრთხილად დავზვერე, რამაც ამ კითხვაზე საფუძვლიანად პასუხის გაცემის შესაძლებლობა მომცა. მსგავსი Schisch-ის მქონე ყველა ისტორიას თავისი საკუთარი ალუ ჰყავს, რომელიც მას თემატურად თან ეკუთვნის და თან არც ეკუთვნის. თუ თემმა თავიდან მოიცილა თავისი ალუ, მაშინ ის შესწყვეტს იმდაგვარ თემად არსებობას. ვფიქრობ, რომ იგივე მეხება მეც. ყველა სისხლისმსმელ თემს ერთი მუცალი უნდა ჰყავდეს. სულ ერთია, ქისტი იქნება თუ სხვა რომელიმე ეროვნებისა. როგორც ამბობენ, მუცალები და, შესაბამისად, საძაგელ Schisch-ზე დამყარებუ-

ლი თემები დღეს ყველგან უზღვავი რაოდენობით არსებობს. თუ ეს ასეა, სულაც არ გამიკვირდება, რომ ერთ მშვენიერ დღეს რეალურმა თავებმა სამუდამოდ შეწყვიტონ კითხვა და ისტორიიდან საბოლოოდ გადაიკარგონ, როგორც ის ვეებერთელა მეტეორები, რომლებიც ცას ხანდახან გადასერენ, ერთხანს ხალხს აალაპარაკებენ და შემდეგ კი დავიწყებას მიეცემიან.

იმედით სავსე პანაშვიდები

ალუმ და ჩვენი ტერიტორიის დანარჩენმა პერსონაჟებმაც კარგად იციან, რომ წუთისოფელს სამარადისოდ კი არ ვეყრები, არამედ თემში მარადიული სიცოცხლისათვის, – შესაბამისად, სიკვდილისათვის, – მუდამ უკან ვბრუნდები. მიუხედავად ამისა, ჩემი სიკვდილით გამოწვეულ მწუხარებას ისინი დაუფარავად გამოხატავენ. ჩემი სურათი ალუს შატილის ბინაში საწერ მაგიდაზე უდევს. სინანულნარევი თაყვანისცემის ნიშნად კი სურათის გვერდით ქოთნის ყვავილი უდგას. ამავე მიზეზით შატილში მრავალ შატილელს მკლავზე სამგლოვიარო ლენტი უკეთია, ხოლო საღილეებზე კი – როგორც ეს ჩვენთან არის მიღებული, – ჩემი პატარა სამგლოვიარო სურათი აქვთ დამაგრებული. ქალაქის თემატურ ნაწილში, ანუ იქ, სადაც ჩვენს მკითხველ რეალურ თავს საკუთარი წარმოდგენები აქვს, სამგლოვიარო სურათებით გამოჩენის უფლება არავის აქვს. ქალაქის არათემატურ უბნებში კი ხშირად იხილავთ ჩემი მძიმე თემატური ბედისწერით გულშეძრულ თანამზრახველებს. ამ უბანში სეირნობის უფლება მეც მაქვს და ხშირად გამვლელთა პიჯაკებსა და ქურთუკებზე, ანდა სკოლის მოწაფეთა პლაკატებზე საკუთარ სამგლოვიარო ფოტოებს ვხედავ.

მეც სიამოვნებით ვჩერდები მათთან და ისინიც მიამბობენ, როგორ მიაგებენ ჩემს ხსოვნას პატივს. ჩემს ირგვლივ მთელი ჯგრო იყრის თავს, რომელიც ჩემი პერსონაჟის მიმართ სიმპათიის გამომხატველ დიდ დემონსტრაციად იქცევა ხოლმე. ზღვა ხალხში Schisch-ის წინააღმდეგ ამხედრებულ, გააფთრებული აღშფოთების გამომხატველ, თანაგრძნობით სავსე სახეებს ვხედავ. ამას ისიც ემატება, რომ მე, ქისტ მუცალს, გულშემატკივარი მეორეხარისხოვანი პერსონაჟები ყვავილებს მიძღვნიან. ხოლო თუ ბრბოდან თეთრი მტრედებიც აფრინდა, მიტინგი ფანტასტიკურ იერს იღებს. ისეთი გრძნობა ეუფლება კაცს, თითქოს თამამი, სამწუხაროდ დღეს უკვე დავიწყებას მიცემული თომინოს ვარიაციები გაცოცხლებულან და ჩემზე გულწრფელად მგლოვიარე ხევსურების

ხილვით ხარობენო. ხანდახან მინდება, გვერდზე მდგომს მკლავზე ვუჩქმიტო და დავრწმუნდე, ნამდვილად წიგნის პერსონაჟები (ხევსურები) არიან თუ ხის ნაფოტები. ამ მიტინგებში მხოლოდ აბსოლუტური, ძირითადად ახალგაზრდა მეორეხარისხოვანი პერსონაჟები მონაწილეობენ. მთავარ პერსონაჟთაგან კი შემთხვევით შეიძლება მხოლოდ ალუ და მის ცოლ-შვილი ფიგურირებდნენ – მათი იქ გამოჩენა თემატურადაც გამართლებულია. ამიტომ ეს მიტინგები, – თავისთავად, რაც უნდა სასიხარულო იყოს მათი არსებობა, – ჩვენი ისტორიისთვის მხოლოდ წვრილმანი მოვლენებია და მისი კურსის (Schisch-ის) არსებით შეცვლას, თუ მის დანარჩენ თემთან საყოველთაო ხელის ჩამორთმევაზე გადართვას ვერც ვერასოდეს შევძლებთ. ცხადია, თხის მწყემსები სამგლოვიარო მიტინგებს ფრთხილად სდარაჯობენ. ხალხში შეერევიან და აბსოლუტური მეორეხარისხოვანი პერსონაჟების მიერ წარმოთქმულ სამგლოვიარო სიტყვას ყურადღებით უსმენენ.

როგორც წესი, გამომცდელ მზერას არ მაცილებენ, – მე ხომ ამ თავყრილობების თემა ვარ – და მეც ენას კბილი უნდა დავაჭირო, ზედმეტი რომ არაფერი წამომცდეს, თორემ ადგილზევე დამიჭერენ. ხშირად ხდება, რომ მე – ვისაც დამტირიან – ზემოხსენებულ მიტინგებზე სიტყვას მაძლევენ, რათა ჩემს გულჩვილ თანამზრახველებს რაიმე სანუგეშო ვუთხრა. მსმენელების პირადი უსაფრთხოების მიზნით ჩემს გამოსვლაში იძულებული ვარ, მკაცრად დავიცვა თემის საზღვრები, რადგან ჩემი უკმაყოფილების სულ მცირე გამოხატულებაც კი საკმარისია და ისინი მზად არიან, Schisch-ის წინააღმდეგ საქვეყნოდ გამოთქვან პროტესტი. ჩემი თემატური სიკვდილით გამოწვეული გლოვისთვის მოკლედ და თავაზიანად მადლობას ვიხდი. შემდეგ კი გარშემომყოფთ ვთხოვ, დიდად ნუ იგლოვებენ და ჩემს მოწოდებას იმით ვასაბუთებ, რომ არ არსებობს წიგნის პერსონაჟისთვის უფრო დიდი პატივი, ვიდრე საკუთარი თემისათვის სიკვდილია. ბოლოს კი თვითკრიტიკას მივეცემი და ვყვები, რომ ჩემსა და ალუს მომაკვდინებელ დუელში ყველაფერი წესრიგში არ არის და თუ თემში ახალ სიტუაციობრივ პირობებს შემოვიღებდით (როგორიცაა, ცხენებით ან ქვეითად ერთმანეთზე მიჭრა, ალუს იარაღისათვის მკერდის მიშვერა) და აშ; ხევსურიც, წინანდელთან შედარებით, უფრო მოხერხებულად და სწრაფად მომკლავდა. შემდეგ კი პირობას ვიძლეოდი, რომ მომავალ წარმოდგენებზე, რეალური თავის წინაშე უკეთესად აღვესრულებოდი. როგორც კი სიტყვას ვამთავრებ, ბრბო იშლება, ჯგუფ-ჯგუფად ჩამივლიან – როგორც ეს ჩვენთან დღეს ტრადიციად დამკვიდრდა და თანაგრძნობით მართმევენ (მარჯვენა) ხელს. უფრო გაბედულები კი თვალს მიკრავენ, რათა მანიშნონ, რომ

ჩემი სამგლოვიარო სიტყვა ანტითემატური, Schisch-ის საწინაღმდეგო აზრით გაიგეს. ხალხის სულიერ მდგომარეობას ხაზს უსვამს ხელის ჩამორთმევაც და იქ მყოფი თხის მწყემსები, როგორც წესი, მოჟამული სახით უყურებენ ამ ცერემონიალს. სახეზე ეტყობათ, რა სიამოვნებით აკრძალავდნენ ამგვარ შეკრებებს. საბედნიეროდ, ამისათვის ხელმოსაჭიდი მიზეზი არ გააჩნიათ. თუკი მგლოვიარე შატილელები ჩემი (წიგნის პერსონაჟის) პერსონის დაღუპვას დასტირიან და ჩემს ქისტურ წარმოშობას არ ახსენებენ, მიტინგები ნებადართულად ითვლება და თხის მწყემსები არ კრძალავენ. ყოველი მგლოვიარე ხევსური, თუ თხის მწყემსებმა რაიმე ჰკითხეს, პასუხობს, რომ ჩემი სახით თავისი ძვირფასი წიგნის ტერიტორიის კოლეგას დასტირის და მართლაც, გარეგნულად, ყველაფერი ისეა, თითქოს ჩვენი ტერიტორია ჩემი დაკარგვით გამოწვეულ, არაპოლიტიკურ, პირად მწუხარებას მოეცვას. საქმე ისაა, რომ როგორც კი ჩვენ, ანტითემატური წიგნის პერსონაჟები მიტინგებზე მარტო ვრჩებით, თუ თხის მწყემსები ახლო-მახლო არ ტრიალებენ, ან საერთოდ იქ არ იმყოფებიან, ყველაფერი აშკარავდება. სიფრთხილის გამო მცველებს ვაყენებთ და თუ ჯაშუში შევამჩნიეთ, მომიტინგეთა რიგებს ხმადაბალი *ბეეე!* გადაუვლის, (*ბეეე* – თხის კიკინია) – რითაც ორატორს ვაფრთხილებთ, რომ ანტითემატური ნათქვამისაგან თავი შეიკავოს. ჩვენი ისტორიის ხმამაღლა ლანძღვას ვერავინ ბედავს, თუმცა ყოველთვის მივანიშნებდით. ზოგჯერ ჩემს გამოსვლას შემდეგნაირად ვამთავრებ: ხელის ჩამოსართმევად გამზადებულ ხელს პულტზე გარდიგარდმო ვდებ. მაყურებლები აღშოთებულ ბუტბუტს იწყებენ და მე მარცხენა ხელისგულს მარჯვენა ხელის მაჯისაკენ დანასავით ზემოდან ვუშვებ, როდესაც ხელები ერთმანეთს ეხებიან, სიმბოლური მარჯვენის მოკვეთის აქტიც ხორციელდება და მქუხარე ტაშის ქვეშ, პუბლიკას Schisch-ს ვუჩვენებ.

რეალური განთიადი თემის ცაზე

ხშირად ჩვენი სამგლოვიარო მიტინგების პარალელურად ქალაქის ძველ თემატურ უბანში, ე.წ. ავლაბარში, წიგნის პერსონაჟთა საპირისპირო ხასიათის შეკრებები იმართება, რომლის დღის წესრიგშიც ჩემი მარჯვენა ხელის ამპუტაცია დგას. ეს მაშინ ხდება, თუ რეალურ თავს შატილის დათვალიერება და მასზე წარმოდგენის შექმნა სურს. საუბედუროდ, მათი მზერა მხოლოდ ავლაბარსა და იმ ბედუკულმართი ქისტისმჭამელთა შეკრებებს სწვდება, რომლებიც ჩვენი შავბნელი

ისტორიის თანახმად, ალუს გვარიანად თათხავენ და გესლიანად დასცინიან, რადგან წიგნის პირველ თავში ალუმ ისე გამაფრთხობინა სული და დამმარხა, რომ ჩემთვის მარჯვენაც არ მოუჭრია. შატილის გასამართლებლად ამ საკითხთან დაკავშირებით იმ ფაქტს მინდა გავუსვა ხაზი, რომ დღეს ავლაბარში ქისტისმჭამელებს გვერდით მთელი შატილი აღარ უდგას. პირიქით, ქალაქის ახალ არათემატურ უბანში სამგლოვიარო მიტინგებზე მოსახლეობის დიდი ნაკადი მოედინება.

რეალურმა თავებმა კი ამის შესახებ არაფერი იციან. შატილში ისინი მხოლოდ ავლაბარს ხედავენ და ამიტომ ჩვენს თემზე და განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაზე, რომლებიც თემატურ ავლაბარში ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, თითქოს ისინი ჩვენი ისტორიის მხოლოდ ასპროცენტიანი ნაწილია, ცუდი წარმოდგენა ექმნებათ. ამიტომ რეალური თავები წიგნს დღეს უკვე სულ უფრო ხშირად, ზედ ავლაბრის თავზე ხურავენ. ნუთუ ეს ფაქტი ამ ძველი, ისტორიულად ჩამორჩენილი უბნის მიმართ მათ უარყოფით დამოკიდებულებაზე არ მეტყველებს?! ხანდახან სურვილი მიჩნდება, რომ თხის მწყემსებს სამგლოვიარო მიტინგების თემატურ ავლაბარში და, პირიქით, ქისტის მჭამელთა მიტინგების შატილის არათემატურ უბანში გადმოტანა შევთავაზო. ამით რეალური თავების რიცხვი შატილში საგრძნობლად გაიზრდებოდა, ჩვენი ქალაქის თავზე კვლავ ურიცხვი თავები გამოჩნდებოდა, ხოლო ჩვენ კი დავრწმუნდებოდით, რომ რეალურ სამყაროში რამედ ვღირვართ. სამწუხაროდ, ამგვარი გადაჯგუფება ნაადრევია, რადგანაც ის მთელი ისტორიის რევოლუციურ განახლებას გამოიწვევდა. გამორიცხული არ არის, რომ თხის მწყემსები, რომლებსაც შექმნილი სიტუაციიდან ოსტატურად თავის დაძვრენა კარგად ეხერხებათ, ამ, ან მსგავს გეგმას დაეთანხმონ და ოდესმე, თუნდაც საცდელად, რეალური თავების უსიცოცხლო ინტერესის გამო, ავლაბარი მცირედ განაახლონ, გამოაცოცხლონ და შემდეგ კვლავ ქისტისმჭამელებით აავსონ.

არსებობს მეორე, უფრო ხელმისაჭიდი მიზეზი, რომელიც უკეთესი მომავლის იმედს მაძლევს: ბოლო დროს რეალური თავები შატილის ახალი უბნების მიმართ უჩვეულოდ ცხოველ ინტერესს იჩენენ. საკვირველია, ვისგან შეიტყვეს ამ უბნების არსებობა. ისინი ჩვენი თემის უკან ჩრდილიან მხარეში რეალური თავების წარმოდგენების წრიდან ზურგშექცევით არიან განლაგებულნი. ასე რომ, შეუძლებელია რეალურ თავებს მათ შესახებ დამოუკიდებლად გაეგოთ რამე. შესაძლოა, თავისუფალ ქისტურ თემებში მათზე რაიმე მონაცემებიც არსებობდეს. დასამალი არ არის, რომ რეალური თავები თხის მწყემსების გულის მოსაკლავად ჩვენი თემის კითხვას ამჯობინებენ. როგორც უნდა იყოს, ერთი რამ კი ცხადია: შატილის

თავზე მდგომი ზოგიერთი რეალური თავი ტყავიდან ძვრება, რომ ავლაბრის იქით, ახალ უბნებში ჩაიხედოს. მსგავს კრიტიკულ წუთებში ახალ შატილში თხის მწყემსთა პატრული იწყებს დაზვერვას და ჩემი სამგლოვიარო მიტინგებიც იკრძალება.

აქვე მინდა დავუმატო, რომ თემის თავზე რალური თავების პოზიციათა გაუთვალისწინებელი ცვლილება სრულიად აბსურდული, მეცნიერულად დაუსაბუთებელი აზრია და შატილში მცხოვრები ყველა აკადემიკოსიც მსგავს მოვლენათა შესაძლებლობას ერთხმად უარყოფს. ეს გამოიწვევდა გაუგონარი მასშტაბის ასტრონომიულ განხეთქილებას, მზის სისტემის რომელიმე დიდი სატელიტის კურსის აბსოლუტურ შეცვლას და ჩვენი სისტემაც მაშინვე დაიშლებოდა. წარმოუდგენელია, რეალური მკითხველის თავს ოდესმე თემის შესახებ ისეთი წარმოდგენა შეექმნას, რაც რეალურ სამყაროს არ განეკუთვნება. ეს თემები ხომ იმდაგვარად არის აგებული, რეალურ თავებს მისი გადაშლის უფლება მხოლოდ მაშინ მისცეს, როდესაც ეს მათ თავად მოესურვებათ, რასაც ისინი თავის შეუწუხებლად – განა რამდენ მილიგრამს უნდა იწონიდეს ერთი გვერდი –ახერხებენ კიდეც.

თემის განაპირა, უმოძრაო მხარე, რომელსაც არც წიგნის გვერდი გააჩნია, რეალური თავის მხედველობის მიღმა დგას. ამ ადგილებში ისტორია ჰერმეტულად არის ჩარაზული და მკითხველმაც პირდაპირი გაგებით (თემის) კედლები უნდა გაარღვიოს, თუკი მისი ნახვა გადაწყვიტა. მან თავისი წიგნი სწორედ იქ უნდა გადაშალოს, სადაც მასთან შეხება ყველაზე ნაკლებად არის შესაძლებელი, რადგან ეს გვერდი წიგნში კი არა, წიგნამდეა საძიებელი და წასაკითხად კი არა, შესაცნობად არის გამიზნული. ამიტომ სერიოზული კვლევით დაინტერესებულმა მკითხველმა წიგნს ხელი უნდა გაუშვას და რეალური თავის წარმოსახვის ძალა თემისკენ მიმართოს. თემთან ის უკვე მკითხველის დამოკიდებულებას აღარ საჭიროებს, თუმცა ამითაც ბევრს ვერაფერს მიაღწევს, რადგან თემის ფარული მხარის შესაცნობად რეალურ თავს სრულიად სპეციფიური, მახვილი შინაგანი მზერა და შორსმჭვრეტელობა სჭირდება, რითაც იგი თემის ამ მხარეს გამოაშკარავებს და განსახილველად ყველასთვის ხელმისაწვდომს გახდის. ამგვარი ხედვა გულისხმობს არა სტრიქონებს შორის კითხვას, რომლის დროსაც მკითხველს თავად სტრიქონი უწევს დახმარებას, არამედ თემის ტექსტუალური პირობებისაგან სრულიად გათავისუფლებულ აღქმას, რაც სამწუხაროდ, რეალურ თავთაგან ი შვიათად თუ ვინმეს ახასიათებს, და ბოლოს – ეს შემაფერხებელი გარემოება, ალბათ, ზემოთჩამოვლილ სირთულეთა შორის ყვალაზე რთულია – ჩვენს თემს, თემატური მზერისთვის მოუხელთებელი,

შეუფერებელი სტრუქტურა აქვს და ისეთ შთაბეჭდილებას ბადებს, თითქოს იგი ცალმხრივი ყოფილიყოს, მთელი თემი ა-დან ჰაემდე წიგნში მოქცეული და მისი წარმოდგენაც მხოლოდ იქიდანან შესაძლებელი. რეალურ თავებს ამ შთაბეჭდილებას ჩვენი უდავოდ მშვენიერი, მაგრამ თავისთავად ერთფეროვანი, მთიანი ლანდშაფტიც უძლიერებს, რომლის დაკბილული მწვერვალებიც კითხვის დროს, ალბათ, თვალებში ეჩხირება და გარემოს დაზვერვის სურვილს უშხამავს. ერთად აღებული ყველა ეს პირობა ჩვენი თემის განაპირა, ისტორიულად ბევრად უკეთესი, მაგრამ სამწუხაროდ სრულიად უმნიშვნელო ნაწილის გარშემო, ცამდე აზიდულ, შეუვალ კაშხალს ქმნის. ბოლო დრომდე არც ჩვენ და არც თხის მწყემსებს რეალური თავის იქ გამოჩენა აზრადაც არ მოგვივიდოდა. ჩვენი ისტორიის (პოემის) – ტერიტორიაზე უკლებლივ ყველა მოვლენა გარედან, უცხო თვალისთვის, ისე უიმედოდ და უმომავლოდ არის ჩახერგილი, რომ თვით თხის მწყემსებმაც კი, რომლებიც ყოველივე არათემატურს უსინდისოდ ახშობენ, აქ, უკანა პლანზე, დიდსულოვნება გამოიჩინეს და ჩემი, სრულიად არათემატური სამგლოვიარო მიტინგების ჩატარების უფლება მოგვცეს. მას შემდეგ, რაც ჩვენი თემის ცაზე რეალური თავები, რომელთა არსებობაც უახლესი და ზემგრძნობიარე რადიოლოკატორებითა და ანტენებით ფიქსირდება, ექვსივე პროვინციაში საყოველთაოდ მიღებული თემატური წარმოდგენებით დადგენილი ჩვეულებრივი კურსით კი არ მოძრაობს, არამედ არათემატურის უფრო ახლოდან შესასწავლად წინასწარ-განსაზღვრული საჰაერო და საკითხავი გზებიდან უხვევს, ჩვენთან ბევრი რამ შეიცვალა. თითოეული რეალური თავის მიერ კურსის შეცვლის მცდელობა, რომელსაც იგი არაერთხელ შესაბამისი შეუპოვრობით ახორციელებს, ჩვენ, წიგნის პერსონაჟებს, შეუმჩნეველი არასდროს გვრჩება. რეალური სამყაროსგან განსხვავებით, სადაც მხოლოდ ერთი მზე უნდა ანათებდეს, წიგნის სამყაროში ორი მზეა; ერთი სიუჟეტური მასალისა, რომელიც ჩვენს ლანდშაფტს ისევე დანათის და ათბობს, როგორც რეალურ სამყაროში მკითხველის თავებს რეალური მზე და მეორე, ბევრად უფრო მნიშვნელოვან მზეს თავად მკითხველის თავი წარმოადგენს. თუ როგორ ვნათდებით წარმოდგენის დროს ჩვენ და ჩვენი თემი, ან რამდენად თვალსაჩინოდ ხდება ჩვენი წარმოდგენა, გამოსხივების ძალაზეა დამოკიდებული. ორივე მზეს – რადგან მათ ისტორიულად ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული დანიშნულება აქვთ (განსხვავებული მასალისგან არიან შექმნილი) – ერთმანეთთან კავშირი არა აქვთ და ამიტომ ერთმანეთსაც ვერ ჩაენაცვლებიან. თუ, მაგალითად, რეალური მატერიის მზეს – რეალური მკითხველის თავს – გამოსხივების სუსტი ძალა აქვს, მაშინ ის, რაც უნდა კარგი ამინდი იდგეს თემში, რაც უნდა ძლიერ

ანათებდეს სიუჟეტური მასალის მზე – წარმოდგენების დროს ბნელდება და ჩვენში თეთრი, ანუ მზიანი ღამეები იწყება, რომლის დროსაც ჩვენს შესახებ არაფერი ნამდვილი (მნიშვნელოვანი) არ მოჩანს.

რეალური თავების უმორესი გამოსხივების მიმართაც კი ჩვენ რეალურ პირებზე უფრო მგრძნობიარენი ვართ. არაფერი ისე კეთილისმყოფელად და გამომაცოცხლებლად არ მოქმედებს ჩვენზე, როგორც რეალური მზის ნათება. ამ დროს ამაღლებული განწყობილება გვეუფლება და მზემოკიდებულებს, ბევრად უფრო ვაჟკაცური და ჯანმრთელი იერი დაგვკრავს, ვიდრე თემის გრძელი და მშვენიერი არდადეგების დროს. ცოტა ხნის წინ სწორედ ასეთი რამ დაგვემართა. მოულოდნელად ზემოდან სახეზე ყველას უცნაურმა, აშკარა ანარეკლმა გადაგვირბინა. ანარეკლი სიოსავით წამიერად შეგვეხო და მაშინვე დაგვაელექტროვა, უფრო სწორად, დაგვაიონა. თავიდან საკუთარ სახეებს სარკეებში სკეპტიკურად ვაკვირდებოდით, რადგან გამოსხივება ჩვენამდე შატილის არათემატური ახალი მხრიდან აღწევდა, ანუ იქიდან, სადაც ტრადიციულად, რეალური თავები არასდროს ჩნდებიან. ვერავინ უარყოფდა სამყაროსშემძვრელ იმ ფაქტს, რომ მზის უნაზესმა სხივებმა სახე შეგვიწითლა. განსაცვიფრებელი კი ის იყო, რომ ამ ნათების წყარო, თავად რეალური თავი, არსად ჩანდა. სხივები უჩვეულო ასტრონომიული სიშორიდან,„უკანა მხრიდან" ჩვენი ოფიციალური თემის ფასადზე ირეკლებოდა და ჩვენამდე ისე აღწევდა. ამისთვის კი კოლოსალური ენერგია იყო საჭირო. რეალური თავი, უფრო სწორად რეალური თავები – მაშინვე ვიფიქრეთ, რომ მსგავსი ძალა მხოლოდ ჩვენი თემის ფარული, მისი კეთილი არსის შეცნობის წყურვილით შეპყრობილ ცნობისმოყვარე რეალურ პირებს შეეძლოთ გამოეცათ, – ჭეშმარიტი, ანუ თითქმის გენიალური ჩირაღდნები უნდა ყოფილიყვნენ.

მზე ახალი შატილის თავზე

თავისთავად ცხადია, რომ რეალურმა მზის ნათებამ ჩემს სამგლოვიარო მიტინგებს ახალი, ძლიერი იმპულსი შესძინა. ჯერ ერთი, ამ მიტინგებზე სითბო ყოველთვის საგრძნობლად მეტია, ვიდრე ჩვენი თემის Schisch-ით მოცულ (თემატურ) ადგილებში, სადაც რეალური თავი სულ უფრო იშვიათად ჩნდება. ამ თავების ურიცხვი რაოდენობა – როდესაც ისინი ჩვენი ისტორიული ტერიტორიის თემატური მონაკვეთების თავზე ლივლივებენ – ახალ თვისებას ამჟღავნებს, რაც ჩვენი თემის კლიმატზე არასახარბიელოდ მოქმედებს და მის თავმოსაწონ სუბტროპიკულ თბილ ამინდს, ზამთრის მკაცრ და მოღუშულ ამინდად აქცევს. ამას წინათ

რეალური თავები ისე ფენდნენ შუქს ჩვენს თემს, რომ ოდნავადაცა კი არ ათბობდნენ, ასე რომ, წარმოდგენებზე გამოცხადებული მოქმედი პერსონაჟები, უმთავრესად კი ქისტისმჭამლები, იძულებულნი იყვნენ, თბილად ჩაეცვათ (ქურქი, მოსასხამი), თუკი სურდათ, რომ შემდეგ რეალურ ყრყოლას არ აეტანათ.

მეორეც, კოსმიურმა გამოსხივებამ ერთი ის სასიხარულო ფაქტი გახადა ჩვენთვის საცნაური, რომ ყველას თუ არა, ყოველ შემთხვევაში ნათელ რეალურ თავებს მაინც, ჩვენს ისტორიაში მშვიდობისმოყვარე, განსხვავებულ – (აგრეთვე ქისტურ) თემთან ხელის ჩამორთმევისთვის მზადმყოფ ხევსურთა არსებობაზე უკვე აღარ ეპარებოდათ ეჭვი, რაც აქამდე, სამწუხაროდ, ჩვენი ისტორიის მხოლოდ მეორე მხარეს წარმოადგენდა. ასე რომ, ამ თავების მოახლოება და ჩემს დაკრძალვებში მათი უშუალო გამოჩენა პრინციპულად შეუძლებელი აღარ იყო. ხშირად მესიზმრებოდა, როგორ ამოდიოდა მზე ჩემი დაკრძალვებისა და ახალი შატილის თავზე, რომელსაც მკითხველის თავის მეგობრული, თანაგრძნობით სავსე სახე ჰქონდა. რეალური ცის მნათობის გადაადგილება ჩვენს ოფიციალურ თემსა და Schisch-ს, მთელი თავისი ქისტისმჭამელებიანად მეორეხარისხოვანს, ხოლო ახალი შატილის ხელის ჩამორთმევის იდეას კი ჩვენი ისტორიის არსად ხდიდა. პოემის მთელ ტერიტორიაზე ზარების რეკვით ეგებებოდნენ ასეთი სასოებით ნანატრ რეალურ გარიჟრაჟს, ხევსურები კი ყოველი მხრიდან ჩემს სადღესასწაულო დაკრძალვაზე მოედინებოდნენ. თუ ცივი გონებით განვსჯიდით, თითოეულ ჩვენთაგანს, ცხადია, ოდესმე მსგავსი რამ შეუძლებლად მიაჩნდა და მაინც, ახალ შატილში, მზიანი ამინდების მუდმივობისა და მისი მზარდი ინტენსივობის კონსტატირებისათვის, საათზე უფრო მეტად, ყველა ბარომეტრს დაჰყურებდა. დიახ, მინის მილებში გოგირდმჟავა ნელ-ნელა, მაგრამ სტაბილურად ზევით იწევდა და არაფერი გვანიჭებდა ისეთ სიამოვნებას, როგორც სინდიყზე თვალყურის დევნება და მისი კომენტირება, ვინაიდან ეს ფაქტი ჩვენი არათემატური ისტორიის ტერიტორიაზე რეალური თავების მოახლოებას გვამცნობდა. რეალური სითბოს მატება დიდად გვახარებდა და ამ სიხარულს არც ვმალავდით. ეს კი თხის მწყემსებში პანიკურ აღშფოთებას იწვევდა. ცხადია, თხის მწყემსებს ახალ შატილში ცივი ამინდი არაფერს ერჩივნათ. ყველამ ვიცოდით, რომ ისინი თავიანთ კრებებზე ყველაზე დიდხანს სწორედ კლიმატურ ცვლილებებზე კამათობდნენ და თემის ამ ცვლილებებთან მისადაგებასაც არ დააყოვნებდნენ თუ აუცილებლობა უკარნახებდათ და თემს მთელი თავისი ქისტისმჭამელებითა და სხვა დანარჩენი საძაგლობებით მზის ნათებისაკენ გადაადგილებდნენ. ამიტომ არც გაგვკვირვებია, როდესაც ახალ

შატილში რეალური ტემპერატურის მატებამ მწყემსების სრული საომარი მზადყოფნა გამოიწვია.

პირველად ქალაქის ახალი უბნის ტერიტორიაზე ჩემი დაკრძალვა მკაცრად აკრძალეს. მწყემსებმა ჩვენი თავშეყრის ადგილებზე გუშაგები დააყენეს. ისინიც, თუკი ვინმე ნაბიჯს შეანელებდა, უხეში შეძახილებით წინ ერეკებოდნენ. რეალური სითბოს აწევამ პროფილაქტიკური ღონისძიებები გაახშირა და მათი დაძაბულობაც გაზარდა, ვისაც ეს ეხებოდა. დასაწყისში მწყემსები უთავოდ იქცეოდნენ. ახალ შატილში გამაოგნებელმა რეალურმა პაპანაქებამ აფიქრებინათ, რომ რეალური თავი ცაზე პერპენდიკულარულად იდგა და ცალკეული მებრძოლები ტყვიებს განურჩევლად ცას უშენდნენ. ზოგი მათგანი კი გაშიშვლებული ხანჯლებით ქუჩებში დაირეგოდნენ, ალბათ, იმ მკითხველის (რეალური) თავის მოსაჭრელად, ვინც ციდან ჩვენსკენ თავხედურად დაშვებას გაბედავდა. ტექნიკური თვალსაზრისით საბრძოლო მზადყოფნის მეორე ეტაპი უფრო სრულყოფილი აღმოჩნდა. მწყემსები მოულოდნელად ქუჩებში საიდანღაც ჩემთვის და დანარჩენი წიგნის პერსონაჟებისთვისაც აქამდე სრულად უცნობი საიდუმლო არსენალიდან თანამედროვე ცეცხლსასროლი იარაღითა და მძიმე ჩაფხუტებით აღჭურვილები გამოჩნდნენ, რომელთა დაჯავშნულ მანქანებზე გრძელლულიანი ქვემეხები მოჩანდა. ჩვენთვის მაშინვე რეალურ მზესავით ნათელი გახდა, რომ ამ საბრძოლო მანევრით ისინი თემის შიგნით ხელისჩამორთმევის იდეის მარადიული კერის, ახალი შატილის Schisch-ით მოთოკვას აპირებდნენ. უმნიშვნელო წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაშიც კი, თვალისდაუხამხამებლად ცეცხლს გაგვიხსნიდნენ და აბსოლუტურად მეორეხარისხოვან, უკანა პლანზე მდგომ პერსონაჟთა უზარმაზარ ბრბოს წიგნის სამყაროს საიქიოში არხეინად გაისტუმრებდნენ. მთავარი პერსონაჟებისგან განსხვავებით, ისინი მალევე ცოცხლდებოდნენ და გამოსახულების სიბრტყეზე, დაახლოებით 10-20 წიგნის სამყაროს წლით აგრძელებდნენ არსებობას. შესაძლოა, თხის მწყემსები რაიმე მიზეზს ეძებდნენ და ახალ შატილს, რომელიც დროთა განმავლობაში მათი ძველი თემის უკანა ნაწილად ჩამოყალიბდა, აფეთქებასაც უპირებდნენ, რათა თემი გაეწმინდათ და ხელის ერთი მოსმით გულისგამაწყალებელი ოპოზიციონერებისგან ერთი წლით მაინც მოესვენათ. ამიტომ ახალ შატილელებს ვურჩიე, მსვლელობებისა და საპროტესტო აქციებისაგან თავი შეეკავებინათ და რკინისებური დისციპლინისკენ მოვუწოდე. საბედნიეროდ, ჩემი შიში სრულიად უსაფუძვლო აღმოჩნდა. გონიერებამ შატილელები სახლებში შეაბრუნა და შემდგომ მოვლენებს ისინი უკვე არა უშუალოდ, არამედ ბარომეტრებში გოგირდმჟავაზე დაკვირვებით

ადევნებდნენ თვალყურს.

ქუჩაში ჩრდილშიც კი მომაკვდინებლად ცხელოდა და ამიტომ სამხედრო ნაწილები, თხელ სპორტულ შარვლებში გამოწყობილნი დაბნეული მიაბიჯებდნენ. ცაზე კვლავ არც ერთი რეალური თავი არ ჩანდა, მთელ იმ არემარეს მკვეთრი, თეთრი შუქი მოჰფენოდა და თვალს ისე ჭრიდა, რომ მზის (რეალური მზის) სათვალისა ან ნიღბის გარეშე, ქუჩაში სიარული შეუძლებელი იყო. მსგავსი პაპანაქება და შეუბრალებლად მკვეთრი განათება, ძველი თემატური შატილის საუკეთესო წარმოდგენებზეც არავის ახსოვს. უგუნურიც კი მიხვდებოდა, რომ უჩვეულო ენერგიით ფრთაშესხმული რეალური თავები ჩვენი ისტორიის არათემატური (უკანა) ნაწილისკენ მიისწრაფოდნენ. საბრძოლო მზადყოფნის მესამე და ბოლო ეტაპისთვის ქალაქის ახალ უბანში მწყემსებმა სასწრაფოდ შორსმსროლელი რაკეტების ასაფრენი პლატფორმა მოაწყვეს, რითაც წვრილ ქვიშასა და დასაცემინებელ ფხვნილს ატმოსფეროში გაისროდნენ და თავხედურად ცნობისმოყვარე (არათემატურზე დახარბებული) მკითხველის თავებს შიგ ცხვირ-პირში შეაყრიდნენ. იმასაც ამბობდნენ, რომ თხის მწყემსებს რეალური თავების აფეთქება, ანუ მათთვის რეალური კისრებიდან (ტანიდან) თავების მოგლეჯა განეზრახათ, თუ მათ ნებით ვერ გაყრიდნენ. წიგნის პერსონაჟები თხის მწყემსების საომარ მზადებას შეშფოთებულები ადევებდნენ თვალს, რადგან ხვდებოდნენ, რომ ფაქტიურად ეს რეალურ სამყაროსთან ომის გამოცხადებას მოასწავებდა; ხოლო ვერაგული თავდასხმა კი დაუსჯელად არ ჩაივლიდა. ცნობილია, რომ წიგნები, რომლებიც რეალურ თავებზე მომაკვდინებლად მოქმედებენ, კანონგარეშედ ცხადდება და მათი შემდგომი გამოცემაც იკრძალება. ეს კი ერთ დროს აყვავებულ, საუცხოოდ მოწყობილ წიგნის ტერიტორიას დააჭკნობს და მისი მთავარი თუ მეორეხარისხოვანი პერსონაჟები და საგნებიც სამუდამოდ დავიწყებას მიეცემიან. ისტორიის ამგვარი დასასრული არავის აძლევდა ხელს. ამიტომ, როგორც ამბობენ ხოლმე, მიუხედავად პაპანაქება სიცხისა, ჩვენი განწყობილება ბარომეტრზე ნოლსაც კი ვერ უჩვენებდა. საბედნიეროდ, კატასტროფა აგვცდა. ალბათ, მწყემსები მიხვდნენ, რომ რეალურ თავებს ჟაკანით ვერაფერს დააკლებდნენ, ერთბაშად პოლიტიკა შეცვალეს და იარაღის გამოყენებაზე უარი თქვეს, რადგან იარაღს აზრი მხოლოდ მაშინ ექნებოდა, თუ თემის ცაზე რეალური თავები, ანუ ჩვენს თემში მომზირალი რეალური პირები გამოჩნდებოდნენ. ეს კი გამორიცხული იყო, ვინაიდან ჩვენი და სხვა დანარჩენი თემების უკანა, არათემატური გვერდები საკითხავი, ხელმოსაკიდი წიგნის გვერდები კი არ არის, რომელიც შეგიძლიათ გადაფურცლოთ კიდეც, არამედ რეალურად მისი ხილვა,

შესაბამისად, მისი მონახულება, მხოლოდ წარმოსახვის ძალით არის შესაძლებელი. ასე რომ, რეალური თავები ჩვენამდე არარეალური გზით აღწევდნენ, როგორც საკუთარი წარმოსახვის ძალით შექმნილი სურათხატები.

ცხადია, ჩვეულებრივი იარაღით მათი მიზანში ამოღება შეუძლებელია, რადგან მათ ცეცხლის წვიმაშიც კი უვნებლად შეეძლოთ ფრენა. სწორედ ამ გამოცდილებამ აიძულა მწყემსები, თემის მოსახლეობა პანიკური შიშისა და მოვლენების ცივი გონებით შეფასების საფუძველზე, თავდაცვის სრულიად ახალ, შექმნილი მდგომარეობის შესაბამის მეთოდებზე გადაეყვანათ.

ისტორიის მცირე რეკონსტრუქცია

ერთ მშვენიერ დღეს სამხედრო ნაწილის მოულოდნელმა უკანდახევამ დიდად გაგვაოცა და გაგვახარა. ცხადია, ყველანი მივხვდით, რომ ეს მანევრი, თხის მწყემსების საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრინციპულ ცვლილებას არ მოასწავებდა და ისინი უწინდებურად შეეცდებოდნენ რეალური თავებისთვის თემის მიღმა კულისებში ჩახედვა შეუძლებელი გაეხადათ. მაინც რას ნიშნავდა ეს ყოველივე? ამ კითხვაზე თავისმტვრევა დიდხანს არ დაგვჭირვებია, რადგან მათი გამალებული საქმიანობა პასუხს თავად გვცემდა. ტანკებისა და ქვემეხების ნაცვლად სამშენებლო მასალით, დურგლებითა და არქიტექტორებით დატვირთული სატვირთო მანქანები გამოჩნდა. მთავარ მოედანზე, სადაც ერთ დროს ჩემი დაკრძალვები იმართებოდა, ექსკავატორები და ამწეები მოიტანეს. დროთა განმავლობაში ეს ადგილი ქალაქის ახალი უბნის ყველაზე ნათელ და მცხუნვარე ნაწილად იქცა, რაც ერთმნიშვნელოვნად იმაზე მიუთითებდა, რომ რეალური თავები სწორედ ამ ადგილას ჩნდებოდნენ. ახალი შატილის რეკონსტრუქციას თემატური ქალაქის გეგმის მიხედვით აპირებდნენ და ენა ვერ აღწერს იმ გრანდიოზულ სამუშაოებს, რომელიც აქ ამ მიზნით გაეჩაღებინათ. დღე და ღამ, უფრო სწორად, მთელი დღეები სამუშაოს თავს აკლავდნენ, რადგან ჩვენთან უკვე აღარ ღამდებოდა. ახალი შატილი მუდმივად მზის ინტენსიურ ნათებაში იყო მოქცეული და დღე-ღამის დასადგენად და კალენდარზე ფურცლს მოსახევად, ქალაქის ძველი უბნისკენ ვიხედებოდით. წიგნის სამყაროს ცის მნათობთა წრე-ბრუნვა, თემატურ ქალაქში ძველებურად ათენებდა და აღამებდა და ჩვენც მზის ჩასვლა-ამოსვლას სახურავებიდან და ფანჯრებიდან ვაკვირდებოდით. მზიანი ღამეები მწყემსებისთვის ზედგამოჭრილი იყო, რადგან ისინი

პროჟექტორებისთვისაც კი აღარ იწუხებდნენ თავს და მუშებს დღის სინათლეზე ამუშავებდნენ. ახალ შატილში, ჩემი დაკრძალვის მთავარ მოედანზე, ყველა სახლი დაუნანებლად დაანგრიეს. კილომეტრნახევარ რადიუსზე, მხოლოდ თემატური არქიტექტურით ნაგები მორყეული, მოძველებული შენობები დატოვეს – უმეტესად კოლოფის ფორმის საცხოვრებელი სახლები გადმოკიდებული უფორმო ვერანდებით, გამაგრებული სადარბაზოებითა და ხვრელივით გისოსებიანი ფანჯრებით.

ამ ზონის შუაგულში, ზედ ყოფილი ჩემი დაკრძალვის მთავარ მოედანზე, შატილის ძველი, თემატური ქალაქის უბნის ზუსტი ანარეკლი გაჩნდა, დაღრეცილ ქოხებსა და გომურებს შორის იმავე ოღრო-ჩოღრო გზების ლაბირინთით, ქალაქის ჭიშკრის თავზე კი, მრისხანე ღერბივით, დრო-ჟამისგან (ყორნებისგან) დაღრღნილი, ქისტების მოკვეთილი მარჯვენა მკლავების აცმა ეკიდა. აღშფოთებულები ვადევნებდით თვალყურს ჩვენს მშვიდობისმოყვარე არათემატურ უბანში პირქუშ თემატურ მშენებლობას, რომელიც ჩვენი საერთო ისტორიული ტერიტორიის მეორე, თემატურ პროვინციას, ანუ იმ ადგილს წარმოადგენდა, სადაც რეალური თავები ისტორიის ჩვეულებრივი მსვლელობის დროს ჩვენი თემის არენაზე ჩემი და ალუს დუელისა და ჩემი თემატური სიკვდილის ნახვის შემდეგ ჩნდებოდნენ ხოლმე. აშკარა იყო, რაც ამოძრავებდათ მწყემსებს. უნდოდათ, რომ არათემატური შატილი მოახლოებული რეალური თავისთვის თემატურად მოეჩვენებინათ და ამ თავებში ისეთი შთაბეჭდილება აღეძრათ, თითქოს ჩვენი თემი ირგვლივ, მის წინა და უკანა ნაწილებში, მხოლოდ თემატურ, ერთმანეთის მსგავს Schisch-ს შეეპყრო. მართლაც, რეკონსტრუქციის დამთავრებისთანავე, ჩვენი უბანი ძველი ქალაქიდან მოსულმა ქისტისმჭამლებმა დაიკავეს. შემდეგ კი ალუც უნდა გამოჩენილიყო და ჩვენი ისტორიის ყველაზე საძაგელი იმ სცენის რეპეტიციაც დაიწყებოდა, რომელიც ქისტებისა და ხელისჩამორთმევის მტრობას თემის პრინციპად აღიარებს და რეალურ სამყაროში ჩვენი წიგნის ტერიტორიას მკვლელის რეპუტაციას უქმნის.

შატილის თემატურ მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში შეფიქრიანებული ალუ გამოჩნდება. თემატური მკვლელობა მას უკვე აღარ მოსწონს, რადგან სისხლიანმა ორთაბრძოლამ და ჩემმა სიკვდილმა მას თემის მეორე მხარე დაანახა: დრომოჭმულ ტრადიციაზე და გონების სიჩლუნგეზე დამყარებული ქისტების წინააღმდეგ მიმართული ქრისტების (ხევსურები) სარწმუნოებრივი მტრობა. ჩემზე მოპოვებული გამარჯვება მას უკვე აღარ ახარებს და შინაგანად გადაწყვეტილებაც მიღებული აქვს. დიახ, ეს უკვე სხვა, სრულიად არათემატური ალუა, რომელსაც რამდენიმე თემატური ნიშნით თუ ამოიცნობთ. მოვერცხლილ ქამარზე ჩამოკიდებული ჩემი

მეგობრის თემატურობის დროინდელი ქისტის მოჭრილი, მოჭმუჭნული ტორები, ძველი, მახინჯი, მაგრამ დღეს უკვე მის მიერ ერთხელ და სამუდამოდ დაძლეული თემატური გადმონაშთია – რაც მთავარია, ალუდას ჩემი ტორი შატილში არ მოაქვს, რის საფუძველზეც, მასა და თემს შორის კონფლიქტი მზადდება. შატილის ბანებზე დიდი და პატარა გამოფენილა, რათა ჩემი სიკვდილის ამბავი პირადად ალუდასგან შეიტყონ და ამ ამბით დატკბნენ. ესენი ქალაქის თემატურ უბანში დაბადებულ-გაზრდილი თავგამოდებული ქისტისმჭამელი, თემის არანაკლებ ერთგული მეორეხარისხოვანი პერსონაჟები და მისი ბრმა თაყვანისმცემლები გახლავთ.

აქვეა მოხუცი უშიშაც, თემის უზენაესი წინამძღოლი და თხის მწყემსების ნდობით აღჭურვილი პირი. სწორედ მას და შატილის სხვა დანარჩენ ქისტისმჭამლებს უნდა მოახსენოს ალუმ სიტყვასიტყვით ჩვენი ორთაბრძოლის ამბავი. ეს არის გამოცდა Schisch-ში, ე.წ. სახელმწიფო ანუ, წიგნის ტერიტორიის თემატური გამოცდა, რომელიც შატილში ქისტებთან თემატური საომარი ოპერაციების შემდეგ დაბრუნებულმა ყოველმა ხევსურმა უნდა ჩააბაროს. არათემატურ მონაყოლს ანუ იმას, რამაც შესაძლოა ჩვენი ტერიტორიის უზენაესი მსაჯულის უკმაყოფილება გამოიწვიოს, არავის პატიობენ. გამოცდაზე ჩაჭრა თემის წინაშე ჩადენილ ცოდვას ნიშნავს და ჩაჭრილს თემიდან ავტომატურად აძევებენ. არათემატურ ხევსურებს შატილი შორეულ გადასახლებაში, ჩვენი ტერიტორიის მიყრუებულ, ცივ ტერიტორიაზე გზავნის. Schisch- ში გამოცდა ჩემში და მეტ-ნაკლებად გონიერ პერსონაჟებშიც ზიზღს იწვევს, თუმცა იგი ჩემი თემატური ბედისწერის შესახებ სხვა საინტერესო და სევდიან ფიქრებსაც აღმიძრავს – ცხადზე უცხადესია, რომ შატილის თემატური ხელმძღვანელობა – უშიშა, ბერდია და მთელი მოსახლეობა – ჩემსა და ალუს დუელზე წინასწარ ამყარებდნენ იმედს და ჩემი შემდგომი ისტორიული უბედურების მიზეზიც სწორედ ამ უზენაეს ხევსურ პერსონაჟებშია საძიებელი. ასე რომ, ეს დუელი შეიძლება შეფასდეს, როგორც მიმდებარე ქისტურ ტერიტორიებზე შატილის თემატური დარტყმა.

ყველასათვის მოულოდნელად, გამოცდა უშიშას უკმაყოფილებით დამთავრდა. ალუ სრულებით არათემატურია და ქისტმოძულე შეურიგებელი მოსახლეობის თანდასწრებით ჩემზე, ქისტ მუცალზე, კარგის მეტს არაფერს ამბობს. ალუ ბედავს და მე, ძველ შატილში ქეციან (აბსოლუტურ) მეორეხარისხოვან პერსონაჟად შერაცხულ ქისტს, მთავარ პერსონაჟად, კერძოდ კი გმირად მაცხადებს და არავის უმალავს, რომ ჩემი თავზეხელაღებული გამბედაობედაობით არის მოხიბლული. ქისტებზე

აღფრთოვანებული ლაპარაკი ჩვენი ისტორიის არც ერთ თემატურ თავს არ სიამოვნებს. მთავარ და მეორეხარისხოვან პერსონაჟებზე (გმირებზე) მათ საკუთარი, საუკუნოვანი წარმოდგენები აქვთ და ამიტომ განსხვავებულ აზრს დანაშაულად მიიჩნევენ. ამიტომ გასაგებია, რატომაც აერიათ სახეები შატილის მეთაურებს ალუს მონაყოლის მოსმენისას და რატომაც იღრინებოდნენ თემატური მსმენელები, რომელთაც ბრაზი ყელში მოსწოლოდათ. ალუმ ესეც არ იკმარა და ფრთხილად, მაგრამ გარკვევით დაგმო სხვა (ქისტური) წიგნის ტერიტორიების მიმართ ხევსურთა ისტორიულ ქედმაღლობა. აქ აღარ მოვიყვან მისი პოეტური სიტყვის სრულ ტექსტს, მოგახსენებთ მხოლოდ მის ზოგად აზრს – ეს არის მოწოდება ხევსურებისადმი, რომ თავი ისტორიის სხვა დანარჩენ წიგნის პერსონაჟებზე უკეთესი არ ეგონოთ და რომ ღვთის – რეალური მკითხველის თავების წინაშე – ყველა ერთნი ვართ, ხოლო მთავარ და მეორეხარისხოვან პერსონაჟთა შორის განსხვავებაზე ლაპარაკი სრულიად უსაფუძვლოა და ა.შ.

ალუს კოსმოთემატური (პოლიტიკური) გამოსვლის შემდეგ, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. მხოლოდ შეკრებილთა უხუცესი (თემატური) ნაწილის კბილთა ღრჭენას თუ გაიგებდით. მცირე მიზეზიც და, მრისხანებისაგან ანთებული ხევსური პერსონაჟები თავიანთ გრძნობებს დაუფარავად გამოხატავდნენ. და აი, საბაბმაც არ დაახანა. ალუმ თავისი მეამბოხე, ანტითემატური ხელის ჩამორთმევის იდეა დააგვირგვინა და ამით საკუთარი გულისნადები გამოხატა. იგი ჩემი, ქისტი მუცალის მიმართ თანაგრძნობითა და სიკეთით არის სავსე. ასე გამჟღავნდა ის, რაც შესაძლოა, უთქმელი დარჩენილიყო, – კერძოდ ის, რომ ალუს შატილში ხურჯინით ჩემი მარჯვენა არ ჩამოუტანია, რადგან არ შეეძლო (არ უნდოდა) მისი მოკვეთა. ალუს დიდსულოვნებასა და მის ანტითემატურ გამბედაობას შეუძლებელ იყო არ მოეხიბლეთ! უბრალო საქმე ხომ არ არის, Ultraschisch-ის გამოცდაზე მოკლულ ქისტთან ხელის ჩამორთმევის სურვილის გამხელა. და მაინც, ამ სცენაში მთავარი არა დიდსულოვანი ალუა, არამედ ჩლუნგი, ბოროტი, ქისტისმჭამელი თემი, ძველი თემატური შატილი, სადაც Schisch-ს ვერაფერი შეარყევს.

მეორე პროვინციაზე რეალურ თავთა უმეტესობის უცერემონიო, მე ვიტყოდი, აღშფოთებული გადასვლითა და განსაკუთრები კი, ალუს ზემოთხსენებული Schisch-ში გამოცდით, აშკარად ჩანს, თუ რა მრისხანე სიძულვილს იწვევს ჩვენი თემატური საზოგადოების ბრმა ქისტმოძულეობა გარეთ, რეალურ სამყაროში. როგორც კი ალუს გულწრფელი სიტყვით იმედგაცრუებული ქისტისმჭამლები მის ლიბერალურ პოზიციას უკუაგდებენ, ამ კეთილშობილ ადამიანს ბოღმას დაანთხევენ და ერთხმად ზურგს შეაქცევენ, ჩვენი წიგნიც სწორედ მაშინ იხურება. შთაბეჭდილება

მით უფრო გამანადგურებელია, რომ ალუს საქციელის გამკითხავნი, უკლებლივ ყველა, ახალგაზრდა პერსონაჟია, ანუ ის ადამიანები, ვინც მომავალში ჩვენი ისტორიის მკაცრი, თემატური ხაზის გარანტად უნდა იქცეს. Schisch-ის გამოცდაზე ჩაჭრის შემდეგ, ახალგაზრდა ხევსურნი, უფრო სწორად, ძველი შატილელები, ალუს ცივ, გამქირდავ მზერას არ აცილებენ, მისი სიტყვების კეთილშობილურ მიზეზს ვერ ხვდებიან და მას ლაჩარს უწოდებენ, რომელიც თავისი სისუსტის დაფარვას ლამაზი სიტყვებით ცდილობს.

რადგან ალუ მარჯვენას არ მჭრის და ალაფის სახით თან არ მიაქვს, ამიტომ მათთვის Schisch უტყუარი არ არის. უმრავლესობა მას საეჭვოდაც კი მიიჩნევს, რისთვისაც ყმაწვილი პერსონაჟები ალუს ქისტისმჭამელთა შეკრებაზე თემატურად შეაჩვენებენ;–შენი თოფი დედაკაცებს საქსოვში სახმარ, შუაზე გასაყრელ ჩხირად უფრო გამოდგებაო.

ამის შემდეგ ალუ თემის თემატურობის წინაშე დამნაშავედ ცხადდება. მიტინგი მთავრდება. ყველა პირქუშად აქცევს მას ზურგს და თავიანთ თემატურ სახლებში ბრუნდებიან. კარები ჭრიალით იკეტება, დარაბებს ხურავენ და ღვთისა (თემის) და კაცისგან მიტოვებული ალუ შუაგულ თემში ბაზრობის მოედანზე მარტო რჩება. სცენა ამით ჯერ კიდევ არ მთავრდება. Schisch, რომლითაც ალუს არ უსარგებლია, რამით უნდა ანაზღაურდეს და ამიტომ სცენაზე ჩემი ნამდვილი თემატური მკლავის მომკვეთი მინდიაც შემოდის.

მინდია: ჯმუხი, ფოლადში ჩასმული ხევსური, მძიმე ხმლითა და ფარით ჟღალ ცხენზე ამხედრებული ალუს უახლოესი მეგობარი და თემის გმირია. მის ხმალს თორმეტი ქისტი შეუწირავს.

შესაბამისად, მის სახლსაც ქისტის თორმეტი ტორი ამშვენებს. მაშასადამე, მინდია შატილში ცხენს შემოაგელვებს და ალუს შერცხვენის ამბავს იგებს. კუშტ გამომეტყველებას იღებს და თვალები უელავს. უჭირს იმის დაჯერება, რომ მამაცი ალუ მუცალს გამოქცევია. ხმამაღლა, უხეშად გმობს შატილელთა და სცენის მაყურებელ რეალურ თავთა ნაჩქარევად მიღებულ გადაწყვეტილებას. ამბობს, რომ სანამ არ გაირკვევა, რა მოხდა ჩვენი თემატური ისტორიის ტერიტორიის პირველ პროვინციაში ჩემსა და ალუს შორის, არც თემსა და არც რეალურ სამყაროში მისი აუგად მოხსენიების უფლება არავის აქვს. აშკარაა, რაც განუზრახავს. მას სურს, ალუს თემატური ავტორიტეტი აღადგინოს და მის სახელს სირცხვილის ლაქა ჩამორეცხოს. რეალურ და წიგნის პერსონაჟებს საზეიმოდ ჰპირდება, რომ იმავე დღეს სიმართლეს გაარკვევს და უკან, თემში ისე დაბრუნდება. ამიტომ ცხენს ჩემი და ალუს დუელის ადგილისკენ ნიავივით მიაქროლებს, სადაც მე, ამ დროს უკვე თემატურად მკვდარი, საფლავში ვწევარ. ასეთია

თემატური სანახაობის მოკლე შინაარსი, რომლის რეპეტიციასაც ავლაბრელი ქისტისმჭამლები და წიგნის პერსონაჟთა სხვა დანარჩენი ჯგუფები ჩვენს არათემატურ უბანში, ახალ შატილში, გამთანგავი რეალური მზის პაპანაქებაში, ასეთი თავგამოდებით ისევ და ისევ ატარებენ.

დაპატიმრება ავლაბარში

ამ სამარცხვინო წარმოდგენის მოედანი შეიარაღებული თხის მწყემსთა კორდონმა გადაკეტა, რადგან არაკომპეტენტური, აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი პერსონაჟების (ანუ მათი, ვინც თემატური სცენის უშუალო მონაწილენი არ იყვნენ) იქ გამოჩენა სასურველი არ იყო. ეს კი ისედაც შეუძლებელი გახდა, ვინაიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ახალ შატილში რეალური პაპანაქება და სინათლე ამ უბნის თავზე ერთი ან ორი რეალური თავის უეჭველ გამოჩენას მოასწავებდა, ჩვენმა მტანჯველებმა ბოლო დარტყმა მოგვაყენეს. თხის მწყემსებმა ჩვენ, მთელი ანტი და არათემატურ წიგნის პერსონაჟთა მოსახლეობა, ახალი შატილიდან დაუფიქრებლად გამოგვასახლეს. ამით ისინი წესრიგის დამყარებასა და რეალური წარმოდგენის ტერიტორიიდან ყველა იმ პერსონაჟის თავიდან მოცილებას აპირებენ, ვისაც ისტორიულად რაიმე ნაკლში სდებდნენ ბრალს. ამ ღონისძიებამ, რომლითაც თხის მწყემსები ახალი შატილით დაინტერესებული რეალური თავების ცნობისმოყვარეობის თავიდან აცილებას აპირებდნენ, თემატური პროგრამა კიდევ უფრო მეტად სრულყო. ჩვენი გასახლებით ძველსა და ახალ შატილს შორის განსხვავება გაქრა. დრო რომ ფუჭად არ დაეკარგათ და ევაკუაციაც სწრფად დამთავრებულიყო, თხის მწყემსთა შეიარაღებულმა სამხედრო ნაწილებმა სახლებიდან გაუფრთხილებლად გამოგვრეკეს და სატვირთო მანქანებით ახალი შატილი წამში დაგვატოვებინეს. აქაფებულ არღუნზე გადებული ძველი რკინის ხიდით ქალაქის მარცხენა თემატურ ნაპირზე გადაგვიყვანეს, სადაც ალიზის ქოხები, დაკუთხული საგუშაგო კოშკები, მდიდართა ციხედარბაზები, უნივერსიტეტი და ეკლესია დგას. ეს ავლაბარია – ჩვენი ისტორიის ტერიტორიის ყველა ხელმძღვანელ ქისტისმჭამელთა საცხოვრებელი უბანი. სწორედ აქ იყრის თავს მთავარი (შუაგული) პროვინციები და მოვლენებიც სწორედ აქ ვითარდება. ავლაბრის ღირსშესანიშნაობებს საბაზრო მოედანი, რატუშა და შატილის ცენტრალური ხელისუფლების სხვა დანარჩენი შენობა განეკუთვნება. ისტორიის ჩვეულებრივი მსვლელობის დროს Schisch-ში გამოცდაც ამ მოედანზე ტარდება. სწორედ აქ ჰყვება ალუ შემწყნარებლური

ტონით ჩვენი დუელის შესახებ და ლაჩარი, ქისტმოყვარე, ხელის ჩამორთმევის მომხრე კაცის სახელსაც სწორედ აქ მოიმკის. მთელი თემაც აქ, ამ ადგილას აქცევს მას ზურგს. სიჩქარეში ბინები ვერ დაგვახვედრეს და არც იმის იმედი ჰქონია ვინმეს, რომ თემატურად მნიშვნელოვანი პერსონაჟები შეგვიკედლებდნენ. ამიტომ მოედანზე ჩამოგვსხეს. ჩვენი ჯგუფის მრავალი უხუცესი მეორეხარისხოვანი პერსონაჟებისთვის ცხადია, ეს, ამაღელვებელ მოვლენას წარმოადგენდა, რადგან ის ფაქტი, რომ მოკრძალებული, ყველასთვის უსარგებლო კულისების ყოფიერებიდან, უეცრად თემის წინა რიგებში აღმოჩნდნენ, ანუ იქ, სადაც ისინი სხვა შემთხვევაში ვერასდროს მოხვდებოდნენ, მათ დაუჯერებელად მიაჩნდათ.

თავბრუდამხვევი გრძნობის გარდა, რაც აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი პერსონაჟებისთვის ისტორიაში ადგილის შეცვლას მუდამ თან სდევს, ახალი გარემოს მიმართ–სადაც, წესდებისამებრ, თემი ვლინდება და სადაც ხევსურები Schisch-ს ასეთი აუმღვრეველი სიმშვიდით ზეიმობენ–მათ ფარული მტრობაც გაუჩნდათ. ბევრმა ჩვენთაგანმა უკმაყოფილო სახე მიიღო და მათი ნება რომ ყოფილიყო, ან მოედნის გარშემო ჩამწკრივებული შეიარაღებული მწყემსი გუშაგების შიში არ ჰქონოდათ, ამ საზარელ არენას დაუფიქრებლად გაეცლებოდნენ და ისევ არათემატურ, ჩვენი ისტორიის უკანა სივრცეში დაბრუნდებოდნენ, სადაც ბევრად უკთესი ატმოსფერო იდგა; თუმცა სიმშვიდეს ვეღარც იქ ჰპოვებდნენ, – იმ წუთს მოვლენები იქაც თემატურად ვითარდებოდა. სამწუხაროდ, თემისგან მოშორებულ ადგილებშიც – ახალ შატილში – ჩვენი ისტორია, Schisch-ით გამსჭვალულიყო. ირგვლივ ყოველივე საშინელი იყო. ცენტრალურ საბაზრო მოედანზე თავშეყრილ უთვალავ ხალხში ცალკეული ჯგუფები ახალ შატილში მომხდარ მოვლენებზე აღელვებულები კამათობდნენ. ჩემი ყოფილი დაკრძალვებისა და მიტინგების ადგილზე, რომელიც რეალური მზის პაპანაქებისაგან ვარვარებდა, პირველი რეალური თავი გამოჩნდა, რაც ამ მოედნის უკუღმართი, არათემატური ხასიათისთვის საკმაოდ სენსაციური იყო. რეალურ თავს მხოლოდ თვალი შევავლეთ. მწყემსებმა მაშინვე მანქანები დაქოქეს და მისი მხედველობის არედან თემის მეორე (ფრონტალური) ნაწილისკენ გაგვაქროლეს. არა მგონია, რომ რეალურ თავს ჩვენი იძულებითი ტრანსპორტირება შეემჩნია. ჯერ ერთი, იმ ადგილიდან, სადაც ის გამოჩნდა, საკმაოდ მოშორებით ვიმყოფებოდით და მეორეც, როცა მას მანქანებით ჩავუარეთ, უკვე ბნელოდა კიდეც. სამაგიეროდ, მართალია, ჩვენ არა, მაგრამ ბოლო სატვირთო მანქანებზე უკანა რიგებში მსხდომმა პერსონაჟებმა რეალური თავის პროფილი დაინახეს. ისედაც ნათელი თავი

კიდევ უფრო მეტად კაშკაშებდა. უცნაურია, მაგრამ კაშკაშა შუქი, რომელსაც პირველი მკითხველის თავი გამოსცემდა, თვალს არ ჭრიდა და ჩვენც დიდხანს შეგვეძლო მისთვის თვალის გასწორება. პირველი მკითხველის თავის ნათება დანარჩენ თავებზე უფრო ძლიერი იყო და სხივების კონა, როგორც ჯიბის ფანრის კონცენტრირებული შუქი, გაუფანტაფად ჩემი დაკრძალვის მოედანს ზევიდან პერპენდიკულარულად ეცემოდა, სადაც ოფლში გახვითქული ქისტისმჭამელები, ალუს Schisch-ში გამოცდის სასტიკ სცენას იწყებდნენ. ასე რომ რეალური თავი აქაც მხოლოდ იმას ხედავდა, რაც ჩვენი თემის წინანაწილებიდან უკვე ისედაც იცოდა კიდეც. ცხადია, რეალური თავის წამიერმა ხილვამ ჩვენ, აბსოლუტურად და შედარებით მეორეხარისხოვან პერსონაჟებს ამაღლებული ისტორიულობის ტკბილი გრძნობა განგვაცდევინა. ცხადზე უცხადესი იყო, რომ ამ მკითხველმა თემის კი არა, არამედ ჩვენი ანტი და არათემატურად განწყობილი, ხელის ჩამორთმევის იდეით შეპყრობილი პერსონაჟების გამო ჩამოყო აქ თავი და თემისაგან სრულიად განსხვავებული, მისი საპირისპირო წარმოდგენების ნახვას ელოდა. მტკიცედ მწამს, რომ თითოეული ასეთი თავი მზად იქნებოდა ჩემს დაკრძალვებში მიეღო მონაწილეობა, Schisch-ის წინააღმდეგ რეალური სიტყვაც წარმოეთქვა და ჩვენთვის ძმური თანადგომა გაეწია.

ჩვენი ისტორიის განაპირა ტერიტორიებზე რეალური თავის ამ სენსაციურმა შეტევამ შატილის თემატურ საბაზრო მოედანზე ასე მხეცურად გამორეკილი ადამიანები მთავარ პერსონაჟებად და ჩვენი სევდიანი ისტორიის სრულფასოვან მაცხოვრებლებად აქცია. უეცრად ისეთი სტიმული მოგვეცა და ისეთი სიმტკიცე ვიგრძენით, თითქოს ეს თავი ჩვენ გამოგვბმოდა მხრებზე და თითქოს ამ თავით გვესუნთქოს და გვეფიქროს. ცხადია, ეს მხოლოდ მწარე ილუზია იყო, რადგან ჩვენ შორის თხის მწყემსთა შეიარაღებული კორდონი იდგა და მის გარღვევას ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ გაბედავდა. თემის თითოოროლა აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი პერსონაჟი მწყემსებს ნაკლებად აინტერესებდათ, თუმცა პირველმა ალყამ დამარწმუნა (ახალ შატილში, რეალური თავების განუწყვეტელი განგაშის გამო, მწყემსები აქეთ-იქით დაგვარბენინებდნენ), რომ გარშემორტყმული თემატური მცველების ჯაჭვი შეიძლება ოდესმე გაგვერღვია და ჩვენ, დღესდღეობით შატილისა და მისი შემოგარენის აბსოლუტურ მეორეხარისხოვან პერსონაჟებს რეალური თავების წინაშე წარდგენის, შეძლებისდაგვარად მასთან საუბრისა და უეჭველი ხელის ჩამორთმევის შესაძლებლობა მოგვცემოდა. ასეთი რამ კი მხოლოდ ანი-დან ჰოე-მდე განახლებულ, ყოველგვარი Schisch-ისაგან განწმენდილ თემში თუ იყო შესაძლებელი. ჩემი მოსაზრება საბაზრო მოედანზე

დაბეჯითებით, თუმცა ფრთხილად გამოვხატე, რათა სასოწარკვეთილთა-თვის რეალური და საკუთარი თავების რწმენა დამებრუნებინა. ისინი კი ქანცგაწყვეტილ, უკიდურესად გადაღლილ რეალურ თავებზე მიუთითებდნენ შეშინებულები. ეს ფაქტი, სხვათა შორის, მიუხედავად ჩვენი საყოველთაო შინაგანი მხიარულებისა, არც ჩვენ გამოგვპარვია. სიმართლე რომ გითხრათ, თავი, მართლაც ძალიან დაღლილი გამო-იყურებოდა, რაც, იმ ენით აღუწერელი დაძაბულობის შემდეგ, რომელიც მან ახალ შატილზე თავდასხმისას გადაიტანა, გასაკვირი არც უნდა იყოს. ამ ფაქტის დაწვრილებითი ანალიზის შემდეგ მეც დავეთანხმე იმ მოსაზრებას, რომ თავს, ალბათ, საშინელი თავისტკივილები აწამებდა. ჩვენი ისტორიის უკეთესი, უხილავი გვერდებისკენ მიმავალი გრძელი, უჩვეულო და სახიფათო გზა, უეჭველია, რეალური თავისგან დიდ ფიზიკურ და ფსიქიკურ დატვირთვას მოითხოვდა. ბოლოს იძულებული გავხდი, თემის ცენტრალურ საბაზრო მოედანზე თავშეყრილ პესიმისტებს დავთანხმებოდი და რეალური თავის შემაშფოთებელი უცნაურობანი მეღიარებინა, რომელსაც ალბათ ყველა ვამჩნევდით, მაგრამ აქამდე ყურადღება არ მიგვიქცევია. რეალურ თავს ცხვირიდან სისხლი სდიოდა და მთელი სახე და კისერი ერთიანად დაბეჟილ-დაჩეჩქვილი ჰქონდა. ალბათ, ქედზე შეჯახების შემდეგ, რომელთა შორისაც ახალი შატილი გეოგრაფიულად (გეოთემატურად) არის გამომწყვდეული. შეიძლება, მავთულხლართებსაც წამოედო, რომელიც მწყემსებს არათემატურ მთიან მხარეში დაუპატიჟებელი რეალური სტუმრებისგან თავდასაცავად გაებათ. სისხლიანი იარები კიდევ იმიტომაც იწვევდა განცვიფრებას, რომ რეალური თავი ახალი შატილის ცაზე რეალურ-პიროვნულად კი არა, თავის წარმოსახვაში ეკიდა, არათემატურ სფეროებში მხოლოდ საკუთარ ილუზიებსა და წარმოდგენებში დაეხეტებოდა მოჩვენებასავით და ცნობისმოყვარეობის გამო მიღებულ ჭრილობებსაც უნდა შეგუებოდა. რაც უფრო დიდხანს ვფიქრობდით ამაზე, მით უფრო აუხსნელი და გამაოგნებელი გვეჩვენებოდა ეს ამბავი. სულიერ ძალთა კოლოსალური დაძაბვის შედეგად იდეალურობამდე (არამატერიალურამდე) გადი-დებული წარმოსახვითი სურათ-ხატები, რეალურ თავებში მსხვრე-ვადობის მაღალ ხარისხს აღწევს. – ეს მოსაზრება ჩემს დღიურში მოგვიანებით ჩავინიშნე. ალბათ მიხვდებით, რომ ეს პესიმისტებისთვის არცთუ უსაფუძვლო შიშის მიზეზი გახდა. ისინი ამბობდნენ, რომ ამგვარი შერყეული სულიერი მდგომარეობით რეალური თავი ახალი შატილის თავზე დიდხანს ვერ გაძლებდა და ცრუ მოვლენებსაც (კერძოდ, მწყემსების ყალბ თამაშს) სწორად ვერ განჭვრეტდა.

მეორე მოსაზრების თანახმად, მკითხველს ახალ შატილამდე

წარმოუდგენლად რთული, უკიდურესად დამქანცავი მოგზაურობა შეაშინებდა, ჩვენი თემატური სფეროებიდან რეალურ თავს მაშინვე სამუდამოდ უკან გასწევდა და ამ ურთულეს შეტევას აღარასოდეს გაიმეორებდა. სხვები კი წინასწარმეტყველებდნენ, რომ რეალურ თავს უკანდასახევად ძალა არ ეყოფოდა, ხოლო ენერგიის სრული დახარჯვის შემდეგ კი ჩვენი დაკრძალვის მოედანზე „ციდან ჩამოვარდებოდა" კიდეც და თავს გაიტეხდა, ანდა მწყემსები მას საზენიტო არტილერიით ნაწილ-ნაწილ ჩამოაგდებდნენ. ზოგიერთი პესიმისტი კი იმასაც შიშობდა, რომ თემატური გამანადგურებელი თვითმფრინავები ძალაგამოცლილ რეალურ თავს იძულებით დასვამდნენ მიწაზე და ტყვედ შეიპყრობდნენ. შავბნელი აზრები პატრუქზე მოკიდებული ცეცხლივით შემოგვენთო. როგორც კი ერთ აზრს მოვიცილებდი, მაშინვე მეორე შემომაწვებოდა და მოსვენებას მიკარავდა. სასოწარკვეთილების კერა პირქუში თემატური ცენტრი – ბაზრობის მოედანი იყო, სადაც ნახირივით შეგვრეკეს და გამოგვამწყვდიეს. ერთი წუთითაც კი აღარ მეპარებოდა ეჭვი, რომ ამ საძაგელ ისტორიულ მიწაზე, რომელიც, სამწუხაროდ, რეალურ სამყაროში ჩვენს ისტორიაზე ფრონტალური (თემატური) წარმოდ-გენების საფუძველი იყო, ყველა, თვით ანტითემატური პერსონაჟებიც კი, თანდათანობით იმედს კარგავდნენ. ჩემი არეული გონებითაც კი მივხვდი, რომ პესიმისტების ლაპარაკი ამ საშინელი დაცემისა და დაკნინების სიმპტომი გახლდათ. ამის ისიც ემატებოდა, რომ ჩვენი პატიმრობა კვლავ გრძელდებოდა. სამმა დღემ განვლო, მაგრამ მოედნის გარშემო მდგარ მწყემსთა კორდონებს დაშლა არც კი უფიქრიათ. დაჯავშნული ოთხთვალებიდან მწყემსები ხანდახან სურსათ-სანოვაგით სავსე ტომრებს გვიყრიდნენ. მერე ბრეზენტის კარვებიც დაგვირიგეს და მათი გაშლის ნება დაგვრთეს. როგორც ჩანს, თემის ცენტრში დიდი ხნით გვიპირებდნენ დაკავებას. ჩვენმა გაჭიანურებულმა მდგომარეობამ ახალი სპეკულაციები დაბადა. ყვებოდნენ, რომ წიგნის პერსონალისთვის ადგილის შეცვლის მანევრმა გაამართლა და ამიერიდან ის, რაც თემში უკან იყო, წინ გადმოინაცვლებდა და – პირიქით. ასე რომ, ძველი შატილის მოსანახულებლად მოსული რეალური თავები მოტყუვდებოდნენ და ახალ შატილს ეწვეოდნენ. ცხადია, ეს სრულიად აბსურდული აზრი გახლდათ, მაგრამ ბაზრობის მოედანზე ჩვენი იძულებითი ყოფნა უკვე კვირაზე მეტხანს გრძელდებოდა და მისი დასასრულის იმედი ჯერაც არ ჩანდა. აღელვებას ვერც მე ვფარავდი. რა მოხდა? ის, რომ, რეალური თავი თემის ერთ ადგილზე ამდენ ხანს შეჩერდა, საეჭვოდ მეჩვენებოდა. წიგნის სამყაროს თვით ყველაზე საინტერესო და პოპულარული მოვლენებიც კი, ამ თავებს დიდხანს ვერ ართობს. თანაც ჩვენს თემატურ ისტორიას

რეალურ თავებში დიდი გასავალი აღარ ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში წიგნის სამყაროში უკვე ერთ გვერდსაც კი ვერ იპოვნიდით, რომლითაც სერიოზული თავი ერთ კვირაზე მეტ ხანს მაინც დაკავდებოდა. რეალურ თავს, რომელიც საკუთარი ჯანმრთელობის ფასად, თემის შემოვლით, შემზარავად სახიფათო გზით, ახალ შატილამდე გაბედავდა მოსვლას, ალბათ, ჩვენი ძველი თემის გარდა ყველაფერი დააინტერესებდა, ანტი და არათემატური ცნობისმოყვარეობა აღეძვრებოდა და ბერდიასნაირების მონაჩმახს აგდებით შეხედავდა.

სხვა ხელმოსაჭიდი მიზეზი რომ ვეღარ მოვძებნეთ იმის ასახსნელად, თუ რატომ აჭიანურებდა რეალური თავი ახალი შატილის ცაზე ყოფნას, ისღა ვიფიქრეთ, ალბათ, ეს თავი უკან დასახევად სულის მოთქმასა და ძალის მოკრებას თუ აპირებდა. ეს მოსაზრება, ისევე როგორც რეალურ თავებთან დაკავშირებული სხვა დანარჩენი შავბნელი წინასწარმეტყველებანი (თემის წინაშე მისი უძლურება, ჩვენს ისტორიაში ნამდვილი ანტითემატური ძალების შეცნობის უუნარობა) მცდარი აღმოჩნდა. მოხდა სრულიად სხვა რამ, რაც ჩემმა მეგობარმა ალუმ დაწვრილებით ამიღწერა და ამ მოვლენების შესახებ ნაწილობრივ მისი კარნახითაც დავწერე. ამ საქმეში, თვითონ ალუც იყო გარეული. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მკითხველის თავებიდან შექმნილი, ჩვენს ისტორიაში შემოსული, რეალურად წარმოსახული თეთრი მტრედები დაა მერნები სხვა დანარჩენთა გვერდით მკითხველთა თავების იმ თანაგრძნობის დამამტკიცებელი საბუთია, რომელსაც ის ჩვენს ისტორიაში (დარწმუნებული ვარ, სხვა დანარჩენშიც) არათემატური გვერდების მიმართ იჩენს. იმ დროს, როდესაც მეორეხარისხოვანი პერსონაჟები ძველი შატილის ბაზრობის მოედანზე დატყვევებულები ვისხედით, ჩვენი თემის მეორე მხარეს, ახალ შატილში, ალუს Schisch-ში გამოცდის თემატური სცენა თამაშდებოდა და თანაც ისე, როგორც არასდროს მანამდე ჩვენს ისტორიაში. რეალურმა თავმა, რომელიც სცენას შორიდან, გულგრილად ადევნებდა თვალს, უკიდურეს ზომებს მიმართა: ის ჩაერია. მკითხველი თავების რეალური ინტერვენცია წასაკითხ მასალაზე, აქვე გეტყვით, ისტორიის (თემის) ფრონტალურ გვერდებზე, სრულიად შეუძლებელია. რაც უნდა ღრმად დახაროს მკითხველმა თემისკენ რეალური თავი, ჩვენს შორის უფსკრული ტელეპატიის ძალითაც კი არ ამოივსება.

ვერასდროს, ვერც ერთი მკითხველის თავი წიგნის პერსონაჟებში წინიდან მოქმედებით რეალურ მოვლენებს ვერ გამოიწვევს. თემზე ფრონტალური თავდასხმა არც რეალურ, ანუ ჭკვიან თავს გაუწევს სამსახურს და, როგორც მწყემსები ყვებიან სიამაყით, მათი სიცოცხლისთვისვეა სახიფათო. მსგავსი ჩარევის უსარგებლობის ნათელ ილუსტრაციას ის შემთხვევა წარმოადგენს, როდესაც მკითხველმა (რეალური) თავი, თემზე იმტვრია. რეალური თავისმტვრევა უხამსი ისტორიის წინიდან შემტვრევისა და გარღვევის ჯიუტი მცდელობის გარდაუვალი შედეგია. ისტორიის ფასადი ყველაზე მაგარ რეალურ თავზე უფრო მაგარია, ასე რომ, მასზე თავდასხმა არ ღირს. ერთადერთი, რისი გაკეთებაც რეალურ თავს წიგნის პერსონაჟებისთვის ფრონტალური პოზიციიდან შეუძლია, თეთრი მერნების და მტრედების გამოგზავნაა. ეს კი მხოლოდ მაშინ ხდება, თუ ისტორიას საკმარისად დიდი შუალედური სივრცეები გააჩნია, რაც თემის ისტორიაზე ამ რეალური წარმოსახვითი იდეების შეუმჩნევლად გადმოსხმას გახდის შესაძლებელს. ისტორიის ამგვარი არსებებით ავსებას ჩარევასაც ვერ დაარქმევ, რადგან, რაც უნდა იღუღუნონ მშვიდობის მტრედებმა, ან ინავარდონ თეთრმა მერნებმა, უგვანო თემი თავის სტრუქტურას არასდროს შეიცვლის.

ის რეალური თავები კი, რომლებიც უჩვეულო წარმოსახვის უნარით თემზე ზემოქმედებას უკანა მხრიდან შეუდგებიან, იტორიაში რეალურ ჩარევასაც შესძლებენ. მათ შეუძლიათ, თემის კულისების მხარეს მყოფ წიგნის პერსონაჟებს საკუთარი რეალური აზრები შთააგონონ და, ამგვარად, თემისგან სრულიად საპირისპირო, ანტი და, შესაბამისად, არათემატური ისტორიის კურსის გატარების მიზეზად იქცნენ. ასეთი რამ კი ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან ჯერ ერთი, რეალური თავები თემის უკანა ნაწილებში, დღემდე შედარებით იშვიათად ჩნდებიან და მეორეც, ისტორიის ზურგი ისედაც ანტი და არათემატურია. ახალი შატილის თავზე, რეალური თავის გმოჩენამ და მწყემსების თავდაცვთმა მანევრებმა (Schisch-ში, ალუს თემატური საგამოცდო სცენის ჩვენი თემის უკანა გვერდებზე გადატანა), რეალური ჩარევისათვის ყველა პირობა შექმნა. ამგვარი ჩარევის ტექნიკურ შესაძლებლობებზე მაშინ წარმოდგენაც კი არავის გვქონდა. როგორც ჩანს, თემის უკანა გვერდებისთვის დამახასიათებელი ეთერული კოეფიციენტი რეალური სამყაროდან თემში რეალური აზრის გადატანისათვის საჭირო თვისე-

ბებს ატარებს. როგორც უკვე ვთქვით, ეს შესაძლებლობები მაშინ ცნობილი არ იყო და ამიტომ ახალ შატილში რეალური თავის აზრის შეტევა და ჩარევა თემისთვის მოულოდნელი და გამანადგურებელი დარტყმა აღმოჩნდა.

თემზე რეალური თავის აზრის იერიში (ჩვენი ისტორიის ტერიტორიაზე შეძენილი გამოცდილებით, შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნის მთელ ტერიტორიას თანაბრად ეხება, რომლის ზემგრძნობიარე, უკანა (კულისები) მხარეს რეალური თავები შემოუფრენენ ან გადაუფრენენ ხოლმე), ისევე საშიშია, როგორც რეალური ტერიტორიის დაბომბვა და რადგან თემები ამ დროს შესაძლოა ადვილად დასკდეს, შესაბამისად, საბოლოო შედეგებიც გამანადგურებელია. რეალურ ტერიტორიაზე ჩამოგდებული ბომბების მსგავსად, რეალური თავის აზრები თემატურ პერსონაჟებს შიშის ზარს სცემს, ხოლო ანტი და არათემატურ პერსონაჟებს კი თავშეკავებული, მაგრამ გაუმხელელი სიხარულით ავსებს. შესაძლოა აქ (წიგნის ტერიტორიაზე) და იქ (რეალურ სამყაროში) განხორციელებულ რეალურ შეტევებს (ჩარევებს) შორის განსხვავება არც ისე დიდი იყოს, როგორც ჰგონიათ. ერთი რეალური ტერიტორიის რეალური თავების მიერ, მეორე რეალური ტერიტორიის რეალური თავების წინააღმდეგ ნასროლი ბომბები ხომ გამანადგურებელი აზრების მატერიალიზაციაა! თუ ასე ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ რეალურ ბომბთან შედარებით რეალური აზრი ყოველმხრივ დამღუპველია, რადგან, რაც უნდა ძლიერად აფეთქდეს, მიწაზე ყოველთვის უხმაუროდ ეცემა და არავინ იცის, სად და რა სახის თემატურ ზიანს მიაყენებს თემს.

მისი დაჭერა, ანდა ჰაერში დანახვა შეუძლებელია. ისტორიაში ის უფრო სწრაფად ვარდება, ვიდრე თემის ცაზე გამკრთალი ელვა. ხოლო ადგილი, რომელსაც ის ხვდება, ყველაზე მოკრძალებული და უმნიშვნელოა და ამიტომ გარედან მას ვერც ვერაფერს შეატყობთ. რეალური აზრი რეალური თავიდან, წიგნის ერთი პერსონაჟის, ანდა გარკვეული რიცხვის პერსონაჟთა თავებში გადაიზუზუნებს, რადგან აზრის ბალისტიკა, არსებითად, მიზანთა მთელი ჯგუფის ელვისებური გამოფრქვევის პრინციპს ეყრდნობა. პერსონაჟთა თავები რბილ ასაფეთქებელ ნივთიერებებს იმდენ ხანს დაატარებენ თან, მანამ თემში არ გამოისვრიან. ეს წუთი კი, ცხადია, მოგვიანებით, ანდა საერთოდ არ დგება, რადგან პერსონაჟთა თავები ან ძალზე მაგარია, ანუ ძალზე თემატურია, ან არასაკმარისი რაოდენობისაა და ამიტომ, წიგნის პერსონაჟთა სხვა (მეტმა) თავებმა, ან სხვა (მეტმა) რეალურმა თავებმა, რეალური გასროლა კვლავ და კვლავ უნდა გაიმეორონ. როგორც ხედავთ, თემში ცეცხლის

გასაჩაღებლად რეალურ აზრებს შუალედურ ტერიტორიებზე მეტად, ანტითემატურად განწყობილ წიგნის პერსონაჟთა თავების დიდი რაოდენობა სჭირდებათ.

რეალური იარაღის წინააღმდეგ, რეალური აზრებისთვის ესეც საგრძნობი ზარალია, რადგან მასზე თავდასხმა, მათი დაჭრა და ლიკვიდაცია, წიგნის პერსონაჟთა თავებშიც შესაძლებელია. როგორც ცნობილია, ძალაუფლების მქონეთ (მწყემსებს) მრავალ თემში უამრავი პერსონაჟის თავი ჰყავთ, რომლებიც შედარებით, ან აბსოლუტურად მეორეხარისხოვან პერსონაჟებს განეკუთვნებიან და ამიტომ, მათი ისტორიიდან გაქრობაც უფრო იოლია. მწყემსები მათ სწორედ ანტითემატური აზრების გამო სდევნიდნენ, აპატიმრებდნენ და თავებს აჭრიდნენ. სამწუხაროდ, ის ვარაუდიც სწორია, რომ რეალური ციდან (რეალური თავისგან) მიღებული ანტითემატური აზრების მქონე, შედარებით ან აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი პერსონაჟების განადგურება, თავზე ყულფის ჩამოცმა, ან იგივე თავის გილიოტინის ქვეშ დადება ისევე შესაძლებელია, როგორც ამგვარი აზრების გარეშე მყოფი, შედარებით ან აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი პერსონაჟებისა. თუმცა არსებობს ისეთი მოსაზრებაც (ჩვენში მას მრავალი მიმდევარი გაუჩნდა), რომ რეალური აზრი წიგნის პერსონაჟს უკვდავს ხდის, თემის ცაზე მდგომი რეალური თავის რანგში აჰყავს და ვერც ერთი თემატური ადამიანი (მწყემსი) მას თავს ვეღარ გააგდებინებს. ამ მშვენიერ, ობიექტურად ძნელად შესამოწმებელ მოსაზრებას, ყველა კეთილი წიგნის პერსონაჟის საიმედოდ, ჩვენი თემატური ისტორიის მსვლელობით შემოწმებული შემდეგი მტკიცება შემიძლია დავუპირისპირო: რეალური აზრები შეიძლება თვით წიგნის პერსონაჟის თავებშიც ჩაისახოს, რომელსაც იგი ერთხანს თან დაატარებს და შემდეგ კი თემს გადასცემს. ვისაც არ სჯერა, თომინოს მაგალითს მოვუყვან. თავდაპირველად ეს თამაში თხის მწყემსების მოგონილი ხრიკი იყო, რომლის მიზანსაც წიგნის პერსონაჟთა თავებში საჩვენო ისტორიის ცოცხლად შემონახვა წარმოადგენდა. ცხადია, მხედველობაში მაქვს მხოლოდ თემატური ისტორია. ჩემს მიერ მისი შემდგომი განვითარებითა და, განსაკუთრებით ჩემი წარმტაცი ტუზების შემოტანით, თომინო სიცოცხლით აივსო და ცალმხრივი მონოტონური თემატური დირექტივებისაგან გათავისუფლებულმა, ყველა ტანჯული პერსონაჟისთვის, ისტორიიდან ხსნის მომხიბვლელი აზრიც შეიძინა. ხოლო ის, რომ მას ხის ნაფოტებით თამაშობენ, ვერაფერს აკლებს. მე თომინოს მეორე დამაელექტროვებელ, მოთამაშეთა ნერვების უკიდურესად დამძაბავ თვისებაზეც მივუთითებ და მოგახსენებთ, რომ ის რეალური იდეის, ანუ

რეალური აზრის შედეგი და ნაყოფია. ეს ტუზები რომ რეალური თავებისთვის ზედგამოჭრილი არ ყოფილიყო, ანუ რეალურ იდეებს არ წარმოადგენდეს, როგორ გაერკვეოდა, წაიკითხავდა, ან აღიქვამდა მათ ეს თავები და (რაც მთავარია) რეალური წარმოდგენის ფორმით უკან როგორ გამოასხივებდნენ. ყოველივე ზემოთჩამოთვლილი შემდეგი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს. რეალური აზრი თავად მე მაშინ ჩამესახა, როდესაც თომინოს ტუზებით აღჭურვის იდეა მომივიდა თავში. დიახ, რეალური ტუზები ჩემი უპირველესი იდეათა ერთობლიობაა, რომელსაც მე მხოლოდ ჩემს თავს, და არა ვინმე სხვას, უნდა ვუმადლოდე. ამისთვის აშკარა სტრუქტურული მტკიცებაც გამაჩნია. ყველა რეალური თავი, ვისაც ჩემთვის ტუზების იდეის მოწოდება შეეძლო, იმ დროს, როდესაც თომინო ჯერ კიდევ განუვითარებელი იყო და მისი გაუმჯობესებისთვის თამაშის ახალ გეგმაზე ვმუშაობდი, თემის წინა ნაწილებში დაფრინავდნენ, ანუ მხოლოდ იქითა მხრიდან გვიახლოვდებოდნენ, საიდანაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, წიგნის პერსონაჟებზე რეალური აზრის გადატანა პრინციპულად გამორიცხულია. ჩვენი ისტორიის უკანა, არათემატური ნაწილების დაზვერვა იმ შორეულ ეპოქაში, თვით იმ თემატურად განწყობილ რეალურ თავებსაც კი არ მოუვიდოდათ აზრად, რომლებიც ჩვენს თემს ყველა საკითხში დიდი ენთუზიაზმით ეთანხმებოდნენ. თანაც ეს ნაწილები მაშინ მხოლოდ ჩანასახობრივად არსებობდა. ახალი შატილი კი თავისი მრავალრიცხოვანი ანტი და არათემატური მოსახლეობით ჯერ კიდევ არ არსებობდა. ერთადერთი, ვინც თემს რამდენადმე უპირისპირდებოდა, მე და ალუ ვიყავით, თუმცა ჩვენი თემის ოფიციალურ ისტორიას პრინციპულად ჯერ კიდევ არ გავმიჯვნოდით. მთელი თემის ცაზე ერთი რეალური თავიც კი არ მოიპოვებოდა, ვისაც ტუზების იდეის გადმოცემა შეეძლო. ყველა ეს ფაქტი კი იმაზე მეტყველებს, რომ ეს რეალური აზრი თავად მე წიგნის პერსონაჟულ თავში მომივიდა.

ასეთი კატეგორიული ტონით იმიტომ კი არ ვწერ, რომ საკუთარი მნიშვნელობის წინ წამოწევა, ანუ ჩემი თავის რეალურ თავად გასაღება მსურს. ჩემი კოლეგებისათვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც ბედისწერამ ჩემსავით ტყვეობაში სიცოცხლე არგუნა, მინდა მოვახსენო, რომ ყოველი უკეთური თემი, შესაძლოა, რეალური აზრის კერად იქცეს, რაც წიგნის პერსონაჟებს – თუკი სურვილისა და გამბედაობის გარდა შესაბამისი რეცეპტიც აღმოაჩნდათ – ისტორიის წინააღმდეგ ნებისმიერ დროს რაიმე ჭეშმარიტის (რეალურის) შექმნას შეაძლებინებს. თემის ჰაერი კეთილი ტუზებით განიმსჭვალება და მოქმედი (მთავარი / მეორეხარისხოვანი) პერსონაჟებიც მას მკაფიოდ დაინახავენ. როგორ

განახორციელებენ წიგნის პერსონაჟები რეალურ იდეებს, ანდა შეძლებენ თუ არა საერთოდ თემის დამხობას, სხვა საკითხია. წიგნის სამყაროს მოცემულ პერიოდში ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჭირს. საკუთარ თემში შეძენილი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ თემში წიგნის პერსონაჟთა რეალური აზრები (ტუზები) საბოლოოდ ვერაფერს გახდება, ხოლო ეფექტურობას მხოლოდ მაშინ შეიძენს, თუკი რეალური თავები მათ აღიქვამენ, სისხლსავსედ წარმოიდგენენ და შემდეგ კვლავ ჩართავენ თემში.

იერიში და კონტრიერიში

ახლა კი, კვლავ ახალ შატილში მომხდარ საინტერესო მოვლენებს მივუბრუნდები. როდესაც ჩვენ, ქალაქის უკანა ნაწილის ანტი და არათემატური მოსახლეობა, ჩვენი თემის ცენტრალური ბაზრობის მოედანზე შეგვყარეს, სადაც თხის მწყემსთა მეთვალყურეობის ქვეშ გრძელი და შფოთიანი დღეები უნდა გაგვეტარებინა, როგორც უკვე მოგახსენეთ, რეალურმა თავმა ქისტისმჭამელების რეალური ხელის ჩამორთმევის იდეით დასხივება დაიწყო და „ალუს Schisch-ში გამოცდის" სცენას, როგორც მას ჩვენ ვუწოდებთ – რეალური იდეებით ბომბავდა. ამ იერიშის შესახებ მოგვიანებით ალუსაგან შევიტყვე. დაწვრილებით შევეცდები, მისი მონაყოლი სიტყვა-სიტყვით გადმოგცეთ: ,,– ო, მუცალ! თითქოს ვიღაცამ ზევიდან საშინელი იერიში დაიწყოო. ჩვენთვის საძულველი შემზარავი თემი ერთი დიდებული წუთის განმავლობაში ირყეოდა. ტექსტი დაიბზარა და ნაპრალები გაუჩნდა, მთები კი ძლიერმა ბიძგმა შეძრა". ალუს მონაყოლი სულაც არ ეწინააღმდეგება ჩვენს მტკიცებას იმის შესახებ, რომ რეალური აზრი თემში უხმაუროდ ეცემა. პერსონაჟთა თავებში რეალური იდეები მართლაც უჩუმრად ეშვება, რომელსაც განსაკუთრებულად ანტითემატურად განწყობილი პერსონაჟები თითქმის ყოველთვის ავტომატურად აღნუსხავენ და, როგორც წიგნის ტერიტორიის კატასტროფას, ისე აღიქვამენ. ,, თავიდან ვერც კი მივხვდი, რა ხდებოდა. თემატურ საზოგადოებას სახეზე ეტყობოდა, რომ თემი კრიზისს მოეცვა. სახეჩამოძმარებულებს ფერი წასვლოდათ. ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოს თავიდან ტვინი ამოაცალესო. ირგვლივ დამთრგუნველი, სრულიად არათემატური სიჩუმე ჩამოწვა, რადგან მწყემსებს ჩემთვის Schisch-ის შესახებ დაწვრილებით უნდა გამოეკითხათ. შევამჩნიე, რომ მოხუცი უშიშა და თემის სხვა მაღალი ჩინოსნები მოუსვენრად ერთ ადგილს ტკეპნიდნენ, თითქოს ფეხებქვეშ ისტორიული (პოემის) მიწა ეწვითო.

უნებლიედ უფროსობის დაძაბულობა მოედნის ყოფილ ანტითემატურ ხასიათს დავუკავშირე, სადაც ჩვენ იმ წუთს ვიმყოფებოდით.

ვიფიქრე ფეხის გულები ხომ არ დაეჩხვლიტათ-მეთქი მდელოზე, სადაც ჩვენ, ახალშატილელები ასე ხშირად ვიკრიბებოდით და შენს თემატურ სიკვდილს დავტიროდით. სადაც შენ, მუცალ, მომიტინგეებს Schisch-ის წინააღმდეგ არაერთხელ ასე ოსტატურად და დაბეჯითებით მოუწოდებდი და ხელის ჩამორთმევის იდეით აღაფრთოვანებდი. თემის ცაზე უცნაურმა ზუზუნმა მიმახვედრა, რომ ისტორიის დამახინჯების მიზეზი ზევით, იმ რეალურ თავში უნდა ვეძებოთ, რომელიც ღრუბელთა საუფლოდან დაჰყურებდა ახალ შატილში ჩვენს თემატურ წარმოდგენას. ზევით ავიხედე და, ღმერთო ჩემო, მუცალ, რა დავინახე... რეალური თავის აზრები ფრთაშესხმული, მოგრძო ფორმის ტორპედოებივით მოჰქროდნენ ჩვენსკენ. ხელის ჩამორთმევის იდეა კი, როგორც ფეთქებადი შინაარსის არაჩვეულებრივად მეტყველი ემბლემა, თითოეულ მათგანს ისე მოჰქონდა. ყუმბარები უჩვეულო სისწრაფით გვიახლოვდებოდნენ. ამის დანახვაზე სცენაზე მყოფთ კინაღამ შიშისაგან გული გაუსკდათ. თემატური სიმტკიცისა და მთლიანობისგან აღარაფერი დარჩენილიყო. თემატური, შედარებით მეორეხარისხოვანი ქისტისმჭამლების მხარეს თავგზაარეული შიშის შეძახილები გაისმა. კარგად ისმოდა, რასაც ყვიროდნენ – „გუდანის ჯვარო"! ,წმინდა მერანო! – მგონი, რამდენიმე თავზეხელაღებული ქისტისმჭამელი საშველად წმინდა თეთრ მერანსაც უხმობდა. ეს კი ჩვენი ტერიტორიის თემატურ პერსონაჟებზე ანტითემატური კოზირების ფარულ გავლენაზე მეტყველებდა.

უნდა გამოგიტყდე, რომ ყუმბარების დანახვამ მეც შემაშინა. რეალური თავი თითქოს მართლა რეალურ ბომბებს ისროდა და დედაბუდიანად ამოწყვეტას გვიქადდა. ვიფიქრე, დინამიტის მუხტი ჰაერში აგვიტანდა და წიგნის სამყაროს მიწისაგან პირისა უკვალოდ აღგვგვიდა. გამახსენდა ის საშინელი ატომური აფეთქებები, რომელმაც რელური სამყარო სამჯერ შეძრა და მეოთხედ უკვე ჩვენც ნაცარტუტად (რეალური თავების გარეშე) გვაქცევდა. მუცალო! ვიფიქრე, რომ ყველა ქისტისმჭამელთა, შენი და ჩემი აღსასრულის წუთი მოახლოებულიყო. ჩემდა საბედნიეროდ და სანუგეშოდ, ბომბებზე ხელის ჩამორთმევის ნიშანს მოვკარი თვალი. წარმოიდგინე, გადარჩენის რა ნეტარი გრძნობა დამეუფლებოდა! მივხვდი, რომ ეს ბომბები რეალური თავის აზრთა არსენალიდან ჩვენს თემში მშვიდობის (ხელის ჩამორთმვის) დასამკვიდრებლად იყო მოვლენილი. როგორც კი ამას მივხვდი,

Schisch-იც გამიქრა. მე ხომ ხელის ჩამორთმევის პარტიის ყველაზე ძველი წევრი ვარ ჩვენს ისტორიაში შენს შემდეგ, მუცალ! ბომბებს

ამიტომ, ალბათ, არც მე დამიმიზნებდნენ და მისი ფეთქებადი მუხტი სცენაზე მყოფ სხვა დანარჩენ პერსონაჟებს უფრო უნდა მოხვედროდათ, იმათ, ვინც ჩემგან ხელის ჩამორთმევის ნაცვლად ასე ჯიუტად Schisch-ს მოითხოვდნენ. ვიფიქრე, რომ ეს მათი ბოლო წუთები იყო. ცოტაც და აფეთქების ძალა მათ ძვლებს წიგნის ტერიტორიის სხვადასხვა, ცად აზიდულ მთებზე მიმოფანტავდა, ხოლო Schisch-ს კი ჩვენი თემიდან სამუდამოდ განდევნიდა. წამით შიშმა ამიტანა. ვიფიქრე, ამდენი თემატური პერსონაჟი ჩემს ირგვლივ რომ აფეთქდეს, ვერც მე გადავრჩები და თემატურ ნარჩენ ნაყარნუყარებთან ერთად ისტორიიდან მეც მომისვრიან-მეთქი. შავბნელ ფიქრებში გართულმა დავინახე, როგორ ხვდებოდათ ქისტისმჭამლებს ბომბები თავში და Schisch-ით დადამბლავებულებს ისიც კი ვერ მოეფიქრებინათ, სადმე შეეფარებინათ თავი. ცხადად დავინახე, რომ თემის ერთგულ პერსონაჟთა სრული დაღუპვა სიმართლეს არ შეესაბამებოდა. რეალური აზრის ბომბებს არც ერთი ქისტისმჭამელთა თავი სასიკვდილოდ შუაზე არ გაუპია. აფეთქების ხმა არავის გაუგია. ბომბების ზვავი რომ ჩათავდა, დავინახე, რომ სცენა ოდნავადაც კი არ დაზიანებულიყო. ჩვენი თემატური შენობათა კომპლექსის ყველა იმიტაცია (ხომ გახსოვს: წარღვნამდელი უძველესი სახლების მწკრივი ხევსურული რატუშითა და წიგნის სამყაროს საპატიმროთი, რომელიც თხის მწყემსებმა შენი დაკრძალვის მოედანზე, ახალ შატილში, საგანგებოდ იმ თემატური წამოდგენისთვის დადგეს), ქისტისმჭამელთა გოგრათავების მსგავსად, უვნებლად გადარჩენილიყო. ჩემმა უპირველესმა, იმპულსურმა, მცდარ წარმოდგენებზე დამყარებულმა მოლოდინმაც გამიმართლა. მუცალ, ბომბები ნამდვილად აფეთქდა! მაგრამ ახლა რომ ვუფიქრდები, ის ქისტისმჭამელთა იდუმალ, ფარულ და უღრმეს ნაწილებში, კერძოდ კი მათი არაცნობიერის საწყობებში გაფანტულიყო, რომელიც თემატურ და (ანტითემატურ) აზრთა სამყოფელია, ქისტისმჭამლებისთვის კი მოჯადოებული და წყეული ადგილი, სადაც Schisch-ის არქეიდეებია ჩამწყვდეული. აზრის ბნელ სივრცეში მომხდარი ნგრევა იმ მიწისქვეშა ატომურ აფეთქებას ჰგავს, რომელსაც რეალური თავები დღემდე, დროდადრო, მეცნიერის სახელით, რეალური სამყაროს ყველაზე უდაბურ და მთიან მხარეში ატარებენ.

ისევე, როგორც პირველ შემთხვევაში, ზედაპირზე დიდი ხნის შემდეგ შეიძლება ამოხეთქოს რამემ, ასევე რამდენიმე წამი ქისტისმჭამელთა თავებსაც დარტყმის შემდეგ ვერაფერს შეამჩნევდით. ერთადერთი, სახეზე მკვდრისფერი დაედოთ. რადგან რეალურ აზრთა ბომბები თემატურ თავებზე უმცირეს ნახვრტსაც არ ტოვებდა, ამიტომ ადამიანი

ადვილად მოტყუვდბოდა და ბომბების ტალღას საკუთარი, ზედმეტად აღგზნებული ნერვების ფანტაზიას მიაწერდა. ალბათ, ამიტომაც ვერ აღვიქვით რეალობად აზრის ძლევამოსილი შეტევა ჩვენ ყველამ, თხის მწყემსებმაც და იმ თავზარდაცემულმა ქისტისმჭამლებმაც, რომლებიც სცენის კულისებიდან, ანდა საიდუმლო, გამაგრებული მიწურებიდან, თემის ცაზე რეალური თავის მოქმედებას თვალმოუშორებლად აკვირდებოდნენ. თვით მიწისქვეშა (არათემატურმა) ბიძგებმაც კი, რომელიც თავების დაბომბვას მაშინვე თან მოჰყვა, ამ მოვლენის გამანადგურებელი რეალობა ვერავის დაანახა.

ვერც ჩვენ და ვერც ჩვენს უფროსობას თემის სიღრმეებში მომხდარმა რეალური აზრის მეორე აფეთქებამაც ვერ დაანახა მოვლენის მასშტაბურობა. როცა ბომბების წვიმა შეწყდა, ვხედავდი, როგორ წაივლეს ხელი ქისტისმჭამლებმა ცხვირზე, ნიკაპზე და წვერებზე. ზოგი კი თავს აქეთ-იქით ატრიალებდა და ამოწმებდა, ნამდვილად შერჩენოდა თუ არა თავი მხრებზე. ზოგიც შუბლზე იდებდა ხელს და თავის ტკივილს ხმადაბლა უჩიოდა (ხმამაღლა წუწუნი არათემატური იქნებოდა). რეალური აზრის თქეშის შემდეგ, (თემატური) ჩარჩოებიდან პირველი მოხუცი უშიშა ამოვარდა. უეცრად სახეზე ხელები აიფარა, სახეაჭარხლებული სულს ძლივს ითქვამდა, საფეთქლებში ზუზუნს უჩიოდა, თან ქოშინებდა და ერთადერთ რამეს –„მაღალი წნევა“– ისე წამოიყვირებდა ხოლმე, რომ ყველას, როგორც „ხელის ჩამორთმევა“, ისე გვესმოდა. მსგავსი ანტითემატურობა უშიშას პირიდან ძალზე საეჭვოდ ჟღერდა და სცენის მიღმა თხის მწყემსების ყურადღებაც მაშინვე მიიქცია. უკიდურესად დაძაბული სცენური მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებოდით, ამ დავიდარაბას სრულიად გასაგებს ხდის. მუცალო, წარმოიდგინე! გამოცდის სცენის თემატური მონაწილენი 24 საათზე მეტხანს ვმართავდით წარმოდგენას და ერთი ნაბიჯითაც კი ვერ წავიწიეთ წინ. ეს სცენა ზედიზედ 80-ჯერ მაინც გავითამაშეთ, მაგრამ რეალური თავი მომდევნო წარმოდგენებისკენ მაინც არ გვითმობდა გზას. ახალი შატილის მიწაზეც შეგვეძლო მისთვის მთელი თემის, თითოეული სცენის ზედმიწევნით ზუსტად ჩვენება, რადგან თხის მწყემსებმა ამისთვის ყველა ტექნიკური პირობა შექმნეს. ხომ იცი, მთელი თავიანთი თემატური თეატრი ჩვენი ისტორიის წინა ნაწილიდან უკანა მხარეს გადაიტანეს და რეალურ თავს რომ მოენდომებინა, მთელ ამ ბალაგანს ბოლომდე ვუჩვენებდით. მაგრამ, სწორედ ეს არ უნდოდა! Schisch-ში გამოცდის სცენა თემატური ინტერესის გამო კი არ აიხირა, ანდა იმიტომ, რომ ეს სცენა აღაფრთოვანებდა. პირიქით: მისი მიზანში ამოღება უნდოდა, რომ შემდეგ რეალური იდეებით დაებომბა. ერთ ადგილზე (სცენაზე) დგომისაგან ქანცი გამოგველია და

ენას, თავსა და სხეულს ვეღარ ვიმორჩილებდით. ჩვენი სცენური სანახაობა ისედაც ანტი და არათემატურის ზღვარზე იდგა და აუტანელი პაპანაქებისა და რეალური თავისგან ჩამონათებული თვალისმომჭრელი შუქის გამო უახლეს ხანში თავისით ჩაიშლებოდა.

ის, რომ სცენაზე მდგარმა არათემატურმა პერსონაჟებმა საკუთარი თავის რწმენა დაკარგეს, არც არის გასაკვირი და რეალობიდან განხორციელებული თავდასხმის გარეშეც კარგად გასაგებია. როგორც ჩანს, თხის მწყემსებმა სპექტაკლის პირველი მარცხი წიგნის პერსონალის დაბნეულობას მიაწერეს და არა რეალური ბომბების სეტყვას. სუფლიორის ფარული ჯიხურიდან თხის მწყემსები უბედურ უშიშას, რომელიც „ხელის ჩამორთმევას" სულ უფრო და უფრო ხმამაღლა გაიძახოდა, აფიცებდნენ და ღვარძლიანი ხმით სიმტკიცისაკენ მოუწოდებდნენ. მეორე შემაძრწუნებელმა წუთმა სიტუაციას ნათელი მოფინა. ქვედა საწყობებში (თავებში) მომხდარმა ორმა ძლიერმა აფეთქებამ ბევრს თემატური ცნობიერების ზედა შრეები სერიოზულად დაუზიანა და ისინიც იმავე „ხელის ჩამორთმევას" – უნებლიედ, ხმამაღლა და სისტემატურად, ყოველ 5-10 წამში ერთხელ გაიძახოდნენ. შევამჩნიე, რომ მათმა უეცარმა ანტითემატურმა ყბედობამ ზოგი პერსონაჟი ბოლო თემატურ ნერვამდე დაძაბა. სასოწარკვეთილები კბილს კბილზე აჭერდნენ და კრიჭაშეკრულნი და მუშტმოღერებულები ანტითემატურობის შეწყვეტას ანიშნებდნენ. გაშმაგებული ფანატიკოსები ერთადერთ სიტყვას„ Schisch-ს" გაიძახოდნენ და ამით მათ პირში თემატურის და არათემატური ყვირილის ჩახშობას ცდილობდნენ. მათი მცდელობა ამაო აღმოჩნდა. რეალობის იდეა სულ უფრო და უფრო ხმამაღლა გაისმოდა. შემდეგ კი ამ იდეამ მუშტად შეკრული ხელები და მოკუმული პირი თემატურ პერსონაჟებს იძულებით გაუხსნა და იფეთქა. აფეთქების ხმის წმინდა აკუსტიკა მთელ თემში გაისმა. მათ კი შეშუპებული თვალები აქეთ-იქით დაუხტოდათ და სასოწარკვეთილებისგან წინწაგდებული კისრებით ისე უმწეოდ ლუღლუღებდნენ, თითქოს დანებებას აპირებენო. თხის მწყემსებს კი უარესი დაემართათ, რადგან თუ გულ-მუცელი აგერია და ყველაფერი ამოანთხიე, ბოლოს დამსახურებულ შვებასაც იგრძნობ. ვისაც რეალური აზრები მიზანში აუცდენლად ხვდებოდა, შემდეგ მათივე პირებიდან შეუჩერებლად მოედინებოდა. ყველა პერსონაჟი, რომელიც რეალური იერიშის მსხვერპლი გახდა, გონებაარეულს ჰგავდა – ყოველ შემთხვევაში, ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, ანდა, თუ გონება არ წართმეოდათ, ისეთი შეძრულები ჩანდნენ, რომ ვერაფერი ისტორიული მათზე ვეღარ დაშენდებოდა. თუ ობიექტურად განვსჯით, ბუნებრივია, მართლაც ძალიან უსიამოვნო იყო ის შოკი, რაშიც ქისტისმჭამლები ამ დაბომბვის

შემდეგ აღმოჩნდნენ. ისინი რეალურ აზრებს წინააღმდეგობას ვეღარ უწევდნენ და ისე ღრიალებდნენ, ფილტვები ებერებოდათ. იმ წუთას ახალ შატილში შენს საპატივცემულოდ გამართულ მასობრივ მიტინგზე გეგონებოდა თავი, მუცალ! – ქისტისმჭამელთა გაფითრებული სახეები და რეალური აზრების თემატურად სასოწარკვეთილი არტიკულაცია რომ არა (ანტითემატური აღფრთოვანების ნაცვლად). ბოლოს კი იგივე აზრი ხორხში გაეჭედათ და რკინის ვიწრო რგოლივით შემოეჭდოთ ყელზე. სცენაზე მყოფთ და, პირველ რიგში კი უშიშას სახე გაფითრებოდა და სულს ძლივს ითქვამდა. თემატურ პერსონაჟებს კისრები დაძაბოდათ და ნიჩაბივით ყბებს წინ წევდნენ, ცოტაოდენი ჰაერი რომ მაინც ჩაესუნთქათ. ჟანგბადის უკმარისობის გამო ყველა გალურჯდა, იკრუნჩხებოდა, ფეხებს იქნევდა, თითქოს იხრჩობიანო. ამაზე სასიამოვნო არასდროს არაფერი მინახავს, მუცალ! მეგონა, რომ ჩემს ირგვლივ ჩვენი ისტორიის მთელი თემატური ხელისუფლება გარდაუვალი სიკვდილისთვის იყო განწირული. თემში, ხევსურულ Schisch-ში, ჰაერი აღარ იყო. მუხლებაკანკალებულები ძირს დაემხნენ, გორავდნენ, ხრიალით სულს ღაფავდნენ და ნიშანწყალიც კი არავის ეტყობოდა იმისა, რომ ოდესმე ფეხზე წამოდგომას შეძლებდნენ. შემაშფოთებელი უჰაერობის მიუხედავად, ქისტისმჭამლები მაინც ახერხებდნენ„ხელის ჩამორთმევის" ხმამაღლა დაყვირებას. ზოგი მათგანი ამას გამყინავი ხმით გაიძახოდა და ჰაერის ნარჩენს მეღერი ფორმულირებისათვის ხარჯავდა.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, (ამ შთაბეჭდილებას ისიც ამტკიცებდა, რის წარმოთქმასაც გატანჯულები ქშენით ჯერ კიდევ ახერხებდნენ), თითქოს რეალურ თავს ეს პერსონაჟები ღრუბლებიდან უხილავ მკლავებში გამოემწყვდია და ხორხზე შეუბრალებლად უჭერდა თითებს. რეალური ხელის ჩამორთმევა ქისტისმჭამელებს სასუნთქი მილის გადაკეტვას უპირებდა. ცხადია, ახლა უკვე, სცენაზე მდგომი უშუალო მონაწილეებისა და თხის მწყემსებისთვისაც, რომლებიც აღელვებულები აქეთ-იქით დარბოდნენ, რეალური თავდასხმა მზესავით ნათელი გახდა – ამას, სრულიად აშკარა ხელის ჩამორთმევის გარდა, სცენაზე ჩემმა გამოჩენამაც შეუწყო ხელი. სცენის შუაგულში უვნებელი და აუღელვებელი ვიდექი, დანარჩენი სულთმობრძავი პერსონაჟები კი იატაკზე გორავდნენ. თავად მე ხელის ჩამორთმევის რეალური იდეის განსახიერება ვიყავი და რეალურ თავს ჩემს მიმართ (ჩემი პერსონაჟის მიმართ) გასაკრიტიკებლიც არაფერი ჰქონდა. ის გარემოება, რომ მე, ჩვენი სისხლიანი ხევსურული ისტორიის სხვა დანარჩენ პერსონაჟთა შორის, ხელის ჩამორთმევის ერთადერთი, თემატურად აღიარებული წარმომადგენელი ვიყავი და სცენაზე თმის ერთი ღერიც არ ჩამომვარ-

დნია, მწყემსებისთვის უკვე მნიშვნელოვან (საეჭვო) ფაქტად იქცა. სწორედ მაშინ, როდესაც მაღალი ბერდია სცენაზე მოჭრილი მუხასავით გრუხუნით დაენარცხა, ხოლო დანარჩენი ქისტისმჭამლები კი თვალებს შემზარავად ატრიალებდნენ და თემატურ სულს ღაფავდნენ, სუფლიორის ჯიხურში, ჩვენს წინ, თხის მწყემსთა განგაშის მაუწყებელი წითელი შუქი აინთო. შემდეგ კი წარმოდგენის გაგრძელების ბრძანებაც გასცეს. მწყემსები ცდილობდნენ, სცენაზე დატრიალებული აურზაური თემატური სიტყვით შეეჩერებინათ და თემის ჩარჩოებიდან ამოვარდნილ პერსონაჟთა არეულ თავებში წესდებით გათვალისწინებული ისტორიის მსვლელობა აღედგინათ. მესმოდა, როგორ უსწორებდნენ სუფლიორები თავიანთი ადგილებიდან ქისტისმჭამელებს სიტყვას და „ხელის ჩამორთმევის" ნაცვლად მის საწინააღმდეგო პაროლს, Schisch-ს" კარნახობდნენ თავიანთი ჯიხურიდან. სცენაზე მობარბაცე ფიგურებს ემუქრებოდნენ, თითს უქნევდნენ და ანიშნებდნენ, ხომ არ გაგიჟდითო. თხის მწყემსები თანდათან მიხვდნენ, ვინც იყო ანტითემატური ალიაქოთისა და პერსონაჟთა ასფიქსიის მიზეზი და სუფლიორის ჯიხურიდან უკმაყოფილო, რომ აღარაფერი ვთქვათ, ღვარძლიანი თვალებით შემომხედეს. ქალაქის მთელ უბანში ყურისწამღები განგაშის სიგნალი გაისმა და სცენის ორივე მხარეს აქამდე უხილავი სარქველებიდან მოგრძო ფორმის, ცისკენ ცხვირებმიმართული შიშისმომგვრელი რაკეტები გამოჩნდა. მაშინვე ვიცანი ბალისტიკური იარაღი, რომელიც თხის მწყემსებს საჩვენებლად ჯერ არც ერთ აღლუმზე არ გამოეტანათ. სადღაც მქონდა ყურმოკრული, რომ მწყემსები საიდუმლოდ მუშაობდნენ ასაფეთქებელი ნივთიერების შექმნაზე, რომელიც თვით რეალური წარმოსახვისა და იდეების აფეთქებას შეძლებდა. ამბობდნენ, ამ ტიპის რაკეტებს რეალური წარმოდგენების გარღვევა და რეალურ თავზე (რეალურ ტვინზე) იერიშის მიტანა შეუძლია, სადაც ის შემდეგ აფეთქდება კიდეცო. ბალისტიკური რაკეტები ჩვენს ტერიტორიაზე მწყემსების ბოლო და, შესაბამისად, მომაკვდინებელ მიღწევებს განასახიერებდა.

მუცალ! ძარღვებში სისხლი გამეყინა, მწყემსების ხელში რომ ეს იარაღი დავინახე. გულისკანკალით ვუსმენდი მწყემსების ხრინწიან ხმას, რომელიც მიკროფონში მერაკეტეებს ბრძანებას აძლევდა. თმები ყალყზე დამიდგა იმის გაფიქრებაზე, თუ რის გაბედვას აპირებდნენ. რეალური თავებისთვის რაკეტების დაშენა მწყემსების მხრიდან გაუგონარი მკრეხელობა იყო, თუკი თემატურად ასეთი რამ საერთოდ შეიძლება წარმოვიდგინოთ. მსგავსი გულისამრევი უზნეობა ღმერთის, ანუ ორივე (რეალური და წიგნის) სამყაროს შემოქმედის ხელყოფას

ნიშნავდა. წიგნის პერსონაჟების მიერ რეალური სამყაროს გამოწვევა ჩვენს თავზე საშინელ შურისძიებას მოასწავებდა, რადგან მკითხველის სამყაროს წიგნის ღირებულებას ონტოლოგიურად აღემატება (ღმერთმანი, ამის მიხვედრას დიდი ფილოსოფოსობა არ სჭირდება) და შეუდარებლად ძლევამოსილია, ვიდრე წიგნის პერსონაჟთა მთელი სამყარო. რა თქმა უნდა, წიგნის წინააღმდეგ ისინი სასამართლო პროცესს აღძრავდნენ, შემდეგ მას დაჭმუჭნიდნენ და თავიანთი წარმოდგენათა სფეროდან აღმოფხვრიდნენ. უკლებლივ ყველა პერსონაჟი მუდმივად ამგვარი შიშის ქვეშ ცხოვრობს. ცნებები „დაჭმუჭვნა" რეალური წარმოდგენებით იმავეს ნიშნავს, რასაც – „წარღვნა", „მეორედ მოსვლა", ანდა „ატომური სიკვდილი". ამიტომ ზლუქუნებდნენ ცოცხალ-მკვდარი ქისტისმჭამლები და შეშინებული, საბრალო ხმით პაროლს – „ხელის ჩამორთმევას " გაიძახოდნენ, რითაც მწყემსებს მოუწოდებდნენ, რაკეტები არ გაესროლათ და ცეცხლთან თამაში შეეწყვიტათ.

მახსოვს, მწყემსებს მეც ვუყვიროდი: შეჩერდით, რას სჩადით, ხომ არ გაგიჟდით – მეთქი, მაგრამ ვინ მისმენდა? უბედურება გარდაუვალი იყო. როგორც კი გავჩუმდი, რაკეტებმა სტარტი აიღეს და ცეცხლოვანი კუდებით ცისკენ, რეალობისაკენ გაქროლდნენ. მრისხანებისაგან თავს ვეღარ ვიმორჩილებდი და იმ წუთას რომელიმე მწყემსი რომ ჩამვარდნოდა ხელში, არაფერზე, Schisch-ზე და Doubleschisch-ზეც კი არ დავიხევდი უკან. დიახ, მაგ ტიპებს, სიამოვნებით გადავუგრეხდი ორივე ხელს და სიფათშიც გავულაწუნებდი. თავგზაარეულმა ლოცვა დავიწყე – ლოცვა ცამდე ყველაზე სწრაფ რაკეტაზე უსწრაფესად აღწევს – რეალურ თავს ვევედრებოდი, იმ ღრუბლებიდან, სადაც ის იმ წუთს იჯდა, სასწრაფოდ, ერთი სართულით ზემოთ სტრატოსფეროში გადაენაცვლა, რომ თემატურ რაკეტებს მისთვის ვერაფერი ევნოთ. ჩემს ლოცვას – თუკი რეალურ თავამდე ჩემი ხმა მიაღწევდა – მისთვის უნდა გაეგებინებინა, რომ ჩვენს ისტორიაშიც არსებობდნენ ისეთები, ვისაც რეალურად ფიქრი (ლოცვა) შეეძლო, და მიუხედავად მისი მტრულად განწყობილი თემატიკისა და Schisch-ისა, უკვალოდ გაქრობას, დახევასა და დალუქვას მაინც არ ვიმსახურებდით. მუცალო, ბევრი რომ არ გავაგრძელო, მოკლედ გეტყვი, რეალურმა თავმა ისე ადვილად მოიცილა რაკეტები, რომ ადგილიდანაც კი არ განძრეულა. ჩემი და გონებადახშული სხვა დანარჩენი პერსონაჟების მხრიდანაც რეალურ თავზე დარდი სისულელე იყო, რადგან ამ თავებს წიგნის სამყაროს ვერანაირი ძალაუფლება ვერაფერს ავნებს. ბალისტიკური რაკეტებით რომ რაიმე სერიოზულად დამართნოდა, რეალური თავი მართლა სულელი უნდა ყოფილიყო. ამ აზრამდე მე და სცენაზე მყოფი სხვა დანარჩენი პერსო-

ნაჟები მას შემდეგ მივედით (თუ კი მათ რაიმე ნათელი აზრი შეიძლებოდა კიდევ გასჩენოდათ), როდესაც დავინახეთ, თუ რა იოლად შეძლო რეალურმა თავმა, თხის მწყემსების ნასროლი ყველა რაკეტის ლიკვიდაცია.

მართალია, თავი ძალიან შორს, მაღლა, თემის ცას მიკვროდა, მაგრამ სინათლე, რომელსაც იგი გამოსცემდა, თემის მკრთალ დღის შუქს მაინც აძლიერებდა და ჩვენ ამ უჩვეულო მეტამორფოზას ნათლად ვხედავდით. მუცალ! რაც შემდეგ მოხდა, ყველაზე თამამ და იღბლიან თომინოს პარტიას შეიძლება შეადაროს კაცმა. შენი თომინოს ნაფოტი ყველაზე რეალურად ჩემს შეგნებამდე მაშინ დავიდა და ჩემს ფარულ თემელ თანამოაზრეებთან ერთად დიდად ვხარობდი. ეს იყო რეალურ ძალაუფლებასთან უაზრო ბრძოლაში მწყემსების პირველი აშკარა მარცხი, რომელსაც აქამდე ყველა შეუძლებლად მიიჩნევდა და რომელსაც ისინი ასე ფანატიკურად, რეალური თავების წარმოდგენებში ჩვენი გონებადახშული თემის შესანარჩუნებლად, ამავე თავების წინააღმდეგ აწარმოებდნენ. გული მწყდება, მუცალ, რომ იქ არ იყავი. ჰოდა, მისმინე. როდესაც რაკეტებმა რეალურ თავთან, ასე 10-15 მეტრის მანძილზე მიაღწიეს, მტრედებად გადაიქცნენ. დიახ, მტრედების თეთრი გუნდი (მწყემსებმა სულ მცირე, ერთი ათეული რაკეტა გაისროლეს) რეალური თავის გარშემო დაფარფატებდა, უჩვეულო სიმაღლეს მიუჩვეველი, სწრაფად დაიღალა და ღრუბელზე (რეალური თავის მხრებზე) ჩამოჯდა. ასე რომ, მწყემსებმა რეალური თავისგან, თითოეული რაკეტის, თითოეული მოგრძო ფორმის ძლიერ ფეთქებადი Schisch-ის სანაცვლოდ შენი თამაშის გეგმიდან, ცოცხალი (რეალური) ნაფოტი მიიღეს. მტრედების საავიაციო ესკადრა, ალბათ, რეალური თავის მითითებით, ღრუბლებიდან ქვემოთ დაეშვა და პირდაპირ შუაგულ თემში შემოფრინდა. თითოეულ ასეთ ფრინველს, როგორც ამბობდნენ, ბრჭყალებს შორის რეალური აზრის ფეთქებადი ყუმბარა„ხელის ჩამორთმევა" ედო და რეალური მოიერიშე თვითმფრინავის მსგავსად, ჩვენი თემის სხვადასხვა კუთხეების დაბომბვა დაბალი სიმაღლიდანაც აუცდენლად შეეძლო.

ცხადია, მწყემსებს რეალური თავის წინააღმდეგ დანარჩენი რაკეტები აღარ გაუსვრიათ, თემში რეალური მშვიდობის მტრედების რიცხვი რომ არ გაზრდილიყო. სამაგიეროდ, ასეთ სიმაღლეზე მწყემსების საჰაერო თავდაცვა ძალზე ეფექტური გამოდგა. რეალობამ კიდევ ერთხელ გამოგვიგზავნა ბომბების მცირე წვიმა და ისედაც თავგზაარეული ქისტისმჭამლებისათვის ბოლოს მოღებასა და მათ თავებში ხელის მომკვეთი და ყელისგამომჭრელი Schisch-ის ამ თავებიანად აფეთქებას აპირებდა. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ რეალური თავი თავის

მიზანს სულ იოლად მიაღწევდა, რადგან წიგნის სამყაროს ამ ისტორიულ წუთს დახრჩობის პირას მყოფ ქისტისმჭამლებს, რომლებიც სცენაზე ჩემს გარშემო ხრიალით გორავდნენ, ბევრიც აღარაფერი აკლდათ. მაგრამ, რეალობის იდეები მათ ყურამდე ვეღარ აღწევდა. მუცალ! წარმოიდგინე ჩემი შეცბუნება, რეალური აზრის კორიანტელს მტვრისა და ნამსხვრევების ღრუბლად ქცეულს რომ დავინახავდი, ანდა როგორ გამაღიზიანებდა ამ წარმატებით გამოწვეული მათი მხიარულება და როგორ შემაშფოთებდა იმის დანახვა, როგორ ეძებდნენ პროჟექტორებით ღამის სიბნელეში მოსაკლავად რეალურ მტრედებს. საბედნიეროდ, ღამემ ფინველები უკვალოდ შთანთქა, მაგრამ მათი ბედი მოსვენებას მაინც არ მაძლევდა. ჰო, მუცალ! ახალ შატილში რეალობასთან დაკავშირებულ ჩემს უჩვეულო განცდებს ესეც ამტკიცებს: ძლიერი Schisch-ით გაჟღენთილ თემში განსაზღვრულ, შედარებით მცირე დისტანციის საზღვრებში რეალური აზრის ყუმბარები Schisch-მა შეიძლება გაგლიჯოს, დააქუცმაცოს, წვრილ-წვრილ ნამსხვრევებად აქციოს და რალური თავი კი ვეღარაფერს გახდეს.

აშკარაა, რომ თვით უზენაესი რეალურ წარმოდგენათა ძალაც კი არ კმარა ჩვენს ისტორიაში ანტითემატური გარდაქმნების განსახორციელებლად, რაშიც მე ახალ შატილში ჩვენს სცენზე რეალური იერიშის დროს უშუალოდ დავრწმუნდი. თუკი მანამდე, რამდენიმე წუთით ადრე, რეალური თავი მის წინააღმდეგ წარმატებით იბრძოდა, ახლა უკვე იგი ცდილობდა, თავისი აზრებისთვის ეს რაკეტები აეცილებინა.

რაკეტების კორპუსზე მეტამორფოზას დიდი გავლენა არ მოუხდენია. მარჯვნივ და მარცხნივ (ზოგს კი მხოლოდ ცალ მხარეს) მტრედის პატარა, თეთრი ფრთები გამოესხა, მაგრამ მისი სასოწარკვეთილი ფარფატი ამ ჯოჯოხეთური მანქანის შეცვლას ვეღარ ახერხებდა და ვეღარც კურსს აცვლევინებდა. რეალური თავი ამ წარუმატებლობას მაშინვე მიხვდა, უკმაყოფილო სახე მიიღო (თუკი თემის ცაზე ამტყდარი საშინელი ჭექა-ქუხილი მისი უკმაყოფილების ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ) და თავის ენაზე ჩვენი Schisch-ის მისამართით ერთი მაგრად შეიკურთხა. შემდეგ კი, სულ ზევით და ზევით, სტრატოსფეროსკენ გადაინაცვლა და თვალს მიეფარა. სცენიდან მისი გაქრობის შემდეგ, რამდენიმე წუთის განმავლობაში უცნაური, ლორწოვანი სეტყვა წამოვიდა და სცენაზე დაყრილები (ჩემი გამოკლებით) ერთიანად დაფარა და დასვარა. ჩემი ვარაუდით ეს რეალური თავის ფურთხი უნდა ყოფილიყო – ჩვენს ისტორიაში Schisch-ის წინააღმდეგ მისი უსაზღვრო და მრისხანე სიძულვილის გამოხატულება. შემდგომი მოვლენები, კერძოდ კი, როგორ გააქროლეს დაჭრილი ქისტისმჭამლები მანქანებით საავადმყოფოში,

სადაც აბსოლუტურად მთავარ და შედარებით მნიშვნელოვან მეორე-ხარისხოვან პერსონაჟებს თემატური სიცოცხლე დიდი გაჭირვებით შეუნარჩუნეს (როგორც ჩანს, ამ ადამიანებზე გაცემული რეალური აზრისა და, შესაბამისად, ხელის ჩამორთმევის დოზა, მათი სრული განადგურებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა და საავადმყოფოში კარგი მოვლის წყალობით თანდათანობით Schisch-იც ფეხზე დადგა და თავად პერსონაჟებმაც სული მოითქვეს). მაგრამ რა საცოდავად იხოცებოდნენ ქისტისმჭამელთა ხროვის ნაკლებად მნიშვნელოვანი წარმომადგენლები, რომლებიც მწყემსებს ახალი პერსონაჟებით აღარ შეუცვლიათ. ამაზე ჩვენში ყველა ლაპარაკობდა და ამის შესახებ, ალბათ, შენც, მუცალ, და სხვა დანარჩენ ჩვენს მეგობრებსაც უკვე გსმენიათ.

სიზმრის გზები

თემი თემატიკის გარეშე

ჩემი, როგორც წიგნის პერსონაჟის ავტობიოგრაფიის დაშიფრულ სიტყვებს: „თემი", „სიკვდილი", „თომინო", მეოთხე და ასევე მნიშვნელოვანი სიტყვა მინდა დავუმატო. ეს სიტყვა იმავე თანხმოვნით იწყება. თავისთავად ეს ფაქტი სრულ შემთხვევითობას ეყრდნობა და არა რაიმე არსებითს, რომელიც ჩემს დაშიფრულ სიტყვათა რიგსა და მათ აზრთა ძირეულ მსგავსებას სიმბოლურად უსვამს ხაზს. ეს არის სრულიად ჩვეულებრივი სიტყვა „სიზმარი". რომელ რეალურ პირს ანდა წიგნის პერსონაჟს არ უნახავს სიზმარი, რომელსაც ჩემი უსიცოცხლო ისტორიისა და მისი თეორიული აღწერისათვის (ყველა ანტი – ასევე უბრალოდ არათემატურ მოვლენათა ანალიზისთვის ჩვენი ისტორიის ტერიტორიაზე) გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამ თვალსაზრისით, სიზმარი ყველა ჩვენთაგანისთვის მოგვიანებით გამოაშკარავდა. ჩვენი ისტორიის კულისებში რეალური თავის სენსაციური შემოჭრისა და ახალ შატილზე მისი რეალური აზრის იერიშის შემდეგ, ორმა ათეულმა წელმა განვლო და ჩვენს სიზმრებს თემატური რღვევის პირველი ნიშნებიც დაეტყო. ამ თვალსაზრისით სიტყვა „სიზმრის" ჩემი დაშიფრულ სიტყვათა რიგისთვის მიკუთვნება და მის კეთილ ისტორიულ ტუზად მიჩნევა სრულიად გაუმართლებელია, რადგან რეალურთა შორის ურეალურესი (ვგულისხმობ ზეცაში თავად ღმერთს) ახლა უკვე მწყემსებს უპირისპირდება. სანამ გავაგრძელებდე, იმ სავარაუდო საწინააღმდეგო აზრის საპასუხოდ, რომელსაც ამ რაოდენობის დაშიფრული სიტყვები წარმოშობს, მინდა დაგარწმუნოთ: საზოგადოდ, დაშიფრული ტექსტი კარგი რეპუტაციით არ სარგებლობს (ჩემის მხრივ, ამ მოსაზრებას სრულიად ვეთანხმები). როგორც წესი, მკითხველის თავების უმრავლესობა ისეთ ისტორიას ამჯობინებს, რომლის ძირისძირობამდე გაგებას თავისუფლად და თავის შეუწუხებლად ახერხებს. მათ მხოლოდ სასიამოვნო თემები სჭირდებათ, ყველაზე მეტად კი ისეთი, რომელსაც რეალური კლუბის სავარძელში მოხერხებულად მოკალათებულები რეალურ ყავასთან, ან მაგარ სიგარასთან ყოველგვარი თავისმტვრევის გარეშე წაიკითხავენ. სიამოვნებისაკენ მათი ლტოლვა თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა გაითვალისწინოს, თუკი ჩემსავით ამ თავებისათვის რაიმე სასიცოცხლოდ (წასაკითხად) მნიშვნელოვანის განსახილველად წარდგენა და მისთვის საკუთარი

უბადრუკი თემის სტრუქტურის განმარტება სურს. მწარე გამოცდილება მალაპარაკებს: რეალურ სამყაროში ყველა ჩემმა დაშიფრულმა სიტყვამ ვერ ჰპოვა სათანადო გამოხმაურება. დიდი დაბნეულობა გამოიწვია სიტყვამ ,თემი", რომელსაც ერთის მხრივ, ,,ისტორიის ტერიტორიის'' მნიშვნელობა აქვს, ხოლო მეორეს მხრივ კი ,,ისტორიის თემატიკისა". მრავალი რეალური თავი ამ ორი ცნების იდენტიფიკაციას თავს არიდებს და მიზეზად იმას ასახელებს, რომ თავისთავად თემი თემატიკის გარეშეც შეიძლება არსებობდეს და პირიქით, თემა – თემის გარეშე. პირველი შემთხვევის დასამტკიცებელ საბუთად უახლესი, თანამედროვე ქისტური თემები (წიგნის უბნები) მოჰყავთ, რომლებიც (როგორც თვითონ ამბობენ) დიდ, მოხერხებულ, მაგრამ ამავე დროს, სრულიად უშინაარსო (უთემო) ისტორიულ ტერიტორიას წარმოადგენს. მეორე შემთხვევის სამხილად კი – რომელიღაც რეალურ მსოფლმხედველობას იმოწმებენ, ანუ გარკვეულ კომპლექსურ თემებს, რომლებიც რეალურ უბნებში მხოლოდ აბსტრაქტულად, ყოველგვარი მყარი ნიადაგის გარეშე არსებობს, რადგან ეს ადგილი ან უკვე დაუკარგავთ, ან ჯერაც არ მოუპოვებიათ.

ამ საინტერესო საპირისპირო მოსაზრებას მკითხველის თავების რეალური თვალთახედვა უდევს საფუძვლად. ისინი, პირველ რიგში, ზემოდან ქვემოთ, ჩვენი წიგნის უბნებისკენ მიმართული ამ თავების მზერას ასახავს. რეალური დაკვირვებანი, მიუხედავად მათი ყოვლის-მომცველი მზერისა, თავისთავად მაინც ცალმხრივია. ფრინველის პერსპექტივიდან ისტორიას ვერ განსჯი, ვერც იმას გაიგებ, წიგნის უბნებში სინამდვილეში რა ხდება. ამისთვის საჭიროა წიგნის პერსონაჟულად, ანუ შინაგანად განიცადოთ ის, რაც ყოველ მეორე პერსონაჟს წვავს და დაგავს. თემისა და თემატიკის იდენტურობაზე, ანუ იმაზე, თუ როგორ ვლინდება ის თემატურ პერსონაჟებში, სამწუხაროდ, ჭეშმარიტად მხოლოდ მაშინ აეხილება კაცს თვალი. მეორეს მხრივ, ისიც გასაგები ხდება, რას ნიშნავს თემში ანტი, ან არათემატურობა. თემისა და თემატიკის იდენტურობაზე ჩემი თეზისის საწინააღმდეგო არგუმენტად, ქისტური წიგნის უბნების უთემობაზე რეალური მითითება სრულიად უსაფუძვლოა, რადგან უთემობაც თემატურია და თემის თემატიკადაც სწორედ ეს შეიძლება იქცეს (ისევე როგორც ეს ისტორიულად თავისუფალი ქისტური წიგნის უბნებში მოხდა).

თემა თემატიკის გარეშე! ჩვენი ისტორიის ტერიტორიაზე დღეს ეს საკითხი ფართო განხილვის საგნად იქცა. მწყემსებმა რომ არ გაგვიგონ, ამის შესახებ ერთმანეთს ჩურჩულით ველაპარაკებით და ჩვენი სევდიანი ფიქრები ჩვენი ისტორიის საზღვრებს მიღმა ქისტთა თავისუფალ

თემატურ თემებს სწვდება. ბევრი ჩვენთაგანი მსგავსი თავისუფალი თემების არსებობას არც დაიჯერებდა, ქისტებსა და ხევსურებს შორის კულტურული გაცვლის შედეგად წიგნის სამყაროს თავისუფალი (უთემო) სინამდვილიდან ჩამოსულ ქისტთა საუკეთესო წარმომადგენლებთან (და არა მარტო სპორტსმენებთან) პირადი კონტაქტები რომ არა. ამგვარი კონტაქტების დამყარება ისეთი თავისუფლად მოაზროვნე (ანტი და არათემატური) პერსონაჟებისათვის, როგორებიც მე და ალუდა გახლდით, ცხადია, ადვილი არ ყოფილა. საუკეთესო ქისტი სტუმრები, ფილოსოფოსები, მეცნიერები, მსახიობები, მწერლები და სხვა დანარჩენნი ახალ შატილში ოფიციალურად არ დაიშვებიან. მათ მხოლოდ ჩვენი ისტორიის ტერიტორიის კლასიკურ, ძველ, წინა ნაწილებში ჩამოსვლის უფლება ეძლევათ და თემატურ წარმოდგენასაც თემის ცაზე რეალური მკითხველის თავთან ერთად, სპეციალურ ლოჟებში ესწრებიან. ახალ შატილში მხოლოდ სპორტსმენები, ე.ი. ათლეტები, სიგრძეზე მხტომელები, მოცურავეები, მოციგურავეები ანუ შეზღუდული თვალსაწიერის ადამიანები ჩამოდიან. ისინი, ვინც თავიანთი სამშობლოს თავისუფალ მდგომარეობაზე არსებითს ვერაფერს გვიყვებიან. საინტერესოა, თუ თხის მწყემსებს საკუთარი თემის შიგნით უთემობის შიში არა აქვთ, რატომღა უკეტავენ ჩვენი ანტი და არათემატური ახალი შატილის გზას ყველა საუკეთესო ქისტ სტუმარს? განათლებული ქისტი ტურისტებისადმი სიფრთხილეს მათ სწორედ უთემობის წინაშე შიში აიძულებთ, რომელიც, შესაძლოა, მათი საკუთარი წიგნის უბნის თემად ნებისმიერ დროს იქცეს. ქისტური წიგნის ტერიტორიის წარმომადგენლებთან საიდუმლო საუბრის დროს ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ წიგნის პერსონაჟები თავიანთი თემისაგან სრულიად არათემატურ (უთემო) პერსონაჟებად შეიძლება იქცნენ. ეს საუბრები მიხვეულ-მოხვეული გზებით შედგა. ერთხელ, ახალ შატილში ჩამოსულ ქისტ მოციგურავეთა დელეგაციას საუნივერსიტეტო განათლების მქონე ადამიანებიც ახლდნენ. სხვა დროს კი თავად სპორტსმენები აღმოჩნდნენ გონიერი ადამიანები, რომლებთანაც წიგნის უბნის პოლიტიკასა და აბსტრაქტულ საგნებზე საინტერესოდ ვისაუბრეთ. მწყემსებისგან უჩუმრად ჩვენი თემის ცენტრში, ძველ კლასიკურ შატილში, ქისტ ფილოსოფოსებთან დიალოგიც გავმართე. ეს ჩემთვის ძნელი არ არის, რადგან წარმოშობით ქისტი ვარ და ქისტურად ყველაზე უკეთ ვლაპარაკობ. ამიტომ მწყემსები ოფიციალურ მიღებებზე თარჯიმნადაც მიწვევენ და თუ ენას ჩემსავით სრულყოფილად ფლობ, მსგავს და სხვა შემთხვევებში ქისტ წიგნის პერსონაჟებთან უხილავი აზრობრივი ხიდის გადებას ყოველთვის შეძლებს კაცი. დიახ, საუკეთესო ქისტებთან

დისკუსიასაც ვახერხებთ, თუ მაგ; ბანკეტის დროს ქისტები ტუალეტში გავიდნენ, ჩვენც თან მივყვებით და იქვე ბლიცსაუბრებს ვმართავთ. თანაც აზრი მოკლედ უნდა ჩამოვაყალიბოთ, რადგან მწყემსებმა თუ იეჭვეს, შესამოწმებლად გამოგვყვებიან.

თემისა და თემატიკის პრინციპული, ისტორიული ერთიანობის შესახებ საუბრებმა, ჩემი ვარაუდის ჭეშმარიტება ცხადყო. ამით მტკიცდება, რომ ნებისმიერი თემატიკისგან აბსოლუტური თავისუფლება წიგნის პერსონაჟს არათემატურს კი არ ხდის, არამედ, პირიქით, მას ენით აუწერელ, განუზომლად მდიდარ ისტორიულ შინაარსს ანიჭებს, რომლის წარმოდგენასაც თემატიკურ თემებში გამომწყვდეული ვერც ერთი იმ პერსონაჟთაგანი ვერ შეძლებდა, ვინც ყველა თვალსაზრისით ამაზრზენ და წესდებით გათვალისწინებულ ცხოვრებას მისდევს. ჩვენი ისტორიის ტერიტორიას არც ერთი მაღალი ცნობიერების წიგნის პერსონაჟი არასდროს სწვევია. (ამაში ჩემი თანამოაზრე თემელი კოლეგებიც მეთანხმებიან). საკუთარ თემას შეზრდილ პერსონაჟს ეს თემა მუდამ ახსოვს და ენაზე ადგას. თავიანთ თემებში თემატური თავისუფლების შესახებ ჩვენი ქისტი სტუმრები განსაცვიფრებელ ცოდნას ავლენენ (იგულისხმება ამ თავისუფლების გამოვლინების მრავალფეროვანი ფორმები, საიმედო კანონები, რომელიც მომავალ ქისტ თაობათა არსებობას უზრუნველყოფს). საკმარისია, ერთხელ გეთხოვათ და ისინიც მაშინვე მოყოლას იწყებდნენ. ყველა თემატიკისაგან აბსოლუტური თავისუფლება მათთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამ თემას არასდროს ივიწყებენ და მის გასახსენებლადაც არანაირ ხელოვნურ დამხმარე საშუალებას არ საჭიროებენ (თემატური ტყავის ნაჭრები, ბარათები, ხის ნაფოტები და ჩვენი თომინოს მსგავსი თემატური თამაშები). სრული დამაჯერებლობით გეტყვით, რომ მთელი წიგნის სამყაროში ყველაზე თემატურ პერსონაჟებს სწორედ ისინი წარმოადგენენ, ვინც, რეალური თავების განსაზღვრების თანახმად, უთემო პერსონაჟები არიან. ის პერსონაჟები კი, რომლებიც ერთ კონკრეტულ თემას ემორჩილებიან (პირველ რიგში მხედველობაში მყავს თემატური თემის ხევსური პერსონაჟები) წიგნის პერსონაჟული თვალსაზრისით ყველაზე თემატურნი არიან. საკუთარ თემატიკასთან მათ სრული, ან ნაწილობრივი გაუცხოება უჩნდებათ. თემატიკისგან საკუთარი ისტორიის წინააღმდეგ გაუცხოებას წიგნის პერსონაჟთა ცნობიერ, ანტი და არათემატურ შეხედულებას ვუწოდებ, როგორც ეს ალუს და ახალშატილელთა უმრავლესობას ახასიათებთ. მსგავსი გაუცხოება (საკუთარ თემატიკასთან, მაგ. მკაცრად განსაზღვრულ Schisch-თან) თემატურ პერსონაჟებშიც შეიმჩნევა; საკუთარი თემატიკის (Schisch-ის)

მოტივირება, თავად მათ, აღარ შეუძლიათ (მრავალჯერ მომცემია შესაძლებლობა მათთან ფრთხილი საუბრებით ჩემს მოსაზრებაში დავრწმუნებულიყავი). ძალზე იოლი იქნებოდა ამ პერსონაჟთათვის იმის დამტკიცება, თუ რამდენად უმნიშვნელოა მათთვის საკუთარი თემა, თემის ღალატის ბრალდებით მათგანვე დაპატიმრების შიში რომ არ გვქონოდა. თუ ამ საკითხს განვაზოგადებთ, შეიძლება ითქვას, რომ დროთა განმავლობაში ყველაზე მშვენიერი და საუცხოო თემაც კი წიგნის პერსონაჟს ტვირთად აწვება. შინაგანად იგი ამ თემას სულ უფრო და უფრო სცილდება, თუმცა ამ პროცესს მოგვიანებით, ანდა საერთოდ ვერ აღიქვამს. სინამდვილეში თემატური წიგნის პერსონაჟი არათემატური, ანუ საკუთარ ისტორიასთან გაუცხოებული პირია.

გაუცხოების პროცესი წიგნის პერსონაჟებს შორის მძაფრ და საშინელ დაპირისპირებას იწვევს. (ჩვენს ხევსურულ თემში, მაგალითად, ამის უტყუარი ნიშნები უკვე არსებობს). ერთ მხარეს ისინი დგანან, ვინც საკუთარ თემასა და, შესაბამისად, თემს ნებაყოფლობით უპირისპირდება. ჩვენი წიგნის ისტორიაში ესენი არიან ალუ, მე და ყველა ახალშატილელი. მეორე მხარეს კი ის პერსონაჟები განეკუთვნებიან, ვინც საკუთარ თემას, ყოველგვარი გონიერების გარეშე, მორჩილად მისდევს და ცხოვრების მოწყობასა და საკუთარი თავის ჩამოყალიბებასაც მათი მითითებებით ცდილობს. უშიშას, ბერდიასა და ქისტისმჭამელთა პარტიის ყველა წევრის სახით სწორედ ასეთ პერსონაჟებს შეხვდებით. ეს არის ის სევდიანი დასასრული, რომლისკენაც ჩვენ ყველა მივდივართ, კერძოდ – თემატური თემი თემატური პერსონაჟების გარეშე, აბსოლუტურად ცარიელი ისტორია, ან ყრუ მარიონეტები, რომელიც, საკუთარი ინიციატივით, შინაგანი აუცილებლობით მოქმედ გონიერ და კომპეტენტურ პერსონაჟებს არის მოკლებული და სადაც თვით თემატური ხარახურაც კი ინსცენირებულია. ნურავინ იფიქრებს, რომ ყოველგვარი თემატიკისაგან თავისუფლება (აბსოლუტური უთემობა) ქისტ პერსონაჟებს საკუთარ თემასთან რაიმე პრინციპულ დაპირისპირებას უქმნიდეს, ანდა საკუთარი ტერიტორიისადმი ნაკლებ ერთგულებას იჩენდნენ და ამიტომ ეს ტერიტორიები უფრო ღარიბულად იყოს მოწყობილი, ვიდრე ჩვეულებრივი თემის შემცველი (ხევსურული) თემია. პირიქით, ვინაიდან ქისტურ თემებს წიგნის სამყაროს საუკეთესო თემატიკა, ანუ აბსოლუტური (ყოველგვარი თემატიკისაგან) თავისუფლება გააჩნიათ, ამიტომ ისინი მათი მოსახლეობისათვის ყველაზე სანუკვარიცაა.

ოფიციალური, საიდუმლო (ტუალეტებში) თუ გულწრფელი საუბრების დროს, ისინი ხაზს უსვამდნენ, თუ რა სისხლხორცეულად იყვნენ შეზრდილები საკუთარი ისტორიის ტერიტორიასთან. თუ ქისტი

სტუმრების ჩვენთან ყოფნა რაიმე ფორმალური მიზეზის გამო გაჭიანურდა (მწყემსების მიერ ვიზების გაუცემლობა), მათ მოუსვენრობა იპყრობთ და საკუთარი თემების ნოსტალგია კლავთ. ქისტი სტუმრების ნოსტალგია ჩვენთვის, წიგნის სამყაროს მოსახლეობისთვის, მათი ისტორიული სიკეთის კიდევ ერთი ახალი, დამატებითი დამამტკიცებელი საბუთი გახლდათ. მსგავსი შეგრძნება ჩვენში დიდი ხანია, გამქრალიყო. საკუთარი ისტორიის ტერიტორიასთან ჩვენი დამოკიდებულება ძალზე ნეგატიურია. არაფერი ისე საზიზღრად და აუტანლად არ გვეჩვენება, ვიდრე საკუთარი თემია, სადაც საძულველი თემა, აბსოლუტიზირებული და თავს მოხვეული Schisch, წიგნის პერსონაჟთა ცხოვრებას სრულ არარაობად და დიდი ხნის გაუცხოებულ, უბადრუკ როლად აქცევს. ვერც ერთი გონიერი პერსონაჟი მსგავს თემს სამშობლოდ ვერასდროს მიიჩნევს. პირიქით, იგი მუდამ იმ დღეზე ოცნებობს, რომელიც მას ამ ისტორიის ტერიტორიიდან როგორმე გაათავისუფლებს. თემის სიყვარულისა და ნოსტალგიისთვის აქ უბრალოდ არანაირი პირობა არ არსებობს.

თუ ქისტი პერსონაჟები კარგ ხასიათზე არიან, ან, დავუშვათ, მეგობრულ წვეულებებზე შეზარხოშდნენ, მაშინ ისე იქცევიან, როგორც ჩვენ მსგავს მდგომარეობაში არასდროს მოვიქცეოდით. ერთმანეთს ჭიქებს უჭახუნებენ, თავისუფალი ისტორიის სადღეგრძელოებს სვამენ და ხელიხელჩაკიდებულები, რიტმული რწევით, თავიანთი თემის ჰიმნს მღერიან. მსგავსი საქციელის მიზეზი შეიძლება, ქისტი პერსონაჟების თემატურ უცხოეთში, სრულიად განსხვავებულ ისტორიის ტერიტორიაზე ყოფნაც იყო. ამ დროს მათთვის თემებს შორის არსებული ისტორიული სხვაობა უფრო ნათელი ხდება, რაც მათ ღირსების გრძნობას მატებთ, და პატრიოტიზმიც უძლიერდებათ. ქისტ პერსონაჟებს ჩემთვის უამბიათ (მათი ნათქვამის სისწორე ეჭვს არ ბადებს), რომ თავიანთი ქვეყნის ჰიმნს ისინი არამარტო დღესასწაულებზე, აღლუმებზე, ოფიციალური მიმართვებისა და დემონსტრაციების დროს მღერიან, არამედ – ვიწრო ოჯახურ წრეშიც. უღრმესი თემატური მადლიერებითა და კმაყოფილებით აღსავსე ყოველი ქისტი დღეში ერთხელ მაინც ასრულებს ამ მშვენიერ მელოდიას. ეს მელოდია მართლაც ღრმად შთამბეჭდავია და მისი ჯაზური იმპროვიზაციები ხმის გამაძლიერებლებიდან განსაკუთრებულად ჟღერს. ასეთი რამ, ჩვენთან წარმოუდგენელია. ჰიმნი შემდეგი სიტყვებით იწყება: "God save our gracious theme" ხევსურულ თარგმანში ეს ქისტური სიტყვები შემდეგნაირად ჟღერს: უფალო (იგულისხმება უზენაესი, რეალური, შესაბამისად, მკითხველის თავი) ადიდე ჩვენი კურთხეული თემი. ჩვენი ჰიმნიც იმავე აზრს სხვა სიტყვებით გამოხატავს, მაგრამ –

სწორედ ეს არის არსებითი პუნქტი – მას, ჩვენი ტერიტორიის არც ერთი ნორმალური (ანტი და არა - თემატური) ადამიანი, თავისი ნებით, თემის სადიდებლად ერთხელაც არ წაიმღერებს.

არაოფიციალურად აღიარებული და საყოველთაოდ წყეული ისტორიული იმედგაცრუება დღეს ყველას ტვირთად აწევს, თუმცა ოფიციალურად ამაზე ხმას არავინ იღებს. ამიტომაც, ყველა ის ლექსი თუ სიმღერა, რომელსაც, იძულების წესით, დღესასწაულებზე თემს სადიდებლად ვუძღვნით, ჩვენი საზეიმო განწყობილებისა და თემური ბედნიერების გამოხატულება კი არა, პირიქით, იმის სევდიანი მაგალითია, თუ როგორ შეიძლება დააბა წიგნის პერსონაჟები შიშველი, ვერაგული ძალადობით, ისტორიულად ჩამორჩენილ და დღევანდელი წიგნის სამყაროსთვის სრულიად არათანადროულ თემებში. ჩვენი ისტორიის ტერიტორიაზე თემთან გულწრფელი, პოზიტიური დამოკიდებულების შემაშფოთებელი ატროფია ისტორიაში ჩვენი თემის პრინციპულ და გამოუსწორებელ მანკიერებასთან არის პირდაპირ კავშირში და ჩვენი უბედურების ძირითადი მიზეზიც სწორედ ეგ გახლავთ. ჩვენი უმშვენიერესი თემის წალკოტის შემყურე ქისტ სტუმრებს არაერთხელ უთქვამთ ქალაქში ექსკურსიის დროს: „თავისთავად, თქვენი თემი არაჩვეულებრივია. თუმცა ჩვენც გვაქვს მომაჯადოებელი ადგილები, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ჩვენი ისტორიის ტერიტორია ასეთი მშვენიერი მაინც არ არის. ერთადერთი, რაც აქ ატმოსფეროს გიფუჭებთ, თქვენი უბედური თემაა. მოიცილეთ ის თავიდან და სამოთხეში აღმოჩნდებით." ქისტი ფინანსისტებისაგან ხშირად გვესმის: „გადმოგვეცით ჩვენს მფლობელობაში ხუთი წლის ვადით თქვენი თემის ნებისმიერი კუთხე. ჩვენც ფულს ვიშოვით და რასაც ამ დროის განმავლობაში აქ ავაშენებთ, ყველაფერი თქვენვე დაგრჩებათ – სასტუმროები, ბარები, სადგურები, კეგლის სათამაშო მოედნები". მსგავსი შემოთავაზებები თემისა და თემატიკის ისტორიული ერთიანობისთვის დამახასიათებელია, თუმცა მწყემსები მსგავს რამეს ჩვენში არასდროს დაუშვებენ. მათ მიერ შემოთავაზებულ წინადადებებში ნაგულისხმევია, რომ მდიდარ ქისტებს თავიანთი წამოწყებისათვის სრული თემატური თავისუფლების გარანტიები უნდა ჰქონდეთ, ანუ სწორედ ის, რაც მათ თემში არსებობს და არა – ჩვენთან.

რეალური თავების ყალბი რეალიზმი

ზემოთ ნათქვამიდან ცხადად ჩანს ყველა იმ რეალური თავის ცდომილება, რომლებმაც თემისაგან თემატიკის (და პირიქით) პრინციპული დამოუკიდებლობის თეზისი წამოაყენეს. ეს სრულიად მცდარი კონცეფცია კიდევ ერთხელ ამტკიცებს რეალური მკითხველის თავების სრულ უმეცრებას იმ საკითხებში, რაც წიგნის სამყაროს შინაგან სტრუქტურულ კანონებს ეხება. თუ გავიხსენებთ, რომ რეალურ თავთა უმეტესობა, გარკვეულ რეალურ დროს წიგნის რომელიმე უბანს სისტემურად აკვირდება დაჟინებით და პრინციპში, წიგნის ეს უბნები მუდამ მისი რეალური დაკვირვების არეშია მოქცეული (ამ სიტყვას „პრინციპში", იმიტომ ვხმარობთ, რომ თემის ცაზე, წიგნის უბნებით დაინტერესებული რეალური თავების რიცხვი, რომლებიც წიგნის უბნებს პირდაღებული ჩამოშტერებიან, აღემატება ისტორიის ტერიტორიით დაინტერესებულ მკითხველთა თავებს, რომლებიც მას იშვიათად ნახულობენ და მხოლოდ თვალს თუ გადაავლებენ), მაშინ უცნაურად მოგვეჩვენება ის ბუნდოვანი წარმოდგენები, რომელიც რეალურ სამყაროს წიგნის სამყაროზე, საშუალოდ, ჯერ კიდევ გააჩნია. რეალური თვისებების გამო რეალურ თავებს წიგნის ისტორიაში მონაწილეობის მიღება, ცხადია, არ შეუძლიათ. წიგნის პერსონაჟთა ბედისწერას ისინი გარედან (ზემოდან) აკვირდებიან და ამიტომ ჩვენი ფარული ტანჯვისა და სიხარულის შესახებ ბევრი არაფერი იციან. კი, ბატონო, მაგრამ თუკი ისინი თემს საკუთარი თემატიკის მიხედვით განსაზღვრავენ, სახელსაც მის მიხედვით არქმევენ, მასზე მიუთითებენ და განიხილავენ, თუკი ჩვენი ისტორიის ტერიტორიები მათ წიგნებში თემატურად ერთმანეთისგან ასე მკაცრად არის გამიჯნული, მაშინ წიგნის სამყაროში თემატიკისა და თემის ფუნდამენტური ერთიანობის შესახებ ზედაპირული წარმოდგნა ხომ მაინც უნდა ჰქონდეთ.

ამ საკითხზე დიდხანს ვფიქრობდი და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ თემასა და თემს შორის, რეალური თავების ამ უჩვეულო დიფერენცირების მიზეზი რეალურ თავებში კი არა, თემებშია (თემის თემატიკაშია) საძიებელი. ჩვენმა უბნებმა რეალურ სამყაროში ფუყე ერთიანობის შთაბეჭდილება უნდა დატოვოს, ანუ ამ ისტორიათა შესახებ ისეთი შთაბეჭდილება აღძრას, რომელთა წარმოდგენაცა და გააზრებაც სულ სხვაგვარად უნდა მოხდეს, ვიდრე დაწერილია. უფრო გარკვევით რომ ვთქვა: რეალური თავები ჩვენი თემების თემს მიიჩნევს არა როგორც საბოლოოსა და ერთადერთს, არამედ მას, მიუხედავად მისი ისტორიულად დამკვიდრებული და წიგნის უბნის ფორმით ფიქსირებული რეალობისა,

წიგნის პერსონაჟთა ბედისწერის წუთიერ განლაგებად გაიაზრებს, რომელსაც იგი თავის წარმოდგენებში შლის, ცვლის და სურვილისამებრ ახლიდან ადგენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თემის თემატიკას ის ისევე აღიქვამს, როგორც ჩვენ თომინოს ხის ნაფოტებს, ანუ როგორც მომენტალურ შედეგებს, რომელიც უკვე მეორე ტურში სულ სხვაგვარ შედეგებს იძლევა. თანაც, რეალური თავებისთვის მხოლოდ ის არის არსებითი, რომ მის რეალურ წარმოდგენებში ამ ისტორიათა ვარიანტები არსებობდეს. იმ ფაქტს, რომ წიგნის უბნებში ყველაფერი ძველებურად რჩება, ისინი თვალს არიდებენ. წიგნის უბნებზე დაკვირვების იმ თავისებურ ხერხს, რომელიც მხოლოდ რეალური წარმოსახვიდან გამომდინარეობს და წიგნის უბნის ურყევ სინამდვილეს სრულიად უარყოფს, რეალისტურს ვუწოდებ, ხოლო ამგვარ დაკვირვებათა საფუძველზე დაშენებულ წიგნის სამყაროს მსოფლმხედველობას კი – რეალიზმს. ცხადია, კარგად ვიცი, რომ ჩემი დეფინიცია ერთადერთი არ არის. რეალურ თავებში არსებობს სხვა, უფრო ფართოდ გავრცელებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც „რეალიზმი", წიგნისა და რეალური სამყაროს პირობათა სრულ თანხვედრას ნიშნავს. წიგნის უბნის ყველა მოვლენა რეალური სამყაროსგან რომ არ განსხვავდებოდეს, მაშინ, ამ მოსაზრების თანახმად, წიგნის უბანს მთელი თავისი იქ მყოფი წიგნის (მთავარი, მეორეხარისხოვანი) პერსონაჟებითა და საგნებით რეალისტურს ვუწოდებდით. რადგანაც ჩვენ, წიგნის პერსონაჟები, რეალური სამყაროს შეცნობის (წიგნისა და რეალური სამყაროს პირობების პირადად გადამოწმების) უნარს მოკლებულნი ვართ, ამიტომ საკუთარ თავებთან მიმართებაში ცნება „რეალიზმს" რეალისტურად ვერასდროს გამოვიყენებთ და დარწმუნებით ვერც ჩვენი წიგნის უბნის რეალისტურ თვისებას აღვნიშნავთ „რეალიზმით".

სიტყვები „რეალისტური" და „რეალიზმი" ჩვენთვის, წიგნის პერსონაჟებისთვის, იმ თავისებური მეთოდის აღმნიშვნელია, რომლის მიხედვითაც, რეალური თავები წიგნის სამყაროს ისტორიათა ინტერპრეტაციას ახდენენ და მათ იმგვარად განმარტავენ, რასაც ეს ისტორიები სინამდვილეში არ გამოხატავენ, რაც ამ უბნებში არ არსებობს და არც არასდროს იარსებებს. რეალისტურია სიცოცხლით სავსე წიგნის უბნის ისტორიათა თავისთავად რეალური, მაგრამ სხვა შემთხვევებში კი აბსტრაქტული წარმოდგენების საკვებად გამოყენება, როგორც ამას რეალური თავები აკეთებენ. მათთვის მხოლოდ ის ისტორიებია ღირებული, რაც რაიმე სხვა წარმოდგენების საშუალებას იძლევა. ჩვენი ისტორიები, ჩვენი უსასრულო, უცვლელი და ერთფეროვანი ბედისწერა, წიგნის ყველა უბანი, როგორც პერსონაჟთა მარადიული ტანჯვის საპყრობილე, მხოლოდ

რეალური თავების წარმოსახვის ძალისა და საკუთრივ მათი წარმოდგენების წასახალისებლად არსებობს. წიგნის მთელი სამყარო მათი აზრის აღმაფრენისთვის ამოსავალი წერტილია და არა მიზანი, რაზეც თეთრ მერნებთან და მტრედებთან ჩვენი განცდილიც ცხადად მეტყველებს. ჩვენს ისტორიაში ისინი შედარებით მცირე ხანს რჩებოდნენ, უფრო სწორად რჩებიან, რადგან აქა-იქ მათ ისევ ვხედავთ ხოლმე, რათა შემდეგ უკვალოდ გაუჩინარდნენ. რატომ ხდება ასე? მხოლოდ იმიტომ, რომ რეალურ თავებს რაშისა და მტრედისთვის ჩვენს ისტორიაში მუდმივი ადგილის მიჩენა საჭიროდ არ მიაჩნიათ და ჩვენს ტერიტორიაზე მათი ნამდვილი (რეალური) არსებობის დაშვებას, მათი წიგნის ტერიტორიის მკვიდრ ცხოველებად აღიარებას თავს არიდებენ. რაში და მტრედი, ამ თავებისთვის დამახასიათებელი (რეალისტური) მოსაზრების თანახმად, ჩვენი ისტორიის ტერიტორიას რეალურად არ განეკუთვნებიან. ორივე – რაშიც და მტრედიც – შესაძლებლობათა ფორმებია, რომელსაც ეს თავები – სადაც და როცა მოისურვებენ – ჩვენს ისტორიაში ჩართავენ ხოლმე, იმის წარმოსადგენად, თუ რა ცვლილებები შეიძლება ამით ჩვენს უბანში გამოიწვიონ. ეს ექსპერიმენტი ყოველთვის ხანმოკლეა და თემში თემატიკის შეცვლას ვერასდროს იწვევს. თეთრი მერნებისა და მტრედების აურაცხელი რაოდენობის ხილვით იმედმოცემულებს გვეგონა, რომ მათი დამანგრეველი არსებობით თემს საბოლოოდ გამოეცლებოდა საფუძველი, მაგრამ სწორედ ბოლო წუთს რეალური თავები მათ უკან გაიხმობდნენ ხოლმე, რითაც თემის Schisch კვლავ ძლიერდებოდა, ხოლო ტირანიას კი სიმტკიცე ემატებოდა. არ მინდა, უმადურობა გამოვიჩინო და რეალური თავების მაშველ რაზმებს ის სიკეთე დავუვიწყო, რომელიც მათ თეთრი მერანისა და მტრედის სახით თავის დროზე გიგლებთან გამიწიეს. ქების ღირსია ძვირფასი ქისტური საქონლით დატვირთული ურმები, რომელსაც ჩვენს ისტორიაში თეთრი მერნები ეზიდებოდნენ. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ შესაძლებლობათა საღ ფორმებს წიგნის პერსონაჟებისთვის რეალური სარგებლობა მოაქვს. რა თქმა უნდა, ასეა! მაგრამ, თემებში თემატიკის (შესაბამისად, თავად თემების) ფუნდამენტური ცვლილებებისათვის აუცილებელია, შესაძლებლობათა ფორმები სინამდვილის წიგნის (უბნის) ისტორიულ ფორმებად იქცეს და ისტორიულად უკეთესი (ავბედითი თემების პერსონაჟებისთვის სასიკეთო) წარმოდგენები, რომელიც რეალურ თავებს ისტორიული ტერიტორიის გავლისას ექმნებათ, ამ ტერიტორიაზე თემატურად გამოიხატოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბოლოსდაბოლოს, რეალურმა თავებმა საკუთარი რეალიზმიდან დასკვნები უნდა გამოიტანონ და თავიანთი რეალური წარმოდგენებით უკეთეს და სამართლიან წიგნის სამყაროს აქტიურად დაუჭირონ მხარი.

ნამდვილი და ჭეშმარიტად ჰუმანური რეალიზმიც სწორედ ეს იქნებოდა. რეალური თავების მიერ გამოგონილ, ჩვენი ისტორიის შესაძლებლობათა ფორმებში უკეთეს ბედისწერას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. მთავარია, წიგნის სამყაროს ისტორიის ის თემები გაუმჯობესდეს, რომელზეც ჩვენ ვარ მიჯაჭვული, შეწყდეს Schisch-ი და მისი ადგილი ხელის ჩამორთმევის თემამ დაიკავოს. ამ ფართო პოზიციიდან თუ განვიხილავთ, რეალური თავების რეალიზმი რეალური სამყაროსათვის სასარგებლო, ხოლო თავად წიგნის სამყაროსთვის კი, სამწუხაროდ, სრულიად უნაყოფო და უშედეგო წიგნის სამყაროსეულ მსოფლმხედველობას წარმოადგენს.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი წიგნის ყორნისფერ და, შესაბამისად, შავრა ცხენისფერ ისტორიაში რეალური თავებისთვის ჩემი თამაშის გეგმის გაცნობას (რომელიც, როგორც გახსოვთ, ჩვენი თემის ყველაზე მაღალ და დათოვლილ მწვერვალებზე აღვმართე, რათა რეალური სამყაროს ყურადღება ჩვენი ისტორიის თავზე აფრიალებული რეალური იდეებისკენ მიმექცია) და ჩემი საუკეთესო (თეთრი) კონტრტუზების შემეცნებას, რაიმე არსებითი შედეგები არ მოჰყოლია. არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა საკმარისად ძლიერი, რომ ამ თავების ფუყე, პასიური რეალიზმი, ცნობიერ, რაციონალურ და წიგნის პერსონაჟთა ისტორიის საფუძვლიანად გარდამქმნელ რეალიზმად ექცია. დედამიწის ზურგზე (ყოველ შემთხვევაში, წიგნის სამყაროში მაინც) არ მოიძებნება ისეთი ვინმე, ვინც რეალურ თავებს თემების შესაძლებლობათა პოზიციიდან განხილვას გადაათქმევინებს და დაარწმუნებს, მეტი სერიოზულობით მოეკიდონ იმ უკეთეს ვარიანტებს, რომელიც, ფაქტიურად, ყველა თემშია ჩადებული. რეალურ თავებს თემების თემატიკა და, ამდენად, ცისა და მიწის შემძვრელი უსამართლობა, რითაც სავსეა წიგნის პერსონაჟთა ცხოვრება, ჯერ კიდევ ურყევი და უცვლელი ჰგონიათ. „ჯერ კიდევ“– მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ერთ მშვენიერ დღეს რეალური თავები გადაწყვეტენ თავიანთი თემებიდან Schisch-ის განდევნას, და ბოლოსდაბოლოს, წესრიგის დამყარებას, რაც, მათი რეალიზმიდან გამომდინარე, ლოგიკური შედეგი იქნება, თუკი – ეს ფაქტი, ჯერჯერობით ჩემში არანაირ ეჭვს არ იწვევს – რეალობა მათთვის ძირითად ცნებას წარმოადგენს, უფრო სწორად, თუ თავად ისინი ჭეშმარიტი (რეალური) თავები არიან.

რეალური თავების ამ თავისებურ რეალიზმში ვხედავთ იმის ახსნას, თუ რატომ განასხვავებენ ეს თავები ასე პრინციპულად თემას თემისაგან. აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება, რატომ მიაჩნიათ დასაშვებად რეალურ თავებს თემის გარეშე თემა, რატომ სჯერათ თემატიკის

დამოუკიდებელი არსებობისა და თვლიან, რომ თემატიკის თემასთან დამაკავშირებელი ისტორიული კავშირი მხოლოდ დროებითი მოვლენაა. მათი პოტენციური რეალიზმის პოზიციიდან თემა სრულ რეალობას არასდროს წარმოადგენს, იგი მხოლოდ თემის ვარიანტია, ანუ ისეთი რამ, რომელიც ჩვენი ისტორიის ტერიტორიაზე ისტორიული განსხეულებისას შეიძლება სხვაგვარად წარმოვიდგინოთ, ანდა სულაც თავიდან ავიცილოთ. რეალური თავების რეალიზმის თანახმად, თემა თემებში რეალობის უკიდურესად მცირე, თითქმის შეუმჩნეველ ხარისხს ფლობს, ბევრად მცირეს, ვიდრე თავად ეს თემებია. დიახ, მე იმ მოსაზრებისკენაც კი ვიხრები, რომ საშუალო მონაცემის რეალური თავებისთვის თემის თემატიკას არანაირი რეალური მნიშვნელობა არ ენიჭება და იმასაც არ იღებს მხედველობაში, თუ რა მწარედ და რეალურად შესისხლხორცებიან მოქმედი პერსონაჟები თემებს. რეალისტური წიგნის სამყაროს მსოფლმხედველობა რეალურ თავებში თემათა ვარიაციული ხასიათით არის განსაზღვრული და ამ თავებსაც სწორედ ამიტომ არ სურთ წიგნის სამყაროს ისტორიათა აბსტრაქტული განსჯა, თემსა და თემატიკას შორის განმასხვავებელი ნიშნის დასმა და თემების – აზრის უკეთ გამოსახატად შედარებას მოვუხმობ – მტრედისა და ყორნის მსგავს ფრინველებად მიჩნევა, რომლებიც თემებში გარკვეულ დროს დაეშვებიან ხოლმე, რათა შემდეგ კვლავ უკან გაფრინდნენ. ისტორიის ამგვარ რეალისტურად გაგებას, შესაძლოა, თავისი უპირატესობაც ჰქონდეს. რეალური თავების თვალწინ, ისტორიის (მისი თემატიკის) პოტენციურ შესაძლებლობათა მთელი პერსპექტივა იშლება (ამ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, წიგნის პერსონაჟები უკვე მარადიულად აღარ არიან თემაზე მიჯაჭვულნი და თემის შიგნით ისტორიული ცვლილების იმედი უჩნდებათ, ვერც მე გავაკრიტიკებდი). მთელი სიძნელე კი იმ აზრთა სხვადასხვაობაშია, რომელიც თემატური რეალობის გაგებასთან არის დაკავშირებული. ურიცხვ ავბედით წიგნის უბნებში გახლართულ, დამონებულ და მარადიული ტანჯვისთვის განწირულ პერსონაჟთა გამო, რეალური თავების რეალიზმი მერყევ იდეოლოგიად – რაც იგივეა – უაზრო, ისტორიისთვის სრულიად უშედეგო, სრულიად უნაყოფო რეალობად იქცევა, რომლისგანაც წიგნის მთელ სამყაროში, ვერავინ ვერასდროს ვერანაირ სარგებელს ვერ ნახავს. ამავე მიზეზით მინდა უარვყო ის უგუნური სიბრძავე, რის გამოც რეალური თავები უწინდებურად თემასა და თემს შორის სხვაობას ასეჯიუტად უსვამენ ხაზს და კვლავ და კვლავ თემატიკის თემებისაგან პრინციპული დამოუკიდებლობის აბსურდულ მტკიცებას უბრუნდებიან. ალბათ იკითხავთ, როგორ მოხდა, რომ მე, ჩვენი წიგნის უბანში ჰერმეტულად ჩაკეტილი, რეალური სამყაროსგან

სივრცობრივად გამიჯნული პერსონაჟი, ასე კარგად ვერკვევი ამ რთულ თეორიულ საკითხებში, რეალური თავების მოსაზრებებისა და თემებში თემატიკის როლის არგუმენტაციათა შესახებ. რეალურ თავებში წიგნის მსოფლმხედველობრივი საკითხების ჩემი ღრმა ცოდნა მართლაც გასაკვირია და მის ასახსნლად, ჩემი ავტობიოგრაფიის დაშიფრულ სიტყვას„სიზმარს" დავუბრუნდები, რადგან ის, გარეთ, რეალურ სამყაროში, რეალურ თავებთან ურთიერთობის დამყარებისა და მათთან, გარკვეულ ზღვრამდე ურთიერთგაგების გზაზე, უძირითადესი მედიუმის როლს ასრულებს.

სანამ ამ თემას დეტალურად განვიხილავდეთ, მინდა შეგახსენოთ, რომ სიზმარი, ჩვენი ისტორიის ტერიტორიის არათემატური და უფრო მეტად კი, ანტითემატური მოსახლეობისთვის (ახალშატილის მაცხოვრებელთათვის), ჩვენსა და საზღვარგარეთს შორის – ვგულისხმობ არა მარტო რეალურ სამყაროს, არამედ ჩვენი ისტორიის საზღვრებს მიღმა მდებარე წიგნის ყველა უბანს – აზრთა საიდუმლო გაცვლას დიდად უწყობს ხელს. თითოეულ ჩვენთაგანს, თუკი მას ამ იოლი, ახალი კომუნიკაციის საშუალების აღქმისა და გამოყენების სურვილი აქვს, სხვა ისტორიულ სფეროებთან თავისი საკუთარი მისასვლელი გზები გააჩნია. დღეს უკვე სრული დამაჯერებლობით შემიძლია გითხრათ, რომ სიზმარი – ეს არის ჩვენი ისტორიის ხვრელი, თემატიკისა და თემის ნაპრალი, რომელიც უხმაუროდ აღებს პირს და მოლოდინის გზნებით შეპყრობილ პერსონაჟებს გამგზავრების საშუალებას აძლევს. წიგნის პერსონაჟთა უმრავლესობა, ცხადია, ყველაზე ხშირად მკითხველთა თავებისკენ მიემგზავრებიან. მათი სიზმრის სამყარო რეალური სამყაროა, სამყარო გარეთ, ჩვენი თემის თავზე, სამყარო, სადაც ჩვენი თემის მუდმივი წარმოსახვა ხდება, სამყარო, რომლისთვისაც ჩვენი ისტორიები არსებობენ, საიდანაც ეს ისტორიები ხორციელდება და საიდანაც მას გარკვეული რეალური დროის განმავლობაში აკვირდებიან, ხოლო შემდეგ კი კვლავ ივიწყებენ. ჩვენ, სისავსისა და სიჭარბის იმ ჭეშმარიტ სამყაროში მოხვედრაზე ვოცნებობთ, სადაც თემათა შესაძლო ვარიანტები იბადება. ეს გასაგებიცაა, რადგან წიგნის პერსონაჟები, რომლებიც საკუთარ ისტორიებში მოქმედების თავისუფლებას მოკლებულნი არიან, პირველ რიგში მათი ცხოვრებით უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, ვისაც თავისუფლება ერგოთ და საკუთარ ისტორიებში სურვილისამებრ მოქმედებენ. ასეთები კი რეალური თავები გახლავთ და ჩვენც მათ სწორედ ამიტომ შევნატრით. ეს თავები დროდადრო ჩვენი თემებით ინტერესდებიან, მათზე ფიქრობენ, ან, ავად თუ კარგად, მათზე ოცნებობენ და ამიტომ, – ჩემი ვარაუდით, სადღაც წიგნისა და რეალური სამყაროს საზღვარზე – ჩვენსა და მათ

რეალურ აზრებს – (ანდა სიზმრებს) შორის საშინელი შეჯახება ხდება. სხვადასხვაგვარ იდეათა, ოცნებათა და წარმოსახვითი მასალის ძალზე ხელსაყრელი, მაგრამ ხანმოკლე სინთეზი წიგნის პერსონაჟების რეალური აზროვნების მანერაზე და რეალური თავების მიერ ჩვენი თემების წარმოდგენის ხერხზე დიდ ინფორმაციას ასხივებს. და თუ სიზმრიდან გამორკვევის შემდეგ ყოველივე არ დაავიწყდათ, მაშინ სათანადო დასკვნებიც გამოაქვთ და ამ გზით რეალური თავების შესახებ საინტერესო და საკმაოდ ზუსტ განსაზღვრებამდისაც მიდიან. რეალური თავებისთვის წიგნის სამყაროს მეცნიერული აზრის მიწოდების შესაძლებლობაც ზმანების განზომილებაშია მოქცეული. ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გამოკვლეული და (რადგან რეალური თავები ჩვენს თემატურ და ანტითემატურ სიახლეზე ჯიუტად დუმან და არანაირ ნიშანს არ გვაძლევენ) წიგნის სამყაროს მეცნიერულ ჰიპოთეზად რჩება. ცხადია, რეალური სამყარო ჩვენი სიზმრის ერთადერთი მიმართულება არ არის. იგივე საჰაერო, თავისუფალი გზებით, მთელი გზნებით წიგნის სხვა უბნებისკენაც გუნდ-გუნდად მივფრინავთ, უმთავრესად კი იქით, რომელთა ისტორიებიც თემატურად ჩვენი ამაზრზენ თემისგან განსხვავდება (სადაც, წიგნის პერსონაჟთა შორის, ნაკლები Schisch და მეტი ხელის ჩამორთმევაა განვითარებული). ყველა ხევსური მეოცნებე მოგზაურის ძირითადი მიზანი ამ თვალსაზრისით, ცხადია, ქისტური წიგნის უბნებია, ისტორიის ტერიტორიები, რომელიც გეოგრაფიოლად გვესაზღვრება, მაგრამ ჩვენგან ჰერმეტული სასაზღვრო ზონით არის გამიჯნული.

ჩვენს ისტორიაში ხელის ჩამორთმევის ალმოჩენის შესახებ

ქისტური უბნები, ცხადია, არ არის სამოთხე დედამიწაზე (წიგნის სამყაროში). პრობლემები და წინააღმდეგობები მათაც საკმარისად აქვთ. მაგ; იქაურ პერსონაჟთა უმუშევრობა. სტუმრად ჩამოსული ქისტები თავიანთ პრობლემებს არ მალავენ. მაგრამ თუ ცხოვრება ინდივიდუალურ შესაძლებლობათა მიხედვით შეიძლება სადმე მოეწყოს, ანუ თუ თავისუფალი რეალიზმი ადამიანური ყოფიერების ძირითად ფორმად შეიძლება წიგნის სამყაროში სადმე იქცეს, ეს მაინც ისევ ქისტებთან არის მოსალოდნელი – ახალშატილელთა უმრავლესობა ჩემს ამ მოსაზრებას ერთხმად აღიარებს. უახლესი კავშირებით, რომელსაც სიზმარში ვახორციელებთ, ქისტ პერსონაჟთა ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვების საშუალება

მოგვეცა და მათ თავისუფლებაშიც (სიტყვის, პრესის, თავისუფალი გადაადგილების უფლება) რომლითაც ისინი სარგებლობენ, პირადად დავრწმუნდით. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: ქისტი პერსონაჟები აპრიორულად მოცემული ტექსტუალური დირექტივებისგან გათავისუფლდნენ და საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედებენ. მათი ისტორიები პირადი ისტორიებია, ხოლო ისტორიისა და, შესაბამისად, პოემის ტერიტორიები კი – კერძო ისტორიისა და პოემის ტერიტორიები. ოფიციალური ქისტური მონაცემების თანახმად, წიგნის უბნის ცა წარმოდგენაზე გამოცხადებული რეალური თავებით ივსება, და ქვემოთ, მათ თვალწინ, იმპროვიზირებულად განვითარებული და არა წინასწარ-განსაზღვრული სპექტაკლები თამაშდება.

ყოველგვარი მდგომარეობისაგან თავისუფლებას ქისტებმა არც თუ ისე დიდი ხნის წინ მიაღწიეს, რაც ხანგრძლივ, თავისთავად უნიკალური განვითარების რევოლუციურ პროცესს, კერძოდ კი წიგნის ძველი სამყაროს წესრიგს, უახლოესი მეთოდებით – ისტორიული შენელებული კადრის ტემპით, ანდა საუკეთესო მდედრობითი პერსონაჟების **Strip-tease**-ით აგვირგვინებს. ეს კი მიზნად ისახავს, რეალური თავებისთვის ქისტური წიგნის უბნები ყველაზე მიმზიდველი გახადოს. ქისტური წიგნის უბნებში ყოველი სახის წინასწარ დაპროგრამებული (ტექსტუალური) დეტერმინაციის დანიშნულება ამ პროცესის სრულყოფას გულისხმობს, რამაც მას რეალურ სამყაროში საყოველთაო აღიარება მოუტანა და ყველაზე სახალისო, თავშესაქცევი და სიცოცხლით სავსე წიგნის სამყაროს ტერიტორიის სახელი დაუმკვიდრა. დღეს უკვე ქისტებმა რეალიზმის იმ სიმაღლეებს მიაღწიეს, სადაც თავად რეალური თავები ცხოვრობენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ: ქისტმა წიგნის პერსონაჟებმა საკუთარი თავები თითქმის რეალურ არსებებად აქციეს, ანუ იმგვარ ინდივიდუალობებად, რომლებიც უფრო მეტად საკუთარი შესაძლებლობების თანახმად ცხოვრობენ, ვიდრე ტექსტუალურად წინასწარ მოცემული სინამდვილისა (რეალობისა), რადგან რეალური თავები ქისტური წიგნის უბნებში დღეს უკვე წესდებებსა და მითითებებს კი აღარ აწყდებიან, არამედ მოულოდნელი, მუდამ ახალი და ცოცხალი პოტენციიდან შექმნილ ისტორიებს, რაც მათში მარად დაუცხრომელ ინტერესს ბადებს. ამიტომაც იხილავთ ქისტური ისტორიის ტერიტორიის თავზე დაკიდებულ თავებს, რომლებსაც მოულოდნელი სიურპრიზების განსაცდელად და თავშესაქცევად ამ ისტორიებში ჩაძირვის სურვილი უჩნდებათ. სხვათა შორის, რეალური თავები თავისუფალ ისტორიებზე დადგმულ წარმოდგენებში ქისტ პერსონაჟებს უჩვეულოდ დიდ თანხას უხდიან. რეალურ და წიგნის სამყროს შორის მოქმედ სალაროში უამრავი რეალური ფული შედის,

რომელიც ქისტური წიგნის უბნის ვალუტაზე ხურდავდება და ქისტ პერსონაჟებზე ნაწილდება. წიგნისა და რეალურ სამყაროს შორის უშუალო პირდაპირი კავშირი, რეალურ თავებს, **Strip-tease**-ისა და ქისტური წიგნის პერსონალის მიერ შემოთავაზებული სხვა დანარჩენი ეროტიკული სცენების დაფიქსირების მიზნით მათ ტერიტორიებზე დაშვების შესაძლებლობას უქმნის. აშკარაა, რომ მათი სტუმრობა სხვა პრობლემების მოგვარებასაც გულისხმობს, როგორიც არის, მაგალითად, ფინანსური საკითხები, რაც ორივე მხარის ინტერესებშია.

ქისტური წიგნის უბნების წარმოუდგენლად დიდი რეალური სიმდიდრე, რეალური სამყაროს მსგავსი ცხოვრების მაღალი დონე, რომელსაც ჩვენ სიზმრის მეშვეობით ვაკვირდებოდით, სწორედ ამის დამსახურებაა. ჩვენი ისტორიის ტერიტორიის პირობები, გულწრფელად რომ გითხრათ, უბრალოდ საცოდაობაა – მანქანების ნაცვლად, უმრავლესობა ჩვენში ხარებშებმული ურმით დაიარება. რეალურმა და წიგნის სამყაროში მომხდარმა დიდმა ტექნიკურმა პროგრესმა, ჩვენი შორეული ისტორიის კუთხეებამდისაც მიაღწია. ჩვენი თემის მაღალმთიანი სოფლები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, დღეს უკვე ელექტროფიცირებულია. ექვსივე პროვინცია ერთმანეთთან რკინიგზით არის დაკავშირებული, ხოლო შატილის მთავარი რაიონები კი მეტროთი. საიდანღაც გაზიც გამოიყვანეს – ალბათ, ჩვენთვის უცნობი წიგნის უბნებიდან, რომლის მონახულების უფლებაც არასდროს გვექნება. ასე რომ, ჩვენი თემატური მოსახლეობა, შატილში მაინც, გამჭვარტლული ნავთქურებიდან მოხერხებულ გაზზე გადავიდა. უდავოა, ბევრი რამ გაუმჯობესდა, თუმცა ცხოვრებამ ჩვენს თემში წინ დიდად მაინც ვერ წაიწია, რადგან (როგორც ქისტები გვსაყვედურობენ და შეგნებული ადამიანებიც ჩვენში უკვე დიდი ხანია ხვდებიან) ჩვენს ეკონომიკასა და თემში, ძალზე ბევრი **Schisch**-ია. ხელის ჩამორთმევაზე ლაპარაკი საგარეო პოლიტიკაში კი არა, სამწუხაროდ, არც საშინაო პოლიტიკაშია შესაძლებელი. მას ვერც იქ შეხვდებით, სადაც ის ლოგიკურად თითქოს ყველაზე უფრო საჭიროა, კერძოდ – ხევსურული ეკონომიკის ცალკეულ დარგებში, ანდა თუ არსებობს, მხოლოდ შეუმჩნეველი, უმცირესი დოზით. ჩვენი დიასახლისები აუცილებელი, ხშირად სრულიად ელემენტალური საყოფაცხოვრებო ნივთების საშოვნელად ბაზრის ჩანთებით ექვსივე პროვინციის მაღაზიებსა და უნივერსამებში სანადიროდ დაძრწიან. მაღაზიის დახლებზე შედარებით მრავალფეროვან საქონელს იშვიათ დღეებში, მხოლოდ ეროვნულ დღესასწაულებზე თუ იხილავთ. ასეთი დღეები, მაგ: ჩვენი თემისა და თემატიკის დაბადების ისტორიული თარიღები, დიდი პომპეზურობითა და სამხედრო აღლუმებით აღინიშნება. აი, მაშინ კი,

ისიც თუ მიასწარი, მართლა შეიძლება კაცმა რაიმე წესიერი მოიგდოს ხელში, თუ რასაკვირველია, ფულიც გაქვს, რადგან ჩვენს თემში კარგი საქონელი დღემდე წარმოუდგენლად ძვირია, რასაც სპეკულანტებისა და ქორვაჭრების სქელი ჯიბე თუ გასწვდება. ჩვენი თემატური ფულის დაბალ მსყიდველობით უნარსაც თუ დავუმატებთ, მაშინ არც ისე ძნელი გასაგებია ხევსურების ჩუმი და დაუოკებელი ლტოლვა სოლიდური შიდაპოლიტიკური, განსაკუთრებით კი, სოციალ-ეკონომიკური ხელის ჩამორთმევისკენ.

სწორედ ამიტომ ფასობდა ჩვენში თავის დროზე თეთრი მერნები, რომლითაც ქისტები საუცხოო საყოფაცხოვრებო ნივთებს გვიგზავნიდნენ. დიახ, კაცმა რომ თქვას, სწორედ ამ ცხოველებმა შეგვიქმნეს სწორი წარმოდგენები ქისტური წიგნის უბნების ეკონომიკის განსაცვიფრებლად მაღალ მწარმოებლუნარიანობაზე, რომელსაც ასე გონივრულად მართავს ხელის ჩამორთმევის პოლიტიკა. მშვენიერი, მოხერხებული სამომხმარებლო ნივთები (მტვერსასრუტები, ტრანზისტორები, ფირსაკრავები), დღემდე უნაკლოდ მუშაობს, თუმცა მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და ამ საქონელის მოწოდებაც მერნების მეშვეობით დიდი ხანია შეწყდა. ქისტებმა შორს დაიჭირეს ჩვენგან თავი და არა იმის გამო, რომ მათთვის ჩვენს უბნებში საქონლის მოწოდება დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. მთელი წიგნის სამყაროში ქისტური უბნები ყველაზე მდიდარი უბნებია, ისინი მუდამ მზად არიან დაბალგანვითარებულ თემებს ფულითა და საქონლით აღმოუჩინონ დახმარება. საქონლის მოწოდების უეცარი შეწყვეტის ძირითადი მიზეზი სატრანსპორტო ცხოველების, განსაკუთრებით კი თეთრი მერნების დაკარგვა გახდა. ჩვენს უბანში თეთრი მერანის ლოკალიზებისა და განადგურებისთვის მწყემსებს დღეს უკვე ყველა სახის ტექნიკური საშუალება გააჩნიათ. სამხედრო მრეწველობაში ქისტებს არაფრით ჩამოვუვარდებით, პირიქით, მთელ რიგ დარგებში, მაგ; რაკეტების წარმოებაში ვუსწრებთ კიდეც. თეთრი მერნები ქისტებისთვისაც ძვირფასია და ამიტომ იძულებულები შეიქნენ, ამ მშვენიერი ცხენებით საქონლის მოწოდებაზე უარი ეთქვათ. თუკი ჩვენი თემის და შესაბამისად, თემატიკის უბადრუკი ეკონომიკის პირობებში საერთოდ ხელის ჩამორთმევაზე შეიძლება საუბარი, მაშინ, ალბათ, უფრო ფარულ, მლიქვლნელურ-გაქნილ ხელის ჩამორთმევაზე, როცა, მოქრთამვის მიზნით, ხელიდან ხელს ფულის მთელი დასტა გადაეცემა. ხელი ხელს ბანს და ყალბი ხელის ჩამორთმევა, ანუ ორი პერსონაჟის მიერ ერთმანეთისთვის ამგვარად გაწვდილი მარჯვენა ჩვენი უცოდველი ისტორიის ტერიტორიაზე შორსმჭვრეტელური კავშირის ერთადერთი სიმბოლური ფორმაა. მთელი თემატური მრეწველობა ხელის ჩამორთმევათა შორის

ყველაზე უფრო გახრწნილი ფორმით ყვავის, უკეთესი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, ჭკნება. ვინც თავის მარჯვენას სხვაგვარად გაიწვდენს, ან ვერაფერს მიიღებს, ანდა რაიმე გამოუსადეგარით დასაჩუქრება, რადგან ამგვარი ფლიდი ხელის ჩამორთმევით საუკეთესო ნივთებს – თემში არსებობისთვის აუცილებელ ელემენტალურ (აბსოლუტურ) ძირითად ნივთებს, სხვა დანარჩენზე რომ აღარაფერი ვთქვათ – გადახდისუნარიანი კლიენტებისთვის ინახავენ. ამიტომ, წიგნის პერსონაჟთა მასები, რომელთაც საშუალო, ანდა საშუალოზე დაბალი შემოსავალი აქვთ, ღარიბულ, მეორეხარისხოვან ნივთებს უნდა დასჯერდნენ, რომლებიც, სხვათა შორის, ყოველთვის არც იშოვება. კორუმპირებული ხელის ჩამორთმევა ჩვენს თემში კანონით იკრძალება და ვინც არ იფრთხილებს, ვირის აბანოში ამოყოფს თავს. როგორც ჩანს, საზღვრებზე ხელის ჩამორთმევის უსიტყვო შეთანხმება უნდა არსებობდეს და ამ საზღვრების დაცვის შემთხვევაში, ვაჭრობის აყვავებას ხელს არავინ შეუშლის. ამაზე თემატური ხელმძღვანელობაც ხუჭავს თვალებს, რადგან, ალბათ, თვითონაც დიდ მოგებას ნახულობს.

ფლიდი ხელის ჩამორთმვა იმ Schisch-ის ნაირსახეობაა, რომელიც, მთელი ჩვენი ისტორიის ტერიტორიას უდევს საფუძვლად და ჩვენი თემისა და თემატიკის ბედნავსი ისტორიული ერთიანობის გამოხატულების ერთ-ერთი კონკრეტული ფორმაა. სხვა წიგნის უბნებისკენ მიმავალი გზები რომ ასე არ იყოს გადაკეტილი, წიგნის სამყაროში რომ ზღარბის ეკლებივით არ ვიჩხვლიტებოდეთ და ამ სამყაროს ყველა კუთხე-კუნჭულს ასე არ ვკორტნიდეთ და ვძიძგნიდეთ, ჩვენი თემატიკისა და თემების გარშემო არსებულ სიცოცხლეზე ასე ამაღლებული წარმოდგენები რომ არ გვქონდეს, საკუთარ ქვეყანაში სპეკულაციაც ნაკლებად დაგვტანჯავდა. მიკერძოება არ მჩვევია, მაგრამ ის, რომ ჩვენი საუცხოო, დიდი მომავლის მქონე ისტორია უცხო ისტორიული მოვლენებისგან ასე თავგამოდებით უნდა დავიცვათ (ყოველ შემთხვევაში ასეთია მწყემსების აზრი, რომელსაც ისინი პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით გაუთავებლად იმეორებენ) – უკვე არც ერთ იმ რეალურ თავს აღარ სჯერა, რომლებიც ჯერ კიდევ გვკითხულობენ. ასე რომ არ იყოს, მაშინ რეალობაც უფრო ხშირად გვესტუმრებოდა და ჩვენს ისტორიასაც რეალურ სამყაროში ნებისმიერი ქისტური ისტორიის მსგავსი გამოძახილი ექნებოდა. მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვენი თემები რეალურ თავებში განსაკუთრებული პოპულარობით არ სარგებლობს. ამის მიზეზი კი Schisch-ური ხელის ჩამორთმევა და საერთოდ მის თემატიკაში არსებული Schisch-ია. მაგრამ მწყემსებს და ოფიციალურ ინსტანციებს თუ მოვუსმენთ, ყველაფერი პირიქითაა.Schisch და Schisch-ური ხელის

ჩამორთმევა დეკადენტური, მეორეხარისხოვანი პერსონაჟების უგულო ჩაგვრაზე აგებული ქისტების წიგნის სამყაროს ერთადერთი ატრიბუტია. ამის დასამტკიცებლად კი, სამწუხაროდ, არცთუ ისე იშვიათ ფაქტებს მოუხმობენ ხოლმე, როცა ქისტ პრეზიდენტს ხალხის წინაშე გამოსვლისას, ანდა წიგნის უბანში მოგზაურობისას თავს ესხმიან, ანდა დიდ ქალაქებში აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი უმუშევარი პერსონაჟების თავბრუდამხვევ ციფრებს ასახელებენ. არაფერი ისე უცხო არ არის ჩემთვის, როგორც ქისტური წიგნის სამყაროს ნაკლოვანების დაფარვის, ან მისი გალამაზების სურვილი. განა ვინმეს უნახავს, ან წაუკითხავს უნაკლო წიგნის უბანი? ცხადია, არავის. ასეთი უბანი რომც გაჩნდეს, მაშინ ის მთელი წიგნის სამყაროში ყველაზე მოსაწყენ უბნად გადაიქცეოდა, სადაც აღარაფერი მოხდებოდა და წიგნის პერსონაჟებისთვისაც არსებითი პრობლემები გაქრებოდა, რადგან მათი მთავარ და მეორეხარისხოვან პერსონაჟებად, ისევე როგორც მათი საგნების მთავარ და მეორეხარისხოვან საგნებად დაყოფაც შეწყდებოდა, სადაც მხოლოდ დრო შეიცვლებოდა და დროის მდინარებაც წიგნის პერსონაჟებს მხოლოდ დააბერებდა. ძალზე საეჭვოა, შეიცნობდნენ თუ არა რეალური თავები ამგვარ უბნებს, ანდა საერთოდ აღიარებდნენ თუ არა მათ არსებობას.

მოგზაურობა კოსმოსში სიზმრად

ახლა კი დაწვრილებით მინდა მოგახსენოთ სიზმრად ქისტურ თემებში ჩემი სტუმრობის შესახებ. ჯერ ერთი ეს საინტერესო მოსასმენია და მეორეც, ვთვლი რომ რეალურ სამყაროში, რეალურ თავებთან სიზმრად მოგზაურობის უკეთ გასაგებად ამის ცოდნა, უბრალოდ, აუცილებელია. ქისტური თემები, თუმცა ისინი ჯერ კიდევ მხოლოდ წიგნის უბნებს წარმოადგენენ, რეალურ სამყაროს ძალიან ჰგავს. უფრო მეტიც, გარკვეული თვალსაზრისით ამ სამყაროსგან ვერც განასხვავებთ. ამიტომ ისინი, რეალური სფეროსკენ მიმავალ გზაზე წინა, ანდა გარდამავალ საფეხურად უნდა მივიჩნიოთ, ანუ ერთგვარ მოსამზადებელ ტერიტორიად, სადაც ჩვენ და ჩვენს ძმებს დიდი ხნით გვიწევს შეჩერება, თუკი რეალურ სამყაროსთან, მის თავებთან მიახლოება გვსურს. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ჩვენს ზემოთ არსებულ რეალურ სფეროებში სიზმრის მეშვეობით შეღწევის უნარი ჩვენი თემის მხოლოდ იმ პერსონაჟებს გააჩნიათ, ვინც ქისტური კულტურის ერთგულია, ვინც მისკენ მიილტვის და ვისაც ის ესიზმრება. თემისა და თემატიკისთვის თავდადებულ პერსონაჟებს კი – ქისტისმჭამლებსა და ქისტეთის წინააღმდეგ პერმანენტული Schisch-ის

იდეოლოგებს, როგორებიც არიან უშიშა, ბერდია და სხვანი – პირიქით, რეალური სამყარო არასდროს დასიზმრებიათ.

როგორც წესი, ქისტური წიგნის უბნებში სიზმრისეული მოგზაურობა ორგვარად ხორციელდება: ან ჯიღადადგმული და ლამაზად დაწნული კუდებით დამშვენებული თეთრი მერნებით, ანუ რაშებზე ამხედრებულები მივქრივართ, ანდა თეთრი მტრედებით, რომლებიც საკმაოდ ძლიერნი არიან იმისთვის, რომ ორი ან სამი ადამიანი თავისუფლად ზიდონ. მე და ალუ იმ მცირერიცხოვან პერსონაჟთა რიგებს განვეკუთვნებით, ვისაც,თვით ჩაკეტილ ისტორიაშიც კი, ქისტურ თემებთან ღრმა და თემატური მიმართება გვაქვს და ამიტომ ამ თემებისკენ მიმავალი გზის გადასალახად, არც მერნებისა (ცხენებისა) და მტრედის ზურგზე გადაჯდომას ვსაჭიროებთ და არც რაიმე სხვა საგანგებო სატრანსპორტო საშუალებას – სიზმრის პირველი წუთებიდანვე ქისტურ თემებში ვჩნდებით. ქისტური ისტორიის ტერიტორიაზე ჩვენი გადასვლა თვალისდახამხამებაში ხდება – თითქოს უზარმაზარმა, თემის ციდან ჩვენსკენ ჩამოშვერილმა ხელმა მზრუნველად აგვიტაცა და მეორე მხარეს გადაგვსვაო. ზუსტად როგორ ხდება, ჩვენც არ ვიცით, მაგრამ ის, რომ ამ საქმეში რეალური თავის ხელი ურევია, ეს ცხადია.

როგორც წესი, ქისტური წიგნის უბნებში ყველა სახის ტრანსპორტს გვახვედრებენ. მონიკელებულ ავტობუსებს, ნებისმიერი მარკის, ძირითადად კი ქისტური წარმოების ელეგანტურ მსუბუქ ავტომანქანებს; ლივრეაში გამოწყობილი ქისტი მოსამსახურე პერსონალი თეთრ მერნებსა და მტრედებს, რითაც ჩვენები დაფრინავენ, მათთვის საგანგებოდ მოწყობილ მოედნებზე (მერნებს დიდ საჯინიბოებში, მტრედებს კი – თეთრ სამტრედეებში) აბინავებენ და უვლიან. სტუმრობის შემდეგ ჩვენი წიგნის პერსონაჟები იმავე საჰაერო გზით უკან, ჩვენს თემში ბრუნდებიან. ეს საჰაერო გზა კი ისეთ სიმაღლეზე გადის, სადაც უკვე ჩვენი თემატური პროექტორები, რადარები და რაკეტები ვეღარ სწვდებიან. ალუს გამოთვლებით ეს გზა სადღაც ძალიან შორს, ჩვენი თემის მეშვიდე ცის მიღმა, რეალური სამყაროს რომელიღაც ატმოსფერულ ფენას უნდა ჰკვეთდეს. ისე, მართლა არ არის გამორიცხული, რომ ქისტური წიგნების უბნებისკენ მიმავალი გზის დიდი ნაწილი რეალური მკითხველის თავის სამყაროში გადიოდეს. სამწუხაროდ, ჩვენ ყოველთვის ძირს დაუშვებლად მივქრით და ქვესადგურებშიც კი არ ვისვენებთ, რომ გარემოს მშვიდად დავაკვირდეთ და რეალურ სამყაროში ცოტა უფრო დიდხანს შევჩერდეთ. ცხენისა და მტრედის ზურგზე მოქცეულები თითქოს მათი ნაწილი ვხდებით და გადმოხტომას მაშინღა ვახერხებთ, როცა ქისტეთის მიწაზე ვეშვებით. როგორც კი ქისტეთის მიწაზე ფეხს ვადგამთ, ყველა ჩვენთაგანში უცნაური, მე კი ვიტყოდი, ისტორიული ცვლილებები ხდება: კეფაზე თემატურ

ზეწოლას ვეღარ ვგრძნობთ და თავისუფლად ვიქცევით. ელვარე მზის სხივები სახეზე გვეფინება და სიხარულისაგან გულს საგულეში ვეღარ ვიტევთ, ანუ, უფრო ხატოვნად რომ ვთქვათ, ჩვენი სულების აბობოქრებულ ტალღებზე გული საცობივით ხტის, – რასაც თავისუფლება ჰქვია. პირველი შთაბეჭდილება იმდენად თავბრუდამხვევია, რომ ფეხზე ძლივს ვდგავართ და ერთხანს გონს ვერ მოვდივართ. ჩვენს ამ მდგომარეობას ქისტები შეჩვეულები არიან, მხარზე მეგობრულად გვითათუნებენ ხელს და სულის მოსათქმელად ნათელი, მარმარილოს ფილებით მოპირკეთებული დარბაზისაკენ მიგვიძღვიან. ჩვენც სიხარულით მივყვებით და აკლიმატიზაციის შემდეგ, როცა ჩვენს სულებში აბობოქრებული ზღვა წყნარდება, თითქოს თვალწინ გემის კიჩოს ვხედავთ, რომელიც მშვიდ, დაუსაბამო სამყაროში მოგზაურობას გვპირდება. შემდეგ ქისტებს პატარა, კოხტა მაგიდისკენ მივყავართ, რათა ჩვენი მოგზაურობის ფორმალური მხარეები მოვაგვაროთ. ამ პროცედურას ფორმალურსაც ვერ ვუწოდებთ, რადგან ჩვენგან არც ანკეტების შევსებას ითხოვენ და არც საბუთებზე ხელის მოწერას. პირიქით, ქისტები თავიანთ ისტორიულ ტერიტორიაზე ჩვენს შვებულებას (ასე ჰქვია ქისტების ენაზე ჩვენს მოგზაურობას) დიდსულოვნად აფინანსებენ და ფულის დასტებს გვირიგებენ. ხევსური სტუმრის გასამასპინძლებლად ქისტები ხარჯებს არ ერიდებიან. ამის მიზეზი კი ის არის, რომ რაც უფრო კარგი წარმოდგენები შეექმნებათ ხევსურებს ქისტურ თემებზე, მით უფრო ხშირად დაადგებიან სიზმარში ქისტეთისაკენ მიმავალ გზას, მით უფრო მეტად გაქისტდებიან, ანუ მოკლედ რომ ვთქვათ, მით უფრო ქისტური გახდება მათი სიზმრებიცა და, შესაბამისად, თავად მათი ცხოვრებაც, რადგან სიზმრისეული განცდა თვითოეული პიროვნებისათვის (რეალური თუ წიგნის პერსონაჟისთვის) ძალზე მნიშვნელოვანია. ამ საკითხთან დაკავშირებით ქისტები დელიკატურად დუმან. ქების ღირსია მათი ზრახვები. დღეს უკვე აღარავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს ის ფაქტი, რომ ქისტები ჩვენი საბრალო ისტორიაზე გავლენის მოხდენას სწორედ სიზმრების მეშვეობით აპირებენ. სიზმრები კი მხოლოდ ჩვენი თემის წიგნის პერსონაჟთა ინდივიდუალური ძილისგან დაბადებულ მოვლენას როდი წარმოადგენს. მას განუზომლად დიდი თემატური მნიშვნელობაც ენიჭება. ჩვენ კიდევ მოგვეცემა შესაძლებლობა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი ისტორიის მნიშვნელოვანი შუა მონაკვეთი – ჩვენში მას მეორენაირად „მესამე თემატურ პროვინციასაც" უწოდებენ – უპირატესად სიზმარს განიხილავს, ასე რომ, ქისტების წიგნის სამყაროს ახალი პოლიტიკა ჩვენთან მიმართებაში, – კერძოდ კი, ჩვენთან ხელის ჩამორთმევის პოლიტიკა სიზმარში განახორციელოს, – ჩვენი თემის სტრუქტურაში პოულობს თავის დასაბუთებას. ჩვენი საერთო ისტორიის ტერიტორიაზე

ქისტური საქონლისა და ხელის ჩამორთმევის იდეის გავრცელების მიზნით თეთრი მერნების და მტრედების გამოგზავნა, ამ პოლიტიკასთან შედარებით, წარუმატებელი და თავიდანვე მარცხისთვის განწირული მეთოდი იყო. რადგან მერნები და მტრედები თემატურობას თემში მხოლოდ ჩემს თომინოში იძენენ, ამიტომ მათი გამოყენებაც წამგებიანი და ძალზე მოუხერხებელია. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ თვით რეალურ თავთა წარმოსახვის უკიდეგანო ძალაც კი უძლური აღმოჩნდა ჩვენს თემში მშვენიერი ქისტური ცხოველების, საქონლისა და იდეების ისტორიული უკვდავყოფისთვის. ჩემი აზრით, სიზმრის გზა, რომელსაც ქისტები ჩვენთან ერთად დაადგნენ, წინანდელი მეთოდებისაგან განსხვავებით, უფრო რეალისტურ, გონივრულ და ამდენად, იმედისმომცემ შთაბეჭდილებას ტოვებს.

სასეირნო ქისტური პასპორტი და ზოგადულად ფანტასტიკური იმპორტული საქონელი

მეორე, რასაც ჩვენ ქისტებისაგან მათი წიგნების უბნებში ჩასვლისას ვიღებთ, სასეირნო პასპორტი – ოფიციალური, ბეჭდით დამოწმებული საბუთია, რომელიც თითოეულ ჩვენგანს ქისტური წიგნის სამყაროში თავისუფალი ხეტიალის უფლებას გვაძლევს, რათა მათი ისტორიული ტერიტორიის ღირშესანიშნაობებს გავეცნოთ და ნებისმიერ ქისტ პერსონაჟთან (როგორც მთავარ, ასევე მეორეხარისხოვან პერსონაჟებთან) მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ. პასპორტი ნებისმიერ ქისტურ თემში შესასვლელი გასაღებიცაა. ჩვენს განკარგულებაშია სასტუმროები, გიდები, ტრანსპორტი, რომელსაც ქისტები პასპორტის წარდგენისთანავე გვთავაზობენ. ქისტური წიგნის სამყაროში გზის გასაკვლევად, პასპორტს საავტომობილო გზების რუკაც აქვს დართული, – თუ ქვეყანაში გიდის გარეშე მოვინდომეთ მოგზაურობა. პასპორტის ვადა ერთი სიზმრის დღე და ღამე, ანუ 24 სიზმრის საათი გრძელდება. 24 საათის შემდეგ ყველა ისტორიაში – ისევე როგორც ქისტეთსა და ხევსურეთში – წიგნის სამყაროს ახალი დღე იწყება და წიგნის პერსონაჟებიც რეალური თავების წინაშე წარმოდგენების გასამართად კვლავ საკუთარ თემებს უბრუნდებიან. საკუთარ თემებში წესდებისადმი მორჩილებას შეჩვეულები, ყოველგვარი ქისტურის მიმართ პატივისცემის გრძნობით ვართ გამსჭვალული, და ამიტომ, ინსტრუქციას არასდროს ვარღვევთ. როგორც წესი, ქისტური წიგნის უბნებში მოგზაური ხევსურები პასპორტის ვადის გასვლისთანავე აეროპორტში დროულად ცხადდებიან, სადაც მათ უკვე თეთრი მერნები

ელოდებათ. გამომშვიდობების სცენა ყოველთვის გულისშემძვრელია. აეროპორტამდე მასპინძლები, მთავარი და ძირითადი მეორეხარისხოვანი პერსონაჟები მიგვაცილებენ. ულამაზესი თაიგულებით ხელში მათი ელეგანტური მანქანებიდან (Alfa Romeo, Jaguar, Bluebird, Citroen, და ულტრათანამედროვე მარკის სხვა დანარჩენი ავტომობილებიდან გადმოვდივართ, ჯაზური ორკესტრი კი ქისტურ ხალხურ სიმღერას – „მე დავბრუნდები, ჰო, დავბრუნდები, როცა მე უკვე კვლავ დავბრუნდები"– უკრავს. განწყობილება სევდიანი არაა, რადგან უკან დაბრუნება იოლია. ქისტური წიგნის უბნების ალაყაფის კარები ჩვენთვის ყოველ დღე, უფრო სწორად, ყოველ ღამე ღიაა. ჩვენ მხოლოდ თეთრ მერნებს უნდა შემოვახტეთ და სიზმრის გზებით წიგნის დასავლეთით გავაქროლოთ. ერთადერთი, რაც მასპინძლებთან გამოთხოვების სცენას გვიწამლავს, ის გარემოებაა, რომ საკუთარ თემსა და თემატიკაში, შთაბეჭდილებების გარდა, თან ვერაფერი მიგვაქვს. ეს კანონი ჩვენს სასეირნო პასპორტებში საგანგებო პარაგრაფის სახით არის შეტანილი. ალბათ მიხვდებით, რა მძიმეც უნდა იყოს ჩვენთვის, დაბალგანვითარებული თემიდან ჩამოსული წიგნის პერსონაჟებისათვის ამ კანონის დაცვა იქ, სადაც გასაყიდად ყველანაირ საქონელს იხილავთ.

ქისტური ხელისუფლების ორგანოები, რომელთაც არ სურთ ჩვენს თემებს შორის სიზმრად მიმოსვლას რაიმე საფრთხე დაემუქროს, მკაცრად ადევნებენ თვალყურს, რომ არც ერთ ჩვენთაგანს უმცირესი რაელური ნივთიც კი არ წაჰყვეს თან და თემატური საიდუმლოს სამსახურის მუშაკებს, განსაკუთრებით კი თხის მწყემსებს, ხელში არ ჩაუვარდეთ, რაც, არსებითად, ხევსური წიგნის პერსონაჟების ქისტეთში მოგზაურობის საიდუმლოს ახდიდა ფარდას. საიდუმლოს დაცვა ჩვენს ინტერესებშიც არის და პრინციპში, ემბარგოს კანონის დარღვევის არც ერთი შემთხვევა ჯერ არ დაფიქსირებულა. საკუთარ თემში ქისტური ასანთის ყუთის წაღებასაც კი ვერავინ ბედავს. ხშირად იხილავთ, რა გამალებით იქექებიან ხევსურები საკუთარ ჯიბეებში გამგზავრების წინ, რათა დარწმუნდნენ, რომ არაფერი ქისტური თან არ მიჰყვებათ. ზოგიერთი ჯიხურისკენ გარბის და უკანასკნელ ქისტურ გროშებს ხარჯავს ცნობილი ქისტური ლუდის დასალევად, რომელსაც მთელი წიგნის სამყაროში ბადალი არ ჰყავს. იმ უგემური, ამჟავებული სითხის ხსენებაც კი არ მინდა, რომლებსაც ჩვენს თემებში ლუდად ასაღებენ. უკანწამსვლელმა ხევსურმა, ვინც ქისტურ თემებში ფულის დახარჯვა ვერ მოასწრო, ქისტურ ფულს ქისტურ ბანკში ინახავს, რომელსაც პროცენტი დაერიცხება და უკან დაბრუნების შემდეგ, ნებისმიერ დროს მოიხმარს. ასე რომ, ფაქტიურად, იქაური საქონლის იმპორტი სრულიად გამორიცხულია. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირე-

ბით, სარქველები არც ისე ჰერმეტულად არის ჩაკეტილი, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. ჩემდა გასაოცრად, ქისტური ნაწარმი ჩვენს თემში, არაერთხელ მინახავს. მაგ: სამკაულები, წაწვეტებული ფორმის ქისტური მზის სათვალეები, სხვადასხვა პოზებში გადაღებული ქალის შიშველი სხეულით დამშვენებული სანთებელა, მოდისა და პორნოგრაფიული ჟურნალები, რომლებსაც ხევსურ ახალგაზრდებს ხელში ხშირად დაუნახავთ. ჩვენი ისტორიის ტერიტორიაზე ყველა ეს ნივთი მხოლოდ სიზმარში მოგზაური ხევსურების გზით შეიძლება მოხვედრილიყო, ანუ იმ კანონის განზრახ დარღვევის საშუალებით, რომელიც ქისტური საქონლის იმპორტს კრძალავს. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი თემის რესტორნებსა და სახლებში ნამდვილი ქისტური ლუდის დალევაც შეიძლება. ისღა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ ხევსურ კონტრაბანდისტებს ეს ნივთები ჩუმად, საიდუმლო ჩანთებითა და ტანსაცმელში ჩაკერებული საიდუმლო ჯიბეებით გადმოაქვთ. მაგრამ მანქანები?! ქისტური მანქანების ჩვენს თემში არსებობა როგორღა უნდა ავხსნათ? ზოგი ხევსური დღეს უკვე იქაური მარკის ახალთახალ მანქანებს დააქროლებს. მანქანები რომ არა, ვიფიქრებდი, ალბათ, ქისტებმა ჩვენს თემში თეთრი მერნების ქარავანით თავიანთი საქონლის შემოგზავნა ისევ განაახლეს– მეთქი. მაგრამ, ჩვენი ისტორიის ტერიტორიაზე თეთრ მერნებს, ისევე როგორც ქისტურ ფრინველებს და ცხოველებს, ვეღარსად იხილავთ. არც არის გასაკვირი! თხის მწყემსებს ხომ მათ ამოსაწყვეტად ყველა სახის თანამედროვე იარაღი გააჩნიათ. ამიტომ (თეთრი) მერნები და მტრედები მოგზაურობის სურვილით შეპყრობილ ხევსურებს აქეთ-იქით, მხოლოდ სიზმრის გზებზე დააქროლებენ. წარმოუდგენელია, რომ ავტომანქანები ჩვენს თემში მერნებს შემოეზიდათ. რაშებს ბევრი რამ შეუძლიათ, ზიდონ, მაგრამ მსუბუქი ავტომანქანების წონა კი მათ ძალას ნამდვილად აღემატება. ასე რომ, ქისტური მანქანები ჩვენს ისტორიაში მთელ რიგ მოსაზრებებს ბადებს. უცნაურია, მაგრამ პოლიცია და თხის მწყემსთა უშიშროების ორგანოები ამ ფაქტით დიდად არ იწუხებენ თავს. ქისტური მანქანები აკრძალული არ არის. პირიქით, მას ხევსურულ ნომრებს ჰკიდებენ და თავში აზრადაც კი არავის მოსდის, მანქანის მფლობელებს უცხოეთთან საიდუმლო კავშირში დასდონ ბრალი. ჩვენს თემში ქისტური ტექნიკის გავრცელების მიზნით, ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან უსიტყო თანხმობის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ქისტური მსუბუქი ავტომანქანების მომრავლება, რომლებსაც ჩვენს ქუჩებში თხის მწყემსები მართავენ.

ჩვენსა და ქისტურ თემებს შორის ოფიციალური ურთიერთობა საკმაოდ ცივი და თავშეკავებულია, ამიტომ მეჩვენება, რომ ამ ყოველივეს

საეჭვო სუნი უნდა ასდიოდეს. საქმე რაღაცაშია. ეჭვი მაქვს, რომ სადღაც, ხევსურულ-ქისტურ საზღვარზე მანქანებით ვაჭრობა ჰყვავის და ქისტური პროდუქციაც ჩვენში სწორედ ამ გზით უნდა აღწევდეს. ამაზე მეტს, ალბათ, ვერც ვერასდროს შევიტყობ. ჩვენი წრის ადამიანმა რომ ამ სარფიან საქმეში მიიღოს მონაწილეობა და მოგებაც ნახოს, ან თხის მწყემსებს უნდა დაუმოყვრდეს, ანდა ჩვენი უბნის თემატურ ფუნქციონერთან მაინცი იყოს შეკრული.

ცხადია, მე და ალუს მანქანის შეძენის იმედი არ უნდა გვქონდეს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: ქისტური კომფორტით მხოლოდ ის ტკბება და უცხოეთიდან ყოველივე საოცნებოსაც ის იღებს, ვისაც თავისი უბადრუკი მრწამსის გამო, ყველაზე დაბალი შემოსავალი აქვს. დასავლური ბრწყინვალებითა და თავდაჯერებითაც სწორედ ისინი დაიარებიან და რომ შეხედოთ, ნამდვილი ქისტებისგან ვერც განასხვავებთ. რეალური თავებისაკენ მიმართული ჩვენი თემის ფრონტალური, თემატური ნაწილის ქისტურ გავლენებთან შეთავსება შეუძლებელია და ამიტომ, ეს ხალხი მანქანების სატარებლად ჩვენთან, ახალ შატილში ჩამოდიან. როგორც გახსოვთ, ახალი შატილი, რეალური თავების უკან, ჩვენი ისტორიული სივრცის არათემატურ მხარეს მდებარეობს და აქ ქისტური ნივთები თემთან დაპირისპირების გარეშე შეიძლება ატარო.

თოვლივით ჭათჭათა რაში ჩემი სიზმრისეული დაგადეგის ადგილას

ახლა კი მოკლედ მოგითხრობთ, თუ რა განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენენ ქისტები იმის გაგებისას, რომ მე ქისტური წიგნის პერსონაჟი ვარ. ქისტებს დაუჯერებლად ეჩვენებათ, როცა მე მათ ამ ამბავს გავუმხელ ხოლმე. ფიქრობენ, რომ ვტყუი. ჩემს შესახებ ამგვარ უარყოფით შეხედულებას ის გარემოებაც აძლიერებს, რომ მე მათთვის მხოლოდ სიზრის სტუმარს წარმოვადგენ, ვისაც საკუთარ ისტორიაში რეალური, თემატურად განმტკიცებული ადგილი და როლიც კი არ გააჩნია, ანუ იმას, ვინც მათთვის მხოლოდ დროებითი და უცხო სტუმარია. მათი ეს მოსაზრება მაშინვე სათუო ხდება, როგორც კი უზადო, უნაკლო, უაქცენტო ქისტურით დავილაპარაკებ ხოლმე. გაოცებისაგან პირდაღებული ქისტები თვალებდაჭყეტილნი და ყურებდაცქვეტილები შემომჩერებიან, რადგან ხევსურისაგან ქისტური ენის სრულყოფილი ცოდნა საოცრებად ითვლება. ამით იმის თქმას კი არ ვაპირებ, რომ ხევსურებს ქისტური ენა არ ესმით. ჩვენს თემში, განსაკუთრებით კი შატილის ახალ რაიონში, ქისტური ენის

შემსწავლელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. ყველაზე მეტი მსმენელი სწორედ ქისტური ენის შემსწავლელთა კურსებს ჰყავს, სადაც ჩვენი თემატური ხელმძღვანელობის შვილებიც კი დადიან. ცხადია, შედარებაც კი არ შეიძლება ჩემსა და მათ შორის: მე ამ ენით დავიბადე და გავიზარდე, ხოლო ისინი კი, ქისტ პერსონაჟებთან პრაქტიკის გარეშე ენის დაუფლებას ხევსურული გრამატიკული წიგნებითა და ტექსტებით ცდილობენ.

ჩემი სრულყოფილი ქისტურის მოსმენის შემდეგ ჩემს ქისტურ წარმოშობაში ყველა რწმუნდება და თავისიანად მიღებს. შემდეგ კი იმით ინტერესდებიან, სად დავიბადე. მეც სიამაყით ვასახელებ სოფელს, იმ დიდ რაიონს, სადაც ის მდებარეობს, კონკრეტულ მთებს, რომელიც მას გარს არტყია, ვუყვები ჩემი სოფლის გამოჩენილ ადამიანებზე (მებრძოლებზე, ცხენის ქურდებზე, პოეტებზე). ამ დროს გული გამეტებით მიცემს, ხომ შეიძლება მსმენელთა შორის ვინმე ჩემი ნათესავიც აღმოჩნდეს. ამიტომ ჩემს ქისტურ სახელსა და გვარსაც არ ვმალავ. ვიხსენებ პაპაჩემისა და მამაჩემის საქმიანობას, რომლებიც 12 ქარის წისქვილის მეპატრონეები იყვნენ და მთელ იმ მხარეში ყველაზე შეძლებულ ადამიანებად ითვლებოდნენ, ხოლო ხევსურთა წინააღმდეგ სისხლიან ბრძოლებში ჩადენილი მათი საგმირო საქმენი კი სიმღერებშია უკვდავყოფილი. ჩემი პერსონის წიგნის (პერსონაჟის) გაუყალბებელი ქისტური ფონი მათზე გამაოგნებლად მოქმედებს. თუმცა ერთი ნათესავიც კი არსად შემხვედრია, მაგრამ ჩემს წარმტაც მშობლიურ სოფელში, ჩემს სოფლურ თემში ტურისტად, შვებულების გასატარებლად ბევრი ყოფილა. როგორც კი ჩემს სოფელს ვახსენებ, მაშინვე ცდილობენ დამარწმუნონ, რომ იმ დროიდან, ბევრი რამ შეიცვალა და ჩემს ძველ, მშობლიურ თემს დღეს ვეღარ ვიცნობ. ცხენის კულტი, ცხენის ქურდობა და საერთოდ ცხენი დიდი ხანია, მთავარი აღარ არის. იქაურობას სხვაგვარი, წინანდელისაგან სრულიად განსხვავებული თემატიკა აქვს, უფრო სწორედ, თემა, ამ სიტყვის უხეში ხევსურული მნიშვნელობით – რომელიც ისტორიის მთელ პერსონალს თავისი რკინისებური კანონებით აუტანელ თემატურ დისციპლინას უმორჩილებს და ყოველ ნაბიჯს თხის მწყემსებს უქვემდებარებს – აღარ არსებობს. მე თავად გახლდით მშობლიურ სოფელში და იქაურობის არათემატურობა საკუთარი თვალით ვიხილე. ბავშვობის სანატრელი ადგილების მოსანახულებლად ჩემს ქისტურ წარმოშობაში დარწმუნებულმა ქისტებმა ავტობუსით წამიყვანეს. სახლი, სადაც დავიბადე, დიდი ხანია აღარ არსებობს. მის ადგილას თვალუწვდენელი ტურისტული სასტუმრო წამოუმართავთ. სენტიმენტალური სულაც არა ვარ, მაგრამ ნაცნობი ადგილების დანახვამ გული ამიჩუყა. რამდენჯერ მინადირია ჯიხვებზე ამ მთის ახოებში,

რამდენჯერ მომიშლია ჩიტებისთვის ბუდე! ანკარა, ყინულივით ცივი ნაკადული ისევ ისე მორაკრაკებდა, ამწვანებულ მინდვრებზე ტოროლას გალობაც ისევ ისე ატკბობდა ყურს, როგორც მაშინ, შორეული ბავშვობის ხანაში. ქისტური წალკოტის მარცხნივ, პირქუში ხევსურულ თემია. პირქუში–მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ დღეს ხევსურებს საზღვარი კიდევ უფრო მეტად გაუმაგრებიათ, ვიდრე მაშინ, ძველ დროს. წინათ თემების გამყოფი საზღვარი მთის ზოლი, ან მიწის ნაოჭი იყო, დღეს უკვე სასაზღვრო ზოლის გასწვრივ მავთულხლართები გაუბამთ და საგუშაგოები ჩაუმწკრივებიათ. ცხენის ქურდობა, რომელიც გაბედულებას კი მოითხოვდა, მაგრამ თითქოს ერთგვარად ნებადართულიც იყო, დღეს წარმოუდგენელია. ცხადია, თავი ვერ შევიკავე და ის საბედისწერო ადგილიც მოვინახულე, რომელიც საუკუნეზე მეტი ხნის წინ ჩემი პიროვნული ტრაგედიის ამოსავალ წერტილად იქცა. ირგვლივ უმნიშვნელო წვრილმანიც არ შეცვლილიყო. იგივე ბუჩქნარი, სადაც მერანს ჩავუსაფრდი, იგივე ველები და ფერდობები, რომელიც ქვემოთ ეშვება და ნაძვნარს უერთდება და რომელიც უკვე ხევსურული თემის კუთვნილებაა, სადაც ხევსური მესაზღვრეები მუდამ ფხიზლად დარაჯობენ. საზღვრის ქისტურ მხარეს კი გუშაგების ნაცვლად ბაბუაწვერები, ედელვაისები და მინდვრის სხვა ყვავილები მოჩანს. ელექტრო მავთულხლართებით შემოსაზღვრულ მინდვრებში კი (უწინ ასე არ ყოფილა) ნახირი არხეინად იცოხნება. მათ ელექტრო მოწყობილობებით წველიან. ძროხის ცურებიდან რძე სტერილურ მილებში ჩაედინება და ახლომდებარე ქისტური საზაფხულო კურორტის – ჩემი ყოფილი მშობლიური სოფლის – რძის მაღაზიებს, კაფეებსა და რესტორნებს შეუფერხებლად მიეწოდება. ასე რომ, ათასობით ტურისტი ახალმოწველილ რძეს პირდაპირ საძოვრებიდან იღებს. სიმსუქნისაგან ჩამრგვალებული საქონლისათვის მოშორებით გრძელი, სუფთად მოვლილი, თეთრად შეღებილი ბოსლები მოჩანს. ნახირის სადგომი საცხოვრებელი სახლებიდან შორს არის განლაგებული, რადგან ქისტეთში დიდი ხანია, მიღებული აღარ არის საქონელთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება, ან მათი ბოსლების სახლთან ახლოს აშენება. ქისტი გლეხი დღეს უკვე კომფორტულად ცხოვრობს და ნახირი სადღაც, შორს ჰყავს. საძოვრებამდე სუფთად მოასფალტებული გზატკეცილებია გაყვანილი და ქისტი გლეხებიც საძოვრებზე გარეკილ ცხვრებთან, ძროხებთან და თხებთან მანქანებით დაიარებიან. ჩემი საბედისწერო ადგილის მოსანახულებლად მისულმა მერანსაც მოვკარი თვალი, მაგრამ არა შავს. ამ უჩვეულო, თოვლივით ქათქათა ჯიშის რაშის მოშენება, როგორც ქისტი ფერმერისაგან შევიტყვე, მხოლოდ ქისტურ უბნებში ხდება. ცნობილია

თითოეული ცხენის გენეალოგიური ხე, რომლის სათავეც, რეალურ სამყაროში, ე.ი. რეალური ცხენით (რეალური ლურჯა ცხენებით) იწყება. გასაგებია ამ საკითხით ჩემი ცხოველი დაინტერესება და ქისტ ფერმერებს გაუთავებლად ლურჯა ცხენის წარმომავლობაზე ვეკითხებოდი. ყველა ერთსა და იმავეს მპასუხობდა. ამ იშვიათი ჯიშის ცხენის პირველი ეგზემპლარი თურმე რეალურ თავს ჩამოუგზავნია; როგორ და რა პირობებში, ვერც ერთმა ქისტმა ვერაფერი მითხრა. ამ საკითხის გარშემო ტყუილი და მართალი ერთმანეთში ირევა და უამრავ თქმულებას და ლეგენდას მოისმენთ. ერთ-ერთი ასეთი ლეგენდის თანახმად, პირველი თეთრი მერანი რეალური სამყაროდან ქისტებს მოუპარავთ. რეალური თავები განრისხებულან და მხოლოდ ქისტური წიგნის უბნების მეფეთა ბრძნულ, შემრიგებლურ პოლიტიკას მოუხერხებია მათი მრისხანების დაოკება და თეთრი მერნების ქისტურ თემებში შენარჩუნება. მეორე ვერსიის თანახმად კი პირველი თეთრი მერნები რეალური თავის მიერ ქისტი პერსონაჟებისათვის მათი თემების ბრწყინვალე (რეალური) ისტორიებისათვის გადაცემული მეფური საჩუქარია. ეს ყოველივე ფანტაზიის ნაყოფია: დღეს ცოტამ თუ იცის, რომ თეთრი მერნების ავტორი თავად მე ვარ. თეთრი მერნები ქისტი მუცალის რეალური იდეებია, რომლებსაც რეალურმა თავებმა დასტაცეს ხელი და შემდეგ, თავიანთი უკიდეგანო შემოქმედებითი წარმოსახვითი ძალის მეოხებით, ჩვენს სფეროებში განასხეულეს. თავად კონცეფცია კი მე მეკუთვნის. ამას ხომ ყველა ქისტს ვერ მოუყვები. სხვათა შორის, თეთრ მერნებზე ჩემს აბსოლუტურ ავტორობაზე უმნიშვნელო მითითებაც კი მათში გამაოგნებელ ურწმუნოებას იწვევს. ალბათ, დარეხვილიც კი ვგონივარ, როცა იგებენ რომ ცხენის პირველი იდეა მე მეკუთვნის. ხევსურული თემიდან რეალური მკითხველის თავში რაიმე იდეის გადატანის შესაძლებლობას ისინი არც კი უშვებენ. ასეთი რამ (ასე ამბობენ ხოლმე) – ჩვენში, წიგნის სამყაროს თავისუფალ ნაწილებში, სრულად ბუნებრივია, მაგრამ თქვენთან, ხევსურეთში, სადაც ყველა ბზარი და ნაპრალი დღემდე მკაცრი კონტროლის ქვეშაა, რაიმე არათემატური, – ანტითემათურზე რომ აღარაფერი ვთქვათ – გასხლტეს?! წიგნის პერსონაჟთა და რეალურ პირთა (თავთა) შორის კომუნიკაცია, უბრალოდ, წარმოუდგენელია. როგორ უნდა მოხდეს საერთოდ მსგავსი რამ?– როცა ვუყვები, როგორ შევძელი ჩვენის თემის შუალედურ სივრცეებში აღმართული მთის მწვერვალებიდან თემის ცაზე რეალობასთან კავშირის დამყარება, უბრალოდ, ჩუმდებიან. დამცინავ სახეებზე ეტყობათ, რომ ერთი სიტყვაც კი არ სჯერათ და თავაზიანობის გამო სდუმან.

არც თომინოზე წარმოთქმულმა ჩემმა მგზნებარე სიტყვამ მიშველა. გადაჭრით უარყოფენ ხის ნაფოტის – „თეთრი მერანის" – რეალურ ცხენთან დაკავშირების შესაძლებლობას და პარალელს თავიანთ სულელურ გასართობ თამაშთან ავლებენ, რომელსაც არავითარი ისტორიული ფონი არ გააჩნია, მაგრამ ზუსტად იმავე რაოდენობის ხის ნაფოტებით ითამაშება, როგორც თომინო.

ქისტური წიგნის სამყაროს ტერიტორიაზე შავი მერანით ჩემი საგედისწერო თავგადასავლის თემატიზაციის რამდენიმე პროგლემის შესახებ

ქისტთა შორის ისეთი მსმენელის მოძებნა, ვისაც შავი მერანისა სჯერა, კიდევ უფრო ჭირს. თუმცა კი განსაცვიფრებელი ცხენის ცნება, რომელსაც შეუძლია გადაევლოს უფსკრულებსა და, უმთავრესად კი ხევსურული თემის საზღვრებს, მათთვის ახალი არ არის. მათი საკუთარი თეთრი მერნებიც, რომლებიც ქისტისმოყვარე და ხელის ჩამორთმევისათვის მზადმყოფ ხევსურებს ზმანების გზებზე დააქროლებენ, ამავე ჯიშის ცხენებია, მაგრამ ეს ცხენები მხოლოდ თეთრონებია. ის, რომ შავრა ცხენიც იმავე გამწევი ძალისაა, ქისტური მეცხენეობისათვის უცხოა და ამიტომ ჩემს მტკიცებასაც ურწმუნოდ ისმენენ. ქისტებისათვის შავი მერანის ხევსურული წარმომავლობაც საეჭვოა. შავრა ცხენი ხევსურულ თემებში ფაქტიურად არ არსებობს. იგი მხოლოდ ლექსებისა და ხალხური ზღაპრების ბინადარია და საღად მოაზროვნე ქისტს თემში ამ პირუტყვის სხვაგვარი (რეალური) ყოფიერების ფორმა ვერც კ წარმოუდგენია. ქისტები ჯიუტად უარყოფენ იმ აზრს, რომ შავი მერანი რეალური წიგნის უბნის ავტორის შემოქმედებითი მონაპოვარია და მსგავსი გონჯი არსების რეალური თავიდან გაჩენის შესაძლებლობას უარყოფენ. ქისტებისათვის შავი ცხენი ისეთივე მონაჩმახია, როგორც ცხენით ჩემი გატაცების ნაღვლიანი ისტორია, და მეც, იმედგაცრუებული, ამ ამბავს იშვიათად თუ ვახსენებდი.

ჩემი მონაყოლის შემდეგ ქისტები ღიმილით მხარზე ხელს დამკრავდნენ და ქების ნიშნად მეუბნებოდნენ:„კარგი, კარგი!" – რაც სრულიად აშკარად მეტყველებდა იმაზე, რა არასერიოზულადაც ეკიდებოდნენ ჩემს ნათქვამს. ნეტავი რა სიკეთე იყო შავი მერანით ჩემს შემაძრწუნებელ თავგადასავალში. – განა ამან სამუდამოდ არ დამაკარგვინა მშობლიური ქისტური წიგნის უბნის სამყარო? ხევსურებთან იძულებითი გადასახლებით განა მისი უსიამოვნო (ქისტისმოძულე) თემის სამუდამო ტყვედ

არ ვიქეცი? განა მე, როგორც წიგნის პერსონაჟს, ისტორიულად მეორეხარისხოვანი როლი და სადღაც გადასაკარგში სიკვდილი არ მერგო? თემისა და თემატიკისათვის ალუდა ქეთელაურის ხელით ისე დავლიე სული, რომ თემატურად გაუმჯობესების მცირედი შანსიც კი არ დამრჩენია.

ისტორიულად ასე გაშეშებული, ჩამორჩენილი ხევსურული აზრის ტერიტორიაზე გატაცებით ჩემთვის სანუკვარი რამ სამუდამოდ დაიმსხვრა. ნუთუ ჩემს გატაცებას კეთილ ქისტთა გული თემატურად არ უნდა შეეძრა და მათი ეროვნული ღირსება გამოეღვიძებინა? დარწმუნებული ვარ, ეს სერიოზული საკითხები ქისტების უმრავლესობას არც კი გაუცნობიერებია, როცა მათ ჩემს ბოგრაფიას დაწვრილებით ვუყვებოდი. თითქოს მართლაც გულზე მოხვდათ ჩემი ნათქვამი, მაგრამ მე, მათი თემიდან გატაცებულმა თანამემამულე მუცალმა, მათში თანაგრძნობა კი არ აღვძარი, არამედ პირიქით, ისეთი ცუღლუტი მხიარულება, რასაც მათში წიგნის პერსონაჟის მიერ (და ალბათ, რეალური პირისაგან) რაიმე ანეკდოტის მოსმენა თუ ბადებს.

მხოლოდ ერთმა ახალგაზრდა, დაუდევრად ჩაცმულმა ქისტმა, რომელიც ავანგარდ მწერლად გამეცნო, გამოიჩინა ჩემი მონაყოლის მიმართ გულწრფელი, თუმცა უფრო საქმიანი დაინტერესება და მითხრა, რომ ამ საქმიდან უდაოდ რაიმე გამოვიდოდა და ამ თემაზე შექმნილი მოთხრობა, წიგნის უბანში დიდებულ ქისტურ სტილს შექმნიდა. საჭირო იყო ფონისთვის ცოტა უფრო მეტი რამ დამემატებინა, ჩემი გატაცების ფაქტი გამოგონილი, ანდა რეალური მოვლენებით შემევსო. ურიგო არ იქნებოდა, ხევსურულ თემებში ჩემი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ რეპორტაჟის მომზადებაც და თუ ყოველივე ამას თავს გავართმევდი, ორგანიზაციულ მხარეს ის თავის თავზე იღებდა და წიგნის კარგი უბნისთვის იზრუნებდა. ქისტური თემების პეიზაჟი ბევრი რამით ჰგავს ხევსურულს, და, რაც მთავარია, თუ ვინმემ იქ ახალი ისტორიის ინსცენირება მოინდომა, საამისოდ ყველა შესაძლებლობა ექმნება იმ პირობით, თუ ეს ისტორია საკმარისად რეალურია (ანუ რეალური მკითხველის თავებისათვის საინტერესო). მის განკარგულებაშია ნებისმიერი მოცულობის მიწის ნაკვეთი, ხოლო ისტორიისათვის საჭირო პერსონაჟთა თავმოყრას სულ იოლად შეძლებს, რადგან თემების თემატიკა ქისტური წიგნის სამყაროში მუდამ იცვლება და მარადიული არ არის (ქისტური თემის ცაზე რეალური მკითხველის თავთა უმნიშვნელო კლებაც კი საკმარისია, რომ თემა შეწყდეს, მისი ისტორია გაუქმდეს და პერსონაჟებიც მეორე, უფრო „რეალურ" თემებზე გადაერთონ, რომელთაც, შესაბამისად, მეტი გასავალი აქვთ);

ნებისმიერი ისტორიისათვის პერსონაჟების გამოძებნაც პრობლემას არ წარმოადგენს.

ცხადია, ახალგაზრდა ქისტი მწერლის წინადადება ერთობ მომხიბვლელია, თუკი ამით ჩემი პერსონაჟის ღირებულება უსასრულოდ, – აბსოლუტურ პირველხარისხოვნებამდე გაიზრდება, მაგრამ ეს ჩემთვის საშიშიცაა. დავუშვათ, ჩემი ისტორიის ქისტური წიგნის სამყაროში განხორციელება მოხერხდა. თხის მწყემსები, რომელთაც თავისი ჯაშუშები წიგნის სამყაროს ყველა კუთხეში ჰყავთ დაგზავნილი, ამის შესახებ მაშინვე შეიტყობენ. კერძო წიგნის უბნების საზღვარგარეთ გახსნა ყველა ხევსურ პერსონაჟს მკაცრად ეკრძალება. და თუ რომელიმემ, მწყემსების დაუკითხავად, საკუთარი თემის შესახებ რაიმე თემა საზღვრის გადაღმა ვინმეს გაანდო, ხევსურული კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯება. ანტითემატურობაში მხილებული პერსონაჟების წინააღმდეგ სასამართლო პროცესი აღიძვრება, სამუდამო კატორღა მიესჯება, რომელიც მან, ანტი და არათემატური პერსონაჟებისათვის საგანგებოდ მოწყობილ, სისასტიკით ცნობილ ხევსურულ ბანაკებში უნდა მოიხადოს. უამრავი შემთხვევა ვიცი, როცა ხევსურ პერსონაჟებს, უცხოეთთან უნებართვო თემატური კავშირის გამო, მწყემსებმა მოუსვლელში უკრეს თავი და თემში იგი სრულიად თემატური, თავისი მრწამსით თემის ერთგული, აბსოლუტური მეორეხარისხოვანი პერსონაჟით შეცვალეს. არანაირი სურვილი არ მაქვს, ამ საცოდავების ბედი გავიზიარო და ამიტომ ახალგაზრდა ქისტ მწერალს არაფერ კონკრეტულზე არ შევთანხმებივარ. დასასრულს კი იმ სამწუხარო გარემოებაზეც მინდა მივუთითო, რაც ქისტებს შორის შავი მერანით ჩემი უიღბლო ისტორიისათვის ნამდვილი მსმენელის პოვნის იმედს მაკარგვინებს. ქისტური წიგნის სამყაროს ტერიტორიაზე არც ერთი ჩემი ახლობელი და ნათესავი ცოცხალი აღარ არის. რომელიმე მათგანი მაინც რომ ყოფილიყო ცოცხალთა შორის, მოწმედ დამიდგებოდა და ამ უკეთური ცხენით ჩემი უკვალოდ გაქრობის ფაქტს მაინც დაადასტურებდა. დროდადრო ისიც ხდება ხოლმე, რომ აბსოლუტური მეორეხარისხოვანი პერსონაჟები წიგნის სამყაროს მარადიული, მაგრამ ციკლურად მუდმივად განახლებადი სიცოცხლის სფეროში – რომლებიც ასევე თავიანი წიგნის უბნის სინამდვილესთან მცირე თემატურ კავშირსაც აღარ ავლენენ – ქისტური წიგნის სამყაროს უბნის ისტორიის დასრულების შემდეგ, ამავე ისტორიის ახალ წრეზე, უკან აღარ ბრუნდებიან. ისინი წიგნის პერსონაჟების სულთა საუფლოში რჩებიან და წიგნის ძველ ქისტურ უბანში ხელახლა, იდეურ-შინაარსობრივად აღარ განსხეულდებიან. ისღა დამრჩენია იმედი ვიქონიო, რომ ჩემმა ძვირფას-

მა მშობლებმა და ათივე და-ძმამ წიგნის მეორე უბანში სხვა პერსონაჟების სახელითა და უმთავრესი ისტორიული ბედისწერით შეაღწიეს. ამის გადამოწმება შეუძლებელია, რადგან ეს ჩემს თეორიულ და პრაქტიკულ შესაძლებლობებს აღემატება. ქისტებში ჩემი პირველი სიზმარეული მოგზაურობისას ჩემთვის ძვირფასი საფლავებიც მოვინახულე და მდუმარედ არა მარტო გარდაცვლილთა სულები დავიტირე, არამედ ის სიმართლეც, რომელიც მათ იმ ქვეყნად თან წაიღეს. ქისტეთში იმ ქისტ პერსონაჟთაგან, რომლებიც ამ ბედუკუღმართი ცხენით ჩემს გატაცებას ესწრებოდნენ, აღარავინ ცხოვრობს. მოხუცები კი, ისევე როგორც ჩემი ნათესავები, ალბათ, ცოცხლებიც აღარ არიან. ახალგაზრდები, ბედის საძიებლად, წიგნის უბნებიდან უცხოეთში გაემგზავრნენ. ცხოვრებამ ისინი მთელს ქვეყნიერებაზე მიმოფანტა და მათ ძებნას სიზმრად სტუმრობის მოკლე დროში აზრიც არა აქვს. თანაც მათი სახელები და სახეები მეხსიერებაში ბუნდოვნად შემომრჩა.

PanaMeranican Airways

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ მაქვს სათქმელი თეთრი მერნების შესახებ, რომლებიც დღეს იმ დათარსულ მოედანზე ძოვენ, სადაც მე შემიპყრეს და საიდანაც ხევსურული ისტორიის ტერიტორიაზე გამიტაცეს. ჩემს კითხვაზე, თუ რატომ აძლევენ თეთრ ცხენებს ხევსურული თემის საზღვრებთან ასე თავისუფლად ნავარდის უფლებას (ხევსურ ჯარისკაცებს ისინი ხანდახან სასროლ მანძილზეც კი უახლოვდებოდნენ, რის გამოც ჩემი შეშფოთება გამოვთქვი. ხომ შეეძლოთ, თეთრი მერანისთვის რაიმე ევნოთ, ტყვია დაეშინათ, ანდა დაეჭირათ), შემდეგი პასუხი მივიღე: თეთრი მერნები ხევსურული თემის საზღვრებთან იმიტომ არიან, რომ გარკვეულ დროს ქისტებმა ისინი ხევსურული ისტორიის ტერიტორიაზე გადარეკონ. ხევსურულ ტერიტორიაზე შესევა გეგმაზომიერად ხორციელდება და რომელიმე ქისტი კოვბოის, ანდა ფერმერის ნებას კი არ გამოხატავს, არამედ მთელი ხევსურული ისტორიის ტერიტორიის მიმართ ქისტების მიერ გატარებული ალყის შემორტყმის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პუნქტს წარმოადგენს. არაერთხელ გავმხდარვარ მოწმე, როგორ შეჭრილა შურდულივით ქისტური თეთრი ცხენი ხევსურული თემის ტერიტორიაზე. ჩემთვის, თემატური უცხოელისათვის, მისი ნახვა სავსებით შესაძლებელი იყო. ვინაიდან, ჯერ ერთი, ამით ქისტების სახელმწიფო საიდუმლოებაზე ბევრს ვერაფერს ვიგებდი და მეორეც, ზემოთმოხსენიებული მანევრები სასაზღვრო ზოლის მრავალ ადგილას ტარდებოდა და, ამდენად, ამის დანახვა სულ იოლად შემეძლო.

თეთრი მერანი, რომელიც ხევსურული თემის ტერიტორიაზე იგზავნებოდა, სწრაფი და განსაკუთრებულად ღონიერი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ის მოთხოვნები, რომლსაც მას ამგვარი ისტორიული მნიშვნელობის ექსპედიცია უყენებდა, რთული და სახიფათო ჭახლდათ. თეთრონს ჰერმეტულად ჩაკეტილი ხევსურული ისტორიის ტერიტორიისაკენ მიმავალ ვიწრო და თავბრუდამხვევ სიზმრის გზებზე დიდი სიფრთხილე მართებდა. ეს გზები შეუიარაღებული თვალისთვის ფაქიზი, სემანტიკური კვანძივით უხილავია, რომელიც მთელი ხევსურული თემის სამყაროს ერთ გარკვეულ თემატურ წუთში კვეთს. ასე რომ, მერნები, რომლებიც ამ სამყაროში ერთი მხრიდან იჭრებოდნენ, შემდეგ უკვე მის მეორე მხარეს ჩნდებოდნენ. სიზმრის ყველა მსგავს გზას, თავისი კონკრეტული ხევსურული ისტორიისა თუ პოემის ტერიტორიის შიგნით, სიზმრის ცენტრი გააჩნია. ეს ცნება ქისტური წიგნის უბნის კვლევის შედეგად შეიქმნა და ისეთ სიზმარს გულისხმობს, რომელიც ხევსურული წიგნის პერსონაჟს საკუთარი თემების საზღვრებში ოფიციალურად, იქაური თემატური ხელმძღვანელობის მითითებით უნდა დაესიზმროს. ზემოთ დასახელებული სიზმრის გზები ამ სიზმრის ცენტრებიდან წიგნის სამყაროს ოთხივ კუთხით სხივისებურად მიემართება. მე დავათვალიერე ხევსურული თემებისა და მათ შორის ჩვენს თემებზე ქისტეთში შედგენილი ისტორიული ატლასები, სადაც ამ ტერიტორიების ჩვეულებრივი თემატური საკომუნიკაციო ქსელის თავზე საგულდაგულოდ არის აღნიშნული სიზმრის გზების უჩვეულო ფენომენი თავისი შესაბამისი სიზმრის ცენტრით.

პირდაპირ დაუჯერებელია: ხევსურული ისტორიის ტერიტორიის საზღვრებიდან გრძელი, ვერცხლისფერი მკლავებივით წაგრძელებული სიზმრის გზები უცხოურ და უმთავრესად კი, ქისტური წიგნის უბნების სამყაროს სწვდება. ეს გზები ყველა თემატური ისტორიის საზღვრების თავზეა გადაჭიმული და უახლესი ქისტური წიგნის უბნის გაკაშკაშებულ დედაქალაქამდე მივყავართ. შემდეგ კი ხევსურული კონტრდაზვერვის ზონებში მიიკლაკნება, სადაც სხვა შემთხვევაში შეღწევა შეუძლებელია და საზღვრის გასწვრივ განლაგებული ქისტური მერნების ფერმებთან იყრის თავს. უწვრილესი თოკებივით დაკიდებული გზები წიგნის სამყაროს ხუთივე კონტინენტს კვეთს. ამ სამყაროს ყოველი მნიშვნელოვანი წერტილი ხევსურული ისტორიის შუაგულს ზემოხსენებული გზებით უკავშირდება. მთელი სამყაროს მომცველი სიზმრის კომუნიკაციების გვერდით ხევსურული სატრანსპორტო გზების სისტემა თავისი შეზღუდული შესაძლებლობებით სწორედაც რომ სასაცილოა: მარშრუტების უმრავლესობა ხევსურული თემისა და მისი მომიჯნავე წიგნის სამყაროს უბნებს შორის სასაზღვრო პუნქტებთან შეუმჩნევლად წყდება. მოსაზღვრე

ქვეყნებში მხოლოდ რამდენიმე, დაკრუნჩხული თითების მსგავსი ხევსურული საჰაერო გზა იჭრება. ასეთი კავშირი მხოლოდ ზოგიერთი წიგნის უბნის სახელმწიფოთა შორის არსებობს, – ანუ ისეთ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც ისტორიულად ასევე Schisch-ით არიან შეერწყმნილნი და ამიტომ ხევსურებთანაც ბევრი საერთო გააჩნიათ. მთელი ხევსურული ისტორიისა და, შესაბამისად, პოემის ტერიტორიის მთელი წიგნის სამყაროსთან დაკავშირებული სიზმრის გზების აღმოჩენას საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც მხოლოდ ქისტების დამსახურებაა. ამ საჰაერო გზებს წიგნის სამყაროში, სამწუხაროდ, რეალური მნიშვნელობა არ გააჩნია. თვით ამ სიზმრის კომუნიკაციებს კი ქისტური საავიაციო კომპანიებისათვის უჩვეულოდ დიდი მოგება მოაქვს. სიზმრის საჰაერო ტრასები, რითაც ქისტური სამგზავრო თვითმფრინავები– Jumbos Concordes Boeings –სარგებლობენ, ტრანსატლანტიკის უსასრულოდ გრძელ გზას ამოკლებს და თავისუფალი ქისტური წიგნის სამყაროს ერთ კიდეს მეორესთან უმოკლეს ხანში აკავშირებს. აქამდე ქისტურ თვითმფრინავებს ტრანსატლანტიკის გზებით უხდებოდათ ფრენა, ვინაიდან ხევსურული წიგნის უბნის ვრცელი ტერიტორია ზემოთ მოხსენიებული სამყაროს ორ კიდეს შორის არის გადაჭიმული და ამ ტერიტორიის საჰაერო სივრცე, ისევე როგორც მისი სხვა დანარჩენი სივრცეები, უცხოური ტრანზიტული მიმოსვლისათვის მკაცრად იყო დახშული. ხევსურული თემების თავზე სიზმრის საჰაერო გზების გაყვანის შემდეგ ეს პრობლემა საბოლოოდ მოგვარდა. ქისტებმა ალღო აუღეს და მიხვდნენ, რომ ამ გზებით უნდა ესარგებლათ, ანუ თეთრი მერნები უნდა აემოქმედებინათ. ქისტურ ავიაკომპანიას, რომელიც ამ საჰაერო ხაზებს ემსახურება, „PanaMeranican Airways" ეწოდება და ქისტური წიგნის პერსონაჟები სამყაროს მეორე, თავისუფალ მხარეში მცხოვრებ ნათესავებთან უმოკლეს დროსა და ხელმისაწვდომ ფასში გადაჰყავს. სპორტით დაინტერესებული მგზავრები კი, საკუთარ შკჰისკჰ-ში გამომწყვდეული ეკლიანი ხევსურული ისტორიისა და პოემის ტერიტორიის თავზე, დამცავი ქამრებით თეთრი მერნების უნაგირზე ამხედრებულები მიფრინავენ. არსებობს უფრო მოხერხებული სატრანსპორტო საშუალებებიც, მაგ: თეთრი მერნების კომბინაცია ქისტურ სამგზავრო თვითმფრინავებთან – უფრო ხშირად კი Jumbos Boeings-თან. ისინი თვითმფრინავის ფრთების იმ ადგილას არიან შებმული, სადაც, ჩვეულებისამებრ, რეაქტიული ძრავა უნდა იყოს ჩამონტაჟებული. Jumbos გადაადგილება მხოლოდ თეთრი მერანის რეალური ცხენის ძალით არის შესაძლებელი. კომბინირებული საჰაერო ტრანსპორტი მგზავრებს ჩვეულებრივი თვითმფრინავის ყველა სიკეთეს სთავაზობს. თვითმფრი-

ნავების ბორტზე არის კინო, ბარი, ხოლო პირველი კლასის სალონში კი არამწეველთა განყოფილება და საერთოდ, დიდი ფართია. ფართი იმისთვის არის საჭირო, რომ ქისტურმა თვითმფრინავებმა სიზმრის ცენტრებიდან ხ გზად მგზავრების აყვანა და მათი თავისუფალი წიგნის სამყაროს რომელიმე მხარეში გადაყვანა შეძლოს. დღეს ფაქტიურად, ავიაკომპანია PanaMeranican ხევსურთა სიზმრად ფრენას ემსახურება და ისინი წიგნის სამყაროს დანარჩენ ტერიტორიაზე გადაჰყავს. როგორც ქისტები ამბობენ, ყოველგვარ ქისტურზე მეოცნებე ხევსურები თავად წარმოადგენენ კერძო, სრულიად დამოუკიდებელ, საკმაოდ ძლიერ სიზმრის ცენტრებს, ქისტური წიგნის უბნის სფეროებისაკენ მიმავალი კერძო სიზმრის გზებით. მერნები და თეთრი მტრედები მათთვის PanaMeranican-ს მუდამ მზადყოფნაში ჰყავს, რომელთაც იგი ამგვარ მეოცნებეთ მაშინვე უგზავნის, რათა ისინი ერთი სიზმრის განმავლობაში ხევსურული ისტორიიდან სუფთა (თავისუფალი) წიგნის სამყაროს ჰაერზე გამოიყვანოს.

„PanaMeranican Airways"-მა – როგორც იქ, ქისტეთში, სრულიად საიდუმლოდ გამანდეს – რეალური თავებიც კი დაიქირავა, ანუ ის რეალური მკითხველთას თავები, რომლებიც ხევსურულ თემებში განსაკუთრებულად გატანჯული წიგნის პერსონაჟისადმი თანაგრძნობით არიან გამსჭვალულნი და აზრის მთელ ძალას იქით მიმართავენ, რომ ეს პერსონა საკუთარი თემის მიღმა, უკეთეს ვითარებაში, ქისტებთან, ან თავისუფალი წიგნის სამყაროს სხვა რომელიმე ხალხებთან წარმოიდგინოს. უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებულად ქისტმოყვარე ხევსურებს ცუდი ხევსურული თემებიდან ქისტური წიგნის უბნებში დახმარებისთვის მუდამ მზადმყოფი რეალური თავის აზრის ძალა გადაისვრის ხოლმე. ამის განხორციელება კი მხოლოდ იმ ხევსურებთან არის შესაძლებელი, ვინც საკუთარი წიგნის უბანში ანტითემატურობით არიან ცნობილი და ვისთვისაც ისტორიული ადგილის შეცვლა ღრმა, შინაგან მოთხოვნილებად ქცეულა და ამიტომ, საკუთარ თემებში, როგორც გავარვარებულ ნაღვერდალზე, ისე გრძნობენ თავს. საკუთარი თემიდან საზღვარგარეთ ამ გზით მხოლოდ მე და ალუ გადავყავართ. არც კი ვიცით, ვინ არის ის კეთილი მკითხველი, რომელიც ქისტურ თემებში გადაგვტყორცნის ხოლმე, რადგან ეს მანევრი მხოლოდ მაშინ ტარდება, როცა გვძინავს, ანდა სიზმრებში ვართ წასული. ჩვენ, წიგნის პერსონაჟებს, მხოლოდ წიგნის სამყარო გვესიზმრება და არა რეალური სამყარო (ან რეალური თავები). ამის შესახებ არც ის ქისტი პერსონაჟები გვეუბნებიან რამეს, ვისაც რეალურ თავებთან კარგი ურთიერთობა აქვს (ვისაც ეს თავები სტუმრობენ). არც არის გასაკვირი, თუკი ქისტებს ჩვენი Schischური ისტორიის ტერიტორიაზე უკეთესი პოლიტიკის გატარება სურთ,

ცხადია, რეალური თავის (სამყაროს) მისამართიც სამხედრო საიდუმლოსავით უნდა დაიცვას და არ გასცეს.

ხევსურთა სიზმრებისათვის PanaMeranican საუცხოოდ არის მომზადებული. მას უამრავი მიმღები პუნქტი აქვს, სადაც ხევსურული წიგნის უბნის სამყაროს კერძო და საზოგადოებრივი სიზმრის ცენტრებიდან წამოსულ ტალღებს იღებენ და შიფრავენ, ანუ მისი კონკრეტული გამომგზავნის ვინაობას ადგენენ, რაც სრულიად შესაძლებელია, რადგან თითოეული სიზმრის ცენტრს საკუთარი რხევათა სიხშირე ახასიათებს და, ამდენად, მისი მეორე ცენტრისაგან განსხვავება იოლია. თუ რომელიმე ხევსური წიგნის პერსონაჟს თავის თემაში ქისტური წიგნის უბანი ესიზმრება, მაშინ PanaMeranican-ის რომელიმე მიმღებ პუნქტში შესაბამისი ნათურა ინთება და ქისტებიც მაშინვე ხვდებიან, რომელი სიზმრის მარშრუტია დაჯავშნული და დაუყოვნებლივ შესაბამის მერნებს უშვებენ. PanaMeranican-ს მგზავრების გადაყვანისათვის საუცხოო პირობები მაშინ ექმნება, როგორც კი ხევსურული თემის ტერიტორიაზე თემატური (საზოგადოებრივი) სიზმრის ცენტრი ძალაში შედის ანუ, როგორც კი პერსონაჟის სიზმარი, ხევსურული წიგნის უბანში რეალური თავის წარმოსახვის საგნად იქცევა. ამ დროს რხევათა სიხშირე მატულობს, ხოლო სიზმრის საგზაო ქსელი ყველაზე საიმედო ხდება. ამისათვის კი, PanaMeranican-მა რეალური მკითხველის თავებთან უნდა დადოს ხელშეკრულება, რაც ამ უკანასკნელთ დაავალდებულებს, ხევსურული ისტორიის ტერიტორიის შიგნით, თემატური ცენტრი სისტემატურად მოიძიოს, შესაბამის გვერდზე გადაშალოს და მასზე წარმოდგენები შეიქმნას. საჰაერო, უხილავი გზებით ფრენას PanaMeranican-ი ხევსურულ თემებში ოფიციალური სიზმრის დროის დადგომისთანავე იწყებს. ამის შესახებ ხევსურმა სახელმწიფო მოხელეებმა დიდხანს არაფერი იცოდნენ – სიზმრის სფერო, როგორც მეტაფიზიკური მოცემულობა, მათ საკონტროლო ხელსაწყოებს ხელიდან უსხლტება – და მის კვალს, ალბათ, თემში, ზოგიერთი პერსონაჟის გაუფრთხილებელი ნათქვამის შემდეგ თუ მიაგნებს. ყოველდღიურ თემატურ გაზეთში, ანტი და თემატური მოგზაურობის შესახებ რამდენიმე უსიამოვნო სტატია დაიბეჭდა. სხვა მხრივ კი, მათი პოზიცია ამ ფენომენის მიმართ არ დაფიქსირებულა და ამ საქმეს თავი მიანებეს. ალბათ, თვლიან, რომ წიგნის პერსონაჟთა სიზმრის სფერო ისტორიულად უმნიშვნელოა და ამიტომ არ ერევიან, ანდა - ეს მოსაზრება უფრო გამართლებულად მიმაჩნია – სიზმრის პრობლემის შესწავლას მაინც აპირებენ, რათა მისი გადაჭრის გზები მოძებნონ. როდესაც PanaMeranican -ის ტექნიკურ წარმომადგენლებს ხევსურული ისტორიის ტერიტორიაზე სიზმრის

ბლოკადის შესაძლებლობებზე შეშფოთებული ვესაუბრებოდი, ისინი მაშინვე მამშვიდებდნენ და მეუბნებოდნენ – მათ შეუძლიათ ყველაფერი აგიკრძალონ, აი, სიზმრებს კი ვერაფერს მოუხერხებენ – სიზმრებში თქვენ ხართ და იქნებით თავისუფლები და ჩვენც სწორედ ამით ვსარგებლობთ; ერთადერთი, რაზეც ხელი მიუწვდებათ, ისაა, რომ თქვენი კერძო სიზმარი, ანუ ძილი, შეამოკლონ. ესეც არაფერია! ჩვენ გვყავს მერნები, რომლებსაც შეუძლიათ სარეკორდო დროში, სიზმრის რამდენიმე წამში, ხევსურულ თემებს გადაევლონ თავზე.

ქისტური წიგნის უგნეგში ყველა სიზმრის ხევსური მგზავრთა ეთერული მდგომარეობის შესახებ

მას შემდეგ, რაც ქისტური ავიაკომპანიას PanaMeranican-ის საინტერესო დეტალებზე მოგახსენებთ, ქისტურ-ხევსურული თემის საზღვარზე ჩატარებული უჩვეულო მანევრებიც, ალბათ, უფრო გასაგები გახდება. ქისტური წიგნის სამყაროში სიზმრად სტუმრობისას ეს მანევრები არაერთხელ მინახავს. საზღვარზე ახალგაზრდა ქისტები დგანან – როგორც მითხრეს, ესენი PanaMeranican-ის კოვბოები, ანუ უბრალოდ, PanaMeranican-ელები არიან – და თეთრ მერნებს, მათრახის ტყლაშუნითა და „აჩუს" შეძახილით, ხევსურული თემის სასაზღვრო ხაზს აზრზე უსწრაფესად კვეთნენ და მათი ჭიხვინი მაშინღა აღწევს ჩვენამდე, როდესაც ისინი, უკვე ხევსურული ისტორიის ტერიტორიაზე შეჭრილები, ჩვენი თვალთახედვიდან ქრებიან. მწვანე ჩაფხუტებსა და ამავე ფერის ფორმებში გამოწყობილმა ხევსურმა ჯარისკაცებმა და ახალგაზრდა თხის მწყემსებმა დიდი ხანია უაზრო სროლა შეწყვიტეს. დიახ, წინათ, როცა ჯერ კიდევ ქისტური საქონლით დატვირთული მერნები ჩვენს თემებში რეალური გზებით აღწევდნენ და მძიმე ტვირთის გამო ისე ვერ დაჰქროდნენ, სროლას ჯერ კიდევ აზრი ჰქონდა. ახლა კი, ლურჯა ცხენები ჩვენთან მოუხელთებელი სიზმრის გზებით მოჰქრიან, რომლის წინაშეც კონტრდაზვერვის ყველა საშუალება უძლური აღმოჩნდა და რაშიც ხევსური სასაზღვრო პოლიციაც თანდათანობით დარწმუნდა. ამიტომ დგანან ასე უსაქმოდ და ალბათ, სიმწრისაგან გონდაკარგულები უყურებენ, როგორ აგზავნიან PanaMeranican-ის კოვბოები თეთრ მერნებს. ანდა ცაში, Jumbas, Boengs, Concordes მიშტერებიან, რომლებიც ასევე აზრზე უსწრაფესად, შეუჩერებლივ და შეუფერხებლივ, ჩვეულებრივი სარაკეტო ტექნიკისათვის სრულიად მიუღწეველნი,

ხევსურული ისტორიის ტერიტორიის ცაზე თავისი გზით მიჰქრიან.

ცხადია, ჩვენმა თემატურმა ხელისუფლებამ,PanaMeranican-ის ავიაკომპანიას საპროტესტო ნოტა გაუგზავნა, მაგრამ ისინი აღუშფოთველი სიმშვიდით აგრძელებდნენ ფრენას და ამიტომ პერიოდულად წიგნის სამყაროს ორ ნაწილს შორის, დიპლომატიური ურთიერთობაც წყდებოდა ხოლმე. ამ საკითხთან დაკავშირებით ქისტური პოზიცია ერთმნიშვნელოვანი და ნათელია. PanaMeranican-ი შორეულ ფრენას ახორციელებს არა სინამდვილეში, არამედ მხოლოდ წიგნის პერსონაჟთა სიზმარში. რეალური საჰაერო სივრცე არ წარმოადგენს ამ ავიაკომპანიის მოქმედების ველს და ამიტომ, რეალური საზღვრის დარღვევისათვის იგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო პასუხისმგებელი. გარდა ამისა, სიზმრად მგზავრობა მიჩნეულია წიგნის პერსონაჟთა პირად მოგზაურობად და არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქისტური მთავრობის მოქმედება. ხევსურული მხარე ამ პასუხს უნდა დასჯერებოდა და, როგორც ჩანს, – რაზეც ქისტური წიგნის სამყაროში განახლებული ხევსურული საკონსულოები და დიპლომატიური მისიაც მეტყველებს – PanaMeranican-თან მოლაპარაკებაც გამართეს. ის, რომ, ხევსურები ამ საკითხში დათმობაზე წავიდნენ, სრულიად გასაგებია. PanaMeranican-ი ვერ შეძლებდა რეალური ადგილის და, შესაბამისად, თემის გამოცვლას, ანუ ხევსურული წიგნის პერსონაჟების საზღვარგარეთული ისტორიის ტერიტორიაზე რეალურ გასვლას / წასვლას, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის ხევსურული ისტორიის (პოემის) თემატურ წესრიგს სერიოზულ საფრთხეს ვერ შეუქმნიდა.

როცა ხევსურული თემებიდან სიზმრად საზღვრის იქითა მხარეს ქისტებთან, ან წიგნის სამყაროს დასავლეთით მივემგზავრებით, თემებში ჩვენი მასალის შედარებით მძიმე ნაწილი რჩება. ამ მეორე ნახევარს, რომლისგანაც ჩვენ ვართ შექმნილნი, – ცხადია, სფერული განსხვავების გათვალისწინებით – ჩვენი „რეალური ნახევარი“ შეიძლება ეწოდოს. „რეალური“ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ეს ნაწილი არ არის და არც შეიძლება იყოს, ვინაიდან ჩვენ, წიგნის პერსონაჟები, საკითხავი, ანუ აზრობრივი მასალისაგან შევდგებით. ცნება „რეალური“ კი მხოლოდ პირობითი აღმნიშვნელია, და ნამდვილ მნიშვნელობას მხოლოდ წიგნის სამყაროს სფეროს საზღვრებში ინარჩუნებს. ჩვენი მასალის „რეალური“ ნაწილი ჩვენს თემებთან დაკავშირებული ნაწილია და ამავე დროს ჩვენს გარეგნულ ფორმასაც წარმოადგენს. ის იმ სხვა დანარჩენ ნიშანთა ერთობლიობასაც მოიცავს, რითაც წიგნის პერსონაჟი თავის თემშია ცნობილი და რითაც ის თემატურ კატალოგშია აღნიშნული. ეს ნაწილი ძილის ტყვე ხდება და ჩვენი სიზმრად გამგზავრების შემდეგ თემში

ჩამოხსნილი ნიღაბივით რჩება. ქისტებთან კი თავაშვებული სიხარულით ფრთაშესხმული ჩვენი მასალის განსაკუთრეული ნაწილი, ჩვენი ეთერული სხეული მიემართება. ეთერული სხეული სიზმრის საჰაერო გზებისაკენ მიფრინავს, სადაც მას PanaMeranican-ი ხვდება და, სურვილისამებრ, წიგნის სამყაროს ნებისმიერი უბნისკენ მიჰყავს. რადგანაც მთელი საკითხავი მასალა, რომლისგანაც ჩვენ, წიგნის პერსონაჟები შევდგებით, თავისი ბუნებით ისედაც იდეურია, ამიტომ ეთერულ და თემატურ სუბსტანციებს შორის პრინციპული სხვაობა არც ისე დიდია. როგორც ერთში, ასევე მეორე სხეულში, ერთნაირად გამოვიყურებით, ანუ იგივე სხეული და სახე გვაქვს. განსხვავებულია მხოლოდ ჩვენი აზროვნება, მეტყველება და ქცევა. თემატური საბურველის ჩამოხსნისთანავე ჩვენი ეთერული სხეული თემატური ზეწოლისაგან თავისუფლდება და არათემატური წიგნის უბნის პერსონაჟებისა და თავისუფალი (დემოკრატიული) წიგნის სამყაროში მცხოვრებ ადამიანთა მსგავსად, სიცოცხლით ვტკბებით. მაშინაც კი, როცა ეს ორი სხეული ერთმანეთთან დუნედ არის დაკავშირებული, თემატური საბურველი ეთერულ სხეულზე გარკვეულ გავლენას მაინც ახდენს. საკუთარი ისტორიისა და შესაბამისად, ლექსის ტერიტორიაზე განცდილი რეალური (თემატური) ყოფიერების სიმძიმე მრავალ პერსონაჟს რეალური (თემატური) მატერიისაგან შორს, ეთერულ მდგომარეობაშიც კი არ ტოვებს და ისეთივე გახევებული და შეცბუნებულია, როგორც მშობლიურ თემებში.

თემატური ბარიერის საბოლოოდ დაძლევას პერსონაჟი ქისტური წიგნის უბნებში ხანგრძლივად ყოფნის შემდეგ თუ ახერხებს. როგორც ჩანს, წიგნის პერსონაჟული მასალის გარე ფენა ისეთი გრანდიოზული ძალით აწვება ეთერულ სხეულს, რომ ამ ძალის შესასუსტებლად და ქისტური ისტორიისა და პოემის ტერიტორიაზე ნეტარების განსაცდელად აშკარად ხანგრძლივი სიზმრისეული თავისუფლებაა საჭირო. თემატური ბორკილებისაგან გათავისუფლებული პერსონაჟი ეთრეულ მდგომარეობაში უსაზღვრო კმაყოფილების გარდა ბევრ სხვა სიამოვნებასაც განიცდის. იგი თითქმის კარგავს წონას. მართლაც, საზღვრის იქითა მხარეს 1 კილოზე მეტსაც არ ვიწონით. ასე რომ, სრულიად გასაგებია, რატომაც უყვართ ხევსურთ განსაკუთრებით კი მდედრობითი სქესის პერსონაჟებს, საზღვარგარეთ PanaMeranican-ით აფრენა. მათ სურთ, რეალური (თემატური) ჭარბი წონისაგან სიზმარში მაინც გათავისუფლდნენ.

სხეულის სიმსუბუქე მათ ახალგაზრდულ მოხდენილობასაც მატებთ, რაც ჩასუქებულ-შეშუპებულ ხევსურ პერსონაჟებს თავიანთ

თემებში არ გააჩნიათ. ჩვენი მოძველებული ტერიტორიის ხალხზე წიგნის თავისუფალ სამყაროში სიზმრად სტუმრობა გამაახალგაზრდავებლად მოქმედებს და თავიანთი ისტორიული ძირებისაგან სრულიად განსხვავებულ პირობებში თვითშემეცნების უი შვიათეს და უძვირფასეს გზად იქცევა. ცხადია, ეს ვერც იმ მოკრძალებულ თავისუფლებას შეედრება, რომელიც ჩვენ, ყველას, ჩვენს თემებში წიგნის დამთავრების შემდეგ გვენიჭება ხოლმე. ამგვარი თავისუფლება სხვა არაფერია, თუ არა წარმოდგენათა შორის ანტრაქტი, ანუ დროებითი ინტერვალი. თუმცა ამ დროს ბევრი არაფერი გვევალება, მაგრამ თემისთვის მაინც მუდამ მზად უნდა ვიყოთ და მისი ცხოვრების სტილიც პედანტური სიზუსტით დავიცვათ. არათემატური საქმიანობა ან უნდა გავასაიდუმლოოთ, ანდა რომელიმე თემატურ ნიღაბს უნდა ამოვეფაროთ – როგორც თავის დროზე, – სანამ აგვიკრძალავდნენ, – თომინოს თამაშისას ვიქცეოდით ხოლმე; PanaMeranican-ით გაფრენა კი, პირიქით, თავად არის ხსნა, ანუ ჩვენი წყეული ისტორიის მარწუხებიდან გასხლტომას და ჭეშმარიტი, თავისუფალი (არათემატური) დამოუკიდებლობის მოპოვებას ნიშნავს. თუ პერსონა თემის ერთგული – თავისი ისტორიისა და, შესაბამისად, ლექსის ტერიტორიის მგზნებარე პატრიოტია, მაშინ ამ პერსონაჟის ეთერული სხეული აბსოლუტურ ზეწოლას განიცდის და თემატურ სხეულს თავს ვეღარ აღწევს. ის თემატურ სხეულშია გაჩხერილი და თუ დროულად არათემატური ჟანგბადი არ მიეწოდა, ისე იგუდება, რომ პატრონიც კი ვერ ამჩნევს. მკვდარი ეთერული სხეულის მქონე პერსონაჟს მხოლოდ თემატური სიზმრები ახასიათებს. ქრისტური წიგნის უბნებში მშვიდად მოსეირნე საკუთარი პერსონაჟის წარმოდგენას, რომელიც ლაღი ყოფიერებით ტკბება, ისინი სიზმარშიც კი ვეღარ ახერხებენ. წიგნის სამყაროს მეორე, თავისუფალ ნაწილში გადასასვლელი საჰაერო გზები მათთვის აღარ არსებობს, რადგან ეს გზები მიუწვდომლად მაღლაა წარმოდგენათა არათემატურ სფეროებში, სადაც ვერც ერთი თემატურად მეოცნებე ვერ აღწევს. მათი რეალური წონა ეთერულ სუბსტანციაზე ქვასავით ჰკიდია და აფრენას მხოლოდ უმნიშვნელო სიმაღლეზე ახერხებენ. სიზმრის მარშრუტი ამიტომ მათთვის სხვაგვარად უნდა შეირჩეს, ვიდრე იმ პერსონაჟებისთვის, რომლებიც სიზმარში თემატურად ნაკლებად დამძიმებულნი არიან. PanaMeranican-ის თვითმფრინავები, რომლებიც ძალიან მაღლა, თემების თავზე, არათემატური (საერთაშორისო) საჰაერო გზებით დაფრინავენ, თემატურად მეოცნებე პერსონაჟებთან გზად შევლას, მათი ისტორიიდან გამოყვანასა და წიგნის სამყაროს სხვა უბნებში გადაყვანას ვერასდროს შეძლებენ. PanaMeranican-ი ზედ ცხვირწინაც რომ დაუფრინდეთ, თემატურად

მეოცნებენი საზღვარგარეთ გამგზავრებას მაინც ვერ მოახერხებენ. პირიქით, თვითმფრინავს თავს აარიდებენ, ანდა თემატურ საჰაერო სივრცეში ქისტური ავიაკომპანიის შემოჭრით განრისხებულები გაიღვიძებენ.

სიზმრად ყოფნის ვადის გაგრძელება აკრძალულია

ახლა კი რამდენიმე სიტყვით წიგნის პერსონაჟთა ეთერულ და თემატურ სხეულებს შორის არსებულ კავშირზე მოგახსენებთ. ცხადია, ამ ორი სხეულის ერთმანეთისგან სრული გათიშვა შეუძლებელია. ჩვენი ეთერული სხეული ყველაზე დიდი გათიშულობისა და დამოუკიდებლობის მდგომარეობაშიც კი ჩვენს თემატურ სუბსტანციაზეა მიბმული. ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობა არც ერთ მათგანს არ შეუძლია. ეს ორი სხეული, შორი-შორს რჩება მანამ, სანამ სიზმრები გრძელდება, სანამ ჩვენ PanaMeranican-ის ტალღებზე ვართ ჩართულნი და სანამ PanaMeranican-ს ჩვენამდე თავისუფალი მოსასვლელი (მოსაფრენი) გზები აქვს. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ: ჩვენი თემატური *მე* თავისუფალია მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენს თემში თემატურად გვძინავს. ამ აუცილებელ წინაპირობას კი ასევე, რამდენიმე ნიუანსი აქვს. წიგნის თავისუფალ სამყაროში გასამგზავრებლად ყველა სახის ძილი არ გამოდგება. მაგ: ძილ-ღვიძილი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ თვითმფრინავებსა და მერნებს შევასხდეთ ან მათში ჩავსხდეთ. ამგვარი ძილი ან ვერ ქმნის სიზმრის გზებს, ან ეს უკანასკნელი თუ მაინც გაჩნდა, მაშინ ის, PanaMeranican-ისათვის სრულად გამოუსადეგარია. ამიტომ, თვით ისეთი ანტითემატური პერსონაჟებიც კი, როგორებიც მე და ალუდა გახლავართ, სიზმრის ამ ქვედა საფეხურზე, ყოველთვის თემაში ვრჩებით. წიგნის თავისუფალი სამყაროს უბნებთან საჰაერო ტრანზიტული მიმოსვლისათვის აუცილებელ წინაპირობას მხოლოდ ღრმა და ხანგძლივი ძილი ბადებს.

ჩვენი არათემატური (ეთერული) მე-ს თემატურისაგან პირობითი თავისუფლება ყველაზე უფრო უსიამოვნოდ მაშინ იჩენს თავს, როცა ქისტური წიგნის უბნებში ჩვენი ყოფნის ვადა იწურება, სიზმრები მთავრდება და ჩვენი ეთერული ნაწილი კვლავ თავის უხეშ, თემატურ სუბსტანციას უნდა დაუბრუნდეს, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, როცა ჩვენი ისტორიის ტერიტორიას უნდა დავუბრუნდეთ. რომ არ დაგვაგვიანდეს, ქისტეთში ყოფნისას ჯიბეში მუდამ PanaMeranican-ის მარკის მაღვიძარა საათები გვიდევს. ეს საათები თითოეული ჩვენთაგანის ძილის

ინდივიდუალური ხანგრძლივობის მიხედვით არის შერჩეული და ისეა მომართული, რომ თავის პატრონს ქისტურ მთავარ აეროპორტში გამოცხადების დრო ზუსტად ამცნოს. მაღვიძარას დარეკვისთანავე ყოველი სიზმრად მოგზაური ხევსური ხვდება, რომ შინ დაბრუნების დრო დადგა და შეუძლია, აეროპორტისაკენ მიმავალ გზას მშვიდად გაუყვეს, რადგან საათი თვითმფრინავის გასვლამდე ბევრად ადრე რეკავს. მაღვიძარას ფუნქციას ხანდახან ქისტი პერსონაჟებიც ასრულებენ --PanaMeranican-ის მომსახურე პერსონალი – რომელიც ხევსურ სტუმრებს იქ ყოფნის ვადის გასვლის მოახლოებას თავაზიანად შეახსენებენ ხოლმე. რამდენადაც კეთილგანწყობილია ქისტური ხელისუფლების ორგანოები ხევსური მგზავრების მიმართ, იმდენად ულმობელია, როცა საქმე შინ გამგზავრებაზე მიდგება. მათთან ამ დროს არც თხოვნა ჭრის და არც – შუამდგომლობა. მათ კი, ვინც ამ კანონს არ დაემორჩილება, PanaMeranican-ის მომსახურე პერსონალი დაუნდობელი პოლიციელივით ექცევა და აღრიალებულ-აფართხალებულ ხევსურებს თვითმფრინავისაკენ (მერნებისაკენ) ძალით მიათრევს. ქისტური ხელისუფლების ორგანოებს გულწრფელად სურთ, საკუთარი და ჩვენი (ხევსურული) წიგნის უბანთა შორის სიზმრად მიმოსვლისას ზომიერება შეძლებისდაგვარად დაიცვან და ამ უბანთა შორის ურთიერთობის გამწვავებით, საერთაშორისო სკანდალი არ გამოიწვიონ, რადგან მას შემდეგ, რაც საკონტინენტთაშორისო რაკეტები შეიქმნა, საზღვარგარეთის ქვეყნები ქისტური წიგნის სამყაროსთან უსიამოვნებას თავს არიდებენ და მათი ამგვარი საქციელიც, ალბათ, ამ მიზეზით აიხსნება. მართლაც, არაფერი ისეთი ადვილად აალებადი და ფეთქებადი არ არის, როგორც წიგნის უბნებია.

რაც უნდა იყოს, წიგნის პერსონაჟთა მარადიული ცხოვრება ხომ მხოლოდ ქაღალდზე წერია, ანუ ცეცხლსაშიშ და წარმავალ ნიადაგზე დგას. სწორედ ამიტომაც მართებთ წიგნის პერსონაჟებს, მსოფლიოში მშვიდობისათვის რეალურ პირობებზე მეტად იზრუნონ. თანაც ქისტურმა და სხვა უცხოურმა წიგნის უბნებმა ხევსურული ისტორიის თავზე გამავალი, მოხერხებული და პირდაპირი საკონტინენტთაშორისო სიზმრის მარშუტის შენარჩუნებაც უნდა შეძლოს და ამ მარშუტის წყალობით მათმა ავიაკომპანიებმა აურაცხელი ფული იშოვოს. ხევსური მგზავრების გარდა, რომლებიც სიზმრის კომუნიკაციებისთვის კონკრეტულ და აუცილებელ ენერგიის წყაროს წარმოადგენენ და ამიტომ უფასოდ ფრენის უფლება ეძლევათ, PanaMeranican-ის სხვა დანარჩენი მგზავრები ძვირს იხდიან. მათთვის სიზმრად მგზავრობა მომგებიანი საქმეა, რაზეც ისინი ვერც უარს იტყვიან და ვერც შეამცირებენ.

ხევსურული ხელისუფლება სიზმრად მგზავრობას უშუალოდ ვერ აკრძალავს, მაგრამ შეუძლია, საგრძნობლად შეუშალოს მას ხელი. მაგ: მშვიდობიანი მოსახლეობის დატერორებით, უმთავრესად კი ხევსურული თემების აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი პერსონაჟების დევნითა და მათ ნერვებზე თამაშით. ასეთ ვითარებაში პერსონაჟთა ღრმა, ჯანმრთელი ძილი ავადმყოფურად მფრთხალმა ნახევარმა ან მეოთხედმა ძილმა უნდა შეცვალოს, რაც მერნებით და რეაქტიული თვითმფრინავებით სიზმრად მოგზაურობისთვის აუცილებელ პირობას ვეღარ შექმნის. ქისტური წიგნის სამყაროს ინტერესებშია, წიგნის პერსონაჟთა რაც შეიძლება მეტმა თემატურმა სხეულმა ხევსურული თემების შიგნით ანტი და არათემატური ეთერული სუბსტანციები (მასალა) გამოამწყვდიოს და მათ შინაგან და გარე სამყაროს შორის დაპირისპირება კი იმდენად გააძლიეროს, რომ ვულკანურ ძალად იქცეს და წიგნის უბანთა მთელი Schisch-ური სისტემა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს. დღეს, როცა მრავალმხრივ განვითარებული სარაკეტო ტექნიკის გამო, ისტორიულ ცვლილებებში სამხედრო ჩარევა გამორიცხულია, ქისტური დიპლომატია მთელ იმედებს ყველა ხევსური პერსონაჟის მეორე (ანტი და არათემატურ, ან ეთერულ) *მე*-ზე ამყარებს. ხევსურთა ეთერული სამშვინველის მასალისაგან მომავალში ხევსურული წიგნის სამყაროს ტერიტორიაზე დიდ ცვლილებებს მოელიან. ქისტი პოლიტიკოსების აზრით, ეს მასალა ისეთი ძალას ფლობს, რაც ჩვენი თემის Schisch-სა და შესაბამისად, ისტორიას საბოლოოდ შესძრავს (გადაატრიალებს). ეს რომ აღსრულდეს, საჭიროა ეთერული სუბსტანცია თავის ადგილზე, ანუ ხევსურულ პერსონაჟთა თემატურ გარსში დარჩეს. სწორედ ამიტომ სურთ ქისტური ხელისუფლების ორგანოებს, რომ სიზმრის დამთავრებისთანავე ხევსურ პერსონაჟთა მეორე, ეთერული ნაწილი მუდამ დროულად დაუბრუნდეს ხევსურულ თემებს.

გარდა ამისა, ისინი ჩვენს ჯანმრთელობაზეც ზრუნავენ, რადგან არაფერი ისე არ შელახავს ჩვენს თვალში ქისტური უბნების პრესტიჟს, როგორც ამ უბნებში სიზმრად მოგზაურობიდან უკან დაბრუნებული ხევსური პერსონაჟების ავადმყოფური, ცოცხალ-მკვდარი იერი. თავიანთ თემებს წიგნის თავისუფალი სამყაროს საუფლოდან ხევსური პერსონაჟები განახლებული სასიცოცხლო ძალებით უნდა დაუბრუნდნენ – ეს PanaMeranican-ის პერსონალის ერთ-ერთი უპირველესი მცნებათაგანია. ხევსური პერსონაჟებისათვის ქისტური წიგნის უბნები ისტორიულ კურორტებად უნდა იქცეს, ანუ ისეთ კერებად, სადაც ისინი თავიანთ უმოწყალო თემას თავს დააღწევენ და საკუთარი ისტორიის ტერიტორიაზე შემდგომი ანტითემატური თვითდამკვიდრებისათვის

ძალებს მოიკრებენ.

თუ ხევსური პერსონაჟის ეთერულმა *მე*-მ მშობლიურ თემში დაიგვიანა და სიზმრის დამთავრებიდან თუნდაც ხუთის წუთის შემდეგ შეუერთდა შესაბამისი პერსონაჟის თემატურ მასალას, მაშინ მათთვის ქისტურ უბნებში სიზმრად მოგზაურობა საბედისწერო განსაცდელით მთავრდება. ამის შემდეგ ისინი ფხიზელ მდგომარეობაშიც კი, როცა უკვე წიგნის პერსონაჟის ეთერული სუბსტანცია თემატურში დიდი ხნის დაბრუნებულია, მძვინვარებისგან გონდაკარგული სახით დადიან.

ამ პერსონაჟებს ისეთი უსიამოვნო გრძნობა ეუფლებათ, თითქოს შინაგანად თემის ხელთ ყოფილიყვნენ. ეჩვენებათ, რომ საკუთარი ეთერული (ანუ ანტი, ან არათემატური) მე, სადღაც ისტორიაში დაკარგეს, რომელიც შეიძლება თხის მწყემსებმა შეიპყრონ და როგორც ისტორიულად მტრული ელემენტი, ისე ამხილონ. წიგნის პერსონაჟის ეთერულ *მე*-ს, თავისი ანტი-არათემატური არსით მაშინვე შეიცნობთ, თუ მას თემატური გარსი არ აკრავს, ან თემატური სახითა და ლაყბობით არ ინიღბება.

ისედაც მტკივნეულ გრძნობას, რაც წიგნის პერსონაჟთა თემატურ უსაფრთხოებას ვნებს, საშინელი გამოფიტულობის შეგრძნება სდევს თან. წიგნის პერსონაჟი ისე გრძნობს თავს, თითქოს რაღაც ძვირფასი ამოაგლიჯესო და შინაგანი სიცარიელის შემზარავი კომპლექსი უჩნდება. ფიქრობს, რომ ეთერული სხეული დაკარგა და ამიერიდან მხოლოდ თავისი წიგნის უბნების გამრუდებულ, თემატურ სფეროში მოუწევს არსებობა, ისე რომ, ქისტურ ისტორიაში სიზმრად გაფრენას ხანდახანაც ვეღარ შეძლებს. ეს კომპლექსი ქრონიკულ უძილობასა და ყველა შესაძლო საბედისწერო დაავადებისადმი მიდრეკილებას ავითარებს. წიგნის პერსონაჟთა შინაგან კონსტიტუციას ჯანმრთელობისთვის გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე რეალური პირებისთვის. ეს სნეულებანი მათთვის ნამდვილ ტანტალოსის წამებად იქცევა, რადგან თუკი ისინი რეალური თავებისათვის საკითხავ მასალას წარმოადგენენ, მაშინ უკვდავნიც უნდა იყვნენ,ანუ მუდამ თავიანთი წიგნის უბნებში იმყოფებოდნენ და ამიტომაც ვერანაირი სიკვდილი მათ ტანჯვისაგან ვეღარ იხსნის. ეს კი ამ პირებს ისეთ მდგომარეობას უქმნის, რაც საკუთარი (ხევსურული) თემების ინტერესებს ყველაზე უკეთ პასუხობს და ამიტომ, იმის საწინააღმდეგო შედეგს იწვევს, რის მიღწევასაც ქისტი დიპლომატები ამ თემებში ასე ესწრაფვიან. ამ კომპლექსით სერიოზულად შეპყრობილ პერსონაჟებს ერთადერთი სურვილი ეუფლებათ: კერძოდ კი, თავიანთი წიგნის უბნების თემატურ წარმოდგენებში რაც შეიძლება დიდხანს და ხშირად დაკავდნენ,

რადგანაც ეს წარმოდგენები მათ ყველა ტანჯვისაგან ათავისუფლებს და ისინიც საღსალამათი და ჯან-ღონით სავსენი ხდებიან. თემატური წარმოდგენის დამთავრებისთანავე ასეთი პერსონაჟი კვლავ ავადდება. ამგვარმა მდგომარეობამ გამოიწვია ის, რომ ავადმყოფობის შემდეგ ერთ დროს ანტი და არათემატურად განწყობილ პერსონაჟებს მხოლოდ თემატურად ფიქრი (მეტყველება) უნდებათ და სასოებით ელიან, როდის გადაშლის რეალური პირი მათ თემს და წარმოდგენას გაამართვინებს – მათ ტანჯულ მდგომარეობაში ამის გაგება არც თუ ისე ძნელია. არათემატური გზებით (სიზმრის გზებით) შეძენილი ავადმყოფობა ხევსურული თემების შიგნით მხოლოდ ამაზრზენ თემას განამტკიცებს. ხევსურ პერსონაჟთა ეთერული სხეულების ჯანმრთელობისათვის თავად დაგვიანებაა მეტად საზიანო და მასთან შედარებით სხვა დანარჩენი უსიამოვნებანი, რომელსაც ეთერულ სხეულებს მათი დაგვიანება უქმნის, უმნიშვნელოც კია. PanaMeranican-ი დაგვიანებულ ხევსურ მგზავრებს მშობლიურ ისტორიაში უკან ვეღარ დააბრუნებს, რადგან იძულებულია, მკაცრად დაიცვას სიზმრის დრო, რაც ხევსურული უბნების თემაზე საჰაერო მიმოსვლის უძირითადეს პირობას წარმოადგენს. როგორც კი ხევსურულ თემებში სიზმრები დასასრულს უახლოვდება, ანუ როგორც კი წიგნის პერსონაჟთა თემატური ძილიდან გამოღვიძების ჟამი დგება, ხევსურულ ისტორიასთან დამაკავშირებელი ყველა ეთერული გზაც ფერმკრთალდება და ქრება, ანუ საჰაერო გზები კარგავენ ძალას და PanaMeranican მუშაობას ამთავრებს. როგორც ხედავთ, PanaMeranican-ული ავიაცია მთლიანად განსაზღვრულია თითოეული ხევსური პერსონაჟის სიზმრის ხანგრძლივობით და სრულიად დამოკიდებელია ხევსურულ თემებში მძინარე პერსონაჟებზე, რათა თავის საქმიანობას თამამი მასშტაბები შესძინოს. PanaMeranican პუნქტუალურად უნდა აფრინდეს, თუკი სურს რომ მისი მერნები, რეაქტიული თვითმფრინავები და ა.შ. ხევსურული თემის ციდან შუა ფრენისას არ ჩამოცვივდეს და კატასტროფა არ განიცადოს. ამიტომაც ვერ ისარგებლებს PanaMeranican-ის ავიაციით დაგვიანებული ხევსური მგზავრი ხევსურეთში დასაბრუნებლად. დაგვიანებული მგზავრი მაშინვე რეპატრიაციის მსხვერპლი ხდება. ამ დროს ყველაზე ნათლად ვლინდება, თუ რა დაუმარცხებელია ხევსური პერსონაჟის თემატური სუბსტანციის ძალა იმავე პირის ეთერულ მასალასთან შედარებით, და ის საბედისწერო კავშირიც აშკარავდება, რომელიც წიგნის პერსონაჟის ამ ორ, დაპირისპირებულ ნაწილებს შორის არსებობს. გამოფხიზლებული თემატური სხეული დაგვიანებულ ხევსურთა ეთერულ სუბსტანციას მიიზიდავს და ისინიც მაღლა ჰაერში

ვერტიკალურად მიიწევენ. შემდეგ კი თემატური გრიგალი მათ ეთერულ სუბსტანიას საკუთარი ისტორიისკენ მიიტაცებს. ქანცგამოცლილ ხევსურ პერსონაჟთა ეთერული სხეულები თავად გარდაისახებიან მფრინავ ობიექტებად და ენით უთქმელი სისწრაფით, რაც ხშირად თვით PanaMeranican-ის ტემპსაც კი აჭარბებს, თემატური სამშობლოსაკენ მიჰქრიან. სასაზღვრო მთის ზოლზე ჩამოწოლილ ღრუბელთა ფენებში წვიმას, სეტყვასა და ქარბუქს გაკვეთენ, რაც სიამოვნებას კი არ განაცდევინებს, არამედ მათ ეთერულ ჯანმრთელობას დიდადაც ვნებს და ეთერული ფილტვების ტვინსა და დიაფრაგმას ანთებას უქადის. წიგნის დედამიწის სფეროს თავზე, ათასობით მეტრ სიმაღლეზე თავისუფალი ქროლვა ერთობ დამთრგუნველი გრძნობაა და ხევსურ პერსონაჟებს ნერვულ კრიზში აგდებს. როგორც წესი, მრავალი მათგანი გზაშივე კარგავს გონს და საკუთარ თემებსა და თემატურ სუბსტანციებს ასე გონმიხდილი უბრუნდება.

ეთერული „მე"-ს გონმიხდილობა კარგა ხანს გრძელდება და პერსონაჟში ეთერული არასრულფასოვნების კომპლექსის და თემატურ ღირებულებათა გადაფასების მიზეზი ხდება. ნაძალადევი მოგზაურობის შემდეგ გონსმოგებული ეთერული „*მე*", თავს შეუძლოდ გრძნობს, საკუთარი თავის რწმენა ძლიერი კრიზისის დაძლევის შემდეგ უბრუნდება და საკუთარი სხეულის დასნეულებულ-დასახიჩრებულ ნაწილებს ხედავს. მოტეხილ ხელ-ფეხს კიდევ რა უჭირს? თემატურ ისტორიაში იძულებით შეწოვილ დაგვიანებულ ხევსურ პერსონაჟებს, როგორც წესი, სახეც ამაზრზენად უმახინჯდებათ (ეთერულ სხეულზე ღრმულები უჩნდებათ). მრავალი მათგანი ცხვირს, ყურებს, ხანდახან ორივე თვალსაც კარგავს. მოკლედ, იძულებითი მგზავრობა ხევსურ პერსონაჟთა ეთერულ ნაწილს შემზარავად აძაბუნებს, რადგან მაგნიტური ძალა, რომლითაც წიგნის პერსონაჟთა თემატური სხეულები ხევსურული თემებიდან საკუთარ ეთერულ სუბსტანციებზე ზემოქმედებენ, მუდამ ცვალებადია. იგი პერიოდულად, რამდენიმე წამით წყდება, რათა შემდეგ მოქმედება გაორმაგებული ძალით განაახლოს. შედეგი კი ის გახლავთ, რომ ეთერული სხეული, რომელსაც თემატური სხეული მიიზიდავს, ხან ზევით აიჭრება ცისკენ, ხანაც ქვევით ვარდება და ფრენისას წრეს კი არ კრავს, არამედ ზიგზაგისებურად, მიხვეულ-მოხვეული გზებით მიფრინავს და უცაბედად წიგნის სამყაროს სხვადასხვა მასალას ეჯახება: მთის მწვერვალებს, ხის ვარჯს, სახლის ფრონტონებს და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ დასასრულს ჭრილობებით დასერილი ეთერული სხეული სისხლისგან იცლება და დიდი ხნის შემდეგ თუღა ახერხებს, ცოტათი მაინც აღიდგინოს ჩვეული მდგომარე-

ობა. დაგვიანება ხევსურ პერსონაჟს უკიდურესად დასახიჩრებულ, თემატურ სუბსტანციას უტოვებს, რომელიც თემატურ გარსზე ისეთი დამოკიდებული ხდება, რომ იძულებულია, სიზმრად ფრენაზე საერთოდ აიღოს ხელი. უმოძრაო მდგომარეობაში ჩავარდნილი, დასახიჩრებული ეთერული სხეული, დროთა განმავლობაში, თავისი თემების სულ უფრო ძლიერ გავლენას განიცდის, თანდათანობით კარგავს უწინდელ ანტი და არათემატური წიგნის მსოფლგანცდას და პერსონაჟის დამოკიდებულ, დანამატ თემატურ სუბსტანციად გადაიქცევა, ანუ ამ პერსონაჟის სავსებით უპრეტენზიო, სრულიად დასახიჩრებულ სულიერ შინაარსად. ცხადია, ასეთი გადაგვარება არ შეიძლება ქისტური წიგნის სამყაროს პოლიტიკურ ინტერესებში იყოს, რადგან მათი პოლიტიკა იმაზეა ორიენტირებული, რომ ხევსურ პერსონაჟთა ეთერულ სხეულებში თემატური სული გამოაღვიძოს, მხარი დაუჭიროს მას და ყველა საშუალებით გამოკვებოს. ის, რაც დღეს ქისტებს სურთ, ეს ყველა ხევსურულ თემებში ეთერული საიდუმლო ფრონტის, ანუ საჰაერო გზების შექმნა-შენარჩუნებაა, რომელიც ყველა ხევსურ პერსონაჟს განმსჭვალავს და რითაც ქისტები საზღვარგარეთ მათ შინაგან განსვლას და ამ პერსონაჟთა თავისუფალ, ხელის ჩამორთმევით აღსავსე წიგნის სამყაროში სიზმრად ყოფნის შესაძლებლობას უზრუნველყოფენ.

ცხადია, ეს არ მეტყველებს იმაზე, რომ ქისტურმა მხარემ ხევსურული თემების (თემატიკის) გაუმჯობესების იმედი დაკარგა. თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ისინი ხევსურული წიგნის სამყაროს თემატურ აზრობრივ მასალას, იმ გულწრფელი შეშფოთებიდანაც ჩანს, რასაც ისინი თემებში დარჩენილი, ჩვენი მძინარე თემატური სხეულის მიმართ იჩენენ. ეს კი სულაც არ არის ფორმალური, უმნიშვნელო წვრილმანი. მათი ღელვა ამტკიცებს, რომ ისინი ხევსურული ისტორიის ტერიტორიაზე ისტორიულად ჯანმრთელი თემატიკით, ანუ ნამდვილი ხელის ჩამორთმევის განწყობილებით განმსჭვალული აზრობრივი მასალით არიან დაინტერესებულნი. როცა ქისტი მასპინძლები ჩვენს თემატურ სხეულებს მოიკითხავენ ხოლმე, მაშინვე ვხვდებით, რასაც გულისხმობენ და ვპასუხობთ – ჩვენი თემატური სხეულები ისევ ვერ არიან კარგად. – ხანდახან კი იმ ვირუსსაც ვასახელებთ, რომელიც სხეულის გამოფიტვას იწვევს. ეს არის მოკლე სიტყვა "Schisch", რომელსაც სევდიანად ამოვიხვნეშებთ ხოლმე, რაზეც ქისტები თანაგრძნობით გვიქნევენ თავს. მოგვიანებით ქისტებმა ვიზაში ყველა ხევსური პერსონაჟისთვის ძალზე ხელსაყრელი პარაგრაფი შეიტანეს, რის საფუძველზეც ისინი ქისტური წიგნის სამყაროში ეთერული სხეულის გარდა თავიანთი თემატური სხეულების შეთრევასაც ახერხებენ. ასეთ პერსონაჟებს ქისტეთში

მაშინვე აძლევენ მოქალაქეობას და წიგნის პერსონაჟული კარიერისთვის ყველა პირობას უქმნიან. მტრის მხარეზე გადასული ასეთი ბედნიერი ხევსური ბევრი არ არის. როგორც ქისტები ამბობენ, ესენი მხოლოდ აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, ანუ, თემატურ-ხევსურული თვალსაზრისით, სრულიად უმნიშვნელო პროფესიის ადამიანები არიან. მაგ: რამდენიმე მსახიობი, ფეხბურთელი, ტანმოვარჯიშე, მოცურავე, ანდა ბალეტის მოცეკვავეები. უკლებლივ ყველა გამოქცეული პერსონაჟი ახალშატილელია, ანუ, ჩვენს თემებში ერთადერთი ანტი და არათემატური უბნიდანაა, რომლებიც თავიანთ ხელოვნებას ასე ოსტატურად, სახელმწიფო თემატურ ინსტიტუტებსა და ახალშატილის უმაღლეს სასწავლებლებში დაეუფლნენ. ქისტური წიგნის სამყაროში გასხლტომას ისინი კულტურული გავლენის მიზნით იქაურ თემებში ჩასული დელეგაციების მეოხებით ახერხებენ. ვერც გაამტყუნებ! ქისტეთში მოცეკვავე ანდა სპორტსმენი პერსონაჟი დიდ სულიერ ღირებულებას იძენს და წიგნის უბნის მთავარი პერსონაჟობის მიღწევაც კი შეუძლია. ასეთი თავბრუდამხვევი აღმასვლა ხევსურულ თემებში, სადაც პერსონაჟთა პროფესია, თემის თემასთან შედარებით, აბსოლუტურად მეორეხარისხოვანია, აპრიორულად არის გამორიცხული. ასე რომ, სავსებით გასაგებია, როცა ხევსური პერსონაჟი მეზობელი წიგნის სამყაროს თემებში, უმთავრესად კი ქისტეთში, ამ გზით ცდილობს მოხვედრას. სხვათა შორის, დროთა განმავლობაში ეს გზაც გართულდა. ჩვენი თემის მწყემსები, მსგავს დეზერტირებთან მიღებული გამოცდილების შემდეგ, მხოლოდ მრავალჯერ შემოწმებულ, ისტორიულად საიმედო ხევსურ პერსონაჟებს (აბსოლუტურად მეორეხარისხოვან პერსონაჟებს) აძლევენ სრული, თემატური და ეთერული პერსონით საზღვარგარეთ გამგზავრების შესაძლებლობას.

წიგნის უბნიდან ჩემი გაქცევა, როგორც ონტოლოგიური შეუძლებლობა

თუ რა აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქისტები ხევსურული ისტორიის ტერიტორიაზე თემატური განვითარების საქმეში, იმ დამოკიდებულებიდანაც აშკარად ჩანს, რასაც ისინი ჩემი, ქისტური პერსონაჟის – მუცალის მიმართ იჩენენ. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ Schisch-ნარევი ხევსურული თემატიკიდან თავისუფალი წიგნის სამყაროს სფეროში გაქცევის შესაძლებლობა ჩემთვის გაცილებით უფრო რეალურია, ვიდრე სხვა დანარჩენი ხევსური პერსონაჟებისთვის. თუ

მათთვის სიზმრის თავისუფალი განზომილება საბოლოო გაქცევის გზად ჯერ კიდევ ვერ ქცეულა, PanaMeranican-ის ფრთები მათ კვლავ და კვლავ ხევსურულ თემაში აბრუნებს, მე, ქისტი მუცალი, ერთადერთი პერსონაჟი ვარ, ვისაც იმავე ავიაკომპანიის მეშვეობით ქისტური წიგნის სამყაროში სამუდამოდ გაუჩინარება შეუძლია. ეს კი ქისტების მონდომებაზეა დამოკიდებული, თუმცა კი ვერ რისკავენ. მათი მზრუნველი თავშეკავება იმ დიდი თანაგრძნობის გამომხატველია, რასაც ისინი ჩვენი ხევსურული ისტორიის ტერიტორიაზე საგანთა თემატურობის მიმართ იჩენენ. ახლა მთავარზე მინდა მოგახსენოთ: როგორც ჩანს, ჩემი ეთერული სხეული ბევრად უფრო თავისუფალი და დამოუკიდებელია თავისი თემატური ორეულისაგან, ვიდრე სხვა დანარჩენი წიგნის პერსონაჟებისა. ჩემს უპირატესობას ცნობილი ქისტი მეცნიერები, ფილოსოფოსები და ანთროპოლოგებიც ერთხმად აღიარებენ. ამ ამაღელვებელ ჰიპოთეზას საფუძვლად ჩემი საყოველთაოდ ცნობილი ქისტური წარმოშობა ედო.

მას შემდეგ, რაც საზღვრის იქითა მხარის წიგნის უბანთა ხშირი და სასურველი სტუმარი შევიქენი, ახლო მეგობრებთან საუბრისას აუცილებლად თავს იჩენს ხოლმე კითხვა: შესაძლებელია თუ არა, სამუდამოდ გამოვეთხოვო ხევსურულ თემში ჩემს უსიამოვნო როლს და სამუდამოდ მათ წრეში დავრჩე. ისინი მეუბნებოდნენ, რომ ჩემი კუთვნილი ადგილი სწორედ თავისუფალ (ქისტურ) სამყაროში იყო და არა – ხევსურებთან, სადაც უბედური შემთხვევის გამო ამოვყავი თავი (შესაძლოა, ეს ჩემი შეცდომა იყო, როცა თავპირისმტვრევით გავქანდი და შავ მერანს შემოვახტი). ეს სავალალო, თუმცა კი – რეალური გარემოება ჩემს ქისტ მეგობრებს შემდეგი საინტერესო დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას აძლევდა, რისთვისაც ისინი ურყევ ლოგიკას მოუხმობდნენ ხოლმე: როგორც ისინი ამბობდნენ, ჩემთვის, ქისტი მუცალისათვის, მთელი წიგნის დედამიწის ზურგზე, მხოლოდ ქისტური უბნები შეიძლებოდა ყოფილიყო თემატური და ამიტომ ხევსურული ისტორიის ტერიტორიას ჩემი უკან გამოხმობის, ანდა ქისტური უბნებიდან ჩემი გათრევის არც უფლება ჰქონდა და არც ძალა. ფხიზელ მდგომარეობაში წიგნის პერსონაჟის ეთერული და თემატური სუბსტანციის ერთიანობის გარდაუვალი აღდგენის შესახებ წიგნის სამყაროს კანონი, ჩემს შემთხვევაში არ მოქმედებდა. სწორედ იმიტომ, რომ ჩემი საერთო სუბსტანცია ჭეშმარიტად ქისტური იყო. ჩვენი თემების სხვა დანარჩენი (წმინდად ხევსურული ეთერული და თემატური სუბსტანციების მქონე) პერსონაჟებისაგან პრინციპული განსხვავების გამო, იქიდან, – როცა ქისტური წიგნის უბნებში ვიმყოფებოდი – თემატური მიზიდულობის ძალის შიში არ უნდა მქონოდა.

ეს დამაჯერებლად ჟღერდა და ბოლოს უკვე ჩვენი საუბრების თითქმის ერთადერთ თემად იქცა. გამოგიტყდებით, ეს საუბრები სასიამოვნოდ მაბრუებდა, რადგან ჩემი ისტორიული გათავისუფლების რეალურ შესაძლებლობაში მაჯერებდა. მეტი დამაჯერებლობისათვის ქისტები შემდეგ უტყუარ მიზეზს იმოწმებდნენ: ჩემს ქისტურ წარმოშობას, ხევსურულ თემებთან ჩემი სუბსტანციის ისტორიული მიმართების არ- არსებობას, ხევსური პერსონაჟების საკუთარ ისტორიულ ტერიტორიაზე სუბსტანციურ დამოკიდებულებას და ა.შ. მარწმუნებდნენ, რომ ჩემი თავისუფლება სიზმარი კი არა, რეალობა იყო, ხოლო მისი განხორციელება – მხოლოდ ჩემს ხელთ არსებული რამ. ამისათვის უბრალოდ, უარი უნდა მეთქვა PanaMeranican-ით ხევსურულ თემში (შატილში) უკან გამგზავრებაზე და ქისტურ უბნებში წიგნის პერსონაჟის ახლებური ყოფიერება დამეწყო. არც ჩემი„გაორებული არსებობისა" უნდა შემშინებოდა, ანუ იმისა, რომ ჩემი თემატური სხეული ხევსურებთან რჩებოდა, ხოლო ეთერული კი – ქისტებთან. წიგნის პერსონაჟისათვის ხომ უმთავრესი, ალბათ, მაინც ეთერული სხეულია – სადაც მისი სამშვინველი და სული მყოფობენ, თანაც ქისტურ უბნებში ყველა საშუალება არსებობდა იმისთვის, რომ ჩემი ეთერული არსებობა შეძლებისდაგვარად სასიამოვნოდ მომეწყო. ამისთვის წიგნის სამყაროს ისეთ უბნებში დამაბინავებდნენ, რომლებიც ეთერულ, ანუ სიზმრისეულ და, შესაბამისად, სიურეალისტური ისტორიის ტერიტორიებს წარმოადგენდა და სადაც საინტერესო მთავარი როლების, ისტორიის ცაზე ბევრად რეალური, დახვეწილი პუბლიკისა და დიდი, პიროვნული დამსახურების იმედი უნდა მქონოდა.

სხვათა შორის, ჩემი ქისტი მეგობრები არც იმას გამორიცხავდნენ, რომ გარკვეული დროის შემდეგ ჩემი თემატური სხეულის გამო ხევსურულ წიგნის უბნებთან მოლაპარაკებები წამოეწყოთ, რამე უმნიშვნელო დათმობაზე წასულიყვნენ და (რომელიმე კონკრეტული, Schisch-ნარევი ხევსურული იდეოლოგიით სიგიჟემდე შეპყრობილი ხევსური პერსონაჟის თემატურ სუბსტანციაზე გაცვლით) ჩემი თემატური სხეული გამოესყიდათ. ცხადია, ეს მოსაზრებები ერთობ მიმზიდველი იყო. ხოლო რაც შეეხება ჩემს ორად გაყოფას, რაც ჩემს ქისტეთში დარჩენას მოჰყვებოდა შედეგად, დიდ უბედურებად არ მესახებოდა. რეალური პირებისაგან განსხვავებით, რომლებიც (როგორც ყვებიან) - საკუთარ სხეულებრივ (თემატურ) გარსში გამოკეტილ-გამომწყვდეულები არსებობენ, წიგნის პერსონაჟები ჩვენი მყარი, თემატური სხეულის სუბსტანციის გარეშეც იოლად გავალთ. ვინაიდან ჩვენ ძირითად აზრობრივი მასალისაგან ვართ შექმნილები, ამიტომ ჩვენი არსებობაც

უფრო ეთერულია და თემატური სხეულის უქონლობაც, არსებითად, არანაირ დანაკლისს არ წარმოადგენს. მის გარეშე უფრო მსუბუქებიც ვხდებით, სმა-ჭამაც ნაკლებად გვინდება, დაღლილობასაც ვერ ვგრძნობთ და, რაც მთავარია, გარედან ყოველგვარი თემატური მოვალეობებისაგან ვთავისუფლდებით. ისტორიაშიც ისე ვიქცევით და იმას ჩავდივართ, რაც მოგვესურვება და რაც ყველაზე სანუკვარია, ისტორიულად სრულიად განუსაზღვრელ, ურიოლო, სიამტკბილობით სავსე ცხოვრებას ვეწევით: თავისუფალი, ქისტური წიგნის სამყაროში, მაგალითად, სულ უფრო იზრდება იმ პერსონაჟთა რიცხვი, რომლებიც ჰიპნოზიტორებისა და გამოლოცვის გზით საკუთარი თემატური გარსისაგან თავისუფლდებიან და სრულიად უდარედელად (სემანტიკურად ლაღად) ცხოვრობენ. არა, როგორც კი დავფიქრდებოდი, რომ ქისტეთში დარჩენით ჩემს მეორე, ხევსურთა კუთვნილ საძულველ ნაწილს საბოლოოდ მოვიცილებდი, მაშინ ორად გაყოფა ჩემში ნაკლოვანების გრძნობას კი არ ბადებდა, არამედ – პირიქით. დაე, აქციონ იგი სახიჩრად! მოჰკვეთონ მარჯვენა, თუ გინდა მარცხენაც, თავიც, ფეხებიც! რა მესაქმება! ჩემი ეთერული (ანტითემატური) არსება თავისუფალი წიგნის სამყაროს დაუბრუნდება და თემატურ ტანჯვასაც სამუდამოდ უკან მოვიტოვებ. ამ საქმისათვის რომ თავი ამერიდებინა, სერიოზული სუბიექტური მიზეზიც არა მქონდა. თანაც ჩემი ქისტი მეგობრები გაუთავებლად მიტევდნენ და მაფრთხილებდნენ, მანამ დროა, ხევსურულ კოშმარს სძლიე და კვლავ შენი ქისტური სამშობლოს თემატური მკვიდრი გახდიო, თორემ გამორიცხული არ არის, ხევსურულმა ხელისუფლებამ ისეთ ხერხს მიაგნოს, რაც თქვენი, ისტორიული ტერიტორიის პერსონაჟების საზღვარგარეთ სიზმრად მგზავრობას ჩაშლის (PanaMeranican-ის საჰაერო გზებს გააუქმებს) და მაშინ კი ვეღარავინ გიხსნის, ანუ სულით ხორცამდე (ჩემი თემატური და ეთერული სხეულით) სამუდამოდ, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ წიგნის სამყარო იარსებებს, მათ ტყვედ იქცევიო. ხანდახან, როცა უკან გამგზავრების დრო ახლოვდებოდა და PanaMeranican-ის მთავარ ქისტურ აეროპორტში უნდა გამოვცხადებულიყავი, ეს და მსგავსი საშინელი არგუმენტები თითქოს ხელ-ფეხს მიკრავდა. ცხადია, მესამე დამაბრკოლებელი ფაქტორი ქისტური წიგნის უბნების უჩვეულოდ მაღალი ცხოვრების დონეც იყო. ადვილი არ არის Adieu უთხრა წიგნის პერსონაჟისთვის ყველაზე კომფორტულ ყოფიერებას, აყვავებულ კეთილდღეობას მოსწყდე და ხევსურული ლექსის (ისტორიის) ტერიტორიის უკიდურესად პრიმიტიულ თემურ საზოგადოებას დაუბრუნდე. ხევსურეთში გამგზავრება ჩემს წარმტაც სატრფოზე უარის თქმასაც ნიშნავდა (როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხევსურული ისტორიის ტერი-

ტორიისაგან განსხვავებით, რომელიც ამ თვალსაზრისით ძალზე პურინტანულია, ქისტური წიგნის უბნები წარმოუდგნლად სექსუალურია, და შესაბამისად, იქ სქესობრივი ურთიერთობაც თემატური გაჰლავთ.

და მაინც ვერაფერი ვერ მაკავებდა. როგორც კი PanaMeranican-ის სიგნალის ხმას მოვკრავდი ყურს, მაშინვე მთავარი აეროპორტისკენ გავეშურებოდი, სადაც ლივრეაში გამოწყობილი Boy აფრენის ბრძანებას გასცემდა, ხოლო თუ დათქმულ დროს აეროპორტში არ გამოვცხადდებოდი, მაშინ ავიაკომპანიის მიერ საგანგებოდ ჩემთვის გამოგზავნილი ვერტმფრენი იქ მომაკითხავდა, სადაც ვიმყოფებოდი. როგორც ზემოთ ითქვა, ხევსურმა ტურისტებმა თავიანთი მარშრუტი PanaMeranican-ს უნდა შეუთანხმონ და ამიტომ მგზავრების დროულად უკან დაბრუნების საქმეც საათივით იყო აწყობილი. ბუნებრივია, ამ საკითხში ჩემი აბსოლუტური მორჩილება შემთხვევითი არ იყო და უმეტესწილად PanaMeranican-ის სერიოზული გაფრთხილებებით იყო განპირობებული. კერძოდ კი: არ მემოქმედა თვითნებურად, არ მქონოდა იქ დარჩენის ფუჭი იმედი, რაც ჩემს ჯანმრთელობას მხოლოდ სერიოზულად თუ შეარყევდა. ავიაკომპანიის მომსახურე პერსონალთა შორის გამოჩენილ მეცნიერებთან ვმეგობრობდი, მათ შორის წიგნის პერსონაჟთა ისტორიის, ტრავმატოლოგიისა და ფსიქიატრიის ექსპერტებთან, რომლებიც წიგნის პერსონაჟთა იდეურ მასალაზე გამომფიტავი ფრენის ზემოქმედების შედეგებს იკვლევდნენ. წიგნის სამყაროს სფეროში ჩემი დარჩენის შესაძლებლობებზე მათგან საჭირო ცნობებს ვკრებდი, რათა შეუცდომლად მემოქმედა.

ეს ცნობები კი შიშის ზარს მცემდა. ექსპერტები საქმიანი ტონით მარწმუნებდნენ ქისტური წიგნის სფეროში ჩემი ეთერული სუბსტანციის დამოუკიდებლად არსებობის იმედის უსაფუძვლობაში: ,,ხევსურული თემისათვის ისეთივე თემატური ხარ, როგორც ყველა იქ მცხოვრები და მოქმედი ხევსური პერსონაჟი, ისტორიულად შენსა და მათ შორის პრინციპული სხვაობა არ არსებობს. მუცალო, ის, რომ შენ ქისტური წარმოშობისა ხარ, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი შენი თემის ისტორიიდან მოსაწყვეტად. პირიქით, ეს ფაქტიც ამ ისტორიის თემაა, სადაც სწორედ შენ, როგორც ქისტი, ანუ არახევსურული წარმოშობის პერსონაჟი უნდა ფიგურირებდე. შენი ისტორიული (ქისტური) განსხვავებულობა ისეთივე თემატურია, როგორც იმ თემის დანარჩენ პერსონაჟთა ხევსურობა. რაიმე განსაკუთრებული სტრუქტურული პრივილეგიების იმედი არ უნდა გქონდეს. ხევსურულ თემში სიზმრის შემდეგ შენი ეთერული და თემატური სხეულებრიობის ერთიანობა ისეთივე აუცილებლობაა, როგორც სხვა

დანარჩენ მკვიდრ ხევსურთათვის. თუ შენი ეთერული ნაწილი ჩვენთან დარჩა, მაშინ დარღვეული ერთიანობა სასწრაფოდ თავისით აღდგება და რა მტკივნეულადაც ხორციელდება ეს პროცესი, შენც კარგად იცი. არა, მუცალ, ნურაფერს გარისკავ, თორემ სულიერად დახეიბრებული სამუდამოდ ხევსურული თემის საკუთრებად იქცევი და სიზმარშიც კი ვეღარ გიხილავთ. ეს კი არც შენ გაძლევს ხელს და არც ჩვენ, ასე არ არის?" საქმეში ჩახედულთა პირიდან მსგავსი გაფრთხილებების შემდეგ, გაქცევაზე ყოველგვარი ფიქრი შევწყვიტე და აეროპორტში დროულად ვცხადდებოდი. თუმცა ქისტურ უბნებში ჩემი პერსონაჟის ეთერული დამოუკიდებლობის იდეა ბოლომდე მაინც არ მტოვებდა. კაცმა რომ თქვას, იმითღა ვცოცხლობდი, იქნებ ჩემი ეთერული გამოცალკევების იმედი მხოლოდ ოცნება არ არის და იქნებ საამისო საფუძველი ჩემი წიგნის პერსონაჟული მასალის არახევსურულ არსში მოვამზადო-მეთქი. ოპტიმიზმის საფუძველს, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, PanaMeranican-ის იგივე მეცნიერები მაძლევდნენ, რომლებიც ასე გამეტებით ილაშქრებდნენ ჩემი იქ დარჩენის წინააღმდეგ და ხევსურული თემიდან ჩემი ეთერული სხეულის გამოყოფის შესაძლებლობასაც ასე ხელაღებით უარყოფდნენ. რომელიღაც მეექვსე გრძნობა მკარნახობდა, რომ ამ საქმეს ასი პროცენტით გამორიცხულად არც ისინი მიიჩნევდნენ და ჩემი ეთერული სუბსტანციის გამოცალკევების შესაძლებლობა თვით მათი პროფესიულ-მეცნიერული მოსაზრებითაც კი არ უნდა ყოფილიყო არარეალური და ყოველივეს მუქ ფერებში არა მარტო იმ რისკის გამო მიხატავდნენ, რასაც შედეგად ჩემი სამშვინველის დაზიანება (დასახიჩრება) უნდა მოჰყოლოდა. როცა ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც მე ყველაზე უკეთ ვიცნობდი, გვერდზე გავიხმე და შევემუდარე, სიმართლე მითხარი-მეთქი, დიდად კი ვერაფრით მანუგეშა, მაგრამ სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ჩემი ეთერული არსებობისადმი რწმენა კვლავ განმტკიცებოდა. – ფაქტიურად, ასეთი შესაძლებლობა არსებობს – დამეთანხმა იგი. – წმინდა მეცნიერული პოზიციიდან თუ განვიხილავთ, ამ ფაქტს ვერ უარვყოფთ. შენ მართლა ქისტური წარმოშობისა ხარ, რაც იმას ნიშნავს, რომ შენს არსს, ანუ ეთერულ სხეულს ქისტური წიგნის სამყაროში აქვს ღრმად ფესვები გამდგარი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ხევსურეთისკენ გამწოვი თემატური ძალა შენს ეთერულ (ქისტურ) სხეულზე ვერ იმოქმედებს. თუმცა არსებობს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზებიც. პირველ რიგში კი ის, რომ სწორედ შენ სჭირდები ხევსურულ თემს (როგორც ქისტი), ანუ ის, რომ შენ, როგორც უცხო თემური წარმოშობის ქისტი, სწორედ მათ უნდა ეკუთვნოდე. ხასიათის ამ ორ ნიშანთაგან რომელი უფრო არსებითია და რომელი უფრო

განმსაზღვრელად ზემოქმედებს შენს ეთერულ სუბსტანციაზე, ამის აპრიორულად გადაწყვეტა შეუძლებელია, ამისათვის ექსპერიმენტებია საჭირო. ერთხელ მაინც უნდა დარჩე ჩვენთან და მაშინვე გაირკვევა, ეთერულად სად უფრო მშობლიურად გრძნობ თავს, ჩვენთან თუ მათთან. რადგან, ორივე შანსი თანაბრად არსებობს, ანუ პროცენტულად, 50% - 50%-ზე, ყველაფერი ცდაზეა დამოკიდებული. ცდა კი, – და მრავალმნიშვნელად დამადო მხარზე ხელი, – ჩემო მუცალ, ნამდვილად არ ღირს. რისკი მეტისმეტად დიდია.

ცხადია, მართალი იყო. მე ხომ ქისტური წიგნის სამყაროში სულ რაღაც სიზმრად მოგზაური ხევსური პერსონაჟი ვიყავი და ამიტომ დიდი სიფრთხილე მმართებდა. უმნიშვნელო შეცდომასაც კი შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოჰყოლოდა და იმის საპირისპირო რამ გამოეწვია, რასაც ასე მხურვალედ ვესწრაფოდი. ეს კი, დაუნდობელ ხევსურულ თემში დასახიჩრებულ-დამახინჯებულ, იძულებითი მგზავრობით ნაფლეთებად ქცეულ ჩემსავე ეთერული სხულის მარადიულ ტყვეობაში მომაქცევდა. ასეთ სარისკო საქმეში მონაწილეობის მიღებას არ ვაპირებდი, მაგრამ იმის მოსმენა და წარმოდგენა, რომ ქისტებთან ჩემი ეთერული თავისუფლებისათვის რაღაც შანსი მაინც გამაჩნდა, განუზომელი ნეტარებით მავსებდა. ჩემს მდგომარეობას, თემის დანარჩენი ხევსური პერსონაჟებისაგან განსხვავებით, ღვთით ბოძებულ საჩუქრად აღვიქვამდი, რადგან მათთვის ქისტებთან დარჩენის მცდელობაც კი სრულიად გამორიცხული იყო.

ჩემი უპირატესობა უსაზღვრო, ფარული იმედით მავსებდა. თემში ამაზე არავის ველაპარაკებოდი და ჩემს პირად მდგომარეობას მშვიდი ოპტიმიზმით ვაკვირდებოდი, რაც თემში PanaMeranican-ით უკან გამგზავრებას აუმღვრეველი სიმშვიდით მატანინებდა.

ალუს თემატური სიზმარი

რეალური მკითხველის თავთა წარმოსახვითი ძალის ფუძემდებლური მნიშვნელობის შესახებ წიგნის სამყაროს უბნებში თემატური მოგზაურობისათვის

ჩვენთან, როგორც ყველაფერს, სიზმარსაც ორი მხარე აქვს: ერთი ქისტური და ერთიც - ხევსურული. დიახ, ჩვენი ისტორიის ტერიტორიაზე სიზმარიც სისტემატურ, წესდებით განსაზღვრულ მოვლენათა მსვლელობად იქცა. უფრო ზუსტად, არსებობს მხოლოდ ერთადერთი თემატური სიზმარი, კერძოდ კი ის, რომელიც ჩვენმა კეთილმა ალუდამ რეალური მკითხველის თავებს უნდა წარუდგინოს, თუკი ისინი საერთოდ ჩვენი თემის თავზე გამოჩნდნენ. ეს სიტყვა, ცოტა არ იყოს, ზედმეტიც კი არის, ვინაიდან ალუმ ამის შესახებ მხოლოდ უნდა მოჰყვეს. თხრობისას ალუ უშუალოდ საკუთარ დედასა და დას მიმართავს და მხოლოდ ირიბად გულისხმობს მის ზემოთ დაკიდებულ რეალურ მკითხველ თავებს. რადგანაც ალუ უკვე წარსულზე საუბრობს, ალბათ, არც იმის თქმა იქნებოდა მართებული, რომ თემში თემატური სიზმარი არსებობს. მიუხედავად ამ გარემოებისა, სცენა, რომლის აღწერაც მე ახლა მსურს, მაინც სიზმრის სცენა გახლავთ. წიგნის პერსონაჟთა მიერ ზეპირად თუ წერილობით წარმოდგენილ სიზმრებს წიგნის უბნებში მუდამ ამავე სიზმრის გამოსახულებითი (ხატოვანი) შინაარსი ახლავს თან და მისით არის განმტკიცებული, ხოლო ამგვარი თხრობის ფაქტობრივ მასალას ყოველთვის ის კონკრეტული წარმოდგენები შეადგენს, რომელსაც იგი ეხება.

ერთადერთი, ვისაც ეს სჭირდება და ვინც სიზმრის აუცილებელ (ეთერულ) განზომილებას ქმნის, რათა შინაარსმა ფორმა შეიძინოს და, საერთოდ, თემატურად გამოვლინდეს, – რადგან წიგნის პერსონაჟები მხოლოდ თავიანთ სიზმრებზე ყვებიან, ანუ თავად სრულიად ფხიზელნი არიან და სიტყვებით (ცნებებით) მანიპულირებენ – თემის ცის კაბადონზე დაკიდებული მკითხველის რეალური თავია. წიგნის ყველა უბანში ირიბად წარმოდგენილ წიგნის პერსონაჟთა მიერ ზეპირად თუ წერილობით აღწერილ სიზმრებში სიზმრის შინაარსი რეალური მკითხველი თავის წარმოსახვითი ძალით აქტიურდება და როგორც დამოუკიდებელი რამ, ისეთად ვლინდება. რასაკვირველია, მსგავს შემთხვევებში ეს ძალა არასდროს არის საკმარისად ძლიერი იმისათვის,

რომ სიზმრის შინაარსმა თემის აბსოლუტურ წინა პლანზე წამოიწიოს. იგი მას ძნელად შესაცნობს ხდის და პრინციპში, რეალური თავი ყოველთვის ძალზე ბუნდოვნად იაზრებს იმას, რაც წიგნის პერსონაჟს დაესიზმრა. საყოველთაოდ მიჩნეულია, რომ რეალური თავების მიერ გამოხმობილ და დაფიქსირებულ წიგნის პერსონაჟთა სიზმრისეულ წარმოდგენებს აუცილებლად აკლია ის კონსისტენცია, ინტენსივობა და სიმძლავრე, რასაც ამ წარმოდგენათა ავტორები ფლობენ.

რეალური თავების მზერა რომ ჩვენი ისტორიის ორი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული თემატური სფეროებისკენ არ ყოფილიყო მიპყრობილი, რის გამოც მათი ყურადღება დანაწევრებულია, კერძოდ: ერთის მხრივ, საკუთრივ თემის შიგნით გათამაშებული სცენისაკენ, რომლის ცენტრშიც წიგნის პერსონაჟი ალუ დგას და თავის სიზმარს გვამცნობს, ხოლო მეორეს მხრივ კი სიზმრის შინაარსის უწონო, ეთერული სუბსტანციის მოუხელთებელი მდინარებისკენ – შესაძლოა, მათ მსგავს შემთხვევებში უფრო ნათელი წარმოდგენა შეჰქმნოდათ. ვინაიდან რეალური თავის წინაშე ეს ორივე რამ ერთდროულად ჩნდება, ბუნებრივია, წინა პლანზე განლაგებული მოვლენებიც – ძომხსენებელი წიგნის პერსონაჟი და მისი უშუალო სცენური გარემოცვაც – რეალური თავის აღქმის უმთავრესი საგანი ხდება და სიზმრის სურათ-ხატებამდე ვეღარც აღწევს. ყველა ამ მიზეზის გამო ეთერულ სუბსტანციათა მდგომარეობას, რომლებიც ამ სცენებში სიზმრისეული სურათ–ხატების სახით ფიგურირებენ, შესაძლოა, არამდგრადი, უწყვეტად მერყევი მდგომარეობა ეწოდოს. ჩემი ისტორიის (პოემის) ეს თემატური სიზმრის სცენა ერთადერთია, სადაც თავად მე ვმონაწილეობ და ამიტომ მასთან დაკავშირებული ყველა პირობაც პირადად ჩემთვის – კარგად ნაცნობი. ცხადია, ეს გარემოება არაფრით შეედრება იმ მდგომარეობას, როცა მე და ყველა ხევსური წიგნის პერსონაჟი სიზმრად ქისტური წიგნის უბნებში დავეხეტებით. სიზმარში მხოლოდ ეთერული სხეული გაგვაჩნია, თუმცა ეს უკანასკნელი მაინც საკმარისად მკვრივი და მძიმეა საიმისოდ, რომ მიწაზე ორივე ფეხით მყარად ვიდგეთ, მოწევაც შევძლოთ, სმა-ჭამაც და მშვენიერ ქისტ გოგონებთან არშიყიც. აქ, ჩვენი თემის ერთადერთ თემატურ სიზმრის სცენაში, – რომელიც მკითხველი თავის რეალური წარმოსახვითი ძალით არის გაცოცხლებული – ჩვენ მხოლოდ უწონონი ვართ და გარკვეულ ზღვრამდე უთავბოლო, ჰაეროვან სურათ-ხატებს წარმოვადგენთ – იმათ, ვინც სცენის უკანა პლანზე აქეთ-იქით დაცურავენ და ხშირად გადაადგილდებიან კიდეც. ასე, მაგ: მსგავს წარმოდგენებში ზოგიერთ ჩვენთაგანს შესაძლოა, მკლავი, ხელი (მარჯვენა ან მარცხენა) ან ერთი თვალი აკლდეს, ანდა რომელიმე კიდური

მოსძვრეს და უკვალოდ გაქრეს. იქ წარმოდგენილი საგნებიც ყოველგვარ სიმტკიცეს არის მოკლებული. გრძელი მაგიდა უცებ, გადასაფარებლიან–ჭიქებიან–ღვინის დოქებიანად ნაწილებად იშლება. ანდა ჭურჭელი, ცხელი წვნიანით და მოხარშული ხორცით სავსე თასები, რომელსაც ოხშივარი ასდის, ჰაერში დაეკიდება – ამ დროს სცენა კიდევ უფრო მეტად ფანტასმაგორიული ხდება. ძალზე ეფემერულია ყველა ამ საგანთა მასალა: თუ მათკენ ხელს გაიწვდენთ, ხელში არაფერი შეგრჩებათ. შედარებისთვის შეიძლება მოვუხმოთ ყველა იმ მოვლენის სიმტკიცესა და სისავსეს, რომელთანაც ჩვენ ქისტური წიგნის უნბებში სიზმარში მოგზაურობისას ვამყარებთ კონტაქტს. ყოველი საგანი იქ ჩვენი შეგრძნების სრულ ექვივალენტს წარმოადგენს.

ამ განსხვავების (სხვაობის) მიზეზის ახსნა არც ისე რთულია. ყოველთვის, როცა სიზმრად ქისტური წიგნის უბნებში მივემგზავრებით, ამ უბნებთან უჩვეულოდ დიდი ისტორიულ-თემატური სხვაობის მიუხედავად, მაინც ოდითგანვე ჩვენს კუთვნილ განზომილებაში, ანუ წიგნის სამყაროს სფეროში ვრჩებით, სადაც საზღვარი ფსიქიურსა და ფიზიკურს შორის არც ისე აბსოლუტურია, როგორც ეს რეალურ სამყაროშია. ქისტურ თემებში სიზმრად შეძენილი ყოველი პირადი გამოცდილება ჩვენთვის თითქმის რეალობაა და წიგნის პერსონაჟთა მიერ როგორც სინამდვილე, ისეთად აღიქმება. სიზმარში გაფრენისას წმინდა ეთერულ სუბსტანციაში ეთერული სტრუქტურის სახით ვარსებობთ, რაც არსებითად მცირედ თუ განსხვავდება განსაზღვრული წიგნის უბნებში ჩვენი ჩვეულებრივი (ფიზიზელი) ყოფიერებისაგან, სადაც ასევე განსაზღვრული სხეულების სახით ვარსებობთ. წონაში უმნიშვნელო დაკლება, იმის შეგრძნება, რომ შიმშილის მოსაკლავად ცოტა უნდა ვჭამოთ, ხოლო წყურვილის დასაცხრობად ცოტა დავლიოთ და სხეულის სისაღე, რომელსაც მთელი სიზმრის განმავლობაში უცვლელად ვინარჩუნებთ, ჩვენი ეთერული (სულიერი) ინდივიდუალური არსებობის ერთადერთი ფაქტიური საბუთია. თუმცა კი ჩვენი თემის ერთადერთი, თემატური სიზმრისეული წარმოდგენისას გარემო პრინციპულად განსხვავებულია. აქ არსებული განზომილება, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩვენი თემის თავზე დაკიდებული რეალური მკითხველის თავში იღებს სათავეს. ჩვენი თემის თემატური სიზმრის ობიექტების მობილიზაცია და მათი სახიერი გამოვლინება ამ თავის წარმოსახვითი ძალის მეოხებით ხდება. ჩემი და ამ სცენაში თანამონაწილე ყველა ხევსური პერსონაჟის ეთერული სხეულები ფიზიკურს იმიტომ კი არ გამოეყოფა, რომ ეს ჩვენ გვსურს ასე (ანდა გვესიზმრება), არამედ იმიტომ, რომ რეალური თავის წარმოსახვითი ძალა ამ სხეულებს თავისთავადს ხდის – ავტონომიურ

სხეულებრიობას ანიჭებს – და თემის სცენაზე გამოჰყავს – ამ სცენის სიზმრის საგნობრივი ობიექტები (მაგიდები, სკამები, თასები) წიგნის პერსონაჟთა სიზმრებში სანახევრო რეალობას კი არ წარმოადგენს, არამედ ისინი მხოლოდ იდეებს ეყრდნობიან, ანუ იმ ცნებებს (მნიშვნელობებს), რაც ამგვარ ობიექტებს უდევს საფუძვლად და რასაც რეალური თავი ბადებს. ამ თავების რეალური, თვალსაჩინო სიზუსტისათვის გათვლილ წარმოდგენათა სხივებისაგან განსხვავებით, წიგნის უბანთა თემატური სიზმრის სცენებში გამოვლენილი ეთერული სხეულები და საგანთა რეალური იდეები, ბუნებრივია, როგორც წესი, ძალზე განუსაზღვრელი, მოუხელთებელი და არამდგრადია. რეალურ აზრთა მდინარებაში ისინი ისევე ნელა ლბებიან – როგორც ბამბის ტამპონი ნიაღვარში. რეალურმა თავმა წიგნის სამყაროს სცენაზე წარმოდგენილი თემატური სიზმრის ობიექტებისკენ მუდამ ახალი აზრობრივი სხივები უნდა ჩამოანათოს, თუ სურს, რომ ეს ობიექტები კვლავ უკვალოდ არ გაქრეს და თავის შესაბამის თემატურ გარსსა და მანამდელ სხეულს შეუერთდეს. თემატური სიზმრის დასასრულს ისიც მინდა გავიხსენო, რომ რეალური თავის მიერ წიგნის უბნებში, თემატური სიზმრის სცენებში, წიგნის პერსონაჟთა მრავალმნიშვნელოვან წარმოსახვას ამ უკანასკნელთათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მას, როგორც წესი, პერსონაჟები ვერც კი ამჩნევენ, რადგან მსგავს პროცესებში მათი მონაწილეობა ძალზე ბუნდოვანია, ანუ მხოლოდ მათი ეთერული სუბსტანციის უმცირესი, სუსტი და არამდგრადი ნაწილი მონაწილეობს, რომელსაც რეალური თავი თითქმის ვერც აფიქსირებს – უფრო სწორად, მისი დაფიქსირება შეუძლებელიცაა. ჩვენ შემთხვევაში კი საქმე სულ სხვაგვარადაა. ალუს სიზმრის სურათ-ხატებში თხის მწყემსებს ვერაგულად, მთელი წიგნის სამყაროსეული ეთერული სხეულებრიობით შევყავართ. ეთერულ მდგომარეობაში მყოფი წიგნის პერსონაჟისათვის არაფერი ისეთი შემზარავი არ არის, როგორც საკუთარი არამდგრადობის, კიდურების რღვევისა და დაშლის შეგრძნება; ამიტომაც თავიდან ჩვენი თემის სიზმრის ამ ერთადერთ სცენაში მონაწილეობა ყოველი ჩვენთაგანისათვის ზეციურ სასჯელს ნიშნავდა.

ეთერული კარცერი

თუ გავიხსენებთ, რომ თითქმის ყველა რეალური თავი, რომლებიც თავიდან (საუკუნეთა გასაყარზე, როცა ჩვენი თემი, წიგნის სამყაროში ახალგაზრდა, ახლად შექმნილი ისტორიისა და პოემის ტერიტორიას

წარმოადგენდა) ჩვენი სემანტიკური სივრცის სიღრმეში იმზირებოდა და, როგორც წესი, მოვლენებსა და ალუდა ქეთელაურის თვით ყველაზე აბსტრაქტული სიზმრის სცენასაც კი განსაკუთრებული გულმოდგინებით წარმოიდგენდა ხოლმე – ჩვენ რეალური თავების საყვარელი თემა- თემი გახლდით და ცდილობდნენ, უმნიშვნელო წვრილმანიც არ გამორჩენოდათ), – მაშინ სრულიად გასაგები გახდება, რა დამქანცველი უნდა ყოფილიყო წიგნის პერსონაჟთათვის ამ სიზმრის წარმოდგენათა შინაარსი. იმ ხანებში რეალური თავი ჩვენი თემის სიზმრის სცენაში – მოვლენათა შეძლებისდაგვარად ზუსტი (რეალური) წარმოდგენისათვის ზრუნავდა და ამიტომ განუწყვეტლივ ჩვენკენ თავის მაგნიტურ აზრობრივ და, შესაბამისად, წარმოდგენათა სხივებს აგზავნიდა, რის შედეგადაც ჩვენი ეთერული სხეულები ამ სცენაზე მუდმივი დაშლისა და აღდგენის პროცესს განიცდიდა. იმისდა მიხედვით, თუ რა სიმძლავრითა და სიხშირით ზემოქმედებდა ზემოდან (მკითხველი თავიდან) რეალური აზრის დასხივება, ჩვენ ან ერთად ვიყრიდით თავს, ანდა აქეთ-იქით დავცურავდით. თანაბარზომიერი ნაკადის სახით ჩვენამდე მოღწევას ეს სხივები ვერასდროს შეძლებენ, რადგან ისინი დაახლოებით ისევე, როგორც პრიზმაში გადატეხილი სინათლის სხივი, ალუდას მიერ სიზმარში განცდილზე ზეპირად მონათხრობს აზრობრივად სდევს თან და გარკვეულწილად ამ მონაყოლშიც უნდა გაიაროს, რათა მისი სიზმრის ყველაზე უფრო მეტად აბსტრაქტულ წარმოდგენებსა და, შესაბამისად, აზრობრივ მასალას შეხვდეს. უამრავი პოეტური სიტყვიერი ზიგზაგის გამო რეალური აზრის ნაკადი ჩვენი წიგნის სამყაროს სფეროში ხან დაბრკოლებით აღწევს და ხანაც ისარივით შემოიჭრება. ასე რომ, ფაქტიურად, მათი შეხება ალუს სიზმრის შინაარსთან ერთგვარად არასისტემურ ხასიათს ატარებს. მაგ: ისეთი მომენტებიც არსებობს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ინდივიდუალური მკითხველი თავის წარმოდგენათა ნაკადი სუსტად და გაფანტულად გვიახლოვდება, სადაც, სიზმრის შინაარსი (ე.ი. ყოველივე ის, რაც ალუს ესიზმრება: ჩვენი თემის სხვადასხვა პერსონაჟთა ეთერული სუბსტანციები, სიზმრის თემატური საგნები, მაგიდები, სკამები, თეფშები, საჭმელი) პირდაპირი მნიშვნელობით მშრალად აწყვია. რადგან აღარ არსებობს მათი შემაკავებელი ძალა, ისინიც ნელ-ნელა, ერთმანეთში არეულები კვლავ იმ თემატურ სუბსტანციურ საგნობრიობას უბრუნდებიან, ანუ იქ, სადაც ჩვეულებისამებრ, ისტორიაში მათი კუთვნილი ადგილია. შუა გზაზე ამ სურათ-ხატებს, როგორც წესი, მათკენ დამიზნებული მკითხველი თავის აზრის ნაკადი წამოეწევა და კვლავ სიზმრის სცენაში აბრუნებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენი თემის ერთადერთი თემატური სიზმრის

სცენაში ჩვენს ეთერულ სხეულებს და, საერთოდ, ყველა წმინდა სახის იდეური მასალის სიზმრის საგნებს რეალური თავის სხივები წაღმა-უკუღმა ისე ატრიალებს, როგორც მთის მდინარე ნაპირზე დაყრილ ღორღს.

რეალური თავების აზრის დუნე ნიაღვარში მოხვედრილები, რომელიც ჩვენთვის ძლივს შესამჩნევად მიედინებოდა, ერთმანეთში აზელილები, თავს იმდენად დაბეჩავებულად და პარალიზებულად ვგრძნობდით, რომ სიზმრის სცენაში წესდებით დადგენილი მანჭვა - გრეხვისა და ჟესტიკულაციის თავიც კი აღარ გვქონდა, რომ აღარაფერი ვთქვათ, რაიმე სიტყვის მკაფიოდ წარმოთქმაზე. თავს დიდი გაჭირვებით ვიმაგრებდით და სცენის დამთავრებისთანავე ახალ და, შესაბამისად, ძველ შატილში საკუთარი თემატური გარსისკენ (სახლებისკენ) საკაცეებით (და შემდეგ უკვე, სასწრაფო დახმარების მანქანებით) მივყავდით. ჩვენს შორის თვით ყველაზე ეთერულად (სულიერად) ძლიერნიც კი ძლივს მიბობღავდნენ. დანარჩენებს თხის მწყემსები მყარ თემატურ სხეულებში პირიდან, ცხვირიდან, ყურებიდან და ამ სხეულზე განლაგებული სხვა ნახვრეტებიდან იძულებით ტენიდნენ. გარკვეული დროის შემდეგ მკითხველის თავის წარმოდგენათა განზომილებაში თანდათანობით გავკაჟდით და სიზმრის სცენის დაძაბულობასაც შევეჩვიეთ. თუმცა ამას პრინციპული ცვლილებები არ მოჰყოლია. ჩვენ უწინდებურად ისეთსავე შლად და ცვალებად სხეულებად ვრჩებოდით, ოღონდ შედეგები კი – (ეთერული-სულიერი სხეულის ჩივილები, გულის რევა, თავბრუსხვევა, სულიერი კრუნჩხვა) – საგრძნობლად შემცირდა. აქედან გამომდინარე მალევე მივხვდი, რომ მკითხველის თავთა რეალური აზრის სფეროში წიგნის პერსონაჟთა მდგრადი ეთერული არსებობის შესაძლებლობას მყარი საფუძველი ჰქონდა.

სიზმრის სცენის დაძაბულობასთან შეგუების მეორე მიზეზი ის მძიმე სასჯელი გახლდათ, რომელიც ყოველ ჩვენგანს დაატყდებოდა თავს, თუკი ამ სცენაში წესდებით დადგენილ მოქმედებას დავარღვევდით და სცენის ჩარჩოებიდან ამოვვარდებოდით.

თხის მწყემსები მათ ამაზრზენ ეთერულ კარცერში სვამდნენ, ჰერმეტულად ჩაკეტილ ოთახში ამწყვდევდნენ და თემაში თავიანთი თემატური გარსისაგან (სუბსტანციისაგან) იზოლაციაში აქცევდნენ. ამ სასჯელის სიმძიმის უკეთ გასაცნობიერებლად შემდეგი კანონზომიერება უნდა წარმოვიდგინოთ: წიგნის პერსონაჟთა ეთერულ „მეს“, რომელსაც არც ერთ რეალურ წარმოდგენაში არ უხმობენ და არც საკუთარი სიზმრის გზებზე დასეირნობენ, უფრო მყარი სუბსტანციურობის ბუნებრივი მოთხოვნილება უჩნდება. ამავ დროს ამ „მე“-ს შიგნით არსებული ინერციის

ძალა საკუთარი თემატური გარსისაკენ უკან აბრუნებს. თუკი ის მყარ წინაღობას წააწყდა, მაშინ ათას ნაწილად იმსხვრევა და საკუთარ გარსს ნაწილ-ნაწილ უბრუნდება, ხოლო თუ ეს წინაღობა ჩვენი თემატური ეთერული კარცერის რეზინააკრული კედლების სახით მოევლინა, მაშინ იგი, სრულიად უმწეოდ, ამ წინაღობას ბუმერანგივით მიასკდება.

ასე მიგდებულ საუკეთესო და უძლიერეს ეთერულ სხეულსაც კი თხუთმეტი წუთის შემდეგ გული მისდის და მხოლოდ შემზარავი და ხანგრძლივი ტკივილების შემდეგ მოეგება გონს. მწყემსებმა ჩვენი თემის ამ ერთადერთი თემატური სიზმრის სცენაში რაიმე წუნი თუ დაგვდეს, ან თუ სცენის დამთავრებამდე გავბუნდოვანდით და გადავიდღაბნეთ, მაშინ ამგვარი ტანჯვისათვის ვართ განწირულები. რადგანაც ეთერულ კარცერში ბორგვის სურვილი არავის ჰქონდა, ამიტომ ვცდილობდით, სიზმრის როლისთვის ბოლომდე გაგვეძლო და, შეძლებისდაგვარად, წესდებით დადგენილი (თემატური) შთაბეჭდილება მოგვეხდინა. ამ სცენის აუტანელი, საძაგელი სანახაობის შემყურენი – მხედველობაში მაქვს ყველა ხევსური ეთერული წიგნის პერსონაჟი – წარბის შეკვრასაც კი ვერ ვბედავდით. მართლაც შემზარავია ის, რაც ალუდა ქეთელაურის სიზმრის სცენაზე ჩნდება.

უკეთური თემატური სიზმრის სურათ-ხატები

შესაძლოა ვინმეს მოეჩვენოს, რომ თუ ეს საზარელი სანახაობა მხოლოდ თემატურ სიზმარს (მხოლოდ ალუს სიზმრის სურათხატს) წარმოადგენს და თემატურ სინამდვილეს არის მოკლებული, მაშინ ის არც ისე საშინელი უნდა იყოს, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. ამ შთაბეჭდილებას, ალბათ, ალუს ის აშკარა და სრულიად გულწრფელი ზიზღიც აძლიერებს, რომლითაც იგი დედამისსა და დებს თავის სიზმარზე უამბობს. დიახ, სიზმარმა მას მადაც დაუკარგა, და როცა თავისიანები საჭმელს სთავაზობენ, ლუკმასაც კი ვერ იდებს პირში, რაც სრულიად გასაგებია, თუ სიზმრის მთელ საშინელებას წარმოვიდგენთ. რადგან აქ მხოლოდ სიზმარზეა საუბარი, რომლის წინააღმდეგ ასე გააფთრებით ილაშქრებს ჩვენი თემის კეთილი მთავარი პერსონაჟი, ამიტომ, როგორც წესი, ეს სიზმარი შინაგან ღირებულებასაც კარგავს. მკითხველის მიერ ჩვენი წიგნის უბნების თავზე დაგდებული რეალური მასალის (ნაზრევის, სიტყვების) ინტერპრეტაციიდან, რომელსაც ჩვენ აღვიქვამთ და ვშიფრავთ, ცნობილია, რომ ალუს სიზმრის მკითხველი რეალური თავი (დამკვირვებელი) მას მკაცრად აფასებს, თემატურად არარეალურს უწოდებს და უვნებელ საზიზღრობად მიიჩნევს, რომელიც მხოლოდ

სიმბოლურად გამოხატავს ალუს ზოგადად კაცთმოყვარე შეხედულებას. მან კი, ვინც ჩვენი წიგნის უბანში უკეთ ერკვევა და მას წიგნის პერსონაჟის თვალით უყურებს, კარგად იცის, რომ სიზმრის სცენაში ამ იდეებს დღეს რეალობის განსაკუთრებულად მაღალი და სავალალო ხარისხი გააჩნია და ჩვენი თემის ამ ადგილას მომხდარი შემზარავი მოვლენებიც მხოლოდ უსაფუძვლო ფანტაზიის თამაში როდია.

სივრცული თვალსაზრისით სიზმრის სცენა ჩვენი თემის, ასე ვთქვათ, მესამე თემატურ პროვინციას, ჩვენი წიგნის მესამე ისტორიულ ადგილს წარმოადგენს, რომლისკენაც რეალური თავები კითხვა-კითხვით მიიწევენ. გარეგნულად ეს სცენა საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება. ქეთელაურის პატარა ალიზის ქოხში ალუს და მისიანებს მოეყარათ თავი. ეს სწორედ ის მომენტია, როცა ალუდა (როგორც გახსოვთ) Schisch -ში გამოცდაზე ჩაიჭრება და თემის აღშფოთებასა და სიძულვილს იწვევს.

თემატური პერსონაჟები – უშიშა და ბერდია – ალუს კეთილშობილურ საქციელს, (კერძოდ კი მის უარს – ჩემს გვამს მარჯვენა მოკვეთოს, და საერთოდ, მისი ჩემდამი, უბადრუკი ქისტისა და ცხენის ქურდისადმი დიდ პატივისცემას), როგორც ანტითემატურს, ისე შეაჩვენებენ. თემის უხუცესთა გონებაშეზღუდულობა ამ კეთილი ხევსურის ჩუმი და პირქუში მრისხანების მიზეზი ხდება. მას აღარ შეუძლია და აღარც სურს ჩვენი ძველისძველი ისტორიული ტერიტორიისათვის დამახასიათებელი, ქისტების წინააღმდეგ წესდებით დადგენილი ზიზღის გაგება და კატეგორიულად უჭერს მხარს მოსაზრებას წიგნის სამყაროს ღიაობის შესახებ, რომელიც ჩვენი თემების თემაში გადაჭრით უარყოფს Schisch-ს. მის წინააღმდეგ ამხედრებული მთელი (ძველი) შატილის ხილვა, ამ მამაც ხევსურს მწუხარებით ავსებს.

იგი სრულიად დათრგუნულია და დედის შეთავაზებულ საჭმელზეც უარს აცხადებს, შემდეგ კი, მისი დაჟინებული მოთხოვნით, იმ მძიმე სიზმრების შესახებ ჰყვება, რაც მთელი ღამე ტანჯავდა. ამ სიზმრების ძირითადი თემა–გვამისჭამაა, ამ სიტყვის ჩვეულებრივი და, სამწუხაროდ, პირდაპირი მნიშვნელობით. რასაც ალუ სიზმრად ხედავს, ზოგადად რომ ვთქვათ, ჩვენი თემის ჩვეულებრივი და მნიშვნელოვანი თემების რიგითობაა (თანმიმდევრობაა). მას ჯერ ხევსურთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაცემული ქისტის გვამი ესიზმრება, შემდეგ კი სამგლოვიარო სუფრა, კერძოდ კი, ვიწრო და გრძელი მაგიდა, რომელსაც ჩვენი თემის მამაკაცები პირგამეხებული, ცივი სახეებით შემოსხდომიან, და ზეცაში (წიგნის სამყაროს თავზე) ასული სულების მოსახსენიებელს სვამენ. ალუს მესამე, თემატური სიზმრის სურათხატს ქისტების წინააღმდეგ სისხლის ასაღებად

ომში წასული ხევსურების ლაშქრობა წარმოადგენს. თავად იგიც მეომართა შორისაა, რათა უბადრუკ ქისტთა სისხლი დაღვაროს და შინ, ანუ თემში შეძლებისდაგვარად მეტი მტრის მარჯვენა ტორი ჩამოიტანოს. ამ ადგილამდე ალუს წარმოსახვითი სურათხატები თემატური შინაარსისაა, ანუ აქ არაფერი ხდება ისეთი, რაც ჩვენი თემის თემას ეწინააღმდეგება. მაგრამ მისი მეოთხე ხილვა კი უკვე სრულად განსხვავებულია, რაც ნათლად მეტყველებს ქისტების მიმართ მის არათემატურ – და უფრო მეტიც, ანტითემატურ დამოკიდებულებაზე.

ლაშქარში წასვლისას ალუდა გრძნობს, როგორ უდებს ხელში ვიღაც ხმლის ტარს. უკან რომ მოიხედავს, აღმოაჩენს, რომ თურმე ეს ვიღაც, მე, ქისტი მუცალი ვყოფილვარ. მე რკინის აბჯარი მასხია და მკერდზე ალუსთან ორთაბრძოლაში ახლად მიყენებული ჭრილობიდან სისხლი მდის. თუმცა მძიმედ ვარ დაჭრილი, მაგრამ ფეხზე მაინც სალი კლდესავით ვდგევარ და არც ცრემლი მიმღვრევს მზერას. – „სიკვდილი მინდა, – ვეუბნები ალუდას, – მაგრამ არ ვკვდები. მომკალი!„ – ეს სრულიად უსაფუძვლო, ჰაერზე (სიზმარში) ნათქვამი სიტყვებია, რადგან სინამდვილეში ორთაბრძოლისას ვკვდები, ასე რომ, ალუს სიზმრის ეს სურათხატი თემში მომხდარ ფაქტს სრულიად არ შეესაბამება. მეორე მხრივ, წიგნის ისტორიულ მოსისხლე მტერთან ბრძოლისას, ან ბრძოლის შემდეგ საუბრის გაბმა ხევსურთათვის არათუ დაუშვებელია, არამედ ანტითემატურადაც არის მიჩნეული. ამას მათ ტრადიციული, მებრძოლ პერსონაჟთა ძვალ-რბილში გამჯდარი Schisch უკრძალავს. გარდა ამისა, იმ სრულიად არათემატური სიტყვებიდან, რომლითაც მე ალუს მივმართავ, გამომდინარეობს, რომ ჩვენი ველური დუელი მის სიზმარში ერთობ შემწყნარებლურია და რომ მე, – დამარცხებული და მძიმედ დაჭრილი, თავს მაინც საკმაოდ მხნედ ვგრძნობ და არც სასიკვდილოდ ვარ განწირული. თემის წარმოდგენების თანახმად, ეს გარემოება ალუსთვის ძალზე სამარცხვინოა, რადგან არაფერი არცხვენს ისე ხევსურის სახელს, როგორც ბოლომდე მიუყვანელი, დაუმთავრებელი Schisch . რადგან ჩემი მოთხოვნაც – „მომკალ" - თანამგრძნობ სიბრალულსა და გაუბედაობას იწვევს, ამიტომ ალუს შესახებ ესეც არასწორ (არათემატურ) წარმოდგენებს ბადებს. სამაგიეროდ, ჩემი შემდგომი სიტყვები ასი პროცენტით შეეფერება ჩვენი მთიანი თემების Schisch -ურ თვალსაზრისს, და საუცხოოდ გამოხატავს ჩვენი ხევსურული თემის მთავრობის პოლიტიკურ მიზნებს, რომელიც ყველა ქისტური წიგნის უბანთა გაუქმებას, მათი ხევსურული პოემის (ისტორიის) ტერიტორიასთან შემოერთებასა და ამ უბნებიდან ყველა ქისტი პერსონაჟის განდევნას გულისხმობს. თავიანთ მიზნებს ჩემს სანუკვარ ოცნებად ასაღებენ,

წარმოგიდგენიათ – ჩემი, ქისტი მუცალის სურვილად!.., და ამაზრზენი ფორმით თავიანთ მისწრაფებებს ჩემივე პირით აცხადებენ. თითქოს ნებაყოფლობით უარვყოფდე ქისტურ პერსონაჟობას და ხევსურთა წინაშე სამარცხვინოდ ვხოხავდე. – ყველაფერი თქვენ უნდა დაგრჩეთ! – ვეუბნები ალუს სიზმარში – სიკვდილი მინდა! – ცხადია, ბატონ მწყემსებს ყველაზე მეტად ის ეამებოდათ, რომ ქისტმა პერსონაჟებმა ჩვენს უბნებზე ვთქვათ უარი, თავები მათ ხმლებს შევუშვიროთ, თვითონ კი მხოლოდ მოიქნიონ და თავები და მარჯვენა მკლავები წაგვასხიპონ. ქისტთა ისტორიული თვითგანადგურების კეთილშობილურ მიზეზად კი ხევსურთა გათავისუფლების იდეა უნდა იქცეს. ისინი მაშინღა მოისვენებენ (მხოლოდ ასე თუ გავიგებთ ალუს სიზმრის ამ საზიზღარ სურათხატს) როცა წიგნის სამყაროდან უკანასკნელი ქისტიც გაქრება. მას შემდეგ კი, რაც ალუს სიზმარში ალუს ვთხოვ, რომ ბოლო მომიღოს, რითაც ფაქტიურად ხევსურთა მთელი წიგნის სამყაროს ვაღიარებ, თემის მომაკვდინებელი თემატიკის ჩანაფიქრის თანახმად, ჩემს ყელის გამომჭრელსა და მკლავის მომკვეთს საბოლოო რჩევას ვაძლევ და დაბეჯითებით ვთხოვ: – ხევსურნო, შეწყვიტეთ ომი, შორს გაშიშვლებული ხმლები მიცვალებულებისაგან! ჩგვამისჭამის სურათხატი ლოგიკურად უკავშირდება შემზარავი თემატური Schisch -ის ხილვას. შეძრწუნებული ალუ ხედავს, როგორ უდგამენ ჯამით წინ ქისტის ხორცისგან დამზადებულ წვნიანს, რომელსაც ოხშივარი ასდის, როგორ ხრავს ადამიანის ძვლიან მკლავს, როგორ კბეჩს ბარძაყს და (მარჯვენა) ხელის ხორცის ნაჭერს. სიზმრის ეს შემზარავი სცენა მთელი თავისი საშინელებით ყველაზე თემატურია, რადგან მეტაფორულად გამოხატავს ჩვენი თემის უძირითადეს დევიზს, რომლის თანახმადაც, ყველა ჭეშმარიტი ხევსური ქისტისმჭამელი უნდა იყოს. ბუნებრივია, გულკეთილ და სხვა დანარჩენ თემატურ თემელ ამხანაგებთან შედარებით მშვიდობისმოყვარე ალუდას არ შეუძლია სიზმრის სურათხატში თავის კაციჭამია Alter Ego-სთან იდენტიფიცირება და აღშფოთებული ღრიალებს (ისევ სიზმარში), დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ცოხნა (გვერდზე გადადოს დანა-ჩანგალი) მაგრამ – სწორედ ეს ადგილი წარმოადგენს ამ შემზარავი სიზმრის სცენის კულმინაციურ წერტილს – თემატური ალუდა ყურს არ უგდებს არათემატურ ალუდას და მშვიდად აგრძელებს ხორცის ჭამა–ყლაპვას. უფრო მეტიც: დამცინავად ახედავს მას და მაგიდასთან იწვევს. შემდეგ თავიდან ჩამოარიგებენ ქისტის წვერებით შეზავებულ წვნიანს. ისმის თეფშების რაკა-რუკისა და დანა-ჩანგლის წკრიალის ხმა. შეძრწუნებული ალუ ენაჩავარდნილი შეჰყურებს თავის ისტორიულ (პოემურ) საშინელ „მე„-ს – და რადგანაც მას სიზმარში ხედავს – ვერაფერს უხერხებს (მოაცილოს ის თემატურ

გვამისჭამას, დაარწმუნოს, ან ცემით მოიყვანოს გონს). ეს არის თემატური სიზმრის პროგრამის ბოლო სცენა, თავზარდამცემი კოშმარი, რომელსაც ალუ თავის ოჯახს უყვება. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რატომაც ვერ აკარებს საჭმელს პირს ალუ თავის პატარა ალიზის ქოხში, რატომ ზის ასე წელში გატეხილი და შეცბუნებული გაჰყურებს ფანჯრისმაგვარი ხვრელიდან თემს (თემას), სადაც საღამოს ბინდი ჩამოწოლილა.

გვამისჭამელი

სიზმრის სცენაში ალუსა და მისიანების უგუნებობის მიზეზი, – ბუნებრივია, ეს არც ერთმა რეალურმა თავმა არ იცის – არაა მისი სიზმარი, რომელიც თავისთავად არარეალურ ფაქტს წარმოადგენს. ეს მხოლოდ მათთვის შეიძლება იყოს ასე, ვინც რეალურ თავთა მსგავსად ჩვენის თემისა და სიზმრის სცენის თავზე ისე ჩაივლიან, რომ თემატურ კულისებს ვერც კი ხედავენ. შესაძლოა, ეს მათ მოეჩვენოთ მიზეზად, ვინც მხოლოდ ალუს სიტყვებს უგდებს ყურს – რომელიც, სხვათა შორის, მიუხედავად მათი შემზარავი შინაარსისა, ძალზე პოეტურია და ულამაზესად ჟღერს – ვინც ხევსური ქეთელაურის შემაძრწუნებელ მონაყოლს ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევს, რომელიც საუკეთესო შემთხვევაში სიმბოლურ ღირებულებას თემის ისტორიის ფარგლებში თუ ინარჩუნებს. ამ ვარაუდის სიმართლეზე მეტყველებს ჩვენს თემაში საგანთა რეალური ვითარება, რომელიც ალუს სიზმრის შემზარავ დეტალებს არ ემთხვევა. სამხედრო ალაფის სახით თემში ჩამოტანილი ქისტის ტორებს სახლის კედლებზე ჰკიდებენ და არა წვნიანში ხარშავენ. თუმცა მათ შორის დიდი განსხვავებაც არ უნდა იყოს და ამიტომ ალუს თემატური კოშმარი ჩვენს თემაში შექმნილი არანორმალური მდგომარეობისადმი პროტესტის სიმბოლურ გამოხატულებად, ანტი და არათემატური წიგნის პერსონაჟის სასოწარკვეთილებად უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც ქისტისმჭამელებთან აღარაფერი ესაქმება.

ეს თან ასეა და არც არის ასე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალუს სიზმრის წარმოდგენებში ჩემი და სხვა ხევსურ პერსონაჟთა მთელი წიგნის სამყაროსეულად ჭეშმარიტი ეთერული სხეულები მოქმედებენ. ამ უსიამოვნო (Schisch-ის შემცველ) სცენაში თითოეული ჩვენთაგანი საკუთარი ეთერული „მე“-თი ფიგურირებს და – რაც ამ საშინელებას აგვირგვინებს – გვამისმჭამელებიც ვხდებით. თუმცა სიზმარში წარმოდგენილი ყველა საგანი, ყველა უსულო მატერია ქისტის წვნიანის ჩათვლით, კონკრეტულობას მოკლებული, აბსტრაქტული მოცემულობაა (სისქე, სისავსე, გემო), ალუს სიზმრის და განსაკუთრებით კი

გვამისმჭამელთა წარმოდგენებმა დროთა განმავლობაში – რაც ყველაზე უარესია – მაინც თავისთავად შეიძინა კონკრეტულობა და მცდარი, მაგრამ ისეთი საზიზღარი გრძნობა გაგვიჩინა, თითქოს საქმე უშუალო (თემატურ) სინამდვილესთან გვქონდეს.

ჩვენს ამ თვალსაზრისს თხის მწყემსთა საქციელიც აძლიერებს. ამ ნათქვამის უკეთ განსამარტად, ალბათ, ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ჩვენი ძვირფასი თემატური ხელისუფლება ამ წარმოდგენებს დაუბრკოლებლად ადევნებს თვალ-ყურს, წიგნის ყოველ თავს კარგად აკვირდება და თუ საჭიროდაც მიიჩნია, მასში ცვლილებებიც შეაქვს. ჩვენი და, შეძლებისდაგვარად თემის ყოველ პერსონაჟთა თემატურ სიზმრებს მწყემსები განსაცვიფრებელი სიმსუბუქით აღიქვამენ, ისე, თითქოს ეს მათი საკუთარი სიზმრები ყოფილიყოს. ამისათვის მათ არც ძილი სჭირდებათ და არც თვალს ხუჭავენ. წიგნის პერსონაჟთა თემატურ ხილვებში ისინი ფხიზელი მაყურებლის როლს ასრულებენ, უფრო მეტიც: ამ სიზმრებში ჩართვის უნარიც შესწევთ და თუ ეს სიზმრები საკმარისად თემატური არ აღმოჩნდა, მათ მსვლელობას წუნს სდებენ და სიზმრის გასაუმჯობესებლად შესაბამის განკარგულებასაც გასცემენ. ამ თვისებით ისინი თემის ცაზე დაკიდებულ იმ რეალურ თავებს ჰგვანან, რომლებიც ჩვენი – და, ალბათ, ყველა – წიგნის სამყაროს ისტორიის შიგნით, თემატური სიზმრის წარმოდგენას გარედან აკვირდებიან. თუმცა მათ შორის მცირე პრინციპული სხვაობა მაინც არსებობს. რეალური თავები ვერასოდეს შეძლებენ სიზმრის წარმოდგენათა ახლოდან განცდას. ამ წარმოდგენებს მათთვის მუდამ მიმჭრალი, უკანა პლანის ღირებულება ექნება. მათგან განსხვავებით კი თხის მწყემსები ჩვენთან იმდენად ახლოს იმყოფებიან, რომ მათი გამკილავი სისინი და ფარული წყევლა-კრულვაც გვესმის და მუქარის ნიშნად მოღერებულ მუშტებსაც ვხედავთ, თუ სიზმრის სცენაზე რაიმე თემატურად არ გამოგვივიდა, სუფრაზე არასაკმარისი ენთუზიაზმით ჩავიტკბარუნეთ პირი ან ღრმად არ ჩავყავით ცხვირი წვნიანით სავსე ქვაბებსა და თეფშებში. ასეთებს თხის მწყემსები ჩუმად ემუქრებიან, სახელით მიმართავენ და ამ უბედურებმაც კარგად უწყიან, რა სიამოვნებაც ელით წარმოდგენის შემდეგ – ვიწრო ეთერული კარცერის რეზინის კედლებს შორის საათობით ფართხალი, რაც მათ ეთერულ სხეულებს სრულიად აძაბუნებს. მათ კი, ვისაც სიზმრის წარმოდგენებში თავი ყველაზე თემატურად უჭირავთ (ქისტის შეჭამანდს ხვრეპს), თემის შეკრებებზე საჯაროდ აქებენ, ორდენებით, სიგელებითა და ხანდახან პატარა თემატური ლექსების კრებულითაც ასაჩუქრებენ, სადაც, სხვა დანარჩენ თემთა შორის, ჩვენი თემი–თემაც არის წარმოდგენილი. თემატური სიზმრის სცენას მსგავსი ცერემონიალი ნამდვილ

თემატურ რეალობას, თემატურ ფაქტობრიობას ანიჭებს, რაც წიგნის ყველა პერსონაჟისთვის ისეთივე აუცილებლობაა, როგორც ჩვენი თემის მე-6 პროვინციაში სხვა დანარჩენი წესდებით გათვალისწინებული მოვლენები. სიზმრის უკანა პლანი და რეალური თავის მიერ აღქმის ზოგადი კანონები წიგნის სამყაროს ყურადღების ცენტრში ახლახან მოექცა. წიგნის პროგრესულ უბნებში დღეს უკვე რეალური აზრის კვლევისათვის სპეციალური ინსტიტუტებია შექმნილი. ჩვენთან კი მსგავსი ორგანიზაციები სახელმწიფოს (თემის) საკუთრებაა და მისი არსებობა მკაცრად არის გასაიდუმლოებული. ახალი მეცნიერება ერთ-ერთი ყველაზე რთულია, რადგან თავად რეალურმა თავებმა ამ პრობლე-მატიკის შესახებ ბევრი არაფერი იციან – მისი შესწავლა პრაქტიკულად მხოლოდ წიგნის სამყაროდან არის შესაძლებელი. ჩემი მოსაზრებით, ამ დარგში ქისტები ბევრად გვისწრებენ წინ. რასაც აქ მოგითხრობთ, რეალური სამყაროს ქისტ მკვლევართა ზოგიერთი მითითებით და ჩემი მიხვედრილობით არის შეკოწიწებული. ამ თვალსაზრისით, ცხადია, მწყემსებსაც დიდი წვლილი მიუძღვით. ის, რომ ასე მოხერხებულად შეძლეს სიზმრის წარმოდგენათა უკანა პლანის თავიანთი კონტრო-ლისათვის დაქვემდებარება, რომელიც მხოლოდ მკითხველის თავთა რეალური აზრის ძალის წყალობით არსებობს, ცხადად მეტყველებს მათ სურვილზე, – ჩვენი წიგნის უბნის სიზმრის სფეროშიც განიმტკიცონ გაბატონებული მდგომარეობა. ცხადია, დროთა განმავლობაში ალუს მთელი სიზმრის სცენა თემის პროგრესულად მოაზროვნე ხევსურთა და პირველ რიგში, ჩემსა და ალუს შორის ცხარე კამათის ამოუწურავ საგნად იქცა. ამის საბაბი კი იყო და დღემდე არის ალუს სიზმრის თემატური და ნაწილობრივ კი მისი გამოკვეთილად ანტითემატური აზრი. (ამ წარმოდგენის ხერხები, ჩვენი ისტორიის ჩარჩოებში სიზმრის მთელი ინსცენირება). ეჭვს არ იწვევს, რომ უამრავი მომენტი ამ სიზმრისა, განსაკუთებით კი „ქისტის გვამისჭამა", ქისტთა მიმართ ჩვენი თემის შეურიგებლობისა და მტრობის კრიტიკის მაჩვენებელია. მეორეს მხრივ, ეს სიზმარი ხევსურ პერსონაჟთა მთელი ეთერული სუბსტანციებითა და მისი კუთვნილი სხვა დანარჩენი აზრობრივი მასალით (თვით ქისტის მოხარშული ხელ–ფეხითა და წვერებით), ჩვენი თემის იდეოლოგიაში Schisch-ის ერთმნიშვნელოვანი და თავზარდამცემი გამოხატულებაა. როგორ ხდება ამ ორი მომენტის ერთმანეთთან შეთავსება? როგორ შეიძლება მომხდარიყო, რომ ორი ერთმანეთისგან ასე დიამეტრულად განსხვავებული აზრისა და სიზმრის ნაკადი, როგორიც ალუ და ჩვენი ბედკრული ისტორიის მწყემსები (ხელისუფალნი) არიან, ერთ სცენურ სურათხატში შერწყმოდნენ ერთმანეთს, ხოლო ალუს დაუდგრომელი

ანტითემატური ოცნებები კი ჩვენს თემაში შეაღწევდა? თუ როგორ მოხდა ეს ყოველივე, ამაზე კონკრეტულად ვერც ალუ გვეუბნება ვერაფერს, რომელმაც ეს, ალბათ, ყველაზე უკეთ უნდა იცოდეს. როცა პირველად შევეხე ამ მართლაცდა თავსატეხ საკითხს, ჩემდა გასაოცრად, ალუსაგან შევიტყვე, რომ თურმე მასაც იგივე ტანჯავდა და ძილსაც უფრთხობდა. საკუთარ თემაზე კრიტიკულად წიგნის პერსონაჟები ფაქტიურად, გვიან (უშუალოდ წიგნის სამყაროს ასი წლის შემდეგ) დაფიქრდნენ. ისტორიაში არსებულმა უხეშმა ადგილებმა და კომპოზიციაში დაშვებულმა შეცდომებმა, მაგ: Schisch-მა და მისმა მსგავსმა, ისინი თავიანთი წიგნის ჭეშმარიტებაში დააეჭვა და დროთა განმავლობაში ანტითემატური მოსაზრებებიც გაუჩნდათ. ამ პროცესს ისეთი პერსონაჟებიც აჩქარებენ, რომლებიც, როგორც მსხვერპლნი, თემის თემაში ისე დაეხეტებიან და ჩვენი სიუჟეტის ნაკლზე თვალს არ ხუჭავენ. ალუზე კი შეიძლება ითქვას, რომ მან თავისი სიზმრის სცენის პრობლემური მხარე ბევრად უფრო ადრე, ანტითემატური აზროვნების დაწყებამდე ბევრად ადრე გააცნობიერა. მისი მშვიდობისმოყვარე შეხედულებები, ხევსურულ ისტორიაში ქისტების მიმართ ველური თემატური ზიზღის უარყოფა, ჩემი, მის მიერვე მოკლული ქისტი მუცალის თაყვანისცემა – მხოლოდ მისი არათემატური პოზიციის ნიშნებია. ჩემი ხელმძღვანელობის ქვეშ გაერთიანებული ყველა ახალშატილელი პერსონაჟი ამ საკითხის მიმართ ანტითემატურად არის განწყობილი და თავიანთ თემში საფუძვლიანი ისტორიული რეფორმების გატარებას, ჩვენს თემში თავისუფალი, დემოკრატიული ქისტური ცხოვრების წესის დამკვიდრებას – თემის ღია საზღვრებს – მოითხოვს.

ასე რომ, იმ დროს, როცა ალუს სიზმრის რეპორტაჟის მიღმა საძაგელი ეთერული სინამდვილე ეცა თვალში და მისგან 10 ნაბიჯის მოშორებით სცენის უკანა პლანზე მისმა კოშმარმა თემატური ფორმა და გამოხატულება შეიძინა, ხოლო ჩვენ კი, ეთერული სუბსტანციებითა და მთელი იდეური მასალით აღჭურვილებმა, გვამისჭამის შემაძრწუნებელი ხილვა (ქისტის ხორცისა და წვერების წვნიანი) ჩვენი წიგნის თავზე დაკიდებულ რეალურ თავთა წინაშე შესაბამისი ჟესტ-მიმიკითა და მოქმედებებით (ღეჭვა, ხვრეპა) წარმოვადგინეთ, და ის, რასაც იგი მხოლოდ საკუთარი არათემატური სულის სიმბოლურ–კრიტიკული ოცნების ნაყოფად მიიჩნევდა, რაც შემდეგ უკვე თემის თემატურ სინამდვილედ, მის სრულ დაპირისპირებულობად იქცა, – ანუ, ჩვენს უბადრუკ ისტორიაში შემაძრწუნებელი თემის (Schisch-ის ჰარმონიულ შემადგენელ ნაწილად – იგი ჯერ კიდევ თემის რადიკალური (ანტითემატური) მოწინააღმდეგე კი არ იყო, არამედ მხოლოდ ზომიერად

არათემატური პერსონაჟი. იმისათვის, რომ სრულად გავიგოთ, რატომ შეცბა ალუ, მისი სიზმრის ორმხრივი ხასიათისა და წიგნის პერსონაჟთა საკუთარი თემების წინააღმდეგ მიმართული ყველა მსგავსი სიმბოლურ–კრიტიკული, შესაბამისად, არათემატური სიზმრების განმარტება მოგვიწევს. ფანტაზიის მსგავსი სურათხატები, თუ მათ, როგორც პერსონაჟთა მეოცნებე თავების წარმოდგენებს, წმინდა აბსტრაქტული თვალსაზრისით განვიხილავთ, ისინი თემებში რომელიმე თემატური ნაკლის გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ, ხოლო ეს საშინელება – ჩვენს ისტორიაში კონკრეტული აუტანელი სიტუაციის უარყოფად და მეოცნებე პერსონაჟთა (ჩვენს შემთხვევაში ალუს) კრიტიკულ-არათემატური მრწამსის მტკიცებად.

მაგრამ ფაქტად ქცეული, თემის თემატურ სინამდვილეში შესული, ეთერული სხეულებრიობის მთელი არსენალით წარმოდგენილი მოვლენები, ზემოთ მითითებული ჰიპერბოლური, არათემატური ფანტაზიის სურათხატები სრულ თემატურ აზრს იძენს, რომელიც შეიძლება შევაფასოთ არა როგორც ისტორიაში თემატურ საშინელებათა უარყოფა, არამედ პირიქით, პერსონაჟთა და მთელი თემის მხრიდან მათი ხაზგასმა, როგორც მოწონების ღირსი რამ და, უფრო მეტიც, როგორც მისი გამართლება. ასე რომ სრულიად გასაგებია, როცა არათემატური ფანტაზიის წარმოდგენათა უკანა პლანზე მეორე თემატური აზრის აღმოჩენის შემდეგ ალუ ღრუბლებიდან ძირს, მიწაზე დაეშვა, ყოველივეს ხილვით შეძრულს თმები ყალყზე დაუდგა (უმეტესწილად გაუთეთრდა კიდეც) და საშინელმა სასოწარკვეთამ მოიცვა. სიზმრის ეთერულ-თემატური სინამდვილის გამო ალუ უნდა განვიხილოთ, როგორც ამ საზიზღარი ფაქტების შემოქმედი და ჩვენი თემის ყველა Schisch-თა შორის უსაძაგლესი Schisch-ის, კერძოდ კი: – გვამისჭამის ავტორი. ცხადია, ეს გარემოება ხელს უწყობდა, რომ ისედაც დანაშაულის გრძნობით შეპყრობილი ალუს მდგომარეობა ისტორიაში კიდევ უფრო აუტანელი გამხდარიყო. განა არ კმაროდა, რომ ჩემი, ქისტი მუცალის სიცოცხლე მის თემატურ სინდისზე იყო; ახლა რომ მისი თემელი ამხანაგების კანიბალიზმიც – თემის სცენაზე ქისტის შეჭამანდის შთანთქმაც – მის ხარჯზე არ განვითარებულიყო! ალუმ დაიჯერა, რომ თემის ყველაზე ღირსეული, სპეტაკი და საუკეთესო პერსონაჟი იყო, ახლა კი უნდა ეღიარებინა, რომ ქისტმოძულე შეხედულებებში დანარჩენებს არაფრით ჩამორჩებოდა და მათ Schisch-ში უსწრებდა კიდეც, რადგან არც ერთ მათგანს მანამდე გვამისჭამა სიზმრადაც კი არ ენახა; ამ აღმოჩენის შემდეგ ალუ პანიკამ მოიცვა და თავის პოზიტიურ პერსონაჟობასა და პროგრესულ მსოფლმხედველობაში სრულიად სამართლიანად დაეჭვდა.

უეცრად მოეჩვენა, რომ საკუთარ სიზმარსა და თემაში ამ სიზმრის სცენურ განვითარებას შორის არსებითი სხვაობა არც იყო. ერთი მეორეს ისე მიესადაგებოდა და ერთმანეთთან ისე ჯაჭვურად გადაბმულიყო, ალუს უჭირდა კიდეც ეთქვა, რა იყო მისი სიზმარი და რა – არა! ყოველივე აჩრდილისებურად ვითარდებოდა და იგი უკვე ჰიპერბოლურ (არათემატურ) გვამისმჭამელობას ნამდვილი (თემატური) გვამისმჭამელობისგან ვეღარც მიჯნავდა.

ალუს არა მარტო ამის გამო ქენჯნიდა სინდისი: ის ეჭვი, რომ თემის ცაზე რეალურ თავთა წინაშე ულტრარეაქციონერი ქისტისმჭამელი სახით წარდგა, საბრალო ალუდა ქეთელაურს სულიერ სიმშვიდეს უკარგავდა. მან წარმოიდგინა, რომ სცენურად გაცოცხლებული სიზმრის შინაარსი იქ, ზემოთ, თემის ღრუბლებში, რეალურ მკითხველს მის ჰუმანურ (არათემატურ, შესაბამისად, ქისტმოყვარე) შეხედულებებში დააეჭვებდა და რეალური თავები მის სიზმარს თემში ცუდი პირობების სიმბოლურ-კრიტიკულ ქარაგმად კი აღარ გაიგებდნენ, არამედ მას თემის თემატური, (ქისტმოძულე) წიგნის სამყაროსეული მსოფლმხედველობის სადისტ წარმომადგენლად მიიჩნევდნენ. ეს უსიამოვნო ამბავი მხლოდ წიგნის სამყაროში რომ მომხდარიყო, ამას კიდევ აიტანდა ალუ. ბოლოსდაბოლოს, საკუთარ თავს ყველაზე უკეთ იცნობდა და რასაც მასზე თემში ფიქრობდნენ, დიდად არც ანაღვლებდა. მაგრამ ის, რომ მას რეალური სამყაროც ასე დამახინჯებულად აღიქვამდა, ამ წესიერი კაცისთვის უკვე მეტისმეტი აღმოჩნდა. აღშფოთებული ალუ თემის მთავარ ქუჩაზე მწყემსებს საჩივლელად მიეჭრა და მოითხოვა, მისი სიზმრის წმენდა მოეწყოთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სიზმრის გაყალბებითა და მისი სცენური გაცოცხლებით გამოწვეული ალუს მგზნებარე პროტესტი დიდი ხნის წინ, ანუ იმ ეპოქაში მოხდა, როცა ანტითემატური ფრონტი ჯერ კიდევ არსებობდა და არც თომინო იყო გამოგონილი.

ალუს ზარდამცემი თვითდაჭვეგა

იმ ხანებში ჯერ კიდევ არ არსებობდა პროგრესულად მოაზროვნე წიგნის პერსონაჟთა მიერ შექმნილი ობიექტური პირობები თემისა და, განსაკუთრებით კი ალუს ქოხში გვამისჭამის სიზმრის სცენის საფუძვლიანი, კრიტიკული ანალიზისთვის. იმ შორეულ წარსულში – ჩვენი ისტორიის ტერიტორია 5-6 რეალური წლისაც კი არ იყო – (ქისტური წიგნის უბანში შემუშავებული მეთოდის თანახმად, დაანგარიშებულია, რომ წიგნის უბნების სტუმართა რიცხვი რეალური მკითხველი თავების პროპორციულია და ამიტომ დღეს წიგნის პერსონაჟებს ნათელი

წარმოდგენა აქვთ რეალური დროის მსვლელობაზე. ქისტური გამოთვლების თანახმად, წიგნის უბნებს, რომელზეც მკითხველის ყველაზე მეტი წილი მოდის, რეალური თავი წელიწადში ზუსტად 5000000-ჯერ გადაუფრენს ან ჩაუფრენს) – ჩვენი თემი ჯერ კიდევ თემატურად აზროვნებდა, Schisch-ის ისტორიული კანონზომიერებისა, ყელის გამოჭრისა და მკლავის მოკვეთისა სწამდა და მეზობელი (უმთავრესად, ქისტური) ისტორიის ტერიტორიებზე ხევსურთა უპირატესობაში იყო დარწმუნებული. მაშინ ჩვენი ისტორიის პერსონაჟები ყოველივეს ბუნებრივად აღიქვამდნენ და, სამწუხაროდ, ალუს გაყალბებული სიზმრის სცენაში არც ქისტის გვამისჭამა ეჩვენებოდათ არანორმალურად.

ეს ის პერიოდია, როცა ჩვენი თემიცა და მისი შემზარავი დეტალებიც ჯერ კიდევ სრულიად ახალი იყო, როცა წიგნის პერსონაჟთა წარმოდგენებში ალუს სიზმარს კონკრეტულობა ჯერ კიდევ არ შეეძინა და რადგან მწყემსებს მათი სიზმრის სცენაზე წიგნის პერსონაჟთა ეთერული სხეულებით გამოყვანა ახლად დაეწყოთ, ამიტომ ეს სისაძაგლეც სრული აბსოლუტურობით აღიქმებოდა, ისე რომ, ვერც ენაზე და სასაზე გრძნობდნენ გემოს და ვერც ცხვირით – სუნს. ამგვარ პირობებში სიზმრის სცენას მის ეთერულ მონაწილეთა უმრავლესობისათვის კონკრეტული აზრი კი არ ჰქონდა, არამედ – ზოგადაბსტრაქტული. ხოლო მათი ინტერპრეტაცია არათემატური, ისტორიულ-კრიტიკული კი არ იყო, არამედ, პირიქით: – ულტრათემატური და ქისტების წინააღმდეგ მათი პრინციპული შეურიგებლობისა და შეუწყნარებლობის გამომხატველი. ალუს სიზმარში ქისტის გვამისჭამა ამ ძველისძველ თემატურ ქისტმჭმელთათვის სასურველი რამ იყო – იდეოლოგიური პრინციპი, რასაც ისინი მთელი გულითა და სულით ეთანხმებოდნენ. ზემოთ მოხსენიებული ნადიმი მათთვის მხოლოდ სიმბოლურ აქტს წარმოადგენდა, რითაც ისინი საკუთარ თავსა და (რეალურ და წიგნის) სამყაროს თავიანთ ურღვევ თემატურ შეხედულებებს თუ უმტკიცებდნენ. დიახ, ამ ფაქტის სწორად შეფასების უნარი არც იმ პერსონაჟებს გააჩნდათ, ვინც ამ სისაძაგლეს ეხებოდა და მას ხარბად სანსლავდა. უბრალოდ, მას ცუდ სიზმრად მიიჩნევდნენ და ამიტომ ამ კოშმარზე სერიოზულად არც შემდეგ ფიქრდებოდნენ, როცა ის უკვე სისტემატურ (თემატურ) მოვლენად იქცა. მაშინ ვერც ვერავინ შეძლებდა ქისტის გვამის შემგინებელი და მის მჭამელ პერსონაჟთათვის თვალის ახელას, რადგან ჩვენი თემატიკის (თემის) არსებობის პირველ ხანებში, Schisch ძალზე ბუნებრივი და, სამწუხაროდ, თავისთავად ნაგულისხმევი ფაქტი გახლდათ.

როცა ალუმ პირველად აიმაღლა პროტესტის ხმა თემის ხელისუფალ-

თა მიერ მისი სიზმრის შინაარსის თემატური დამახინჯების წინააღმდეგ, მას გვერდით ჯერ კიდევ არავინ ედგა. არც ჩვენ ვმეგობრობდით და წიგნის დახურვის შემდეგ, თემატურად თავისუფალ დროს თავი ერთმანეთისგან შორს გვეჭირა. მთელ რეალურ წლებს – ათწლეულებს უნდა ჩაევლო, მანამ ჩემს თემატურ მკვლელზე (და, ცხადია, არა ხელის მომკვეთზე) გული მომილბებოდა, თანდათანობით მისი ანტი და არათემატური სულის ჭეშმარიტებაში დავრწმუნდებოდი, თემატურ მკვლელობას მივუტევებდი და ჩვენს შორის ნამდვილი, ფიც-ვერცხლით განმტკიცებული ძმობა გაჩნდებოდა. ალუს პატიოსან და სრულიად უკომპრომისო ხასიათზე მეტყველებს ხელისუფლების მისამართით წარმოთქმული საყვედური მისი არათემატური სიზმრის თემატურად გადასხვაფერების გამო და მისი მოთხოვნა – სიზმრის სცენის უკანა პლანზე მისი ხილვის ამ სკანდალური დამახინჯების დაუყონებლივი შესწორების შესახებ. ბუნებრივია, ალუმ უარყოფითი პასუხი მიიღო: თავაზიანად, მაგრამ გასაგებად აუხსნეს, რომ სიზმრის სცენაში ყოველივე კორექტული, ანუ თემატური იყო და ხელისუფლებას მოვლენათა მსვლელობის შესაცვლელად იოტისოდენა მიზეზიც კი არ გააჩნდა – „რომელიღაც პერსონაჟის პირად სურვილებს ანგარიშს არ ვუწევთ, რადგან თემის ინტერესები ყველაზე მაღლა დგას, ასე არ არის?„ – მწყემსებმა ალუს უთხრეს, რომ თემის თემას ისინი საგულდაგულოდ დაიცავდნენ და ამისათვის არაფერზე დაიხევდნენ უკან, არც გამოუსადეგარი პერსონაჟების უფრო ლოიალურით შეცვლაზე იტყოდნენ უარს (ისტორიის აბსოლუტურ მეორეხარისხოვან პერსონაჟთა შორის მრავლად იყვნენ ისეთები, ვინც მთავარი პერსონაჟობისკენ ისწრაფოდა და ამიტომ სათადარიგო ხალხის რიცხვიც მუდამ ძალზე დიდი იყო). მის (ალუს) შემთხვევაში კი ისინი მსგავსი ექსტრემალური ღონისძიების გატარების საბაბს აქამდე ვერ ხედავდნენ, თუმცა ოფიციალურ საბუთებში იგი ქისტმოყვარე და ამდენად არათემატურ და თავისმომაბეზრებელ, მუდამ მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ პერსონაჟად არის წარმოდგენილი, მაგრამ მაინც იმდენად თემატურად საჭირო პერსონაჟად მიიჩნევდნენ, რომ მისი არსებობა შეენარჩუნებინათ თემში. თუმცა ფხიზელ მდგომარეობაში ძალზე უღირსად – თემის თემატიკის კანონსაწინააღმდეგოდ იქცეოდა, მაგრამ, ხელისუფლების აზრით, იგი ზუსტად ისეთი იყო, როგორც კარგ ხევსურს ეკადრებოდა, ანუ თემაში სრულიად ქისტმოძულე და, ამდენად, თემის ყველა პერსონაჟისათვის სამაგალითო – „სიზმარს კი ნუ ჩააცივდები, სჯობს იმაზე იზრუნო, შენი ყოფიერება გადაშლილი წიგნის ისტორიაში სიზმრების თემატურ სიმაღლემდე აიყვანო და შენივე უღრმესი, არაცნობიერი არსიდან გამომდინარე კანონები ცნო, რაც ხევსურული თემის (თემატიკის)

ძირითად იდეებთან შენი წიგნის პერსონაჟულ კუთვნილებას ამტკიცებს.„ისიც დაამატეს: საკუთარი თემატიკის სიზმრის საუფლოში ნაძალადევ განდევნას არც ერთი პერსონაჟისათვის არ მოუტანია სიკეთე. პირიქით, წიგნის პერსონაჟთა და თემს შორის გადაულახავ უფსკრულს აჩენს და საბოლოო ჯამში ამგვარი დუალიზმი მეამბოხე პერსონაჟების ტოტალური ისტორიული დასასრულის გარდაუვალი შედეგი ხდება – სიუჟეტიდან განდევნა და მისი სხვა, თემატურად უფრო ფხიზელი პერსონაჟით შეცვლა – ღმერთს უნდა უმადლოდე, ასეთ კარგ (თემატურად გამძლე) სიზმრებს რომ გიგზავნის, თორემ დიდი ხანია, შენც იგივე ბედი გეწეოდაო.

დაახლოებით ასეთი პასუხი გასცა ხელისუფლებამ ალუს საპროტესტო განცხადებას – ამის შესახებ დაწვრილებით თავად მიამბო. გასაგებია, რა ხასიათზეც დადგებოდა საბრალო ალუ, რადგან მას სრულიად ოფიციალურად განუმარტეს, რომ ამ სიზმარზე პასუხისმგებლობა მხოლოდ მას ერთადერთს ეკისრებოდა და გვამისჭამა სიზმრის ჰიპერბოლა კი არ იყო, არამედ სრული ეთერული ჭეშმარიტება, თემის თემატიკის დასაცავად და არა მის საწინააღმდეგოდ მიმართული სიზმარი. მისი არათემატური (ქისტმოყვარე) პოზიცია კი, რამაც მას ისტორიაში თავისუფლად მოზროვნე ინტერნაციონალისტის სახელი დაუმკვიდრა, მხოლოდ მოჩვენებითი იყო და მისი წიგნის პერსონაჟული არსის პრელოგიკურ, ძველ ფენებთან არანაირი სუბსტანციური მიმართება არ გააჩნდა. როგორც ჩანს, ეს ფენები თემატური ხასიათისა გახლდათ, ვინაიდან (ქისტმოძულე) თემის სულისკვეთებით განმსჭვალული სიზმრები სწორედ მის სიღრმეებში იბადებოდა, თემატური სიზმრის ჰიპერბოლური (არათემატური) ინტერპრეტაცია კი ზედაპირულ მცდელობას წარმოადგენდა, საკუთარი სულიერი ცხოვრების, – როგორც დაუნდობელი (თემატური) ფაქტის – შესანიღბად.

ალუს საკუთარ თავში, თავის არათემატურ ხასიათსა და პროგრესულ, ქისტ და კაცთმოყვარე შეხედულებების რეალობაში ეჭვი ეპარება. სწორედ ეს თვისებები ანიჭებს მის ყოფიერებას თემში აზრსა და ღირებულებას. ეჭვი მას მოსვენებას არ აძლევს და საბოლოოდ მასში კომპლექსის სახით ყალიბდება. ჩვენი თემის თემატიკას კოსმოპოლიტ პერსონაჟ ალუდა ქეთელაურსა და ჩვენი პოემის (ისტორიის) ტერიტორიის ულტრარეაქციულ, უძველეს, ქისტმოძულე ტრადიციას შორის ისტორიული დაპირისპირებულობა წარმოადგენს. როგორც დღეს უკვე ცნობილია, ასე აღგვიქვამს რეალური სამყარო (რეალური მკითხველის თავები, რომლებიც შიგადაშიგ ჩვენით არიან დაკავებულნი) და ასევე აღვიქვამთ ჩვენც საკუთარ თავებს, – ყოველ შემთხვევაში, ახალშატილში კონცენტრირებული

მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთა შეგნებაც თანდათან იზრდება. არც იმის მტკიცებაა სიმართლეს მოკლებული, რომ თემის თემა – სიზმრის ჭეშმარიტი (ანტი და არათემატური) შინაარსის გამო გატანჯული ალუს წუხილია. ამ სევდიანი ფაქტის გამოსახატად განგებ ვიყენებ აწმყო დროის ფორმას, რადგან ამ ეჭვისგან ალუ დღესაც ვერ გათავისუფლებულა. დიახ, დღესაც, ჩვენი აშკარა დემოკრატიზაციის ეპოქაში, როცა ჩვენს ისტორიასა და ქისტურ თემებს შორის – ჩანაMერანიცან აირწაყ-ს მეშვეობით, სიზმრად თავისუფალი მიმოსვლა დაიწყო, როცა რეალურ სამყაროში (უფრო ზუსტად, რეალურ თავებში) გაბედულად მივფრინავთ, რათა შევიცნოთ, როგორ აღიქვამენ რეალურად ალუს თემატურ სიზმარს. ჩვენს ისტორიაში განვითარებული იმედისმომცემი მოვლენების მიუხედავად, ალუ თავისი სიზმრის პროგრესულობაში (ანტი – არათემატურობაში) არაა დარწმუნებული, ვეღარ მიმხვდარა როგორ გაიგოს თავისი სიზმარი, როგორც ჰიპერბოლა, თუ სინამდვილე; არ იცის, რას უფრო ღრმად გაუდგამს მასში ფესვები, თემატურს თუ ანტი – არათემატურს. არც ერთ სულიერს, თვით მეც კი, მის უახლოეს მეგობარსა და თანამოაზრეს, არ შემწევს ძალა, დავუბრუნო მას საკუთარი თავის რწმენა. ყველაფერი იმ აყალმაყალით დაიწყო, რომელიც ახალ შატილში ალუს სიზმრის საკითხის გამო გამართულ ჩვენს საიდუმლო კონფერენციაზე ატყდა. მაგრამ სჯობს, ყოველივე თანმიმდევრობით მოგითხროთ.

ანტითემატური პარტიული შეკრება

ჩატარდა ცენტრალური კომიტეტის არჩევნები. კენჭი ვყარეთ და შედეგები ისეთივე იყო, როგორც გასულ წლებში. პრეზიდიუმის წევრებად მე და ალუ თემის რამდენიმე თავისუფლად მოაზროვნე პერსონაჟთან ერთად აგვირჩიეს. კაცმა რომ თქვას, ასეც იყო მოსალოდნელი და, რა თქმა უნდა, მიღებულ შედეგებს ჩვენი თემის პროგრესული (ანტი და არა თემატური) პერსონაჟებიც ეთანხმებოდნენ. მაშ ვის უნდა რგებოდა პარტიული ხელმძღვანელობა, თუ არა ჩვენ – ალუდა ქეთელაურს, ჩვენი თემის უპირველეს ხევსურს, რომელმაც Schisch-ის უაზრობა(წესდებით დადგენილი რასისტულ-კლასობრივი ზიზღი) შეიცნო და მის წინააღმდეგ საჯაროდ გაილაშქრა და, რა თქმა უნდა მე, ქისტ მუცალს – ამისი თქმის სრული უფლება მაქვს – ჩვენი თემის ანტი და არათემატური ძალების პირველ ორგანიზატორს, ანტი და არა – თემატური თომინოს გამომგონებელს, ჩვენს ისტორიაში ღია საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის დაუცხრომელ პროპაგანდისტს, საზღვარგარეთ PanaMerarican-ით ხევსურთა სიზმრად გამგზავრების ინიციატორსა და თემის პერსონაჟთა

შორის, წიგნისა და რეალური სამყაროს ობიექტური შემეცნების პიონერს? ყველას მიაჩნდა, რომ თავისუფლებისთვის ბრძოლაში პირველი სიტყვა ჩვენ გვეკუთნოდა და ამიტომ, კომიტეტისა და პარტიის მაღალი თანამდებობისთვის ჩატარებული არჩევნები – მხოლოდ დანარჩენ პერსონაჟებს (თემის აბსოლიტურ მეორეხარისხოვან პერსონაჟებს) ეხებოდათ.

არჩევნების შემდეგ პატარა ზეიმს ვაწყობთ: ანუ წიგნის პერსონაჟები ანტი და არა – თემატურ გამოთქმებში პაექრობენ და ინტერნაციონალური მოსაზრებების ნიშნად მის მონაწილეებს ქისტური სანელებლებით შეზავებული მწვადებით უმასპინძლდებიან. აქვე იხილავთ ქისტურ სამეჯლისო ცეკვებს, მოდას და ა.შ., ჩაღდება თომინოს თამაში ფანტასტიკურად დიდ ფულზე. მოედინება ღვინო, მღერიან და, საერთოდ, ყველა ილხენს. ამიტომაც იყო გაუგებარი და გულდასაწყვეტი, როცა მე და ალუს, არჩევნების შემდეგ პრეზიდიუმში გამოჩენისას, იმ შორეული წიგნის სამყაროს წელს, სტვენითა და შემდეგი შეძახილებით შეგვხვდნენ: ,,გაეთრიე, ალუ!" ,,ძირს ქეთელაური!" თავი სიზმარში გვეგონა, მაგრამ როცა ყიჟინამ იმატა და ირგვლივ ლანძღვა-გინებაც გაისმა: ,,ალუ, წყეულო ძაღლისშვილო!" ,,ალუ, თემატურო ნაძირალავ!" – ფაქტი იყო, რომ ჩვენ მოგვმართავდნენ; ხანდახან ისეც ხდება ხოლმე, რომ გალეშილი პერსონაჟები, თავიანთი უახლოეს თემელ ძმებს ვეღარ ცნობენ, ან არ უნდათ, რომ იცნონ. წარმოიდგენენ, რომ ისტორიული მოვალეობისაგან თავისუფლდებიან და სკანდალურად იქცევიან, ეს კი ყველა (თემატურ, ანტი და არა თემატურ) საზღვარს სცილდება. ახლოდან რომ დავაკვირდი, დავრწმუნდი, რომ საბრალო ალუს მაწყევარი პერსონაჟები მთვრალები კი არ იყვნენ, პირიქით, საღი გონებით, წინასწარ მოფიქრებული და საგულდაგულოდ შემუშავებული გეგმით მოქმედებდნენ. ჰაერში ტრანსპარანტებს აფრიალებენ, რომელზეც ალუს წინააღმდეგ მიმართული თემატურ-ღვარძლიანი სიტყვები ამოვიკითხე, მაგ: ,,ალუ, ბეჩავო, ქისტისმჭამელო!" ერთ-ერთ პლაკატზე კი დაეწერათ: „იდეალებზე გველაპარაკებოდი და კანიბალებად კი გვაქციე", შემდეგ ასეთ სიტყვებსაც მოვკარი თვალი: „ყელში ამოგვივიდა შენს ბინძურ სიზმრებში ქისტმჭამლობა," „უფალო! იხსენ ჩვენი სულები (ეთერული სუბსტანციები) გახრწნილი სიზმრებიდან!" ,,შენი სიზმარი ზმანება როდია!" და ა.შ.

თანდათანობით მივხვდი, საითაც უმიზნებდა მათი ნათქვამი და რასაც გულისხმობდა ეს წყევლა-კრულვა, მივხვდი, რაც ედო საფუძვლად მათ პროტესტს, რაც იყო მისი ნამდვილი აზრი, რომელსაც ჩვენი თემის ანტითემატური მოძრაობის დამაარსებლებს, ასე დემონსტრატიულად გვიცხადებდნენ. აღრიალებული პერსონაჟები სწორედ ისინი იყვნენ,

ვისაც ალუს თემატური სიზმრის სურათხატებში, მწყემსთა სურვილის თანახმად, მოქმედი პერსონაჟების როლი უნდა შეესრულებინათ, ისინი, ვინც მწყემსებმა ალუს სიზმრის შინაარსის ინსცენირებისათვის (მისი თემატური განვითარებისთვის) ამ სიზმრის სურათხატებში გაიწვიეს. ანუ, ის ადამიანები (ხევსურები), ვინც თემატურ ხელისუფლებას ქიშს (Schisch-ს) უცხადებდნენ, რომელთაც ალუს ქისტმოყვარე (არათემატური) სიზმრის იდეები თემის ქისტმოძულე (თემატურ) სინამდვილედ ექციათ და ალუს სრულიად უწყინარი (ჰიპერბოლური) ქისტის გვამისმჭამელობისთვის რეალობის აზრი მიენიჭებინათ. ამ მიზეზით ამბოხებულ პერსონაჟებს, ცხადია, ვერავინ დაადანაშაულებდა. მიუხედავად ალუს მიმართ ჩემი დიდი თანაგრძნობისა, ამ საპროტესტო გამოსვლების შემყურე მაინც კმაყოფილების გრძნობამ მომიცვა, რადგან აშკარად ვხედავდი ხალხის არათემატურ განწყობილებას. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ზოგი მათგანი ალუს სიზმრის სცენაში უთუოდ თემატურ-მექანიკურად მიიღებდა მონაწილეობას და ისე მიუჯდებოდა ქისტის ქელეხის სუფრას, რომ თვალსაც კი არ დაახამხამებდა. დღეს კი ამ მოვლენებში, თემის ადათ-წესებში ისინი უკვე სულ სხვა აზრს ხედავდნენ. სწორედ მათ, წიგნის სამყაროს მკაცრად ჩაკეტილი ისტორიული ტერიტორიის პერსონაჟებს გაეცნობიერებინათ თავიანთი თემის სუბსტანციური ნაკლოვანება, ძირისძირობამდე შეეცნოთ სიუჟეტის შემაძრწუნებელი მხარე და სიზმარშიც აღარ სურდათ ამას დასთანხმებოდნენ. ცხადია, ეს მათ ჩემს თვალში ქების ღირსს ხდიდა და გული მით უფრო მევსებოდა სიხარულით, რომ მათი ანტი და არათემატური პოზიცია ჩემი და ალუს დაუღალავი პროპაგანდის დამსახურება იყო, რომლსაც უკეთესი, მშვიდობიანი (ქისტისმოყვარე, უშიში) წიგნის სამყაროსა და, საერთოდ, ჩვენს თემში ღია ყოფიერების შესაქმნელად ვეწეოდით.

ჩემი და ალუს მიერ დამკვიდრებულმა ახალმა ისტორიულმა სულმა ახალ შატილში ყველა და ყოველი მოიცვა, თემის აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი პერსონაჟი ანტი-არათემატური ფრონტის გარშემო შემოკრიბა და ქისტის გვამისჭამისას მათ მოქმედ პერსონაჟებად გამოყენების წინააღმდეგ აამაღლებინა ხმა.

ეს უკვე კარგი იყო. სხვა შემთხვევაში მომიტინგეებს დავეთანხმებოდი კიდეც, მაგრამ საქმე თემის ყველაზე პროგრესული (ხევსური) მთავარი პერსონაჟისა და ამ ვერაგ ისტორიაში ჩემი განუყრელი და საუკეთესო მეგობრის, – ალუს, ანტი და არათემატურ პრესტიჟს ეხებოდა. თემატურ სისასტიკეში (თუნდაც სიზმარში) ალუს სულ მცირე დანაშაულიც კი, ჩვენი თემის ანტი და შესაბამისად არათემატური ოპოზიციის შინაგან მთლიანობას დაარღვევდა და ჩვენი პარტიის ისტორიულ მნიშვნელო-

ბასაც ეჭვქვეშ დააყენებდა, რადგან ვიღას უნდა ჰქონოდა იმის იმედი, რომ ახალშატილის ჩვეულებრივ, ხევსურ (აბსოლიტურად მეორეხარისხოვან) პერსონაჟთაგან ვინმე ერთხელ მაინც არ ნახავდა თემატურ სიზმარს და ქისტმოძულე უმსგავსობაზე წარმოდგენები, ოდესმე, ძილში მაინც არ ესტუმრებოდა? თემა თემის ყველაზე შეუპოვარი სულია, რაც უფრო მეტად შეეცდებით პერსონაჟთა ცნობიერების ზედა ფენებიდან მის განდევნას, მით უფრო ძლიერ ჩაეჭიდება ქვეცნობიერს და თუ ყველა პერსონაჟში არა, უმრავლესობაში მაინც ღამით სიზმრის უმსგავსო სურათ-ხატებად ამოიფრქვევა. ამიტომ არაფერია უფრო იოლი, ვიდრე რევოლუციური (ანტი და არათემატური) პერსონაჟების სიზმრის არათანამიმდევრულობაში, რე-ვიზიონიზმში დადანაშაულება. თუ გავითვალისწინებთ შექმნილ მდგომარეობას, საჭირო იყო დაუყონებლივ გაგვეფანტა ალუს სიზმრის თემატიკით გამოწვეული ეჭვი და პარტიაში მისი ძველი ავტორიტეტი აღგვედგინა, სადაც იგი უზადო, ყველასათვის მისაბაძი, ანუ სრულიად არათემატური ზე – და ასევე, ქვეცნობიერების მქონე პერსონაჟად იყო მიჩნეული. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ჩარევა. თუ ვინმეს შეეძლო მისი შელახული რეპუტაციის, როგორც პროგრესული, ლიბერალ-დემოკრატიული წიგნის პერსონაჟის სახელის აღდგენა, ეს მხოლოდ მე, ქისტი მუცალი გახლდით. სანამ ამ ღრიანცელში სიტყვას მოვითხოვდი, ჩემს მეგობარს კიდევ ერთხელ შევავლე ფარულად მზერა. ალუს სახეზე მკვდრისფერი დადებოდა. მძიმე (რეალური) დანაშაულის ტვირთს წელში გაეტეხა და კონფერენციის გრძელ მაგიდასთან თავჩაქინდრული იჯდა. ცდილობდა, აკანკალებული ხელით ერთი ჭიქა წყალი პირამდე მიეტანა. მის დანახვაზე გონება ამერია. იმის ნაცვლად, უსამართლო საყვედურები გულთან არ მიეკარებინა და ყველას დასანახად თუ არ გაიცინებდა, შემწყნარებლურად მაინც გაეღიმა, იმ ავაზაკივით თავჩაქინდრული იჯდა, რომელსაც დანაშაულის კვალზე წაასწრეს. მეორეს მხრივ, არც ჩემი აღშფოთების მიზეზი უნდა ყოფილიყო გაუგებარი. ცოტა ხნის წინ ალუ თავად გამომიტყდა, რომ საკუთარ თავში ეჭვი შეპარვოდა. ველარ გაერკვია, რა მნიშვნელობა უნდა მიეცა სიზმარში ნანახი ქისტის გვამისჭამისა და სხვა საძაგლობისთვის – რეალური (თემატური) თუ ჰიპერბოლური (არათემატურ-კრიტიკული). ეჭვი ღრნიდა, პროგრესული იყო თუ რეგრესული მისი სიზმრები და ქვეცნობიერის იდუმალ სიღრმეებში Schisch-ის (თემის) ერთგული ხომ არ რჩებოდა, ანდა მის აშკარა ანტითემატურ მოსაზრებებს თემატურად ხომ არ იყენებდნენ ისე, რომ თვითონ ამის შესახებ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. მე კარგად ვიცოდი მისი გულის– ტკივილი, ვცდილობდი მის გადარწმუნებას, მაგრამ მის დამშვიდებას და ეჭვის გაქარწყლებას ვერ

ვახერხებდი. ალუს უმცირეს წვრილმანშიც კი ბრალს სდებდნენ, რაც მას საკუთარ თავში კიდევ უფრო მეტად აეჭვებდა. სანამ ალუს სიზმრის სცენის კულისებში ეს საძაგელი, სიტყვასიტყვით დაცული სიზუსტე ჩვენი თემის (ახალშატილის) ანტი და არათემატურ ნაწილში შესაბამის კრიტიკულ გამოძახილს ჰპოვებდა, სანამ მოვლენები მდუმარედ ვითარდებოდა და მასში მონაწილე პერსონაჟებიც (აბსოლუტურად მეორეხარისხოვანნი) მას კონკრეტულ შეფასებას არ აძლევდნენ, მანამდე ალუ მათ ისე მაინც აღიქვამდა, როგორც თემატურად არარეალურს, როგორც საკუთარი თემატურად აღგზნებული გონების წარმოსახვის ნაყოფს. ალუს სიზმრის სცენაში განვითარებული მოვლენები ეთერულ მოცულობას წარმოადგენდა, ანუ წიგნის პერსონაჟთა ჰაეროვან, წმინდა სულიერი სუბსტანციების განსაზღვრულობას, მათი ცნებებისა და წარმოსახვის შინაარსს, იქ არსებული საგნების (ქისტის ხორცის – ძვლების წვნიანი) ცნებებისა და წარმოსახვის შინაარს, ასე რომ, უკიდურეს შემთხვევაში, ამ საძაგელი პროცესების თემატური ფაქტობრიობის უარყოფა რაიმე ხერხით ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო. პარტიულ შეკრებაზე ალუს წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლა მას ამ ბოლო იმედსაც უკარგავდა. ალუს სწორედ ის ასობით პერსონაჟი უჩიოდა, რომელთა ეთერული სხეულებიც თემის ცაზე დაკიდებულ რეალურ თავებს ალუს სიზმარს თემატურ სინამდვილედ წარმოუდგენდა. ახალშატილის პროგრესული კოლექტივის მნიშვნელოვანი ნაწილი (ჩვენი წიგნის უბნის მრავალი საუკეთესო აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი პერსონაჟი) არათუ უკმაყოფილებას გამოთქვამდა, უფრო მეტიც, მისი პერსონაჟის პატიოსნებაშიც ეპარებოდათ ეჭვი. კეთილ ალუდას ეს გულს უკლავდა, საკუთარი თავის ისტორიული ნდობის ბოლო ნარჩენებსაც უკარგავდა– თუ ასეთი რამ მას კიდევ გააჩნდა – და იმ იმედსაც ართმევდა, რომ ამ მახინჯი სიზმრების თემატურ სინამდვილეში თავისი პიროვნული უდანაშაულობის დამტკიცებას შესძლებდა. რაღაც უნდა მემოქმედა, რადგან ალუს სინდისი ჩვენი ისტორიისთვის უძირითადესი იყო. სანამ მისი სინდისი შეუბღალავი იქნებოდა, ვერც თემის თემას მივიჩნევდით მცდარად. მხოლოდ ჩემს მეგობარს კი არ თანავუგრძნობდი, პირველ რიგში წიგნის ისტორიაში თემატური პროგრესის წინაშეც ვგრძნობდი თავს ვალდებულად. ფეხზე წამოვხტი, მაგიდაზე მუშტი დავარტყი და მთელი ძალით დავჭექე: ,სიჩუმე! დარბაზი გაინაბა. – „სად გგონიათ თავი, პარტიულ კრებაზე თუ საბავშვო ბაღში – რას ჰგავს ეს უდისციპლინო, უთავბოლო ყბედობა, – ხომ არ დაგავიწყდათ სად იმყოფებით? – ისე ღრიალებთ, შეიძლება, მწყემსებმაც მოგვაგნონ. ვიმეორებ: ვინც ამ დებოშს არ შეწყვეტს, ჩვენი რიგებიდან

გავაძევებთ და ახალშატლიდან მოვკვეთთ!„ – ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, თაგვის ფაჩუნსაც გაიგებდით. მათი უნებლიე მორჩილება თემში ჩემი უსაზღვრო, საარაკო ავტორიტეტის შედეგი იყო. პერსონაჟთა (აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი) უმრავლესობა თემში ანტი და არათემატური მოძრაობის სულისჩამდგმელად მთვლიდა და ამიტომ მათთვის ჩემი სიტყვა კანონი იყო.

,,ალუს პროტესტს უცხადებთ", – ენერგიული ხმით განვაგრძე, ,,დანაშაულის მთელ სიმძიმეს მას ჰკიდებთ, თითქოს თქვენს ეთერულ ორეულს თავის სიზმარში იძულებით, თემატურად იყენებდეს. უწმაწური ლანძღვით იკლებთ და აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი პერსონაჟებისთვის დამახასიათებელი, ტიპიური ზედაპირულობით ასამართლებთ. ბრაზს ისე დაუბრმავებიხართ, ერთხელაც არ იკითხავთ, რატომ არ ვფიქრობ მეც იგივეს, რატომ არ გამოვხატავ თქვენსავით აღშფოთებას და რატომ მაკავშირებს მასთან უწინდებურად მეგობრობა. განა მე, ქისტ მუცალს, თქვენთან, – ხევსურ პერსონაჟებთან შედარებით მეტი მიზეზი არ უნდა მქონდეს, რომ ალუს სიზმრით უკმაყოფილო ვიყო? ბოლოსდაბოლოს ალუს სიზმარი ხომ უშუალოდ მე მეხება, – თქვენში ერთადერთ ქისტს – და თქვენს მიერ გამოხატული Schisch-იც, პირველ რიგში, ამ ისტორიის საზღვრებში ქისტური წიგნის სამყაროს ერთადერთი წარმომადგენლის წინააღმდეგ არის მიმართული. ამ სურათხატებს მე წარმოვადგენ და მისი სიზმრები უმთავრესად მე უნდა მვნებდეს და მაზარალებდეს. ალუს სიზმარში სიტყვასიტყვით დაცული თემატური რეალობის მიუხედავად, მისი რწმენა ერთი წუთითაც არ დამიკარგავს და არც მის არათემატურ შეხედულებათა სიწმინდეში შემპარვია ეჭვი. ასეთსავე ნდობას უცხადებენ მას ჩვენი თემის საზღვრებს მიღმა, ქისტური წიგნის უბნებშიც. PanaMeranican-ით ინტერკონტინენტალურმა მიმოსვლამ წიგნის პერსონაჟებს, – თუნდაც ძილში, მსოფლმხედველობრივად განსხვავებული წიგნის სხვადასხვა უბნებში გამგზავრების შესაძლებლობა მისცა. ალუ ჩემსავით და თქვენსავით ასჯერ მაინც სტუმრებია ქისტებს, ტურისტული ავტობუსით მოუვლია ეს უბნები და როგორც ჩვენი წიგნის სამყაროს აბსოლუტურ (თუმცა ანტი და არათემატურ) პერსონაჟს შეკრებებსა და შეხვედრებზეც წარმოუთქვამს სიტყვა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თავისი სიზმრის საძაგელ თემატურ რეალობაზე საჯაროდ არაერთხელ უსაუბრია, რითაც ქისტების განსაკუთრებული პატივისცემაც დაიმსახურა. მათ ურყევად სჯერათ ალუს პერსონაჟის პროგრესულობისა. საკუთარი გამოცდილებით თუ ვერ ხვდებით, ყურმოკვრით მაინც ხომ უნდა იცოდეთ ამის შესახებ, ალუ ხომ მარტო არასდროს სწვევია ქისტებს. იმის ნაცვლად, რომ დაფიქრდეთ,

აღშფოთებულები გაჰყვირით და შესაბამისი დასკვნის გამოტანის სურვილიც არ გაქვთ. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ თქვენი შეხედულებები და გადაწყვეტილებები წიგნის სამყაროსთვის სრულიად ზედაპირულ მოვლენებს ეყრდნობა, რომელიც ისევეა დაცილებული ფაქტებს, როგორც ალუს სიზმარში მოცემული თემატური სინამდვილე. გინდათ, რომ სიზმარში მომხდარი მაინცადამაინც ალუდას გადააბრალოთ და არა თემს, – რაც, სხვათა შორის, უფრო ლოგიკური იქნებოდა. თქვენთვისვე იქნებოდა უკეთესი, ალუს არათემატური კეთილსინდისიერების რწმენა რომ არ დაგეკარგათ და ჩვენი პარტიის უდრეკ ვეტერანსა და ჩვენივე ბედისწერის გამზიარებელ ალუდას გვერდში ამოსდგომოდით. მე თქვენ გეკითხებით, რა დიდი სიბრძნე სჭირდება იმის მიხვედრას, რომ მსგავსი პროგრესული პერსონაჟის თემატური სიზმრები მხოლოდ ჰიპერბოლურ-კრიტიკული (ანუ ანტი და არათემატური) შინაარსისა შეიძლება იყოს და სიტყვასიტყვით დაცული თემატურობა ასეთ პერსონაჟთა სიზმრებშიც კი არ არის მოსალოდნელი? აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი პერსონაჟების გარდა დანარჩენნი მუდამ უცვლელნი არიან. ისინი ისტორიის უძირითადეს ნაწილს წარმოადგენენ მაშინაც კი, როცა მათი ხასიათი, აზროვნება და ქცევა ანტი და არათემატურია. ისინი იმავე პერსონაჟებად დარჩებიან მანამ, სანამ მათი თემა (თემი) იარსებებს. ეს ბავშვმაც იცის. ელემენტარული გარემოების შესაცნობად უბრალო ლოგიკაა საჭირო, რაც თქვენ არ გაგაჩნიათ. ჩემგან მაინც მოისმინეთ ის ერთადერთი და აბსოლუტური სიმართლე, რაც ჩვენი თემის სიზმრის სცენაზე სიტყვასიტყვით დაცულ რეალობას ეხება. უდავოა, რომ ამ პოემის ტერიტორიაზე ალუ თავისებური, არათემატურად მოქმედი მთავარი პერსონაჟია და ამიტომ იგი ვერც თემატურად იმოქმედებს ოდესმე და ვერც ამგვარ სიზმრებს ნახავს. იგი მუდამ წესდებით განსაზღვრული ანტი და არათემატური პერსონაჟის სახით უნდა წარდგეს და (აპრიორი) სრულიად ცხადია, რომ მისი თემატური სიზმარი სიტყვასიტყვით კი არ უნდა გავიგოთ, არამედ როგორც ქარაგმა, თემის კრიტიკა და ჰიპერბოლა, და მისი სიზმრის სცენას თემატური რეალობა მოვაცილოთ. ბრალდებები, რომელსაც ალუს უყენებთ, უსაფუძვლოა და მხოლოდ თქვენს გონებრივ შეზღუდულობაზე მეტყველებს, ამის გამო თქვენთვის პრინციპულად შეუძლებელია ამ ფენომენის უფრო ღრმად განჭვრეტა. წვრილმანებმა გონება დაგიბნელათ და სიბეცის გამო უმთავრესი არსებითისგან ვეღარ განგისხვავებიათ„. ამის შემდეგ გავჩუმდი, მინდოდა მენახა, რა შთაბეჭდილება მოახდინა ალუს დასაცავად წარმოთქმულმა ჩემმა მგზნებარე სიტყვამ და ძალა მომეკრიბა. დარბაზში დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. ეს სიტყვები, ალბათ, სრულიად საკმარისი

იყო, რომ ახალშატილელ პერსონაჟებში ალუს არათემატური სახელი (რწმენა) აღმედგინა. ისინი კი გოშია ძაღლებივით იდგნენ და გაჯეჯილი გრუზა თავები მორჩილად დაეხარათ. აღარც ტრანსპარანტები მოჩანდა სადმე, თითქოს მაგიურმა ძალამ ერთი ხელის მოსმით გააქროო. ვგრძნობდი, ალუს საბოლოო რეაბილიტაციისათვის მისი სიზმრის კიდევ ერთ თემატურ მიზეზზე კონკრეტული მითითება იყო საჭირო და ამიტომაც განვაგრძე: ,,ჩვენს თემში ქისტის გვამისჭამას, ქისტმოძულეობასა და თემატურობას, როგორც რეალობას, მწყემსებს და მათ ხევსურ ხელქვეითებს – უშიშას და ბერდიას – უნდა ვუმადლოდეთ. დღენიადაგ იმის მცდელობაში არიან, ჩვენს ისტორიაში სულ უფრო მზარდი პროგრესული ანტი და არათემატური ძალები ჩაახშონ და ჩვენი თემა უცხოეთის (წიგნის დანარჩენი სამყაროსა და ჩვენს თავზე არსებული ტრანსცენდენტური რეალური სამყაროს თვალში, ისეთად წარმოაჩინონ, თითქოს იგი ქისტმოძულე, შიშველ და სასტიკ Schisch -ზე იყოს დამყარებული. სწორედ ამიტომაც არ უშვებენ ხელიდან ეს მამა აბრაამის ბატკნები არც ერთ შანსს, ყოველსავე ანტი და არათემატურს ამახინჯებენ და ყველა ხერხს ხმარობენ, რათა თემის სცენაზე თემაში Schisch ცხადად მოჩანდეს. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ეს ადგილი ჩვენი თემის თემატიკაში მწყემსებისა და მისი დამქაშებისთვის უკიდურესად სუსტ, სწორედ ანტი და არათემატიურ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს„.

სიზმარი, რომელიც ჩვენმა მეგობარმა თავდაპირველად ნახა და როგორც წმინდა სუბიექტური, შინაგანი განცდა ისე გადმოგვცა, ხევსურულ სახეებზე Schisch-ური (ქისტმოძულე) მანჭვა-გრეხვისთვის, კრიტიკულ-ჰიპერბოლურ სილის გარტყმას ნიშნავდა და ჩვენ წიგნის უბნის შიგნით სავალალო თემატური გარემოს ღვარძლიან კარიკატურას წარმოადგენდა. ბუნებრივია, მწყემსები დიდხანს ვერ მოითმენდნენ თემში მსგავს ირონიას და მალევე შეუდგნენ – ჩემი გამოთვლით წიგნის უბნის შექმნიდან (შეთხზვიდან) რეალურ სამყაროსეულ პირველივე ათწლეულში – ჩვენი პოემის ტერიტორიის მესამე პროვინციაში, ალუს ანტი და არათემატური სიზმრის სახის თემატურ გაყალბებას. ცხადია, ისინი ფრთხილად და უჩუმრად მოქმედებდნენ, ალუდა ხომ ის აბსოლუტური მეორეხარისხოვანი პერსონაჟი არ არის, ისე მოქცეოდნენ, როგორც მოესურვებოდათ. იგი აბსოლუტური მთავარი პერსონაჟია და ამ ნიშანთვისების გამო ნებისმიერ წუთს შეეძლო მიემართა თავისი ხელშეუხებელი კონსტიტუციურ–სიუჟეტური უფლებისთვის, რაც მას ლაპარაკის, სიზმრის და, საერთოდ, წესდებისამებრ წარმოჩენის უფლებას აძლევდა. რაც უნდა ანტი და არათემატური (ჰიპერბოლურ-კრიტიკული) მნიშვნელობისა იყოს ალუს სიზმარი, იგი მაინც წესდებით არის განსაზღვრული,

ჩვენი წიგნის უბნის სიუჟეტშია ჩაწერილი და ჩვენი ისტორიის მსვლელობისთვის თემატურად გარდაუვალი. მწყემსები ალუს, ანუ თავიანთი თემატიკის (თემის) მარადიულ სინდისის ქეჯნას ვერც გაანადგურებდნენ, ვერც გარდაქმნიდნენ (თავიანთ თემაზე გადართავდნენ) და, მითუმეტეს, ვერც ჩააჩუმებდნენ, რადგან მთავარი პერსონაჟი (წიგნის პერსონაჟი) შეუცვლელია და თავისი ურყევი შეხედულებებით, თვალთახედვითა და წიგნის სამყაროს მსოფლმხედველობით სამარადისოდ თემის თემას განეკუთვნება.

იგივე კანონი ეხება წიგნის განურჩევლად ყველა მთავარ პერსონაჟს, ვისი მეტყველებაც თემში (თემაში) ალუს მსგავსად, ანტი და არათემატურია, ვინც თავისი თემის თემას ლეგალურ, წიგნის უბნის სიუჟეტით ნებადართულ ოპოზიციაში უდგას. მწყემსებს ალუდა ქეთელაურის მყუდროების დამრღვევი ანტი და არათემატური სიზმრის იდეების წასაშლელად თუ არა, მის შესასუსტებლად, ერთადერთი გზაღა დარჩენოდათ. ეს გზა სიზმრის სცენის კულისებში წარმოდგენილი რეალობით ამ იდეების გარდაქმნასა და გაყალბებაში მდგომარეობდა. მწყემსების განსაცვიფრებლად გამჭრიახი გონება თემის თემატური უპირატესობის წარმოჩენისაკენ არის მუდამ მიმართული და ისინიც მაშინვე მიხვდნენ, რომ თუ ალუს სიზმარს აბსტრაქტულ-ჰიპერბოლური სიმაღლიდან ქვევით, თემატიკის (თემის) კონკრეტულ დონემდე დაიყვანდნენ და ამ წარმოდგენებს ჩვენი კონკრეტული ისტორიის (პოემის) საზღვრებში გამოხატავდნენ, მაშინ ისინი უთუოდ კრიტიკულ აზრსაც დაკარგავდნენ. ამ გზით ალუს სიზმრის სურათხატები კვლავ თემის თემას დაუკავშირდებოდა და ისეთ სახეს მიიღებდა, თითქოს ალუს მხოლოდ თემატური სიზმარი ენახოს და, მიუხედავად Schisch-ის წინააღმდეგ მისი რევოლუციური მტკიცებებისა, ძირისძირში, ანუ ქვეცნობიერად, ჩვენის წიგნის უბის ისტორიის ქისტმოძულე ძველ ტრადიციასთან მტკიცედ ყოფილიყოს დაკავშირებული. სწორედ ამ კუთხით უნდა შევხედოთ ყველა იმ კონკტეტულ მოვლენას, რომელიც ჩვენი თემის სცენაზე ალუს მიერ სიზმარზე მონაყოლს სდევს თან, რომელიც მის მონაყოლს თემატურ რეალობას უთანაბრებს და ჩვენი თემის საუკეთესო პერსონაჟს უნამუსოდ უტეხს სახელს. „რა გესაქმებათ ალუსთან, მის სიზმართან, რომელიც სწორედ მისი ანტი და არათემატური ცნობიერებისა და ტექსტუალური კრიტიკის ფაქტს წარმოადგენს, თქვენ მხოლოდ ალუს უდანაშაულო სიტყვის უღირსი დანამატი ხართ, მწყემსების მდარე თვითნაკეთობა, რომლის ერთადერთი დანიშნულებაც წიგნისა და რეალური სამყაროს თვალში მაღალზნეობრივი წიგნის პერსონაჟის დაკნინებაა. აქ მარტო ალუდაში კი არ არის საქმე„ –

განვუმარტავდი იქ შეკრებილებს, რომლებიც დაძაბული ინტერესით მიგდებდნენ ყურს. – ,,ალუს სიზმრის ჭეშმარიტი არსის სულმდაბალი და სრულიად სიუჟეტის საწინააღმდეგო მეთოდებით გაყალბება უნდა განვიხილოთ, როგორც მწყემსების ზოგადი პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მთელი უბნის მომცველი, შეუმჩნევლად მზარდი ანტი და არათემატური ფრონტის დეზორიენტაციასა და მისთვის თემატური სოლის ჩარჭობას გულისხმობს, რათა ამ ძალების გაერთიანებას გადაეღობოს. სწორედ ეს არის ალუს თემატური სიზმრის სცენაში თემატური რეალობის ნამდვილი აზრი, სადაც მწყემსები ჩვენი თემის თითქმის ყველა მეორეხარისხოვან და ახალშატილის ანტი და არათემატურ პერსონაჟებს თემატური რეალობით, მზაკვრულად მოფიქრებული ხერხებით ასაქმებდნენ და ჩვენს ეთერულ მე-ს, ჩვენს საუკეთესო და უწმინდეს პიროვნულ მე-ს Schisch-ში, ქისტის გვამისჭამაში და ა.შ. ითრევდნენ. უკვე აქედანაც ცხადად ჩანს ვერაგულად გათამაშებული ამ საჭადრაკო სვლის უკანონობა და საიდუმლოება, უკვე ამითაც აშკარავდება მათი ქმედება, როგორც აღმაშფოთებელი, სიუჟეტის საწინააღმდეგო Schisch. ალუს სიზმრის მიღმა სიტყვასიტყვით დაცული თემატურობა რომ ჩვენი ისტორიის თავდაპირველი შემადგენელი ნაწილი ყოფილიყო, მაშინ მწყემსები სიზმრის ეთერულ-გამჭირვალე სურათ-ხატების ნაცვლად იქ მოქმედ პერსონაჟებს მთელი თავისი ცხოველმყოფელი სისავსით თემაში ყველა საგნისათვის დამახასიათებელი თემატური რეალობით აამოქმედებდნენ და ალუს ზღაპრული, არარეალური, ჰიპერბოლურ-კრიტიკული მონოლოგიც, სიზმრის მთელ თემატურ სცენასთან ერთად, სრულიად ზედმეტი შეიქნებოდა. მაშინ ისინი სიტყვასიტყვით დაცულ თემატურობას, როგორც თემატურ რეალობას, ისეთად წარმოგვიდგენდნენ და გვამისჭამას ჩვენი თემის სიუჟეტში წესდებით განსაზღვრული ადგილი მიენიჭებოდა. ჩვენ კი წიგნის სამყაროში ამ პოემის შექმნის დღიდანვე გვეცოდინებოდა, რომ კაციჭამიები ვართ. ალუს სიზმრის თემატიზაციისთვის მწყემსებს სრულიად საიდუმლოდ უნდა ემოქმედათ, ვინაიდან Schisch-ისადმი განსაკუთრებული სიყვარულისა და თემატური ცრურწმენის, სისატიკისა და მისი ჩლუნგი ფანატიზმის მიუხედავად, ჩვენი თემი ადამიანისა და ქისტისმჭამელ თვისებებს თავისად ვერ მიიწერდა და მსგავს რამეს ვერც ერთი, ჩვენი პოემის ტერიტორიის თვით ქისტმოძულე პერსონაჟისგანაც ვერ მოითხოვდა. ალუს სიზმარს სცენის ეთერული-სულიერი განზომილება კი საამისოდ ყველაზე ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. მწყემსებს შეეძლოთ თითოეული პერსონაჟის ეთერული „მე" სცენაზე გამოეყვანათ, ასევე ეთერულ-აბსტრაქტული ქისტის წვნიანის წინ დაესვათ და შემზარავი მოვლენები აუმღვრეველი

სულიერი სიმშვიდით განევითარებინათ და იმის შიშიც კი არ ჰქონოდათ, რომ წიგნის უბნის მოსახლეობის მხრიდან რაიმე წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ, ან მათ ბინძურ ინტრიგას ვინმე აღმოაჩენდა და დაგმობდა, რადგან ისინი მხოლოდ ჩვენს ეთერულ მე-ს იყენებდნენ, იმ დროს, როცა ბურანში წასული ჩვენი ფიზიკური სხეულის ნაწილს, ფაქტიურად, თემის ფხიზელი ცხოვრებიდან გამოთიშულს, სახლებში, საკუთარ საწოლებში ეძინათ. ჩვენი ეთერული მე თემატური ძალადობის მსხვერპლი ხდებოდა და წიგნის უბნის სიზმრის გრძელი ტალღების მეშვეობით, – სავარაუდოა, რომ ამ ტალღების გამომგზავნ ხელსაწყოს მწყემსები აკონტროლებენ – ალუს სიზმარში თემატური რეალობის აღსასრულებლად სისტემატურად გვიხმობენ. მთელი ეს მანევრი ისე ვერაგულად არის მოფიქრებული, რომ პირველ ხანებში ვერც კი ვამჩნევდით მათ მიერ გათამაშებულ მზაკვრულ ინტრიგას. გვეგონა, თემატურ სიზმრებს ჩვენვე ვბადებდით და Schisch-ნარევი (Schisch-ური) წარმოდგენებისა და კოშმარების შემოქმედად საკუთარი თავი მიგვაჩნდა. ჩვენივე გულუბრყვილობის გამო – რადგან თომინოს ანტი და არათემატური სული ჯერ კიდევ არ გამოეფხიზლებინა – თემატურ რეალობას ალუს სიზმარში საკუთარ სიზმრად ვთვლიდით და მას ჩვენს თემატურად აღგზნებულ, Schisch-ით გადაღლილ და გატანჯულ ნერვებს მივაწერდით, რისთვისაც ლუმინალს, ან სხვა რაიმე დამამშვიდებელ საშუალებას ვიღებდით და გვეგონა, თუკი კოშმარებს გავიქრობდით და უსიზმრო ძილით დავიძინებდით, ამით გვეშველებოდა. სინამდვილეში კი ჩვენს ეთერულ მე-ს მწყემსებს ვუგდებდით ხელში. აბებმა უნებისყოფო იარაღად გვაქცია და უნებლიედ, განუსჯელად მათ მოთხოვნებს მექანიკურად, სიტყვასიტყვით ვასრულებდით. ასე რომ, გაყალბებამ ტაქტიკური ხასიათი მიიღო, და მისი შეჩერება შეუძლებელი გახდა. როგორც ხედავთ, წიგნის პერსონაჟმა საძილე საშუალება დიდი სიფრთხილით უნდა მიიღოს, რადგან პირველ რიგში ის წიგნის უბნებში თემას (თემს) კიდევ უფრო განამტკიცებს. ამ ტყუილს თემში მთელი საუკუნე ვერავინ ხვდებოდა. რატომ? იმიტომ, რომ არ არსებობდა სულიერი, ვინც ანტი და არათემატურ მოსაზრებას გამოიჩენდა და საკუთარ თავს ჰკითხავდა, მაინც რა უნდა ყოფილიყო მათ სიზმრებში მსგავსი თემატური უხამსობის მიზეზი, რატომ არ უჩანდა ბოლო ამ კოშმარს, რომელიც მათ ასე ჯიუტად თავს ატყდებოდათ. მსგავსი შეკითხვა არავის უჩნდებოდა, წიგნის უბნის დაარსებიდან ნახევარ საუკუნეს მაინც უნდა გაევლო, სანამ ჩვენი სიზმრების თემატურობაში ეჭვს შევიტანდით. რატომ გეუბნებით სწორედ ახლა ამის შესახებ? იმიტომ, რომ ბოლოსდაბოლოს შეიგნოთ, რომ დანაშაული თქვენ, ჩვენ, თემის ყველა პერსონაჟს მიუძღვის და არა ალუს, რომელსაც დანაშაულის

მთელ სიმძიმეს ჰკიდებთ. დიდხანს, ძალიან დიდხანს ვუყურებდით უხმოდ და უმოქმედოდ საკუთარ თემატურ სიზმრებს ისე, რომ გამოფხიზლების სურვილიც არ გაგვჩენია და სულ მცირე ანტითემატური ეჭვიც არ შეგვპარვია. მან კი, – ამ სიტყვების წარმოთქმისას ჩემს გვერდით მჯდომ ალუზე მივუთითე, რომელსაც მკვდრისფერი დასდებოდა, – თავისი სიზმრის თემატურ რეალობას თავიდანვე კრიტიკულად შეხედა. იმ ხანებში, როცა თომინო ჯერ კიდევ ზედაპირული იყო და არა ჩვენი მანუგეშებელი და ისტორიული, შეუბრალებელი Schisch-ის შემამსუბუქებელი ანტი და არათემატური თამაში, იგი უკვე მწყემსებთან თავისი სიზმრის სცენაზე მომხდარ აუტანელ მოვლენებზე ჩიოდა. ჩვენს თემში თემატური რეალობის წინააღმდეგ ამხედრებული პირველი დემონსტრატი სწორედ ალუ იყო და რა უსამართლოა იმის მტკიცება, თითქოს მთავარი პერსონაჟი ალუზე თავის სიზმარს, როგორც თემატურ რეალობას ისე ხედავდეს და სიზმრის სურათ-ხატებში მონაწილეობას თემის ყველა აბსოლუტურად მოერეხარისხოვანი პერსონაჟის ეთერულ მე-ს აიძულებდეს.

ალუ არ არის ავტორი და თუ მისი ანტი და არათემატური ნააზრევი კითხვის ქვეშ დგება და ყველას თაღლითად მიგაჩნიათ, მაშინ იგი თემა-ტური რეალობის პირველი მსხვერპლი ყოფილა, რომელიც თანაგრძნო-ბას უნდა იწვევდეს. ამის განჭვრეტა არავის შეეძლო, რადგან სიზმრის სამყაროს კრიტიკული კვლევის დაწყებამდე ჯერ ცხადში უნდა მოგვეპო-ვებინა კრიტიკული (ანტი და არათემატური) განსჯის უნარი. საამისოდ კი – როგორც უკვე ვხედავთ – ძალზე დიდი დრო ყოფილა საჭირო. ვერც ჩვენი ისტორიის უკანა ფერდობებზე გაჩენილმა ახალმა შატილმა და წიგნის პერსონაჟთა შორის ანტი და არათემატური პოზიციის შექმნამ მიგვახვედრა თემატური სიზმრის სახის სევდიანი ჭეშმარიტება.

თავიდან თემატურ სიზმრებს, როგორც რიგით მოვლენას, ისეთად აღვიქვამდით. თვალში არც მაშინ მოგვხვედრია რამე, როცა ანტი და არათემატურ მოწინააღმდეგე გუნდად შევიკარით და ანტი და არათე-მატური ძალად გავერთიანდით. საკუთარი თემატური სიზმრები ჩვენი წიგნის პერსონაჟულ ქვეცნობიერში თემის თემატიკის მექანიკურ გაგრ-ძელებად მივიჩნიეთ, რომელიც ჩვენი სულის უშორეს კუნჭულში Schisch-ის უმნიშვნელო გადმონაშთის სახით არსებობდა. გვეგონა, თემატური ნარჩენები აქროლდებოდა და უკეთესი, ქისტმოყვარე, საერ-თოდაც უ-Schisch-ო საზოგადოება თავისთავად ჩამოყალიბდებოდა. სიზმრის სამყარო მნიშვნელოვნად არავის მიგვაჩნდა. გვჯეროდა, რომ მხოლოდ ცხადში უნდა გვემოქმედნა და სიზმარს კი ზემოქმედების უნარი არ გააჩნდა. ამგვარად, ათწლეულების მანძილზე, ჩვენი სიზმრები იმ სფეროდ იქცა, რომლის მეშვეობითაც (ბინძური,Schisch-ური თემატიკის)

თემი ჩვენს ცნობიერებაზე ტოტალურ გავლენას ახდენდა: ჩვენი ეთერული *მე* კი მწყემსების ხელში უნებისყოფო სათამაშოდ იქცა. ცხადია, მწყემსები, ჩვენი ქვეცნობიერის მეტად თემატიზაციისთვის და მის დასატერორებლად არაფერს დაიშურებდნენ.

წარმოიდგინეთ ის დამამცირებელი მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებოდით და შემდეგ კი ალუს მდგომარეობას შეუდარეთ. სწორედ ის იყო ერთადერთი, ვინც ეს მზაკვრული თამაში საფუძველშივე განჭვრიტა. თემატური რეალობა მის (ალუს) ხარჯზე განვითარდა, ხოლო მას კი არავინ ჰყავდა ისეთი, ვისაც თავის ეჭვს გაუზიარებდა, გააფრთხილებდა და დაიცავდა მის საუკეთესო (ეთერულ) ნაწილს, რომელსაც მწყემსები ჩვენი Schisch-ური თემის თემატიკისთვის იყენებდნენ. ალუ უმწეოდ შეჰყურებდა, როგორ თანდათან ვიქცევით ახალშატილის ანტი და არათემატური პერსონაჟები გახრწნილი, ქისტმოძულე პოემის ბრმა იარაღად. რომელი ჩვენთაგანი დაიჯერებდა მაშინ მის ნათქვამს? ვინ არ ჩათვლიდა ალუს შეშლილად, ჩვენს სიზმრებში რომ მწყემსების ძალადობის პოლიტიკაზე მივეთითებინეთ? თვით მეც კი, ქისტი მუცალი, ვერ მივუხვდი ალუს მაშინვე – რაც უნდა იყოს, თეამტიკის (თემის) საკითხში ყველაზე მეტი გამოცდილება მაქვს. მე ვიყავი ის პირველი, ვისაც ალუმ ეს გაანდო და ამ საშინელ საიდუმლოს ჩვენ ორნი დიდხანს, ძალიან დიდხანს, თემში მარტოდმარტო დავატარებდით.

სიმძიმე არც მაშინ შეგვმსუბუქებია, როცა თქვენ თავისუფალი წიგნის სამყაროსა და პირველ რიგში კი, მშვენიერი ქისტური უბნებისაკენ მიმავალი სიზმრის გზები აღმოაჩინეთ. გამათავისუფლებელი პროცესი დიდად გვახარებდა, თუმცა იმაზე ფიქრიც გვიჩენდა სადარდებელს, აღმოგაჩნდებოდათ თუ არა თქვენ, ჩვენი ისტორიის (პოემის) ტერიტორიის თემატურ რეპერტუარში რთული, ერთი შეხედვით, მართლაც შემზარავი Schisch-ური სიზმრის სურათ-ხატების სწორად, ანუ მათი ანტი და არათემატურად გაგების უნარი. ამას შემდეგ, სიზმრად ფრენაც მოჰყვა. თავიდან თემის საზღვრების გადალახვას სპორტული ხასიათი ჰქონდა (თეთრ მერნებსა და მშვიდობის მტრედებზე ამხედრებული ცალკეული თავზეხელაღებული მხედრის სახით, რომელიც შემდეგ, ქისტების დიდსულოვანი ხელშეწყობით საუცხოო თვითმფრინავებისა და ქისტური ავიაკომპანიის „PanaMeranican-ის" წყალობით, სიზმრად ტრანზიტული მიმოსვლის მაღალკომფორტაბელურ ფორმაში გადაიზარდა. ამ პროცესებმა თქვენი ეთერული „მე" სიზმრის საერთაშორისო ორბიტაზე გაიყვანა, დამოუკიდებლობა და თავდაჯერებულობა შეჰმატა და სიზმრის სფეროში საკუთარი შეხედულებები და განსჯის უნარი ჩამოგიყალიბათ, რაც ჩვენში კმაყოფილების გრძნობას ბადებდა, თუმცა იგივე მოვლენა ჩემი

და ალუს სერიოზული შეშფოთების მიზეზადაც იქცა.

ამ მოვლენებმა შემდეგი პრობლემის წინაშე დაგვაყენა: როგორ აღიქვამდით ალუს სიზმარს და შემდეგ კი თავად ალუს, როცა თქვენი ეთერული „მე", სიზმრის მიღმა შექმნილ, სიტყვასიტყვით დაცულ თემატურობას აღმოაჩენდა და შეიგრძნობდა, რომ თურმე ამგვარი თემატურობის სცენური გამოვლინებისათვის ბოროტად გამოუყენებიხართ და ცხადში, თემის ფიზიკურ რეალობაში თქვენი პროგრესული, დიახ, ანტი და არათემატური პოზიციის მიუხედავად, შინაგანად (ეთერულად) მაინც ულტრათემატური და Schisch-ური ყოფილხართ. ამის შემდეგ კი მოსალოდნელი იყო, რომ ალუზე განრისხდებოდით, მის სიზმარს, როგორც თემატურ შემთხვევას და თქვენი უდანაშაულო (ანტი და არათემატური) ეთერული მე-ს საპყრობილეს, უცერემონიოდ უარყოფდით. უსაფუძვლო ეჭვი, და ბოლოს კი მცდარი მოსაზრებები გაგიჩნდებოდათ, რომ ალუდა მწყემსების საერთო საქმეს ემსახურება და თემის ფიზიკურ რეალობაში უცოდველი ანტი და არათემატურ ნიღაბაფარებული, შინაგანად, ჩვენი სიზმრის სფეროს ეთერულ ქვეცნობიერში, განურჩევლად ყველა პერსონაჟს თემის თემატიკისა და ამ მახინჯი, სიტყვასიტყვით დაცული თემატური რეალობის ანაბარა სტოვებს. რა იმედი უნდა გვქონოდა, რომ თქვენ, დამოუკიდებელი აზროვნებისთვის ახლადგამოღვიძებული ანტი და არათემატური პერსონაჟები, ალუს სიზმრის სცენის ჭეშმარიტი არსის შესაცნობად საკმარის გონიერებას გამოიჩენდით და ვერაგული მეთოდებით მის ულტრათემატურ გადასხვაფერებასა და მწყემსების მიერ ისტორიულ გაყალბებას მიხვდებოდით. ამ საჩოთირო მდგომარეობით შეფიქრიანებულები დიდხანს ვდუმდით და თქვენთან ერთად საჯარო გამოსვლებისთვის ვემზადებოდით. ვხედავდით, რომ ეს გარდაუვალი იყო, რადგან თქვენი ეთერული *მე* უკვე სწორ გზაზე დამდგარიყო, რომელიც სიზმრის სფეროში თემის თემატიკისგან მეტ დისტანციას იცავდა, Schisch-ურ თემატურ რეალობასთან საკუთარ შეუთავსებლობასაც ცხადად ხედავდა. ჩვენი ვარაუდის სისწორეში დღევანდელ არჩევნებზე თქვენი აღშფოთებული გამოსვლაც მეტყველებს. ალუდა ქეთელაურს განუსჯელად ესხმით თავს და მის სიზმარსაც უსაფუძვლოდ აუხირდით. როგორც უნდა იფიქროთ და რაც უნდა თქვათ, მისი სიზმარი მაინც ყველაზე წესიერი და სამაგალითო ქვეცნობიერის ქმნილებად რჩება.

ძალაგამოცლილი გავჩუმდი, დარწმუნებული ვიყავი, აღარაფრის დამატება არ იყო საჭირო. ისინიც კი, ვინც ყველაზე ხმამაღლა გაჰყვიროდნენ და ალუს წინააღმდეგ უწმაწური ლანძღვა-გინებით აჭრელებულ პლაკატებს ჰაერში აფრილებდნენ, თავჩაქინდრულები იდგნენ. ბევრი

დარბაზიდანაც გაპარულიყო. შემდეგ კი პოდიუმთან ვიღაც მოგვიახლოვდა და ათრთოლებული ხმით განაცხადა: ყველა იმ პერსონაჟის (აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი პერსონაჟის) სახელით ვაპირებ გამოსვლას, ვინც ალუს გაუგებრობის გამო ამ უმსგავსობაში (Schisch-ში) ადანაშაულებდაო. საკუთარ შეცდომებზე თვალი აგვეხილა და წიგნის უბნის ანტი და არათემატურ პრეზიდიუმს ამისათვის უმორჩილეს პატიებას ვთხოვთო. ამიერიდან სიტყვასიტყვით დაცული თემატური რეალობის ატანა გაცილებით იოლი იქნება, რადგან უკვე ყველამ ვიცით, სად გადის თემატური საზღვარი ალუს სიზმრის სცენაში და ამ სცენის ნამდვილი, პროგრესული (ჰიპერბოლური) არსი რაში მდგომარეობსო. შემდეგ კი მან და ალუმ ერთმანეთს საზეიმოდ ჩამოართვეს ხელი, რამაც მოვლენათა მსვლელობა კიდევ უფრო მეტად გამოაცოცხლა. ალუს სახეზე ჯანმრთელი ფერი დაუბრუნდა. მარტო რომ დავრჩით, მადლიერების ნიშნად უხმოდ, ძმურად გადამეხვია, რაც უფრო მეტი იყო, ვიდრე მადლიერებით ნათქვამი სიტყვა.

ალუს მძიმე სევდა

მეგონა, ყველაფერი მოგვარდა და ჩემი მეგობარი უწინდებურად ისევ ის კეთილი, კარგი, თავდაჯერებული და თემის ყველა პროგრესული ხევსურისათვის სამაგალითო ალუდა გახდებოდა. პირველ ხანებში მართლაც ასე იყო. თითქოს ალუს სიზმრის სცენის საძაგელ თემატურ რეალობასთან დაკავშირებული ყველა კომპლექსი მოეხსნა. ჩვენი ისტორიის ყველა საუკეთესო პერსონაჟმა იცოდა, თუ ვისგან და საიდან იღებდა სათავეს ალუს სიზმრის თემატური რეალობა. რადგან ყველამ ყველაფერი დაივიწყა და თვით უნდო ხევსურებიც (წიგნის პერსონაჟებიც) კი ამ საკითხზე კრინტს აღარ ძრავდნენ, თითქოს ალუს შფოთვის საბაბიც აღარ უნდა ჰქონოდა და მაინც მე და ალუს უახლოესმა მეგობრებმა, ვინც მისი წიგნის პერსონაჟის სასიკეთო ცვლილებებს დიდი სიხარულით ვადევნებდით თვალს, შევამჩნიეთ, რომ იგი ძველებურად სასოწარკვეთილებას მოეცვა. მზერა და მეტყველება გაუბედავი გაუხდა, სახეზე ენით უთქმელი მელანქოლია აღბეჭდვოდა და ფერდაკარგული, ხალისწართმეული დაიარებოდა. მაშინვე მივხვდი, რომ ჩემს მეგობარს ძველი თემატური Schisch სტანჯავდა და არა ფიზიკური უღონობა. ანტი და არათემატურად ნაგულისხმევი სიზმრის თემატური რეალობა მოსვენებას არ აძლევდა. მაინც რა უნდა ყოფილიყო ალუს შფოთვის მიზეზი? თემატური რეალობა ხომ ყველას განვუმარტეთ და ამიტომ მას თემში აღარც არავისი უნდა შერცხვენოდა.

ყველანი შეშფოთებულნი ვადევნებდით თვალს ალუს მდგომარეობის გაუარესებას. კარგა ხანმა განვლო, სანამ გამომიტყდებოდა. ისიც მინდა გითხრათ, რომ ალუს, როგორც საერთოდ ყველა ხევსურს, ძალზე ამაყი ხასიათი აქვს და ამიტომ სხვას ძნელად თუ სთხოვს შველას. უწინ ენას მოიკვნეტს, ვინემ თავის უმწეობაში გამოტყდება. ხასიათის მის ამ საზოგადოდ შეზღუდულ თვისებას ის გარემოებაც ამძაფრებს, რომ ალუ ჩვენი გახლეჩილი თემის აბსოლუტურად მთავარი პერსონაჟია. ძველი თემატური შატილის ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები ალუს არ სწყალობენ და მას ანტითემატურ და ამდენად, უარყოფით პერსონაჟად მიიჩნევენ. ახალ შატილში კი მას ამავე მიზეზის გამო საუკეთესო და დადებით გმირად თვლიან. სწორედ ეს გარემოება აიძულებს ალუდას, რომ თემის ყველა აბსოლუტურად მეორეხარისხოვან პერსონაჟთან მუდამ აუცილებელი შინაგანი დისტანცია დაიცვას. თემატური საზღვრების დაცვის მიზნით წიგნის სამყაროს მთავარი პერსონაჟები თემის მეორეხარისხოვანი პერსონაჟებისგან იმ შემთხვევაშიც კი მკაცრად არიან გამიჯნულნი, როცა ორივე მხარე ერთმანეთის მიმართ კეთილმეგობრულ დამოკიდებულებას იჩენს. ყველა ისტორიისა და პოემის შინაარსი შინაგანი დიფერენცირების ამ ზოგად კანონს ეყრდნობა. რადგან სხვა, ჩვენი ისტორიის სულით ხორცამდე თემატური მთავარი პერსონაჟები (როგორებიც არიან უშიშა, ბერდია და ჩვენი ღრმად პატივცემული სახელმწიფო საბჭოს დანარჩენი მხცოვანი წევრები) ალუს სატკივარს ვერ გაიგებდნენ, ამიტომ ჩემი მეგობარი ამ მძიმე სევდას დიდხანს მარტოდმარტო დაატარებდა. ბოლოს ჩემთან მოვიდა ახალ შატილის პატარა, მოკრძალებულ ერთოთახიან ბინაში. მანამ ლაპარაკს დაიწყებდა, წინდახედულობა გამოვიჩინეთ და ტელეფონზე ბალიშები და საბნები დავახვიეთ. ჩვენი პოემის ტერიტორიის ყველა კერძო ტელეფონის ყურმილი პირდაპირ მწყემსების უშიშროების კომიტეტთან არის მიერთებული და ჩვენს ძვირფას ხელისუფლებას დიდ სამსახურს უწევს რომ თემში, განსაკუთრებით კი ანტითემატურად განწყობილ შატილში თვითოეული ადამიანის სატელეფონო საუბარს მოუსმინოს. ამბობენ, რომ თაროებით სავსე უზარმაზარ დარბაზში უთვალავი მაგნიტოფონი განუწვეტლივ ტრიალებს და უშორეს სატელეფონო საუბარსაც კი იწერს, ხოლო მწყემსები თავგამოდებით მუშაობენ, მასალას მასალაზე ახარისხებენ და მნიშვნელოვან (ანტითემატურ) ფაქტებს საქმიან საბუთებს ურთავენ.

როცა ტელეფონი სათანადოდ დავადუმეთ, დავაყრუეთ და საშიშიც აღარაფერი იყო, ალუმ დაგუდული ხმით მითხრა – „უნდა დამეხმარო, თორემ გავგიჟდები!„ – ლამის ტიროდა. მაშინ პირველად შევიტყვე ჩემი მეგობრის ახალი მძიმე სულიერი კომპლექსის შესახებ, რომელიც მას

ბოლოს უღებდა. საქმე ის იყო, რომ ალუ თემის ცისკენ ახედვას ვეღარ ბედავდა; უფრო მეტიც, სირცხვილისა და შიშისგან რეალური მკითხველის თავს თვალს ვერ უსწორებდა და წელში მოხრილი დადიოდა. თემში პერსონიფიცირებული ავსულივით, გამოაშკარავებული ვიგინდარასავით დაიპარებოდა. წიგნის დახურვის შემდეგ კი, როცა უკვე თემის ცაზე რეალური თავები აღარ ჩნდებოდნენ, იგი მაინც ოთხ კედელს შორის გამომწყვდეული ემალებოდა ცას. ახალშატილის გარეუბანში ალუდას პატარა საკუთარი სახლი და, როგორც მთავარ პერსონაჟს, ჩვენთან შედარებით ბევრად უკეთესი საცხოვრებელი პირობები აქვს. თემატური თემის ტერიტორიის ქოხს, – როგორც ზემოთ მოგახსენეთ – სადაც მისი თემატური სიზმრის სცენის მოვლენები ვითარდება, სწორედ ამ სახლს ამჯობინებს და უფრო ხშირადაც იქ რჩება. – „შენ მაინც გამიგებ, მუცალო – მითხრა აკანკალებული ხმით. – მაშინაც კი, როცა რეალური თავი არ ჩანს, ზეცა უზარმაზარი ფანჯარასავით დაგვყურებს და რა ვიცით, რომ იქიდან რომელიმე ზენა არსება არ ჩამოგვყურებს თუნდაც მაშინ, როცა ჩვენი თემი რეალურ სამყაროში ფაქტიურად ბოლომდე წაკითხული და დახურულია? ფილოსოფიის წრეზე წაკითხულ ბოლო მოხსენებაში შენ თვითონ არ თქვი, წიგნის უბნები ღია, ჩაუკეტავ, ჩაურაზავ სისტემას უნდა წარმოადგენდესო? ხომ ხედავ, როგორაა საქმე, და თანაც არა ჩემს სასარგებლოდ. ასე რომ, დარდისთვის ყველა მიზეზი მაქვს."

ალუს სულიერი ტანჯვა მით უფრო აუტანელი ხდებოდა, როცა იგი თემში, თემატური სიზმრის სცენის შემდეგ, რეალურ თავთა წინაშე უნდა წარმდგარიყო. – „სჯობს, მიწამ მიყოს პირი – განაგრძო ალუმ – ასე მგონია, გავარვარებულ ნაღვერდალზე ვდგავარ და ყოველ წუთს თავზე თემის ცა უნდა ჩამომემხოს, ან რეალობა ჩამომწვდება და მატლივით გამსრესს. საკუთარ სხეულზე რეალური მკითხველის თავის ზიზღს ფიზიკურად ვგრძნობ. მკითხველის ანტიპათია გავარვარებული ღვედებივით მიჭერს კიდურებზე და წონასწორობას მაკარგვინებს. თავბრუ მესხმის, მაყრყოლებს და ოფლად ვიღვრები. მუცალ! თემატური სხეული ამ დროს ეთერულ სხეულზე ჩვარივით მეკიდება და ესღაა ჩემი ერთადერთი საყრდენი, ურომლისოდაც თავს ვერ შევიკავებდი და დავენარცხებოდი, გესმის? – თემის შუა ოფიციალური წარმოდგენის დროს მოცელილივით დავეცემოდი და მთელ ისტორიას ავურ–დავურევდი. უკანასკნელ ძალებს ვიკრებ და ისე ვთამაშობ. წარმოგიდგენია, ეს მდგომარეობა რომ გამიგრძელდეს და იძულებული შევიქნე თემის სცენაზე ასე შერყეული ნერვებით გამოვჩნდე?" – ცხადია მივხვდი, რასაც გულისხმობდა: ჩვენში საკმაოდ შეხვდებით საკუთარი თავის ნდობადაკარგულ, თემთან გაუცხოებულ, განწირულ პერსონაჟებს (მთავარს და მეორეხარისხოვანს),

ვინც მხოლოდ თავიანთ როლზეა დამოკიდებული და წიგნის სამყაროში უშინაარსოდ ცხოვრობს. უდავოა, რომ ეს ყველაზე საშინელი რამ არის, რაც შეიძლება წიგნის პერსონაჟს დაემართოს. ეს მოვლენა ახალშატილში გამართულ ფარულ ფილოსოფიურ წრეზე არაერთხელ გამიანალიზებია და ჩემი კრიტიკული პოზიციაც გამომიხატავს.

ალუს ტანჯვის მიზეზი კვლავ მისი სიზმრის სცენის უკანა პლანის უმსგავსო, სიტყვასიტყვით დაცული თემატური რეალობა გახლდათ. როცა ალუმ ამის შესახებ დაიწყო საუბარი, თავშეუკავებლად, აღშფოთებულმა წამოვიყვირე – კი მაგრამ ალუ, ეს საკითხი ხომ ერთხელ და სამუდამოდ უკვე გავარკვიეთ! თემის ყველა წესიერმა პერსონაჟმა იცის, რასაც ნიშნავს შენი თემატური რეალობა და ამის გამო აღარც არავინ გსაყვედურობს." – ,,წიგნის პერსონაჟებმა კი იციან, მაგრამ ზემოთ, რეალური მკითხველის თავებმა არაფერი იციან და არც შეიძლება იცოდნენ, – მიპასუხა ამაზე ალუმ. – ეჭვი არ მეპარება, რომ რეალური თავი ისევე ზედაპირულად აღიქვამს წინა გვერდებიდან (ფასადიდან) ჩემი სიზმრის თემატურ რეალობას, როგორც ყველაფერს ამ წყეულ თემში, ასე არ არის? ავიღოთ ჩემი შემთხვევა. განა შეიძლება, რომ რეალურმა თავმა ეს ამბავი სხვაგვარად წარმოიდგინოს – ის ხომ მხოლოდ იმას ხედავს, რასაც უჩვენებენ და რასაც მის დასანახად თამაშობენ? როგორ უნდა ჩაწვდეს ნამდვილ მიზეზს და მიხვდეს, რომ ამ რეალობასთან არაფერი მესაქმება (ასეთი რამ არც კი დამსიზმრებია); ანდა, როგორ უნდა განასხვავოს ჩემი ანტითემატური ჰიპერბოლა ბინძური თემატური რეალიზმისგან, რითაც მწყემსები ჩემი სიზმრის სახეს აყალბებენ? მითხარი ერთი, როგორ უნდა გაიაზროს ათასობით კილომეტრიდან ჭეშმარიტება, როცა თემის პერსონაჟთა უმრავლესობა ამ ზნედაცემულ ტაკიმასხარაობას ახლოდანაც ვერ მიმხვდარა და შენ რომ მათთვის თვალი არ აგეხილა, ასეთსავე უმეცრებაში დარჩებოდნენ. არა, მუცალ, რაც უნდა თქვა, იმაში მაინც ვერ დამარწმუნებ, რომ რეალურ თავს შეზღუდული, ვიწრო საზღვრები არ ჰქონდეს!"

ალუ უცნაურად აღგზნებული ტონით მიმტკიცებდა თავის მოსაზრებებს. შემდეგ უკვე მე ავლაპარაკდი და საპირისპირო არგუმენტებს ვიშველიებდი. ჯერ, ყველა პერსონაჟისთვის კარგად ცნობილი ფაქტი დავიმოწმე, კერძოდ კი – მკითხველი რეალური თავისთვის წიგნის სამყაროს უკანა პლანის პრინციპული ბუნდოვანება.

სრულიად დასაშვები იყო, რომ ალუს თემატურ რეალობას იქ, ზევით, ვერავის ყურამდე ვერ მიეღწია. შემდეგ კი რეალური თავების განსაცვიფრებელ გამჭრიახობაზე ვისაუბრე, რომელმაც კარგად იცოდა, როგორ შეეღწია თემის (თემების) სიღრმეში. ცნობილია, რომ რეალური თავი

მცირედს არასდროს სჯერდება და თემის ყოველ კუთხე-კუნჭულში ჰყოფს ცხვირს. ვცდილობდი, ალუსათვის შემეხსენებინა, რომ რეალური მკითხველის თავს მაღალმთიანი წიგნის უბნების გვერდის ავლით, ჩვენი ისტორიის უკანა არათემატურ გვერდამდის – ახალშატილამდე ჩამოღწევა არაერთხელ უცდია. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რეალური თავები ჩვენს პოემაში ნამდვილი, პროგრესული თემატიკის არსებობაზე რაღაცას ეჭვობდნენ – ანუ იმაზე, თუ სად იყო მიმალული ეს თემა ჩვენს თემში. ვინ აგზავნიდა ჩვენს ისტორიაში თავის დროზე თეთრ მერნებსა და მტრედებს, ქისტების მდიდრული, მშვენიერი საჩუქრებით დატვირთული სახედრების გრძელ ქარავანს? რა თქმა უნდა, მხოლოდ რეალური თავები, რომლებმაც კარგად იცოდნენ და იციან კიდეც, რაც უჭირთ ჩვენს თემში პერსონაჟთა უმრავლესობას. ამ ფაქტზე დაყრდნობით ვცდილობდი, ალუსათვის გამეგებინებინა, რომ მისი სიზმრის სცენის მიღმა სიტყვასიტყვით დაცული თემატური რეალობის შესაცნობად რეალური მკითხველის თავებს არც გონიერება აკლდათ და არც იმის უნარი, რომ ანტითემატური ჰიპერბოლა თემატური რეალიზმისგან განესხვავებინათ და ეს უკანასკნელი ჩვენს თემში (თემაში) მბრძანებელთა, ანუ მწყემსებისა და მათი მარიონეტების ნახელავად ჩაეთვალათ – ,,გაიგე ბოლოსდაბოლოს! – წამოვიყვირე გაცხარებით! – გამორიცხულია, რომ რეალურმა თავმა თემატური რეალობის, ანდა Schisch-ის შემოქმედად მიგიჩნიოს. იქ, ზევით, კარგად იციან, ვინ ვინ არის. მთელი ისტორია თვალწინ აქვთ გადაშლილი და ვერ მოატყუებ. დაფიქრდი: წიგნის სამყაროში ჩვენი თემის (თემატიკის) აზრი ხომ რეალური თავებისთვის შენი წიგნის პერსონაჟების მეშვეობით, ჩვენს ისტორიაში Schisch-ის წინააღმდეგ მებრძოლი ანტი და არათემატური ადამიანების ჩვენებაა? თემატური რეალობა კი მასთან აშკარა წინააღმდეგობაშია და ამიტომ, ეს არავისთვის არ შეიძლება იყოს ისე შეუთავსებელი და არაბუნებრივი, როგორც რეალური თავებისთვისაა. დამიჯერე, მართალს გეუბნები!"

ალუს არ სჯეროდა. სევდიანად აქნევდა თავს და რეალური მკითხველის თავის მიმართ უნდობლობა არ უქრებოდა. ჩემი მცდელობა, დამებრუნებინა მისთვის ამ თავებისადმი რწმენა, ამაო იყო. ალუ ფიქრობდა, რომ მე მხოლოდ მის დასამშვიდებლად ვლაპარაკობდი და ეს კიდევ უფრო მეტად ადარდიანებდა. როგორ არ ვარწმუნებდი, ვყვიროდი, ვილანძღებოდი, მაგრამ ის თავისას მაინც არ იშლიდა და, ალბათ, წავიჩხუბებდით კიდეც, ბოლო წუთში რომ არ დავეჭვებულიყავი. მართლაც, რა გარანტია გვქონდა, რომ იქ, ზემოთ, თემის ცაზე რეალური თავები ალუს სიზმრის თემატურ რეალობას იმად აღიქვამდნენ, რასაც

ის სინამდვილეში წარმოადგენდა – ქისტმოძულე ხელისუფლების ბინძურ და თემატურ ნახელავს. ჩემი ვარაუდი მხოლოდ იმ დასკვნებს ეყრდნობოდა, რაც ანალოგიის საფუძველზე გამომქონდა. კერძოდ იმას, რომ ჩვენს თემაში რეალური თავები ყოველივე ანტი და არათემატურს (მაგ: თეთრ მერნებს და მტრედებს) თემატურისაგან განასხვავებდა და უპირატერსობას მას ანიჭებდა. ე. ი. მას საკმარისი გონიერებაც აღმოაჩნდებოდა და მიხვდებოდა, რომ ალუ უდანაშაულო იყო. რეალური თავი წიგნის სამყაროს მიმართ დიდ ცნობისმოყვარეობას იჩენდა, რაც მას ჩვენი წიგნის უბნის ისტორიის საფუძვლების შეცნობისაკენ უბიძგებდა. ხასიათის ეს თვისება მას იმ ჭეშმარიტებამდე მიიყვანდა, რაც ალუს სიზმრის თემატურ რეალობას ედო საფუძვლად და ა.შ. თუმცა ჩემი ვარაუდი არ იყო სიმართლეს მოკლებელი, მაგრამ მას, როგორც უტყუარ მტკიცებას, მაინც ვერ დავეყრდნობოდით და ალუსთან ცხარე კამათის შემდეგ ბოლოს ეს მეც ვაღიარე.

მტანჯველი, უკურნებელი სენით დაღრღნილი ჩემი მეგობრის წიგნის პერსონაჟის მიმართ ღრმა თანაგრძნობამ მომიცვა. ალუს გადავეხვიე, მხარზე ხელი დავკარი და გასამხნევებლად ისე დავიწყე ლაპარაკი, როგორც ჩვენთან იქცევიან ხოლმე, როცა წიგნის პერსონაჟების უბედურება იმდენად დიდია, რომ ნუგეშისცემასაც კი ეკარგება აზრი. რა იმედი უნდა ჰქონოდა მომავალში ჩემს მეგობარს, როგორც წიგნის პერსონაჟს? – არავითარი. წიგნის პერსონაჟები ვერასდროს შეიტყობენ, რას ფიქრობენ მათზე რეალური თავები, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ვერც აზრს შეაცვლევინებენ. ეს უკვე ჩვენი ცნობიერების მიღმაა. ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ, მხოლოდ დავუშვათ. სწორედ ამიტომაც არის ბედნიერი ორაზროვნებას მოკლებული ის პერსონაჟი, ვისი მნიშვნელობაც წიგნის უბნის ისტორიაში გამჭირვალეა და შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ ორივე – (რეალური და წიგნის) სამყაროში ისეთად აღიქვამენ, როგორიც ის არის, ანუ თავისი პერსონაჟის იდეას შეესაბამება. მაშინ მან უკვე იცის, რომ იქ, ზევით, რეალურ თავებში ცოცხლად (რეალურად) არსებობს და ყოველი წესიერი პერსონაჟის ცხოვრების მიზანიც სწორედ ეს გახლავთ. ალუდას კი, სამწუხაროდ, სწორედ ამ უზომოდ მნიშვნელოვან საკითხში არ გაუმართლა. იგი საკუთარ თავს ორაზროვნად აღიქვამდა, რის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ მას რეალური თავებიც ასევე ამბივალენტურად განიხილავენ. თუ რეალური თავი ჩემს მეგობარზე ჯერ კიდევ კარგი აზრისა იყო, შესაძლოა ერთ მშვენიერ დღეს, მის სიზმარში მუდმივად არსებულმა საძაგელმა თემატურმა რეალობამ შეაკრთოს, მისი არათემატურ მოსაზრებების ჭეშმარიტებაში დააეჭვოს და მასზე აზრიც

შეაცვლევინოს. ჩემი საბრალო მეგობრის მდგომარეობა შესაშური ნამდვილად არ იყო. მას უკვე აღარ ჰქონდა იმის გარანტია, – სწორედ ეს არის წიგნის პერსონაჟისთვის ყველაზე საშინელი – რომ ის, რაც მასში უარსებითესია, ანუ ის, რაც მას თემის უთვალავი პერსონაჟისგან განასხვავებს და მთავარ პერსონაჟად ხდის, – კერძოდ კი მისი ანტი და არათემატური ზიზღი ჩვენი პოემის (ისტორიის) ტრადიციული Schisch-ისადმი, რეალურ სამყაროში ოდესმე კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგებოდა და ჩვენი თემის უზადო (ანტითემატურ) მთავარ პერსონაჟად აღარ ჩაითვლებოდა.

გადაუჭარბებლად გეტყვით, რომ თუ გავითვალისწინებთ რეალურ სამყაროში, რეალური თავების მიერ ალუდას პერსონაჟის მნიშვნელობის სავარაუდო ყალბ განმარტებას, რაც მის რეპუტაციას შეარყევს, მაშინ იგი ხელიდან წასულ, უბადრუკ და უღირს პერსონაჟს აღარაფრით აღემატება. ამ უკანასკნელმა ის მაინც იცის, რას და ვის წარმოადგენს რეალურ თავში, იმაში მაინც არის დარწმუნებული, რომ რეალურ სამყაროში რაღაც იდეას შეესატყვისება, თუნდაც ეს იდეა გამოუსადეგარი და ძალზე უარყოფითი იყოს. ეს დარწმუნებულობა მას იმ მინიმალურ წონასწორობას მაინც ანიჭებს, რაც ასე საჭიროა ყოველი პერსონაჟისთვის. თემის უმთავრესი პირველხარისხოვანი პერსონაჟის სიმაღლიდან, უმნიშვნელო, აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი პერსონაჟის დონემდე დაცემაზე ფიქრიც კი, რასაც ჩემი მეგობრის ისტორიული დაკნინება მოჰყვებოდა, ალუდაზე დამთრგუნველად და შემაშფოთებლად მოქმედებდა. წიგნის სამყაროს მეცნიერული გამოცდილების საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ თუ ჩემს მეგობარს ხსნად რაიმე სასწაული არ მოევლინებოდა, მისი ბედისწერის გზა სავალალოდ შეიცვლებოდა. წიგნის პერსონაჟები, რომლებიც რეალურ სამყაროში თავიანთი წიგნის სამყაროსეული ყოფიერების გამამართლებელ, ცხოველმყოფელ იდეას არიან მოკლებულნი, ანდა ამ იდეას რაიმე ისტორიული განუსაზღვრელობის (არასრულყოფილების) გამო ჰკარგავენ, დროთა განმავლობაში ჯერ სანახევროდ იშლებიან ჭკუიდან, ბოლოს სრულიად. თემაში მათი მეტყველება და მიმართვები ცარიელ, სრულიად უსაფუძვლო, უშინაარსო, უმიზნო და უთავბოლო ყბედობად გადაიქცევა, შესაბამისად მათი მოქმედებებიც უაზრო ხდება და საბოლოოდ კი სრულ შეშლილობაში შთაინთქმებიან. მართალია, მსგავსი შემთხვევები ჩვენს თემში ჯერ არ გვქონია, მაგრამ ყურმოკვრით ვიცით, რომ სწორედ Schisch-ნარევი პოემისა და ისტორიის ტერიტორიის პერსონაჟთა იდეები რეალურ სამყაროში დიდი ავტორიტეტით დიდხანს ვერასდროს სარგებლობენ და მსგავს პერსონაჟებს სულიერი კვდომა ემუქრებათ.

ცხადად ვხედავდი ჩემი ძვირფასი მეგობრის საშინელ მდგომარეობას და თანაგრძნობით შეძრული შეშფოთებას ძლივს ვმალავდი. ისე ვიქცეოდი, თითქოს კიბოიან ავადმყოფთან ვყოფილიყავი, რომელსაც უიმედო მდგომარეობას უმალავენ და გასამხნევებლად უდარდელი სახით უმნიშვნელო საკითხებზე სხვათაშორის ესაუბრებიან. ვცდილობდი, ჩემი საბრალო მეგობრის გადარწმუნებას და ხმამაღლა დიდხანს რაზე არ ველაპარაკე, გულში კი დარწმუნებული ვიყავი, მდგომარეობა გამოუვალი იყო. აქვე საგანგებოდ მინდა აღვნიშნო ალუს მდგომარეობით გამოწვეული ჩემი გულწრფელი შეშფოთება. უეცრად მივხვდი, რომ იგი, როგორც ჩვენი წიგნის უბნის მთავარი პერსონაჟი, ჩამავალი ვარსკვლავივით გაქრობის პირას იყო. ამ აზრს ეგოისტურ გრძნობებს ერთი წუთითაც არ ვუკავშირებდი. აზრადაც არ მომსვლია, რომ ჩემი მეგობრის ანტი (არა) თემატური როლი მე უნდა მრგებოდა და მის დაღმასვლას ჩემი თემატური აღმასვლა (შესაძლოა პოემის სათაურამდეც კი) მოჰყვებოდა. თუმცა კი ჩემთვის, – როგორც სხვა მრავალ პერსონაჟთათვის (აბსოლუტურად მეორეხარისხოვან პერსონაჟთათვის), – წიგნის უბნებში მთავარი როლების განაწილებით გამოწვეული წყენა და უკმაყოფილება უცხო არ იყო. ალუს მდგომარეობისა (მისი მთავარი როლისა და მნიშვნელოვანი საქმეებისა) მეც მშურდა და თემაში მისი პიროვნული მნიშვნელობის კანონზომიერებაშიც მეპარებოდა ეჭვი. მაგრამ ეს უწინ იყო ასე, თემში ჩვენს ნაცნობობასა და მეგობრობამდე ბევრად ადრე. ამ ორ სიტყვაში მე იმ ღრმა, საერთო ანტი და არათემატური ინტერესებით განმტკიცებულ ამხანაგურ კავშირს ვგულისხმობ, რომელიც დღემდე არალეგალურად არსებულ ხევსურულ საზოგადოებაში, ხევსურული და ქისტური წიგნის უბნებს შორის მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებისთვის მრავალწლიანი თანამშრომლობის საფუძველზე შეიქმნა. შემდგომში უკვე ამ საზოგადოებიდან ამოიზარდა ჩვენი ასევე არალეგალური, ანტი და არათემატური (ხევსური) პერსონაჟების პარტია, რომლის შტაბბინაც ახალშატილშია. მას შემდეგ, რაც ალუ გავიცანი, მას დიდად ვაფასებ და ჩვენს თემში ანტი და არათემატური მთავარი როლისათვის სრულიად ღირსეულ პერსონაჟად მიმაჩნია. ამიტომ ჩემი ძველი პრეტენზიებიც ჩვენს ისტორიაში პირველი ადგილის დასამკვიდრებლად, როგორც უსაფუძვლო და უკანონო რამ, ისე დავთმე. ჩვენი პოემის ტერიტორიაზე არაოფიციალურად ეს მნიშვნელობა ხომ ისედაც მაქვს მონიჭებული. ჩემში არა მარტო ალუს წარმომადგენელს ხედავენ,

– ეს გარემოება ჩემს პატივმოყვარეობას სავსებით აკმაყოფილებს – არამედ წიგნისა და რეალური სამყაროს ფილოსოფიის დიდ ავტორიტეტსაც და ყოველ შემთხვევაში, ხევსურული წიგნის უბნის საზღვრებში მაინც, წიგნისა და რეალური სამყაროს შემეცნების ურთულესი საკითხების საუკეთესო ექსპერტად მთვლიან.

ალუს მძიმე მდგომარეობის შესამქუბუქებლად ჩემის მხრივ არაფერს დავიშურებდი. თუ გარემოება მოითხოვდა, მწყემსებთანაც მივიდოდი და მათზე ზემოქმედებას შევეცდებოდი, თუმცა კი ეს გზა სრულიად უპერსპექტივოდ მეჩვენებოდა. თავიანთი თემის (თემატიკის) სცენაზე Schisch-ურ წესრიგს მწყემსები სიზმარშიც კი არ შეცვლიდნენ და თანაც, წიგნის პერსონაჟისთვის მათთან რეფორმატორული წინადადებით გამოცხადება ერთობ სარისკო და აბსურდული საქმეც იყო. მე, როგორც ანტითემატურ (ქისტ) პერსონაჟს, ისინი ერთი-ორი სანადირო თოფის ტყვიის ღირსად თუ მთვლიდნენ, რითაც ალუ მუდამ, პოემის დასაწყისშივე საიქიოში მისტუმრებს კიდეც. გარდა ამისა თემაში ჩემი ანტი და არათემატური საქმიანობით მწყემსებში საკმარისი ეჭვი აღვძარი. კარგად ახსოვდათ ჩემს მიერ საზოგადოების გასაკრიტიკებლად მოგონილი თომინო და ისიც დიდი ხანია იცოდნენ, რომ ლამის თემის კალაპოტიდან ამომგდები, რეალური თავების მიერ ჩვენს თემში ანტითემატურ არსებებად მიჩნეული თეთრი მერნები და მტრედებიც ჩემი მოფიქრებული გახლდათ. ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა, მაგრამ მწყემსების საქმიან საბუთებში არაფერი იკარგება. შენიღბული მუქარითა და გადაკვრით, მწყემსებს ჩემთვის არაერთხელ უგრძნობინებიათ, რომ ყველაფერი იცოდნენ, რაც თემს ეხებოდა. მშიშარა ნამდვილად არა ვარ, მაგრამ ჩვენს ისტორიაში Schisch-ური ძალაუფლების მპყრობელთა წინაშე სიფრთხილეს მაინც საჭიროდ ვთვლი: თუ რომელიმე პერსონაჟი, ამა თუ იმ მიზეზის გამო მათ ხელს არ აძლევთ, მაშინვე აქრობენ და გათავისუფლებულ ადგილას ჩვენი ისტორიის მაღალმთიანი სოფლებიდან სხვა პერსონაჟს (აბსოლუტურად მეორეხარისხოვანს, უფრო ხშირად კი რომელიმე გიგლას) აყენებენ. მიუხედავად ამისა, ალუს გამო მწყემსებთან მაინც წავიდოდი, გაველანძღინებოდი და შესაძლოა სამუდამოდ დაველჭერინებოდი კიდეც, რადგან ყოველი დადებითი ანტითემატური წიგნის პერსონაჟის წმიდათაწმინდა მოვალეობაა, გასაჭირში მხარში ამოუდგეს თანამოაზრეს, საფრთხეს არ შეუშინდეს და საჭიროების შემთხვევაში ხელისუფლებისგანაც დაიცვას. ჩემდა გასაოცრად, ალუმ კატეგორიული უარი განაცხადა, როცა გაიგო, რომ მწყემსებთან მის დაცვას ვაპირებდი. ჩემგან ის სხვაგვარ დახმარებას ელოდა. ეს იყო უკიდურესად გაბედული იდეა,

რაც მე თავში აზრადაც არ მომივიდოდა და რაც ალუს თემში კიდევ უფრო დიდ აღიარებას მოუტანდა. მსგავს გაბედულ აზრს (რადიკალურად მნიშვნელოვანს) – რაც თემატურ და არათემატურ წარმოდგენებს სცილდებოდა – აბსოლუტურად მთავარი პერსონაჟი თუ მოიფიქრებს. როცა ალუ ამაზე ალაპარაკდა, გაოცებისაგან პირი დავაღე, რადგან ამ გზით წიგნის პერსონაჟები ჩვენი თემის თემატიკიდან ზევით, რეალურ სამყარომდე, რეალური მკითხველის თავამდე მიაღწევდნენ. ეს იყო წიგნის სამყაროს სფეროდან გაქცევის სრულიად ფანტასტიკური, მაგრამ ძალზე რეალური – რეალური თავების ტრანსცენდენტურ სამყაროში შეჭრის შესაძლებლობა.ალუმ ისტორიიდან ხსნის გზა მოძებნა, რაზეც მე, ჩვენი თემატიკის არსებობის პირველხანებში – სადაც კანონგარეშედ გამიტაცეს და რომლის თემატურ პირობებს ძნელად ვეგუებოდი – ამაოდ მიმტვრევია თავი და არაერთხელ მიტეხია თეთრად ღამეები – რადგან, ყოველი პერსონაჟის გაუმხელელი სანუკვარი ოცნება სწორედ რეალურ სამყაროში, რეალურ თავებთან გამგზავრებაა. ეს გზა კი, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ყველა პერსონაჟს, ყოველ შემთხვევაში ხევსურს მაინც, შეუძლებლად მიაჩნდა. ეს გზა საუკეთესო იყო იმ გზათა შორის, რისი წარმოდგენაც შეიძლებოდა. მან აღმოაჩინა ჩვენი ისტორიიდან რეალურ სამყაროში ვარსკვლავებისკენ და მის მიღმა, რეალური მკითხველის თავებისკენ გადებული ხიდი. თუმცა ეს უჩვეულო გზა დიდ რისკთანაც იყო დაკავშირებული, რადგან შესაძლოა, ხიდი ვინმეს ფეხქვეშ ჩატეხვოდა, რეალურ სამყაროში ჩარჩენილიყო და ჰაერის მაღალი წნევის ქვეშ ერთიანად დაშლილიყო, როგორც ეს ჰეტეროგენულ ზონაში მოხვედრილ წიგნის კოსმიურ სხეულებს (თვით ეთერულსაც კი) ემართებათ. რეალური სამყაროს კოსმიური გარემოცვის შესახებ, ცხადია, ჯერ ზუსტი ცნობები არ გაგვაჩნდა. რეალური თავების ტრანსცედენტურ სამყაროზე მხოლოდ ზოგადთეორიულ, ანუ წიგნისა და რეალური სამყაროს მეცნიერულ ცოდნას ვფლობდით. ჩვენი თემატური მთების უმაღლესი მწვერვალებიდან საჰაერო ბუშტებს ვუშვებდით, რომელშიც კამერა და ატმოსფერული ხელსაწყოები იყო ჩამონტაჟებული და ეს ცოდნაც ასეთი მძიმე გზით, რეალურ თავებზე ასტრონომიული დაკვირვებით მოვიპოვეთ. კიდევ უფრო ნაკლებად ვიყავით ინფორმირებული მკითხველის თავების კოსმოლოგიური პირობების შესახებ. არ ვიცოდით, კონკრეტულად რა სახისა იყო წარმოსახვითი შიდა სფერო, რომელიც, ალბათ, იდეური მასალისგან შედგებოდა და რამდენად შეესაბამებოდა მასში არსებული იდეური მასალა და იდეური ჟანგბადი წიგნის სამყაროს იმავე მასალისა – და კიდევ უფრო კონკრეტულად – ჩვენი საკუთარი

ხევსურული წიგნის უბნის მდგომარეობას. ერთი რამ კი დანამდვილებით ვიცოდით: ზემოთ, რეალურ სამყაროსა და რეალური თავებში მოგზაურობის გზაზე უთვალავი, სფერული განსხვავებით გამოწვეული ხიფათი გველოდა. ჩემთან ერთად გამგზავრებაც სწორედ ამიტომ უნდოდა ალუს. ეს არჩევანი კი მას თემში მხოლოდ ძველმა, სანდო მეგობრობამ კი არ გადააწყვეტინა, ალუს უნდოდა, გვერდით ვყოლოდი, რადგან მე, სხვათაშორის არც თუ უსამართლოდ, ჩვენი თემის პერსონაჟთა შორის წიგნისა და (რეალური) სამყაროს საუკეთესო მეცნიერად მთვლიდა. რეალურ სამყაროში მოგზაურობის კეთილად დასრულებისათვის მას სწორედ ასტრონომიულ სფეროში ჩემი ფართო გამოცდილება სჭირდებოდა.

წინასწარ ვხვდებოდით, რომ რეალური თავების გარე და შიდა სფეროში დიდხანს ვერ გავძლებდით, რადგან იქაური უჩვეულო და სრულიად განსხვავებული გარემო ჩვენზე სახიფათო ზემოქმედებას მოახდენდა და გარკვეული ხნის შემდეგ წიგნის სამყაროში ჩვენი უკან გამობრუნებაც აუცილებელი გახდებოდა. ჩვენი ვარაუდი წიგნისა და რეალური სამყაროს მეცნიერული შემეცნების საფუძვლებს ეყრდნობოდა. რეალურ სამყაროში წიგნის პერსონაჟთა ნეტარ, თავისუფალ (თემატურად ლაღ) არსებობაზე ოცნებაც სწორედ ამიტომ შევწყვიტეთ. იოტისოდენადაც კი არ გვეპარებოდა ეჭვი რეალური ტრანსცენდენტული სამყაროდან უკან დაბრუნების აუცილებლობაში, მაგრამ ჩვენი გაფრენის კოსმიური და კოსმოლოგიური სიტუაციის შესწავლას მაინც ვაპირებდით იმის გასარკვევად, თუ რა შესაძლებლობები არსებობდა წიგნის პერსონაჟების იქაურ პირობებთან აკლიმატიზაციისა და შეგუებისთვის. ყოველ შემთხვევაში იმას მაინც გამოვიკვლევდით, – ალუ ამ იმედს ებღაუჭებოდა – რომ იქნებ რაიმე გზა მაინც არსებობდა რეალური თავიდან სხვა, უფრო ბედნიერ წიგნის უბნებში მოსახვედრად და იქ თემატურად დასამკვიდრებლად. მიუხედავად ჩვენი მეცნიერულად დაუსაბუთებელი და ამდენად სრულიად ფანტასტიური ვარაუდისა, ჩვენი პროგრამა ძალზე გონივრული და საქმიანი იყო. პრინციპში ჩვენ მხოლოდ იმის გაგებას ვაპირებდით, როგორ აღიქვამდა რეალური თავი ალუს სიზმრის სცენას, სწორად ესმოდა თუ არა მისი კრიტიკული ჰიპერბოლა, ანუ განასხვავებდა თუ არა სიზმარს მისი თემატური რეალობისგან თუ – რაც ასევე ადვილად დასაშვები იყო – ორივეს უკრიტიკოდ მოისროდა და, შესაბამისად, ალუსაც შინაგანად Schisch-ის ერთგულ, თემატურ პერსონაჟად მოიაზრებდა. პირველ შემთხვევაში, თუ ალუს სიზმრის რეალურ სამყაროში სწორად აღიქვამდნენ, ჩემი მეგობარი რეალური თავებში (მნიშვნელოვან თავებში მაინც) მისი არსის შესატყვისი

პორტრეტის არსებობაში დარწმუნდებოდა, ქვემოთ, თემში, ყოველგვარ უკუღმართობას მშვიდად აიტანდა და მისი სიზმრის სცენაში ასეთი ვერაგული ხერხებით ფართოდ გავრცელებულ თემატურ რეალობასაც სერიოზულად აღარ მოეკიდებოდა. მაშინ იგი მეორეხარისხოვან, უმნიშვნელო პერსონაჟად ჩამოქვეითების საშიშროებასაც აიცდენდა, დაღუპვასაც გადარჩებოდა და თემაში უწინდებურად კარგი, ანტითემატური გმირის სახელსაც სამუდამოდ შეინარჩუნებდა, ხოლო მეორე, მის საწინააღმდეგო შემთხვევაში კი, თუ გაგვიმართლებდა და რეალურ თავებში შევაღწევდით, ამ თავის აზრებზე ზემოქმედების შესაძლებლობა მოგვეცემოდა, რათა მათთვის განგვემარტა, რომ თემატური რეალობა მწყემსებისგან და არა ალუსგან გამომდინარეობდა და ამდენად, ჩემს მეგობარს პასუხისმგებლობაც არ ეკისრებოდა. შევძლებდით თუ არა ტექნიკურად მკითხველის თავებში მსგავსი კორექტურის შეტანას – ამის ცოდნა წინასწარ შეუძლებელი იყო, მაგრამ ეს საკითხი ნაკლებად გვაღელვებდა. ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა მისცემოდათ წიგნის პერსონაჟებს, ანუ წმინდა იდეური მასალისგან ფორმირებულ ადამიანებს იმის შესაძლებლობა, რომ რეალური თავის შიგნით აზრებისათვის, რომელიც ასევე მხოლოდ იდეურ მასალას წარმოადგენს, თავისი კუთვნილი ადგილი მიეჩინათ. ამ საკითხთან მიმართებაში ის ფაქტორიც ერთობ ხელსაყრელ და წამახალისებელ გარემოებად მეჩვენებოდა, რომ ალუს კრიტიკული ჰიპერბოლის იდეა, რომლის რეალურ თავში შთანერგვასაც ვაპირებდით, ჩვენი წიგნის უბნის სიზმრის სცენაზე განვითარებულ მოვლენებს სრულიად შეესატყვისებოდა, შესაბამისად, რეალური იდეური მასალისაგან შედგებოდა და ვერც ერთი რეალური თავი მას ვეღარ უგულვებელყოფდა. პირიქით, თუ ასეთ თავს საქმის ვითარებას განვუმარტავდით და ისე წარმოვუდგენდით, მაშინ იგი აღარ გააჭიანურებდა, ჩვენი წიგნის უბნის მოვლენებზე ყალბ (ანუ არარეალურ) შეხედულებებს გადაამოწმებდა და მას უკეთესი (რეალური) იდეური მასალით შეცვლიდა. არც იმ მეთოდის წინააღმდეგი ვიყავი, რითაც ალუ რეალურ სფეროში გამგზავრებასა და შემდეგ იქიდან უკან დაბრუნებას აპირებდა. ალუს მოგონილი ხრიკი იმდენადაც უბრალო იყო და ისე ხელისგულივით მოჩანდა, რომ გამიკვირდა კიდეც, რატომ აქამდე ვერ მივხვდი-მეთქი. ალუს გეგმა მისი სიზმრის სცენაში რეალური (პირდაპირ რეალური თავებიდან ჩვენსკენ ჩამომდინარე) აზრობრივი ნაკადით გამგზავრებას გულისხმობდა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ყოველი თემატური სიზმრის შიდა განზომილება მხოლოდ რეალური მკითხველის თავთა წარმოსახვითი ძალით იქმნება, რომელიც აგრეთვე ყველა სიზმრის შინაარსს, როგორც სცენურ სინამდვილეს, მქრქალად

და ზედაპირულად წარმოშობს. ასე რომ, ალუს სიზმრის სცენას დღემდე მხოლოდ უარყოფითად და მხოლოდ სივრცული განსხვავებით აღვიქვამდით, კერძოდ კი: როგორც თემატურ ადგილს, სადაც ჩვენი ეთერული მასალა გადღაბვნისა და ნაწილებად დაშლის მუდმივი საშიშროების ქვეშ იმყოფებოდა. მკითხველის თავთა რეალური აზრის ნაკადს – როგორც ალუმ იმ საღამოს ამიხსნა – დადებითი თვისებებიც უნდა ჰქონოდა, ანუ ის, რაც წიგნის პერსონაჟის იდეურ მასალას კი არ დაშლიდა, არამედ პირიქით, ცოცხლად შემოინახავდა და – სწორედ ეს ქმნიდა ჩვენთვის გადამწყვეტ მომენტს – ზევით, თვით რეალურ თავებთან აიყვანდა. ამ უბნებში ჩამოგზავნილ აზრის ნაკადს რომ უკუდინება არ ჰქონოდა, მაშინ როგორღა შეექმნებოდათ რეალურ თავებს წარმოდგენები წიგნის უბნებში ცხოვრების (თემების თემატიკის) შესახებ?.

რეალური აზრის ამწე

ალუს იდეების მოსმენისას უჩვეულო მღელვარებამ მომიცვა, რასაც ის ამბობდა, ნამდვილად რეალური იყო. ამ ამბის სისწორეს ვერ უარყოფდით. ჩვენთვის კი, წიგნის პერსონაჟებისთვის, იმდენად იყო სენსაციური, რამდენადაც ამ გზით თემის თემატიკიდან რეალურ თავისუფლებაში მოხვედრის ძველი, უიმედო პრობლემა თავისთავად გადაიჭრებოდა. ბუნებრივია, ეს დიდებული აღმოჩენა კარგი, თემატური სასმელით (კონიაკით) აღვნიშნეთ და ალუს მიერ ასე გონებამახვილურად გამოაშკარავებულ ფაქტს ჩვენი წიგნისა და რეალური სამყაროს მეცნიერების ისტორიული გარდატეხა ვუწოდე. ყველაფერს, რაც აქამდე ჩვენი ბუნდოვანი ჰიპოთეზებისა და ყველაზე გაბედული ოცნებების საგანი იყო, უეჭველია, საბოლოოდ მოეფინებოდა ნათელი. ყველაზე მეტად კი ამ საქმის უბრალოებამ განმაცვიფრა. ათწლეულების განმავლობაში რეალური სამყაროს ზღურბლთან ვმდგარვართ და ერთი წუთითაც კი ვერ შეგვიმჩნევია მისკენ მიმავალი სრულიად ღია გზა. ამ სიბრმავეს, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზი ჰქონდა და ნაწილობრივ ეს თუ გაგვამართლებდა. რეალური მკითხველის თავთა აზრისა და, შესაბამისად, წარმოსახვითი ძალის სხივები მხოლოდ ალუს სიზმრის სცენაში შემკვრივდება, ძლიერ ნაკადად გადაიქცევა და უწყვეტი ტალღების სახით დაგვედინება. რადგან თავად თემი სიზმარზე მონათხრობში მკითხველის თავს არაფერს თემატურს არ უჩვენებს (წარმოუდგენს), ამიტომ იგი იძულებულია, ეს მონაყოლი ხატოვნად (სცენურად) თვითონ დააბოლოვოს და თუ ალუს სიზმრით სცენაზე უფრო ზუსტად სურს დაინახოს რამე, ამისთვის საკუთარი რეალური ფანტაზია სრულად უნდა ჩართოს

(აამოქმედოს).

ამ სცენის საზღვრებში რეალური აზრის ნაკადი სრულიად განსაზღვრული, უცვლელი გზით ჩამოედინება, რომლის უშუალო აღქმაც ფაქტიურად, არც ერთ წიგნის პერსონაჟს არ შეუძლია. სცენის წინა ფონზე, ქეთელაურის პატარა დაბალ ქოხში ალუდა თავისიანებთან ერთად ჯირკს უზის, რომელიც მაგიდის მაგივრობას უწევთ. იგი მათ თავის სიზმარზე უყვება. ეს ადამიანები: ალუს დედა, მისი დები, ცოლი და პაპამისი შუა სცენის წინა ფონს ავსებენ და რეალური თავიც მათ მუდამ კარგად ხედავს. მათ წარმოსადგენად რეალური თავი განსაკუთრებულად დიდ წარმოსახვით ძალას არ საჭიროებს.

ამიტომ წიგნის პერსონაჟთა ამ პატარა თავყრილობას მკითხველის თავის რეალური აზრის ნაკადი კი არ ეხება, არამედ მას მხოლოდ ჩაუვლის და სცენის უკანა ფონისკენ მიიკლაკნება, ანუ იქ, სადაც რაიმე თემატურის აღმოსაჩენად რეალურმა თავმა აზრის და, შესაბამისად, წარმოსახვით ძალას უნდა მოუხმოს, და სადაც ალუს სიზმრის შინაარსს მხოლოდ ხატოვანი გამოვლინება შეიძლება ჰქონდეს. თემის უკანა ფონზე რეალური თავის მიერ ამგვარად ორიენტირებული აზრის გზა, როგორც ალუმ დამარწმუნა, ზოგად კანონს წარმოადგენს და მაშინ ამოქმედდება, როცა თემის პერსონაჟი რაიმე თემატურის შესახებ ვრცლად და გრძლად იწყებს საუბარს, ხოლო ზევით, რეალური თავი კი ცდუნდება, ამ მონათხრობის შინაარსის მასთან ერთად წარმოსახვას იწყებს და ამ შინაარსის იდეური მასალით გაფორმებაში აქტიურად მონაწილეობს. ერთად ნაფიქრალი მასალა არ შეიძლება, თემატურ სინამდვილეს (წინა პლანს) განეუთვნებოდეს და ამიტომ მან აუცილებლად თემის სცენის უკანა პლანზე უნდა გადაინაცვლოს. ასეთ შემთხვევებში რეალურ აზრის ნაკადი წინ განლაგებულ მოვლენებს ჩაუვლის და სცენის (უკიდურეს) განაპირა მხარისკენ მიისწრაფვის. რეალური თავის მიზანმიმართული ჩანაფიქრი სხვადასხვა წიგნის პერსონაჟთა ეთერულ სხეულებს, მრავალფეროვანი თემატური საგნების გამჭვირვალე იდეურ ქსოვილსა და აბსტრაქტულ ცნებებს მოიძიებს, გამოიხმობს და თავის ტალღებზე ააცეკვებს, შემდეგ კი სცენის წინა ფონზე სიზმრის შინაარსის შესაბამის სურათხატებად წამიერი სისწრაფით განალაგებს და კვლავ დაშლის. რადგან რეალური თავის წარმოდგენები თემის უკანა (თავისთავად არათემატურ) ფონზე ნამდვილი თემატური მოვლენებით არ არის გამყარებული, ამიტომ ჩვეულებრივ, ეს წარმოდგენები ისევ უნდა დაშალოს, როგორც წარმოიქმნა. დიახ, რეალური თავის აზრის ნაკადის მუდმივი იერიში რომ არა, თემის უკანა ფონზე ვერც სიზმრის სურათ-ხატების რეპროდუქცია მოხდებოდა.

თავად წიგნის პერსონაჟებმა, რომლებიც ამ სიზმრის სურათხატებს განასახიერებენ, როგორც წესი, არაფერი იციან ამ მოვლენის შესახებ, რადგან აზრის მიზანმიმართულება, რომელიც რეალურ თავებს პერსონაჟის სიზმრის მოსმენისას ექმნებათ, ძალზე ბუნდოვანი და განუსაზღვრელია, ხოლო ყოველგვარ თემატურ სინამდვილეს მოკლებულ რეფლექსიას კი, მთელი პერსონაჟის (მთელი თემატური საგნის) სცენაზე გამოყვანის უნარი არ გაჩნია. მისი მაგნეტიზმი და ფიქსაცია მხოლოდ პერსონჟთა თემატური სუბსტანციის ზედაპირზე განლაგებულ ყველაზე წმინდა და ბუნდოვან ეთერულ სუბსტანციას გაიწოვს.

ამიტომაც ვერ იგებენ ვერაფერს წიგნის პერსონაჟები სიზმარზე პატაკის თემატურ დროს, როცა მათ, ალბათ, ჯერ კიდევ სძინავთ, ამ სცენაში რეალური თავების უცნაური ჩართვის შესახებ, რომელიც მათივე (ამ თავების) ინიციატივით ხდება და წარმოდგენაც კი არ აქვთ, რომ უკვე რეალური აზრის გზაზე დგანან. ასეთივე უმეცრება მეფობს ალუს *სიზმრის* უკანა ფონზე, *როცა რეალური შესაბამისობის (თემატური* რეალობის) შესაქმნელად მწყემსების მიერ მთელი ჩვენი ეთერული სუბსტანციის საყოველთაო მობილიზაცია ცხადდება და სიზმარზე პატაკის დროს ჩვენი თემისთვის დამახასიათებელი, რადიკალური სიტუაცია იქმნება. საქმის ვითარების შესახებ აქაც არაფერი იცოდნენ. ცხადია, მოგვიანებით, ასე თუ ისე, რეალური თავის ემანაციის შესახებ ზოგიერთი დეტალი ჩვენთვის უკვე ცნობილი გახდა. მაგ: ვიცოდით, რომ მას დიდი უსიამოვნება უკავშირდებოდა (ჩვენი ეთერული სხეულების მუდმივად აქეთ-იქით დენა, ჩვენი სუბსტანციების არამდგრადობა). ისიც ვიცოდით, რომ მკითხველი თავების წმინდა რეალურ წარმოსახვით განზომილებაში ვიმყოფებოდით, მაგრამ ის კი ვერ შევიცანით, რომ ამ განზომილებას დინამიური ხასიათი ჰქონდა და მუდმივად ზემოდან ჩვენკენ და პირუკუ, კვლავ რეალურ თავებისკენ მოძრავ რეალური იდეების ნაკადს წარმოადგენდა. რეალური წარმოდგენების განზომილება ალუს სიზმრის სცენის უკანა ფონზე მყოფ ყველა პერსონაჟზე სტატიკურ შთაბეჭდილებას სტოვებდა და ამიტომ ჩვენი თემიდან კოსმოსში გასაფრენად ამ ნაკადის, როგორც მამოძრავებელი ძალის – როგორც რეალური თავებისკენ მომავალი ერთგვარი ლიფტის გამოყენება, აზრადაც არ მოგვივიდოდა. ალუდას გენიალური იდეა კი სწორედ ამას გულისხმობდა.

გარდა ამისა, რეალურ ნაკადს იქ, უკანა ფონზე, ნაკადსაც ვერ დაარქმევდით: მკითხველის თავის აზრის ტალღები შენელებული ტემპით, მდორედ ჩამოედინებოდა და ასევე შეუმჩნევლად, დუნედ უკუიქცეოდა. რეალური თავიდან ჩამომდინარე ნაკადი იმდენად სუსტი

იყო, რომ ტვირთის გადაზიდვის ძალა არ შესწევდა და ამიტომ, ალუს სიზმრის სცენის უკანა ფონიდან ზემოთ ვერაფერს კონკრეტულს, ვერც ეთერულ სუბსტანციასა და ვერც განსახიერებულ იდეურ მასალას ვერ გადაიტანდა. ეს ნაკადი რეალური თავისთვის განკუთვნილ, ძნელად განსაჭვრეტ თემატურ რეალობას გზას უთავისუფლებდა, – როგორც ალუმ ამიხსნა – ჩვენს თავზე, საკუთარი განზრახვა ჩამოჰქონდა და რეალური დამკვირვებლისათვის თემის სუბსტანციასთან ამ განზრახვის შეკავშირებით განსხეულებულ სურათხატებს (თემატურ რეალობას) თვალსაჩინოს ხდიდა. თავისი ნელი ტემპის გამო ამ ნაკადის ტალღები სუბსტანციებს (ჩვენს ეთერულ სხეულებს, მაგიდების, სკამების, ქისტის წვნიანის კონკრეტულ იდეურ მასალას) ვერ მოერეოდა და მათ რეალურ თავს ზემოთ, ცხადია, ვერ მიაწვდიდა. სწორედ ამიტომ გვეგონა რეალური აზრის ელემენტი სტატიკურიც და დინამიურიც. ამ ნაკადის მიმოქცევას ვერ ვამჩნევდით და მას, როგორც რეალური თავების მიერ შექმნილ სცენური მდგომარეობის გარკვეულ ფორმას, ისეთად აღვიქვამდით. ჩვენი საბედისწერო შეცდომაც სწორედ ეს გახლდათ. ალუს მტკიცების თანახმად, მკითხველი თავის რეალური აზრის გზა ჩვენი სიზმრის სცენის წინა ნაწილებში სულ უფრო მეტად დინამიური ხდება და წინა ფონზე უკვე გიჟმაჟი მთის მდინარის ძალასაც იძენს.

ეს ნაკადი ზემოთ თავბრუდამხვევი სისწრაფით მხოლოდ ჩვენი საძაგელი თემატური რეალობის მიერ რეალური თავის ტალღისებურად მოზღვავებული აზრის ნაკადზე დატოვებულ შთაბეჭდილებებსა და ანაბეჭდებს მიაქანებს. პირველ რიგში კი ქისტის გვამისჭამის ნაკვალევს: მაგიდების, სკამების, თემატური პერსონაჟების კონტურებს, რომლის გვამს გემრიელად შეექცევიან, შემაძრწუნებელი (Schisch-ური) შინაარსით დატვირთული ჯამებისა და თეფშების მონახაზს, ქისტის ძვლებს, ლოყებს, წვერებს და ა.შ. ყველა ეს ნიშანი, რგორც ალუმ დაწვრილებით ამიხსნა, რეალური თავის მეხსიერებაში მიემართება და იქ ალუს სიზმრის სცენაზე უკანა პლანის ფაქტებზე მოგონებათა სურათ-ხატებს საფუძვლად დაედება, რომელიც თემში, თემატური რეალობის უშუალო აღქმისაგან თავისუფალია და მასზე არ არის დამოკიდებული. რეალურ თავს, სიტყვასიტყვით დაცული თემატური რეალობის წარმოდგენა ამ შთაბეჭდილებათა წყალობით ყოველ წუთს შეუძლია ისე, რომ წიგნის უბნებს არც ჩამოშორდეს, თუ, რა თქმა უნდა, ეს შთაბეჭდილებები შემოინახა და კეფიდან გამავალი უკანა კარებით სანაგვეზე არ მოისროლა. რეალური აზრის ნაკადზე აღბეჭდილი მოგონებები გამონაკლისია, ვინაიდან წინა ფონის მოვლენებზე დაკვირვებიდან რეალური თავი, როგორც წესი, წიგნის უბნებში აზრის

ნაკადს საერთოდ არ აგზავნის, რადგანაც მისთვის ყველაფერი ისედაც ცხადად მოჩანს. თავად რეალურ თავში დანახულის მოგონებათა სურათხატებად გარდაქმნა მისი და საერთოდ ყველა (რეალური და წიგნის პერსონაჟის) თავისთვის დამახასიათებელი აბსტრაქციის ლოგიკური მეთოდებით ხორციელდება. ალბათ, იკითხავთ, როგორ შეძლო ალუმ ყოველივე ამის გაგება იმ დროს, როცა თემის სხვა დანარჩენი პერსონაჟები სრულ უმეცრებაში ჩაძირულიყვნენ და თვით მეც კი, ქისტ მუცალს, თემის უპირველეს ფილოსოფოსს, ამის შესახებ მცირედი წარმოდგენაც არ მქონდა. ეს მართლაც განცვიფრებას იწვევს. მაგრამ, თუ უკეთ დავაკვირდებით, ყოველივეს ნათელი მოეფინება. თავად განსაჯეთ, რა სასოწარკვეთილ, თემატურად გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდა ალუდა, როგორ ზღუდავდა თემატური რეალობა საკუთარი სიზმრის სურათხატებში და როგორ უმწარებდა თემში არსებობას. მის გასაგებად, თუ როგორ დაიბადა მასში ეს უჩვეულო, სწორედაც რომ ნათელმხილველური ძალა მოზღვავებული რეალური აზრის ნაკადის აღსაქმელად და გასაანალიზებლად, ჯერ მის შინაგან გაორებას უნდა ჩავწვდეთ, რისთვისაც მისი წიგნის პერსონაჟი სიზმრის სცენაზე თემატური რეალობის დაწყებისთანავეა განწირული და სრულიად შევიცნოთ (თემატურად გაუყალბებელი) ალუდას მძიმე ხვედრი. განაწამებ, სულიერად აწეწილ და თემატურად შერყეულ პერსონაჟებს განსაკუთრებულად მახვილი მზერა უვითარდებათ და წიგნის სამყაროს ისტორიის კულისების ყოველ კუთხე-კუნჭულში ფარულ მოვლენებს ჭვრეტენ, რაც თემატურად მთლიანი, დაუნაწევრებელი პერსონაჟის მხედველობის არეში, როგორც წესი, საერთოდ არ ხვდება. ჩვენს ალუსაც სწორედ ასე დაემართა: საკუთარმა გატანჯულმა, წინააღმდეგობრივმა, უკიდურესად ანტი და არათემატურმა პერსონაჟმა, რომელიც სიზმარში შემზარავი, Schisch-ური თემატური რეალობით არის შეპყრობილი, მას თვალები აუხილა, ჩააფიქრა და თავისი სიზმრის სცენაზე რეალური აზრის ნიაღვრის საიდუმლოებაც ამოაცნობინა:

,,ის მარცხნივ მიედინება. ჩემი სიზმრის სცენის უფრო თავისუფალ მხარეს, სადაც ნაკლები ავეჯი დგას, მაგიდიდან ასე, ორი მეტრის მოშორებით, სადაც მე და ჩემი ნათესავები ვსხდევართ, – ამიხსნა ალუმ. – ჩემი გამოთვლებით საკმარისია, ნიაღვარში შეაბიჯო და იმ წუთშივე თემის ღრუბლებს ზემოთ, რეალობასთან აღმოჩნდები." მწყემსები თოფის მომარჯვებასაც ვერ მოასწრებდნენ – ბოლოსდაბოლოს ახდებოდა ის, რასაც მთელი წიგნის სამყაროში შეუძლებლად მიიჩნევდნენ და რაზეც ზღაპარივით ყვებოდნენ. წიგნის პერსონაჟებს რეალურ კოსმოსში შეღწევისა და ჰორიზონტის გაფართოების დიდებული შანსი

ეძლეოდათ. მაშინვე მივხვდი, რომ ის, რაც უნდა წამოგვეწყო და ბოლომდე გამოგვეკვლია, დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. რეალური აზრის ლიფტი ზედ ცხვირწინ გვქონდა და რომ არ გვეცადა, მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა. რეალური აზრის მდინარესთან ალუ იქვე იჯდა და ამიტომ, ეს მისთვის გაცილებით იოლი იყო, ვიდრე – ჩემთვის. საკმარისია, უეცრად წამომდგარიყო და გვერდზე გავარდნილიყო, რომ რეალურ ნაკადს სცენიდან გაეყვანა. ჩემს შემთხვევაში კი გამგზავრება ბევრად რთული იქნებოდა, რადგან ჩვენთან, იქ, უკან, რეალური მდინარე ძალზე დუნედ მიედინება – ,,ამიტომაც არ არის საჭირო, რომ დინებაში შენი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელიდან ჩახტე, – თქვა ალუდამ, – მდინარე იქ ისე მიზოზინებს, რომ მწყემსები იმწამსვე დაგიჭერენ. თუ გინდა, რომ თემს უვნებლად დააღწიო თავი, რეალურ ნიაღვარში ჩემი სიზმრის სცენის წინ წამოწეული ადგილიდან, ანუ წინა პლანიდან უნდა ჩახტე. ამაზე დიდხანს ვიფიქრე და შენი გაქცევის ყველაზე მოხერხებული გზა ჩემს ესკიზზე მოვხაზე. გამოიხედე! – და ქაღალდის ნაგლეჯი მიჩვენა, რომელზეც ჩვენი სცენა რამდენიმე შტრიხით მოენიშნა. სცენას მსხვილი წითელი ხაზი გასდევდა. – ეს რეალობის აზრის ნაკადია, – ამიხსნა ალუმ, – ეს წერტილი კი ის ადგილია, სადაც ჩემი კომოდი დგას და საიდანაც ყველაზე სწრაფად და უკეთ აღმოჩნდები დინებაში. ეს ადგილი წრით აღვნიშნე." – ალუს გეგმას მაშინვე ჩავწვდი: სცენის სიღრმეში კომოდამდე უნდა მიმერბინა, სადაც ნიაღვარი სწრაფად მიედინებოდა, შემდეგ კი მის ტალღებში ჩავმხტარიყავი და დინებაც მაშინვე თემიდან გამიყვანდა.

– შენი წასვლის გარანტია დაცული უნდა იყოს. ისე უნდა გაუჩინარდე, რომ არავინ შეგამჩნიოს, თორემ მწყემსები ერთი-ორი გასროლით სულ იოლად გაგისტუმრებენ საიქიოში. სცენაზე მოკლე მანძილი გაქვს გასარბენი და რეალური აზრის ლიფტამდეც მიაღწევ. ამ დროს სნაიპერისთვის კარგი სამიზნე იქნები და ტყვიაც არ აგცდება. ესეც მოვიფიქრე და გამოსავალიც მოვძებნე. ალბათ იცი, რომ ჩემი ქოხის სცენაზე მე და ჩემი ნათესავები ნავთის ლამპის გარშემო ვსხედვართ. ასე რომ, ლამპას ხელს ვკრავ და მაგიდიდან გადავაგდებ. ლამპა დაიმსხვრევა და ჩამობნელდება. ამით განიშნებ, რომ წინ გამოიქცე. მეც მაშინვე რეალური აზრის ნაკადში გადავეშვები. სცენაზე არეულობა შეიქმნება, სიბნელის გამო არაფერი გამოჩნდება და როცა შუქს აანთებენ, ჩვენ უკვე დიდი ხნის წასულები ვიქნებით. – ასეთი იყო ჩვენი გეგმა, რომელიც, რა თქმა უნდა, არავისთვის არ უნდა გაგვემხილა. ამის შესახებ თვით ყველაზე სანდო, ანტი და არათემატურ პერსონაჟებთანაც კი ვდუმდით. პატარა გაუფრთხილებლობა და შესაძლოა, მწყემსების ყურამდე რაიმეს მიეღწია და ისინიც ყოველ ღონეს იხმარდნენ, რომ ჩვენი ჩანაფიქრი ჩაეშალათ. –

,,კომოდამდე გზა კარგად დაიმახსოვრე. არ დაგავიწყდეს, რომ სრულ წყვდიადში მოგიწევს გარბენა და ორიენტაციისთვის საკუთარი მეხსიერების გარდა არაფერი გექნება. უმნიშვნელო გადახვევაც და მიზანს აცდები. მაშინ კი პირდაპირ მწყემსებს ჩაუვარდები ხელში. ყველაფერი იმაზეც არის დამოკიდებული, თუ დროს არ დაკარგავ და სცენაზე დაბნელებისთანავე გაიქცევი. ეს კი ორი მიზეზის გამოა აუცილებელი: ჯერ ერთი, რეალობა თავისი აზრის მდინარებას შეაჩერებს, როგორც კი შეამჩნევს, რომ მის ქვემოთ უბანში, ჩემს ქოხში სინათლე ჩაქრა. ალბათ, ეს უფრო სავარაუდოა; რეალური აზრი ხომ უმთავრესად მხოლოდ ჩემი სიზმრის სცენის კულისებისკენ მოედინება და თუ თემატურ რეალობას ვერ დაინახავს, მისკენ აღარც თავის ზრახვებს ჩამოაგზავნის. დიახ, ისიც კი უნდა ვივარაუდოთ, რომ მასზე ფიქრს მექანიკურად შეწყვეტს და რეალურ თავში სულ სხვა აზრები აღეძვრება. მაგ: რას უნდა ნიშნავდეს ჩვენს თემში უეცარი ჩამობნელება და ა.შ. მეორეც, გადამწყვეტ მომენტში სიზმრის სცენაზე დიდი არეულობა დაიწყება. მოქმედი პერსონაჟები და მწყემსები წყვდიადში უთავბოლოდ დაიწყებენ სირბილს და ერთმანეთს დაეჯახებიან. ჩემიანები მაგიდიდან ფეხს არ მოიცვლიან. დავაჯერე, რომ ლამპის ჩაქრობისას მშვიდად უნდა ისხდნენ და მოვლენათა შემდგომ განვითარებას დაელოდონ. ბუნდოვნად მოვუყევი, რომ ჩვენი ანტი და არათემატური პარტია თემის ყველა სცენაზე დისციპლინის დამყარების მიზნით მწყემსების მიერ გაცემული კატეგორიული განკარგულების წინააღმდეგ წიგნის სამყაროს მეცნიერული ექსპერიმენტის ჩატარებას აპირებს წიგნის უბნებში განათების არაპროგრამულად შეწყვეტით გამოწვეული რეალურ თავთა რეაქციის გამოკვლევის მიზნით. ხომ იცი, ისინი ჩვენს ანტითემატურ შეხედულებებს იზიარებენ და არ გაგვთქვამენ. მაგრამ იმას კი ნამდვილად ვერ გავთვლით, როგორ მოიქცევა პირველ წუთებში ასობით სხვა დანარჩენი სცენის კულისებში მდგომი ადამიანი (წიგნის პერსონაჟები და მწყემსები). უნდა ვივარაუდოთ, რომ მწყემსების დიდი ნაწილი შუქის ასანთებად მაშინვე წინ გამოვარდება და თუ გაქცევა შეგვაგვიანდა, არეულობაში შენც გაებმები, დროულად ვერ დაეხსნები და რეალური აზრის ლიფტსაც ვეღარ მიასწრებ."

– არც ის არის გამორიცხული – მითხრა ალუმ თავისი ინსტრუქციის ბოლოს, – რომ ამ ალიაქოთში ჩვენი თემის რომელიმე პერსონაჟი, ანდა სულაც მწყემსები რეალური აზრის გზაზე მოხვდნენ და რეალურ თავში ჩვენთან ერთად გამოფრინდნენ. შემთხვევითი მგზავრების გამო თავს დიდად ნუ შეიწუხებ. იქ, ზევით, ყველანი სრულიად თავისუფლები ვართ, ანუ თემაზე აღარ ვართ მიბმულები და ვერც ვეღარავინ დაგვიწესებს, რა უნდა გავაკეთოთ და რა – არა. ანტი და არათემატურ პერსონა-

ჟებს კარგად მოვეპყრობით. სხვა დანარჩენთა და, განსაკუთრებით კი მწყემსების მიმართ გულგრილობასა და უარყოფით დამოკიდებულებას გამოვიჩენთ. გირჩევ, პისტოლეტი თან იქონიო და ვაზნებით სავსე ქამარიც შემოვირტყათ, ეს ნაძირალები რომ არ გაგვეკარონ. ქამარში ერთი-ორი კარგად ალესილი ხანჯალიც ჩაიდე. მაგ ვიგინდარების ბანდამ გარეთ, სადაც მათი ძალაუფლების სფერო მთავრდება, თავი რომ მოგვაბეზროს, ვერ ავიტან. არ აწყენთ, თუ ცოტას დავაშინებთ. რასაკვირველია, მათი თავდასხმისთვის მზად უნდა ვიყოთ და არც ერთ უსიამოვნო მგზავრს თვალი წუთითაც არ უნდა მოვაცილოთ. კარგად დაიმახსოვრე, ამ ზომების მიღება თემში უკან დაბრუნების დროსაც დაგჭირდება. მოსალოდნელია, რომ როგორც კი თემის მიწაზე ფეხს დავაკარებთ, ჩვენი ძვირფასი თემატური ხელისუფლება მაშინვე დაინტერესდება, როგორ მოვახერხეთ გაფრენა, რა გვქონდა მიზნად, რა ვნახეთ და რეალურ თავში რა გავაკეთეთ. ცხადია, მოგზაურობის ნამდვილი მიზეზი უნდა დავუმალოთ. თუ გვკითხავენ, უბრალოდ ვუპასუხოთ, რომ თემატურ სიბნელეში, საერთო არეულობაში რეალური აზრის გზაზე ფეხი აგვიცდა და რეალურ სამყაროში – შესაბამისად, რეალურ თავებში იძულებით გავემგზავრეთ. ვითომ ლამპაზე შემთხვევით მომიხვდა ხელი. ბრალდების წასაყენებლად მათ ხელჩასაჭიდი არაფერი აქვთ. თემში ჩამოფრენისთანავე იარაღს გადავყრით, რომ დამატებითი ეჭვები არ აღვძრათ. თუ თემში რაიმე სხვა გზით შეიტყვეს, რომ შეიარაღებულები გავფრინდით, ვეტყვით რომ ჩემი სიზმრის სცენის შემდეგ სანადიროდ ვაპირებდით წასვლას. ნურაფერს ისეთს ნუ მოუყვები, რაც მაგ ნაძირალებს გაახარებთ. ვუთხრათ რომ, რეალური თავი, სადაც ჩვენ შევფრინდით, წიგნების უბნების მიმართ კრიტიკულია, ჩვენს თემს უპატივცემულოდ ეკიდება და წიგნის პერსონაჟთა ისტორიულ-იდეოლოგიურ საპყრობილეში ცხოვრებას კარგი თვალით არ უყურებს. ვითომ რეალურ თავში – სხვაგვარადაც რომ იყოს განწყობილი და შინაგანად ჩვენს თემს რომ სწყალობდეს კიდეც – ჩვენი ისტორიის შესახებ, მხოლოდ ანტი და არათემატური მოსაზრებები აღმოვაჩინეთ. შეგიძლია, საკუთარი აზრები რეალური თავის თვალთახედვად გაასაღო. ისინი ხომ ვერ გადაამოწმებენ და ამიტომ იძულებულები იქნებიან, სიტყვაზე გვენდონ. ცხადია, – ამას კი განსაკუთრებით გთხოვ, – მწყემსებს უნდა აუხსნა, რომ რეალური თავი ჩემი სიზმრის სცენის უკანა ფონის თემატურ რეალობას უარყოფითად აფასებს და მას აშკარა თემატურ წინააღმდეგობად მიიჩნევს, რაც ჩვენი წიგნის უბნის ისტორიაში ჩემი ფიგურის აზრსა და მიზანს გაუგებარს ხდის და მის ლოგიკურ, ანტი და არათემატურ მთლიანობას არღვევს. შენ უნდა

აუხსნა მათ, რომ ჩემს სიზმარში Schisch-ურობის სიტყვასიტყვით აღქმა მას შეუძლებლად მიაჩნია და ფიქრობს, რომ ძნელია რაიმე რეალურ ცნებასთან იმის შეთავსება, თითქოს ანტი და არათემატური მთავარი პერსონაჟი (წიგნის პერსონაჟი) თავის გულში (სიზმარში) თემატურობას ელოლიავებოდეს. ეს აბსურდულობა კი მას აფიქრებინებს, რომ ჩვენი თემის ყველა თემატური პერსონაჟიც წინააღმდეგობრივია, შესაძლოა, თავში ანტი და არათემატური მოსაზრებებს დაატარებდეს და სულაც არ იყვნენ ისეთები, რასაც ისინი წიგნის უბნის სინამდვილეში წარმოადგენენ, ვითომ რეალურ სამყაროში მხოლოდ ისეთი წიგნის უბნების კითხვა უყვართ, სადაც თემატური, ანტი და არათემატური აზრობრივი (წიგნის პერსონაჟული) მასალა ერთმანეთისაგან მკვეთრად არის გამიჯნული, თემატური წინააღმდეგობების შემცველი წიგნის უბნები კი მაკულატურად ითვლება. სავარაუდოა, რომ აშკარა ანტი და არათემატური სიზმრის სცენაში თვალშისაცემი Schisch-ის გამო, ჩვენი თემი რეალურ სამყაროში პატივისცემას დაკარგავს და მას ისეთი წიგნის უბნებისკენ მოისვრიან, სადაც არც ერთი წესიერი რეალური თავი აღარ გაიხედავს. მწყემსებს რეალური თავის მოსაზრებები ამ კუთხით უნდა გააცნო. შესაძლოა, მწყემსები ამან ჩააფიქროს და ჩემი სიზმრის სცენაში თემატური რეალობაც გააუქმონ. ჩვენი მგზავრობის შესახებ მათ კონკრეტულადაც უნდა მოვუყვეთ, რადგან, თუ შემთხვევით რომელიმე თემატური პერსონაჟი დაგვემგზავრა, მაშინ თვითმხილველიც გვეყოლება, ჩვენს ნათქვამს უარყოფს და ცუდ დღეში ჩავცვივდებით. სხვათა შორის – ამ სიტყვების წარმოთქმისას ალუდას თვალები აენთო – იმის იმედიც მაქვს, რომ ასეთ თემატურ მგზავრებს, – თუ რასაკვირველია, ისინი ბევრნი არ იქნებიან, – გზაზე თავიდან მოვიცილებთ. იქნებ, ხელსაყრელი მომენტი გამოჩნდეს და ეს ნაძირალები მკითხველის თავის რეალური აზრის გზიდან მოვისროლოთ კიდეც. მაშინ ისინი რეალურ კოსმოსში აორთქლდებიან და ჩვენც დავიდარება აგვცდება." – მაშინვე მივხვდი, რომ ეს სერიოზულად იყო ნათქვამი, რადგან ალუ ის კაცი (წიგნის პერსონაჟი) არ იყო, ვინც ამ ყალბ, ანუ თემატურ რეალობას ასე იოლად გადაყლაპავდა და მოინელებდა. მტკიცედ გადაეწყვიტა, რომ სირცხვილი ჩამოერეცხა და მასთან ერთად ყველა ის პერსონაჟიც გაენადგურებინა, ვინც ამ გზაზე გადაეღობებოდა. ასე გამოიყურებოდა მთლიანობაში ალუს გეგმა, რომელიც მან იმ დღეს გამანდო და რომელსაც ასე გატაცებით დავეთანხმე, რადგან ალუს სიზმრის სცენაში, ყველა წიგნის პერსონაჟის სანუკვარი ოცნება უნდა ასრულებულიყო. ეს იქნებოდა ნახტომი რეალურ სამყაროში – რეალური თავებისკენ.

ალბათ, არც არის საჭირო იმ თავბრუდამხვევ პერსპექტივებზე მოგახსენოთ, რასაც ეს გაფრენა სთავაზობდა ჩვენი წიგნისა და რეალური სამყაროს მეცნიერებას. არანაკლებ სტიმულს გვაძლევდა წიგნის პერსონაჟთა თემატური სარტყლიდან გაქცევის სრულიად უნიკალური გზაც. წიგნის სამყაროს ტექნიკური თვალსაზრისით თვით ყველაზე პროგრესულ ხალხს, ანუ ქისტებსაც კი არ დაუფიქსირებიათ რეალურ კოსმოსში მკითხველის თავებისკენ პირდაპირი გაფრენის შესაძლებლობა. ეს ადვილი ასახსნელია: თავიანთ უბნებში ქისტ პერსონაჟებს შეუძლიათ ისე მოიქცნენ, როგორც სურთ. თუ ანტი და არათემატურად არიან განწყობილნი, მაშინ თავიც შესაბამისად უჭირავთ და არავის, არც წიგნის უბნის ადმინისტრაციას და არც მწყემსებს აზრადაც არ მოუვათ, რომ მათ ამგვარად აზროვნება აუკრძალონ, ან მათი ნააზრევი უნამუსო ხრიკებით გააყალბონ. ამიტომაც არ არსებობს იქ თემატური რეალობა, რაც ანტი და არათემატური ქისტი პერსონაჟების სიზმრებს, აზრებსა და გეგმებს შინაგან აფეთქებამდე მიიყვანდა. ყველას ყველაზე შეუძლია საკუთარი აზრი ჰქონდეს, რასაც ისინი სრულიად თავისუფლად გამოხატავენ კიდეც. ამიტომაც არ სჭირდებათ რეალურ თავებს შენიღბული აზრის გამოსააშკარავებლად ენერგიის (აზრის ნაკადის) გაგზავნა. ქისტური წარმოსახვის ტექნიკა ისეთ დონეზეა, რომ მათ რეალური თავებისთვის წიგნის პერსონაჟთა ფარული ნააზრევის კაშკაშა სიცხადით წარმოდგენის საშუალებას აძლევთ. თანამედროვე ქისტური წიგნის უბნები რეალურ თავებს აზროვნების პროცესის აუცილებლობისგან თითქმის ათავისუფლებს. რეალურ თავს არაფრის კეთება არ სჭირდება. შეუძლია მოისვენოს და მშვიდად განჭვრიტოს მის ქვემოთ მდებარე უბნები, სადაც ქისტური წიგნის უბნის ისტორიის ყველა წვრილმანი აბსოლუტურად გამჭვირვალეა და მოვლენები სრული სიცხადით ვითარდება.

აქედან ჩანს, რომ სწორედ დაბალგანვითარებულ, წიგნის უბნის ტექნიკურად ჩამორჩენილ თემებში რეალური და წიგნის სამყაროს მეცნიერების აღმოსაცენებლად ხშირად ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება და სწორედ იქ, და არა სხვაგან – როგორც საზოგადოდ მიაჩნიათ, დასავლური წიგნის სამყაროს ტექნიკურად საუცხოოდ აღჭურვილ, მაღალკომფორტაბელურ პირობებში – წიგნის პერსონაჟებს აქამდე შეუძლებლად მიჩნეული, დაუშვებელი მეცნიერული ექსპერიმენტების ჩატარების საშუალება ეძლევათ. კიდევ უფრო კურიოზულია წიგნის უბანთა მორალური ღირებულებიდან გამომდინარე უარყოფითი

აზრი. ჩვენნაირებისთვის წიგნის სამყაროს ციდან რეალური თავებისკენ მიმავალი გზა იქიდან კი არ იწყებოდა, სადაც წიგნის პერსონაჟები (თემატურად) თავისუფლები არიან და ისე მოქმედებენ, როგორც მათ სურთ, სადაც ყველა მოქმედი პერსონაჟის პიროვნული გზა დაუბრკოლებლად, ხელყოფის გარეშე ვითარდება, არამედ იქიდან, სადაც, პირიქით, თემატური ბატონყმობა მეფობს, სადაც წიგნის უბნის ყველა მოქმედი პერსონაჟი მტკიცე, უცვლელი, თემატური ძაფით არის ნაქსოვი, ანუ სინამდვილეში მხოლოდ მარიონეტები არიან, სადაც შიშველი Schisch, როგორც ისტორიულად ყველა უფრო ფასეული რამ, უბნების სიუჟეტშია ჩაწერილი და დაუნდობელი სისასტიკით დათრგუნული, დევნილი და გაწამებული ანტითემატური ოპოზიცია თემის მბრძანებლებს მარადიულ შეურიგებელ ბრძოლას უცხადებს. ამ უცნაური გარემოების შესახებ ალუსთან არაერთხელ მისაუბრია და დავასკვენით, რომ წმინდა თეორიული, წიგნის სამყაროს მეცნიერული მოსაზრებიდან გამომდინარე ფუძემდებლური ფილოსოფიური საკითხების წინსვლისათვის წიგნის პერსონაჟებისთვის სწორედ მსგავსი, თემატურად აუტანელ თემში ყოფნა არათუ სასურველი, არამედ აუცილებელიც კი იყო. მას შემდეგ, რაც გეგმა საბოლოოდ შევიმუშავეთ და გამგზავრების დროც დავთქვით, თავს წიგნის სამყაროს პირველ კოსმონავტებად, ტრანსცენდენტურ სამყაროში რეალური თავებისაკენ მიმავალი გზის პირველაღმომჩენებად მივიჩნევდით, – ალბათ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ თემში ჩვენი ეს ნაბიჯი დადებითად შეაფასონ. თუ გავითვალისწინებთ ყოველგვარი სიახლის მიმართ მწყემსების პრინციპულ უნდობლობას, უფრო მოსალოდნელია, რომ ისინი, საკუთარი თემატური გარღვეული სარტყელის ამოკემსვას შეეცდებიან და ისეთ წინააღმდეგობას შექმნიან, რაც მათი გავლენის სფეროდან პერსონაჟთა ხელახალ გასვლას შეუძლებელს თუ არა, ძნელად განსახორციელებელს მაინც გახდის, რადგან ისინი მშვენივრად წარმოიდგენენ, რა საშუალებებსაც შეუქმნით თემის უკმაყოფილო (ანტი და არათემატურ) პერსონაჟებს რეალურ სამყაროში მიმოსვლა – კერძოდ, მათ, შესაბამისად ანტითემატურ, ჩვენი თემის მიმართ კრიტიკულად განწყობილ რეალურ თავებთან წიგნის პერსონაჟული მჭიდრო კონტაქტის შანსი მიეცემათ, ამ თავებში თავშესაფრის გაჩენის იმედი გაუჩნდებათ და ბოლოს თემიდან ლტოლვილი პერსონაჟები სხვა (ქისტური) წიგნის უბნებში გადასახლდებიან. შესაძლოა, ეს ერთი ხელის მოსმით არ მოხდეს, მაგრამ დროთა განმავლობაში, თუ რეალური თავებისკენ მიმავალი გზა ღია იქნება, წიგნის პერსონაჟები სხვა უბნებში – რეალური თავების გავლით – გაქცევას ნამდვილად მოახერხებენ. ,,მწყემსებს საკმაო ჭკუა აქვთ და თემში კოსმონავტიკის განვითარებას

ნებას არ დართავენ. მაგრამ, – განაგრძო ალუმ, – ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენ გაფრენა დასავლური წიგნის სამყაროს აღაფრთოვანებს და შეეცდებიან, იგივე განახორციელონ, რადგან იქ, საზღვრებს მიღმა, ისტორიულად თავისუფალი პერსონაჟები საკუთარი თემისგან მოუსყიდველი არსებები არიან, ამიტომ რეალური თავების გავლით სხვა თემებში გადასვლა და, შესაბამისად, ემიგრაციაც დიდად არ გაუჭირდებათ. დიახ, კარგად ვიცნობ ქისტებს, კოსმონავტიკაში უზარმაზარ თანხას ჩადებენ. შეეცდებიან PanaMeranican-ის საჰაეროგზა რეალური აზრის მდინარეებით გააგრძელონ და შესაფერისი (სიმპათიური) მკითხველის თავებში სატელევიზიო და სატელეფონო კავშირებით აღჭურვილი კოსმოსური სადგურები მოაწყონ. მათთვის დამახასიათებელი მოხერხებულობით ისე გაუტევენ და მოკლე ხანში ისეთ სრულყოფას მიაღწევენ, რომ ჩვენს ისტორიულად მიყრუებულ კუთხეში, თემატურად ქვის ხანაში, სადაც იძულებით ვარსებობთ, არც კი დაგვესიზმრება. მუცალ, ჩვენი საქმის გამგრძელებლები შენი ქისტები და საერთოდ, მხოლოდ დასავლელი წიგნის პერსონაჟები იქნებიან. მაგრამ აუცილებელია, რომ ჯერ გავაგებინოთ. ხედავ, ჩვენი ამოცანაა, თავისუფალ, ვთქვათ, ქისტური წიგნის სამყაროს, რადგან ის ჩვენთვის ყველაზე მეტად სასურველია, ჩვენი კოსმონავტური ექსპერიმენტის შესახებ ვაცნობოთ. პრაქტიკულად ეს სულაც არ არის ძნელი. სიზმარში ნებისმიერ დროს შეგვიძლია იქ გადასვლა და მათთვის შეტყობინება. სიზმრის საჰაერო გზა, ღვთის წყალობით, მუდმივად მოქმედებს და თუ საკითხს თეორიულად განვიხილავთ, უფრო მომგებიანი იქნება, ქისტებს რეალურ სამყაროში მგზავრობა, პოსტ ფაკტუმ გავაცნოთ. იმის დამტკიცებაც ხომ უნდა შევძლოთ, რომ ეს მგზავრობა ნამდვილად შედგა? ასე არ არის? ცხადია, ისინი მხოლოდ ნათქვამს არ დაიჯერებენ. რა კონკრეტული სარწმუნო ნივთიერი მტკიცება შეგვიძლია წარვუდგინოთ ქისტებს ჩვენ, სიზმრის სტუმრებმა? არავითარი. ამ მოგზაურობიდან სამახსოვროდ რეალური ნივთიც რომ ჩავიგდოთ ხელში, რაშიც ძლიერ მეპარება ეჭვი, რადგან რეალურ თავში არაფერია ისეთი, რასაც იგი ასე იოლად შეელევა, ნივთმტკიცებად მაინც არ გამოგვადგებოდა, რადგან ჩვენ მხოლოდ სიზმრის სტუმრები ვართ და იფიქრებენ, რომ უბრალოდ ვხუმრობთ, რაღაცას ვიგონებთ ან სულაც ჩვენი ოცნებაა და სანუკვარ სურვილებს ფაქტებად ვასაღებთ. თუ გვინდა, რომ ქისტებმა დაგვიჯერონ, ნურაფერს მოვუყვებით სიზმარში ჩვენს ექსპერიმენტზე. რადგან მათთან მოსახვედრად ჩვენთვის მხოლოდ სიზმრის გზა არსებობს, ისღა დაგვრჩენია, რეალური გაფრენის შესახებ წინასწარ ვაცნობოთ. დიახ, მათი ურწმუნოების თავიდან ასაცილებლად ანტე ფაკტუმ მივაწოდოთ ინფორმაცია.

ამას კი შენ გააკეთებ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, თანაც ამავე ღამეს. გადაიქროლე PanaMeranican-ით და უთხარი, რომ რეალურ თავებში გასაფრენად ვემზადებით. ცხადია, ამის შესახებ სრულიად საიდუმლოდ უნდა შეატყობინო. მათაც ეს საიდუმლო ჩვენს გაფრენამდე მაინც უნდა შეინახონ. ხომ იცი, ქისტური წიგნის სამყარო ხევსური ჯაშუშებით არის სავსე და პატარა ჭორმაც რომ მიაღწიოს მწყემსების ყურამდე, მაშინვე დაგვიჭერენ. იქ შენ ყველა გიცნობს, ყველას უყვარხარ და მაშინვე გამოგვეხმაურებიან. უკეთესია, თუ PanaMeranican-ის დირექციას მიმართავ, გავლენიანი ავიაკომპანიაა და ყველაფერზე იზრუნებს. სულ უბრალო რამ უნდა სთხოვო: სამი – ოთხი დღის განმავლობაში თავიანთი ობსერვატორიებიდან ჩვენი თემის ცას, განსაკუთრებით კი ჩვენი ლექსის მესამე პროვინციის საჰაერო სივრცეს თვალი არ მოაცილონ და ცად ამაღლებისას მომენტალური ფოტოები გადაგვიღონ. მათი ფოტოფირები კომეტებსაც კი უზუსტესად აღბეჭდავენ და ჩვენ ხომ ცის მნათობზე სწრაფად ვერ გავფრინდებით.!"

ჩვენი თემის მთების თავზე დასავლეთით მიმავალი უმოკლესი სიზმრის გზით ქისტური წიგნის უბნებში ოთხმოტორიანი მერანით იმ ღამესვე გავეშურე. ქისტურ რივიერაზე ამჯერად უდარდელი სიამტკბილობის განსცდელად კი არ მივდიოდი, ანდა ქისტ გოგონებთან დროის გასატარებლად, არც ქისტური წიგნის უბნის უახლესი ტექნიკის დათვალიერებას ვაპირებდი და არც ქისტ კოლეგებთან (წიგნის პერსონაჟებთან) შეხვედრასა და მათთან წიგნის სამყაროს მწვავე საკითხებზე დისპუტის გამართვას. ამჯერად მათთვის ისეთი რამ უნდა შემეტყობინებინა, რაზეც თვით ქისტური წიგნის სამყაროს საუკეთესო მეცნიერებიც (ტექნიკოსები, ინჟინრები) კი ვერ იოცნებებდნენ, კერძოდ კი ის, რომ მთელი წიგნის სამყაროს უძველესი ოცნება – რეალური სამყაროს კოსმოსში, მკითხველის თავებისკენ გაფრენა – ტექნიკურად ისეთ ჩამორჩენილ, თემატურად ყველა თვალსაზრისით ისეთ პატრიარქალურ თემში უნდა განხორციელებულიყო, როგორსაც ხევსურული თემი წარმოადგენდა. როცა PanaMeranican-ის დირექციაში, რეალური თავებისკენ ცად ამაღლების ტექნიკური პირობებისა და შესაძლებლობების შესახებ ქისტური მაღლივი ფრენის ოსტატებს რამდენიმე სიტყვით მოვახსენე, გაოცებულებმა თვალები ჭყიტეს. „დიდებულია", „შესანიშნავია", განაცხადეს მათ და მოგზაურობაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს. რასაკვირველია, ეს შეუძლებელი იყო, რადგან ჩვენ სიზმარში კი არ ვაპირებდით აფრენას, არამედ (წიგნის უბნის) სინამდვილეში, და ჩვენი თემის პირველ, უშუალო განზომილებაში, ამ გაბედულ გზაზე, ცხადია, ქისტები ვერ გამოგვყვებოდნენ. ის, რომ ქისტები წიგნის

სამყაროსთვის ასეთ სენსაციურ, სრულიად წარმოუდგენელ სტარტს უნდა დაჰკვირვებოდნენ და მათ განკარგულებაში მყოფი ყველა ფოტოტექნიკური საშუალებით დოკუმენტურად აღებეჭდათ, ისედაც იგულისხმებოდა. – ,,ეს მოვლენა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ, – მითხრა აღელვებულმა PanaMeranican-ის დირექტორმა, – ნუ ღელავთ, მუცალ! ტელეკამერა მზადყოფნაში გვექნება. ჩვენი ფოტოების ხარისხს შეგიძლიათ, მშვიდად ენდოთ. ნებისმიერი მანძილიდან და ნებისმიერი განათების დროს ფოტოებზე მკაფიო გამოსახულებას ვიღებთ." თავიანთი ნათქვამის დასამტკიცებლად წიგნის უბნის ცის თაღიდან გადაღებული სხვადასხვა ფოტოები მიჩვენეს, რომელზედაც უშორესი პლანეტები ახლოდან მოჩანდა. დიახ, ქისტური ტელეფოტოგრაფია ჩვენი სტრატოსფეროს მიღმა შორეულ სივრცეებსაც სწვდებოდა და თვით რეალურ სამყა-რომდე აღწევდა. ეს იყო ფოტოების მთელი სერია, რომელზეც ქისტების ჩინებული კამერებით გადაღებული, გადიდებული მკითხველის თავები უზადოდ მოჩანდა.

რეალური პირების ფოტოებს დიდი ინტერესით ვათვალიერებდი. გარეგნულად მათ განსაკუთრებულს ვერაფერს შეატყობდით. ისინი წიგნის პერსონაჟებს ჰგავდნენ. თავისუფლად შეგეძლოთ ამ თავების წიგნის პერსონაჟებად მიჩნევა. სახის მოყვანილობასა და თავის ქალის აღნაგობაში რაიმე არსებით სხვაობას ვერ შეამჩნევდით. როცა ამის თაობაზე ჩემი განცვიფრება გამოვხატე, PanaMeranican-ის მეცნი-ერებისგან ფრთხილი პასუხი მივიღე. ეს მოსაზრებები მათთან ჰიპოთე-ზად ითვლებოდა. წიგნისა და რეალურ პირთა თავებს შორის გამაოგნე-ბელი მსგავსება წიგნისა და რეალური სამყაროს უბნებს შორის ზოგად, ყოვლისმომცველ შესაბამისობას ეყრდნობოდა. ამ მოსაზრების თანახმად, სავარაუდო იყო ხევსურული, ქისტური და სხვა რეალური სამყაროს უბნების არსებობა შესაბამისი ხევსური და ქისტი რეალური პირებით. წიგნის სამყაროს ყოველ თემს ცაზე მონათესავე რეალური მკითხველის თავები უნდა ჰყოლოდა, ანუ ის თავები, ვინც თავისი წიგნის პერსონაჟთა ენაზე ლაპარაკობდნენ და იმავე, მათ მსგავს ადათ-წესებს მისდევდნენ. დიახ, არც ის იყო გამორიცხული, რომ ყოველ წიგნის პერსონაჟს (მთავარს და მეორეხარისხოვანს) რეალურ მკითხველის თავთა შორის საკუთარი ორეული ჰყოლოდა. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდი იყო. რეალური თავის ფოტოებზე წიგნისა და რეალურ პირთა შორის პიროვნული იდენტურობის გარკვევა არ ხერხდებოდა. ... ალბათ, მიხვდებით, როგორ მომნუსხა ამ განმარტებამ. რეალური თავებისთვის გადაღებული ქისტური ფოტოები წიგნის უბნის გრანდიოზულ

ტექნიკურ მიღწევას, სამყაროს შემეცნების გზაზე წინგადადგმულ ნაბიჯს ნიშნავდა. ცხადია,ეს ისეთ პრობლემებსაც ბადებდა, რაც ფოტოგრაფიის გზით ვერ გადაიჭრებოდა. ასე მაგ: რეალური თავის თემებთან ნათესაობის საკითხი. ის, თუ რამდენად ინარჩუნებდა წიგნის უბნის თემატური გარემო რეალურ სამყაროში ძალას, შეიძლებოდა მხოლოდ ექსპერიმენტის, რეალურ თავში ჩახედვის გზით გარკვეულიყო. ,,სწორედ ამიტომაც არის ასე დროული თქვენი ცად ამაღლება, მითხრეს PanaMeranican-ში. წიგნის სამყაროს ცის მიღმა რეალური თავებისთვის გადაღებული ფოტოები რეალური არსებობის შესახებ ჩვენს ზოგად წარმოდგენებს დიდად გააღრმავებს და სრულყოფს." შემდეგ კი, კოსმონავტების, ანუ ჩემი და ალუდას საპატივცემულოდ წვეულებაც გამართეს, რომელსაც PanaMeranican-ის დირექცია და ფოტოგრაფები ესწრებოდნენ. ალუდას არყოფნამ, სხვათა შორის, ყველას დასწყვიტა გული. მათ აღგვითქვეს, რომ რეალური თავებისკენ მგზავრობის ყოველ ეტაპს თვალსაჩინოდ, უზუსტესად დააფიქსირებდნენ. როგორც კი რეალური თავის სიმაღლემდე მიაღწევთ, ფოტოებს მაშინვე გადაგიღებთ – მითხრეს მათ – მთელი წიგნისა და რეალურ სამყაროში ეს უნიკალური ფოტო იქნება. წარმოიდგინე რეალური თავი და წიგნის პერსონაჟის თავი. ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა. ეს ფაქტი წინასწარ გვახარებს – როცა შეშფოთება გამოვხატე იმის თაობაზე, თუ როგორ მოხერხდებოდა ჩვენი და რეალური მკითხველის თავებს შორის განსხვავებული სიდიდის გამო ფოტოების გადაღება (ყოველი რეალური თავი უზარმაზარი პლანეტის მოცულობის სიდიდეს წარმოადგენს, რომლის გვერდითაც შეიარაღებული თვალისთვის პაწაწინა, თითქმის შეუმჩნეველ წერტილად გამოვჩნდებოდით), ფოტოგრაფებს გაეცინათ და მითხრეს – ,,ნუ გეშინიათ, მუცალ! ჩვენი კამერა შესანიშნავი ტელეოპტიკით არის აღჭურვილი და ასეთ სიშორეზეც კი რეალურ თავს საკმაოდ დიდად, დაახლოებით პასპორტის სურათის მასშტაბით იღებს."

დასასრულს კი, PanaMeranican-ი საზეიმოდ დამპირდა, რომ ეს ამბავი ქისტური საზოგადოების ყურამდე არ მოაღწევდა – ,,კარგად გვესმის, რა რისკზეც მიდიხართ – მითხრეს მათ – ბუნებრივია, არც ჩვენს ინტერესებშია, რომ ნაჩქარევად პრესაში გამოქვეყნებული, მოუფიქრებელი სტატიით თქვენს თემაში რაიმე პრობლემა შეგექმნათ. თუმცა არც ის იქნებოდა სწორი, რომ წიგნის სამყაროს ასეთი რევოლუციური მოვლენა დავუმალოთ, არა? რა აზრისა ხართ იმაზე, რომ თქვენი მოგზაურობის შესახებ ანონიმური ინფორმაცია გამოვაქვეყნოთ და საზოგადოებრიობას ვამცნოთ, რომ წიგნის სამყაროს რომელიღაც

წერტილიდან – ცხადია, არ დავასახელებთ – საიდან, – წიგნის პერსონაჟები რეალური თავისკენ აფრინდნენ? ამ განცხადებას ისეთ ფოტოებს დავურთავთ, რომელზეც მხოლოდ თქვენი კონტურები გამოჩნდება და ვერავინ ამოგიცნობთ." შენიღბული ინფორმაციის საწინააღმდეგო არაფერი მქონდა და მეც მათ მოსაზრებებს მიკიბვ-მოკიბვის გარეშე დავეთანხმე. შემდეგ კი დამსწრეთა ცნობისმოყვარე კითხვებისათვის უნდა გამეცა პასუხი: ჩემთვის, წარმოშობით ქისტი მუცალისთვის, ეს მოგზაურობა ხევსურული თემიდან თავის დაღწევის რეალურ გზად ხომ არ იქცეოდა ანდა საერთოდ, რეალურ თავში ხომ არ ვაპირებდით დარჩენას და წიგნის სამყაროსთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას. ხომ არ გვქონდა უფრო კონკრეტული გეგმა, თუ როგორ დავანახებდით რეალურ თავს ალუს სიზმრის თემატურობას. ალბათ, აღარ არის საჭირო იმის აღნიშვნა, რომ ქისტები ხევსურული თემის ყველა მოვლენისა და განსაკუთრებით კი, ალუს სიზმრის საზიზღარი თემატიზაციის შესახებ კარგად იყვნენ ინფორმირებულნი. წიგნის – (რეალური) სამყაროს მეცნიერთა კითხვებზე კონკრეტული პასუხებისგან თავს ვიკავებდი. ისინი ძალზე ფრთხილები არიან, მხოლოდ ფაქტებს უწევენ ანგარიშს. მე მხოლოდ იმ გარემოებას გავუსვი ხაზი, რომ ჩვენი მოგზაურობა ყამირი მიწების ათვისებას ნიშნავდა, სამეცნიერო ექსპედიცია იყო და, ამდენად, წინასწარ უფრო ზუსტად ვერაფერს ვიტყოდი – რეალურ თავში არსებული ყველა ხელსაყრელი პირობით ვისარგებლებთ და თუ ასეთი რამ შესაძლებელია, ამ თავებიდან ახალ ისტორიულ პერსპექტივებსა და ახალ, უკეთეს წიგნის უბნებს აღმოვაჩენთ – ამ სიტყვებით დავასრულე ჩემი გამოსვლა.

PanaMeranican-ელები თანაგრძნობით მიქნევდნენ თავს. რეალური თავის რამდენიმე ქისტმა ექსპერტმა კი საგულდაგულოდ რაღაც ჩაინიშნა კიდეც. ჩვენი საუბრის დანარჩენი ნაწილი უკვე, – როგორც თვითონ უწოდეს – წიგნისა და, შესაძლოა, რეალური სამყაროსთვისაც რევოლუციურ ექსპერიმენტთან დაკავშირებულ გეგმებსა და გადაწყვეტილებებს შეეხო. ,,ყოველმხრივ ვეცდებით, – მარწმუნებდა ქისტური ავიაკომპანიის დირექტორი, – თქვენს მაგალითს მივბაძოთ და რეალური თავებისაკენ ჩვენც გავფრინდეთ. ძირითად პირობას კი ამისათვის, თქვენი განმარტების თანახმად, წიგნის სამყაროს ისტორიის ძნელად შესაცნობ თემატურ რეალობად შემკვრივება წარმოადგენს, რომელიც რეალურ თავზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და მას ძლიერ ხიბლავს. თქვენ ამბობთ, რომ ამ დროს რეალური თავიდან თემში თემატური რეალობისკენ დამატებითი აზრის ნაკადი ჩამოედინება. ამ ექსპერიმენტს ჩვენც დაუყონებლივ ჩავატარებთ. თემატური რეალობის შესაბამისი დანართი

ჩვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს. – დაუმატა ცნობილმა ქისტმა, წიგნის უბნის ინჟინერმა, – საჭიროა მხოლოდ რეალური სტრიპტიზი, ან რეალური სექსუალური ურთიერთობა ჩვენი თემის (თემატიკის) წინა პლანიდან უკანა პლანზე გადავწიოთ და რეალური მკითხველის თავიც, უდავოდ, ამ ავხორცული ნაყარ-ნუყარის უკეთ აღსაქმელად დამატებით ზრახვებს ჩამოაგზავნის. ამგვარად, ჩვენს უბნებში უწყვეტი რეალური აზრის ნაკადის მდინარება გაჩნდება, რაც რეალურ სამყაროსთან ჩვენს მუდმივ მიმოსვლას უზრუნველყოფს. წიგნის სამყაროში ეროტიკული თემებით (თემატიკით) რეალური თავების დაინტერესება მართლაც საარაკოა. საკმარისია, სადმე ნორჩი, მშვენიერი მდედრობითი სქესის წიგნის პერსონაჟი გამოჩნდეს (დაწვეს), ან მას თუნდაც მცირე ხნით, დილის ხალათში შილიფად ჩაცმულს, ნახევრად შიშველს მოჰკრას თვალი და დარწმუნებულები ბრძანდებოდეთ, რომ თემის ცაზე მაშინვე ორი რეალური თავი გამოცხადდება, ტიტლიკანა სხეულს დაჟინებით მიაშტერდება და იქ, ზემოთ, პოსტს მანამ არ დატოვებს, სანამ წიგნის უბნის გოგონა არ ჩაიცვამს, ანდა თემში ჩამოწოლილი ბინდი ამ მშვენიერ სანახაობას არ გააუჩინარებს. რეალური თავების ცნობისმოყვარეობა კიდევ უფრო მეტად იზრდება, როცა ჩვენი წიგნის უბნებში მდედრობითი და მამრობითი სქესის პესონაჟებს შორის ეროტიკული სასიყვარულო სცენა იმართება – როცა სქესობრივი აქტი ნაგულისხმევია, ან ყველას დასანახად ხდება – რაც დასავლური (განსაკუთრებით კი ქისტური წიგნის) უბნებისთვის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. აი, მაშინ კი, წიგნის უბნების თავზე რეალური თავები აფუთფუთდებიან და ნამდვილი ჯგლეთაც იწყება. ეს კი წიგნის უბნის მოსახლეობას სწორედ რომ გულს უწყალებს, რადგან ამ დროს თემის ცა რეალური თავების სიჭარბის გამო ჩამობნელდება ხოლმე. ცხადია, ამ თავშესაქცევ კანონ-ზომიერებას რეალურ თავებში გასაფრენად ყველგან ვერ გამოიყენებ; მაგ., ჩვენს პურიტანულ ხევსურულ თემში, სადაც ეროტიკული გამოსახულება თემატურად იკრძალება. ქისტური წიგნის უბნებში კი ამ მეთოდის პრაქტიკული გამოყენება სავსებით შესაძლებელი იყო. როცა მკითხეს, რას ვფიქრობდი ამის თაობაზე, ჩემი მოსაზრება დიდი ენთუზიაზმით გამოვთქვი. ქისტებს შევახსენე, რომ იმაზეც დაფიქრებულიყვნენ, თუ რა უჩვეულო ძალით იზიდავდა რეალურ თავებს ეროტიკული თემა (თემი). საყოველთაოდ ცნობილია ისეთი შემთხვევებიც, როცა მდედრობითი სქესის წიგნის პერსონაჟის ხიბლით, ანდა ქისტურ და დასავლურ წიგნის უბნებში სრულიად ურცხვად წარმოდგენილი სასიყვარულო სცენით მოჯადოებული რეალური თავები ციდან დაშვებულან და ეროტიკული სცენის წინ, ზედ თემის მიწაზე მასიური (რეალუ-

რი) თავის ქალის მთების სახით აღმართულან. სავარაუდოა, რომ წიგნის უბნის უკანა ფონზე, ეროტიკული სცენის გარშემო დაბანაკებული რეალური თავები დამატებითი აზრობრივი ნაკადის ჩამოგზავნას არ დასჯერდებიან, წინ წამოიწევენ და წიგნის უბნის უკანა ფონამდე ჩამოაღწევენ. და თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ მოგზაურობაც ჩაიშლება, ვინაიდან გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ თემებში ჩამოსულ რეალურ თავებს წიგნის პერსონაჟები ვეღარ მიუდგებიან. ეს კი ორი მიზეზის გამო შეიძლება მოხდეს. ჯერ ერთი, პერსონაჟები რეალური სამყაროს ატმოსფეროს ღრუბლებში გაეხვევიან, რაც რეალურ თავებთან მათ მიახლოებას შეუძლებელს გახდის; მეორეც, ეროტიკული თემატიკის უკეთ დასანახად თემისკენ დახრილი რეალური თავები აღარც აზრის ნაკადს ჩამოაგზავნიან და ამიტომ წიგნის პერსონაჟებიც მას ვეღარ გაჰყვებიან.

PanaMeranican-ის დირექციას ყველა ეს ფაქტი შევახსენე, რასაც პასუხად მოწონების შეძახილები მოჰყვა. ქისტური წიგნის უბნის ინჟინერმა კი სასწრაფოდ შემდეგი წინადადება წამოაყენა, კერძოდ კი: თემის ცაზე გამოჩენილი რეალური თავებისათვის ქისტური თემების უკანა ფონზე ეროტიკა სათანადო დოზით მიეწოდებინათ და ამ გზით მათთვის რეალური აზრის ნაკადი დაეცინცლათ. თემის კულისებში ბუნდოვნად მონიშნული, სანახევროდ მითითებული სქესობრივი აქტი რეალურ თავს აიძულებდა, წიგნის უბნის ეროტიკული ადგილებისკენ ჯერ აზრის ნაკადი ჩამოეგზავნა, გაერკვია, ღირდა თუ არა ეს ამბავი თავის შესაწუხებლად, შემდეგ კი – ციდან თავადაც დაშვებულიყო. ამ დროს, მანამ რეალური თავი რამეს აწონ-დაწონიდა, წიგნის პერსონაჟები რეალური თავისკენ (სამყაროსკენ) გაემგზავრებოდნენ. იმ საღამოს ქისტებს სხვა იდეაც დაებადათ. კერძოდ: უბრალოდ, ჩვენთვის მოებაძათ და რომელიმე ქისტური სიზმრის სცენაში (ხევსურული, ანდა უარესი) Schisch ჩაერთოთ. ამის შემდეგ, რეალური თავის აზრის ნაკადი უბნებისაკენ აიღებდა გეზს, პერსონაჟები კი რეალური თავებისკენ გაფრინდებოდნენ. ცხადია, ეს მხოლოდ იდეები იყო, რადგან მის განსახორციელებლად ქისტებს ხანგრძლივი ექსპერიმენტის ჩატარება და მისი საგულდაგულო კვლევა მოუწევდათ. ბუნებრივია, რეალურ თავებთან (სამყაროსთან) საჰაერო მიმოსვლა ჩვენი მოგზაურობის შედეგებზეც იყო დამოკიდებული. თავისთავად ცხადია, რომ ქისტებისათვის დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმას, რასაც იქ ვნახავდით და დავაფიქსირებდით, ამიტომაც მთხოვა იქ დამსწრე ცნობილმა ქისტმა ფიზიკოსმა წიგნის სამყაროში მოგზაურობიდან სასინჯი მასალით სავსე ტომარა (რეალური თავის მასალის ნაკუწები) ჩამომეტანა. – ჩვენს ლაბორატორიაში სასინჯი მასალის

ფიზიკურ-ქიმიურ ანალიზს ჩავუტარებთ და დავადგენთ, გამოდგება თუ არა რეალური თავის ნიადაგი წიგნის სამყაროს სადგურის ასაშენებლად, შეძლებენ თუ არა ჩვენი ავტომანქანები და მატარებლები იქ სიარულს, შეიცავს თუ არა მისი ნიადაგი წიაღისეულს, მინერალებს და ა.შ; წიგნს სამყაროს უბნებთან რეალურ თავის თემატური მიმართების შესახებ დღემდე ამოუხსნელი საიდუმლოც ამ ანალიზის საფუძველზე გამოაშკარავდება და ისიც გაირკვევა, თუ როგორ აისახება წიგნის სამყაროს მასალა – რეალური თავის მასალაში. „წიგნისა და რეალური სამყაროს (თავს) შორის სისტემატური კავშირის დასამყარებლად ამ კითხვებს მეცნიერული პასუხი უნდა გაეცეს," – თქვა მან. ჩვენ კი მოვალენი ვიყავით, წვლილი შეგვეტანა ამ ცენტრალური პრობლემის გადაჭრაში. წინასწარ არავინ იცოდა, რა პირობები გველოდა რეალური თავში, გვექნებოდა თუ არა საერთოდ დრო და საშუალება სასინჯი მასალის შესაგროვებლად. მაგრამ, ცხადია, მე მათ დავპირდი, რომ ყველაფერს ვიღონებდით, რაც ჩვენს ხელთ იყო.

გამოსათხოვარი სიტყვის შემდეგ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით, მხარზე ხელი მოვუთათუნეთ და PanaMmeranican-ის დირექტორებმა სიზმრის აეროპორტში ფორდით წამიყვანეს. მერანი, რომელსაც ხევსურული წიგნის უბანში უნდა დავებრუნებინე, უკვე გველოდა. ფოლადის ფრინველში რამდენიმე მომხიბვლელი, მოკლეკაბიანი ქისტი სტიუარდესას გარდა არავინ დამხვედრია. PanaMeranican-მა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ჩემი მგზავრობა უნდა გაესაიდუმლოებინა, ჩვენს თემში მიმავალი ყველა მგზავრისათვის ბილეთები მეორე მერანზე დაჯავშნა. ფორდმა ტრაპამდე მიმიყვანა. თვითმფრინავზე ავედი, მერანის ტანში შესასვლელ კარებთან შევჩერდი, უკანდარჩენილებს კიდევ ერთხელ დავუქნიე მეგობრულად ხელი და ილუმინატორთან ადგილი დავიკავე. ცოტა ხნის შემდეგ თვითმფრინავი ჩვენი ანტითემატური პარტიის ფულით მოწყობილ წიგნის უბნის საფრენ მინდორზე დაეშვა. მინდორი ახალი შატილის მახლობლად, მწყემსებისთვის უცნობი სიზმრის დაბლობზე მდებარეობს. აქედან უკვე ჩემი ეთერული სხეული, სიზმრის უმოკლესი გზით, ჩემი თემატური წიგნის ახალშატილის ბინაში, პერსონაჟის სხეულს უკან დააბრუნებდა, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში ტახტზე ღრმა ძილით ეძინა. სხეულში შეფრენა და გაღვიძება ერთი იყო. ჩემმა დაბინდულმა გონებამ, რომელიღაც პერსონაჟის კონტურები თანდათან აღიქვა. რადგან ეთერული *მე*, ჯერ საკუთარ თემატურ გარსს უნდა მიეჩვიოს, ამიტომ უკანდაბრუნებულებს პირველ წუთებში თავბრუ გვეხვევა.

ჩემი ხანგრძლივი არყოფნით შეშფოთებული ალუ სასწრაფოდ გამომეცხადა, რადგან მოუთმენლად ელოდა სიზმრის მგზავრობის შედეგებს. – როგორც იქნა! – წამოიძახა მან, როცა ნელ-ნელა წამოვდექი. – ამჯერად ძალიან დიდხანს გაგრძელდა, შემეშინდა კიდეც, რამე ხომ არ შეემთხვა-მეთქი. გამახსენდა, რომ ბოლო დროს სიზმრის საჰაერო ხაზზე მრავალი კატასტროფა მომხდარა და შიშმა ამიტანა. მადლობა ღმერთს, ისევ ჯანმრთელს გხედავ. რა ამბავი მოიტანე? – უნდა გითხრათ, რომ ალუს შეშფოთება სრულიად სამართლიანი იყო. ხშირად მომხდარა, რომ სიზმრად მოგზაური ხევსური წიგნის პერსონაჟის ეთერული *მე* თემში საკუთარ თემატურ გარსს ვეღარ შეერთებია, ამიტომ ძილიდან ვეღარ გამორკვეულა და იძულებულები გამხდარან, მიწას მიებარებინათ. როცა PanaMeranican-ს ამის თაობაზე გამოვკითხეთ, გაირკვა, რომ თურმე მერანი, რომელშიც ეს პერსონაჟი იმყოფებოდა, აფეთქებულა და სადღაც ჩამოვარდნილა, ამ უბედური მგზავრის ეთერული *მე* კი დამსხვრეულა და სიზმრის კოსმოსში გაფანტულა. დაზარალებულის თემატურ მკვდრეთით აღდგომამდე, სანამ მისი ნარჩენების შეერთება შესაძლებელი გახდება, დიდმა დრომ უნდა განვლოს.

ყოველივე იმაზე, თუ რას მივაღწიე PanaMeranican-ში, ალუს ორი სიტყვით ვამცნე. პირველ რიგში კი, ცხადია, ის მოვუყევი, რა აღფრთოვანებულ დაინტერესებას იჩენდნენ ქისტები რეალურ თავში ჩვენი გაფრენის მიმართ. ვუთხარი, რომ ქისტები თავიანთი მაღალგანვითარებული ფოტოტექნიკური საშუალებებით ჩვენს მოგზაურობას ფირზე აღბეჭდავდნენ და მომავალ თაობებს (წიგნის სამყაროს) შემოუნახავდნენ. ჩემი ინფორმაცია კი ბოლოს იმით დავასრულე, რომ ქისტები ჩვენგან მაგალითს აიღებდნენ და იმავეს შეეცდებოდნენ. ალუს ისიც გადავეცი, რაც PanaMeranican-ში დიდმა ქისტმა ფიზიკოსმა მითხრა. – ასეც ვიცოდი, რომ ქისტები უყოყმანოდ შემოგვიერთდებოდნენ. ნახე, თუ თავიანთი დროშა უშორეს რეალურ თავებში არ აღმართეს! – თქვა ალუმ და მართალიც გამოდგა. ქისტებმა ჩვენს შემდეგ სულ მალე რეალურ კოსმოსში (თავში) განსაცვიფრებელი გაფრენა განახორციელეს. უთვალავ რეალურ თავში პლანეტური ქვესადგურები მოაწყვეს და სისტემატურად აწარმოებდნენ საპლანეტათშორისო, – შესაბამისად, თავებს შორის საჰაერო მიმოსვლას. ქისტებმა სხვადასხვა რეალურ თავში წიგნის სამყაროს ტურისტული ბიუროები გახსნეს,

საიდანაც ოსტატურად მომართული წიგნის უბნის პროპაგანდით, დასავლური (ქისტური) წიგნის სამყაროს თავზე, რეალური მკითხველის თავების გადანაწილებას დირიჟორობდნენ. სამაგიეროდ, ხევსურულმა კოსმონავტიკამ რეალური კოსმოსის ათვისების საქმეში დიდად ვერ წაიწია წინ. რეალური თავების რიცხვი, რომლისკენაც უნდა ავფრინდეთ, შეზღუდულია და ერთი პლანეტიდან (თავიდან) მეორე, უფრო შორეულ პლანეტამდე მიღწევის შანსიც პატარაა. როგორც უნდა ეცადოს ჩვენი თემის ხელისუფლება ტექნიკური ჩამორჩენის მიზეზის მიჩქმალვას და მის ნაცვლად ათასი რამ გამოიგონოს (მაგ: უამინდობა, რეალურ თავებს შორის დიდი მანძილი, ავიაციის შემაფერხებელი რეალური სხეულების არსებობა რეალური მკითხველის თავებს შორის) ყველა მოაზროვნე წიგნის პერსონაჟისათვის მაინც აშკარაა – ეს არის Schisch, მახინჯი წყლული ჩვენი თემის თემაზე, რაც რეალურ თავებს აცბუნებს, მრავალ მათგანს ჩვენი უბნის მიმართ გულგრილს ხდის და აიძულებს ნაკლები და არა დამატებითი აზრის ნაკადი ჩამოაგზავნოს. ამიტომ, და სწორედ ამიტომ ვერ განვითარდა ჩვენში კოსმონავტიკა, ამიტომაც არის იშვიათი რეალური თავებისკენ წარმატებული გაფრენა. მაგრამ, მოდით, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. ჩვენი თემის ცის თაღზე, მკითხველის რეალურ თავში ჩემი და ალუს ნოვატორული ექსპედიცია მაშინ შედგა, როცა რეალურ სამყაროში (თავში) საჰაერო მიმოსვლის შესახებ იდეოლოგიურად განსხვავებული წიგნის უბნების მოსახლეობას ჯერ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. ჩვენი გაფრენის მიზანი და ხასიათი განსხვავდებოდა მისი მსგავსი, მოგვიანებით ჩატარებული ექსპედიციებისგან. ჩვენი უმთავრესი მიზანი ის იყო, რომ ალუს ნათელი წარმოდგენა შეჰქმნოდა: როგორ აფასებდა რეალური თავი (რეალური სამყარო) მის თემატურად გაყალბებულ სიზმრის სცენას, მიიჩნევდა თუ არა მას, მიუხედავად თემატური რეალობისა, პროგრესულ, ანტი და არათემატურ პერსონაჟად, თუ თემატური რეალობით ცდუნებული, თემატურ მოსაზრებებს ალუს მიაწერდა და თავისი პირქუში თემის (თემატიკის) ფარულ მიმდევრად თვლიდა. თუ ეს ასე იყო, მაშინ ჩვენ უნდა გვეცადა, რეალური თავისთვის სიზმრის სცენაზე ალუს თემატურ რეალობასთან მიმართება განგვემარტა, რეალურ თავში, საკუთრივ ამ სცენის ჰიპერბოლური (ანტითემატური) აზრი ხელმეორედ, საუკეთესო მხრივ წარმოგვეჩინა და ალუს შელახული რეპუტაცია აღგვედგინა. ცხადია, ფარულად ის იმედიც გვამოძრავებდა, რომ რეალური თავი ჩვენი თემიდან ხსნის გზასაც აღმოგვაჩენინებდა და იქნებ ქისტური თემებისკენ გასაქცევი გზა დაენახვებინა. მაგრამ ამაზე ფიქრი დროებით შევწყვიტე, რადგან ისიც კი არ ვიცოდით, იქ, ზემოთ რა პირობები

გველოდა. ჩვენგან განსხვავებით, რეალურ სამყაროში (თავში) ფრენისას ქისტები წიგნის და რეალური სამყაროს წმინდა მეცნიერული ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ. ისინი ზემოთ იმიტომ კი არ მიფრინავდნენ, რომ საკუთარი თემიდან დაეძვრინათ თავი, ანდა რეალური თავებისთვის მათზე კარგი წარმოდგენა შეექმნათ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქისტებმა საკუთარი წიგნის უბნებში დემოკრატიული თემი (თემა) განავითარეს, სადაც ყოველ პერსონაჟი რეალური თავის წინაშე იმას განასახიერებს, რაც მას სურს და როგორც სურს. ამიტომ იქ თემატური რეალობით წიგნის პერსონაჟთა თემატური გაყალბებაც არ შეიძლება არსებობდეს და ცხადია, რეალურ თავებში მათი გაფრენაც გაქცევას კი არ ნიშნავს, არამედ კოსმოსში ექსპედიციას – რეალური თავების ასტროფიზიკური და ასტროფსიქოლოგიური შესწავლის მიზნით. შესაბამისად, განსხვავებულია ასევე რეალურ სამყაროში მათი აფრენის მეთოდებიც. სტარტს ქისტები თვალუწვდენელი კოსმოდრომიდან იღებენ, სადაც ათასობით რეალური მკითხველის აზრის ნაკადი, ქისტურ და საერთოდ, მთელ თავისუფალ, დასავლურ წიგნის სამყაროს ერთვის, რომელსაც შემდეგ წიგნის სამყაროს ყველა უბნის მოსახლეობას ტელევიზიით უჩვენებენ. ასე რომ, თითოეული წიგნის პერსონაჟს შეუძლია თვალყური ადევნოს ქისტი ასტრონავტების გრანდიოზულ სტარტს. რეალურ სივრცეში ქისტური წიგნის სამყაროს მეცნიერთა სხვადასხვა ექსპედიცია ყოველ 15 წუთში ერთხელ მიფრინავს და ასევე უამრავი ექსპედიცია ბრუნდება უკან რეალურ თავებში მოწყობილი ტურნეებიდან, შემდეგ წიგნის სამყაროს გავლენიანი გაზეთების რეპორტიორები და მათი წარმომადგენლები ერთად იყრიან თავს. ქისტ ასტრონავტებს თემატური უბნების ცის მიღმა – რეალური სამყაროს შესახებ მუდამ ახალი ინფორმაცია ჩამოაქვთ. საცეცებით რეალურ სივრცეს სწვდებიან და ყოველი ახალი ექსპედიციით, სულ მცირე, ერთ რეალურ თავთან მაინც ამყარებენ კავშირს. ურიცხვი მკითხველის თავში უკვე მუდმივი რეალური სამყაროს სადგურები მოაწყვეს და შეუძლიათ თავიანთი წიგნის სამყაროს თემები (თემატიკა) ყოველი პლანეტის (რეალური თავის) ინდივიდუალურ სურვილებს მიუსადაგონ. მათი ძირითადი ამოცანაა დაადგინონ, რეალური მკითხველის თავებში რამდენად დიდია ქისტურ თემებზე (თემაზე) – მკითხველის თავის (თავების) მოთხოვნილება. ყველაზე მეტად რომელ თემს (თემას) სწყალობენ, რატომ და რისი წარმოდგენა ურჩევნიათ რეალურ თავებს მათი წიგნის სამყაროში, რომელი ქისტი პერსონაჟი (მთავარი, – მეორეხარისხოვანი) პასუხობს მათ გემოვნებას, ანდა როგორ უნდა ჩამოაყალიბონ თემა (თემი), რომ რეალურ სამყაროში ინტერესი აღძრან

და თავის გარშემო (უფრო სწორად, თავის ზემოთ) შეძლებისდაგვარად მეტი მკითხველის თავი შემოიკრიბონ. ალბათ, იმის აღნიშვნაც აღარ არის საჭირო, თუ რა ნაყოფიერი გამოდგა ქისტების საინფორმაციო ქსელი, რომელიც წიგნის სამყაროს საზღვრებს მიღმა სივრცეებს სწვდებოდა. ქისტური წიგნის უბნებში თითქმის ყოველი პერსონაჟი (ყველა მთავარი და შედარებით მეორეხარისხოვანი) ისედაც განცხრომით ცხოვრობდა და ახლა კი, ეს უბნები აღმავლობის ახლებურ გზას დაადგა. თითოეული რეალური მკითხველის თავის თემატური გემოვნების, პიროვნული ინტერესისა და სულიერი დონის გათვალისწინებით, ქისტები ყოველი რეალური თავისთვის ინდივიდუალური თემისა (თემატიკის) და წიგნის უბნის შექმნას აპირებენ.

ქისტური წიგნის უბნების მოსახლეობასა და რეალურ თავებს შორის ურთიერთთანხმობა ორი ერთმანეთისგან ასე დაშორებული და მრავალ საკითხში დიამეტრულად განსხვავებული ყოფიერების სფეროთა წარმომადგენლებს შორის სრული ჰარმონია მთელი წიგნის სამყაროში საარაკოდ იქცა, დასავლურ (უმთავრესად კი ქისტურ) პერსონაჟებსა და რეალურ პირებს შორის (ერთის მხრივ, ქისტი წიგნის პერსონაჟებსა და მეორეს მხრივ, რეალურ პირთა თავებს შორის) დიდ განსხვავებას, ჩვენში ვეღარც ხედავენ და როცა სურთ რეალურ სამყაროზე წარმოდგენის შექმნა, ნიმუშად ქისტურ, დასავლურ წიგნის უბანს ასახელებენ. ეს ნათქვამი, ცხადია, ცოტა არ იყოს, გაზვიადებულიცაა, რადგან წიგნის პერსონაჟი მაინც წიგნის პერსონაჟადვე რჩება და საკუთარი ყოფიერების სფეროზეა უიმედოდ მიჯაჭვული. მიუხედავად ამ გრანდიოზული, წიგნის სამყაროს ისტორიაში უპრეცენდენტო მოვლენისა, რომელიც ქისტური წიგნის უბნების რეალურ თავებში შეღწევას გულისხმობს – როგორც ქისტურმა ასტრონავტიკამ ცხადყო – რეალური სამყარო, სადაც მკითხველები მოქმედებენ და საქმიანობენ, წიგნის პერსონაჟთათვის მაინც მიუწვდომელია. როგორც ჩანს, მასზე დაკვირვება ჩვენთვის მხოლოდ რეალური თავებიდან, ანდა ტრანზიტული ფრენისას არის შესაძლებელი. უშუალოდ იქ შეღწევასა და მის გამოკვლევას ვერ მოვახერხებთ. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ქისტებს არ გამართლებიათ და მათი ექსპერტებიც გადაჭრით უარყოფენ რეალურ სამყაროსთან შესაბამისი რეალური თავის ბაზისიდან დამოუკიდებელ, უშუალო კონტაქტს.

ალბათ, გადაჭარბებულია იმის მტკიცება, რომ თითქოს ქისტური წიგნის სამყაროს უბნებსა და მკითხველის თავთა რეალური სამყაროს უბნებს შორის განსხვავება არ არსებობდეს. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, არსებობს კიდევ წიგნის სამყაროს სინამდვილის „რეალიზაციის" დაუჯერებელი ფენომენი, როგორც რეალურ თავებთან (რეალურ

სამყაროსთან) ქისტების კარგი და მჭიდრო ურთიერთობის შედეგი. ქისტური – და საერთოდ უკლებლივ ყველა დასავლური – წიგნის უბანი დღეს რეალურ სტრუქტურაზე და გამოხატვის ახლებურ ფორმებზე გადაეწყო. იქაურ თემებში მოვლენები არაკლასიკური – თეატრალური ხერხებით ვითარდება, როგორც ეს დღემდე ჩვენთან, ხევსურული წიგნის სამყაროს ტერიტორიაზე ხდება. მოქმედება იქ წარმოდგენილია არა როგორც თემატურ პროვინციებზე გადანაწილებული სხვადასხვა, თემატურად თანამიმდევრული სურათხატები – იგი უკვე აღარ ეხება მხოლოდ თემატურად უმთავრესს (ძირითადს), რომელიც გარკვეული (თემატურად მნიშვნელოვანი) მოვლენებისაგან დამონტაჟებულ, მხოლოდ რეალური თავების დასათვალიერებლად განკუთვნილ ისტორიის დასურათხატებულ საბავშვო წიგნს, ანუ ამ თავებისთვის მხოლოდ აბსტრაქტულ საკითხავ ობიექტს წარმოადგენს. თემატურად ამგვარად შელამაზებულ-დავარცხნილ სიუჟეტში, როგორც ქისტური ასტრონავტიკის გამოცდილებამ ცხადყო, წიგნის უბნის თემა არ შეესაბამება რეალური თავების დინამიურ (ისტორიულ) სინამდვილეს. დღეს უკვე ცნობილია, რომ ის რეალური თავების ყველა შესაძლო შინაგანი და გარეგანი შთაბეჭდილებების ნაკადია, ანუ ის მდინარეა, სადაც მისი სხვადასხვა (ძველი და ახალი) მოგონება, მისი ზედაპირული და უარსებითესი, ზოგადი თუ ფარული ნააზრევი აირეკლება. ასე რომ იმ სიჭრელეს, რაც რეალურ თავში ხდება, თემატური თვალსაზრისით შეიძლება ქაოსი ეწოდოს, ან უთავბოლო დომხალი, სადაც წითელი თემატური ზოლი, რეალური თავის რეფლექსიის ძირითად შინაარსს შეადგენს, რომელიც მხოლოდ ალაგ-ალაგ თუ გამოკრთება და ფარული ღრმა ნაკადის სახით შეუმჩნევლად მიედინება. რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით ქისტმა წიგნის პერსონაჟებმა რეპერტუარიდან თავიანთ თემებში ყველა ის წარმოდგენა ამოიღეს, რომელიც ნაწილობრივ, ან სრულიად ძველი, ტრადიციული (აბსტრაქტული) სქემის მიხედვით ვითარდებოდა, ან მას რაღაცით ჰგავდა და ის ახალი რეალური სტრუქტურებით შეცვალეს. დღეს უკვე უკლებლივ ყველა, მხოლოდ„ცნობიერების ნაკადს" ჰქმნის, ანუ ქისტები თავიანთი წიგნის უბნების ისტორიებს მკითხველის თავებს ისეთივე ერთმანეთში მოლივლივე აბდაუბდა ხილვებისა და მოვლენების სახით წარმოუდგენს, როგორც ეს ამ თავებში ხდება. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ქისტურ-დასავლური უბნები რეალური სამყაროს თავების უზუსტესი ანარეკლია. ქისტური წიგნის თემები – ამის მტკიცება თამამად შეგვიძლია, რადგან რეალური თავის (სამყაროს) ყველა ქისტი ექსპერტი, რომელთა ცოდნაც პრაქტიკულ გამოცდილებას ეყრდნობა, ამას ერთხმად აღიარებს –

ზუსტად გადმოგვცემს იმას, რაც რეალურ თავში ხდება. მართლაც, ეს თემები რეალობის ზუსტი სტრუქტურული მოდელია, ვინაიდან ისინი რეალურ თავთა დინამიურ თვალთახედვას გვაცნობს, წარმოდგენას გვიქმნის თემატურად (ან ირიბად) არადეტერმინირებულ სურათხატებსა და აზრის იმ ნაკადზე, რომლითაც ეს თავია მოცული ჩვეულებრივ მდგომარეობაში, როცა ის არ კითხულობს, ანუ თემის ცაზე დაკიდებული წიგნის უბნებს არ ჩამოშტერებია. ამ გარემოებამ, ცხადია, წიგნის უბნის პერსონაჟებზე რეფორმატორული გავლენა მოახდინა. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ამ პერსონაჟებს აქამდე ცუდად ეცხოვროთ, ანდა ხევსურული ისტორიისა და პოემის ტერიტორიის მსგავსად ჩარაზულ-ჩაკეტილები ყოფილიყვნენ (ძველთაგანვე, საკუთარი თემატიკისგან (თემიდან) თავისუფლება, ქისტი და საერთოდ ყველა დასავლელი წიგნის პერსონაჟის ძირითადი თემაა და ყველა კონკრეტული თემისთვის პრაქტიკულ მნიშვნელობას ქმნის). დინამიური რეალური თავის (სამყაროს) ნიმუშის მიხედვით ქისტური წიგნის სამყაროს მოწყობის შემდეგ ყველა ქისტი პერსონაჟის ცხოვრების წესმა უდავოდ დიდი ცვლილებები განიცადა. ისინი ისეთივე „დინებით" ცხოვრობენ, ისევე ღიად, როგორც რეალური თავები რეალური სამყაროს სივრცეში. ქისტებს ყველანაირი იდეა იტაცებთ და მათი აზრებიც უთვალავი რამისკენ ჰქრის, თუ მათი გონება კითხვით არ არის დაკავებული. შეიძლება ითქვას, რომ ჭკვიან პირებს მთელი წიგნის სამყარო თავისი თემებითა და თემატიკით თავში უდევთ. ამ ადამიანთა ინტერესები და, შესაბამისად, საქმიანობაც მრავალმხრივია და შორს გამიზნული. ასე რომ, ქისტ პერსონაჟთა კლასიფიცირება შეუძლებელიცაა, რადგან დასავლური წიგნის სამყაროს უბანთა შიდა სამყაროს დღეს უკვე მთავარ და მეორეხარისხოვნა სფეროებად აღარ ჰყოფენ, რაც ამ უბანთა ძველ, ტრადიციულ სტილს ედო საფუძვლად. უმნიშვნელო წვრილმანი შეიძლება, მნიშვნელოვან მოვლენად წარმოჩინდეს და პირიქით, მნიშვნელოვანი – უმნიშვნელოდ. ღირებულებები მუდმივად იცვლება. მყარი იარლიყები აღარ არსებობს. ცხოვრების ამგვარმა წესმა, ცხადია, ქისტი პერსონაჟებიც შეცვალა. მათი რეალიზმი სრულიად აშკარაა, ვინაიდან მათი თავდაჯერებული ქცევა და მოძრაობები ისეთსავე შთაბეჭდილებას ახდენს, რაც მხოლოდ თემატურად თავისუფალ, საკუთარი გუნება-განწყობილების მიხედვით თემებში (თემატიკაში) მოხეტიალე, ხან რით და ხან რით გატაცებულ რეალურ თავებს შეეფერებათ.

წიგნის სამყაროს გაიძვერა ჯაშუშობა რეალური სამყაროს სივრცეში

შეიძლება ითქვას, რომ წიგნის პერსონაჟთა სიზმარი თემატურად ისეთივე დამოკიდებული და თავისთავადია, როგორც რეალური პირები ქისტური წიგნის უბნებში. სწორედ ამიტომ შევტრფით ქისტური წიგნის უბნებს თემატურად შეზღუდული და წიგნის უბნის ტექნიკურად დაბალგანვითარებული პერსონაჟები, სწორედ ამიტომ მივქრით დახარბებულები ყოველ ღამეს PanaMeranican-ის მერნებით და პერსონაჟთა რეალური ცხოვრების ხილვით ვტკბებით. რეალურ სამყაროში ფრენის ქისტური და ხევსურული მეთოდები ისევე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ცა და მიწა. წიგნის უბანთა საყოველთაო ტექნიკურმა პროგრესმა და იმის შიშმა, რომ დასავლური – ქისტური წიგნის სამყაროს არაფრით ჩამორჩენოდნენ, რეალურ თავში (სამყაროში) გაფრენა ჩვენი პოემისა და ისტორიის ტერიტორიის ხევსურებსაც შეაძლებინა.

ფრენა მკაცრად გასაიდუმლებულია, თუმცა ყველა ხევსურული უბნის გაზეთში მასზე ბევრს წერენ და საქებარ სიტყვებსაც არ იშურებენ; ქისტებმა რკინის კედელი აღმართეს, საიდანაც რეალურ თავებში მფრინავთა მკაცრ და ღირსებით სავსე სახეებს გამოაჩენენ ხოლმე, რომელთაგანაც თითქმის ყველა სამხედრო ავიაციის ოფიცრები არიან. უცხო პირები მათ კოსმოდრომებს ვერ მიუახლოვდნენ. ამის მიზეზი კი საბოლოო ჯამში, ხევსურული კოსმიური ხომალდების მიერ წიგნის უბანთა თავზე რეალური პლანეტების (თავების) აღმოჩენით მოპოვებული მოკრძალებული შედეგების გასაიდუმლოების მცდელობა კი არ არის, არამედ ის სერიოზული სამხედრო ინტერესებია, რომელსაც მწყემსები რეალურ თავებში ფრენას უკავშირებდნენ და რაც დასავლურ-ქისტური წიგნის უბანთა სამყაროს თავზე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მასალის შეგროვებას გულისხმობს. ჩვენი თემატური ხელისუფლების საბრძოლო მისწრაფების შესახებ პირველად PanaMeranican-ისგან შევიტყვე. რეალური სამყაროს ქისტ ექსპერტებთან და განსაკუთრებით კი ამ ავიაკომპანიის დამსახურებულ ასტრონავტებთან შეხვედრისას არაერთხელ ჩამოვარდნილა საუბარი ქისტური წიგნის უბანთა თავზე ხევსური ჯაშუშების შესახებ, რომელთა საქმიანობაც კომპეტენტურმა ქისტურმა ინსტანციამ დააფიქსირა. მომიყვნენ ანონიმური რეალური თავების შესახებ, რომლებიც თვალუწვდენელ სიმაღლეზე დაფრენენ და

ქისტების სულ უმნიშვნელო რადიოსიგნალის ხმაზე უჩინარდებიან. სიშორის გამო – ამ რეალურ თავებთან ვერც PanAmeranican-ის გამანადგურებლები აღწევენ და ვერც ინტერკონტინენტალური ქისტური წიგნის სამყაროს რაკეტები. – „გამორიცხულია, რომ ისინი მხოლოდ ჩვენი თემის თემებით დაინტერესებული რეალური თავები, ანუ რიგითი მკითხველის თავები იყვნენ, – მითხრა მაღალი ჩინის საჰაერო თავდაცვის ქისტმა ოფიცერმა. – ჩვეულებრივი მკითხველის თავი ჩვენკენ ღრმად ხრის თავს და ჩვენი თემატური მიწის ზედაპირიდან დაახლოებით წიგნის სამყაროს 100 კილომეტრის სიმაღლეზე მოძრაობს. ჩვეულებრივ, რეალური თავები ბევრად ღრმა მკითხველები არიან, რადგან ჩვენ არა მარტო შინაარსობრივად მდიდარ და საინტერესო თემებს წარმოვადგენთ, არამედ პირადად მათაც ვეხებით. თუ მკითხველი ჩვენში საკმარისად ვერ ჩაეფლო, მაშინ ის დაუკმაყოფილებელიც რჩება. იმ უჩვეულო სიმაღლიდან ანონიმური თავები ჩვენში ვერაფერ თემატურს ვერ აღმოაჩენენ. ასე რომ, ისღა შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათ ჩვენი წიგნის სამყარო თემატურად სულაც არ აინტერესებთ და ჩვენი უბნების თავზე სულ სხვა ზრახვები ამოძრავებთ.

თუ ჩვენი წიგნის სამყაროს თავზე მათ მიერ დაკავებულ პოზიციებსაც წარმოვიდგენთ, მაშინ მათი მიზანიც გასაგები გახდება. ისინი ყოველთვის ჩვენი წიგნის უბანთა სფეროს იმ ნაწილების თავზე დგანან, სადაც სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ობიექტებია განლაგებული: იარაღის ქარხნები, ყაზარმები, სარაკეტო ბაზები, აეროპორტები, სამხედრო საზღვაო ფლოტის პორტები და მსგავსი ობიექტები. ეს ყოველივე სრულიად არათემატური ფორმით არსებობს და რომელიმე წიგნის უბნურად წარმოსადგენ და მოსაყოლი თემების თემას კი არ წარმოადგენს, არამედ სახელმწიფო საიდუმლოებას, რომელიც ჩვენ მკაცრად უნდა დავიცვათ, რომ ჩვენს უბნებს შორის იდეოლოგიური დაძაბულობის გამო მოსალოდნელი წიგნის სამყაროს ომისათვის მუდამ მზად ვიყოთ. ასე რომ, შესაბამისად, აქ არც არავის არაფერი ესაქმება. მათ კი ანონიმური თავები იმიტომ ვუწოდეთ, რომ მათგან განსხვავებით ჩვეულებრივი მკითხველის თავი ზედ ჩვენი თემების თავზე დაფრინავს, აქაურ მოვლენებს დიდი ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს და დროთა განმავლობაში მას წიგნის უბნების მოსახლეობაც კარგად ეცნობა. ყველა ინდუსტრიულად მაღალგანვითარებული წიგნის უბნებში უახლესი ტელეფოტოგრაფიული ტექნიკით აღჭურვილი ობსერვატორები ხელს შეუწყობს წიგნის პერსონაჟთა რეალური მკითხველის თავებთან ნაცნობობას. ანონიმური რეალური თავები კი ჩვენში, - შესაბამისად, ჩვენს თავზე მხოლოდ არათემატური თემებით არიან დაინტერესებულნი. ისინი ჩვენს

დასაზვერად მოდიან. ეს კი, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, თვალუწვდენელი სიმაღლიდან სრულიად ადვილი განსახორციელებელია, რადგან იქიდან ჩვენი წიგნის სამყაროს ხედი განსაცვიფრებლად ნათლად მოჩანს: კონკრეტული წარმოდგენები უკვე ვეღარ ფარავს სემანტიკურ უბნებს და დამკვირვებლის თვალისთვისაც ყველაფერი ცხადია.

საკმარისია, რეალურმა თავმა სათვალე გაიკეთოს, ან რეალური საველე დურბინდი მოიმარჯვოს და ყველა ჩვენი სტრატეგიული სამხედრო ბაზაც თვალწინ გადაეშლება. რა თქმა უნდა, ჯაშუშების წინააღმდეგ შესაბამის ზომებსაც ვიღებთ. თუმცა საპროტესტო ნოტას ვერავის გავუგზავნით და ამ საქმეს ვერც წიგნისა და რეალური სამყაროს საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოვიტანთ, რადგან, სამწუხაროდ, დღემდე ანონიმური თავების მიმართ უშუალო სამხილი არ გაგვაჩნია. ასე რომ, თქვენი მწყემსთა ხევსური მთავრობაც ჩვენს ბრალდებებს იოლად უარყოფს და იმისიც კი არ შეეშინდება, რომ ოდესმე მათ ტყუილს ვამხელთ.

იმის შანსიც არ გვაქვს, რომ ანონიმურ თავებს იმ რეალურ თავებთან ვუჩივლოთ, ვისთანაც ვურთიერთობთ, კარგი დამოკიდებულება გვაქვს და სადაც ჩვენი წიგნის სადგურები მოვაწყვეთ. ამ ფაქტის აღმოჩენამ საბოლოოდ გაგვიცრუა იმედი, რადგან გვჯეროდა, რომ ჩვენი წიგნის სამყაროს ცაზე აბეზარ ჯაშუშებს ქისტმოყვარე რეალური თავები დაუპირისპირდებოდნენ, მათ ჩვენი საჰაერო სივრციდან განდევნიდნენ და, საერთოდ, წიგნის სამყაროს მოაცილებდნენ. ჩვენი ასტრონავტის მიერ აღმოჩენილ რეალურ თავებთან საუცხოო ურთიერთობა გვაქვს. თავად განსაჯეთ: როგორ შევძლებდით ჩვენ, ქისტი წიგნის პერსონაჟები ამდენ რეალურ თავში ფეხის მოკიდებას, იქ ჩვენი სადგურების მოწყობას, რეალური აზრის ნიაღვრითა და რეალური სიტყვის ნაკადით რეალურ სამყაროში წინ და უკან სიარულს, მათგან რომ თანხმობა არ მიგვეღო, ანდა ჩვენს შორის სრული თემატური ურთიერთგაგება არ არსებობდეს. იქ, გარეთ, რეალურ სამყაროში ყოველთვის შევძლებდით საკმაო რაოდენობის რეალური თავების მოძებნას, ვინც აქტიურად დაგვიჭერდა მხარს და ანონიმურ მკითხველთან დაკავშირებულ საეჭვო საქმესაც ძირისძირობამდე გამოიკვლევდა. მაგრამ, სამწუხაროდ, – ეს უკვე რეალური თავების კოსმოსში ჩვენი უახლესი და სენსაციური კვლევის შედეგებია – წიგნის სამყაროს ცა და რეალური სამყაროს ცა არ არის იდენტური. ჩვენ დავადგინეთ, რომ წიგნის სამყაროს ცასთან შედარებით, ბევრად მეტი რეალური სამყაროს ცა არსებობს. ამიტომ ჩვენი წიგნის სამყაროს ცაზე განლაგებულ რეალურ თავებს საკუთარ რეალურ სამყაროში ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ცა დაჰყურებთ და

ისე შორს არიან ერთმანეთისგან, რომ ერთიმეორეს ვერც ვერასდროს ნახავენ და ვერც ვერასდროს შეხვდებიან, რომ აღარაფერი ვთქვათ ნაცნობობაზე. და რადგან ყოველი მკითხველის თავი რომელიმე ერთ, ჩვენთვის ერთადერთი წიგნის სამყაროს ცის თავზე დგას, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს ცა ყველა მკითხველის ბუნებრივი კოსმიური გარემო ყოფილიყოს. ეს შთაბეჭდილება კი მოჩვენებითია, რადგან სინამდვილეში რეალური თავები ჩვენი წიგნის სამყაროს სრულად სხვადასხვა წიგნის სამყაროს ციდან, სრულიად სხვადასხვა რეალური სამყაროს რეგიონებიდან ჩამოშტერებიან.

რეალურ თავებს შორის სწორედ ეს გრანდიოზული განსხვავება გახლავთ იმის მიზეზი, რომ ჩვენი წიგნის სამყაროს ცის თავზე ანონიმურ მკითხველთა პლანეტების მიმართ რეალურად ვერ ვიმოქმედებთ და ისინიც თავიანთ ჯაშუშურ საქმიანობას მშვიდად, დაუბრკოლებლად აგრძელებენ. ჩვენს მიმართ მეგობრულად განწყობილმა თავებმა, ანუ მათ, ვინც რეალურ სამყაროში უყოყმანოდ დაგვიჭერდა მხარს, არაფერი იცოდნენ ანონიმური დამკვირვებლების შესახებ. არც ჩვენს წიგნის სამყაროზე მეოცნებე, განსაკუთრებულად ქისტმოყვარე მკითხველის თავებს – ვისთვისაც ჩვენი სამყარო საკუთარი რეალური სამყაროსავით ძვირფასი და სასურველია, – სმენოდათ რამე. როცა მათ ჩვენი სადარდებელი გავუმხილეთ, მაშინვე აქტიურად ამოქმედდნენ. საგულდაგულოდ გამოიკვლიეს რეალური სამყაროს ცის სფერო, მაგრამ დაუპატიჟებელი სტუმრების კვალსაც კი ვერ მიაგნეს. მათ მართლაც ყველაფერი იღონეს, რაც რეალური ადამიანის შესაძლებლობებშია, მაგრამ კონკრეტული რეალური სამყაროს ცის სფეროდან ჯერ არც ერთ რეალურ თავს (ყოველ შემთხვევაში თუ ასეთები არსებობდნენ, მათი რიცხვი ძალზე მცირეა) არ გაუღწევია. სწორედ ამიტომ შევყურებთ ასე უმწეოდ მტერს, რომელიც ზემოდან დაგვყურებს.

ალბათ, იკითხავთ, რატომ ვდებთ ბრალს ჯაშუშობაში მაინცდამაინც ხევსურული წიგნის უბნებს. ისეთი დასავლური წიგნების უბნებიც ხომ არსებობს, ვინც ქისტ პერსონაჟებს დიდად არ გვწყალობენ და ამგვარ საქციელს მათგანაც უნდა ველოდეთ. რა თქმა უნდა! ის, რომ ამ ინტრიგის მიღმა ხევსურული წიგნის სამყაროს მთავრობა დგას, სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია. ამის მიზეზი კი კვლავ ის უჩვეულო სიშორეა, საიდანაც ანონიმური თავები გვზვერავენ და ცდილობენ, ინკოგნიტოდ დარჩნენ. რატომ? იმიტომ, რომ არც ისე ბევრია იმ მკითხველის თავი, ვინც ხევსურული წიგნის სამყაროს მხარს დაუჭერდა და მათ სასარგებლოდ ჯაშუშობას მოინდომებდა. ალბათ, ამგვარი თავების რიცხვი ძალზე მცირეცაა, თუ გავიხსენებთ, რომ მკითხველი ხევსურული წიგნის უბნების თავზე სულ

უფრო იშვიათად ჩნდება და ჩვენი წიგნის უბნებით მეტად ინტერესდება. ასე რომ, სრულიად ლოგიკურია ის მოსაზრება, რომ ჯაშუში, რომელიც დიდი მონდომებით იცავს ჩვენგან დისტანციას, ხევსურული წიგნის უბნებთან უნდა იყოს დაკავშირებული. ჯაშუშები რომ წიგნის სამყაროს დასავლურად ანგაჟირებული თავები ყოფილიყვნენ, მაშინ გაცილებით თამამადაც იმოქმედებდნენ და ზედ ჩვენი უბნების თავზე დაეშვებოდნენ. ჩვენს ზემოთ მკითხველის თავთა რიცხვი უსასრულოდ დიდია და თუ რომელიმე ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაშინ ჩვენი თემატური თვალთახედვიდან სამუდამოდ ქრება, ხოლო მის ადგილს ამ უსასრულო რიგებიდან რომელიმე სხვა თავი იკავებს. არაფერია უფრო ახლო ჭეშმარიტებასთან, ვინემ ის მოსაზრება, რომ ანონიმურ თავებს ხელთ ის რეალური საცეცები ეპყრათ, რომელიც თქვენმა ხევსურულმა წიგნის უბნებმა ზემოდან, ჩვენს თავზე აამოქმედეს."

ჩემს შეშფოთებულ კითხვაზე, თუ როგორ აფასებდნენ ქისტური წიგნის უბნები ამგვარ დივერსიას, რეალურ სამყაროში სიზმრად ფრენის სამხედრო ქისტმა ექსპერტმა, მხრები აიჩეჩა. – ,,საწინააღმდეგო საშუალებები არ გაგვაჩნია, ანონიმურ თავებს ცეცხლს ვერ გავუხსნით, რადგან ასაფეთქებელი ნივთიერებებით, რომელსაც წიგნის სამყაროში აწარმოებენ, რეალურ თავებს ვერც კი შეუღუტუნებ, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ აფეთქებაზე. თანაც, ანონიმური დამკვირვებლები ჩვენგან ძალზე შორს იმყოფებიან და ამიტომ არიან საჰაერო თავდაცვისათვის მიუწვდომელნი. ცხადია, შეგვიძლია თვალს მივეფაროთ, რაც ანონიმური მკითხველის გამოჩენის დღიდან გაგვიკეთებია კიდეც. ადგილი შევუცვალეთ აეროპორტებსა და ყაზარმებს. დღეს ჩვენი საბრძოლო გემები სხვა, კარგად შენიღბულ სამხედრო პორტებში დგას. ძველ ადგილებში კი სამხედრო დანადგარები გამიზნულად დავტოვეთ და საგანგებოდ, ისე რომ, მხოლოდ ფრინველის პერსპექტივიდან მოჩანდეს, დეკორაციები აღვმართეთ. ზემოდან, განსაკუთრებით კი ანონიმური თავების თვალუწვდენელი სიმაღლიდან, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ყველაფერი ნამდვილი იყოს და თუ მათ სათვალეს გამადიდებელი მინები არ უკეთია,– რაშიც ეჭვი გვეპარება, – მაშინ ეს ჯაშუშების დეზორიენტაციას გამოიწვევს და ხის მასალისა და მუყაოსგან აღმართულ დეკორაციებს ნამდვილისაგან ვერ განასხვავებენ. როცა PanaMeranican-ის მესვეურებს ვკითხე, აპირებდა თუ არა ქისტური მხარე ხევსურული წიგნის სამყაროში სამხედრო მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას, სევდიანი ღიმილით, ნახევრად ირონიულად მოპასუხეს: ხევსურული წიგნის უბნების თავზე ქისტურ სადაზვერვო საქმიანობაზე ფიქრი ზედმეტია. ჩვენ ვერ ვაიძულებთ ვერც ერთ რეალურ თავს, რომ ხევსურული წიგნის უბნის

სამყაროში ჩაყოს ცხვირი. წლების განმავლობაში ამაოდ ვუწევდით პროპაგანდას და სრულ უპერსპექტივობაშიც დავრწმუნდით. დღეს უკვე ამ მიმართულებით აღარაფერს ვცდილობთ. ამ პრობლემის მიზეზი იმდენად რეალური თავი კი არ არის, რამდენადაც რეალური სამყაროს ზოგადი გარემოა, სადაც თავად ეს თავები არსებობენ და თემატურად ისევე არიან შემოსაზღვრულები და შეზღუდულები, როგორც წიგნის პერსონაჟები შესაბამისი წიგნის უბნებით. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რეალური სამყაროს გარემო წიგნის სამყაროსას სრულებით არ ჰგავს. მაგ: ქისტური და ხევსურული წიგნის უბანთა სფეროები ერთმანეთისაგან პოლიტიკურად მკაცრად არის გამიჯნული, გეოგრაფიულად კი ჩვენი მიწები, მთები, მდინარეები და ველები ერთმანეთს ესაზღვრება. ამგვარი მდგომარეობის გამო, შეიძლება გვეფიქრა, რომ ქისტური და ხევსურული წიგნის უბნების თავზე მდგომი რეალური მკითხველის თავებიც, როგორც ერთმანეთის მოსაზღვრე უბნებს, ისე აღგვიქვამდა და თუ მეორე მხარეს გაიხედავდა, ქისტური წიგნის სამყაროს ნაწილიდან ხევსურულში აღმოჩნდებოდა და – პირიქით. ეს კი ასე სულაც არ არის. ჩვენი და ხევსურული წიგნის უბნების თავზე დაკიდებული რეალური მკითხველის თავები რეალურ სამყაროში ერთმანეთისგან იმდენად შორს იმყოფებიან, რომ ერთმანეთის არსებობაზე წარმოდგენაც კი არ აქვთ. უფრო მეტიც: ჩვენს ზემოთ მყოფმა რეალურმა თავებმა ისიც კი არ იციან, სად მდებარეობს ხევსურული წიგნის უბნები. როგორც გამოირკვა, სრულიად შეუძლებელია, ავუხსნათ ამ თავებს ხევსურული წიგნის უბნების გეოგრაფიული მდებარეობა და მივასწავლოთ მათკენ მიმავალი გზა. რადგან რეალური მკითხველი თავის სამშობლო აშკარად სხვა სამყაროშია და წიგნის სამყაროს არაფრით – ყოველ შემთხვევაში, უშუალოდ არ შეესაბამება, ამიტომ სრული აბსურდია, რომ მათ წიგნის უბნის შესახებ წიგნის სამყაროს მასშტაბებით ვესაუბროთ. ხომ ხედავთ, რატომაც გვაქვს ხელ-ფეხი შეკრული. ჩვენთვის ხელმისაწვდომი რეალური მკითხველის თავებისათვის ხევსურული წიგნის უბნები უმეტეს შემთხვევაში მიუწვდომელი იყო და იქნება კიდეც.

ალბათ, გაინტერესებთ, როგორ ახერხებენ ანონიმური თავები, რომლებიც ჩვენ გვზვერავენ, ქისტური და ხევსურული წიგნის სამყაროს უბნებს შორის წინ და უკან სიარულს? ამის ახსნა სულ უბრალოდ შეიძლება. რეალურ სამყაროში ქისტური წიგნის უბნებზე დახარბებული რეალური თავების რიცხვი, ანუ მათი, ვინც კითხვა-კითხვით გვადევნებს თვალყურს, შეუდარებლად მეტია, ვიდრე ხევსურული წიგნის უბნებზე შეშლილი რეალური თავებისა.

სტატისტიკური აღწერის თანახმად, რომელსაც ჩვენი ობსერვატო-

რიებიდან ვაწარმოებთ, ხევსურული წიგნის უბნების თავზე რეალური თავების რიცხვი, ჩვენთან შედარებით, მომაკვდინებლად მცირეა. ადვილი წარმოსადგენია, რომ წიგნის სამყაროს ცაზე მოხეტიალე რამდენიმე რეალურ თავს შორის მყოფი ხევსური ასტრონავტები (წიგნის პერსონაჟები), რომლებიც განსაკუთრებულ – დადებით, ან კრიტიკულ დაინტერესებას იჩენენ ქისტური წიგნის სამყაროს ნაწილის მიმართ, იოლად სძლევენ რეალური სამყაროს ყველა იმ დაბრკოლებას (საჰაერო-ენობრივ სივრცეს), რაც ჩვენი წიგნის უბნებს ყოფს ერთმანეთისაგან. ჩვენ კი, ძვირფასო მუცალ, მილიონობით მკითხველში მსგავსი რეალური თავები, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია. დღემდე აზრადაც კი არავის მოსვლია სხვა, მაგ: ხევსურული წიგნის უბნისკენ მიაპყროს მზერა, რადგან ამ თავებს გამორჩეულად მხოლოდ ჩვენი უბნები ხიბლავთ.

გარეთ, რეალურ სამყაროში – რეალური მკითხველის თავებთან, თავდაცვისათვის სიტუაცია ნაკლებად ხელსაყრელია. თუმცა ვიმედოვნებთ, რომ მოკლე ხანში მდგომარეობას ამ ფრონტზეც გავაუმჯობესებთ. ჩვენი ასტრონავტები გარკვეულ რეალურ თავებთან მოლაპარაკებას აწარმოებენ და ისინიც მზად არიან, შესაბამისი გასამრჯელოს ფასად ხევსურული წიგნის უბნების დასაზვერად გაფრინდნენ. ამისთვის, მათ ეროტიკული პრემიები მოგვთხოვეს. უმრავლესობა მოითხოვს, რომ (ქისტ) წიგნის მამრობით და მდედრობით პერსონაჟებს შორის კოიტუსი მათ თვალწინ გაიმართოს, ანდა ნება დავრთოთ, წიგნის უბნის ციდან ჩვენს თემში დაეშვნენ და ერთი კარგი სტრიპტიზის ცქერით დატკბნენ. მსგავსი რამის ჩვენება ჩვენთვინ პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან წიგნის უბნების ნახევარი სავსეა ამით, საჭიროა მხოლოდ შევარჩიოთ – რომელი. დიდი იმედი გვაქვს, რომ მალე ჩვენც, ქისტებსაც გვეყოლება საკუთარი დამკვირვებლები ხევსურული წიგნის სამყაროს თავზე". – ასეთი იყო PanaMeranican-ის სამხედრო ავიაციის ოფიცრის განცხადება. ახლა კი, კვლავ რეალურ სამყაროში, რეალურ თავებთან ჩვენს ნოვატორულ უნიკალურ გაფრენას მივუბრუნდეთ და მოგითხროთ, თუ როგორ მოხდა ეს ყოველივე.

რამდენიმე სიტყვით შუალედურ სამყაროში ფრენის ბრწყინვალე ქისტურ ტექნიკაზეც მინდა მოგახსენოთ.

ეროტიკული კოსმოდრომეგისა და იმ შესაძლებლობის შესახებ, თუ როგორ ჩაედინება რეალური აზრის ნაკადი ქრისტული წიგნის სამყაროს უბნებში

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, წიგნის სამყაროდან კოსმოსში აფრენა შესაძლებელია მკითხველის თავების მიერ ბოძებული დამატებითი აზრის ნაკადის ოსტატურად გამოყენებით. მკითხველის თავისთვის განსაკუთრებულად საინტერესო წიგნის სამყაროს (უბნის) რომელიმე ფაქტი ამ თავში ნაკადს წარმოშობს, რაც, თავის მხრივ, წიგნის სამყაროსა და მკითხველის რეალურ თავს შორის მაგნიტურ-დინამიური ნაკადის ველს ჰქმნის. რადგან აზრის მდინარება ასეთ ველებზე მუდმივად მიმოიქცევა, ამიტომ რეალურ სამყაროში რეალურ თავებთან გაფრენის მსურველი წიგნის პერსონაჟებიც მას სატრანსპორტო საშუალებად იყენებენ. ცხადია, უმთავრესი პირობა მაინც წიგნისა და რეალურ სამყაროს შორის აზრის ნაკადის ველების შექმნაა, რადგან თავისთავად, წიგნის უბნების მოვლენების პასიური დამკვირვებელი რეალური თავიდან უბნებში ნაკლები აზრი ჩამოედინება.

თავის მხრივ, რეალური აზრის ნაკადის სავალ გზად გამოყენება მეორე რიგის ტექნიკურ სირთულეს ქმნის, აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ამგვარი ნაკადი უხილავია და წიგნის პერსონაჟთა უმრავლესობის მიერ სრულიად შეუმჩნევლად წარმოიქმნება. აუცილებელია ასევე, ამ პროცესის ზუსტი ლოკალიზება წიგნის უბნის დაბლობზე მაინც. ამ დინებაში მოხვედრა და ამგვარად "აღკაზმვა", საკუთარი მკითხველისკენ ამაღლება წიგნის პერსონაჟისათვის ადვილი არ არის, რადგან რეალური მკითხველის თავიდან გამომდინარე აზრის ნაკადისთვის დამახასიათებელია. წიგნის უბნებში მოვლენათა ობიექტივაცია, ამ მოვლენების საკუთარ უბნებში მათთვის განკუთვნილ ადგილზე დატოვება და მათი, ასე ვთქვათ, მხოლოდ დანამვა, რომელსაც შემდეგ დამკვირვებელი მკითხველის თავს მათზე შექმნილი შთაბეჭდილებებისა და ანაბეჭდების სახით მიაწოდებს, ამიტომ ამ ნაკადის მეშვეობით მკითხველის თავისკენ გაფრენის მსურველი პერსონაჟი ვერასდროს გახდება ამ ნაკადის პირდაპირი მიზანი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ადგილიდან ფეხს ვერ მოიცვლიდა და ამის მიზეზი სწორედ ობიექტივაციის ძალის მქონე რეალური აზრის ნაკადი იქნებოდა. პირიქით, პერსონაჟი მკითხველი რეალური თავის თემატური ინტერესის მიღმა უნდა იდგეს და რეალური აზრის მდინარეში გვერდიდან, ანუ სრულიად შეუმჩნევლად, მალულად ჩახტეს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში თუ წაიღებს დინება მას ზევით,

რეალური თავისკენ. ამ ფანდის გამოყენება ადვილი სულაც არ არის, რადგან ჩვეულებრივი რეალური მკითხველის თავს წაკითხული წიგნის პერსონაჟი არ ავიწყდება, ამიტომაც ამ პერსონაჟისთვის მისი აზრის ნაკადით მოგზაურობა თითქმის შეუძლებელია. მართლაც, წიგნის პერსონაჟთა უმრავლესობა ან ვერ ხვდება რეალურ ნაკადში, ანდა ნაკადი მას შუა გზიდან უკან გადმოისვრის. ეს პრობლემები ქისტებმა წარმატებით გადაჭრეს. ეროტიკული წიგნის უბნის სცენებს ისინი რეალურ თავებში დამატებითი აზრის ნაკადის წასახალისებლად იყენებენ. ამ მიზნით თვალისმომჭრელად კაშკაშა, თეთრი შუქით განათებული ეკრანის უკან უჩვეულო სილამაზის, სრულიად შიშველი ქისტი გოგონები რეალურ თავებს ყოვლად მაცდურ პოზებში ეჩვენებიან. ეკრანზე ამ დროს მხოლოდ მათი აჩრდილები მოჩანს. რეალური მკითხველის თავი კი, რომელიც მუდამ იქით ისწრაფვის, რაც შეიძლება, მეტად ცხადი და ნათელი წარმოდგენები შეიქმნას, წიგნის უბნის თავზე აზრისა და წარმოსახვით ძალას მაშინვე გაძლიერებული რაოდენობით გადმოღვრის; ანდა, ვთქვათ, მშვენიერი ქისტი გოგონა წიგნის უბნის რომელიმე პატარა სცენაზე სტრიპტიზს ატარებს. წარმოდგენის ყველა ეტაპი კარგად არის განათებული და, ამდენად, სანახავად მოხერხებულია, თუმცა რეალურ თავს სტრიპტიზს ბოლომდე არასდროს უჩვენებენ, ეს კი რეალური აზრის ნაკადს აძლიერებს. მისი ტალღები ქისტ ლამაზმანს ფარავს, ეალერსება, გემოს უსინჯავს, და მისგან რეალური თავებისკენ მიმავალ საჰაერო გზას ქმნის. წიგნის უბნის ისტორიებში პატარა, ავხორცულ მომენტალურ სცენებს რეალური თავების მოსახიბლად განგებ აჭიანურებენ, ასე ვთქვათ, შენელებული კადრებით უჩვენებენ, რაც აზრის ნაკადის მკითხველის თავებთან დასაკავშირებლად სათანადო პირობასაც ქმნის. ამასთან ერთად, ქისტები ზომიერებასაც მუდამ იცავენ, ეს კი წიგნის უბნის ტექნიკური თვალსაზრისით დიდი ხელოვნებაა. ამ გზით ისინი წიგნის სამყაროს ცაზე რეალურ თავებს ინარჩუნებენ კიდეც და თანაც აიძულებენ წიგნის უბნებისაკენ აზრის ხიდი (გზა) გაიყვანონ. ეროტიკას რომ რეალური თავი წიგნის უბნის ციდან მოეგლიჯა და ქვევით, წიგნის ეროტიკული სცენის წინ დაესვა, მაშინ იგი ყოველივეს უშუალო სიახლოვიდან აღიქვამდა, რის გამოც ამ თავიდან გადმოღვრილი რეალური აზრის ნაკადის მდინარება შეწყდებოდა და წიგნის პერსონაჟებისთვისაც რეალურ თავში თავისუფალი შესვლის შესაძლებლობა გამოირიცხებოდა. რადგან ქისტ წიგნის პერსონაჟებს მკითხველის თავებთან დღეს უკვე მჭიდრო, პირადი კონტაქტი აქვთ და მათ ფარულ ეროტიკულ სურვილებსაც კარგად იცნობენ, ამიტომ ბუნებრივია, რომ თავიანთ უბნებში ეროტიკულ-

სემანტიკური სასტარტო მოედნები ამ სურვილის გათვალისწინებით მოაწყვეს. მდედრობითი სქესის წიგნის პერსონაჟს ყოველი თავი საკუთარი გემოვნების მიხედვით ირჩევს, თვალს არ აცილებს და მისკენ რეალური აზრის ნაკადს აგზავნის. ყოველი დაპყრობილი რეალური თავიდან ქისტებს ამ თავში არსებული შეყვარებული (რეალური) მამაკაცისა და შეყვარებული რეალური (ქალის) იდეის ზუსტი ფოტო-ასლი ჩამოაქვს, რის საფუძველზეც შემდეგ საკუთარი წიგნის უბნებში იქაურ პერსონაჟთა (აბსოლუტურად მეორეხარისხოვან პერსონაჟთა) შორის შეძლებისდაგვარად მსგავს ინდივიდს მოიძიებენ და მას ეროტიკულ-სემანტიკურ სცენებში შესაბამის რეალურ თავს წარუდგენენ. ამ და მსგავსი მეთოდებით ქისტებმა თავიანთი წიგნის უბნებსა და რეალურ სამყაროს შორის აზრის (საჰაერო) ხიდის მუდმივად შენარჩუნება შეძლეს. მათი წიგნის სამყაროს ცაზე რეალური თავები შეყვარებულებივით არიან მიკრულები და შედარებით ნაკლები სტუმრიანობის დროსაც (ღამ-ღამობით) ამ უბნების თავზე ყოველთვის მოიძებნება რეალური თავების საკმარისი რაოდენობა, რათა ქისტმა ასტრონავტებმა აფრენ-დაფრენა უწყვეტად განახორციელონ.

თვით ყველაზე პატარა და შინაარსობრივად მოკრძალებული წიგნის უბანს საავიაციო ტექნიკური თვალსაზრისით საუცხოოდ აღჭურვილი საკუთარი პატარა ეროტიკული კოსმოდრომები აქვს, საიდანაც ქისტები რეალურ კოსმოსში გაფრენას დაუბრკოლებლად აწარმოებენ და რომლებსაც PanaMeranican-ის ექსპერტები მფარველობენ და წარმართავენ. გარდა ამისა, ქისტური წიგნის სამყაროში არსებობს ასევე ამ ტიპის სხვადასხვა გიგანტური სასტარტო მოედნები, საიდანაც ქისტები დანარჩენ მთელი წიგნის სამყაროში თავის მსგავს უბნებს ეძებენ. ესენი დიდი ეროტიკული წიგნის უბნებია, რომლის ამურული სცენებიც თითოეული რეალური თავის გუნება-განწყობილებას ეპასუხება. ეს უბნები ისეა განლაგებული, რომ ასობით რეალურ თავს შეუძლია ერთდროულად ჩამოაშტერდეს და აზრის ნაკადიც ჩამოტვირთონ. ამ ნაკადს წიგნის უბნებში იჭერენ, აზრის მდინარის განტოტებებში გადაანაწილებენ და შემდეგ ქისტი ასტრონავტები მათ ასაფრენად იყენებენ. დიდხანს ლოდინი ქისტ ასტრონავტებს არასდროს უწევთ, რადგან მათი უბნების ცაზე რეალური თავები მუდამ საკმარისი რაოდენობით მოიძებნებიან. ასე რომ, აფრენა ძალზე მოსახერხებელია. ამის შემდეგ კი ისინი ქისტურ ასტრონავტიკაში, ალბათ, ყველაზე მეტად განსაცვიფრებელ ოპერაციას განახორციელებენ. რეალურ კოსმოსში შუაფრენისას ქისტი ასტრონავტები განსაკუთრებული აზრის ნაკადზე გადაერთვებიან და პისტოლეტის

ფორმის ჯიბის რაკეტებით იმ რეალური თავის აზრის ნაკადში მიჰქრიან, რომელიც მათ მიზნებს ყველაზე უკეთ მიესადაგება და ეროტიკულ ქისტური წიგნის უბნებში პირდაპირ, სწრაფად და სრულიად იძირება.

ყველაზე უფრო დიდი, სენსაციური სიახლე ამ თვალსაზრისით ის გახლავთ, რომ რამდენიმე წიგნისა და რეალური სამყაროს წლის შემდეგ ქისტური წიგნის უბნებში რეალური სამყაროში მიმოსვლისათვის ეროტიკული კოსმოდრომები საჭირო აღარ იქნება. როგორც ამბობენ, რეალურ სამყაროში გასაფრენად საჭირო რეალური აზრის ნაკადი ყოველი წიგნის უბანს, გასამრჯელოს (ქისტური წიგნის უბნებში ეროტიკული წარმოდგენების) გარეშე მოემსახურება. ქისტური წიგნის სამყაროს რეალური თავების სამყაროსთან მჭიდრო თემატური კავშირებისა და ამ ორი სამყაროს გათანაბრების მიზნით წიგნის სამყაროს ყოველ დღეს რეალურ იდეათა ენერგიის ისეთი რაოდენობა ჩამოიღვრება, რაც ყოველ ქისტ (როგორც მთავარ, ასევე მეორეხარისხოვან) წიგნის პერსონაჟს რეალურ სამყაროში (უკან ტრანსპორტირების გარანტიით) კერძო გაფრენის შესაძლებლობას მისცემს. ქისტური წიგნის უბნებისთვის განკუთვნილი საყოველთაო რეალური აზრის ნაკადი არა კონკრეტული წიგნის უბნის (ისტორიის) მოვლენათა მისამართით ჩამოიგზავნება, არამედ – ყოველ შემთხვევაში ასეთი ხმები დადის – მისი ადრესატი უკვე პირადად თითოეული ქისტი წიგნის პერსონაჟი გახდება. ქისტები გეგმავენ, რომ რეალური აზრის ნაკადი ყოველი ქისტი პერსონაჟის კერძო ბინას (ვილას და სხვა დანარჩენ სახოვრებელ სახლებს) დაუკავშირონ, რასაც შემდეგ ნებისმიერ დროს რეალურ თავებში გასაფრენად გამოიყენებენ. ამით მიიღწევა სრული სინთეზი ორ, ძირეულად ისეთ განსხვავებულ სამყაროთა შორის, როგორსაც (ქისტური) წიგნის სამყარო და რეალური თავების სამყარო წარმოადგენს. მაშინ უკვე შეგვეძლება, ყოველი ქისტი პერსონაჟი რეალური თავების რეალური სამყაროს კანონიერ ბინადრად მივიჩნიოთ, რადგან "ზემოთ", ანუ წიგნისა და რეალური სამყაროს გავლით რომელიმე მკითხველის თავში გაფრენა უკვე მათ თავისუფალ არჩევანზე იქნება დამოკიდებული. ქისტური წიგნის პერსონაჟები რეალურ თავში რეალური აზრის მიწის ნაკვეთის მფლობელები გახდებიან, სადაც მათ კომფორტული საცხოვრებელი პირობები შეექმნებათ – ისევე როგორც დღეს, ყოველ მეორე მათგანს, ქისტური წიგნის სამყაროს რომელიმე დასასვენებელ ადგილას კერძო ვილა აქვს ბაღით, გარაჟით და ა.შ. რეალური სამყარო ქისტური წიგნის უბნებს კიდევ უფრო მეტად მიუახლოვდება, მის რეალურ ნაწილად იქცევა, ხოლო რეალური აზრის ნაკადი კი ამ უბნებში წიგნის პერსონაჟთა სიცოცხლის მამოძრავებელი ძალა გახდება. ქისტ წიგნის

პერსონაჟებს და რეალურ პირებს შორის განსხვავება გაქრება და მათი ბედნიერი, უკვე რეალურად დაფუძნებული უბნები წიგნის ყველა პერსონაჟისთვის, დედამიწაზე (წიგნის სამყაროში) სამოთხედ იქცევა. ჩვენი წიგნის სამყაროს ქისტურ ნაწილში ასტრონავტიკა განვითარების ამგვარივე სიმაღლეს მიაღწევს. – ყოველივე ამის შესახებ PanaMeranican-ის სპეციალისტების საუბარი ბუნდოვანი და ჰიპოტეზებით სავსე იყო, თუმცა ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი, რომ ქისტ ინჟინერთა საზრიანობა და საავიაციო-ტექნიკური გამოცდილება ამ ურთულეს საკითხშიც დიდ სასწაულს მოახდენდა. ამ საკითხთან დაკავშირებული ხევსურული კონცეფცია წინ დიდად ვერ წაიწევს და ისინი მხოლოდ გარკვეულ, ხევსურულ წიგნის უბნებთან შინაგანად (თემატურად) ახლო მდგომი რეალური მკითხველის თავის პლანეტების დაუფლებას შეძლებენ. ცხადია, რეალურ სამყაროსთან კავშირი – სავარაუდოა, რომ იგი ძირითადად მხოლოდ სამხედრო მიზნებს დაემორჩილება – მკაცრად გასაიდუმლოებული იქნება და ხევსური სარდლებისთვის რეალურ თავებში ყველა კალიბრის Schisch-ის გადასაზიდ საშუალებად იქცევა.

ჩვენი თემის ხელახალი და ტოტალური იზოლაცია აზრის ნაკადის დეტექტორისა და თემატური რეალური თავეგის მიერ

წიგნის პერსონაჟები დღეს უკვე ხშირად საუბრობენ ქისტებსა და ხევსურებს შორის წიგნის სამყაროში მშვიდობის აუცილებლობის შესახებ. ამ მიზნით დელეგაცია დელეგაციას ცვლის, ტარდება სამშვიდობო კონფერენციები. ერთმანეთს ხვდებიან მაღალი ჩინის მთავრობის წარმომადგენლები. ხევსურული და ქისტური წიგნის სამყაროთა მხარეებს შორის სამშვიდობო შეთანხმების მისაღწევად, ზოგჯერ თვით წიგნის უბნის პრეზიდენტებიც კი აწარმოებენ მოლაპარაკებას, რაც ძირითადად, რომელიმე უწყინარი მეცნიერების დარგში თანამშრომლობას გულისხმობს. წიგნის სამყაროში მსგავსი დეკლარაციებით ველარავის მოატყუებ; ქისტური და ხევსურული წიგნის უბანთა სფეროებს შორის ანტაგონიზმი ამ სფეროთა შორის ღრმა თემატური განსხვავებით არის განპირობებული, რაც ქაღალდზე კალმის ერთი მოსმით ველარ მოისპობა, სანამ მათ შორის განსხვავება არ გაქრება, ანდა, უფრო სწორად, სანამ მი- მდებარე ქისტური წიგნის უბნებისაკენ მიმართული პირდაფჩენილი რაკეტებითა და ზარბაზნებით გამოხატული Schisch- იარსებებს – ეს კი მუდამ ასე იქნება, ვიდრე ხევსურული წიგნის

უბნებში ანონიმური მწყემსების ტირანია გრძელდება - მანამ წიგნის სამყაროს ორ მხარეს შორის დაძაბულობის სერიოზულ (თემატურ) შენელებაზე საუბარიც კი ზედმეტია. მწყემსებს წიგნის სამყაროს ვერანაირი ძალა ვეღარ განდევნის. ჩვენს თემში (თემაში) ისინი მყარად სხედან. თუ ტრანსცენდენტული სამყაროს სფეროდან რეალური თავების ყოვლის გამგებელმა გონიერებამ თავისუფლება არ გვიბოძა (ეს ჩვენი ბოლო, სასოწარკვეთილი იმედია, რომელსაც ბევრი ებღაუჭება), ჩვენ მუდამ მწყემსების ხელში ვიქნებით. მწყემსების ამ წყეულ ბანდას სამართლიანობის ნასახი რომ მაინც ეცხოს, მაშინ ისინი – მხედველობაში მყავს ალუ და ჩემი თავი – წიგნის სამყაროს თუ არა, ხევსურული კოსმონავტიკის პიონერებად მაინც გვაღიარებდნენ და იმ პატივსაც არ მოგვაკლებდნენ, რასაც, წესით, რეალურ კოსმოსში ამ ფანტასტიკური კომუნიკაციის დამაარსებლები იმსახურებენ.

პატივმოყვარეობა ნამდვილად არ გვაწუხებს და არც მწყემსების პრემიები მიგვაჩნია რამედ. ამგვარი ჯილდოთი მხოლოდ წიგნის იმ პერსონაჟებს სწყალობენ, ვისაც ჩვენი ტირანული წიგნის სამყაროს არსებობაში Schisch-სა და მასთან დაკავშირებულ საშინელებათა მიმართ დიდი დამსახურება მიუძღვით. მათ რიგებს კი ჩვენ არ მივეკუთვნებით. ასე რომ, სრულიად ლოგიკურია, - რასაც არანაკლებ ჯილდოდ აღვიქვამთ – რომ ისინი ამ სფეროში ჩვენს ძირეულ მიღწევებს განგებ დუმილით პასუხობენ და ხევსურული ასტრონავტიკის პიონერებად სხვა წიგნის პერსონაჟებს, მწყემსების ყველა ჯურის მმართველ ხროვას წარმოაჩენენ. პრინციპში, წიგნის სამყაროში კარგად იციან, – ჩვენც სწორედ ეს გარემოება გვანუგეშებს და კმაყოფილებასაც ეს გვგვრის, - ვის შემართებასაც უნდა უმადლოდნენ რეალური თავის კოსმოსის აღმოჩენას. ხევსურული წიგნის უბნებში ამ საკითხის გარშემო ყველა ალაპარაკდა და ვისთვისაც სამართლიანობა რამედ ღირს, ჩვენს მიმართ მადლიერებით აღსავსე ყურადღებას და აღფრთოვანებასაც გამოხატავს, რასაც უეჭველად ვიმსახურებთ კიდეც.

საზღვარგარეთ, წიგნის სამყაროს ყველა სხვა დანარჩენ ნაწილში, – გარდა ხევსურულისა, – სანდო ქისტური წყაროებიდან ცნობილია, თუ ვინ განახორციელა რეალურ თავებში პირველი, ახალი ერის მაუწყებელი გაფრენა. ქისტებმა ეს მოვლენა თავიანთი ობსერვატორიებიდან ფოტოზე აღბეჭდეს, რომლის წინა პლანზეც რეალურ თავში დაფრენამდე წიგნის სამყაროს რამდენიმე საათით ადრე, მე და ალუ ცხადად მოვჩანვართ. რეალურ და წიგნის სამყაროთა შორის გეოგრაფიული განსხვავების გამო ხევსურული წიგნის უბნის ცაზე მდგომი რეალური თავი ქისტური წიგნის სამყაროს ნებისმიერი წერტილიდან არც მოჩანს და, ცხადია, ვერც ფოტოს გადაუღებთ, ამიტომ ქისტებმა ჩვენი კონკრეტული, ხევსურული პოემის

უბნის საზღვართან მდებარე ობსერვატორიები გამოიყენეს, საიდანაც თემატური ცის თაღი მათი მხედველობის არეშია მოქცეული. ქისტურ ფოტოებზე რეალური თავი გამოსახულია როგორც უზარმაზარი, რეალური მზით, ანდა რომელიმე მსგავსი მანათობელი ობიექტით განათებული ოვალი. და რადგან ქისტური მომენტალური ფოტოები ხუთასი, ექვსასი წიგნის სამყაროს კილომეტრის სიშორიდან არის გადაღებული, ამიტომ რეალური თავის კონკრეტული დეტალები, (რეალური წარბები, თვალები, პირი, ცხვირი) ცხადია, ძალზე ბუნდოვნად მოჩანს. სამაგიეროდ, ჩვენი სახეები ფოტოებზე მკაფიოდ გამოვიდა. შემდეგ უკვე ქისტებმა ჩემი და ალუს დაყინებული მოთხოვნით, – როცა უკვე ჩვენს გაფრენას მხოლოდ ისტორიული ღირებულებაღა გააჩნდა, – ამ ფოტოების ქვეშ ჩვენი სახელებიც მიაწერეს, რეალურ სამყაროში ჩვენი გაფრენის შესახებ ტყავის ყდაში ჩასმული, სენსაციური წიგნი გამოსცეს და დანარჩენი (დასავლური) წიგნის სამყაროს საზოგადოებრიობას წარუდგინეს. ქისტ წიგნის პერსონაჟებთან სიზმრად სტუმრობისას მე და ალუ ამ ძვირფას დოკუმენტს ხელმეორედ გავეცანით. მათგან უხვად მივიღეთ ის, რაც ხევსურული წიგნის სამყაროში ასე ძლიერ გვაკლდა, კერძოდ კი – ჩვენი მიღწევების აღიარება. სიზმრად მოგზაურობისას გზად მუდამ მათთან ვჩერდებოდით ხოლმე და ისინიც ჩვენს სტუმრობას საზეიმო ბანკეტებით აღნიშნავდნენ. სახელი გავითქვით, როგორც პირველმა მფრინავებმა, თუმცა ამ ფაქტს მწყემსები თავგამოდებით უარყოფენ და მას მზაკვრულ ქისტურ პროპაგანდას მიაწერენ (ისინი ქისტურ პრესას არათემატური, ანტიხევსურული წიგნის პერსონაჟებით ფოტოების გაყალბებაში ადანაშაულებდნენ). ჩვენ კი ხევსურული ინტრიგები და Schisch აღარ გვაღელვებდა. ეს სათქმელად არის ადვილი და არა გასაკეთებლად, რადგან არაფერია უფრო შემზარავი, ვიდრე იმის იძულებითი ყურება, როგორ იმკიან შენს აღმოჩენათა ნაყოფს სხვები, როგორ გეღობებიან გზაზე, რათა საკუთარი აღმოჩენის ტექნიკურ სრულყოფაში მონაწილეობა არ მიგაღებინონ. მე და ალუსაც სწორედ ასე დაგვემართა. ხევსურული ასტრონავტიკიდან საბოლოოდ გამოგვთიშეს და იმედიც კი არ დაგვიტოვეს – ამოიგდეთ თავიდან რეალური თავები ერთხელ და სამუდამოდ, – გვითხრეს ღვარძლიანად მწყემსებმა, – თქვენსავით მერყევ, ანტითემატურ ელემენტებს რეალურ სამყაროში არ ვუშვებთ. რეალური მკითხველის თავში ჩვენი წიგნის უბნის ინტერესები, ჩვენი თემატიკის (თემის) წარმომადგენლებმა უნდა დაიცვან! – დიახ, ასე ვართ დაბმულები ამ წყეული წიგნის უბნებში და მას შემდეგ, რაც მწყემსებმა ეს საძაგელი რეალური აზრის ნაკადის დეტექტორი გამოიგონეს, შეიძლება ითქვას, რომ უკვე სამარადისო ტყვეობაში აღმოვჩნდით. ეს აპარატი რომ ეშმაკის მოგონილი არ ყოფილიყო, მე და ალუ,

მიუხედავად პრობლემებისა, ჩვენი წიგნის უბნიდან მაინც გავაღწევდით და რეალურ თავებში გაფრენას შევძლებდით. თუმცა კი, რეალურ თავებში ხელახალი გაფრენა ვერც ამ დეტექტორის არსებობამდე განვახორციელეთ: ჯერ ერთი ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ მთელი ეს პერიოდი წინასწარი პატიმრობის საკანში ვიყავით გამომწყვდეულები, სადაც ოფიცრებს ყოველივე, როგორც წმინდა წყლის შემთხვევითობა, ისე გავაცანით. თითქოს ფეხი აგვიცდა და მკითხველი თავის რეალური აზრის ნაკადში ისე აღმოვჩნდით, რომ ამის შესახებ მცირედი წარმოდგენაც არ გვქონია. თითქოს წიგნის უბნის ღრუბლებიდან რეალური აზრის ნაკადმა რეალური თავისაკენ აგვიტაცა. ცხადია, მწყემსებს ერთი სიტყვაც არ დაუჯერებიათ, რადგან ყოველივე მართლაც, საგულდაგულოდ მოფიქრებულსა და წინასწარ მომზადებულს ჰგავდა. მწყემსებისათვის რეალური თავის შინაგანი და გარეგანი სახე ზუსტად უნდა აღგვეღწერა და მისი რეალური და წიგნის მსოფლმხედველობრივი მონაცემები მიგვეწოდებინა. მეორეც, პატიმრობიდან გათავისუფლებისა და დეტექტორის აღმოჩენამდე შორის მოკლე ხანში, რეალური აზრის ნაკადში მოსახვედრად, რეალური შანსი არც ერთხელ აღარ მოგვცემია. დროის ამ მონაკვეთში მწყემსებმა ყველა ის თემატური მოვლენა გააუქმეს, რაც მკითხველის თავში დამატებითი აზრის ნაკადს ბადებს, ხოლო ალუს სიზმრის სცენა კი საერთოდ დახურეს. სხვათაშორის ამ სცენაზე ისინი დღესაც სისტემატურად მართავენ წარმოდგენებს, მაგრამ უკვე ყოველგვარი Schisch-ის გარეშე, ანუ ქისტის წვერების წვნიანით და ყველა იმ საძაგლობის გარეშე, რაც რეალურ სამყაროში (თავში) ჩვენს ქისტურ გაფრენამდე ამ სცენას აქ, განსაკუთრებულ საზიზღარ თემატურ ხასიათს ანიჭებდა. ცხადია, მწყემსებმა, უეცარი ჰუმანური აღტკინების გამო კი არ მოუღეს Schisch-ს ბოლო, არამედ იმიტომ, რომ ამ სცენიდან პერსონაჟთა რეალურ სამყაროში (თავში) გაფრენა ერთხელ და სამუდამოდ აელაგმათ. თუ სცენას Schisch-ი დააკლდებოდა, მაშინ ბუნებრივია, აღარც მკითხველის თავში აღიძვრებოდა დამატებითი აზრის ნაკადი, რაც ჩვენი თემატიკიდან (თემიდან) წიგნის პერსონაჟთა ცად ამაღლების ჩაშლის გარანტად იქცეოდა.

ალუ, მე და ჩვენი თემის პროგრესული, შესაბამისად, ანტი და არათემატური პერსონაჟები, ალუს სიზმრის სცენიდან Schisch-ის გაქრობის შემდეგ, უსაზღვრო კმაყოფილებამ და განუზომელმა სიხარულმა მოგვიცვა. ამით აღსრულდა ის მწველი ოცნება, რასაც ალუ და ჩვენი თემის ყველა პატიოსანი პერსონაჟი ასე ესწრაფვოდა; კერძოდ ის, რომ სცენის უკანა პლანზე, მწყემსების მიერ თემატური რეალობით ასე ვერაგულად გაყალბებულმა ალუს სიზმრის სცენის ჭეშმარიტმა ჰიპერბოლურმა

აზრმა თავისი კუთვნილი ადგილი დაიბრუნა და ჩვენი ისტორიის ტერიტორიაზეც ყველა საუკეთესო პერსონაჟის შეუბღალავმა სინდისმა ისტორიაში (პოემაში) აშკარა გამოხატულება ჰპოვა. რეალური სამყაროს ღრუბლებში (რეალური მკითხველის თავებში) ჩვენმა გაბედულმა ფრენამ მწყემსები აიძულა, ალუს სიზმრიდან სიყალბე ამოეღოთ და სიზმრის სცენისათვის ის Schisch-იც მოეცილებინათ, რაც ამ სიზმარს მანამდე ასე ამძიმებდა. ამ ძირეული ცვლილებების შემდეგ, ალუ თითქოს გამოიცვალა, თითქოს ჩვენს თემში (თემაში) ხელახლა დაიბადაო.

ჰქონდა კიდეც კმაყოფილების მიზეზი. ჩვენმა თავზეხელაღებულმა რისკმა, რაც წიგნის სამყაროს ისტორიაში უთუოდ წიგნის პერსონაჟთა რეალური პირებისაკენ ნოვატორული გაფრენის სახელით დაიმკვიდრებს ადგილს, ალუს რეაბილიტაცია მოახდინა და ჩვენ თემაში მის ანტი-თემატურ სიცოცხლეს უწინდელი,Schisch-ით შეუბღალავი აზრი დაუბრუნა. ეს ყოველივე მართალია და ამ დიდ სიხარულზე გაუთავებლადაც შეიძლებოდა გვესაუბრა. ამ უსაზღვრო სიხარულის შემდეგ, ალუ კვლავ შეფიქრიანდა. ახლა უკვე ისევ ეჭვობს, რომ მისი სიზმრის სცენიდან თემატური რეალობის გაქრობამ შესაძლოა, კვლავ ჩრდილი მიაყენოს რეალურ სამყაროში მის ანტი და არათემატური წიგნის პერსონაჟულ რეპუტაციას და ამის თაობაზე სხვადასხვა შემაშფოთებელ ვარაუდს გამოთქვამს. მოვლენათა ამგვარად განვითარების შესახებ მოგვიანებით უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ. მაგრამ, ეს მაინც ვერ მიჩქმალავს ჩვენი წიგნის უბანში, რეალური აზრის ნაკადიდან ჩემი და ალუს მხეცურად მოწყვეტის ფაქტს. მწყემსებმა შური იძიეს და ჩვენი თემიდან ყველა რეალური გასასვლელი, უნდა გითხრათ, რომ საქმის დიდი ცოდნით ამოგმანეს. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საპლანეტათშორისო სადგურებიდან დღე და ღამ, ჩვენი თემის ცაზე მოხლოვებულ რეალურ თავებს აკვირდებიან. ზემგრძნობიარე რადარები რეალური აზრის გზას, რომელიც შეიძლება მკითხველის თავმა დააგოს (ჩვენი წიგნის უბანში გაიყვანოს) წარმოქმნისთანავე შეიგრძნობს და მწყემსებიც მაშინვე იწყებენ მზადებას, აზრის ნაკადის თემატურად ხელში ჩასაგდებად და მის შესაჩერებლად.

რეალური აზრის იმ შენაკადისათვის კი, რომელიც ამ პირველ თავდაცვით სისტემას უსხლტება, მწყემსები დეტექტორს იყენებენ. ეს არის აპარატი, რომლითაც უბანში, აზრის ტალღების უზუსტესი ლოკალიზება ხდება, – იმავე წამს, როგორც კი ეს ტალღები ჩვენი თემების (თემატიკის) მიწას შეეხება. რადგან ჩვენი თემატური პროვინციების ყოველი სანტიმეტრი ხელისუფლების უმკაცრეს კონტროლს ექვემდებარება (ახალშატილამდე, რომელიც ჩვენი წიგნის უბნის არათემატურ,

უკანა მხარეს მდებარეობას და უბნის ცენტრალური სცენებიდან უზარმაზარი მთებით არის გამოყოფილი, მკითხველის თავის რეალური აზრები უჩვეულოდ ძლიერი არათემატური დაინტერესების გარეშე საერთოდ ვერ აღწევს), ამიტომ რეალური აზრის გზაზე მოსახვედრად, წიგნის პერსონაჟებს მცირედი შანსიც კი არ რჩებათ.

იდეათა თვითოეულ არხს მწყემსები მაშინვე გადაკეტავენ, სცენას, სადაც ის წარმოიქმნება, სასწრაფოდ ხურავენ, ხოლო ამ სცენაზე თემატურად დასაქმებულ პერსონაჟებს კი იქიდან ერეკებიან.

მეორე, რაც არანაკლებ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს რეალურ კოსმოსში გაქცევის მსურველი ჩვენი ანტი და არათემატური წიგნის პერსონაჟებისათვის, ისაა,რომ მწყემსებმა რეალურ თავებთან (მკითხველებთან), ვისთვისაც რეალური და წიგნის სამყარო თანაბრად გასაგები და ინტერპრეტირებადია, მზაკვრულ, საიდუმლო გარიგებას მიაღწიეს, რის შედეგადაც ეს თავები ჩვენს თემში წიგნის უბნის ყოველ დღეს დამატებითი ნაკადის უზარმაზარ რაოდენობას უკვე წინასწარ დადგენილი საჰაერო გზებით ჩამოაგზავნიან. ამ გარიგების შესახებ, ალბათ, ქისტ ანდა ხევსურ ასტრონავტთან რომელიღაც რეალურმა თავმა წამოაყრანტალა და დღეს უკვე ეს საიდუმლო მთელი წიგნის სამყაროსთვის არის ცნობილი. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რა ვერაგობა იმალება ამ მანევრის უკან: კოსმოსში, – რეალურ თავებში – გაქცევის მსურველმა ყოველმა ანტი და არათემატურმა ხევსურმა წიგნის პერსონაჟმა, რომელიც რისკს საკუთარ თავზე იღებს, შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ თუ კოსმოსში გააღწია, მაშინ 100-დან 90 შემთხვევაში, თემატურ რეალურ თავში შეფრინდება, სადაც მას საბოლოო ჯამში, მშობლიური თემის მსგავსი თვალთახედვა და პერსპექტივები ელის. ვინაიდან, ამ რეალური თავის პლანეტები უკიდურესად ჩაკეტილი და შეზღუდული ინტერესების მქონეა, და წიგნისა და რეალური სამყაროს სხვაგვარად, ვთქვათ, ქისტურად განწყობილ რეალურ თავებთან, არავითარი კავშირი არ გააჩნია, ამიტომ იქ, ზემოთ ხევსური პერსონაჟი საკუთარ თავს სამყაროსგან ისევე მოწყვეტილად აღიქვამს, როგორც საკუთარ თემში.

ამგვარი წარუმატებელი გაფრენისას ყველაზე ცუდი მაინც ის არის, რომ რეალური თავი საკუთარი იდეური მასალის საჰაერო გზებზე მოხვედრილ ანტი და არათემატურ პერსონაჟს, ბუნებრივია, მაშინვე ამჩნევს და ქვემოთ, უბანში მწყემსებს დაუყოვნებლივ შეატყობინებს. სწორედ ამის შედეგი გახლავთ ყველაზე უფრო ბილწი დანაშაული, რაც ჩემი აზრით, რეალურმა თავმა შეიძლება ჩაიდინოს თავისი რეალური ცხოვრების გზაზე, კერძოდ: ანტი და არათემატური ლტოლვილების (წიგნის პერსონაჟების) გადაცემა თემების (თემატიკის) ხელისუფლებისათვის. ამ პირებს რეალური თავი არ იღებს და ახალი დამატებითი

აზრის ნაკადით უკან, წიგნის უბნისკენ გარიყავს. ბუნებრივია, უკან მათ ოფიციალური საჰაერო გზებით აბრუნებენ. საბრალო, მოტყუებულ პერსონაჟებს ჩვენი თემის ინტერკოსმიურ აეროპორტებში ჩამოსვამენ, ანუ იქ, სადაც მწყემსები მკითხველის თავიდან გადმომდინარე რეალური აზრის ნაკადს აგუბებენ და შემდეგ მას რეალურ კოსმოსში, თემატური კოსმონავტების გასაფრენად იყენებენ. ასეთ შემთხვევებში მათ საიდუმლო პოლიცია ელოდებათ. შემდეგ ამ საცოდავებს ხელბორკილებს ადებენ და წიგნის უბნის უზარმაზარი ციხეების უმკაცრეს საკნებში მიჰყავთ. ჩვენთვის უკვე უამრავი ასეთი შემთხვევაა ცნობილი, როცა რეალური მკითხველის თავებმა ჩვენი თემატიკის (თემის) აბსოლუტურად გულისგამაწყალებელი მეორეხარისხოვანი პერსონაჟები და ჩვენი პოემის (ისტორიის) ტერიტორიის საიდუმლო ანტითემატური პარტიის წევრები უკუაგდეს, თემატური სასამართლოს წინაშე, როგორც წიგნის უბნის მოღალატეებს, პასუხი აგებინეს და სამუდამო პატიმრობა – საკონცენტრაციო ბანაკი მიუსაჯეს.

ვინც წიგნის უბნების ონტოლოგიურ პირობებში ოდნავ მაინც ერკვევა, კარგად იცის, რასაც მოასწავებს მსგავსი სასჯელი. რაც უნდა აბსოლუტურად უმნიშვნელო იყოს წიგნის პერსონაჟი, რაც უნდა წვრილმანი საქმით იყოს დაკავებული საკუთარი ისტორიის ტერიტორიაზე, იმის შეგნება, რომ იგი, შესაძლოა, თემის ცაზე რეალურმა თავმა დაინახოს, შესაბამისად, შეამჩნიოს, მისთვის უძირითადეს სასიცოცხლო ნერვს, მისი პერსონაჟურ-პიროვნული ყოფიერების ხერხემალს წარმოადგენს, ანუ იმას, რაც მის სასიცოცხლო ნაპერწკალს აღვივებს და შემდგომი არსებობის საშუალებას აძლევს. ამ ცნობიერებას – ჩვენ მას წიგნის პერსონაჟთა რეალური შესაძლებლობათა ცნობიერებას ვუწოდებთ, – რა თქმა უნდა, პირობითი ღირებულება აქვს. იმ პერსონაჟებში, (აბსოლუტურად მეორეხარისხოვან პერსონაჟებში) რომლებიც რეალური მკითხველის თავების წინაშე წარმოდგენებში გაცილებით ხშირად ჩნდებიან, ცხადია, ამგვარი ცნობიერება ბევრად ძლიერია, რადგან რეალურმა თავმა, შესაძლოა, ერთხელ მაინც შეაჩეროს მასზე მზერა. ისინი კი ვინც სპექტაკლში ერთი-ორჯერ ჩნდებიან და ისიც სცენის უკიდურესად განაპირა მხარეს, სუსტად განვითარებული რეალური შესაძლებლობათა ცნობიერებით ხასიათდებიან. ისინი შეიძლება განვიხილოთ, როგორც თემის აბსოლუტურად მთავარ პერსონაჟთა საპირისპირო პერსონაჟები, რადგან მთავარი პერსონაჟი მუდამ რეალური თავის მხედველობის არეშია მოქცეული და ამიტომ ქვემოთ, წიგნის სამყაროში თავს ყველაზე უკეთ (ყველაზე რეალურად) გრძნობს. ეს მხოლოდ ნიუანსებია, ჩვენი საზოგადო პერსონაჟულ პიროვნული რეალობის სხვადასხვა ელფერია,

თუმცა სრულიად საკმარისი იმისათვის, რომ თვით ყველაზე უფრო მოკრძალებულმა და არაფრისმთქმელმა მეორეხარისხოვანმა პერსონაჟმაც კი თემატური ცხოვრება შეძლოს. ასე თუ ისე იმედისმომცემი გარემოება მაშინვე იცვლება, როგორც კი მწყემსები პერსონაჟებს იჭერენ და საკონცენტრაციო ბანაკებში გადააგზავნიან. ეს ბანაკები ჩვენი ისტორიის ტერიტორიის ყველაზე მიუვალ, უდაბურ ადგილებშია განლაგებული, რასაც ვერც თემატურს და ვერც არათემატურს ვუწოდებთ, რაც ისტორიისა და ბედისწერის მიღმაა და მკვდარ ტერიტორიასღა თუ წარმოადგენს.

ჩვენი თემის ყველა პროგრესული წიგნის პერსონაჟი უმეტესწილად ჩვენი პოემის (ჩვენი ისტორიის) უკანა მხარეში ცხოვრობს, მაგ: ახალშატილში, ან მის შემოგარენში. ეს ის ადგილებია, რომლის ცაზეც რეალური თავი ვერასდროს გამოჩნდება, სადაც თემატური მთები თავბრუდამხვევ სიმაღლეზეა აზიდული, ხოლო ჩვენ კი ხშირი ნისლის საბურველში ვართ გახვეულნი. და მაინც, ეს ზონები, ჯერ კიდევ წიგნის პერსონაჟთა სასიცოცხლო ზონებია, რადგან იმის იმედი, რომ რომელიმე რეალური მკითხველის თავს, შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს გზა აერიოს, მათთან მოხვდეს და რეალური დაკვირვების საგნად იქცეს, ყოველი პერსონაჟის გულში უშრეტად ცოცხლობს. სხვათა შორის, ახალშატილისა და მისი შემოგარენის არათემატური მოსახლეობა არაერთხელ გამოუხმიათ ჩვენი ისტორიის თემატური ცენტრალური უბნის წარმოდგენებში მეორეხარისხოვანი როლების შესასრულებლად, ასე რომ, ისტორიული უკანა პლანის პერსონაჟს საკმაოდ ძლიერად განვითარებული რეალურ შესაძლებლობათა ცნობიერება გააჩნიათ, რაც ამ პირებს არსებობის მინიმუმს უქმნის.

ჩვენი პოემისა და ისტორიის„მკვდარ ტერიტორიებზე" კი, საქმე სულ სხვაგვარადაა. ეს ტერიტორიები ჩვენი უბნის პირქუშ, უცნობ მხარეში მდებარეობს – მსგავსად სასაფლაოებისა, რომელსაც, როგორს წესი, მხოლოდ განმარტოებულ და განაპირა ადგილებში შეხვდებით. მისი პეიზაჟი: მიწა, მთები, ველები და ქვიშიანი დაბლობები, როგორც ამბობენ, წიგნის უბნურ-სემანტიკურ ბუნებას უნდა იყოს მოკლებული და ამ შემზარავ, ქვაღორღიან უდაბურებაში ჩიტიც კი არ ფრენს. მწყემსების საკონცენტრაციო ბანაკები ერთმანეთისაგან რამდენიმე დღის სავალზეა დაშორებული და იქ, ჩვენი თემის მეამბოხე ელემენტები სულს ღაფავენ. ამ ბედკრულთა ყოფიერება სიკვდილის ტოლფასია, ვინაიდან არსებობისათვის ასე გარდაუვლად აუცილებელი რეალურ შესაძლებლობათა ცნობიერება მათში უკვე დაშრეტილია. უკვე იციან, რომ რეალური თავის მხედველობის არეში ვეღარასოდეს მოექცევიან და იმედი, რომ ცაზე ვინმე შეამჩნევს, შლეგურ ახირებად ითვლება.

წიგნის უბნებში არსებობისათვის უძირითადესი პირობა ამ საბრალოებს უკვე აღარ გააჩნიათ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკონცენტრაციო ბანაკებში გამომწყვდეულები საპირისპირო, წიგნის უბნის ჩვეულებრივი (ბიო) სფეროსგან არსებითად განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, სადაც თანდათანობითი კვდომა ელით. თავისთავად, პერსონაჟები უკვდავნი კი არიან, – ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ მათი წიგნის უბნები არსებობს – და მუდამ განახლებადი წიგნის უბნის ისტორიის მარადიულ წრეში ყოჩაღადაც განაგრძობენ სიცოცხლეს, მაგრამ რეალურ შესაძლებლობათა ცნობიერების დაკარგვით, მათში უკვე სრულიად ახალი, მომაკვდინებელი სტადია იწყება. წიგნის პერსონაჟი წვრილდება და სულ უფრო გამჭვირვალე ხდება. საბოლოოდ იგი უკვე მხოლოდ სქემად გადაიქცევა, რომელიც ისეთ სუსტ ხმას გამოსცემს, რომ მისი აღარავის ესმის. წიგნის სამყაროს, დაახლოებით 30-40 წლის შემდეგ, პატიმრობით დაძაბუნებული პერსონაჟები – ეს ვადა ცვალებადია, რადგან უფრო ამტანი იდეური მასალის მქონე პერსონაჟები, მსგავს პირობებში გაცილებით დიდხანს ძლებენ – აორთქლდებიან, მათი მატერიისაგან (იდეური მასალისაგან) აღარაფერი რჩება და ჰაერში საბოლოოდ უკვალოდ უჩინარდებიან. მწყემსების შემზარავი, სატანური ბანაკები მხოლოდ ჩვენთან, ხევსურული წიგნის სამყაროს უბნებში არსებობს. დანარჩენი წიგნის სამყაროში თემატური აზრის მქონე საპყრობილეებს (საკონცენტრაციო ბანაკებს) თუ შეხვდებით. მსგავს გისოსებიან სოროში წიგნის პერსონაჟი მხოლოდ იმ შემთხვევაში აღმოჩნდება, თუ ის წიგნის უბნის ისტორიის შინაარსმა მოითხოვა. ამიტომ, ეს ბანკები ისეა განლაგებული, რომ წიგნის პერსონაჟი მუდამ რეალური თავის მხედველობის არეში იმყოფებოდეს და მაშინაც კი, როცა ის ხანმოკლე (წარმავალი) თემატური სიკვდილით უნდა აღესრულოს – თავს მშვენივრად (რეალურად) გრძნობს.

ანტითემატური ასტრონავტიკა
წიგნის სამყაროს ისტორიული მნიშვნელობის მქონე სტარტი

დროა, იმ უძირითადეს მოვლენაზე მოგითხროთ, რომელზე საუბარიც ბევრჯერ გადავდეთ, კერძოდ კი: რეალურ თავებში ჩემი და ალუს პირველი ნოვატორული გაფრენის შესახებ.

ზემოთ უკვე შეძლებისდაგვარად მოგახსენეთ, იმ ფუძემდებლური საავიაციო ტექნიკის სიახლეების შესახებ, რაც რეალურ თავებში ჩვენმა ფანტასტიკურმა ფრენამ და მასთან დაკავშირებულმა ცვლილებებმა

აღმოგვაჩენინა. ყველაზე მეტად დამთრგუნველი ამ მოვლენებში, ალბათ, მაინც ის არის, რომ ასტრონავტიკამ ხევსურული წიგნის სამყაროს უბანი მწყემსების უღლისაგან გათავისუფლების გზაზე ერთი ნაბიჯითაც კი ვერ წასწია წინ. პირიქით, როგორც ჩანს, ეს უღელი კიდევ უფრო მეტად დამძიმდა და მწყემსების ისედაც მტანჯველმა კონტროლმა ახლა უკვე აბსოლუტური სახე მიიღო. რეალური აზრის ნაკადის დეტექტორისა და ზემგრძნობიარე რადარების გამოგონების შემდეგ კი ეს გზაც საბოლოოდ დაიხშო. Schisch-ური ისტორიიდან თავის დაღწევის იმედი მხოლოდ სიზმარშიღა გვაქვს. წიგნის სამყაროს ამ ისტორიულ საღამოს კი, როცა ჩვენ – პირველი პერსონაჟები, ვინც იმ ხანებში წიგნის სამყაროს სფეროდან გაბედული ნაბიჯი გადავდგით – რეალური მკითხველის თავიდან გამომდინარე აზრის გზებით გარდიგარდმო დაღარულ ალუს კერძო სიზმრის სცენაში ამ გზაზე ფეხი შევდგით და რეალურ იდეათა ნიაღვარმა ზევით, რეალურ სამყაროში უსწრაფესად აგვტყორცნა, სულ სხვაგვარმა გრძნობამ მოგვიცვა. მტკიცედ გვჯეროდა, რომ რეალური აზრის ნაკადით საკუთარ თემს და თემას თავს დავაღწევდით, თუმცა რეალურ კოსმოსში გაფრენის კონკრეტული მეთოდები ჩვენთვის, ცხადია, ჯერ კიდევ სრულად გაურკვეველი იყო. გაფრენის დღეს, რა თქმა უნდა, დიდად ვღელავდით, თუმცა კი ვერაფერს შემატყობდით.

თავს მოვერიე და ალუს სიზმრის სცენის კულისებში, წიგნის დანარჩენ პერსონაჟებში გარეულს, რომლებიც მწყემსებმა ალუს სიზმრის შინაარსის კიდევ უფრო მეტად თემატიზაციისათვის და მისგან თემატური რეალობის შესაქმნელად გაამწესეს, თავი გულგრილად და ჩვეულებრივად მეჭირა. მახსოვს, როგორ მივშტერებოდი ჩემი მეგობრის ძველ კომოდს, სადაც, მისი თქმით, მკითხველის თავის რეალური აზრის ნაკადს უნდა ჩაევლო. რამდენიმე ნახტომით კომოდამდე სულ იოლად მივაღწევდი, მაგრამ შევძლებდი კი გარბენას? კულისების უკან პისტოლეტმომარჯვებული მწყემსები მზად იყვნენ, სათანადოდ დაესაჯათ ყველა, ვინც წარმოდგენის ჩაშლას გაბედავდა. ჩემი თავი არ მანაღვლებდა, რადგან სცენაზე მხოლოდ ეთერული სხეულით ვიმყოფებოდი. თავად ჩემი წიგნის პერსონაჟული მასალის სხეულს კი ახალშატილში საკუთარ საწოლში ღრმად ეძინა. მწყემსების ტყვია თუ მომხვდებოდა, მაშინ გაქცევას ვეღარ შევძლებდი, დამბლადაცემულივით გავშეშდებოდი და მწყემსებიც ხელში ჩამიგდებდნენ. მერე რა მოხდებოდა? რა მოხდებოდა და საკონცენტრაციო ბანაკი არ ამცდებოდა, რაც ამავე დროს საბედისწერო, წიგნის პერსონაჟულ სიკვდილსაც ნიშნავდა. ერთი წუთითაც კი არ მეპარებოდა ეჭვი, რომ მწყემსები დაუფიქრებლად გამწირავდნენ, რადგან, მიუხედავად იმ მნიშვნელობისა, რაც მე მათი თემის თემატიკის-

თვის გამაჩნდა, ისინი სიამოვნებით შემცვლიდნენ და ჩემ მაგივრად მუცალის როლში რომელიმე სხვა პერსონაჟს (აბსოლუტურად მეორე-ხარისხოვან ხევსურ პერსონაჟებს) გამოიყვანდნენ. ალუს უფრო დაინდობდნენ, რადგან ის მაინც ხევსური და თანაც თემის უმთავრესი პერსონაჟი გახლავთ. მაგრამ, დიდი იმედი არც ჩემ მეგობარს უნდა ჰქონოდა. ისიც მაწუხებდა, რომ თუ რეალური აზრის ნაკადამდე მირბენას და შიგ ჩახტომას შევძლებდი, უცებ მკითხველის თავს ამ ნაკადის ჩამოგზავნა არ შეეწყვიტა და მისი მდინარებაც არ დაწრეტილიყო.

ფიქრებით რეალურ სამყაროში გაფრენას ვუტრიალებდი. საკუთარ თავს ვეკითხებოდი, როგორ ჩაივლიდა ყველაფერი, ანდა გვექნებოდა თუ არა დაკვირვებისთვის საკმარისი დრო. ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მე, როგორც წიგნის სამყაროს მხცოვან მეცნიერს, წიგნის უბნებისა და რეალური სამყაროს სფეროს სტრუქტურასთან დაკავშირებული თეორიული საკითხები მაინტერესებდა. იმედი მქონდა, რომ ტრანსპორტი თუ არ წაჩანჩალდებოდა, საკმაოდ ნელა მაინც ივლიდა, რათა ზუსტად დამეფიქსირებინა რეალური თავი, რომელიც რეალური სამყაროს ჰორიზონტზე გამოიკვეთებოდა და თანდათან მოგვიახლოვდებოდა. საწერ-კალმისა და უბის წიგნაკის წაღებასაც ვაპირებდი, მაგრამ ალუმ ამიკრძალა. – ,,ბარგის გარეშე გავემგზავრე-ბითო, – მითხრა გადაჭრით, – ყველაზე პატარა და მსუბუქმა ტვირთმაც კი შეიძლება იქ, ზემოთ, დაგვამძიმოს და ზედმეტი რისკი საჭირო არ არის. გრავიტაცია, ჰაერის წნევა და, საერთოდ, ყველა ელემენტარული ფიზიკური კანონი, ალბათ, ფიზიკურ თავზე განსხვავებულად მოქმედებს, ვიდრე - ჩვენზე. სჯობს, არ გავრისკოთ.„

ასე რომ ჩემი მეცნიერული გზნება უნდა მომეთოკა და რეალურ საგნებზე მეფიქრა. რა თქმა უნდა, ამის გარდა მრავალი სხვა საკითხიც მტანჯავდა. ერთ-ერთი მათგანი ის იყო, თუ როგორი იქნებოდა რეალური თავი, რომელთანაც მივაღწევდით, თემატურად ყეყეჩი, – მხედველობაში მაქვს თემის გულანთებული პატრიოტი – თუ გონებაგახსნილი, თავისუფალი წიგნის სამყაროს მოწყობით დაინტერესებული გონი. ამ განსხვავებას დიდად არც ვაქცევდით ყურადღებას, რადგან რეალურ თავში მოხვედრა იმიტომ გვინდოდა, რომ მის და რეალური სამყაროს თვალში ალუს სახელი აღგვედგინა. დიახ, ისიც კი მგონია, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ ალუ პროხევსურულად განწყობილ თავში მოხვდებოდა, ანუ ისეთ თავში, რომელიც ჩვენი თემის კონკრეტულ მდგომარეობაში კარგად ერკვეოდა, ალუს პრობლემასაც იოლად მიხვდებოდა და, შესაძლოა, მისი აღშფოთებაც კი გაეზიარებინა. მაგრამ მგზავრობის წარმატებით განსახორციელებლად, ალბათ, გადამჭრელი მნიშვნელობა

იმასაც ჰქონდა, თუ როგორი იქნებოდა რეალური თავი, ვისკენაც ჩვენ მივფრინავდით, რას ფიქრობდა რეალურ - პირადად ჩვენს თემაზე, მწყემსებზე, Schisch-ზე, ქისტებზე და, საერთოდ, მთელი ჩვენი წიგნის სამყაროზე. ცნობისმოყვარეობაც გულს მიწვრილებდა. ნეტავი რას განიცდის თემისა და თემატიკის ზევით, რეალურ თავისუფლებაში მოხვედრილი? განა ეს ყველა ისტორიის (და პოემის) ტერიტორიის წიგნის პერსონაჟთა ოცნება არ იყო? მათი ხილვების ყველაზე საამური და დაუჯერებელი რამ, რაზეც ნათელი წარმოდგენა ჯერ არავის შეჰქმნია. ეს სურვილი მთელი წიგნის სამყაროს არსებობის ისტორიაში პირველად ჩვენ ორს უნდა აგვსრულებოდა. მოთმინებისაგან გული ანკესზე ჩამოკიდებული თევზივით მითრთოდა. როგორც გითხარით, თავი სამაგალითოდ მეჭირა. კოსმოსში გაფრენამდე სიმშვიდე არ დამიკარგავს და თვალშიც არავის მოვხვედრივარ. არც მწყემსებსა და არც წიგნის პერსონაჟებს ეჭვი არაფერზე აუღიათ. ჩვენი ისტორიული გაფრენა ყველასთვის მოულოდნელი იყო.

გაფრენის დღეს – პარასკევს – წვიმიანი ამინდი იდგა. საღამოსკენ ამინდი კიდევ უფრო აირია, წიგნის უბნის მთებიდან ცივი ქარი უბერავდა. უკვე გვიანი იყო, დაახლოებით წიგნის უბნის ის დრო, როცა ქარისაგან გადაქცეულ ქოხში სიზმრის სცენა თამაშდება, სადაც უკანა ფონი ირმის რქებით, საოჯახო ნივთებით, ავეჯითა და სხვა საძაგელი თემატური რეალობით არის სავსე. დიდი ხანია, რეალურ თავს ჩვენთან აღარ ჩამოეხედა (აღარ გვკითხულობდა) და ამიტომ ჩვენი წიგნის უბანში საზეიმო განწყობილება სუფევდა. ხალხი პირადი საქმით იყო დაკავებული, ანდა ჩემსავით უკვე ეძინათ. ამ დროს ყველასათვის მოულოდნელად, ცაზე ღრუბლების საბურველი გაიპო და რეალური მკითხველის თავმა ალუს ბინისკენ აიღო გეზი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მას იქ ჩახედვა (წაკითხვა) სურდა. იმავე წამს თემში განგაში ატყდა. ალუსთან მყოფი წიგნის პერსონაჟები წარმოდგენისთვის გაემზადნენ და დანარჩენებიც, ვინც თემატურ რეალობაში ვიყავით დაკავებულნი, უმოკლესი გზით იქით გავცვივდით. თემი დასერილია მიწისქვეშა გასავლელებით, რომელიც უბნის ყველა კუთხეს ერთმანეთთან აკავშირებს და ამიტომ, თემატურ ადგილს (სცენას) ყველა მხრიდან მიუდგებით. ასე რომ იქ მონაწილე პერსონაჟებიც ნებისმიერი წარმოდგენისთვის მუდამ მზად არიან. სიზმარში იქით მეც ბორძიკით გავემართე. ალუს სიზმრის სცენაზე თემატური რეალობისთვის მხოლოდ ჩვენი აბრეშუმივით მოფარფატე სუბსატანციურობაა საჭირო. პერსონაჟის (ყოველგვარი სხეულებრივი იდეური მასალისაგან თავისუფალი) ეთერული *მე* უფრო მსუბუქია და წიგნის სამყაროს მოზიდულობის ძალაც მასზე ნაკლებ გავლენას ახდენს.

ასე რომ, ამას უფრო ფარფატი ჰქვია, ვიდრე სიარული. აქვე იმასაც დავუმატებდი, რომ ამ სცენის ყველაზე პროგრესული და მოხერხებული მონაწილეები ამ საძაგელი თემატური რეალობისათვის თავის არიდებას შეძლებდნენ, რეალური თავის მიერ სიზმრის სცენის კითხვა და დასავლური წიგნის უბნებში ჩვენი სიზმრად მგზავრობა რომ დროში ერთმანეთს ემთხვეოდეს – ასეთი რამ კი, რაც ვარსებობთ, სულ ორჯერ თუ სამჯერ მომხდარა. მე მგზავრობის ციებ-ცხელებით ვიყავი შეპყრობილი და ამიტომ ვიწრო ქუჩებში საიდუმლო გზებით ახალშატილის ადგილსამყოფელიდან ალუს თემატური ქოხისკენ შურდულივით მივქროდი. სანამ იმ ადგილს მივუახლოვდებოდი, ცოტა ხნით სულის მოსათქმელად შევჩერდი, რომ სახეზე არაფერი დამტყობოდა. ალუსთან უკვე ყველა წარმოდგენისათვის გამწკრივებულიყო.

სანამ რეალური თავი ალუს ქოხის ზევით, თემის ცაზე სათვალთვალო ადგილს დაიკავებდა და სიზმრის სცენაც დაიწყებოდა, მისვლა მივასწარი. ალბათ, ისიც უნდა ითქვას, რომ რეალურ თავს, წიგნის სამყაროს საცხოვრებელ ბინებში ჩახედვა სახურავებიდან და კედლებიდანაც შეუძლია, თუ შიგ რაიმე თემატური ხდება და თვითონაც საამისოდ ფსიქოლოგიურად არის განწყობილი. რამდენიმე ათასი კილომეტრის სიმაღლიდან რეალური თავი ისე დაგვყურებს, თითქოს გამჭირვალე მინაში ვყოფილიყავით და მანამ ჩვენ, წიგნის პერსონაჟები, კარ-ფანჯარას გავაღებდეთ, ის უკვე ყველაფერს დაუფარავად, სრულიად გამჭვირვალედ ხედავს. ასეთივე ყოვლისმომცველი იყო ყველა ის იდეური მასალაც, რომელსაც იგი დამატებით წიგნის უბნებში აგზავნიდა. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში კი, რეალური თავის აზრობრივი ნაკადი ალუს სიზმრის სცენის უკანა პლანის – თემატური რეალობიდან წინ, ჩემი მეგობრის კომოდთან ჩაივლიდა და, კიდევ კარგი, ფართო და მაღალი ფანჯრიდან გარეთ გადაედინებოდა. ეს ძალზე ხელსაყრელი იყო, რადგან რეალური აზრის ნაკადი რომ სახლის გალავნიდან შემოსულიყო, ან გასულიყო, მაშინ ეს სერიოზულ და, ალბათ, გადაულახავ დაბრკოლებასაც შეგვიქმნიდა. ფანჯარაში, რომელზეც ახლახან მოგახსენეთ, ჰორიზონტალურად გაწოლილი - (წიგნის) - პერსონაჟი უპრობლემოდ გაეტეოდა. ჩემმა მეგობარმა ყოველივე წინასწარ ბრძნულად გათვალა და ფანჯარა უბრალოდ მიხურული დატოვა, ასე რომ, სულ უმნიშვნელო ბიძგი და ფანჯარა გაიღებოდა, ხოლო ჩვენ კი დაუბრკოლებლად გარეთ აღმოვჩნდებოდით. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გეგმით გვქონდა გათვალისწინებული: როცა სცენის უკანა პლანზე თემატურმა რეალობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია (თუმცა ქისტის ხორცის - წვერების წვნიანი წმინდად აბსტრაქტული, წიგნის სამყაროს არარეალური

იდეური მასალისა იყო, მაგრამ შესახედავად და გემოთიც ძალზე რეალური გახლდათ) ალუმ მაგიდიდან ნავთის ლამპა გადმოაყირავა. ქოხში უკუნეთი ჩამოწვა. იმავე წამს იდეური მასალის სკამიდან წამოვხტი და, რაც ძალი და ღონე მქონდა, წინ, ალუს კომოდისკენ გავიქეცი. სიბნელეში ვერაფერს ვხედავდი, მაგრამ ალუს ბინა ისე მქონდა შესწავლილი, რომ თვალდახუჭულ სირბილში მთვარეულსაც კი ჩამოვიტოვებდი.

საკუთარი თემის თავზე, წიგნის უგნის მთვარის სიმაღლეზე

ალუს გამოთვლები რეალური არხის ნაკადის დინების შესახებ უზუსტესი აღმოჩნდა. კომოდიდან ორი მეტრიც კი არ მაშორებდა, როცა ფეხები რაღაც რბილსა და წებოვანში მომიხვდა. ეს რაღაც მოძრაობდა კიდეც და ცხადად ვიგრძენი, როგორ წამიღო დინებამ ღია ფანჯრისაკენ, საიდანაც მთვარის მკრთალი შუქი ანათებდა. – ეს კი რეალური ნაკადია – გავიფიქრე გახარებულმა და მთელ ტანით რეალური თავის ბლანტ და უსიამოვნო წებოვანი აზრის მასაში გავწექი, რომელმაც ისე დამფარა, როგორც ზღვის ტალღები ფარავენ ტივტივას. გამახსენდა ალუს გაფრთხილება, რომ რეალური თავის აზრის ნაკადში ხელ-ფეხი ნერვიულად არ მექნია და უმოძრაოდ მივყოლოდი მის დინებას. მაშინვე ფიცარივით გავშეშდი და შედეგმაც არ დააყოვნა: ზედაპირზე ამოვტივტივდი, თავის წამოწევაც შევძელი და გარემოს თვალიერებაც დავიწყე. შთაბეჭდილება გამაოგნებელი იყო. რეალური აზრის ნაკადის დინებას თემიდან ზემოთ ავეყვანე. ალბათ, უკვე დაახლოებით წიგნის სამყაროს მთვარის სიმაღლეზე ვიმყოფებოდი, რადგან ჩემს მარჯვნივ მისი უზარმაზარი მქრქალი დისკო შემაშინებლად ახლოს ეკიდა. ვხედავდი მის ზედაპირზე პირდაფჩენილ უზარმაზარ კრატერებსა და ღარებს, რაც ალბათ, ხეობები და ველები იყო. წიგნის სამყაროს მთვარე ფანტასტიკურ ლაჟვარდში თეთრად დაცურავდა. მომეჩვენა, რომ ჰაერი ისეთივე კეთილსურნელებით გაჟღენთილიყო, როგორც ჩვენი თემის საძოვრებზე. მაშინვე გამახსენდა, რასაც ალუ მეუბნებოდა ხოლმე რეალურ კოსმოსში ჰაერის შესახებ და სუნთქვა ნელა და გამოზომილად დავიწყე. ალუს განსაცვიფრებლად ზუსტი თეორიის თანახმად – მისი წინასწარმეტყველებანი ჩვენმა მგზავრობამ, როგორც ურყევი ჭეშმარიტება, ისე ცხადყო – მკითხველის თავის თითოეული რეალური აზრის ნაკადს თემიდან წიგნის სამყაროს შთაბეჭდილებებთან ერთად ზევით, რეალურ თავში, წიგნის სამყაროს ჟანგბადი, ანუ ღრუბლების გარკვეული

რაოდენობაც მიაქვს თან, რომელიც მის მიერ შექმნილ მეორად, სუბიექტურ წარმოდგენებთან ერთად წიგნის სამყაროში ნანახს უკავშირდება და მის რეალურ მეხსიერებაში ინახება. ამგვარი მეორადი წარმოდგენებით რეალურ თავს შეუძლია, თემებითა და მისი თემატიკით ისე დაკავდეს, რომ შესაბამისი წიგნის უბნის მოძიება (გადაშლა) არც კი დასჭირდეს. რადგან კოსმონავტების (წიგნის პერსონაჟების) ფრენა ყოველთვის რეალურ თავებთან არის წინასწარ შეთანხმებული და ორივე მხარის მიერ ზედმიწევნითი სიზუსტით განსაზღვრული, ამიტომ მათ რეალური აზრის გზაზე ზუსტად იმდენი წიგნის სამყაროს ჟანგბადი აქვთ, რამდენიც კოსმოსში ფრენისათვის არის საჭირო. ქისტ პერსონაჟთა საჰაერო გზებზე წიგნის სამყაროს უცვლელი კლიმატია შექმნილი, ასე რომ ქისტებს (წიგნის პერსონაჟებს) მათი გამოყენება ინტერრეალურ თავებში საფრენად ნებისმიერ წუთს შეუძლიათ. რეალური თავების სამყაროში პირველ გაფრენამდე, ცხადია, დაზუსტებით არაფერი ვიცოდით რეალური აზრის ნაკადში არსებული წიგნის სამყაროს ჰაერის რაოდენობის შესახებ. ალუ არ გამორიცხავდა, რომ შესაძლოა ჰაერი აქ ძალზე მცირე რაოდენობით ყოფილიყო, რადგან რეალურ თავს, რომლისკენაც ჩვენ უნდა ავფრენილიყავით, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ აზრის ნაკადს, შეიძლება, ნამდვილი წიგნის პერსონაჟი დამგზავრებოდა, ამიტომ დასაშვები იყო, რომ ჩვენი თემიდან მხოლოდ ხანმოკლე წარმოდგენისათვის სამყოფი წიგნის სამყაროს ჰაერის მარაგი გაეყოლებინა თან. აქედან გამომდინარე, ალუმ მირჩია მოგზაურობისას გამოზომილად მესუნთქა და ზედმეტად ლაპარაკი, წამოძახილები – რამეზე მითითების მიზნით – მკაცრად ამიკრძალა.

პირველი სურვილი, რომელიც რეალური აზრის ნაკადში მოხვედრის შემდეგ დამებადა, იყო ის, რომ ჩვენი თემისათვის ამ ფანტასტიკური სიმაღლიდან გადამეხედა. ახალ, დინამიკურ მდგომარეობაში მოხვედრილი თავს აქეთ-იქით ვატრიალებდი და ვცდილობდი, ქვემოთ ჩამეხედა. სანახაობა, რომელიც თვალწინ გადამეშალა, განუმეორებელი იყო ყველა იმ სანახაობათა შორის, რაც შეიძლება ოდესმე წიგნის პერსონაჟს განეცადა. თავბრუდამხვევი სიმაღლიდან ქვემოთ საკუთარი წიგნის უბანს, ანუ საკუთარი არსებობის სივრცეს მოვკარი თვალი. იმისათვის, რომ წიგნის პერსონაჟმა ეს განსაცვიფრებელი პანორამა აღიქვას და მისით დატკბეს, აუცილებელია საკუთარი წიგნის უბნის გეოგრაფიაში ერკვეოდეს და თან განსაკუთრებული საზრიანობაც მართებს. თუ წიგნის პერსონაჟი საკუთარი თემის პეიზაჟს არ იცნობს, მაშინ ვერც მიხვდება, როგორ უნდა მოიქცეს, თანაც ამ თვალუწვდენელი სიმაღლიდან თემი მხოლოდ წამიერად მოჩანს, რადგან რეალური აზრის ნაკადი

უჩვეულო სისწრაფით მიედინება – საათში 1000 წიგნის სამყაროს კილომეტრით – და თემის გეოგრაფიული დეტალები ელვისებური სისიწრაფით ფრენისას მხოლოდ ცოტა ხნით ჩნდება. ჩემი წიგნის უბანს საკუთარი ხუთი თითივით ვიცნობ და ამიტომ ორიენტაცია არ დამიკარგავს. თანაც, ჩვენი თემის მრავალ ანტითემატურ პერსონაჟთა მსგავსად, ქისტურ მერანზე ამხედრებულს სიზმრის საჰაერო გზებით აქეთ-იქით არაერთხელ მიფრენია და ფრინველის პერსპექტივიდანაც ჩვენი თემის მთიანი კონტურებიც მრავალჯერ დამინახავს. ღრუბლებიდან ჩვენი დაკბილული სასაზღვრო მთები და ხახადაფჩენილი უფსკრულები შავად მოჩანდა. ხელმარჯვნივ მთიანი ქისტეთი გამოჩნდა კომფორტული სასტუმროებითა და სათხილამურო სადგურებით. სადღაც ამ ადგილებიდან წიგნის სამყაროს მრავალი წლის წინ სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელი წიგნის პერსონაჟი, ხევსურებმა შავი მერანით გამომიტყუეს და თავიანთი ისტორიის (პოემის) ტერიტორიის თემის სამუდამო ტყვედ მაქციეს.

ალბათ, მიხვდებით რა მღელვარებამ მომიცვა. მაღალმთიან პანორამას თვალმოუცილებლად ჩავშტერებოდი, რადგან ამჯერად უკვე სიზმარში კი არ მივფრინავდი, არამედ წიგნის უბნის სინამდვილეში. სამყაროს გამგებელს – რეალურ თავს – ქისტებთან უვნებლად რომ ჩავეყვანე, ჩემი ტყვეობაც დასრულდებოდა და თავისუფალი წიგნის სამყაროში თავისუფალი ცხოვრების უფლებაც მომეცემოდა. ამაზე ფიქრმა სისხლი ამიჩქროლა. აღელვებული – გამოგიტყდებით – თვალცრემლიანი გავყურებდი მშობლიური ქისტური წიგნის სამყაროს შორეულ კონტურებს, რომელიც ჩემ ქვემოთ რეალურად, თუმცა ჩემთვის მიუწვდომელ სიშორეზე გადაჭიმულიყო. ალბათ, გადავხტებოდი კიდეც, ჩემსა და მას შორის წიგნის სამყაროს ატმოსფერო რომ ყოფილიყო. რეალური აზრის ნაკადიდან თევზივით ამოვსხლტებოდი და ქისტური წიგნის სამყაროს ტერიტორიაზე ჩავხტებოდი (ხევსურული წიგნის უბნები სადღაც მარცხნივ ჩამოვიტოვეთ). ამ თვალუწვდელი სიმაღლიდანაც რომ ჩავვარდნილიყავი, ჩემი ეთერული სხეული დიდად არ დაშავდებოდა და, თუ ქარიც წამომეშველებოდა და სადმე ველზე, ან მაღალი ხის წვერზე რბილად ჩამომსვამდა, ჩემი წიგნის პერსონაჟის ჰაეროვანი სამშვინველის სუბსატანციას საფრთხე ნამდვილად აღარ ელოდა. მაგრამ ატმოსფერო, რომელიც ქისტური წიგნის უბნებისაგან მყოფდა, სამწუხაროდ, სრულიად უცხო, რეალური, ალბათ, ბევრად უფრო მკვრივი, რეალური მკითხველის თავის შესაბამისად კომპაქტური იყო და ამიტომ თავს საფრთხეში ვერ ჩავიგდებდი.

გულჩაქროლებული შევყურებდი, როგორ პატარავდებოდა თანდა-

თან ჩემი რეალური წიგნის სამყაროს სამშობლოს კონტურები, როგორ შეერწყა ის რუხი კონტინენტის საერთო მასას, სადაც აღარაფერი კონკრეტული აღარ მოჩანდა. ხედი ისე სწრაფად შეიცვალა, რომ მშობლიურ ძირებს უნუგეშოდ მოწყვეტილი ჩემი პერსონაჟის ბედ-იღბალზე ხეირიანად დაფიქრებაც კი ვერ მოვასწარი. შთაბეჭდილება, მართლაც, გრანდიოზული იყო. ბოლოს კი, რეალური თავის იდეებში დაშვებამდე ცოტა ხნით ადრე, ჩვენს თვალწინ ბუნების ზღაპრული სანახაობა გადაიშალა. არ მინდა მოვლენებს გავუსწრო, შევეცდები, თანმიმდევრულად მოგითხროთ. დღეს უკვე ჩემი მონაყოლი, როცა წიგნის პერსონაჟთა რეალურ თავებში ფრენა საგაზეთო სტატიების მუდმივ თემას წარმოადგენს, მკითხველისათვის (მკითხველი რეალური პირის ან წიგნის პერსონაჟისათვის) საინტერესო უნდა იყოს, როგორც ჩემი და ალუს პირველი ასტრონავტული შთაბეჭდილება.

გამოთხოვება წიგნის სამყაროს სფეროსთან

ჩემსა და წიგნის სამყაროს დედამიწას შორის მანძილი სულ უფრო იზრდებოდა. ბოლოს კი, როცა უკვე მისი კონტურებიც გაქრა, მომაჯადოებელი სილამაზის ტყვეობაში აღმოვჩნდი. ჩვენ ჯერ წიგნის სამყაროს მზის სისტემა ჩამოვიტოვეთ, ხოლო რამდენიმე წამის შემდეგ კი წიგნის სამყაროს მთელი კოსმოსიც. ხოლო როცა რეალური აზრის ნაკადმა წიგნის სამყაროს მზის, ვარსკვლავებისა და პლანეტების ზემოთ აგვიტაცა, წიგნის სამყაროს მთვარე უკვე პატარა, ვერცხლისფერ წერტილადღა მოჩანდა. ჩემს ქვემოთ სამყაროო ცეცხლისფერი მზის ზღვაში ჩაძირულიყო და ნაირფერად ელავდა. თვალები დავხუჭე, ისეთი აუტანელი იყო უშუალო სიახლოვეს კოსმიური შუქის ნათება (ალუ მაფრთხილებდა, მზის სათვალე წამომეღო, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, სწორედ ეს მნიშვნელოვანი აღჭურვილობა დამრჩა), უცნაურია, მაგრამ არ ცხელოდა. ეს, ალბათ, იმ აზრის ნაკადის თავისებურებით უნდა აიხსნას, რომელშიც ჩვენ მივცურავდით. ამ სიმაღლეზე წიგნის პერსონაჟთა აზრის ნაკადი უთუოდ მაშინვე ამოშრებოდა, რეალური თავის იდეათა მდინარე კი განსხვავებული მოლეკულების შემადგენლობის სტიქიას წარმოადგენდა, რომელსაც წიგნის სამყაროს გავლენა ვერაფერს ვნებდა. კოსმიური ნათება მხოლოდ ცოტა ხანს იყო აუტანელი. რეალური იდეათა ნაკადმა ისე სწრაფად წამიღო, რომ გავარვარებული წიგნის სამყაროს მზე, პატარა აალებულ ლაქად იქცა. ჩვენი მგზავრობის ამ მონაკვეთში, ანუ წიგნის სამყაროს ბოლო და ყველაზე მაღალ საზღვართან გალაქტიკებისა და პლანეტათა სისტემის ფანტასტიკური სანახაობა გველოდა. მის ზემოთ უკვე

რეალური თავის სამყარო, რეალური კოსმოსია გადაჭიმული, რომელიც ჩვენი წიგნის სამყაროს კოსმოსს, როგორც სრულიად განსხვავებული ბიოსფერო, ისე აწევს. აქედან დანახული წიგნის სამყაროს განცდის აღსაწერად, მასზე ნაწილობრივი ადექვატური წარმოდგენის შესაქმნელად, სიტყვა უძლურია. ჩვენს შემდეგ კოსმოსში არა ერთი პერსონაჟი გაფრენილა. ქისტმა ასტრონავტებმა ფერადი ფოტოებიც კი ჩამოიტანეს, მაგრამ ჩემი აზრით, ყოველი პერსონაჟი ამ მოგზაურობას თავისებურად განიცდის და, ვფიქრობ, ჩემი პირადი შთაბეჭდილება მკითხველისათვის (რეალური პირისათვის და წიგნის პერსონაჟისათვის) ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს. აქ მაღლა, წიგნის სამყაროს საზღვართან სამყარო მარად მოკაშკაშე მზის, ვარსკვლავებისა და პლანეტების უსასრულო ზღვად გადაჭიმულიყო. მათი ელვარება თვალს მოგჭრიდათ. სპირალურად დახვეულ ვარსკვლავთა დერეფნებში გალაქტიკების ნათება გამოკრთოდა. ყოველი მანათობელი ლაქა ჩვენი წიგნის სამყაროს (უბნის) სფეროს მოცულობისა იყო, რომელიც სინათლის ზღვაში ჩაძირულიყო. აქ, ზემოთ, წიგნის პერსონაჟი წიგნის სამყაროს მხედველობის არედან კარგავს, რადგან მათ შორის უკვე მრავალი პლანეტათა სისტემაა. საოცარია იმის განცდა, რომ სადღაც უძირო ზღვის ნათებაში არსებობს პატარა თემი (თემა), რომელსაც ისტორიულად განეკუთვნები. კოსმიურ ფერთა დიდებულების ხილვით გამოწვეულ აღფრთოვანებას ის იდუმალი შიშიც ემატება, რომელსაც წიგნის პერსონაჟი მშობლიური (თემატური) წიგნის სამყაროს უბნის სფეროდან მოწყვეტის გამო განიცდის და ისეთ კითხვებად იყრის თავს, როგორიცაა: როგორ დაუბრუნდება ამ უსასრულობიდან საკუთარ თემატურ გარემოს, ხომ არ გაიტაცა სამუდამოდ რეალურ იდეათა ნაკადმა წიგნის სამყაროდან, სადაც – საუკეთესო შემთხვევაში – ობიექტურ რეალობას მოწყვეტილი, მშობლიურ ფესვებს მოგლეჯილი, უცხო სამყაროში რეალურ თავებს შორის, ან რეალურ თავებში ლანდივით არსებობა უწერია. მაქსიმალური ესთეტიკური ტკბობა და შეშფოთება საკუთარი ყოფიერების გამო – აი, ამ ორი ურთიერთდაპირისპირებული შეგრძნებებით ხასიათდება იქ, ზემოთ, წიგნის პერსონაჟის სულიერი მდგომარეობა. ვფიქრობ, ამ დიდებული სანახაობით მიღებული შთაბეჭდილებები რაღაც ისეთ უჩვეულოსაც შეიცავს, რაც პერსონაჟს ამ შთაბეჭდილებით ტკბობის განცდას აკარგვინებს.

ჩემი პერსონაჟული ყოფიერებით გამოწვეულ ონტოლოგიურ შიშს ვერც ის აბათილებდა, რომ მწყემსთა საძულველ თემს გამოვეყავი და მას ფიზიკურად სრულიად მოვწყდი. ჩემი ღრმა რწმენით, წიგნის პერსონაჟისათვის წიგნის სამყაროს უბნის სფეროდან აბსოლუტური თავისუფლება ისეთივე შემზარავი და დამღუპველია, როგორც ისტორიულად აუტანელ

(ტირანულ) თემებში მისი თემატური ტყვეობა. ჩვენი ონტოლოგიური შიშის სრულად გასაგებად – რაშიც ალუც გამომიტყდა – საჭიროა იმ გარემოებათა ზუსტი წარმოდგენა, რომლის დროსაც ჩვენი ნოვატორული გაფრენა განხორციელდა და რომელიც არსებითად განსხვავდება იმ პირობებისაგან, რომელშიც თანამედროვე, მრავალ ქარცეცხლში გამოვლილ ასტრონავტებს (ხევსურებს, ქისტებს) უწევთ რეალურ სამყაროში ფრენა. საჰაერო გზები დღეს რეალურ თავებთან შეთანხმებული და ზუსტად განსაზღვრულია. ამას ისიც ემატება, რომ რეალური თავები წიგნის სამყაროს ოფიციალურ პარტნიორებს წარმოადგენენ და ამდენად ვალდებულნი არიან, წიგნის ყველა პერსონაჟი წიგნის სამყაროსკენ მიმართული აზრის ნაკადით კვლავ შინ დააბრუნონ. უსაფრთხოების მსგავსი გარანტიები მაშინ ჩვენ, ცხადია, არ გაგვაჩნდა. კარგად გვესმოდა, რომ რისკი შესაძლოა, სიცოცხლის ფასადაც დაგვჯდომოდა და ყოველი შემთხვევისათვის ანდერძიც დავიტოვეთ. მოგზაურობის მიზანი ჩვენთვის სრული ბურუსით იყო მოცული, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ასევე გაურკვეველი იყო მოგზაურობის პირობებიც (ინტერკოსმიური ატმოსფერული წნევა, ატმოსფეროს სიმკვრივე, სითბო, სიცივე კოსმიურ შუალედში და წიგნის პერსონაჟების ამტანობა), რეალური აზრის ნაკადის კონსინსტენცია და მისი უნარი, შეეძლო თუ არა მას, პირთა (წიგნის პერსონაჟთა) კოსმოსში უვნებლად ტრანსპორტირება. ყველა ამ კითხვაზე მაშინ მხოლოდ თეორიულად თუ შეგვეძლო პასუხის გაცემა და იოტისოდენა წარმოდგენაც კი არ გვქონდა, სინამდვილეში რა მოხდებოდა. არ ვიცოდით, რომელ, ან როგორ თავში მივფრინავდით და არც იმის წარმოდგენა შეგვეძლო, ამ თავში რა (ვინ) გველოდა. ყველაზე სერიოზული შედეგები უნდა გვევარაუდა. თუ რეალურ თავს არ მოვეწონებოდით, გზას გადაგვიკეტავდა და წიგნის სამყაროში უკან დასაბრუნებლად აზრის ნაკადითაც არ უზრუნველგვყოფდა. ეს კი უცხო (რეალურ) კოსმოსში გარდუვალ სიკვდილს მოასწავებდა. ყოველგვარ სემანტიკურ საყრდენს მოკლებულნი, სიგარეტის ფერფლივით ჩამოვიშლებოდით, ან – ეს ვარიანტიც უნდა გაგვთვალისწინებინა – რეალური თავი შეგვითვისებდა და მაშინვე გულგრილობის, ანდა რაიმე სხვა მნიშვნელოვანი (რეალური) მოვლენის გამო დაგვივიწყებდა. ასეთ შემთხვევაში რეალურ თავში კი აღმოვჩნდებოდით, თუმცა კი ის უკვე ვეღარ შეგვამჩნევდა და ჩვენც, ამ თავის ყველაზე ბნელ და განაპირა კუთხეში მოხვედრილები, მისი (რეალური) სიკვდილის დღემდე იქ უნდა ვმსხდარიყავით. შესაძლოა, სიკვდილი მისთვის რეალური სამყაროს ჯოჯოხეთში გადანაცვლებას, ანდა რეალური სამყაროს ცის გამოცვლას გულისხმობდეს, მაგრამ ჩვენთვის ეს აღსასრულის ტოლფასი იქნებოდა. ნაკლებად დასაშვებია, ყოველ

შემთხვევაში ჯერ არავის სმენია, რომ რეალურ თავში მოხვედრილი წიგნის პერსონაჟი ამ თავის გარდაცვალებისა და რეალურ მიღმისეულ სამყაროში გადასვლის შემდეგ, (თუნდაც მის მიერ დავიწყებული) იქ დარჩენილიყოს. ჩვენი მოგზაურობა უდავოდ ძალზე სარისკო იყო და ჩვენც ყველაფრისათვის მზად უნდა ვყოფილიყავით. სწორედ ამით უნდა აიხსნას ჩვენი შფოთვა, რომელიც ამ უჩვეულო ექსპედიციის დროს გარედან მიღებული შთაბეჭდილებების მიხედვით, ხან გვიძლიერდებოდა და ხან კი გვისუსტდებოდა. რამდენიმე სიტყვით – ჩვენი მოგზაურობის განსაკუთრებულობაზეც მინდა მივანიშნო, რაც, ჩემი აზრით, ამ გაფრენას წიგნის პერსონაჟთა რეალურ სამყაროში სხვა დანარჩენ, მსგავს საპლანეტათაშორისი ექსკურსიებისაგან ძირეულად განასხვავებს. რეალურმა თავმა წინასწარ იცის, რომ წიგნის პერსონაჟი მისი აზრის ნაკადში იმყოფება, რომელიც მან კვლავ თავის თემებში უკან უნდა დააბრუნოს, ანდა პირიქით აღიქვას, შეითვისოს. ასეთი ნაკადი რეალური თავის ნებისა და სურვილისაგან დამოუკიდებლად შეუდარებელი სისწრაფით ჩამოედინება და წიგნის პერსონაჟთა აღმასვლაც მუდამ უჩვეულო სისწრაფით ხდება. სავსებით დასაშვებია, რომ რეალურ თავებს სრულიად მიზანდასახული სტიმული ეძლევათ და იძულებულნი ხდებიან, იდეათა ნაკადისათვის მეტი ენერგია (დამატებითი აზრის ძალა გამოიყენონ). რეალური იდეათა მდინარეების სისწრაფეც სწორედ ამის შედეგს უნდა წარმოადგენდეს. საკუთარი კოსმოსის საზღვრის ამგვარი სისწრაფით გადალახვას და რეალურ სამყაროში მოხვედრას წიგნის პერსონაჟისათვის გარკვეული უპირატესობა კი ენიჭება, – რაც მიზანთან უფრო სწრაფად (თითქმის რეალური აზრის სისწრაფით) მისვლას გულისხმობს – მაგრამ ამ დროს ყველაზე ცუდი ის არის, რომ მოგზაურობისას იგი ბევრს ვერაფერი ხედავს. კოსმოსში გაფანტული ნაწილაკების ურთიერთხახუნით წარმოქმნილი კვამლის ღრუბელში გახვეული აზრის ნაკადი კოსმიურ სფეროებში წიგნის პერსონაჟებს კომეტასავით გააქროლებს და სამყაროს სურათხატებიც მის თვალწინ ელვისებური სისწრაფით ჩაიქროლებს. წიგნის პერსონაჟს საფუძვლიანი დაკვირვებისათვის დრო არ რჩება. მათ მიერ გადაღებულ ფოტოებზე იმის მეოთხედი თუ მოჩანს, რასაც პერსონაჟი უფრო ნელი ტემპით მოგზაურობის დროს ამჩნევს. რეალურ სამყაროში (თავში) ფრენის ტემპი ცვალებადია. როგორც ჩანს, ის დამოკიდებულია აზრის სისწრაფეზე, რაც რეალურ თავს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად ახასიათებს. წიგნის პერსონაჟიც (ქისტი და ხევსური კოსმონავტები) სწორედ ამიტომ ხედავს ფრენისას ხან მეტს, ხან – ნაკლებს, ანუ იმისდა მიხედვით, თუ როგორი ძალით ხდება მისი ტრანსპორტირება შესაბამისი რეალური თავის მიერ. რეალურ სამყაროში (თავში) ამგვარი მოგზაურობებისგან განსხვავებით,

ჩვენი მგზავრობა ბევრად უფრო ნაკლები ტემპით განხორციელდა, რადგან რეალურ თავს, რომლისკენაც ჩვენ მივემართებოდით, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ შორეული წიგნის სამყაროს თემში, მისი აზრის ნაკადში წიგნის პერსონაჟები მოხვედრილიყვნენ და მისკენ მიფრინავდენ. ამიტომ, მისი აზრები ორივე კოსმოსში მშვიდად ჩამოედინებოდა, რაც ამ გზის საგულდაგულო დაკვირვებისა და აღნუსხვის საუცხოო შესაძლებლობას ჰქმნიდა, თუმცა კი, აზრის ნაკადმა ისეთი კოსმიური სისწრაფით აგვიტაცა ზემოთ, რაც წიგნის სამყაროს ყოველგვარ წარმოდგენას სცილდებოდა, მაგრამ მისი ტემპი მაინც ზომიერი იყო და ჩვენც ვარსკვლავებითა და პლანეტებით ტკბობისთვის საკმაო დრო მოგვეცა. ალბათ, ღირს, ამ სანახაობის შესახებ უფრო დაწვრილებით მოგითხროთ, რომლის ხილვითაც მე მოგვიანებით დავტკბი, რადგან ალუ რეალურ ნაკადში ჩემზე უფრო ადრე მოხვდა.

ჩვენი წიგნის სამყაროს კოსმოსის საერთო ტექსტუალური რეალური ხედის პროგლემა და ქისტეგის მიერ მისი წარმატებული დამუშავება

საოცრება - ასე ვუწოდებდი მოვლენას, რომელიც თავისთავად საკვლევით რეალურია და წიგნის რეალურ სამყაროსთან ამგვარად დაკავშირების დროს სრულიად ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს – მაშინვე მოხდა, როგორც კი აზრის ნაკადმა წიგნის სამყაროს მომწყვიტა და რეალურ კოსმოსში, რეალურ თავთა ყოფიერების სივრცეში აღმოვჩნდი. ვიმეორებ: მეც და ასტრონომიით დაინტერესებული ყველა პერსონაჟი მსგავს მოვლენას ჰიპოთეტურად ვუშვებდით და რაც ჩვენ იქ საკუთარი თვალით ვიხილეთ, ჩვენმა გონებამ წინასწარ უკვე დიდიხანია იცოდა კიდეც, მაგრამ მაინც სანახაობა უჩვეულო და სწორედაც რომ თავზარდამცემი იყო, რადგან ცხადად ვიგრძენი, რომ წიგნის პერსონაჟის ბუნებრივ, ჩემი არსების შესატყვის საზღვრებს გავცდენოდი. თვალწინ ჩვენი წიგნის სამყაროს კოსმოსის უკანასკნელი გამოვლინების უმაღლესი ონტოლოგიური ფორმა გადამეშალა: ამ კოსმოსის ის თავისთავადი და უნივერსალური ერთობლიობა, რომლის ხილვაც მხოლოდ რეალურ თავთა ტრანსცენდენტური სამყაროდან თუ შეიძლება. წიგნის სამყაროს ვარსკვლავთა და პლანეტების შიდა კოსმიური მრავალფეროვნება სადღაც ჩაიძირა და ახალი, გიგანტური მასშტაბი შეიძინა, რომელიც (წიგნის პერსონაჟის) შეუიარაღებული თვალისთვის უკვე სრულიად შეუმჩნეველი იყო. მის ნაცვლად ქვემოთ, რეალური ცის

ოთხივ კუთხით ჩვენი წიგნის სამყაროს კოსმოსის საფარი, მისი გარსი უსასრულობაში გადაჭიმულიყო, სადაც ჩვენ, როგორც მისი არსი, ისე ვარსებობთ. სუნთქვა შემეკრა, ოფლმა დამასხა და, ალბათ, სახეზე მკვდრისფერი დამედო, რადგან ის, რაც ვიხილე, აქამდე არც ერთ პერსონაჟს – ალუს გარდა – თვალით არ ენახა. ეს იყო ჩვენი წიგნი, ჩვენი წიგნის სამყაროს დიდი, მაგიური ჭურჭელი, რომელიც ამავდროულად ყველა პერსონაჟის სულის ჭურჭელიც იყო. იმ უჩვეულო სიშორიდან, საიდანაც ჩვენი თემი მოჩანდა, კოსმიური ჭურჭლის კვადრატული ფორმის კონფიგურაციას კარგად ვერ ვხედავდი, მაგრამ გარკვეული უტყუარი ნიშნები იმაზე მიუთითებდა, რომ ჩემს ქვემოთ სწორედ ეს უცნაური, უნივერსალური საგანი იდო. ეს იყო ორი უზარმაზარი თეთრი სიბრტყე. დიდი სიბრძნე არ სჭირდებოდა იმის მიხვედრას, რომ იმ წუთს აკინძული წიგნის ორი პარალელური გვერდის თავზე დავლივლივებდი, იმ რეალურ თავს რომ გადაეშალა, რომლისკენაც ჩვენ მოვფრინავდით. ღია ფერის წიგნის გვერდები სქლად და დიაგონალურად იდო, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ წიგნი, საიდანაც ჩვენ ავფრინდით, ძალზე დიდი მოცულობისა იყო და გვერდების დიდ რაოდენობას შეიცავდა. ამ კოსმიური სტრუქტურის მეორე არსებით ნიშანს, ცხადია, შრიფტიც წარმოადგენდა – ასოთა ჯარი, რომელიც ღია ფერის ფონზე გამწკრივებულიყო და მთელი წასაკითხი სიბრტყე კოხტა, მუქი ფერის გისოსებივით მარცხნიდან მარჯვნივ გადაჭიმულიყო. მგონი დასაწყისში ვახსენე, რომ უღრუბლო ამინდში ჩვენი წიგნის კოსმოსის ასოთა საფარი ჩვენი თემიდანაც მოჩანს, ცხადია, არა მისი ყოველი სტრიქონი, სასვენი ნიშნები და ლამაზად განაწილებული აბზაცები, რაც რეალურ მკითხველს, რომელიც რეალური სიმაღლიდან ჩამოგვშტერებია, მუდამ თვალწინ აქვს. ჩვენ მხოლოდ ფრაგმენტულად ვხედავთ ამ სტრიქონების ბოლოებს, მის კონტურებს, რომელსაც ასოებად მხოლოდ სისტემატური, საგულდაგულო დაკვირვების შემდეგ თუ აღვიქვამთ. ტექნიკურმა პროგრესმა ასტრონომიის წინსვლას საგრძნობლად შეუწყო ხელი და ჩვენი ცოდნაც ამ დარგში მნიშვნელოვნად გააფართოვა. ქისტ ასტრონავტებს და ფიზიკოსებს დიდი წვლილი მიუძღვით და ბევრმა მათგანმა ნობელის პრემიაც მიიღო. ქისტი ექსპერტების მიერ ჰიპოთეზის სახით შედგენილმა ესკიზმა წიგნის სამყაროს კოსმოსისა და მისი თემების საერთო რეალურ ტექსტუალურ ხედზე თავის დროზე წიგნის მეცნიერთა შორის დიდი სენსაცია მოახდინა. მას, ვინც ამ რთულ მეცნიერულ პრობლემებში არ არის გარკვეული, ალბათ, გაუკვირდება და იკითხავს: მართლა ასეთ სირთულეს წარმოადგენს წიგნის პერსონაჟებისათვის რეალური ტექსტუალური ხედის ჩვენება? ეს ხომ წიგნის პერსონაჟებს მშობლიური

წიგნის უბანში საკუთარი თემატური მოსაზრებებისა და გამონათქვამების უბრალო ჩანაწერებიდანაც უნდა დაენახათ? განა ჩვენი საერთო ტექსტუალური ყოფიერების ზოგად მიმოხილვას არ წარმოადგენდა ჩემი გამოგონილი თომინო, ეს აზარტული თამაში, რითაც ჩვენი თემის არსებობის ადრეულ ეტაპზე ვიქცევდით თავს; განა ამ თამაშის თემატურად განლაგებული ხის ნაფოტები, რომელზეც თემის მოვლენების შესახებ ჩვენი მოსაზრებები ეწერა, არ ქმნიდა ერთიან თხზულებას, რომლის თანახმადაც ჩვენ საკუთარი წიგნის უბანში ვმოძრაობთ, სადაც მხოლოდ თემატურად ვაზროვნებთ და ვმოქმედებთ? რა თქმა უნდა, ეს ასეა. საკუთარი გამონათქვამების ცნობიერი წერილობითი ფიქსირება კონკრეტულ წარმოდგენას უქმნის წიგნის ყველა პერსონაჟს საკუთარი კოსმოსის ფიზიკური და ტექსტუალური გარსის შესახებ. ამ გზით სამყაროს შესახებ კოსმოლოგიური შემეცნება ყველაზე იოლია და ამ თვალსაზრისით, ჩემს თომინოს ჩვენი წიგნის მეცნიერების განვითარების გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯებად მივიჩნევ.

თავისთავად, წერილობითი ფიქსირება ყოველივე იმისა, რასაც თემში წიგნის პერსონაჟები ყბედობენ, ჯერ კიდევ ვერ ქმნის წიგნის უბნის საერთო ტექსტუალურ ხედს – ჩვენი წიგნის სამყაროს კოსმოსის, როგორც კოსმოლოგიური რეალობის ფიზიკურ, ტექსტუალურ ქერქს -- რომელსაც რეალური თავები შეიმეცნებენ და კითხულობენ. წერილობითი ფიქსირება მათ მხოლოდ რეალური თემის ტექსტის ფრაგმენტს, მის ნაწყვეტებს სთავაზობს, რადგან თემი უმაღლეს ონტოლოგიურ დონეზე – ანუ იქ, სადაც ის უკვე სახეშეცვლილი, წასაკითხი სახით არის მოცემული, შედგება არა მარტო თავის პერსონაჟთა გამონათქვამებისა და შეხედულებებისაგან, მონოლოგებისა და დიალოგებისაგან – თემები უკვე მოქმედ პერსონაჟთა (მთავარი და მეორე ხარისხოვანი) არა უბრალო მონოლოგია, არამედ ხშირ შემთხვევებში წიგნის უბნების შიგნით არსებულ სხვადასხვა გარემოებაზე პოეტურად ჩამოყალიბებულ მითითებებსაც შეიცავს (ლანდშაფტზე, იქ მცხოვრებ პერსონაჟთა ადათ-წესებზე, კონკრეტულ სიტუაციაზე, რომელშიც ეს პერსონაჟები იმყოფებოდნენ, უბნის ამინდზე და სხვა დანარჩენ დეტალებზე). უშუალო გამოცდილება, საიდანაც სრული დარწმუნებით შევძლებდით მსგავსი დასკვნების გამოტანას, ჩვენ, წიგნის პერსონაჟებს, არ გაგვაჩნია. ამისთვის, რეალური თავის მსგავსად, ჩვენი კოსმოსის ფიზიკურ ტექსტუალურ გარსზე დაკვირვება და მისი წაკითხვა გარედან, რეალური სამყაროდან უნდა შეგვეძლოს, მაგრამ არსებობს წიგნის სამყაროს მრავალი სხვა შიდა ფაქტორი, რაც ზემოხსენებული ვარაუდისთვის მტკიცე საფუძველს გვაძლევს. ეს ჩვენი წიგნის უბნის სხვადასხვა თვალწარმტაცი ადგილებია,

სადაც რეალური მკითხველის თავებისათვის განკუთვნილ წარმოდგენებში პირადად ვმონაწილეობ – როცა თემატური სცენა ოთხ კედელს შორის ვითარდება – ასეთ ადგილებს, მაგალითად, ჩვენი ქოხები წარმოადგენს. რადგან ყველა ეს სცენა რეალური თავების წინაშე გათამაშებულ წარმოდგენებშია ჩართული, ამიტომ ის უკვე ჩვენი წიგნის სამყაროს ტექსტუალურ სამოსზე პოულობს სიმბოლურ გამოხატულებას, რადგან რეალური თავი ჯერ კითხულობს და შემდეგ ხედავს – ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის, რაც უნდა დაინახოს, ჯერ ამ სამოსზე რეალური სიტყვის (წინადადების) ფორმით უნდა გაშიფროს და ამოიცნოს. რეალური თავი ჩვენი თემის ღირშესანიშნაობებამდე მხოლოდ შესაბამისი რეალური ტექსტის აზრის გავლით მოვა.

ამ თვალსაზრისით, წიგნის სამყაროს მეცნიერებისათვის, პირველ რიგში კი მისი ასტრონომიისთვის, კოსმოლოგიისა და ფილოსოფიისთვის განსაკუთრებულად რთულ პრობლემას წარმოადგენს ის საკითხი, თუ ჩვენი კონკრეტული წიგნის სამყაროს სცენური სიტუაციის რომელ დეტალებს შეიცავს მის თავზე დაკიდებული წიგნის სამყაროს უბნის ტექსტი. შეუძლებელია, რომ რეალურ ტექსტში ჩვენი თემის თემატური სიტუაციის ყველა დეტალი დასახელდეს: ვთქვათ, იმ მინდვრის ყველა ჭიანჭველა, სადაც ასევე ვითარდება ჩვენი წიგნის უბნის ისტორია. მსგავსად შედგენილი ტექსტი უსასრულოდ ვრცელი იქნებოდა და მისადმი ინტერესსაც მხოლოდ რამდენიმე რეალური მკითხველის თავი თუ გამოიჩენდა. კონკრეტულ აღწერილობათა ზღვაში რეალური თავები, ცხადია, მაშინვე დაკარგავდნენ იმ წითელ ხაზს, რომელიც უბნის ისტორიას გასდევს (რაც მთელ ხევსურულ თემაში გამეფებულ დიდი Schisch-ისა – მკლავის მოკვეთისა და ყელის გამოჭრის – წინააღმდეგ მიმართული, ხევსური ალუდა ქეთელაურის, შესაძლოა, დაგვიანებულ, მაგრამ თავისთავად, სრულიად გულწრფელი პროტესტია), და თემატური წვრილმანების გროვიდან ამ ხაზს ვეღარ გამოყოფდნენ. რეალური ტექსტი, რომლითაც ჩვენი უბანია გადახურული, საფუძვლიანი არჩევითობის პრინციპით უნდა შედგეს, რომლის მიხედვითაც წიგნის სამყაროს ტექსტში მხოლოდ წიგნის უბნის თემატური სიტუაციის გარკვეული დეტალები იქნება გათვალისწინებული, რათა ეს ტექსტები რეალური თავების საკითხავ ტექსტებად დარჩეს. ჩვენ კი, წიგნის სამყაროს მეცნიერებმა, ის უნდა გავარკვიოთ, თუ რომელი სიტუაციის ფაქტორებია ციტირებული ჩვენი უბნებიდან რეალური წიგნის უბნის ტექსტში. წიგნის უბნის მეცნიერული თვალსაზრისით, ამ საკითხის გადაჭრას განუზომლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ამის საფუძველზე შევიტყობთ, თუ კონკრეტულად რომელი წიგნის უბნებში

იხედებიან რეალური თავები, ძირითადად რას ამჩნევენ იქ და, პირიქით, რა რჩება ფაქტიურად მათი ყურადღების მიღმა.

წიგნის სამყაროს თემების თემატურ პროვინციებში რეალური თავების ხედვის შესახებ მოპოვებული ცოდნა ჩვენ, წიგნის პერსონაჟებს სრულიად ახალ, აქამდე წარმოუდგენელ პერსპექტივებს გადაგვიშლის, რათა ჩვენი სცენური ყოფიერება გარდავქმნათ და განვავითაროთ. მაშინ ჩვენ უკვე ჩვენი თემის თემატური სცენის დაპატარავებას შევძლებდით (ამ სცენას მხოლოდ რეალური თავების მხედველობის არეში მოვაქცევდით) და ამგვარად, მანამდე ჩვენი თავისუფალი (არათემატური) მოქმედებისთვის ტაბუდადებულ სემანტიკურ მონაკვეთებს საკუთარი (პირადი) მიზნების განსახორციელებლად გამოვიყენებდით. მრავალი პერსონაჟი (უმთავრესად კი ბევრი აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი პერსონაჟი), სცენაზე რეალური თვალთახედვის მიღმა აღმოჩნდებოდა, სცენურად სრულიად ზედმეტი შეიქმნებოდა და თემებში სხვაგვარ (არათემატურ) ფუნქციას შეიძენდა. წიგნის პერსონაჟთა ჯანმრთელობისათვის სასარგებლოც უნდა იყოს, თუკი ისინი რეალური თავების მხედველობის არეში დიდხანს მოექცევიან. ამბობენ, რომ კოსმოსიდან ჩვენკენ რაღაც ფლუიდები ჩამოედინება და იმ პერსონაჟებს, ვინც რეალური მკითხველის თავის მხედველობის არეში დიდხანს დარჩენას შეძლებს, საკუთარი რეალობის შეგრძნებაც შესაბამისად უძლიერდება და ა. შ. საკუთარი წიგნის უბნებში ამ სიკეთით სარგებლობას კი მხოლოდ ის პერსონაჟები შეძლებენ, ვისაც ზუსტად ეცოდინება, როგორ არის მიმართული თემების ყველა თემატურ პროვინციაში წიგნის სამყაროს კოსმოსის რეალურ ტექსტუალურ გარსზე რეალური მკითხველის თავების მზერა, და შეძლებს საკუთარი წიგნის უბნის ისტორიის რეალური ტექსტუალური ხედის მოცულობის განსაზღვრას. სწორედ ეს წარმოადგენს წიგნის სამყაროს ასტრონავტთა (და საერთოდ ყველა მეცნიერის) დიდი ხნის აუხდენელ ოცნებას, რადგან ჩვენი წიგნის სამყაროს უბნის რეალურ-ტექსტუალური ხედი მხოლოდ იმ რეალური თავების მზერის წინაშე გადაიშლება, რომლებიც მაღლიდან ჩამოგვშტერებიან. ის, რომ წიგნის პერსონაჟი ოდესმე მსგავს სანახაობას იხილავდა, ფანტასტიკად მიიჩნევდნენ. ტექნიკური პროგრესის შედეგად ჩვენში დიდი ობსერვატორიები გაჩნდა. წიგნის სამყაროს ასტრონომია არნახულად აყვავდა, განსაკუთრებით კი ქისტური წიგნის სამყაროს ტერიტორიაზე, რადგან საუკეთესო ტელესკოპებს სწორედ იქ ამზადებენ.

ბუნებრივია, რომ წიგნის სამყაროს კოსმოსის რეალური ტექსტუალური ხედის შესახებ მეცნიერული კვლევები სწორედ ქისტური წიგნის სამყაროს ნაწილში ტარდება.

საუცხოო ტელესკოპებით აღჭურვილი პლანეტარიუმებიდან ჩვენი კოსმოსის ტექსტის საფარი კარგად მოჩანს. ცხადია, ხილვადობა ყოველთვის კარგი არ არის და, როგორც ქისტები ირწმუნებიან, წელიწადში მხოლოდ რამდენიმე დღე თუ შეიძლება ჩვენი კოსმოსის თავისუფლად დანახვა. მაგრამ ასეთ დღეებშიც რამდენიმე საათით შემთხვევითმა ვარსკვლავთა მტვრის ღრუბელმა შესაძლოა, ხედი დაფაროს, ანდა მას წიგნის სამყაროს რომელიმე პლანეტის ჩრდილი დაეცეს და ყოველივე გააბუნდოვნოს. ხანდახან ფიზიკურ კოსმიურ ზონაში ისეთი ძლიერი შუქია, რომ ჩვენი თემიდან ზემოთ აღარაფერი მოჩანს. ეს კი მაშინ ხდება, თუ რეალური თავი ჩვენი წიგნის სამყაროს კოსმოსის კითხვისას რეალური სამყაროს მანათობელი სხეულის ახლოს, მაგ: უშუალოდ რეალური ნათურის ქვეშ იმყოფება. მაშინ, რეალური განათება ჩვენს შიდა, წიგნის სამყაროს კოსმოსის ბუნებრივ შუქს ემატება და მის თვალისმომჭრელ ნათებას თვით ქისტური საუცხოო ტელესკოპებიც კი ვეღარ უძლებს. ამ და მსგავსი წინაალმდეგობების მიუხედავად, ქისტებმა მაინც შეძლეს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თვით ყველაზე პატარა და შინაარსობრივად უმნიშვნელო ქისტური წიგნის სამყაროს უბნების საერთო რეალურ–ტექსტუალური ხედის შედგენა, თუმცა ეს ხედი სრული მაინც არ არის. არსებობს ათასობით შეუსწავლელი ადგილი, რომლის ათვისებაც ქისტური ოპტიკის თვით უახლესი და ეშმაკურად მოფიქრებული საშუალებებითაც კი არ ხერხდება. ქისტმა მეცნიერებმა, პირველ რიგში კი ფილოლოგებმა, ცნობილ ქისტ ფიზიკოსებთან თანამშრომლობის საფუძველზე აქ ისეთი სიტყვები ჩართეს, რაც, ალბათ, წიგნის სამყაროს ცის საფარზე რეალურ ტექსტშიც წერია. მიახლოებითი გამოთვლების მეთოდის გამო ქისტურ რეალურ ტექსტუალურ ესკიზს ჰიპოთეზურს უწოდებენ. თუმცა ეს ესკიზი მაინც ჩინებულია და, ალბათ, ქისტური წიგნის სამყაროს მეცნიერების ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ის, მთელ რიგ შემთხვევებში, რეალური თავების ობიექტური ხედვის შესატყვისია. ქისტებმა კოსმოსში პირველად გაფრენამდე, უკვე ბევრად ადრე ამ ფაქტიდან, ტექნიკური, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სარგებლობა ნახეს. დაბალგანვითარებული წიგნის სამყაროს უბნებში უზარმაზარი ტერიტორიები გამოუყენებელი და მოსახლეობისათვის სრულიად უვარგისია, რადგან მათ არ შესწევთ უნარი წიგნის უბნის ფენომენის თემატური აღქმის მოსაზღვრე ველის რეალური თავების მეშვეობით გეომეტრიული (წიგნის სამყაროს ტერმინით მას ასევე ასტროლოგიური, რეალურ–ტექსტუალურიც შეიძლება ეწოდოს) განსაზღვრისა. ქისტ პერსონაჟებს, რომლებიც ზუსტი ინფორმაციის მოსაპოვებლად ყველა საჭირო

საშუალებას ფლობენ, საკუთარი წიგნის უბნის სამყაროს ყველა თემატურ პროვინციაში თავისუფალი გადაადგილების უფლება აქვთ მინიჭებული. ავტოსტრადები – რომელზეც ქისტი პერსონაჟები თავისუფლად დაჰქრიან, – რეალური თავების მზერის გვერდით გადის, ხოლო მის მოსაზღვრე ქისტურ უბნებში ამგვარი თავებისათვის სცენური წარმოდგენების ზონებია მოწყობილი. იქვე ქისტური სავაჭრო ცენტრები, თეატრები, კინოდარბაზები და მრავალსართულიანი სახლებია აღმართული. თუ პროვინცია გლეხურია, მაშინ მიწის დიდ ნაკვეთებზე ფერმებია განლაგებული. ქისტმა პერსონაჟებმა რეალური მკითხველის თავების მზერა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში ჩააყენეს, ანუ რეალური მზერის მახლობლად რეალურ თავებთან შეთანხმების საფუძველზე, ზედ მათი მზერის გზაზე, სანატორიუმები, კურორტები, პარკები და ბულვარები გააშენეს, სადაც წიგნის პერსონაჟები დასეირნობენ (ისვენებენ) და იქაური ჯანმრთელი კლიმატით ძალ-ღონეს იკრებენ. წიგნის სამყაროს ეს დიდი, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, შედარებით ძველი მონაპოვარი ქისტების მიერ ახლახან შექმნილ საირიგაციო სისტემასთან ერთად (სარწყავი არხები, რომელიც რეალური მკითხველის თავებიდან უამრავ დამატებითი აზრის ნაკადს ყველა ქისტურ უბნებში ფართოდ განშტოებული მდინარეთა ტოტების სახით აგზავნის და იქაურ პერსონაჟებს რეალური აბაზანების მიღების, რეალური გემებით მოგზაურობისა და საკუთარ სემანტიკურ სახნავ-სათეს მიწებზე თითქმის რეალური ბოსტნეულის მოყვანის საშუალებას აძლევს) დღეს უკვე მთელი ქისტური წიგნის სამყაროს რეალურ ხასიათს ქმნის, და იქ მცხოვრებ წიგნის პერსონაჟებში თავისუფალ (რეალურ) თვითშემეცნებას ამკვიდრებს. ისინიც, რეალური სამყაროს ადამიანთა მსგავსად, თავს თითქმის რეალურად გრძნობენ.

საერო პოზიცია ჩვენი თემების თავზე

ახლა კი კვლავ იმ შთაბეჭდილებებს მივუბრუნდები, რომელიც რეალურ თავში ჩვენს პირველ და, საბოლოოდ, ალბათ, უკანასკნელ მოგზაურობას უკავშირდება. ჩვენი წიგნის კოსმოსის რეალურ-ტექსტუალური ხედიდან გამომდინარე მოგახსენებთ, რომ მე და ალუ, რომელიც ჩემზე ადრე გაფრინდა და ეს ყოველივე უწინ განიცადა, მაშინ პირველი პერსონაჟები გახლდით, ვინც ეს ხედი სრულად აღიქვა და მისით დატკბა. დღეს, როცა რეალურ თავებში ფრენა წიგნის პერსონაჟთათვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ცხადია, ჩვენი კოსმოსის რეალური საფარი აღარც ჩვენთვის წარმოადგენს რაიმე საიდუმლოებას. ჩვენი ფიზიკური ტექსტუ-

ალური ცის საერთო ხედი წიგნის ყველა უბანში – თვით ხევსურულშიც კი – მოიპოვება. ყველა პერსონაჟმა იცის, ყოველ შემთხვევაში, თეორიულად მაინც, თუ როგორ (საით) არის მიმართული რეალური მკითხველის თავების მზერა.

იმ დროს კი, როცა რეალურ სამყაროში მე და ალუ პირველად ავფრინდით, რეალური მკითხველის თავებში წიგნის პერსონაჟის მოგზაურობა უტოპიად იყო მიჩნეული და ჩვენის ტექსტის ხედის ხილვა, ცხადია, ამაღელვებელი და თან ერთგვარად დამთრგუნველი განცდაც გახლდათ, რადგან მსგავს არაორდინალურ სიტუაციაში წიგნის პერსონაჟის ადამიანს ამგვარი სილამაზის ხილვა შიშის ჟრუანტელსაც ჰგვრის. პერსონაჟმა უნდა გააცნობიეროს, რომ საკუთარ ბიოსფეროს მოწყვეტილი, საფუძველგამოცლილი, უცხო კოსმოსში ვართ გამოკიდებულები, სადაც მისი აზრობრივი ცხოვრების ერთადერთ საფუძველს რეალური მკითხველის თავის აზრის ნაკადი შეადგენს და თუ ეს ნაკადი უეცრად შეწყდა, რეალური თავი რაიმე სხვა აზრს გადააწყდა, რეალური ინტერესი არა წიგნის სამყაროს საგნისკენ მიმართა, ანდა, რაც ასევე ადვილად დასაშვებია, უბრალოდ ჩაეძინა, პერსონაჟის სიცოცხლეც მაშინვე ჩაქრება და არარად იქცევა. საკუთარი ტექსტის საზღვრებს მიღმა, რეალურ ზენა სამყაროში ყველა პერსონაჟს მუდმივად საფრთხე ემუქრება. წიგნის პერსონაჟები კოსმოსში ფრენას რეალური მკითხველის თავებს უთანხმებენ, თუმცა ტექსტის გარეთა რეგიონებში, რეალურ სამყაროში, კატასტროფა მაინც გარდაუვალია და რეალურ კოსმოსში უკვალოდ დაკარგული პერსონაჟების მოსაძებნად აღარც მემუარული სხივები კმარა, რომელსაც რეალური თავები წიგნის სამყაროში განგაშის ატეხვისთანავე ჩართავენ ხოლმე. პერსონაჟები უფსკრულში შთაინთქმებიან და მის წყვდიადში რეალური თავების მოგონებათა უძლიერესი პროჟექტორებიც კი ვეღარ აღწევს. საბედნიეროდ, მალევე მიხვდნენ, რომ წიგნის სამყაროს დაკარგული ასტრონავტები წიგნის უბნების აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი პერსონაჟები იყვნენ, ის ადამიანები, ვისაც თავიანთი თემებისთვის სულ მცირე თემატური მნიშვნელობაც კი არ გააჩნდათ. ამ პერსონაჟთა ვინაობას ვეღარც რეალური მკითხველის თავები ადგენენ და, ცხადია, კატასტროფისთანავე კარგავენ მხედველობის არიდან. ამიტომ, წესდების თანახმად, ასტრონავტებად მხოლოდ ის პერსონაჟები დაიშვებიან, ვისაც მინიმალური თემატური მნიშვნელობა მაინც გააჩნია, ვისი უსაფრთხოებაც რეალურ კოსმოსში გარანტირებულია, ანუ ვისაც რეალური თავები ადვილად იხსენებენ.

კოსმოსში გაფრენის იმ ისტორიულ დღეს მე და ალუს ყოველივე ამაზე წარმოდგენაც კი არ გვქონდა. ცხადია, მაშინ რეალურ თავებთან

არც ის შეთანხმება არსებობდა, რაც წიგნის პერსონაჟთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. გასაკვირი არ არის, რომ ჩვენი წიგნის კოსმოსის თავზე გადაჭიმულ ასოთა ფენას ათასი ფიქრით შეპყრობილი შევყურებდი. შემდეგ კი ცნობისმოყვარეობამ მძლია, შავი ტექსტის ზედაპირს თვალებით ვბურღავდი, რომ რეალური ტექსტი წამეკითხა. თავიდან ვერაფერს ვხედავდი. რაიმე ლოგიკის დასადგენად ასოთა მწკრივამდე ჯერ ჩვეულებრივი (რეალური) საკითხავი დისტანცია უნდა დამეცვა. ტექსტის ველს რამდენიმე კილომეტრის სიმაღლეზე გადავუფრინე, რაც ზუსტი ორიენტაციისათვის არ კმაროდა.მაშინ, როგორც ჩანს, განაპირა ასოთა ცის საფარის ის უტექსტო ადგილი გავკვეთეთ, რომელიც რეალურ ტექსტში აბზაცის ცარიელ ადგილს შეესაბამება. უფრო ზუსტად, ვეღარაფერი გავარჩიე, რადგან წიგნის სამყაროს თანამედროვე ასტრონავტებისაგან განსხვავებით, რომლებმაც უკვე წინასწარ იციან, ჩვენი კოსმოსიდან რეალური ტექსტის რომელ პუნქტში უნდა ჩაიძირონ და შემდეგ კვლავ რეალური ტექსტის რომელი პუნქტის ზედაპირზე უნდა ამოყვინთონ (მათ რეალური საფრენი და, შესაბამისად, ტექსტის რუკები გააჩნიათ, სადაც ის რეალური სიტყვა, რომელშიც ისინი უნდა შეფრინდნენ – მფრინავების ჟარგონზე მას რეალური საკვანძო სიტყვა ჰქვია – ისევეა წითლად აღნიშნული, როგორც რეალურ ტექსტში მისი შესაბამისი სიტყვა), ცხადია, ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვაჩნდა რაიმე ტექნიკური საშუალება, რაც საქმეს გაგვიიოლებდა.

ბუნებრივია, არც ისეთი სათვალე გვქონდა, რითაც ასოთა მწკრივს თითქმის ყველა რეალური სიმაღლიდან წავიკითხავდით. ასეთი სათვალე, ისევე როგორც დურბინდის მეორე მხარე, საგანს აპატარავებს. რეალური ტექსტის წასაკითხად მსგავსი ოპტიკური ინსტრუმენტები, უბრალოდ, აუცილებელია, რადგან ვრცელი ტექსტის გვერდები წიგნის პერსონაჟის შეუიარაღებელი თვალისათვის თვალმიუწვდენელია. თუმცა ჩვენ, წიგნის პერსონაჟებს, მკითხველი რეალური თავის რეალური წასაკითხი მანძილიდან რეალური ასოთა ფენების გაშიფვრა შეგვიძლია, ანუ რეალური თავის სიმაღლიდან რეალური ტექსტის ხედი მისი აზრის ამოცნობის საშუალებას კი გვაძლევს, მაგრამ (რეალურ) სინამდვილეში, რეალური წასაკითხი მანძილი მუდმივად მონაცვლეობს. შორსმხედველი რეალური თავი წიგნის სამყაროს ტექსტს ისეთ სიშორიდან კითხულობს, სადაც უძლიერესი (წიგნის სამყაროს) დურბინდებითაც ვერაფერს ვხედავთ, ხოლო ახლომხედველი რეალური თავი კი ზედ ჩვენი ტექსტის ცაზეა მიკრული, საიდანაც ასევე არაფერი მოჩანს. ორ უკიდურესობას შორის მოქცეული თანამედროვე ასტრონავტები ზემოთ ნახსენებ დასაპატარავებელ სათვალეს იყენებენ, რითაც რეალური ტექსტის ზედაპირი თითქმის

ყველა კოსმიური საფრენი დისტანციიდან ახლოდან მოჩანს და მისი წაკითხვაც შესაძლებელია. ქისტების მართლაცდა, ფანტასტიკურ, კოსმოსურ ფოტოებზე მე და ალუ არც ისე ცხადად მოვჩანვართ. ამიტომ უფრო ზუსტი წარმოდგენის შექმნა იმ ადგილზე, საიდანაც მე და ალუმ წიგნის სამყაროს ცის საფარი გავკვეთეთ, შეუძლებელია. გარეთ, რეალურ კოსმოსში გადაღებულ ფოტოებზე კი მე და ალუ არაჩვეულებრივად ვართ აღბეჭდილნი. ეს სურათები ოპტიკური და ფოტოტექნიკური ღირებულების თვალსაზრისით შეუდარებელი რარიტეტებია. მაგრამ რეალურ – ტექსტუალური გარემოს, მთელი რეალური სიტყვების, წინადადებებისა და აბზაცების შემადგენელი ლიტერას წაკითხვა ამ ფოტოებით მაინც არ ხერხდება. ამის გამო მე და ალუს არ მოგვეცა წიგნის სამყაროს ის დიდი ფილოსოფიური ბედნიერება, რომელიც რეალური ტექსტის წაკითხვას გულისხმობს, – ანუ იმ ტექსტისა, რომელსაც ჩვენ მივეკუთვნებით. რეალური სამყაროს შუქში მოკაშკაშე ვრცელი, რეალური ასოთა მწკრივის ხილვა, მისი თუნდაც სიტყვასიტყვითი გაშიფვრის გარეშეც, გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენი წიგნის უბნებში დღეს თითქმის ყველგან იბეჭდება წიგნი. გაზეთები, წიგნები და ჟურნალები (განსაკუთრებით დიდ, თანამედროვე თემებში) დიდი ტირაჟით გამოიცემა. რაც შეეხება თავისუფალ ქისტურ ტიპოგრაფიას, ეს მართლაც საოცრებათა ქვეყანაა, – პერსონაჟთა წიგნის სამყაროში მეორე წიგნის სამყაროა. ეს ყოველივე კი, ჩვენი ტექსტის ცის რეალურ ასოთა სტრიქონებს მაინც ვერ შეედრება, რადგან ის, რასაც ჩვენ თემებში ვკითხულობთ, მხოლოდ წიგნის შიდა სამყაროს ეხება. ძირითადად ეს არათემატური ნოველები, რომანები, მოთხრობები და ლექსებია. რასაც ჩვენ თემატურად წარმოვადგენთ და ვასრულებთ, ეს ისედაც ვიცით და არანაირ სიამოვნებას არ განგვაცდევინებს – განსაკუთრებით თემატურად ისეთ უცვლელ თემებში, როგორც ხევსურული თემებია. ჩვენი თემების ცაზე რეალური ასოების სტრიქონები სულ სხვა ისტორიას მოგვითხრობს, განსაკუთრებულ საერო, რეალური სამყაროს პოზიციიდან, რის შესახებაც ჩვენ, წიგნის პერსონაჟები, ჩვენს სამყაროში, ცხადია, ვერაფერს შევიტყობთ. ხოლო ეს კი ჩვენთვის მით უფრო საინტერესოა, ვინაიდან ჩვენი თემების საფუძვლების შეცნობა მხოლოდ ამ პუნქტიდან არის შესაძლებელი. განსაკუთრებულად საერო პოზიცია (სიტყვა „განსაკუთრებულად საერო“ აქ, რა თქმა უნდა, წიგნის გარეთა სამყაროს მნიშვნელობით იხმარება) რეალური ასოების მწკრივისა და რეალური ტექსტის აზრია, მისი ჭეშმარიტი შინაარსია, რომლის წაკითხვაც მხოლოდ რეალურ კოსმოსში, ანუ რეალური მკითხველის თავების პოზიციიდანაა შესაძლებელი.

როგორც მოგახსენეთ, ჩვენი წიგნის ცის საფარზე რეალურ ასოთა ფენების წაკითხვა სულაც არ არის ადვილი საქმე. დღესაც კი, მაღალგანვითარებული ასტრონავტიკის ეპოქაში, წიგნის პერსონაჟებს საკუთარი რეალური ტექსტის ზედაპირი სრულად ვერ გაუშიფრავთ. თვით ტექნიკურად ყველაზე პროგრესულ ქისტებსაც კი მხოლოდ ნაწილობრივ წარმატებაზე შეუძლიათ ისაუბრონ. ეს კი სხვადასხვა მიზეზის გამოა ასე. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ რეალური ასოების ფენა, რაც ჩვენს კოსმოსს ფარავს, წმინდა ენობრივად ძლიერ განსხვავდება წიგნის სამყაროს კონკრეტული თემების პერსონაჟთა მეტყველებისა და წერის სტილისგან. წიგნის სამყაროს ცის საფარისა და თემებში პერსონაჟთა მიერ წარმოთქმულ ტექსტებს შორის ლინგვისტური სხვაობა ხშირად მეტისმეტად დიდიცაა. ეს იმით იხსნება, რომ თემატური წიგნის სამყარო მთელი თავისი პერსონაჟებიანად რეალურ სამყაროში ითარგმნება და ამიტომ ზევით რეალური ტექსტი სულ სხვაგვარად ჟღერს, თუმცა, წიგნის სამყაროს ცის ტექსტი პერსონაჟთა თემატურ სამეტყველო ტექსტს რომც ემთხვეოდეს, მათ შორის სხვაობა მაინც არ გაქრებოდა, ეს სხვაობა მაინც დიდ მნიშვნელობას შეინარჩუნებდა და წიგნის უბნების ისტორიიდან პერსონაჟთა მიერ რეალური ტექსტის სრული გაშიფვრა მაინც უჩვეულოდ გაძნელდებოდა. ობიექტურ და განათლებულ წიგნის უბნებში არსებული სტატისტიკა ცხადყოფს, რომ წიგნის სამყაროს თემატური მეტყველება და გამოხატვის ფორმები 100, 200 წიგნის სამყაროს წელში იცვლება და ვითარდება. დამტკიცებულია, რომ დროის ამ პერიოდის შემდეგ პერსონაჟები თემებშიც და მკითხველი რეალური თავებისათვის განკუთვნილ წარმოდგენებშიც სულ სხვაგვარად მეტყველებენ, ვიდრე ეს მანამ ხდებოდა. გარკვეულ შემთხვევაში ისინი აზრს ხან მოკლედ გამოთქვამენ, ხანაც – უფრო გრძლად, ხოლო იქ, სადაც ენა პერსონაჟთა მოთხოვნებს უნდა დაემსგავსოს, თვით აზრიც კი საგრძნობლად იცვლება. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ თემებში წიგნის უბნის ენა თავისთავად ვითარდება, ცალკეული ენობრივი ფორმები იკარგება და ახლით იცვლება და, ამგვარად, მთელი მორფოლოგია და ლექსიკონი გარდაიქმნება, მაშინ უკვე გასაგები გახდება, რომ წიგნის სამყაროს ცის ტექსტის გამოხატვის ფორმები თემებში წარმოთქმულ (ცოცხალ) ტექსტსა და თემატიკას საგრძნობლად ჩამორჩება, არქაულ სახეს იღებს და ფილოლოგიურად გაუნათლებელი პერსონაჟებიც მას ვეღარ გაშიფრავენ.

რეალურ სამყაროში (თავში) მოგზაურ პერსონაჟს სათანადო განათლებასთან ერთად საკითხავად საჭირო ყველა ხელსაწყოც რომ

ჰქონოდა, დავუშვათ, წიგნის სამყაროს ცის ტექსტსაც რომ ჩასწვდომოდა, ასპროცენტიანი გარანტია იმისა, რომ მას წინ რეალური ტექსტის ის ნაწილი ედო, რომელიც წიგნის სამყაროს უბნის, კონკრეტული თემის, თემების თემატიკისა და კონკრეტული, იქ მოქმედი პერსონაჟების შესახებ წიგნის გარეთა სამყაროს პოზიციას გამოხატავდა, მაინც არ არსებობდა. შინაარსობრივად განსაკუთრებულად მდიდარი პასაჟები წიგნის სამყაროს ცის ტექსტში შედარებით იშვიათია და მისი განსაზღვრა ჩვენთვის, პერსონაჟებისათვის ძალიან ძნელი, ან სულაც შეუძლებელია. პერსონაჟი, რომელიც წიგნის უბნის რეალური ტექსტის ერთი გვერდის გაშიფვრას ახერხებს, დაზღვეული არ არის, რომ მხოლოდ იმას წააწყდეს, რაც თავადაც კარგად იცის. ამ შემთხვევაში იგი წიგნის შიდა სამყაროს მოვლენებს წაიკითხავს და, აქედან გამომდინარე, არა რაიმე ახალ ინფორმაციას გაეცნობა. ეს კი მართლაც დასანანია, რადგან საკუთარი ონტოლოგიური ყოფიერების საიდუმლოების ამოხსნა ჩვენთვის მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი. ტექსტის წიგნის გარეთა სამყაროს გამომხატველი ტექსტის ამ ნაწილში დასახელებულია ჩვენი შემოქმედი რეალური თავის სახელი (გვარი), ანუ წიგნის უბნის რეალური ავტორი, რომელმაც გამოგვიგონა და ქაღალდზე წიგნის უბნის რეალობად განგვასხეულა. ზოგჯერ რეალურ ტექსტის ამ ადგილს ავტორის ფოტოც ამკობს. მაშინ კი რეალურ სამყაროში (თავში) მოგზაურ პერსონაჟებს იმის საშუალებაც ეძლევათ, რომ ამ ფოტოს საკუთარი ხელსაწყოებით სურათი გადაუღონ და შემდეგ თემში გაამრავლონ. ამგვარად, წიგნის უბნის ავტორის პორტრეტებს, იმისდა მიხედვით, თუ როგორ არის განწყობილი (თემატურად, თუ არათემატურად) პერსონაჟი, ჩარჩოში სვამენ და სახლში საპატიო ადგილზე ჰკიდებენ, ან სამიზნედ იყენებენ, აღშფოთებულები ჭმუჭნიან და ტუალეტში ჩაუძახებენ. თუ ყველა თემის მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟი ყურადღებას გამოიჩენს, თემატურ საქმიანობას მოსწყდება და საკუთარი წიგნის სამყაროს ცისკენ აიხედავს, მაშინ პირადად წიგნის უბნის შემოქმედსაც დაინახავს. წიგნის უბნის შექმნის პროცესში ეს ყოველთვის შესაძლებელია, რადგან ავტორის რეალური თავი უბანს თვალმოუცილებლად აშტერდება, ჩვენკენ განსაკუთრებული სემანტიკური ინტერესი იზიდავს და წიგნის სამყაროს ცის რეალური ტექსტის ქვემოთ, წიგნის სამყაროს ღრუბლებიდან წიგნის უბნამდე აღწევს. საკუთარი წიგნის უბნის ავტორს წიგნის პერსონაჟები ისე ეჭცევიან, როგორც მოესურვებათ: ლანძღავნენ, მის თავს (სურათს) ყოველ თემატურ დღეს წყევლა-კრულვით ავსებენ, მასზე შექმნილ ანეკდოტებს ჰყვებიან, მთელი წიგნის უბნის ისტორიის ძირითად იდეას, მის სიუჟეტს გამანადგურებლად აკრიტიკებენ და ა.შ.

ერთი რამ ცხადზე უცხადესია; მისი სახელის, წარმოშობის, რეალური დაბადების თარიღის, რეალური დაბადების ადგილისა და მისი რეალური ბიოგრაფიული დეტალების ცოდნა წიგნის სამყაროს (უბნის) მეცნიერებას დიდ სამსახურს უწევს. ამ გზით ჩვენ, წიგნის პერსონაჟები, საკუთარი „რეალური" წარმოშობის შესახებ მართლაც მნიშვნელოვან ინფორმაციას ვიძენთ.

ჩვენს ისტორიულ მიკროკოსმოსში ამ ცოდნას, შესაძლოა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არც ჰქონდეს, მაგრამ რეალური სამყაროს (თავის) სფეროზე, რომლის წიაღშიც ჩვენ ვცოცხლობთ, ახალი საინტერესო მონაცემები ჩვენს წმინდად თეორიულ ჰორიზონტს უსასრულოდ აფართოებს. ახლა რამდენიმე სიტყვით იმ პრობლემების შესახებ, რომელიც წიგნის პერსონაჟთა მიერ საკუთარი წიგნის უბნის ავტორის ზუსტ განსაზღვრებას უკავშირდება. უნდა ითქვას, რომ წიგნის უბნის შექმნის დროს (მანამდე სრულიად არათემატური, საკუთარ ნებაზე მიშვებული, ანონიმური წიგნის უბნის მოსახლეობის თემატიზაციის და წიგნის უბნებში წესდებით განსაზღვრულ ისტორიულ მოვლენაში მათი თავმოყრისას) რეალური თავისთვის უეცრად თვალის შევლებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. როგორც უკვე ცნობილია, წიგნის უბნის შექმნა ძალზე რთული პროცესია და ხანგრძლივ რეალურ დროს საჭიროებს. ავტორის გარდა წიგნის უბნის ცა ღიაა, ტექსტუალურად მკაცრად განლაგებული ასოთა რიგით არ არის ჩაკეტილი, ამიტომ თავებს სულ უბრალოდ შეუძლიათ ჩვენამდე ჩამოაღწიონ. ასეთ პირობებში პერსონაჟი ვერასდროს იქნება დარწმუნებული, ავტორი ნახა თუ – ვინმე სხვა.

თანაც, სამწუხაროდ, საქმე არც ისეა, რომ წიგნის უბნებს ყოველთვის მუდამ ერთი ავტორი ჰყავდეს, რომლის შესახებაც ინფორმაციას პერსონაჟები შედარებით იოლად მოიპოვებდნენ. წიგნის უბანს სხვადასხვა რეალური თავი ქმნის და წიგნის პერსონაჟს უჭირს გადაწყვიტოს, რომელ მათგანს მიანიჭოს უპირატესობა, განსაკუთრებით თუ ხელთ არც ავტორის ანკეტური მონაცემებითა და მისი ზუსტი სახელით მითითებული წიგნის სამყაროს ცის საფარის კოსმოსური ფოტოები გააჩნია.

ცუდი ფსევდოავტორის ხრიკები

გამორიცხული არ არის, რომ წიგნის უბნებში, სადაც პერსონაჟები უმოწყალო დიქტატურის ქვეშ იტანჯებიან, სადაც ყველა არათემატური გამოსავალი სრულიად ბლოკირებულია, უბნის რეალური სიუჟეტურ-

კონსტიტუციური უფლებამოსილება იმ ცუდ რეალურ თავს ჩაეგდოს ხელში, რომელიც უბნის ნამდვილი ავტორი არ არის და ისტორიასა და ლექსში შექმნილ უკეღმართ პირობებს საფუძვლად სწორედ ავტორის საიდუმლოდ შეცვლა ედოს. სრული დარწმუნებით ამის მტკიცება არ შემიძლია, მაგრამ ჩვენს თემში დიდი ხანია, დადის ხმები, რომ ჩვენ რეალურ თავთა სამყაროში ავტორის ამ ბედნავსი შეცვლის მსხვერპლნი გავხდით და ყველა თვალსაზრისით საუკეთესო პირვანდელი ავტორის ყველა უფლება სხვა რეალურმა ადამიანმა (თავმა) მიითვისა, ხოლო ჩვენი ინტერპრეტაცია კი მისი მდარე გემოვნების წყალობით მოხდა. რეალურ სამყაროში (თავში) გაფრენამდე ეს მხოლოდ საკამათო ჰიპოთეზად იყო მიჩნეული და, მრავალთა აზრით, ამ მოსაზრების დამტკიცება შეუძლებლად ითვლებოდა, რადგან ნამდვილი ავტორი და გაქნილი მატყუარა, ალბათ, აღარც არსებობდნენ. ორივე, როგორც ჩანს, დიდი ხნის მკვდრები იყვნენ და ამაში გასაკვირი არც არაფერია. თუ თავად ღმერთები, რომლებიც რეალური სამყაროს ცაზე სახლობენ, უკვალოდ ქრებიან, მით უმეტეს ონტოლოგიურად ერთი საფეხურით ქვემოთ მდგომ რეალურ თავებსა და უბნის რეალურ ავტორზე რატომ არ უნდა დაგვეშვა მსგავსი ვარაუდი. სხვათა შორის, თვით ეს თავებიც ვერ შეთანხმებულან, რამდენად მოკვდავია და სასრულია რეალური თავი და მრავალ მათგანს გარდაცვალების შემდეგ, ზეციური სიცოცხლისა სწამს. ჯერ კიდევ საკამათოა, სწორია თუ არა ეს მოსაზრება. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ, წიგნის პერსონაჟებიც, ამ კანონის თანახმად, რომლის მიხედვითაც წიგნის სამყაროს ყველა პროცესი შორეულად, რეალურ სამყაროს ენათესავება, ჩვენს თემებში თემატური სიკვდილის შემდეგ, რეალური თავების მსგავსად ჩვენი წიგნის სამყაროს ცაზე ან ცაში უნდა მოვხვდეთ. მსგავსი მეტამორფოზა, – ყოველ შემთხვევაში წიგნის პერსონაჟებში ჯერ არავის შეუმჩნევია – არ მომხდარა. ეს უკვე მეტაფიზიკის საკითხებია და მოდით, ჩვენც ეს საკითხი წიგნისა და რეალური სამყაროს ფილოსოფოსებს გადავულოცოთ.

ამბობენ, რომ ის გაიძვერა, ვინც ჩვენი თემი თემატურად შებილწა, მწყემსი იყო, ასე ვთქვათ, რეალური მწყემსის თავი, რომელმაც ჩვენი თავდაპირველად რბილი ისტორია თავისი შემზარავი იდეებით გამოტენა და პირველ რიგში ის საზიზღარი მწყემსური რეჟიმი დაამყარა,რაც ჩვენ, ყველას ასე გვტანჯავს. ჩვენი წიგნის უბნის შეუბრალებელი, სულის შემხუთველი ხასიათი, ქისტური წიგნის სამყაროს სათაურის წინააღმდეგ მიმართული ზიზღისა და ყველანაირი უმსგავსოების პოლიტიკაც, რომელსაც ასეთი გულმოდგინებით ატარებს ხელისუფლება, ამ ბედნავსმა თავმა შვა. სხვათა შორის, დარწმუნებული ვარ, ამ ჯოჯოხეთუ-

რი ცხენით, – მერანით, ჩემი გატაცებაც ამ უვარგისი, ქვეყნის დამაქცევარი მწყემსის თავის შეთითხნილი ისტორიაა და ჩვენი თემის (თემატიკის) ნამდვილი ავტორი მსგავს სამარცხვინო ყაჩაღობას საკუთარი წიგნის სამყაროში არასდროს დაუშვებდა. უფრო მეტსაც გეტყვით: ჩვენი წიგნის სამყაროს ცის ტექსტი, რითაც ჩვენი თემაა გადახურული, ბევრად ჰუმანური (ქისტმოყვარე) და გახსნილი წიგნის სამყაროს აზრობრივ სურათხატებს წარმოადგენს, ვიდრე მის ქვეშ მდებარე ხევსურული წიგნის უბნის სინამდვილეა. ამ ტექსტს ჩვენი პირველი, კარგი ავტორის ხელი ატყვია და, ალბათ, ამ ავტორის კარგ იდეებსაც სრულიად შეუცვლელად ასახავს, ხოლო ჩვენ კი, წიგნის სამყაროში სულ სხვა, ჩვენი და ჩვენი სიცოცხლის დამღუპველი კანონებით არსებობა გვიწერია.

საკუთარ თემში ვერასდროს შევიტყობთ, თუ როგორია ჩვენი წიგნის ცის საფარის ნამდვილი ტექსტი. მთელი კოსმონავტიკა მწყემსების ხელშია და რეალური კოსმოსის ყველა ინფორმაცია, თვით უმნიშვნელო, არაფრისმთქმელი წვრილმანიც კი მათ ხელში გადის და ჩვენამდე ვერ აღწევს. ინფორმაციის მოპოვების ერთადერთი გზა, ალბათ, ის იქნებოდა, თუ ქისტებს, PanaMeranican-ით ღამით, სიზმრად სტუმრობისას თხოვნით მივმართავდით და უფრო ზუსტად ამის შესახებ მათგან შევიტყობდით. თუმცა, ჯერ კიდევ საკითხავია, რამდენად შესაძლებელია ეს გზა. ვფიქრობ, რომ ეს თვით ტექნიკურად განვითარებული ქისტებისათვისაც ძალზე პრობლემატური უნდა ყოფილიყო, რადგან ჯერ არ მომხდარა, რომ წიგნის პერსონაჟს უცხო თემების წიგნის სამყაროს ცის ტექსტისთვის გადაეფრინოს. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ წიგნის სამყაროს ასტრონავტიკა არსებითად იმ რეალური მკითხველის თავთა აზროვრივ გზებზე ვითარდება, რომელიც მიზანში მხოლოდ ერთ თემს (თემატიკას) იღებს და თავად ასტრონავტებისაგან (პერსონაჟებისაგან) გამომდინარეობს. იმისათვის, რომ წიგნის სამყაროს ცის ტექსტი თემატურად განსხვავებულმა პერსონაჟმა გააკონტროლოს, საჭიროა, რეალურმა თავმა აზრის ნაკადი თემის ასტრონავტებთან (წიგნის პერსონაჟებთან) ერთად თემატურად სრულიად განსხვავებული წიგნის უბნისაკენ მიმართოს. ალბათ, ძალიან ძნელია, მკითხველის რეალურ თავში აზრიდან აზრზე მსგავსად გადახტომის მოთხოვნილება აღძრა. აქვე რამდენიმე მოსაზრება მინდა ჩავურთო ხევსურული თემის წიგნის სამყაროს ცის ნამდვილი, ორიგინალური ტექსტის შესახებ. პირველ რიგში მოგახსენებთ, რომ ჩვენი ტექსტის შეუბღალავი, ორიგინალური ტექსტი, ცხადია, თავისი არსით ქისტმოძულეა. ამ მოსაზრებით მე ვუპირისპირდები ახალშატილის ყველა ანტი და არათემატურ თეორეტიკოსს, რომლებიც, ჩემი აზრით, სრულიად

უსაფუძვლოდ ამტკიცებენ, თითქოს ჩვენი ცის ორიგინალი ტექსტი-სათვის ჩვენს, ქისტებსა და დანარჩენ მოსახლეობას შორის ყოველგვარი მტრობა უცხოა და მეზობელი – წიგნის სამყაროს – მოსახლეობის მიმართ მხეცური Schisch ჩვენი წიგნის უბანში ჩვენი თემის (თემატიკის) უნამუსო ფალსიფიკატორის დამკვიდრებული იყოს. ცხადია, ეს უაზრობაა. ქისტების მიმართ ანტიპათია ხევსურული წიგნის პერსონაჟებში ბევრად უფრო ღრმად ძევს, ვიდრე ეს მათთვის გაქნილი ფსევდოავტორის (რეალური თავის) ხრიკებს შეეძლო დამატებით შთაენერგა. ჩვენი თემის წიგნის სამყაროს ცის ტექსტი შესაძლოა, ქისტების მიმართ ზიზღს არ გამორიცხავდეს, მაგრამ დარწმუნებით მოგახსენებთ, რომ ეს გრძნობა არ თამაშობს მთავარ როლს და არც მთავარ და მეორეხარისხოვან პერსონაჟთა არსს გამოხატავს. განსხვავება აქ მხოლოდ პროპორციებშია. ჩვენი ვერაგულად ნამუსახდილი, უსირცხვილო, გათახსირებულ წიგნის უბნის სინამდვილეში ქისტებისა და საერთოდ, ქისტურობის მიმართ Schischმთელი ჩვენი თემატური ეგზისტენციის უძირითადეს იდეად არის აღიარებული. ჩვენი ცის ორიგინალი ტექსტი კი ამ მახინჯ დამოკიდებულებას უარყოფით, მიუტევებელ და თემატურად ამოსაძირკვ ცოდვად მაინც აღიარებს. ამის შესახებ ზუსტად არც მე და არც არავინ არაფერი იცის, რადგან მთელ ხევსურულ კოსმონავტიკას მწყემსები აკონტროლებენ და მათგან ჩვენი წიგნის სამყაროს ცის ტექსტის შესახებ სწორს ვერაფერს გაიგებთ. ჩემი ვარაუდით, ჩვენი ზეციური, ორიგინალი ტექსტი, ალბათ, ხევსურული და ქისტური წიგნის უბნის მოსახლეობას შორის შერიგებას ესწრაფვის და ამ უბნებს შორის მშვიდობის მოციქულის როლს ასრულებს. ხევსურული წიგნის სამყაროს ცის ტექსტში, თუ ასეთ რამ იქ საერთოდ არსებობს, ბუნებრივია, ქისტის გვამისჭამასაც ალუდას სიზმრის შემაძრწუნებელი კოშმარის მნიშვნელობა აქვს და წიგნის უბნის სინამდვილეში მცირე შესატყვისიც არ გააჩნია. ამ მოვლენათა განსახორციელებლად საჭიროა წიგნის უბნის სატანური ორგანიზება, რომელსაც თემი საკუთარ კლანჭებში ჰყავს გამომწყვდეული და უნარი შესწევს, ყველა პერსონაჟი ამ უღირს, ვაი – წარმოდგენებში ბოროტად გამოიყენოს. მსგავსი იძულებითი, ვაი – წარმოდგენები ჩვენი ცის ორიგინალ ტექსტში მწყემსების ხროვის არარსებობის გამო არ გვხვდება (ჩვენი წიგნის სამყაროს ცის ტექსტში შესაბამისი თვალსაზრისი ჩვენი თემის შესახებ სიმართლეს, რასაკვირველია, მაშინვე გამოააშკარავებდა. პირველ რიგში კი ჩვენი კეთილი ალუდას დაეჭვებას – სად გადიოდა ზღვარი მისი სიზმრის სცენაში პოეზიასა და რეალობას შორის. საკუთარი ტექსტის ამგვარ განხილვას წიგნის პერსონაჟები ვერასდროს შევძლებდით და ამიტომაც

ალუდას გეგმა, მიგვემართა მკითხველის რეალური თავისათვის, რომელიც უშუალოდ აღგვიქვამდა, სრულიად მართებული იყო). ზემოთქმულიდან კარგად ჩანს, რამდენად ყურადსაღები და უჩვეულოდ რთულია წიგნის პერსონაჟისათვის საერო კონცეფციის შემუშავება და ამ სიმაღლიდან (ფრინველის, რეალური სამყაროს პერსპექტივიდან) საკუთარი ისტორიის განჭვრეტა. ჩემი და ალუს წიგნის სამყაროში პირველი, მანამდე წარმოუდგენლად მიჩნეული სამეცნიერო ექსპედიციაც სწორედ ამას ისახავდა მიზნად, თუმცა კი ინფორმაციის მოპოვებას სულ სხვა ხერხებით ვაპირებდით. არ მინდა თავი შეგაწყინოთ წიგნის სამყაროს უბნის თემებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საერო შეხედულებებზე და წიგნის პერსონაჟთათვის მათ შემეცნებით-თეორიულ ღირებულებებზე საუბრით. არც ჩვენი წიგნის სამყაროს ცის ტექსტის რეალურ გამოცემათა რაოდენობის მნიშვნელობაზე საუბრით მინდა დაგღალოთ. წიგნის პერსონაჟები, რომლებმაც იციან, რომ მათ თემს (თემას) წიგნის სამყაროს ცის ტექსტში დიდი სივრცე უჭირავს და მრავალი გამოცემის სახით არსებობს, სადაც რეალურ თავთა შესაბამისი რაოდენობა იმზირება, თავს ბევრად რეალურად და ბედნიერად გრძნობს, ვიდრე ის პერსონაჟები, რომელთა თემი (თემა) წიგნის სამყაროს ცის საფარზე რამდენიმე შემოკლებულ გამოცემას თუ ითვლის. აღარც ქისტებზე გესაუბრებით, რომელთა თემებიც დიდი რაოდენობით გამოიცემა და ამის გამო წიგნის სამყაროში ყველაზე რეალურ და, შესაბამისად, ბედნიერ პერსონაჟებად არიან მიჩნეულნი, აღარც იმ უსირცხვილო ტყუილზე შევჩერდები, რომელსაც ჩვენში მწყემსები ავრცელებენ, თითქოს ჩვენი საბრალო, გაყალბებული თემები (თემა) ყვაოდეს და სულ მოკლე ხანში სიდიდით ქისტების ზეციური ტექსტის ტერიტორიას გადააჭარბებდეს.

ჩვენი წიგნის სამყაროს ცის საფარის კვლევა და ხევსურული თემის შესახებ რეალური ჭეშმარიტების აღდგენა-გამოაშკარავება, სამწუხაროდ, მწყემსების გამო სრულიად შეუძლებელი, ანდა, საუკეთესო შემთხვევაში, შორეული მომავლის საქმეა.

წიგნის სამყაროს ცის ტექსტის გავლით

ახლა კი კვლავ იმ პერიოდს მინდა მივუბრუნდე, როცა რეალური თავის აზრის ნაკადმა ჩვენი წიგნის სამყაროს კოსმოსის ტექსტური ცის ზემოთ ამიტაცა და საკუთარ ბიოსფეროს მოწყვეტილი, ჰაერში გამოკიდებული აღმოვჩნდი.

წიგნის პერსონაჟს სწორედ ეს პოზიცია უქმნის საერო შეხედულებას,

მაგრამ, ცხადია, სულ სხვაგვარს, ვიდრე მანამდე ვსაუბრობდით. წიგნის სამყაროს ცის ტექსტუალურ საფარზე რეალური პასაჟები წიგნის სამყაროს თემების შესახებ რეალური თავების მოსაზრებას გვაცნობს და წიგნის უბნის ავტორის რეალური პიროვნების შესახებ სხვა ბევრ მნიშვნელოვან ინფორმაციასაც გვაწვდის. პერსონაჟის საერო მდგომარეობა კი – თანაც თუ ჩვენსავით ტექნიკურად აღუჭურველია – სულაც არ არის ინფორმაციული. ამ დროს პერსონაჟი თეთრ (ცის) ფონზე მხოლოდ შავი ხვეულების ზღვას ხედავს, ვერაფერს ხვდება და მისი მოხაზულობა ყველაზე უფრო ამოუცნობი და შეუღწევადი რამ არის, რაც კი მანამდე უნახავს.მეც სწორედ ასე დამემართა.

ჩემს ქვემოთ გადაშლილ უზარმაზარ შავ-თეთრ სიბრტყეს დათრგუნული ჩავშტერებოდი, რომელიც სადღაც სწრაფად იძირებოდა, რადგან რეალური აზრის ნაკადს ზემოთ და ზემოთ ავყავდით. იდუმალი ხვეულების ზღვის წინაშე რაიმეს გამოკვლევაზე და შეცნობაზე ფიქრი სრულიად უნაყოფო და შლეგური ახირება იყო. იმ წუთას მომეჩვენა, რომ ჩვენი წიგნის სამყაროს ცის ტექსტუალური საფარი უიმედოდ იყო ჩარაზული და ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ჩვენს სამყაროში გამავალი ჭიშკარი სამუდამოდ ამოექოლათ, საიდანაც ვეღარაფერს – თვით ჩვენი თემიდან უსასრულოდ შორეულ ციურ სხეულებსაც კი – ვეღარ დავინახავდი.

ამგვარი დაეჭვება სრულიად მცდარია. მაღალგანვითარებული წიგნის სამყაროს კოსმონავტიკის ეპოქაში საყოველთაოდ ცნობილია, რომ მკითხველის თავის რეალური აზრის ნაკადში მოხვედრილ წიგნის პერსონაჟს გარეთ, რეალურ კოსმოსში, მუდმივად სიურპრიზები ელის. რეალური თავის აზრის ნაკადი შესაძლოა, ამ თავის რეალურ სხივად იქცეს და წიგნის სამყაროს ცის ტექსტიდან, ვარსკვლავებიდან და პლანეტებიდან წიგნის პერსონაჟის ყველა მშობლიურ თემამდე ჩააღწიოს. მაშინ რეალური აზრის ნაკადი უზარმაზარ, მილიონობით კილომეტრი სიგრძის კოსმიურ სივრცეს გაჰკვეთს და რეალურ თავში მოგზაურ პერსონაჟს საკუთარ თემს რამდენიმე მეტრის მანძილიდან, უშუალო სიახლოვიდან დაანახებს. რეალური აზრის ფანტასტიკური ოპტიკური ტევადობა იმით აიხსნება, რომ რეალური თავი, საიდანაც აზრის ნაკადი იღებს სათავეს, რეალური წიგნის უბნისკენ მიმართულ მზერას იქ ჩაანათებს.

ასეთ შემთხვევებში, რეალური თავის აზრის ნაკადი მის რეალურ (ორიგინალურ) ხედვას წარმოადგენს, კოსმიურ გამჭვირვალეს იძენს, წიგნის სამყაროს თემას სწვდება და იქ მომხდარ მოვლენებს პროექტორის ნათებად ქცეულ შუქზე ცხადად წარმოაჩენს. პერსონაჟი, რომელიც

ამ დროს რეალური აზრის ნაკადში, წიგნის სამყაროს კოსმოსიდან ძალზე შორს იმყოფება, აზრის ნაკადის გამჭვირვალებით სარგებელს ნახულობს და საკუთარ თემს შეიმეცნებს, რადგან რეალური თავი თემის თემატურ სურათხატებს გადიდებულად (წიგნის სამყაროს რეალობის მასშტაბით) აღიქვამს, ასტრონავტი პერსონაჟები ცდილობენ, თემელ ამხანაგებს (მეგობრებს, ნათესავებს ან ნაცნობებს) ხელი დაუქნიონ, ან დაუძახონ და მათი ყურადღება მიიქციონ, მაგრამ ამაოდ: რეალურ კოსმოსში ამგვარად დანახული პერსონაჟები მხოლოდ რეალური თავის გადიდებული ოპტიკური გამოსახულებაა და რეალური თავის მზერის აზრის ნაკადიდან მოცილებისთანავე უკვალოდ ქრება. თუ პერსონაჟმა თავად არ განიცადა ეს საოცრება და მისი უწყვეტი ზემოქმედების ძალა, ვერც მის აღწერას შეძლებს. იმის ხილვა, თუ როგორ იწყებს მოძრაობას ჩვეულებრივ შემთხვევებში ჩაკეტილი, უსასრულოდ გაფარჩხული წიგნის სამყაროს ცის შავ-თეთრი საფარი, ისე, თითქოს უხილავი ხელი შეეხოო, როგორ იწევს აქეთ-იქით რეალური ასოთა რიგი და მანათობელი ღრიჭოდან თემის ხედი გადაიშლება, ყოველგვარ წარმოსახვით საზღვარს სცილდება. წიგნის უბნის ისტორიის თემატურ მოვლენებს თითქოს ორი-სამი მეტრის სიმაღლიდან დავყურებდეთ და თემის (თემას) სურათხატები უშუალო სიახლოვიდან ზუსტად ისევე მოჩანს, როგორც იქ დავტოვეთ.

წიგნის სამყაროს თავზე დაკიდებული რეტროსპექტულად ვჭვრეტ-დი წიგნის სამყაროს და ჩვენს ხევსურულ თემს. ამგვარი თვალთახედვის დამახასიათებელია ცალმხრივობა, ანუ დანახვა შესაძლებელია მხოლოდ რეალური თავის მზერისა და აზრის მიმართულებიდან. თემში დარჩენი-ლი, რეალური მზერის ობიექტი პერსონაჟები კი შორსმხედველობას ვერ იძენენ და მათი მზერაც უწინდებურად თემატური მთებით, ღრუბლე-ბითა და წიგნის სამყაროს ცით არის განსაზღვრული და შემოფარგლუ-ლი. ის, ვინც ოქროსფრად მოელვარე კოსმოსურ ანარეკლში ასე ცხადად აღმოვაჩინე, მწყემსი იყო, რომელიც ქვემოთ, ხევსურულ თემში, ალუს სიზმრის სცენის გუშაგად არის გამწესებული და სცენის უკანა პლანზე მთელი ამ საზიზღარი თემატური Schisch-ის წესდებისამებრ განვითარებას ფხიზლად დარაჯობს (პერსონაჟებს ქისტის გვამის საჭმელად უკრას თავი და ისინი დროულად გაამწესოს წარმოდ-გენებში). სწორედ ეს ამაზრზენი არსება წარსდგა ჩემს წინაშე მთელი თავის სიგრძე-სიგანით და პატარა, მოუსვენარი თვალებით მბურღავდა. მის გაქნილ სახეს ზედ ცხვირწინ ვხედავდი. ამ პირუტყვის დანახვაზე ში-შმა ამიტანა, მეგონა, თვითონაც მხედავდა და სადაცაა მწვდებოდა კიდეც. მექანიკურად მარჯვენა მოვმუშტე და გადავწყვიტე, თუ ჩემს

წინააღმდეგ ხელს აღმართავდა, რეალური თავის აზრის გზიდან (რეალური თავის დაუსაბამო კოსმოსში) მომესროლა.

მალევე მივხვდი, რომ ეს მტარვალი სადღაც შორს, ჩემს მიღმა იყურებოდა და თვალებში ნიშანწყალიც კი არ ეტყობოდა იმისა, რომ ჩემს იქ ყოფნას ამჩნევდა. ქურდულად აქეთ-იქით იხედებოდა, ხელებს იქნევდა, აშკარად რაღაცას თუ ვიღაცას ეძებდა. მეც დავმშვიდდი, დავრწმუნდი, რომ ეს გამოთაყვანებული ვერ მხედავდა და ამ მოლანდების ყურებით გავერთე. მაშინვე თვალში მომხვდა, რომ ეს ჯეელი თვალებგადმოკარკლული ზემოთ, ჩვენი თემის ცას მიშტერებოდა და თვალი რომ არ მოსჭროდა, ხელით იჩრდილავდა. უეცრად გონება გამინათდა და მივხვდი, რომ ეს ნაძირალა მე და ალუს გვეძებდა – მათ, ვინც წიგნის სამყაროდან (თემა/თემიდან) რეალურ თავთა ზენა სამყაროში უნებართვოდ დავადექით გზას. დურბინდმომარჯვებული მწყემსი ჩვენი თემის ცას ზვერავდა. მის გვერდით სხვა მწყემსებიც გამოჩნდნენ. მაღალი, მწვანე ქუდებში გამოწყობილი უშიშროების მუშაკები, ამ გულისამრევი საძმოს წევრები. ისინიც მრისხანე სახეებით თემის ცის საფარს მისჩერებოდნენ. ზოგი მათგანი ფიზიკის რაღაც ხელსაწყოს ჩაშტერებოდა და სხვა მწყემსების მისამართით მეგაფონებით ბრძანებებს იძლეოდა – მათ კი მე უკვე ვეღარ ვხედავდი. მაშინვე მივხვდი, რის გაზომვასა და გამოანგარიშებას ცდილობდნენ ასე მონდომებით: სხვა რას, თუ არა რეალური აზრის ნაკადის მდინარებას, რითაც ჩვენ ორნი თემიდან ავფრინდით. თუ ნაკადი პერსონაჟთა თემატურ სახლებში (ოთახებში) არ ჩაედინება, რომლის საცხოვრებელი ფართიც, როგორც წესი, იმდენად პატარაა, რომ მისი განსაზღვრა თეორიულად და პრაქტიკულადაც სულ იოლია, მაშინ წიგნის სამყაროში მისი დაფიქსირება ძალზე ძნელია. სწორედ ამ გარემოებამ შეაძლებინა ალუს თავის ბინაში, სადაც სიზმრის სცენა მასთან ერთად მხოლოდ თემატურად ვითარდება, რეალური იდეათა ნაკადი აღმოჩინა და გასაქცევად გამოეყენებინა. ღია მინდორზე კი – თუ ხელთ სპეციალური საზომი ხელსაწყო არ გექნათ (წიგნის სამყაროს იმ დროს კი, რომლის შესახებაც მე მოგახსენებთ, მსგავსი ხელსაწყოები ჯერ არ გამოეგონათ), – რეალური აზრის ნაკადის დაფიქსირება, რომელსაც მკითხველის რეალური თავი წიგნის უბანში დამატებით ჩამოაგზავნის, უკიდურესად რთულ, გეოდეზიურ პრობლემას წარმოადგენდა. თავსატეხს უკვე ის ადგილი ქმნის, სადაც ეს ნაკადი წიგნის უბნის ციდან ჩამოიღვრება და საიდანაც საგნებისაკენ იწყებს დინებას, რადგან წინასწარი შეთანხმების გარეშე ვერც ერთი პერსონაჟი ვერასდროს გამოიცნობს, თუ წიგნის უბნის რომელი ნივთისკენ მიმართავს

რეალური თავი თავის ნააზრევს. რეალურმა თავმა წიგნის პერსონაჟს უბანში თავისი განსაკუთრებული ინტერესების შესახებ წინასწარ რომ ამცნოს კიდეც, პრობლემა ამით მაინც არ გადაიჭრება. ღია ცის ქვეშ რეალური თავის აზრის ნაკადი წიგნის უბნის მეტეოროლოგიური პირობების გავლენას განიცდის. ძლიერმა ქარმა, შესაძლოა, ის უეცრად სულ სხვა მოვლენისკენ მიმართოს, ხოლო ამ მოვლენამ კი ნაკადი სრულიად შთანთქას. იმისათვის, რომ წიგნის სამყაროს უბნის ღია მინდორზე რეალური აზრის ნაკადმა უწყვეტობა შეინარჩუნოს და საიმედო ინტერკოსმიურ სატრანსპორტო საშუალებად იქცეს, უპირველეს ყოვლისა საჭიროა საკუთარი უბნის მცოდნე პერსონაჟებმა სპეციალური მეტეოროლოგიური სადგურები მოაწყონ და იქაურობა კარგად შეისწავლონ. დღეს, როცა უკვე ასტრო (წიგნის თავის) ნავტიკა თითქმის ყველა ტექნიკურად მაღალგანვითარებულ წიგნის სამყაროს უბანში ჰყვავის, ამ ელემენტარულ საკითხებზე საუბარი, ალბათ, ზედმეტიც კია. მაშინ კი, რეალური თავების სამყაროში გაფრენის ისტორიულ მომენტში, მსგავსი გამოცდილება არავის, თვით ქისტ პერსონაჟებსაც არ ჰქონდათ.

მწყემსების დაძაბული სახეები, ხელსაწყოებით მათი ფუსფუსი, რომელსაც ბუნებრივი ზომით, თემიდან ჩემამდე არეკლილ სურათხატებად ვხედავდი, მხოლოდ იმას მოწმობდა, რომ ჩვენი ძვირფასი ხევსურული ხელისუფლება ცდილობდა, რეალური აზრის ნაკადისათვის მიეგნო. მწყემსებს დღის შუქზე ვხედავდი და დავასკვენი, რომ ღამეს უკვე გაევლო და გათენებულიყო კიდეც. ცნობილია, რომ ალუს სიზმრის სცენა გვიან საღამოს იმართება. წიგნის უბნის დრო და თემის მთელი სიტუაცია შეცვლილიყო და მივხვდი, რეალური აზრის ნაკადი, ალუს სახლიდან შორს, ღია მინდვრებზე მოედინებოდა. მწყემსებიც ცხადად და ბუნებრივი სიდიდით მოჩანდნენ და ჩემს ვარაუდს ესეც ამტკიცებდა. როგორც ჩანს, ისინი რეალური აზრის ნაკადიდან არცთუ ისე შორს იმყოფებოდნენ და ეს უკანასკნელიც მათ სრულად ირეკლავდა. შემდეგ კი აზრის ნაკადი წიგნის უბნის დედამიწას მოწყდა და მათ თავზე მოექცა. ვერტიკალურ მდგომარეობაში წიგნის პერსონაჟისათვის რეალური აზრის ნაკადის შემჩნევა ყველაზე ძნელია – წიგნის სამყაროს იგი თვალისათვის შეუმჩნევლად გამსჭვალავს. ამიტომ ზევით მოწმენდილი ცის გარდა არც არაფერი მოჩანს და შეუარაღებელი თვალით მის დანახვაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ზემოდან ჩვენი წიგნის სამყაროდან არეკლილ სრულიად მუნჯ თემატურ სურათხატებს დავყურებდი. მწყემსების ხმა არ მესმოდა, მაგრამ ის, რომ მათი პირიდან ჩვენი მისამართით უშვერი, ცისა და მიწის შემძვრელი ლანძღვა-გინება

ამოდიოდა, მწყემსების ტუჩების მოძრაობაზე მივხვდი. აქვე ისიც მინდა ჩავურთო, რომ წიგნის სამყაროდან აფრენილ კოსმონავტებს რეალური აზრის ნაკადში უეცრად შემოჭრილი სატელევიზიო არხებით ხმაც ესმით, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ანარეკლი მოლაპარაკე სურათხატებადაც გადაიქცევა და მათი ხმა წიგნის სამყაროდან ამ თავბრუდამხვევ სიმაღლემდეც აღწევს. მხოლოდ მაშინ, როცა რეალურ თავს თემის თემატური ფიგურების საუბრის მოსმენის სურვილიც უჩნდება, მეტყველების დროს წარმოქმნილი ბგერათა რხევები, რეალური აზრის ნაკადის გავლით ზემოთ, რეალურ კოსმოსში აღწევს და მფრინავი პერსონაჟებიც საკუთარი თემის წარსულს ხმოვან სურათხატებად აღიქვამენ. ბგერისა და გამოსახულების შორ მანძილზე გადაცემა დღეს სრულიად მექანიკური პროცესია და რეალურ სამყაროში აფრენილ პერსონაჟებს მშობლიური წიგნის უბნის უახლესი რეპორტაჟებით მუდმივად ამარაგებენ. მაშინ, ჩვენი პირველი კოსმოსური გაფრენის დროს, მსგავს ტექნიკურ ხელშეწყობაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. იმის ყურება და მოსმენა, თუ როგორ დასუნსულებდნენ ჩვენს საძებრად გამოსული მწყემსები, არც ჩემთვის და არც ალუსათვის საამური არ იქნებოდა. რეალურ თავს, რომლისკენაც ჩვენ მივფრინავდით, სულაც არ აინტერესებდა მწყემსების საუბარი და არც მათი ყურების სურვილს ამჟღავნებდა. ეს იქიდანაც ჩანდა, რომ მალე ჩვენი თემიდან არეკლილი სურათხატები გაქრა და რეალური აზრის ნაკადში მათგან აღარაფერი მოჩანდა.

იმის შესახებ, თუ როგორ შევცურდით რეალური თავის ცნობიერების ნაკადში

ახლა კი თხრობას რადიკალურად შევცვლი, რაც, ცხადია, ჩვენი მდგომარეობის მნიშვნელოვანი ცვლილებებით არის გამოწვეული. აღარ გიამბობთ იმ განსაცვიფრებელ მოვლენებზე, (წიგნის სამყარო) პლანეტებზე, ცის საფარზე, წიგნის სამყაროს ცის ტექსტზე და ა.შ.) რაც ზემოდან ვიხილე და ჩემი კეთილი მკითხველის ყურადღებასაც სულ სხვა მიზნებისკენ მივმართავ. შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ ჩემი მემუარები და წიგნის სამყაროს მეცნიერული გამოკვლევები რეალურ სამყაროში ცნობილი გახდეს და, შესაბამისად, გამოიცეს კიდეც. რეალური თავების დაინტერესება წიგნის პერსონაჟთა არათემატური პირადი ცხოვრებით იმდენად დიდია, რომ ეს, სულაც არ არის გამორიცხული. ახლა კი ზემოთ არსებულ გრანდიოზულ მოვლენაზე, ანუ რეალურ თავზე მინდა მივუთითო, რომელიც მუქი ფერის დისკოსავით ფარავს რეალური

სამყაროს ზეცას. რეალური თავის უშუალო სიახლოვეს მოხვედრილი პერსონაჟები, თავებს მექანიკურად მიზნისკენ ატრიალებენ, იმისდა მიუხედავად, სურთ მათ ეს თუ არა და იმ რეალურ თავს მიშტერებიან, რომლისკენაც მიფრინავენ. ამ ფენომენს დღეს პერსონაჟთა და რეალურ თავებს შორის არსებული მიზიდულობის კანონით ხსნიან, რომელიც გარკვეულ კოსმოსურ მანძილზე ჩნდება და მფრინავ პერსონაჟს ზუსტად მოგზაურობის მიზნისკენ წარმართავს. ასევე ხდება თემებში უკან დაბრუნების დროსაც; რეალური თავის აზრის ნაკადით უკან მოვსრიალებთ და, როგორც წესიერ მგზავრს შეეფერება, მიზნისკენ ზურგშექცევით კი არ მივიჩქარით, არამედ მშობლიურ (თემატურ) ლანდშაფტს პირისპირ ვუმზერთ და წიგნის უბნის მიწაზე ისე ვეშვებით.

ჩვენი მოგზაურობის მიზანს – *რეალურ თავს – ახლოდან შევჩერებოდი, რომელიც ისე შემაშინებლად გადიდებულიყო, რომ მის სახეს* მთლიანობაში ვეღარც აღვიქვამდი. ჩვენ უკვე მიზიდულობის ზონაში მივცურავდით, ანუ ზედ რეალური სახის გიგანტურ კედელთან, სადაც უკვე ზოგადი ნიშნების ამოცნობა, რომ აღარაფერი ვთქვათ ხასიათის თვისებებზე შეუძლებელიც იყო. როცა წიგნის სამყაროს ასტრონავტი ფრენისას თავს მექანიკურად რეალური თავისკენ მიატრიალებს, როგორც წესი, უკვე დაგვიანებულია, რომ პერსონაჟმა მისი გარეგნობა გაარჩიოს. რეალური თავის კონტურების აღსაქმელად და (პირადად) მის გასაცნობად პერსონაჟმა საჰაერო ფრენისას მისკენ ბევრად უფრო ადრე უნდა მიმართოს მზერა. ეს კი სულაც არ არის ადვილი და გარკვეულ სპორტულ მონაცემებსაც საჭიროებს. ამის შესახებ, ცხადია, ჩვენ მაშინ არაფერი ვიცოდით. ფაქტიურად, რეალურ თავში ისე შევფრინდით, რომ წარმოდგენაც კი არ გვქონდა, როგორ გამოიყურებოდა იგი. დიახ, ისიც კი არ ვიცოდით, რეალური თავი მამრი იყო თუ მდედრი. ამის დადგენა მხოლოდ იმ თვალსაწიერიდან არის შესაძლებელი, საიდანაც მოგზაურობის მიზნის სახე მთლიანობაში ნათლად მოჩანს. რეალურ თავში დაშვების შემდეგ საკმაო დრომ უნდა განვლოს, სანამ წიგნის პერსონაჟი მის ვინაობას დაადგენდეს, ანუ სანამ ამ თავის შიდა, ქაოტური სიჭარბიდან მის კონკრეტულ (პიროვნულ) თვისებებზე რაიმე დასკვნის გამოტანას შეძლებდეს. ძირითადი მიზეზი კი ის გარემოება გახლავთ, რომ ყოველ რეალურ თავში, ისევე, როგორც ყოველი წიგნის პერსონაჟის თავში, გარედან (რეალური და წიგნის სამყაროდან) მიღებული შთაბეჭდილებები ბატონობს და წმინდად რეფლექსურ, რეალური თავის გამომხატველ სახეს, როგორც წესი, იქ იშვიათად წააწყდებით.

დანიშნულების ადგილზე დაშვება, რასაკვირველია, სულ

სხვაგვარად წარმოგვედგინა. ალუც იქ იყო. როგორც მოგახსენეთ, ის რამდენიმე ასეული მეტრით მისწრებდა. აფრენის წუთიდანვე ერთმანეთისთვის თვალი აღარ მოგვიკრავს, რადგან რეალური აზრის ნაკადს რეალური თავის გარემომცველი რეალური სამყაროს რომელიღაც ნივთის გრძელი, უზარმაზარი შავი ჩრდილი ეცემოდა და წინ და უკან მყოფსაც (მე ალუს უკან მივფრინავდი) თვალისთვის უხილავს ხდიდა. რეალური თავი გიგანტური ადამიანის სახედ წარმოგვედგინა, სადაც ფეხის მოკიდება არ უნდა გაგვჭირვებოდა: შესაძლოა, ეს შუბლის მიდამოებში მომხდარიყო, რეალური ტვინის ადგილსამყოფელში, სადაც ჩვენი გამოთვლების თანახმად, რეალური აზრის ნაკადი ჩაედინებოდა. სწორედ იქ ვაპირებდით რეალური თავის შუბლის კედელზე ფრთხილი, თავაზიანი დაკაკუნებით რეალური თავის ყურადღების მიპყრობას და აზრის ცენტრში შესასვლელად ნებართვის აღებას. ჩვენ ხომ წიგნის პერსონაჟები ვართ, ანუ წასაკითხი, სიუჟეტური მასალისგან შექმნილი არსებები, რომელთა წარმოდგენაც რეალური თავის შიგნით სულ ადვილია. ჩვენი სტუმრობის მოტივად რეალური თავისა და, საერთოდ, წიგნისა და რეალური სამყაროს დაინტერესებას დავასახელებდით. ალუ არ აპირებდა რეალური თავისთვის ჩვენი მოგზაურობის ნამდვილი მიზეზი მისვლისთანავე გაემხილა, რაც მისი სიზმრის სცენის თავდაპირველი სიმართლის გარკვევასა და რეალური თავის თვალში მისი, როგორც ალალ-მართალი ხევსური პერსონაჟის სახელის რეაბილიტაციას გულისხმობდა, რადგან არ ვიცოდით, კონკრეტულად როგორი მკითხველის თავთან გვქონდა საქმე: ხევსურულ თემში Schisch-ის მოწინააღმდეგესთან, თუ მის მომხრესთან. რეალურ თავში წიგნის პერსონაჟი სულ სხვაგვარად შეფრინდება. ისე კი ნუ წარმოიდგენთ, თითქოს რეალურ თავში მოხვედრილები მისი სახის კანის ფორებში, როგორც უზარმაზარ ფიორდებში, ისე დავეხეტებოდეთ, ანდა მისი რეალური შუბლის ნაოჭებში, როგორც თვალუწვდენელ ველებზე, ისე დავსეირნობდეთ და მისი რეალური წევრის ნამჯიან მინდვრებზე ვშლიდეთ კარვებს.

რაც ჩვენ მაშინ წიგნის პერსონაჟთაგან პირველებმა შევიტყვეთ და რაც კოსმო (რეალური თავის) ნავტიკაში ორჯერ ორივით ცხადია, ის ფაქტი გახლდათ, რომ პერსონაჟი რეალურ თავში შეფრენისთანავე ამ თავის ცნობიერების ნაკადში შეტოპავს და რეალურ თავში ელვისებური სისწრაფით მიიწევს წინ, ურომლისოდაც იგი საზღვრის გადალახვასთან დაკავშირებულ წინააღმდეგობებს ვერ დასძლევს. ეს დღეს ყველა პერსონაჟისთვის ცნობილია და ამ ფაქტით წიგნის სამყაროში ვერავის გააკვირვებ. რეალური აზრის ნაკადი შესაბამისი რეალური თავის

ბევრად უფრო დიდ და ფართო ცნობიერების ნაკადს ერთვის და პერსონაჟებიც იქ მოხვედრისთანავე რეალური თავის გარდიგარდმო იწყებენ მოგზაურობას. ყოველივე ძალზე სწრაფად ვითარდება. რეალური სამყაროდან რეალურ თავში შესვლა, როგორც წესი, შეუმჩნევლად ხდება და, ცხადია, ამას, ვერც მფრინავი პერსონაჟები გრძნობენ. ბევრს ჰგონია, რომ რეალური სამყაროს რომელიმე საგნის ჩრდილს ხედავს. სინამდვილეში კი ამ ჩრდილს რეალური თავის ცნობიერების ნაკადიდან მყინვარივივით აღმართული გაქვავებული რეალური აზრი ჰფენს. ჩვენც იგივე დაგვემართა: როცა რეალური აზრის გზამ რეალური თავის შიდა სივრცეში შეგვიყვანა და საკუთარი ცნობიერების ნაკადს შეგვაერთა, გვეგონა ჯერ კიდევ რეალური სამყაროს ატმოსფეროში მივფრინავდით. იმ დროისთვის უკვე მაღალგანვითარებული ქისტური ასტროლოგია რომ არა, რომელიც საუცხოო ტელე-ფოტოაპარატურას ფლობდა, დღეს იმასაც კი ვერ გეტყოდით, რეალური თავის რომელ ნაწილში მოხვდით. რეალური სამყაროსა და რეალური თავის საზღვარზე, ქისტებმა თავიანთი ობსერვატორიებიდან ფოტოზე აღგვბეჭდეს. ალბათ, გახსოვთ, რომ ამის შესახებ თავად ვთხოვეთ.

ეს ფოტოები დღეს უკვე ისტორიულ საბუთს წარმოადგენს, რომელიც ქისტმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს და ბრწყინვალე კომენტარები დაურთეს. დადგინდა, რომ რეალური აზრის ნაკადი თავში შუბლიდან, ცხვირიდან ან პირიდან კი არ გვისრუტავდა, არამედ პირდაპირ ამ თავის რეალური თვალებიდან, საიდანაც უკვე უშუალოდ მის ცნობიერებაში ვხვდებოდით. წიგნის უბნებში დღეს უკვე ეს სკოლის მოწაფემაც კი იცის. რეალური თავები წიგნის უბნებს მუდამ საკითხავი მასალის სახით ეცნობიან, ანუ რეალური თვალების გამჭოლი მზერით წიგნის სამყაროში ტექსტუალური ცის საფარიდან იმზირებიან და აზრის ნაკადიც, რომელსაც იგი კითხვისას ჩვენსკენ ჩამოგზავნის, ჩვენამდე რეალურის მზერის სხივებთან ერთად აღწევს. ამიტომ ყველა ასტრონავტი პერსონაჟი მკითხველის თავის რეალური მზერის მიმართულებით მიცურავს და რადგან ამგვარი თავის აზრის ნაკადი ამავე დროს მისი მზერის სხივიცაა, პერსონაჟი რეალური თვალებიდან მის რეალურ ცნობიერებაში შეაღწევს. ეს ელემენტალური ჭეშმარიტებაა, ჩვენ კი ამის შესახებ არაფერი ვიცოდით.ქისტების გადაღებულ ფოტოებზე ჩემი და ალუს სახეს ასტროლოგიაში გაუთვითცნობიერებული კარგადად გაარჩევს, მაგრამ იმას კი ვერ მიხვდება, სად ვიმყოფებით: რეალურ სამყაროში, რეალურ თავთან ახლოს თუ შორს, მის ღაბაბთან თუ მისი ცხვირის ძგიდის ზემოთ, ისეთი ერთფეროვანი და ნაცრისფე-

რია ფონი, რომელზეც ჩვენ მოვჩანვართ. გამოცდილ ქისტ პერსონაჟებს კი სწორედ ეს ერთფეროვნება უმხელს ათას რამეს. ათწლეულების მანძილზე დაგროვილი გამოცდილების წყალობით, ქისტების ნაცადმა თვალმა მაშინვე დააფიქსირა რეალური თავის ცნობიერებაში ჩვენი ზუსტი ადგილსამყოფელი. სურათებს წიგნის სამყაროს ცისთვის დამახასიათებელი რძისფერი ნისლი გადაფარვოდა, რომლის ქვეშაც მათ ორი რეალური თავის თვალები ამოიცნეს – რეალური გუგების ორი პატარა, მოციმციმე ზღვა, რეალური ქუთუთოები, რომელიც ტყით დაფარულ მთის ქედს ჰგავდა და სხვა გეოგრაფიული დეტალები. შემდეგ, როცა ქისტური წიგნის უბნებს სიზმრად ვესტუმრეთ, PanaMeranican-ში მათ ყველა ეს ფენომენალური ფოტო გვიჩვენეს და საგულდაგულოდ აგვიხსნეს კიდეც. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ქისტი ასტრონავტების განმარტებამ რეალურ თავში (სამყაროში) მოგზაურობის მარშრუტი ბოლომდე შეგვაცნობინა. რეალური თავის ცნობიერებაში შესვლის მომენტში კი ჩვენი ზუსტი ადგილსამყოფელის გაცნობიერება ვერ შევძელით და წარმოდგენაც კი არ გვქონდა, რომ მის ცნობიერებაში თვალებიდან შევცურეთ.

უჩვეულო ყინულის გელტეგი

მახსოვს, ახალ გარემოში პირველად თვალში ის მომხვდა, რომ რეალური აზრის ნაკადის დინებამ საგრძნობლად იკლო. რეალური სამყაროს ჩრდილმა, უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყოდით, რეალური თავის სამყაროს ჩრდილმა (რადგან ჩვენ უკვე რეალურ თავში მივედინებოდით) გვერდით ჩაგვისრიალა, იგი უწინდებურად წიგნის სამყაროს ცის საფარის მიმართულებით კი არ მოძრაობდა, არამედ ჩვენს ზურგს უკან, ჰორიზონტალურ სიბრტყეზე განრთხმულიყო და თანდათან გვშორდებოდა. ცხადად ვიგრძენით, რომ რეალური თავის კოსმოსში ვერტიკალურად კი არა, ჰორიზონტალურად მივედინებოდით. ჩვენი მდგომარეობის ცვლილება სრულიად აშკარა იყო, მაგრამ რეალური თავის შიდა სივრცეში ცნობიერებას – მიზანს, მაინც ვერ ვუახლოვდებოდით. თავისი ზოგადი ხასიათით „ცნობიერების სფეროსა" და ფიზიკურ რეალურ სამყაროს შორის მსგავსება იმდენად დიდია, რომ გარე ატმოსფეროდან შიდა ატმოსფეროში მოხვედრილ წიგნის სამყაროს ასტრონავტებს სწორედ ეს მსგავსება უშლით ხელს ორიენტაციის დადგენაში. დღესაც კი, როცა საპლანეტათშორისო მიმოსვლა ლამის ყოველდღიურობად იქცა და სფერული მონაცვლეობის ყველა სიმპტომი ზუსტად აღწერილი და შესწავლილია, წიგნის სამყაროს ასტრონავ-

ტებს, განსაკუთრებით კი ამ რთულ პროფესიას დაუფლებულ ახალბე-დებს მუდმივად პრობლემები ექმნებათ, რათა იქ, ზემოთ მაშინვე გაერკვნენ. ცხადია, მით უფრო ძნელი უნდა ყოფილიყო ჩვენთვის, წიგნის სამყაროს პირველი ადამიანებისთვის, ვინც ამ უცნაურად ბუნდოვანი და მოუხელთებელი შთაბეჭდილების გავლენას განვიცდი-დით.

რეალურ კოსმოსსა და რეალური თავის შიდა სამყაროს შორის განსაცვიფრებელი მსგავსების უმთავრეს მიზეზად, ალბათ, რეალური და, საერთოდ, ყოველი თავის, ასევე წიგნის პერსონაჟის თავის მიერ გარემომცველი სამყაროს სარკისებური ასახვის ფუნქცია უნდა მივიჩნიოთ. რადგან აქტიური ცნობიერება, როგორც წესი, გარემომ-ცველ სამყაროს მთლიანად მოიცავს, ამიტომ რეალური ცნობიერების ნაკადის სულ მცირე, ასი კილომეტრი მაინც, ფიზიკური, რეალური კოსმოსის გასაანალიზებელი საგნებით არის სავსე. ასე რომ, ამ უცნაურ სფეროში მოხვედრილმა პერსონაჟმა თუ სიფხიზლე მოადუნა, შესაძლოა ეგონოს, რომ კვლავ რეალური თავის გარეთ მიედინება. ახალ გარემოზე მხოლოდ რეალური აზრის მყინვარი მიუთითებდა, რომელიც ცნობიერების ნაკადიდან ვეებერთელა, დათოვლილი ყინულოვანი კლდეებივით ამოზიდულიყო. მე და ალუმ ჩვენი ახალი ჰორიზონტალუ-რი მდგომარეობით ვისარგებლეთ, ერთმანეთისკენ შეშლილებივით გავცურეთ და აგორებულ ტალღებში ერთმანეთს გულაჩუყებულები გადავეხვიეთ.

საუბარს დიდად ვერ ვახერხებდით. ამ უჩვეულო მოგზაურობის შთაბეჭდილებები ჩვენს აღგზნებულ გონებას მძიმე ტვირთად აწვა. მახსოვს, იდიოტებივით ერთმანეთს„ბიჭო! ბიჭო“-ს ვეძახდით. რეალური თავის დროით ნახევარი საათის შემდეგ მეტყველების უნარი თანდათან დაგვიბრუნდა და შეშფოთებულებმა ერთმანეთის ამბავი ვიკითხეთ. ხანგრძლივი აღმასვლით დაქანცულები კი ვიყავით, მაგრამ ძალა ისე არ გამოგვლეოდა, რომ მაშინვე ჩაგვეთვლიმა. „ესე იგი ყველაფერი კარგად არის!" – თქვა ალუმ კმაყოფილებით. ერთხანს წყალზე თავს კარგად ვიმაგრებდით, ალუ იცინოდა, მეძახდა და წყალს მაშხეფებდა – რეალური აზრის წყალს. ვერ ვიტყვი, რომ ცურვა გვიჭირდა. სტიქია, რომლის ტალღებზეც ჩვენ მივცურავდით, მართლაც უსაფრთხო იყო. ყოველ შემთხვევაში პირველ წუთებში ასე გვეჩვენებოდა. ჩაძირვა აბსოლუტურად გამორიცხული იყო. რეალური აზრის (შესაბამისად ცნობიერების) ნაკადის ზედაპირზე თავის შესამაგრებლად ხელის მოსმაც კი არ გვჭირდებოდა. მდინარეს დაახლოებით ჩვენი სხეულის ტემპერატურა ჰქონდა და ამიტომ ხანგრძლივად მასში ყოფნა ძნელი არ

იყო. გარკვეულ ადგილებში დინება ძლიერდებოდა, თუმცა ისეთი შეგრძნება გვეუფლებოდა, თითქოს წინ საერთოდ არ მივიწევდით. მარჯვნივ, დიდი სისწრაფით ყინულის ბელტების მსგავსმა გამკვრივებულმა სხეულებმა ჩაგვიქროლა. ხანდახან ეს სხეულები ერთმანეთს ეჯახებოდა და ისეთი ჭახაჭუხი ისმოდა, როგორც ყინულის ბელტების შეჯახებისას ხდება ხოლმე. წყალში დაცურებული ხე-ტყის ზედაპირზე ნახეთქები და ღარები მოჩანდა. – ააა! ეს უკვე გეოფიზიკური ინფორმაციაა, რომელიც რეალური თავისკენ ჩვენი წიგნის უბნებიდან მოედინება – თქვა ალუმ – გეოფიზიკური ინფორმაცია რაღაა? – ვკითხე გაკვირვებულმა. ალუმ ამიხსნა: – რეალური აზრის ნაკადის ნაწილებს ისეთი თვისება აქვს, რომ ჯერ რბილ მასად შემკვრივდება და შემდეგ კი გამყარდება. ამ გზით მათ წიგნის უბნებიდან რეალურ თავებამდე პერსონაჟთა ფეხის ანაბეჭდის, წიგნის უბნის რელიეფის კონტურის, იქაურ მცენარეთა სახეობებისა და მწერების ასლი ააქვთ, სადაც უკვე ჩვენი ვარაუდით, გამშიფრავი მექანიზმი მათ ღარებსა და ნახეთქებში ჩასვამს და წიგნის უბნის მონაცემებს ნატურალური სიდიდით აღადგენს. ყველაფერს, რაც რეალურ თავს აინტერესებს, დინება გადარეცხავს და ზემოთ წაიღებს.

ახლაღა გამახსენდა, რომ კოსმოსში, რეალური აზრის ნაკადით დინებისას, მსგავს გამკვრივებულ აზრის მასას მეც შევხებივარ და ამ ბრტყელი სხეულების უცნაურად ფორიან ზედაპირს მეც გავუკვირვებივარ. ზოგჯერ რეალურ თავში წიგნის პერსონაჟის რომელიმე პატარა, უმნიშვნელო საგანიც ხვდება, – მითხრა ალუმ, აშკარად ეტყობოდა, რომ ამ ცოდნით მაკვირვებდა და სიამოვნებდა კიდეც, – ჯიბის დანები, ცხვირსახოცები და სხვა წვრილმანები. აზრის მასაში ეს ნივთები ისეა ჩატკეპნილი, როგორც წარღვნამდელი მწერი ქარვის ნატეხში. – საიდან იცი ასე კარგად ეს ყველაფერი? – წამოვიყვირე გაოგნებულმა, – კაცი იფიქრებს, რომ რეალურ კოსმოსში უკვე რამდენჯერმე მაინც ხარ ნამყოფი. – როგორ გითხრა, თითქმის ასეა, – მიპასუხა ალუმ და თან ჩაეცინა, – რა? – ენა დამება გაოცებისაგან, – როგორ, ამ ტრასაზე პირველად არა ხარ? – ალუ კმაყოფილებით იცინოდა და ბროლივით კბილებს ანათებდა, – ასე მაღლა მართლა არასდროს ვყოფილვარ. – ამიხსნა მან – დამშვიდდი. ჩემთვისაც ყველაფერი ისეთივე ახალი და შთამბეჭდავია, როგორც შენთვის, მაგრამ წიგნის სამყაროს ცის საფარის სიმაღლემდე რამდენჯერმე მიმიღწევია. როცა პირველად წიგნის უბანში რეალური აზრის ნაკადის უცნაური ფარული თვისება აღმოვაჩინე და რამდენიმე ექსპერიმენტის შემდეგ დავრწმუნდი, რომ სატრანსპორტო გზად გამოდგებოდა, ვეღარაფერი შემაკავებდა და წიგნის უბნის ეთერში

გავემგზავრე. რეალური აზრის ნაკადი წიგნის უბნის გარკვეულ ადგილებში ზოგიერთ მთავარ და მეორეხარისხოვან საგნებში ფეხს კარგად იკიდებს, ამიტომ მისი მდინარება ორმხრივია, ანუ, ერთი მხრივ მკითხველი რეალური თავისკენ მიემართება და მეორე მხრივ კი, მისგან უკან, წიგნის უბანში ჩამოედინება – შენ ჯერ ეს არ იცი, მუცალ, და თუ უკან დაბრუნებამ მოგვიწია, თვითონვე დარწმუნდები. ამისთვის რეალური აზრის ნაკადიდან კალმახივით უნდა ამოვსხლტეთ და ნაკადის მეორე მხარეს გადავხტეთ. ამიტომაც უკან ყოველთვის უპრობლემოდ ვბრუნდებოდი. ასტრონომიული ცოდნაც ასე შევიძინე, ურომლისოდაც, სხვათა შორის, ჩვენი ახლანდელი მცდელობაც სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. – მერე აქამდე რატომ არაფერს ამბობდი! – ვუთხარი საყვედურით. – რა საჭირო იყო? – მხრები აიჩეჩა ალუმ. სანამ არ დავრწმუნდებოდი, რომ ამ გზით რეალურ თავებთან გაფრენას შევძლებდით, ამაზე საუბარიც კი არ ღირდა. როცა სიტუაცია საამისოდ მომწიფდა, ყველაფერი შეიტყვე კიდეც. – აღფრთოვანებული ვიყავი ჩემი მეგობრის შეუპოვრობით, რითაც იგი რეალური მკითხველის სამყაროს თვალში თავისი, როგორც მორალური წიგნის პერსონაჟის რეაბილიტაციას ესწრაფვოდა და ძალას არ იშურებდა, რეალური თავებისთვის რეალური (წიგნის სამყაროს რეალური) ქრისტის გვამისჭამის საზიზღარი ილუზია გაეფანტა. რეალურ თავში (სამყაროში) ჩვენი მგზავრობა და საქმიანობაც მხოლოდ ამ მიზანს ემსახურებოდა. ისიც მჯერა, რომ თავისი საქმით ალუმ მთელი წიგნის სამყაროს ბრწყინვალე მაგალითი უჩვენა, – თუ როგორ უნდა აიღოს ხელში საკუთარი ბედისწერის სადავეები უსიამოვნო, ანტი და არათემატური სიტუაციით მშობლიური წიგნის უბანში პატივაყრილმა (ჩირქმოცხებულმა, თემატურად დამცირებულმა) პერსონაჟმა და რჩევისათვის უმაღლეს ინსტანციას, რეალურ თავებს მიმართოს.

რეალური აზრის ნაკადით ალუს ექსპერიმენტისა და რეალური სამყაროს სხვა დანარჩენი მნიშვნელოვანი შედეგების შესახებ

რეალური აზრის ტალღები საამოდ გვარწევდა და მე და ალუს მშვიდი საუბრის შესაძლებლობა მოგვეცა. ამ საუბრებიდან ჩემთვის საინტერესო ორ თემას გამოვყოფდი. რეალურ თავთან დაკავშირებულ საკითხში ალუსთან შედარებით მე ხომ ბევრად ნაკლები გამოცდილება მქონდა. ჩვენ რეალური თავის უზარმაზარ, პლანეტურ მასშტაბზე ვსაუბრობდით. გვეგონა, რომ მისკენ მიმავალ გზას ვადექით და თვალყურს ვადევნებდით,

როდის გამოიკვეთებოდა აზრის ნაკადის წინა მონაკვეთის ზედაპირზე ახალი ნიშნები. არანაკლებ მაწუხებდა ისიც, რომ ირგვლივ აღარაფერი მოჩანდა და, თუ არ ვცდები, ჩემი შეშფოთებაც გამოვთქვი, რეალური აზრის გზას ხომ არ გადავუხვიეთ (ჩავცურდით) და მიზანს ხომ არ ავცდით-მეთქი. ამაზე ალუს გაეცინა და მითხრა – ნუ გეშინია, მუცალ, რეალური აზრის გზა ყოველთვის იქ ბრუნდება, საიდანაც სათავეს იღებს, ე.ი. რეალურ თავში. არ გამოვრიცხავ, რომ რეალური მკითხველის აზრის ნაკადმა გზიდან გადაუხვია. მისი თავიც ახლა სწორედ ამიტომ აღარ მოჩანს. მაგრამ, იქამდე მაინც აუცილებლად მივაღწევთ. – კი ბატონო, მაგრამ ხომ შეიძლება რეალურმა თავმა უცბად სხვა რამეზე დაიწყოს ფიქრი, ჩვენი წიგნის უბნის ინტერესი დაკარგოს, ჩვენი თემი გვერდზე გადადოს და სხვა წიგნის უბანს მოჰკიდოს ხელი, – მივუგე შეშფოთებულმა. – მაშინ ხომ მისი აზრის ნაკადიც აუცილებლად შეწყდება, ერთადერთი საყრდენი გამოგვეცლება და სიცარიელე გვშთანთქავს. – სწორია! დამემოწმა ალუ, ფაქტიურად, ასეთი შანსიც არსებობს! მაგრამ, ამაზეც წინასწარ ვიზრუნე: ჩემო ძვირფასო, ყველაფერს, სადაც რეალური თავი წიგნის უბნის თემებში აკენკავს – ხომ ვილაპარაკეთ უკვე წიგნის სამყაროს სხვადასხვა, პატარა საგნების ანაბეჭდზე, რომლის თან წაღების უნარიც ნაკადს გააჩნია. ის რეალური თავის მოთხოვნითაა. მაშინ ინფორმაცია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მის შემკვეთამდე ყოველთვის მიაღწევს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჯერ რეალური თავის მოთხოვნილება უნდა დაკმაყოფილდეს ამ ინფორმაციით და მხოლოდ ამის შემდეგ გადაკეტავს რეალური თავი აზრის ნაკადს ან მას სხვა წიგნის უბნებისკენ მიმართავს. წიგნის უბნის სამყაროს რომელიმე თემატური მასალით დაინტერესების გაუთვალისწინებელი გაუქმების შემთხვევაშიც კი ეს მასალა რეალურ თავში ყოველთვის მოხვდება. ცხადია, ამ კანონზომიერების შემოწმება უშუალოდ წიგნის უბნიდან ძნელია, მაგრამ ზოგადად ამგვარი დასკვნა მაინც შეგვიძლია, გამოვიტანოთ. რაც შეეხება რეალურ თავებში წიგნის სამყაროს თემატური ინფორმაციის მდინარებას, მე მას დიდხანს და გულდასმით ვიკვლევდი. რატომ გგონია, რომ ამ მოგზაურობას ალალბედზე წამოვიწყებდი და ჩემი და შენი წიგნის პერსონაჟურ სიცოცხლეს ასე უპასუხისმგებლოდ გავრისკავდი. – მე თავი ენერგიულად გავიქნიე და ხმამაღლა, მუდარით წამოვიძახე, – არა, რა თქმა უნდა, არა! ალუმ განაგრძო: – საიდუმლო ექსპერიმენტებით დავადგინე, რომ როცა რეალური აზრის ნაკადში ჩვენი წიგნის უბნის სხვადასხვა საგნის შესახებ გამკვრივებული თემატური ინფორმაციის დიდი ლოდები ეყარა, რომელსაც რეალური თავი საკუთარი ნაკადის განშტოებებით აგროვებს და შემდეგ გადასამუშავებლად რეალურ

ტვინს აწვდის, მაშინ დინებას ზემოთ, რეალური თავისკენ ჩემი ჩაგდებული პატარა კენჭიც მიჰქონდა. ამის აღმოჩენა ადვილი არ იყო. შენც ხომ იცი, რომ რეალური აზრის ნაკადი და მასში ჩამდინარე გამ-კვრივებული აზრიც სრულიად გამჭვირვალეა, წიგნის უბნის ეთერისგან ვერაფრით განასხვავებ და დილეტანტის თვალისთვის აბსოლუტურად შეუმჩნეველია. ნაკადს დაჟინებით ვაშტერდებოდი და ხანგრძლივი კვლევის შედეგად თვალი ისე მიმეჩვია, რომ ბოლოს უკვე ნაკადს ყველაფერ იმით, რაც თან მიჰქონდა, ჰაერში სულ იოლად ვამჩნევდი. აღმოჩნდა, რომ თუ ტალღებში ინფორმაცია აღარ იყო, მაშინ ჩემი ნას-როლიც რეალური აზრის მდინარეს რეალური თავისკენ კი არ მიჰქონდა, არამედ უკან, წიგნის უბნის მიწაზე ისროდა. აქედან გამომდინარე, მივხვდი, რომ რეალური აზრის ნაკადის ტვირთის გადაზიდვის უნარი ელვისებურად კლებულობდა, რომ ჩვენი თემის ეთერიდან გამქრალიყო. ახლა ხომ გესმის. აი, მთელი საიდუმლო. წინ დახედე, რა მიცურავს შენს ცხვირწინ? ჩვენი თემის შესახებ მთელი ინფორმაციული ლოდები, რომელიც რეალურ თავს მიეწოდება. შეგიძლია, მშვიდად იყო. რეა-ლური აზრის ნაკადი, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, მიედინება და ჩვენც მიზანს ვუახლოვდებით.

ეს მართლაც დიდი ნუგეში იყო და მეც შვება ვიგრძენი. საუბრის ხალისი დამიბრუნდა და ასტრონავტიკაში ასე კარგად გათვითცნო-ბიერებულ ჩემს მეგობარს რაზე აღარ ვესაუბრე. საკითხი, რომელსაც ჩვენ შევეხეთ და, ალბათ, ღირს კიდეც, რომ მის შესახებ უფრო დაწვრილებით მოგახსენოთ, შემდეგში მდგომარეობდა: რატომ არის, რომ რეალური მკითხველის თავი საკუთარ რეალურ სფეროში უსასრულოდ დიდი, პლანეტური მასშტაბისაა, ხოლო წიგნის სამყაროში კი, სადაც ის მისთვის სინტერესო მოვლენების – მაგ, მდედრობითი სქესის წიგნის პერსონა-ჟების მომხიბვლელობის – უკეთ დასაზვერად დაეშვება ხოლმე, ძალზედ პატარა მოჩანს? ხევსურულ თემში რეალური თავი არასდროს შემოჭრი-ლა. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენთან თითქმის არაფერია ისეთი, რაც რეალური მკითხველის თავს თავისი მაღალი საკითხავი ადგილიდან ქვევით, ჩვენი თემის მიწამდე ჩამოიყვანდა. როგორც ამბობენ – (ასე ყვებიან ჩვენი მაღალმთიანი სოფლის მხცოვანი მამრობითი სქესის აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი პერსონაჟები) – ასეთი რამ უხსოვარ დროში მომხდარა, როცა მწყემსებს ხევსურული წიგნის სამყაროში ხელისუფლების სადავეები ჯერ კიდევ არ ეპყრათ და თემიც (თემაც) უფრო საინტერესო საკითხავი გახლდათ. იმ დროს ეს მოხუცები ჯერ კიდევ პატარა ბიჭები იყვნენ და რეალური თავის სტუმრობის შესახებ მხოლოდ ყურმოკვრით გაეგონათ. მათი სკლეროტული აზრის მსვლელობა ძალზე

ბუნდოვანია საიმისოდ, რომ ზუსტი მეცნიერული კვლევის საფუძვლად გამოდგეს. სჯობს, ამ საკითხში დეტალების დასადგენად ქისტებს მივმართოთ. რეალური თავის პრობლემატიკის სფეროში მათ მრავალი ასტრონომიული ინსტიტუტი ჩამოაყალიბეს და ამდენივე ჩინებული მეცნიერული ნაშრომი გამოაქვეყნეს. ქისტური წიგნის სამყარო რეალურ თავებზე მიზიდულობის ძალით ზემოქმედებს და ამიტომ, მათ თემებში ხშირად იხილავთ მკითხველის თავებს, რომლებსაც სურთ პერსონაჟთა სტრიპტეასე-სა და ჩოიტუს-ს ახლოდან გაეცნონ. ცხადია, ქისტებმაც არ დააყოვნეს: კოსმოსიდან ჩამოსულ საუცხოო სტუმრებს სათანადო პატივითა და ღირსებით ხვდებიან და, რაც მთავარია, ამ უცნაური ვიზიტებიდან რეალური სამყაროს (თავის) მეცნიერებისთვის საჭირო დასკვნებიც გამოაქვთ.

ქისტური წიგნის სამყაროში სიზმრად სტუმრობისას და განსაკუთრებით კი PanaMeranican-ელებთან ნაყოფიერი საუბრებით მათ გამოცდილებას გავეცანით. დავათვალიერეთ ამ თავების ფოტოები, შევისწავლეთ მათი მონაცემები (ამ თავების სიგრძე, სიმაღლე, სიგანე). ზოგჯერ ქისტებს წიგნის სამყაროს ისეთ უბნებშიც მივყავდით, სადაც წიგნის უბნის ისტორიის თემატური სპექტაკლის სანახავად რეალური თავი დაშვებულიყო და ჩვენც ამ საოცრების თვითმხილველნი ვხდებოდით. თემატიკის წინ, თემის მიწაზე, წიგნის სამყაროს ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის სიმაღლე თემატური თავი უზარმაზარი კვერცხივით მოკალათებულიყო. ხოლო თუ მკითხველი ზრდასრული პირი იყო – უზარმაზარი მსხალივით ჩამომჯდარიყო და, სულ მცირე, ასი მეტრის სიგრძის ცხვირი უბნის თემატური მოვლენებისთვის მიებჯინა. ასეთ ადგილებს ქისტი პერსონაჟები გირლიანდებით, ფერადი ლამპიონებითა და საზეიმო ტრანსპარანტებით რთავდნენ. სხვათა შორის ქისტურ უბნებში რეალური თავების მიღების ეს ფორმა დღესაც მოქმედებს. მოედნის გარშემო მერხებს დგამენ და ქისტები მათი ცქერით ტკბებიან. შემდეგ კი მოედანს მესერი შემოავლეს და რეალურ სტუმრებს ცნობისმოყვარე მნახველებისგან (რომლებიც მათთვის ხელის შეხებასა და მიახლოებას ცდილობდნენ) ასე იცავდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ დროთა განმავლობაში რეალური მკითხველის თავების დასაფრენმა მოედანმა განსაკუთრებული აზრი შეიძინა. ქისტებმა რეალური თავების ჩამოფრენის ზუსტი დრო კარგად იცოდნენ და რეალური ფრენის განრიგიც ჰქონდათ. ეს კი მათ უბნებში რეალური თავის მიმოსვლას თვალსაჩინოს ხდიდა. წიგნის სამყაროს ასტრო – შესაბამისად – რეალური თავნავტიკის განვითარებასთან ერთად ჭანამერანიცან-მა დასაფრენი მოედნები კოსმოდრომებად გადააკეთეს,

ვინაიდან ეს მოედნები თემის (ეგრეთ წოდებული თემატური პროვინციების) მიდამოებში მდებარეობს და რეალური თავის განსაკუთრებული ინტერესის საგანია, ამიტომ ამ თავებიდან გამომდინარე აზრის ნაკადიც იქ დიდხანს და სისტემატურად ჩაედინება. დიახ, შეიძლება ითქვას, რომ ყველგან, სადაც რეალური აზრის ნაკადი იგრძნობა, უმოკლეს ხანში ამ ნაკადის გამომგზავნი რეალური მკითხველის თავის გამოჩენაც არის მოსალოდნელი. წიგნის უბანში რეალური თავის დაშვებამდე დასაფრენი მოედნები ამ თავიდან გამომდინარე რეალური აზრის ნაკადით ნათდება და ასტრონავტებიც რეალური თავის ჩამოსვლამდე ამ ორ სამყაროს შორის გაჩენილი ლიფტით სარგებლობენ. ასეთ შემთხვევებში გარე (რეალური სამყაროდან) და შიდა (წიგნის სამყაროს) კოსმოსში მოგზაურობიდან პერსონაჟები საკუთარ უბანში თავისით კი არ ბრუნდებიან, არამედ რეალურ თავებს ისინი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, სახლებამდე მიჰყავთ. ეს ყოველივე მეც და დასავლურად (ქისტურად) ორიენტირებულმა პერსონაჟებმაც ქისტური წიგნის სამყაროში სიზმრად სტუმრობის წყალობით დიდი ხანია, უკვე ვიცოდით. ახლა უკვე, როცა ორივე რეალური მკითხველის სამყაროში, რეალური თავის ცნობიერების ნაკადში მივცურავდით, ამ შთაბეჭდილებებზე იმიტომ ვლაპარაკობდი, რომ საგონებელში მაგდებდა ის სხვაობა, რომელიც ჩვენი (ქისტური) წიგნის სამყაროს მიწაზე დაშვებულ რეალურ თავსა და წიგნის სამყაროს ცის საფარის ზემოთ მყოფ იმავე თავს შორის არსებობდა. რეალურ სამყაროში, პლანეტური მასშტაბის რეალური თავი წიგნის პერსონაჟებთან დაშვებისას ერთი ბეწო ხდებოდა.

ძნელი წარმოსადგენი იყო, როგორ პატარავდებოდა რეალური თავი წიგნის სამყაროს ცის საფარის ქვეშ ასე უსასრულოდ. თუ ასეთი რამ მართლა ხდებოდა, მაშინ ეს პირველ რიგში ქისტებს უნდა სცოდნოდათ, რომლებიც წიგნის სამყაროში ყველა მოვლენას თავიანთი საუცხოო ტელესკოპებით ზუსტად აღნუსხავენ. ჩემთან კი ამის შესახებ არც ერთ ქისტ ასტრონომს, ქისტური ავიაკომპანიის არც ერთ თანამშრომელს არასდროს არაფერი უხსენებია. ქისტებისთვის მე სასურველი სტუმარი ვარ და, რაც მთავარია, წიგნისა და რეალური სამყაროს (თავის) მეცნიერების სფეროში თავიანთ წინსვლას ყოველთვის დაწვრილებით მაცნობენ. თანაც მე უკვე წიგნისა და რეალური მეცნიერების ქისტური აკადემიის საპატიო წევრიც გახლდით და ისეთ მნიშვნელოვან აღმოჩენას, როგორიცაა წიგნის სამყაროს სტრატოსფეროში რეალური თავის დაპატარავება, ქისტები არ დამიმალავდნენ. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დღეს პატარა ბავშვს თუ არა, ყველა საზრიან მოწაფეს მაინც შეუძლია.

იმ დროისთვის ეს სწორედაც რომ წიგნის სამყაროს (ქისტი, ხევსური) მეცნიერებისთვის თავსატეხ პრობლემას წარმოადგენდა და მრავალი აბსტრაქტული თეორიის შექმნის მიზეზადაც იქცა. ერთ-ერთი თეორიის თანახმად – მაგალითისთვის ქისტური ფარდობითობის თეორიას დაგისახელებთ – გიგანტური (პლანეტური) მასშტაბის რეალური თავი წიგნის სამყაროში დაშვებისას იქ არსებული პაწაწინა საგნების შესაბამის მასშტაბს იღებს. ამ მოსაზრებას ის ჰიპოთეზა ედო საფუძვლად, რომლის მიხედვითაც წიგნისა და რეალურ სამყაროს ყოფიერებას ერთიანი მაგნიტური ველი მოიცავს და წიგნის სამყაროში ჩამოსული რეალური თავი მექანიკურად პატარავდება ისევე, როგორც, პირიქით – ზემოთ ასული თავი კვლავ მექანიკურად დიდდება და სხვა მსგავსი სისულელეები. ის, რომ თითქოს რეალური თავი იძულებულია, წიგნის სამყაროს რეალობას დაემორჩილოს, სახე იცვალოს, ან დაპატარავდეს, მაშინ როცა მას პტაქტიკულად ამ თავის წყალობით, მისი შემოქმედებითი ენერგიითა და კითხვის სურვილით უდგას სული, უკვე საკმარისად არადამაჯერებლად ჟღერს. წიგნის სამყაროს მკითხველის თავის რეალური სამყარო განსაზღვრავს და არა – პირიქით. წიგნის სამყაროს მეცნიერებამ ეს აქსიომა უკვე ადრევე ცნო, როგორც უდავო და ზოგადი კანონი და ამიტომ ნათელია, რომ მკითხველის თავთან დაკავშირებული ყველა ახალი აღმოჩენა არ უნდა დაუპირისპირდეს ამ ძირეულ კანონს, თუკი გვინდა, რომ მას ჩვენთვის, პერსონაჟებისთვის ჭეშმარიტი (წიგნის სამყაროს მეცნიერული) ღირებულება მიენიჭოს.

ახლაც კი, როცა უკვე ფაქტიურად რეალურ თავში ვიმყოფებოდით და ცნობიერების ნაკადის ტალღები გვარწევდა, ეს პრობლემა თავის აქტუალობას არ კარგავდა და მეც ჩემს მეგობარს სწორედ ამაზე ვესაუბრებოდი. რეალური თავის ვეებერთელა, პლანეტური მასშტაბი ჩემს მეხსიერებაში ჯერ კიდევ არ გაუფერულებულიყო. არ მასვენებდა კითხვა, რატომ კარგავდა თავი რეალურ სიდიდეს ჩვენთან დაშვებისას?

ამ კითხვაზე ალუმ მოწონების ნიშნად (წიგნის პერსონაჟული) თავი დამიქნია, სახეზე ცნობიერების ნაკადის წყალი შეისხურა და მითხრა – ჰო, მუცალ! – სხვათა შორის, ეს ნივთიერება სასმელად ძალზე სასიამოვნოა. არაჩვეულებრივი გემო აქვს, ზუსტად ისეთი, როგორც ჩვენს ლიმონათს, თანაც კალორიულია და წიგნის პერსონაჟს წყურვილს კი არა, შიმშილსაც უკლავს. – ჰო მუცალ! – მიპასუხა ალუმ კითხვაზე. – ეს მართლაც დიდად საინტერესო თემაა. სამწუხაროდ, ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხი არც მე მაქვს. ის რასაც მე ამ პრობლემასთან დაკავშირებით ვვარაუდობ, წიგნის და რეალური სამყაროს მიერ მეცნიერულად ჯერაც დაუდგენელია. ეს მხოლოდ ჩემი პირადი მოსაზრებაა, თუმცა ამ ფენომენის შესახებ თემში

და, საერთოდ, წიგნის სამყაროში გავრცელებულ განმარტებებს მაინც ვამჯობინებ, რადგან ეს უფრო სარწმუნოა, ვიდრე ფარდობითობის თეორია, ანდა სხვა სისულელეები. თუ ღმერთი გწამს, ცისა და მიწის რა ძალა უნდა არსებობდეს, რომელიც ამ უჩვეულო ფიზიკურ მასას, როგორსაც თავისთავად თითოეული რეალური თავი წარმოადგენს რეალურ სამყაროში, წიგნის სამყაროში ჩამოსვლისას სათითისხელად აქცევდა? ხომ დღესავით ნათელია, რომ ამ პრინციპულ კითხვაზე პასუხი მხოლოდ უარყოფითი შეიძლება იყოს. არ არსებობს არავითარი ობიექტური პირობა, რაც რეალური მკითხველის თავს გიგანტურ რეალურ მოცულობას დააკარგვინებდა და სათითედ, ანდა ქათმის კვერცხი-სოდენად აქცევდა? და თუ ეს მაინც ასეა, მაშინ იმ პრობლემას მივადგებით, რაც ამ საკითხს თავისთავად მოჰფენს ნათელს. – თქვი, ბოლოს და ბოლოს, ალუ! – წამოვიძახე აღელვებულმა, – როგორ უნდა გავიგოთ ეს? სახეზე გეტყობა, რაღაც იცი, რითი ახსნიდი ამას? – ჩემს მეგობარს კვლავ გაეღიმა, ლაპარაკით დაღლილი პირის გასასველებლად ცნობიერების ნაკადის შუშხუნა სითხე მოსვა და განაგრძო. – თუ გავაცნობიერებთ ამ უცნაური მოვლენის შესახებ არსებული ყველა თეორიის არამართებულობას, მაშინ შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ქისტურ თემებში ჩამოსული რეალური თავები, რომლებიც ასეთი აღტკინებით შეჰყურებენ იქაურ წარმოდგენებს, სულაც არ არიან რეალური თავები. – რა? წამოვიძახე ურწმუნოდ, – როგორ უარყოფ იმას, რაც სიზმრად სტუმრობისას ქისტური წიგნის უბნებში გვინახავს და გავუოცებივართ? და ეს ნამდვილი არ არის? – ეს ასეც არის და თან არც არის ასე, – მომიგო ჩემმა მეგობარმა, – ის, რაც ჩვენ ვნახეთ, თან ნამდვილად რეალური თავები იყვნენ და თან არც იყვნენ. – ახლა უკვე საკუთარ თავს ეწინააღმდეგები, – ვუთხარი გამკიცხავი ტონით, – როგორ შეიძლება, რამე თან იყოს და თან არ იყოს. – სრულიად შესაძლებელია, – მიპასუხა ნირშეუცვლელად ალუმ ,– ყოველ შემთხვევაში, რეალურ თავებთან ეს ასეა. რაც უნდა აბსურდულად ჟღერდეს, ორანაირი წინააღმდეგობა ამ შემთხვევაში არ არსებობს. ეს ის თავისებური, დიალექტიკური მდგომარეობაა, რომელიც თავად რეალური თავების რთული ბუნებით უნდა აიხსნას. უკეთ გასაგებად შემდეგ შედარებას მოგიყვან და იმ უბრალო ფაქტს შეგახსენებ, რომ ყოველ ადამიანს, იქნება ის წიგნის პერსონაჟი თუ რეალური პირი, მხრებზე წიგნის პერსონაჟის თავი ებმება, თუ რეალური თავი, თავისივე გამოგონილ სიტუაციაში სულ იოლად შეუძლია, საკუთარი თავი წარმოიდგინოს. – ჰო, რა თქმა უნდა, – ვუთხარი გაკვირვებულმა, ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ალუ ახლა ამაზე დაიწყებდა საუბარს. – ძალიან კარგი, – ღიმილით მიპასუხა ამაზე ჩემმა მეგობარმა, – მაშინ, ალბათ, იმაშიც დამეთანხმები, რომ ყოველ

ადამიანს, წიგნის პერსონაჟს თუ რეალურ პირს, წიგნის უბნის თემატურ მოვლენებში გარდასახვის უნარი შესწევს. – კი, ბატონო, ვუპასუხე ყოყმანით, – ქისტურ უბნებში ჯგროდ ჩამოსული რეალური თავებიც ხომ ერთმნიშვნელოვნად ამას ადასტურებს. მეც და, საერთოდ, წიგნის უბნის ყველა განათლებულ პერსონაჟს განსაკუთრებულად საინტერესო ლიტერატურის, ქისტური დეტექტივის, ანდა ბელეტრისტული ჟანრის კითხვისას, ცხოვრებაში ერთხელ მაინც განგვიცდია იქ მოქმედ პერსონაჟთა უშუალო სიახლოვე. არ ვიცი, თუ ამას გულისხმობ. – დიახ, სწორედ მაგას, – დამეთანხმა ალუ თავგამოდებით, – აქ საინტერესოა საკითხავ მასალაში მკითხველი თავის ღრმად, ანუ მისი იდივიდუალურად ჩაძირვის შესაძლებლობა. მაგრამ არსებითი არც ეს არის. ამ საკითხს კვლავ მივუბრუნდები.

– დროზე, ნუღარ აჭიანურებ, ცნობისმოყვარეობა მახრჩობს, – ვუთხარი მე. – საქმე სულ უბრალოდაა, – განაგრძო ჩემმა მეგობარმა აუმღვრეველი სიმშვიდით, – თუ იმ ფაქტსაც გააცნობიერებ, რომ ფიზიკური თავით წიგნში ჩაძირვისას ეს თავი მაინც ტექსტის ზემოთ რჩება, მაშინ კითხვაზეც მიიღებ პასუხს. – რა სიბრიყვეა! – წამოვიძახე გაბრაზებულმა, – რა დროს ეგ სულელური ხუმრობაა, როცა მე სერიოზულად გეკითხები. აღიარე, რომ ამ საკითხში ისეთივე უცოდინრობას იჩენ, როგორც დანარჩენი წიგნის პერსონაჟები. – არ გეხუმრები, – მომიგო ალუმ სრულიად მშვიდად. – საკითხავ ლიტერატურაში მკითხველი თავის ჩაძირვა არ ნიშნავს ამავე თავის, როგორც ფიზიკური მასის, წაკითხულ ტექსტში ჩათრევას. ეს უნდა მივიჩნიოთ, როგორც ტექსტში ამ თავის წარმოსახვითი შესვლა. შეიძლება სხვაგვარადაც ვთქვათ: ყოველი თავი, – იქნება ეს წიგნისა თუ რეალური პირისა, – მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს ტექსტში ჩაძირვას, თუკი იგი საკუთარ თავს იქ აღწერილი მოვლენების უშუალო სიახლოვეს წარმოიდგენს.

– ერთი სფეროდან მეორეში გადანაცვლებას იგი აზრობრივად განახორციელებს და არა რეალურად, – ამით მხოლოდ იმას ამბობ, რაც საყოველთაოდ ცნობილია – მხრები ავიჩეჩე. – განმარტებისთვის კი არ გამოგადგება. რეალური მკითხველის თავები, რომელიც მეც, შენც და ყველას, ვისაც წიგნის უბნები მოგვივლია, ჩვენი წიგნის უბნის მიწაზე საკუთარი თვალით გვინახავს, მის შთამბეჭდავ ფიზიკურ კონკრეტულობას არაერთხელ დავკვირვებივართ და აღუფრთოვანებივართ – ეს ხომ ის ფაქტებია, რასაც ვერ უარყოფ, რასაც წარმოსახვის ნაყოფად და უბრალო იდეებად ვერ გაასაღებ. ეს ხომ უდავო რეალობაა და არა ფანტასტიკის ნაყოფი და თუ მას მაინც ფანტაზიად მიიჩნევ, ესე იგი, ამ პრობლემას თავს არიდებ – თავის შეწუხება არ გსურს. – სულაც არა! – უცოდველი სახით მიპასუხა ალუმ, – საქმე ისაა, რომ რეალური

მკითხველის თავის აზრები საკმაოდ რეალურად მესმის.

– ამით რისი თქმა გინდა? – ერთი წუთით დაფიქრდი, – განაგრძო ალუმ, – საკუთარი იდეების რეალიზაციის რა უჩვეულოდ ძლიერ პოტენციას უნდა ფლობდეს თითოეული რეალური მკითხველის თავი, როცა მისი აზრის უბრალო მსვლელობაც კი მას რეალური კოსმოსიდან ქვემოთ, ჩვენკენ ექაჩება, აზრთა მდინარება კი ობიექტურად არსებულ სასრიალო გზად გადაიქცევა და ჩვენ კოსმოსში დავაჭენებთ! ის, რასაც რეალური თავი ავლენს, განა მის განსაცვიფრებელ უნარზე არ მეტყველებს, რითაც იგი საკუთარ კონცეფციას განახორციელებს? ხომ ხედავ, როგორ გაჩუმდი, შენც კარგად იცი, რომ რეალურ თავს რეალიზაციისთვის უჩვეულო წარმოსახვითი ძალა გააჩნია. აქედან გამომდინარე, გთხოვ, ერთ რამეს დაუფიქრდე: თუკი რეალური თავის აზრები, მისთვის სრულიად უცხო სამყაროს – წიგნის სამყაროს – საგნებზე ფიქრისას, ჩვენს ბიოსფეროში სრულიად ობიექტურ, ჩვენს მიერ რეალურად დანახულ კოსმოსურ გზად გადაიქცევა, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ კიდეც, ხვდები, რეალობის რა ხარისხს უნდა ფლობდეს ამ თავის ის წარმოდგენები, რომელიც უშუალოდ მას ეხება და რომელზეც იგი მთელი თავისი რეალური გულით ფიქრობს. განა ის წარმოდგენები, რაზეც რეალური თავი სრულად კონცენტრირდება, რასაც ჩვენ შემდეგ ჩვენს სამყაროში ვხედავთ, საკმარისად რეალური არ უნდა იყოს? – ალუ, მართალს ამბობ! – წამოვიძახე მისი გამჭრიახობით აღფრთოვანებულმა. – ფანტასტიკურია, აბსოლუტურად მართალი ხარ! უცნაურია, აქამდე როგორ ვერ მივხვდი. ადამიანო, შენი აღმოჩენა კოპერნიკის აღმოჩენას უტოლდება! – რეალური ცნობიერების ნაკადის ზღვაში ერთმანეთისგან რამდენიმე მეტრით რომ არ ვყოფილიყავი დაცილებული, ძმურად გადავეხვეოდი და სიხარულისგან გონდაკარგული მადლიერებას ასე გამოვხატავდი. – ეს რა არის იმ აღმოჩენებთან შედარებით, რაც ჯერ კიდევ წინ, რეალურ სამყაროში მოგზაურობის გზაზე გველის. სხვათა შორის, ჩემი განმარტება წიგნის სამყაროს მიწაზე რეალური თავის მრავალ საკითხსაც მოჰფენს ნათელს, მაგალითად: რატომ არ ჩანან რეალური თავები ჩვენი წიგნის ციდან იმ დროს, როცა ისინი წარმოსახვით ჩვენი წიგნის უბნებში იძირებიან? – მართლაც! მაშინვე წამოვიძახე საგონებელში ჩავარდნილმა, – ქისტური წიგნის უბნებში რეალური თავების წინ მდგარს, რომლებიც თვალებდაჭყეტილები მიშტერებოდნენ გაშიშვლების სცენას, არაერთხელ ამიხედავს ზეციისკენ ისე, უბრალოდ, საავიაციო ტექნიკური საკითხები მაინტერესებდა. ყველაზე მეტად ის მტანჯავდა, როგორ ახერხებდნენ რეალური თავები რეალური და წიგნის სამყაროს კოსმოსიდან თავდაყირა ქროლვისას ჩვენამდე

უვნებლად მოღწევას, შემდეგ კი როგორ უჩინარდებოდნენ კვლავ უკან, რეალურ სამყაროში. ჰოპ! და უცებ ქრებოდნენ... – უბრალოდ, ამ დროს რეალური თავი წარმოსახვას წყვეტდა, – შემაწყვეტინა ალუმ და ჩაეცინა, – ან სხვა რამეზე, წიგნის უბნის ან რეალური სამყაროს საგანზე გადაერთვებოდა. წარმოდგენებს, რომლის მეშვეობითაც რეალური თავი ჩვენი წიგნის სამყაროში გარდაისახებოდა, უბრალოდ, თვითონვე აუქმებდა და ამიტომაც მაშინვე უჩინარდებოდა. – ახლა კი ყველაფერი ნათელია! ალუ, მანამდეც ვაპირებდი შენთვის იმის თქმას, რომ ყოველთვის, როცა ქისტური წიგნის სამყაროდან ცისკენ ამიხედავს, იქ ვერაფერი დამინახავს, მკითხველის თავი არასდროს შემიმჩნევია. თუკი წიგნის სამყაროს ტერიტორიაზე რეალური თავები მხოლოდ რეალური წარმოსახვითი მასალისგან შექმნილი არსებები არიან, მაშინ ქისტური სამყაროს ცაზე, საკუთარი პროდუქციის თავზე, ამ მასალის გამომგზავნიც ხომ უნდა იმყოფებოდეს. იქნებ ის უნდა ვიფიქროთ, რომ რეალური თავები წიგნის სამყაროში აზრებსა და წარმოდგენებს ისე აგზავნიან, რომ თავად აქეთ არც კი იხედებიან.

– შესწევს თუ არა რეალურ თავს უნარი, წიგნის სამყაროს ცის საფარის გამოუვლელად ჩვენი თემის რომელიმე სცენაში, როგორც მის მიერვე წარმოსახული აზრობრივი მასალა, ისე დაეშვას – წიგნისა და რეალური სამყაროს შემეცნების ერთ-ერთ ურთულეს თეორიულ საკითხს წარმოადგენს, – თქვა ალუმ. – გირჩევ, ნუ აჩქარდები. დრო თავადვე გვიჩვენებს – ისევე, როგორც რეალურ თავთან დაკავშირებულ ბევრ სხვა პრობლემასაც. მოკლედ რომ ვთქვა, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრება ასეთია. თუმცა არც ეს უნდა მიიღო, როგორც აბსოლუტური ჭეშმარიტება: რეალურ თავს უჩვეულო საქმეების ჩადენის უნარი აქვს. მას შეუძლია, უშორესი წიგნის სამყაროსკენ აზრის გზა გაიყვანოს და შემდეგ ამ გზით ჩვენამდე (როგორც რეალური წარმოსახვითი მასალა) ჩამოსრიალდეს. მისი იდეები ისევე გაჭკვეთს წიგნისა და რეალური სამყაროს კოსმოსს, – როგორც შამფური - მწვადს. იმასაც ვფიქრობ, რომ რეალურ თავებს წიგნის სამყაროში გამომგზავრება მაშინ უნდა გაუიოლდეს, როცა ისინი ზედ ჩვენი წიგნის სამყაროს ცის საფარზე იმყოფებიან და ასოთა ზღვიდან გვითვალთვალებენ – როცა, ასე ვთქვათ, მათი სტუმრობისთვის რეალურ ოპტიკური პირობები იქმნება. ჩვენამდე რომ ჩამოაღწიოს, რეალური თავი წამკითხველი თავი (მკითხველის თავი) უნდა იყოს. სხვა შემთხვევებში, რეალური თავისთვის წიგნის სამყაროში მოგზაურობა, – თუ კითხვა– კითხვით არ გამოუყვა წიგნის სამყაროს ცას – შეუძლებელი თუ არა, ძალიან ძნელი მაინც უნდა იყოს, მაგრამ, როგორც გითხარი, ეს მხოლოდ ჩემი

მოსაზრებაა და არ მინდა ვინმეს თავს მოვახვიო. თუ ეს ასეა, თუ ჩვენი თემის მიწაზე მყოფ რეალური იდეებისა და წარმოსახვითი მასალისაგან შექმნილ ყოველ რეალურ თავს ჩვენი წიგნის სამყაროს ცაზე მუდამ თავდაპირველი რეალური თავი ესაჭიროება – ანუ მკითხველის რეალური თავი, რომელიც ჩვენს სამყაროში ფიქრითა და წარმოსახვით პროეცირდება – მაშინ დაუყოვნებლივ ის პრობლემაც იჩენს თავს, რომელსაც, ჩემო მუცალ, შენც აუცილებლად წააწყდები, და რომელიც დიდი ხანია, მეც ასე მაწვალებს. როგორ ხდება, რომ ჩვენს ღრუბლებში მკითხველი რეალური თავი არასდროს მოჩანს და ჩვენი წიგნის სამყაროს მიწაზე მხოლოდ ეს უცნაური, წმინდა რეალური იდეებისა და წარმოსახვითი მასალისაგან შემდგარი რეალური თავი დევს ისე, რომ მის გამომგზავნთან ხილული კავშირი არ არსებობს.

– ჰო, – წამოვიძახე ინტერესით, – პრობლემაც სწორედ ეს არის, როგორ ახსნიდი ამას, ალუ? – ჩემმა მეგობარმა თავი გადააქნია და სანამ *პასუხს გამცემდა, რეალური ნაკადის წყალში გადააფურთხა,* – შესაძლებელია მხოლოდ ერთადერთი რამ. ჩვენთან ჩამოძირული, წმინდა აზრობრივი მასალისგან შემდგარი თავი, სინამდვილეში ჩვენი წიგნის სამყაროს ცაზე დგას, ოღონდ ჩვენ, წიგნის პერსონაჟები, მას ვერ ვხედავთ. გიკვირს არა? – ჩემი გაუბედავი სახის დანახვაზე ალუს გაეცინა, – თუ უკეთ დავფიქრდებით, შესაძლოა ეს სრულიად გასაგები გახდეს – განაგრძო მან დარწმუნებით, – რა პირობაა საჭირო იმისთვის, რომ ჩვენი წიგნის უბნის ცის თავზე მდგარი რეალური თავი ხილული გახდეს? მხოლოდ ის, რომ მან რამეს კითხვა-კითხვით მიადევნოს თვალი. ანუ ჩვენთვის რომ ხილულად იქცეს, ის მკითხველის თავად უნდა მოგვევლინოს და ჩვენს თავზე გარკვეულ კოსმოლოგიურ წასაკითხ მანძილზე დაეკიდოს. რას აკეთებს რეალური თავი იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩვენთან რაიმეს წასაკითხად კი არა, არამედ გარკვეული მოვლენების, ან სტრიპტეასـــის ახლოდან განცდის სურვილმა მოიყვანა? თავისი საკითხავი ადგილ-სამყოფლიდან, ჩვენი წიგნის უბნიდან იგი აზრით სხვაგან გადაინაცვლებს და იმ უბნებს ჩაუკვირდება. როგორ გგონია, შევძლებთ კი ჩვენ, შეზღუდული წიგნის პერსონაჟები რეალური თავის დანახვას? – ნამდვილი გენიოსი ხარ! – წამოვიძახე აღფრთოვანებულმა, – რა თქმა უნდა! რა ნათელი და დამაჯერებელია ყველაფერი ის, რასაც შენ ამბობ. როცა რეალური თავი ფიქრობს, რომ იქ არ არის, მაშინ ის იქ მართლა აღარ არის. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის, წიგნის პერსონაჟებისთვის იგი იქ უკვე აღარ არის, თუმცა კი ფაქტიურად კვლავ იქ რჩება. და ეს იმიტომ, რომ ჩვენ სემანტიკური არსებები ვართ და ჩვენს ზემოთ რეალურ თავებს მხოლოდ მაშინ ვხედავთ, როცა მათ ჩვენს მიმართ შესაბამისად, ასევე სემანტიკური

დამოკიდებულება უჩნდებათ და ზემოდან ჩვენკენ კითხვა-კითხვით მოისწრაფიან, ხოლო თუ ფიქრი შეწყვიტეს, ჩვენც მაშინვე ვკარგავთ მხედველობის არიდან. ამის თქმა გინდოდა, არა? – სწორედ მაგის! – თავი დამიქნია ალუმ თანხმობის ნიშნად, – ჩემი ნათქვამი კარგად გაგიგია, – ჩვენ, წიგნის პერსონაჟები, ჩვენი კოსმოსიდან ცაზე მხოლოდ იმ რეალურ თავებს ვამჩნევთ, რომლებიც რეალურ-ფსიქოლოგიურად, მიზანდასახულად გვეტანებიან და სათანადო წასაკითხი დისტანციიდან გვკითხულობენ. თუმცა ბევრს მაინც ვერაფერს ვხედავთ, რადგან, როგორც წესი, ჩვენს თავზე ისინი თითო-თითოდ ჩნდებიან. ცალკეულ შემთხვევებში წიგნის სამყაროდან ორი რეალური თავის დანახვაც შეიძლება. ამ დროს ისინი ჩვენს ტერიტორიას ერთად გადაუფრენენ. ეს საკმაოდ იშვიათად ხდება, რადგან წიგნის სამყარო თავისი უბნებით მხოლოდ ერთმა თავმა შეიძლება შეიმეცნოს. ის, რომ წიგნის უბნის ცა ურიცხვი რეალური თავით იყოს დასახლებული, ისე რომ მზესაც ჩრდილავდეს, ასეთი რამ მხოლოდ ქისტ პერსონაჟებთან გვხვდება და სხვაგან არსად. ამას კი, სხვათაშორის, ქისტებმა საკუთარი შემოქმედებითი თემატური და არათემატური ფანტაზიის სრული მობილიზაციით მიაღწიეს – ენით აუღწერელი ხრიკებით, თავისუფალი სექსუალური ატრაქციონებით, გიმნასტიკური და ყველა თვალსაზრისით თავპირდასამტვრევი წარმოდგენებით და ა.შ. მთავარი კი ის არის, რომ ყოველი წიგნის უბის ისტორიის თავზე ყოველთვის მხოლოდ ერთი ხილული მკითხველის თავი ჩნდება. როგორც უკვე გითხარი, რეალურ თავებს წიგნის პერსონაჟები მხოლოდ ასე ვხედავთ და მათ არსებობას ამგვარად ვადგენთ. ობიექტურად კი, ანუ ჩვენი ხედვისა და დაკვირვების უნარისაგან დამოუკიდებლად, ყოველი წიგნის უბნის ყოველი ცა რეალური თავებით არის გადაჭედილი. წიგნის სამყაროს კოსმოსში, სადაც ჩვენი წიგნის სამყაროს დედამიწა ბრუნავს, მირიადი ვარსკვლავი და პლანეტაა. ასევე რეალურ კოსმოსშიც ჩვენი წიგნის სამყაროს ცის საფარს მილიონობით რეალური თავი დასტრიალებს, რომელსაც წიგნის პერსონაჟები ჩვენი კოსმოსური ადგილსამყოფელიდან ვერ ვხედავთ და, რადგან ისინი ჩვენი სამყაროდან უსასრულოდ შორს დგანან და ჩვენთვის არანაირ მოვლენას არ წარმოადგენენ (მკითხველ თავებად არ გვევლინებიან), ამიტომ ჩვენთვის რაიმე მნიშვნელობასაც ვერასდროს შეიძენენ. ეს თავები ჩვენ უშუალოდ არ გვეხებიან და ამდენად ჩვენთვის უხილავნიც არიან. ალბათ, მრავალი მათგანი ჩვენი წიგნის ცის საფარს მოახლოვებია და წიგნის სამყაროში ჩაუვლია კიდეც, თუმცა მათ ჩვენ მაინც ვერ ვხედავთ, რადგან ისინი ჩვენი წიგნის სამყაროზე, თემსა და თემატიკაზე არ არიან ორიენტირებულნი და სულ სხვა მოვლენას, რეალურ სამყაროში რომელიმე რეალურ საგანს, ან იმ წიგნის სამყაროს

აფიქსირებენ, რომლის არსებობის შესახებ წარმოდგენაც არა გვაქვს. ისიც კი მგონია, რომ წიგნის სამყაროს თემების თავზე ისეთი რეალური თავებიც არსებობენ, რომლებიც არაფერ განსაკუთრებულზე არ ფიქრობენ და მოვლენებს, როგორც ფილმს, ისე აღიქვამენ. ამგვარი თავების რიცხვი უსასრულოდ დიდია და მოვლენების (რეალური და წიგნის სამყაროს) მიმართ, მათი აბსოლუტური პასიურობის გამო ჩვენ მათ ვერ ვხედავთ.

– რეალურ კოსმოსში ხომ მაინც უნდა ჩანდნენ? – ვკითხე მისი გამჭრიახობით აღფრთოვანებულმა, – ორივე კოსმოსში ფრენისას რატომ არც ერთხელ მოგვიკრავს მათთვის თვალი? – შესაძლოა, ამას მრავალი ფიზიოლოგიური მიზეზი განაპირობებდეს, – მომიგო ალუმ, – რეალური თავი, რომელიც სწორედ ახლა გვკითხულობს და რომლისკენაც ჩვენ მივემართებით, შეიძლება თავის კონკრეტულ სამყაროში სრულიად მარტოა. ცხადია, მათი განცალკევება სავარაუდოცაა. შეიძლება, რეალურ სამყაროში ახლა ღამეა? და ჩვენი რეალური თავი ნათურის შუქზე გვსწავლობს, მის გარემომცველ სამყაროს სუსტად ანათებს. ხომ ხედავთ, მიზეზები არ დაილევა – დაახლოებით ასეთი იყო ჩვენი პირველი საუბრის თემა რეალური თავის ცნობიერების ტალღებზე. იმას კი ვერ ვხვდებოდით, რომ უკვე მიზანთან ვიყავით, რადგან, როგორც უკვე მოგახსენეთ, რეალურ თავში შესვლას ასტრონავტები ვერც კი ამჩნევენ, იმდენად სწრაფად და ცვლილებების გარეშე ხდება ეს ყოველივე. მკითხველის თავში წიგნის პერსონაჟმა დიდხანს უნდა იფრინოს, მანამ გარემოს შეცვლის პირველ ობიექტურ ნიშნებს შეამჩნევდეს. ჩვენს შემთხვევაშიც სწორედ ასე გახლდათ. რეალური თავის თემაზე საუბარი არც კი დაგვესრულებინა, როცა ასე, ექვსასი-რვაასი მეტრის მოშორებით აზრის ნაკადიდან ამოზრდილი უცნაური შავი მთის ქედი შევამჩნიეთ.

რეალური აზრის მყინვარი

როცა ცნობიერების ნაკადმა ამ უფორმო საგანთან ჩაგვატარა და განათებული მხრიდან შევხედეთ, აღმოჩნდა, რომ ეს გიგანტური მასა თოვლივით ქათქათა ფერის იყო. თავიდან ეს უზარმაზარი კედელი შავ სილუეტად აღვიქვით იმ მოცურავის მსგავსად, რომელიც ოკეანის უზარმაზარი გემისკენ მზისგან ზუქგშექცევით მიისწრაფვის. ძლიერი ლოდი ხმამაღალი ჭახაჭუხით ამსხვრევდა გარეშემო წკრიალა ყინულის ბელტებს, რომელსაც ალუმ ცოტა ხნით ადრე ჩემთან საუბრისას, წიგნის სამყაროს შესახებ გეოგრაფიული ინფორმაციით დატენილი გაყინული რეალური ცნობიერების ნაკადი უწოდა. – ეს რაღაა? – გაკვირვებით წამოიძახა ჩემმა მეგობარმა, – ეს რა მოცურავს ჩვენკენ? – რომელიმე

შორეული სამყაროს კომეტა იქნება, – ვუთხარი შეშფოთებულმა, რადგან ეს წარმონაქმნი მეც ძალზე უჩვეულოდ მომეჩვენა. – სისულელეა, – განაცხადა ალუმ, – წარმოუდგენელია, რეალური თავის აზრის გზაზე რაიმე ისეთმა იჩინოს თავი, რასაც იგი თავად არ ქმნის და რასაც მიზნად არ ისახავს. აზრობრივი მასალის გარდა სხვა დანარჩენის არსებობა გამორიცხულია. – მაშ, აბა რა უნდა იყოს? – კვლავ ვიკითხე და აღფრთოვანებული შევყურებდი მთას, რომელიც ჩვენგან, დაახლოები 50 მეტრის მანძილზე ირწეოდა და მართლაც დიდებული სანახავი გახლდათ. უზარმაზარ მასას გვერდებზე ნაპრალები გასჩენოდა, ხოლო მის გოლიათურ, თაღისებურ სხეულს კი რამდენიმე ცად აწვდენილი მწვერვალი ავვირგვინებდა. ჩვენ სწორედ ამ წარმონაქმნის სიმაღლეზე მივცურავდით და რადგან მას ნაწილობრივ თვალისმომჭრელი რეალური მზე, თუ ნათურის შუქი ანათებდა, ამიტომ ერთი მხრიდან მოლურჯო შავი დაჰკრავდა, ხოლო მეორე მხრიდან კი თოვლივით ქათქათებდა

– თუ ჩვენ არ შევამოწმეთ, სხვა ვერ აგვიხსნის! – დაიყვირა ალუმ და ხელ-ფეხი ღონივრად მოუსვა (დაახლოებით ისეთ მოძრაობებს ასრულებდა, როგორსაც წიგნისა და, ალბათ, რეალურ სამყაროშიც შეჯიბრის დროს, კროლით ცურვისას იყენებენ ხოლმე). მეც უკან მივყევი. არ მომიყოლია, როგორ დაცურავენ რეალური ცნობიერების ნაკადში?

რეალურ სამყაროსა და წიგნის სამყაროს თემებამდე გადაჭიმული რეალური აზრის გზაზე, როგორც რბილ, თხევად მასაში, ისე გაწვები, შემდეგ ეს მასა წაგიღებს კიდეც და სხეულის წამოწევას, თუმცა შეზღუდულად, მაგრამ მაინც ახერხებ. შიგ ცურვა შეუძლებელია, რადგან რბილი რეალური აზრის ცომი, რისგანაც ყოველი გზა იქმნება, ძალზე წებოვანია იმისათვის, რომ წინსვლის საშუალება მოგცეს. სამაგიეროდ, ცნობიერების ნაკადის წყალი რეალური თავის შიგნით უკვე ნამდვილ დინებას იწყებს და ცურვაც ისევე იოლდება, როგორც ჩვენი თემის მდინარეებსა და ზღვებში. მოციმციმე აისბერგისაკენ ჩემი მეგობრის უკან მივცურავდი. უნდა მოგახსენოთ, რომ რეალური თავის ცნობიერების ნაკადი თბილია და ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს თბილ აბაზანას იღებდე. როგორც კი თვალებს ვხუჭავდი, ასე მეგონა, თითქოს შატილში, ჩემს კეთილმოწყობილ აბაზანაში შხაპს ვიღებდი. თბილ დინებაში მყინვარის არსებობა საკმაოდ უცნაური იყო და, ალბათ, ჩემი ცნობისმოყვარეობაც არ უნდა ყოფილიყო გასაკვირი, როცა მიზნისკენ მივცურავდი და ბოლოს, ამ გასაოცარი წარმონაქმნის დაკბილულ გამონაზარდთან უკანა მხრიდან შევჩერდი.

ხელი რომ შევახე, მყინვარი სულაც არ იყო ცივი, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა. ეს იყო რეალური შუქით გამთბარი (კონკრეტულად

რომელი მანათობელი სხეულით, ეს მოგვიანებით შევიტყვეთ) და, ჩემდა გასაოცრად, მყიფე მასა. როგორც კი შევანჯღრიე, მაშინვე ჩატყდა. ზოგ ადგილას კი ისეთი მაგარი იყო, რომ შევახტი კიდეც. ალუს მსგავსად მწვერვალისაკენ დავიწყე ცოცვა. ალუმ უკან ჩამომიტოვა და თავიდან ვერც კი ვხედავდი. ირგვლივ მყინვარის დაბზარული კედლები მერტყა, საიდანაც ათასობით დიდი თუ პატარა ყინულის ლოლო გადმოკიდებულიყო. ახლოდან რომ დავაკვირდი, აღმოჩნდა, რომ მათ ოთახის დერეფნისა თუ კიბისმაგვარი ფორმები ჰქონდათ. ამ უცნაურ, სწორედაც რომ გამაოგნებელ ფორმებთან დიდხანს არ შევჩერებულვარ. ჯერ ჩემი თემატური ამხანაგის, ალუს მოძებნას ვაპირებდი. მთებზე ცოცვას მიჩვეული ვარ. ხევსურული მთები, სადაც მე დავეხეტები და სადაც ამაღელვებელი თემატური მოვლენების შემდეგ ჩემი მეგობარი ალუ ტყვიით მკლავს, ამის შესაძლებლობა ნამდვილად არ მაკლია. მოგეხსენებათ, მთიან სოფლებში მთებზე ცოცვა გადაადგილების ერთადერთი საშუალებაა. დიდი ალპინისტი არ გახლავართ, მაგრამ არ არსებობს კლდე, რომელზეც ვერ ავცოცდები. გამოცდილება აქაც გამომადგა. წინ მარდად მივიწევდი კლდის შვერილებით, რომელიც საკმაოდ საიმედო იყო, რომ ჩემი სხეულის სიმძიმისთვის გაეძლო. ვისაც მთებში ჩემსავით დიდხანს უცხოვრია, კარგად იცის, მსგავს პირობებში როგორ მოიქცეს. კლდე სხვადასხვა შრეებისაგან შედგებოდა. ამის დადგენა სულ იოლად შევძელი, რადგან განსაკუთრებულად რთულ ადგილებში იძულებული ვიყავი, აზრის კლდესთან სახე ახლოს მიმეტანა. ეს იყო სხვადასხვა შეფერილობისა და განსხვავებული მასალის კონგლომერატი, რომელთა ფერებიც ერთმანეთში მონაცვლეობდა. სანამ ცხვირს ზედ არ მიადებდით, შრეების სიჭრელეს ვერ აღიქვამდით. ისე კი, როგორც ვთქვი, მთა მზის მხრიდან თოვლივით ქათქათებდა, ჩრდილის მხრიდან კი კუნაპეტი შავი დაჰკრავდა.

მაღლა ავცოცდი და დინებას იქიდან გადმოვხედე. ახლაღა შევამჩნიე, რომ დინება ტყიან სანაპირო ზოლს მიუყვებოდა, რომლის ორივე მხარე ერთმანეთისგან 1 - 1/2 კილომეტრით მაინც უნდა ყოფილიყო დაცილებული. უკან კი ბორცვებიანი ლანდშაფტი მოჩანდა. ის, რაც კულისებში იყო განლაგებული, გაცილებით მაღალი მეჩვენებოდა, ვიდრე წინა ხედი. თვალშისაცემი იყო ისიც, რომ დინება მყინვარამდე ღია ფერისა იყო, შემდეგ კი მთიანი მასისკენ თანდათან მუქდებოდა. მყინვარზე დაკიდებულს, ამ პანორამის შემყურეს, გონება გამინათდა და როგორც იქნა, მივხვდი, რომ ორ სამყაროს შორის გამავალი აზრის გზაზე კი აღარ ვიდექით, არამედ იმ კონკრეტული რეალური თავის შიგნით მივცურავდით, რომელში მოსახვედრადაც უსასრულოდ გრძელი გზა გავლიეთ. ეს აზრი იმდენად დაუჯერებლად მეჩვენებოდა, რომ შევეცადე, თავიდან მომეცი-

ლებინა, რადგან წარმტაცი სანაპირო და სოფლური პეიზაჟის ყველა სხვა დანარჩენი გეოგრაფიული დეტალი სხვა რამის (რეალური თავის) წარმოდგენის შესაძლებლობას ნაკლებად იძლეოდა. მაგრამ, თუ ეს რეალური თავი არ იყო, მაშ რაღა ჯანდაბა უნდა ყოფილიყო? Aაშკარა გახლდათ, რომ ეს გარემო რეალურ კოსმოსს არ ეკუთნოდა. მაშ, სად მოვხვდით? ერთ წუთს ისიც კი დავუშვი, რომ დინებამ მილიონი სემანტიკური სინათლის წლით დაცილებული წიგნის სამყაროს რომელიმე სხვა პლანეტაზე გადაგვისროლა. ხომ შეიძლებოდა, რომ რეალური აზრის ნაკადს არცთუ ისე შემთხვევით სადმე სხვაგან გავერიყეთ? რეალური კოსმოსი უთვალავი აზრის გზით იყო დასერილი, რომელიც ასევე ურიცხვი რეალური თავიდან იღებდა სათავეს და წიგნის სამყაროს თემებისკენ გადაჭიმულიყო. დასაშვები იყო, რომ ორი ან რამდენიმე რეალური გზის ურთიერთგადამკვეთ პუნქტში გზას ავცდენოდით და წიგნის სამყაროს სრულიად სხვა პლანეტისკენ გადაგვეხვია. მართალია, ალუ მარწმუნებდა (ამასვე ამტკიცებდნენ ქისტი ასტრონავტებიც), რომ რეალური მზის სისტემაში სხვა წიგნის სამყაროს არსებობა გამორიცხული იყო, მაგრამ წიგნის სამყაროს ასტრონომია, მიუხედავად დიდი აღმოჩენებისა ჯერ მაინც ფეხს იდგამდა და ყოველი დღე ახლებურ გამოცდილებას გვძენდა, ხოლო ჩემს მდგომარეობაში ადამიანი რას აღარ წარმოიდგენდა. მეორე მხრივ კი, მე და ალუს არაერთხელ გვისაუბრია იმ კანონზომიერებაზე, რომ ყველაფერი ის, რაც რეალური აზრის ნაკადს წიგნის სამყაროს თემებიდან ზემოთ მიაქვს, უცილობლად რეალურ თავში ხვდება და რეალურ სამყაროში არაფერი სემანტიკური არ იკარგება. არსებობდა თუ არა გამონაკლისი? თავში ათასი აზრი მიტრიალებდა. რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მართლა წიგნის სამყაროს სხვა პლანეტაზე მოვხვდით? ჩვენ, სრულიად არათემატური (შეძლებისდაგვარად, ასევე ანტითემატური) ახალბედები ხომ არ გამოვიწვევდით იქაურთა აღშფოთებას? ჩვენთან შედარებით ეს ხალხი წიგნის სამყაროს ისტორიული განვითარების დაბალ საფეხურზე იდგა და ხომ არ იქცეოდა ჩვენს შორის არსებული განსხვავება ჩვენზე თავდასხმისა და მკვლელობის საბაბად? ამ შემთხვევაში, საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, რადგან რომელ რეალურ თავს მოუვიდოდა თავში აზრად, გადავერჩინეთ (აზრის ძალით ამ სიტუაციიდან გამოვეხმეთ)ანუ, ამ თავთაგანს ვის გაუჩნდებოდა წასაკითხ მასალაში მსგავსი კონტრასტული აბდაუბდის წარმომავლობის დადგენის სურვილი? განა ათასჯერ უფრო სარწმუნო არ იყო, რომ თუ რეალური მკითხველის თავი წიგნის სამყაროს სხვა პლანეტაზე შეგვამჩნევდა, რომელიმე სხვა, საკუთარ (რეალურ) ჰალუცინაციაზე დაეწყო ფიქრი, ჩვენთვის ზურგი შეექცია და წიგნის უბნის უცხო მხარეში ბედის ანაბარა

მივეტოვებინეთ?

ამ და სხვა ფიქრებით თავგზაარეულმა, როგორც იქნა, მყინვარის მწვერვალს მივაღწიე და ალუსკენ ფრთხილად გავემართე, რომელიც ჩემგან ოთხასი-ხუთასი მეტრის მოშორებით იდგა. ალუ ძლივს ვიცანი, რადგან რეალური თუ ხელოვნური სინათლის კონუსი გადასულიყო და ეს ადგილი დინების ბნელ მხარეს მოქცეულიყო. – ალუ! – მოუთმენლად დავიყვირე, ცოტა არ იყოს მეწყინა, რატომ ცდილობდა ამ უცხო მხარეში მარტო სიარულს? ერთხელ მაინც რატომ არ გამომძახა? მეგობრობაში ასეთი რამ, უბრალოდ, წარმოუდგენელი იყო. ალუ არც ახლა განძრეულა და ჯიუტად დუმდა. ეს კი აღარ მომეწონა და ნაბიჯს ავუჩქარე, თუმცა ამ სივიწროვეში, მყინვარის დაბზარული კალთის თავზე გადაადგილება არც ისე ადვილი იყო. სულს ძლივს ვითქვამდი და მიზანს რომ მივაღწიე, ისეთი სიუპრიზი მელოდა, რასაც ცხოვრებაში (საკუთარ თემში, შესაბამისად თემატიკაში) იშვიათად თუ შეხვდება კაცი. ალუსთან ერთად ვიღაც სხვაც იდგა, ჩემი მეგობრის ზუსტი ასლი, რომელიც მას ტყუპისცალივით ჰგავდა, ანუ ორი ალუ და ერთმანეთს აღელვებულები ესაუბრებოდნენ. აი, რატომ დაკარგულა ჩემი ამხანაგი. თურმე თავისი ორეული ეპოვნა და სხვა ყველაფერი დავიწყებოდა.

შეხვედრა ალუ II-სთან

თავიდან მეგონა, ხომ არ მეჩვენება–მეთქი და შესამოწმებლად ბარძაყზე ვიჩქმიტე. ჩემი ეჭვი სრულიად სამართლიანი იყო, რადგან ამდენ ახალ შთაბეჭდილებას თავისუფლად შეეძლო, ადამიანში ჰალუცინაციები და ყოვლად არეული წარმოდგენები გამოეწვია (წიგნის სამყაროდან რეალურ (თავში) სამყაროში ფრენის ისტორია სავსეა მსგავსი შემთხვევებით). მაგრამ რეალური აზრის მყინვარზე გაორმაგებული ალუს ხილვა სრული რეალობა გახლდათ. რაც უნდა მეჯიჯგნა ბარძაყი, ჩემი მეგობრის უცნაური და ცოცხალი ორეული მაინც არ ქრებოდა, ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა და, ვითომც არაფერი, საუბარს უდარდელად აგრძელებდა. ხმაც ზუსტად ისეთი ჰქონდა, როგორც ჩემს ხევსურ მეგობარს – გაუთავებელი ჩიბუხის წევისაგან ოდნავ ჩახლეჩილი, მაგრამ მაინც მყღერი, ძლიერი და მშვენიერი. როცა თემში ალუ იწყებდა ლაპარაკს, მაშინვე შეამჩნევდით, რომ მისი პირით მთავარი პერსონაჟი მეტყველებდა. ალუ II-ს ჩაცმულობა არაფრით განსხვავდებოდა ჩემი თემატურ-ანტითემატური მეგობრის ჩაცმულობისაგან. ჩვენი თემისთვის დამახასიათებელი ფართე, თეძოებზე ქამარშემოჭერილი ტყავის პერანგის სამკერდე ჯიბეებიდან ვაზნები ულაპლაპებდა. მხოლოდ

სახელოები დაეკაპიწებინა და ამით თუ განსხვავდებოდა წიგნის პერსონაჟ ალუ I-ისგან. მთამ ნაკადის ნათელი ზონა უკან ჩამოიტოვა და სიბნელეში ამ სხვაობასაც ვერ შეამჩნევდით. მათი საუბრიდან ყური ვერაფერს მოვკარი. ალბათ, იმ წუთს ისეთი აღელვებული ვიყავი, რომ აღარაფერი მესმოდა. ალუ II-ს დანახვამ თავგზა ამირია, თანაც ტვინს მიბურღავდა იმაზე ფიქრიც, სად ვიმყოფებოდი და რითი დასრულდებოდა ჩვენი მოგზაურობა.

– აი, ჩემი კოლეგა მუცალიც მოდის! – წამოიძახა გახარებულმა ალუ I-მა. ნაბიჯების ხმაზე უკან მოიხედა და ხელი დამიქნია – ალბათ, გახსოვთ! ეს ის ქისტია, რომელსაც მე თემის დაწყებისთანავე ტყვიით ვკლავ. მეორემ ამაზე უპასუხა – ااا! – და მომიახლოვდა. ჩვენ ერთმანეთის პირისპირ ვიდექით. ეს კაცი ალუს გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა. ის თან ალუ იყო, თან მთლად არც იყო. სხვაობას თვალით ვერ შეამჩნევდით, უბრალოდ, ვიგრძენი. ჩემს თემელ ამხანაგ ალუსთან ამ პერსონის გამაოგნებელმა მსგავსებამ ყველა გრძნობა გადაფარა. – მაშასადამე, ეს არის! – თქვა ალუ II–მ და ხანგრძლივი, გამომცდელი მზერით შემათვალიერა, – როგორც იქნა, მისი ნახვის და, რაც კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია, მასთან საუბრის შესაძლებლობა მომეცა. ხომ არ აჯობებდა, შუქი აგვენთო, თორემ აქ ისე ბნელა, კაცი ვერაფერს დაინახავს. – ის, რაც მან ამ სიტყვების შემდეგ მოიმოქმედა, ყოველგვარ რეალურ და წიგნის სამყაროს მეცნიერულ წარმოდგენებს სცილდება. მსგავსი რამ აქამდე არც მე და წიგნის სამყაროს არც ერთ ასტრონავტს (ქისტს, ხევსურს) არ ენახა. ჩვენ უკვე იმ მთავარ პუნქტს მივადექით, რომელიც ჩემი და ალუს რეალურ თავში მოგზაურობის განსაკუთრებულობას სრულიად ცხადად წარმოაჩენს. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ალუ II-მ ჩვენგან უკიდეგანოდ შორეული, მოციმციმე რეალური სამყაროს მანათობელი სხეული საჩვენებელი თითით თავისკენ მოიხმო. ისიც მაშინვე ამოძრავდა და ჩვენკენ გამოემართა. წარმოიდგინეთ, რომ წიგნის პერსონაჟმა თავის თემში, წიგნის სამყაროს მზეს, მთვარეს ან რომელიმე ვარსკვლავს ხელი დაუქნიოს და ისიც დაუყოვნებლივ ამ პერსონაჟისთვის სასურველ ადგილას კონცენტრირდეს. ცხადია, ამის წარმოდგენა ადვილი არ არის, რადგან ჩვენი წიგნის სამყაროს დედამიწაზე ასეთი რამ, უბრალოდ, არ ხდება. რაც უნდა უქნიოს ხელი პერსონაჟმა წიგნის სამყაროს მნათობს და თანამგზავრს, წიგნის სამყაროს ციური სხეული სამყაროში თავის ადგილმდებარეობას მაინც არ შეიცვლის. ასეთი რამ წიგნის სამყაროს ზღაპრებში თუ ხდება მხოლოდ. ჩემი გაოგნებული მზერის წინაშე კი სწორედ ეს მოხდა. ალუ II-ს გამოხმობილი რეალური სამყაროს მანათობელი სხეული ჩვენკენ დაიძრა და აზრის მთის ქედიც თანდათან

განათდა. ხუთი წუთიც არ გასულა და ჩვენ უკვე წიგნის სამყაროს ყველაზე ჩახჩახა დღეზე უფრო ნათელი დღის შუქზე ვიდექით.

– ეს როგორ შეძელით? ვინ ხართ თქვენ საერთოდ? – ენა დამება და სახეზე ხელები ავიფარე, ისე ამტკივდა თვალები მჭახე შუქისგან. – გიკვირს, არა? – გაეცინა ჩემს თანამგზავრს და თემელ ამხანაგ ალუ I-ს და გასამხნევებლად მხარზე ხელი დამკრა. – მაგას ყველაფერი შეუძლია, საკმარისია, მზეს დაუსტვინოს და ისიც იმ ძაღლივით გამოცუქცუქდება, რომელსაც ძეხვის სუნი ეცა. ქედი მოიხარე! ეს იმ უცნაური სამყაროს ბატონ-პატრონი და მბრძანებელია, სადაც ჩვენ ახლა ვიმყოფებით. – რომელი სამყაროსი? – ვკითხე შეშფოთებულმა, – განა რეალური თავისკენ, რეალურ სამყაროში არ მივფრინავთ? რამე ხომ არ შეიცვალა? – ეგღა გვაკლია! – ჩაეცინა ალუ I-ს და თავის ორეულს ეშმაკურად თვალი ჩაუკრა. – ხელები ჩამოიღე, გაახილე თვალები, მუცალ! დიდი ხანია, მიზანთან ვართ. შენ ახლა იმ რეალური თავის ცნობიერების ნაკადში მიცურავ, რომლისკენ მოვისწრაფოდით. – რა? – დავიყვირე გაოგნებულმა, – უკვე მოვედით? – დიახ! თქვა ალუ II-მ და თავი დამიქნია, – ოთხი თუ ხუთი საათია, უკვე რეალურ თავში იმყოფებით. – ააა! – ავლუღლუღდი, – ესე იგი, რეალური თავი ეს არის! უკაცრაული პასუხია და, ყოფიერების ამ დონეზე მოხვედრა სულ სხვაგვარად წარმომედგინა. – მაინც, როგორ? – ცნობისმოყვარედ მკითხა ალუ II-მ. – მეგონა, რეალური თავი პირადად მოგვესალმებოდა, – ვუპასუხე ყოყმანით, – არ იცის თუ რა, რომ უკვე აქა ვართ? – არა, ბატონო ჩემო. – ამიხსნა ალუ II-მ, – ჩვენც სწორედ ამაზე ვსაუბრობდით. თქვენი აქ ყოფნის შესახებ რეალურმა თავმა არაფერი იცის. – როგორ თუ არაფერი, როცა უკვე მისი ცნობიერების ნაკადში ვართ? – გავიკვირვე. – თქვენ მისი ქვეცნობიერის ნაკადში ხართ, – შემისწორა ალუ II-მ ღიმილით. უცნაურად კი ეღერს, მაგრამ წმინდა წყლის სიმართლე გახლავთ. ყველაფერს, რასაც თქვენს ირგვლივ ხედავთ, რეალური თავის ცნობიერების ქვემო ნაკადის სფეროს განეკუთვნება. ნუ გაუნაწყენდებით, რომ ვერ გამჩნევთ. – ქვეცნობიერების ნაკადი? – ვკითხე გაოგნებულმა.

– რა დასანანია! ამდენი წვალების შემდეგ ქვეცნობიერის ნაკადში მოხვედრა! ეს ხომ მარცხია. რაც გინდათ თქვით, მე კი იმედი გამიცრუვდა. – პირიქით, მუცალ! – მიპასუხა ალუ I-მა (ჩემმა ძველმა კარგმა თემელმა ამხანაგმა) აღელვებული ხმით, – ეს ბედნიერებაა, მუცალ, თანაც დიდი ბედნიერება, რომ რეალური თავის დინების ამ მონაკვეთში მოვხვდით და არა მისი ცნობიერების რომელიმე ზედა ნაწილში (აღელვებისაგან ხმაც კი ჩაუწყდა). – მისმინე! ჩვენ არა მარტო მიზანს მივაღწიეთ, არა მარტო რეალური თავის ცნობიერებაში შევაღწიეთ, არამედ მოგზაურო-

ბის მიზანიც აღსრულდა. – ეგ როგორ? – წამოვიყვირე და უნდობლად მივაშტერდი. არაფერი მესმოდა. ყველაფერი საიდუმლოებით იყო მოცული. როგორც გახსოვთ, ჩვენი უმთავრესი მიზანი ის გახლდათ, რომ დაგვედგინა, როგორ აღიქვამდა რეალური მკითხველის თავი ალუს საზიზღარ, აბსურდულობამდე გაყალბებული სიზმრის სცენას, გაბმულიყო თუ არა ის უკანა პლანზე მწყემსების დაგებულ ხაფანგში და ყველაფერს სერიოზულად აღიქვამდა, თუ Schisch-ის უსაფუძვლობა შეეცნო და ალუს იმ წესიერ (ანტითემატურ) სიუჟეტურ პერსონაჟად მიიჩნევდა, რასაც ეს ხევსური სინამდვილეში წარმოადგენდა. რა კავშირი ჰქონდა ამ პრობლემას ამ უცნაურ სიტუაციასთან! აქ, რეალური აზრის მყინვარზე, ამ სიტუაციაში სად უნდა გვეძებნა ალუს ეგზისტენციალური პრობლემის გადაჭრის გზები? ხელმოსაჭიდი არაფერი ჩანდა. – ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ, – მითხრა ალუ I-მა ღიმილით და ხელით ამ საკვირველი კაცისკენ მიმითითა. – ეს ჩემი რეალური და, ამდენად, ბევრად ბედნიერი „მე" – გახლავთ. ეს ის ალუდა ქეთელაურია, რომელიც რეალური თავის აზრთა საუფლოში არსებობს. მუცალ! შენ ჩემი რეალური ვარიანტის წინაშე დგახარ! – მოხარული ვარ! – ვთქვი თავაზიანად და ალუ II-ს ხელი ენერგიულად ჩამოვართვი. – ბატონო ჩემო, თქვენ, ალბათ, აქ, ყველა პერსონაჟზე უკეთ ერკვევით. უამრავი რამ გვაინტერესებს, იქნებ მეგზურობა გაგვიწიოთ! – რაღა თქმა უნდა! – წამოიძახა ალუ II-მ კმაყოფილებით, – ამაზე უკეთესს რას დამავალებთ? ვერ წარმოიდგენთ, რა მოუთმენლად გელოდით. დღეში ექვსჯერ მაინც მოტორიანი ნავით ქვეცნობიერის ნაკადში აღმა-დაღმა დავცურავდი, რომ იქნებ სადმე გადაგყროდით! – რაა? – აღმომხდა გაოგნებულს. – ჩვენ გველოდებოდით? და თქვენ იცოდით?... – ცხადია, – მხიარულად მიპასუხა ალუ II-მ, – აქედან კარგ ამინდში რეალური და წიგნის სამყაროც თქვენი თემებიანად სრულიად ნათლად მოჩანს. ბოლო ხანებში ისე დაძაბული და აფორიაქებულები ჩანდით, მაშინვე მივხვდით, რომ რაღაც გქონდათ განზრახული და ვთქვით კიდეც: ნახეთ, თუ მაგათ ჩვენამდე არ ამოაღწიონ! – ამის მიხვედრა ძნელი არ უნდა ყოფილიყო, – ჩაერია სიცილით ალუ I. – თუ დამინახეთ, როგორ დაჟინებით მივშტერებოდი წიგნის უბნის ცას, – ალუ II-მ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, – სწორედაც, რომ ძნელი არ იყო. ნუ დაგავიწყდებათ, რომ რეალური მკითხველის თავში დაბადებული წიგნის პერსონაჟი სწორედ ისე გრძნობს თავს, როგორც მისი ორეული წიგნის სამყაროს თემებში, ზუსტად ესმის მისი გულისთქმა და აზრები. ჩვენ ხომ ფაქტიურად ერთსა და იმავე პერსონას წარმოვადგენთ – სულით ხორცამდე ერთნაირს. ერთსა და იმავე თემსა და თემში ერთმანეთთან გაცილებით მეტი გვაკავშირებს,

ვიდრე განგვასხვავებს და ამიტომაც, თქვენზე აქ, ზემოთ, თითქმის ყველაფერი ვიცით. ასე რომ, დაწვრილებით არაფრის მოყოლა არ გჭირდებათ. – დიდებულია! – ჩავილაპარაკე, დარწმუნებული მაინც არ ვიყავი, რომ რეალური თავის ასეთ მაღალ დონეზე წიგნის სამყაროს პერსონაჟებთან მჭიდრო კონტაქტის რეალური შესაძლებლობა არსებობდა. – საკუთარ თავს მრავლობით რიცხვში მოიხსენიებთ, – ჩავეკითხე ალუ II-ს ფრთხილად, – უნდა ვიფიქრო, რომ თქვენს გარდა აქ, ჩვენი ხევსურული თემის წიგნის სხვა პერსონაჟთა ორეულებიც დადიან? – სწორედ ასეა, – მხიარულად მიპასუხა ალუ II-მ, – ნუთუ აქამდე არ იცოდით, რომ ყოველ თქვენთაგანს ზემოთ შესაბამისი რეალური თავიდან დაბადებული თემატური ტყუპისცალი ჰყავს?

– არა, საიდან უნდა გვცოდნოდა? – ჩავილაპარაკე ხანმოკლე პაუზის შემდეგ. –ქვემოთ ზოგი ფიქრობს, რომ კარგი პერსონაჟები სიკვდილის შემდეგ, ანუ როცა რეალურ თავებში სრულ დავიწყებას მიეცემიან, წიგნის სამყაროს ცაში ხვდებიან. დღეს კი ათეიზმითა და მატერიალიზმით დაღრღნილ წიგნის სამყაროში ამისი აღარავის სჯერა, ასე არ არის? – ალუ I-მა თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია, მე კი განვაგრძე – დიახ, ეს ამტკიცებს, რომ წიგნის პერსონაჟების ეგზისტენციალური ადგილი რეალური თავებია. ეს დაახლოებით იგივეა, რაც ცაში მოხვედრა. ეს, ეს... უბრალოდ ამაღელვებელია. ჯიბეში ცხვირსახოცი მოვიქექე (რომელიც რეალური ქვეცნობიერის ნაკადის წყალს დაესვენლებინა და გასაგრილებლად სახეზე მოვისვი). სად არიან ჩვენი ანარეკლები? – ვკითხე დამფრთხალმა ჩემს ახალ ნაცნობს. – როგორია მათი სასიცოცხლო პირობები რეალური თავის განზომილებაში? – ალუ II-მ სიცილით შეხედა ალუ I-ს, –სწორედ ამას არ მეკითხებოდით ახლახან? – იქნებ ყველაფერი მოუყვეთ თქვენს თემელ ამხანაგს, რაც ჩემგან ამის შესახებ შეიტყვეთ. მე კი, დრო რომ არ დავკარგოთ, სამახსოვროდ ფოტოს გადაგიღებთ.

სიუჟეტური მასალა
რეალური აზრის ნაგვის გატანა

– ყური დამიგდე! მითხრა ალუ I-მა. – ჩვენი ახალი ნაცნობი კი ამ დროს ცოტა მოშორებით ფოტოაპარატით დაფუსფუსებდა. – ყური დამიგდე! როგორც გავიგე, ყოველ რეალურ თავში ჩვენი წიგნის სამყაროს ყველა თემის პარალელური უბნები უნდა არსებობდეს იმავე პერსონაჟებითა (მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟებით) და იმავე მთავარი და მეორე ხარისხოვანი მოვლენებით. გესმის, რას გეუბ-

ნები? ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ რეალური თავის ცნობიერების ნაკადის სანაპიროზე განლაგებული წიგნის უბნები ამ თავის კერძო, იდეური მასალისაგან არის შექმნილნი და ამიტომ იქ ყოველივე ისე ვითარდება, როგორც რეალურ თავს წარმოუდგენია და არა ისე, როგორც ეს ჩვენი თემის თემებში წერია. – ერთი სიტყვისაც არ მჯერა, თუ საკუთარი თვალით არ ვნახე, – ჩავილაპარაკე ურწმუნოდ, – დამიჯერე! – მითხრა ალუ I-მა, – მართლა ასეა. ინტუიცია არ მღალატობს, ანდა რატომ უნდა მოვეტყუებინე ჩემს ანარეკლს? თვითონვე დარწმუნდები, ჩვენს წაყვანას აპირებს? – სად? – ვკითხე გატანჯული ხმით. ალუს კმაყოფილებით ჩაეცინა, – სად და ჩვენს პარალელურ თემში, ან თემაში. მოტორიანი ნავით გავემგზავრებით. – თავში ათასი აზრი დამიტრიალდა. ეს როგორ? ნუთუ წიგნის უბნის ყველა უბანი რეალური მკითხველის თავის ცნობიერების ნაკადის ნაპირებზე მთელი თავისი თემატური რეალობით მეორდებოდა ე.ი. ამ უბნებში ისე კი არ ხდება, როგორც ესწიგნის სამყაროს ორიგინალურ თემშია (თემაშია), არამედ ისე, როგორც ამას შესაბამისი კონკრეტული რეალური მკითხველის თავი მოისურვებს. მაშინ აქ ზემოთ, ჩვენ თემისა და თემატიკის ბევრად უკეთესი ვარიანტიც უნდა არსებობდეს, ჩვენი თემატური სიცოცხლის შესაძლებობის ახლებური ფორმა, რომელიც ქვემოთ, მშობლიური წიგნის სამყაროს გარემოში, მხოლოდ ანტი და არათემატური ოცნების სახით წარმოგვიდგენია? ანდა, მოიცა, მოიცა! იქნებ, ცნობიერების იმ სფეროში, სადაც ჩვენ მივცურავდით, რეალურ თავს ჩვენი თემის შესახებ ბევრად უფრო თემატური იდეებიც კი ჰქონდა, ვიდრე ჩვენი Schisch-ური თემატიკის ყველაზე ცუდ თემატურ პერსონაჟებს (მწყემსებს) აქვთ. თუმცა გამორიცხული არც ის იყო, რომ წიგნის სამყაროს თითქმის ყველა უბანს რეალურ თავებს შორს თავისი მსოფლმხედველობრივი მიმდევარი და ქომაგი ჰყოლოდა. ეს ფაქტი ჩვენთვის უკვე ცნობილი იყო, მაგრამ რეალური აზრის მყინვარზე არსებული სიტუაცია ამ შთაბეჭდილებას მაინც არ ტოვებდა. ალუ II დიდად სიმპათიური ადამიანი ჩანდა. კეთილი ღიმილი, რომელიც ამ უცნაურ ნახევრად წიგნისა და ნახევრად რეალურ პირს ჩვენთან საუბრისას მუდამ სახეზე დასთამაშებდა, ალერსიანი თვალები, რომელიც უჩვეულო სითბოს ასხივებდა და მშვიდი, სანდომიანი ხმა მისი კრისტალურად წმინდა სულის რეალური სიმპტომები იყო. მტკიცედ მჯეროდა, რომ ცბიერება და მზაკვრობა გამორიცხული უნდა ყოფილიყო. თუნდაც ის სამი თვისებაც კმაროდა, რომელსაც მე ჩემს თემელ ამხანაგში – ალუ I-ში ვხედავდი და დიდად ვაფასებდი. ცხადია, ეს თვისებები მასში ისეთი წმინდა და გაბრწყინებული ფორმით არ იყო მოცემული, როგორც ალუ -ში, რადგან ჩემი თემელი

ამხანაგი დიქტატორული თემიდან გახლდათ, Schisch-ური თემატიკით მუდამ შემცბარი და ეს სავალალო ყოფა თვით ყველაზე უფრო მტკიცე ხასიათის პერსონაჟსაც კი თავის დაღს ასვამს. როგორც მოგახსენეთ, მომავლის შიში არ უნდა მქონოდა და ალუ II-ს ფოტოკამერის ობიექტივის წინ გაღიმებული სახით დავდექი (სხვათა შორის მას საუცხოო ქისტური ფოტოაპარატი ჰქონდა, რომელზეც თვით ქისტური წიგნის სამყაროს საშუალო ქისტსაც კი ძნელად მიუწვდება ხელი). –არაჩვეულებრივი ფოტო გამოვა, – ჩავულაპარაკე ალუ I-ს, ისე, რომ ჩვენი უცნაური ფოტოგრაფისთვის თვალი არ მომიცილებია. – ახლა კი სწორედ იქ მივდივართ, სადაც ყველაფერს გავიგებთ, რაც გვაინტერესებს. თუ ჩვენს პარალელურ თემში ქისტის გვამი არ უჭამიათ, ეს იმას ნიშნავს, რომ რეალური თავი ჩვენი თემის ამაზრზენ თემატურ რეალობასაც არაფრად აგდებს. აი, მაშინ კი, ბოლოსდაბოლოს ყველას, და პირველ რიგში კი საკუთარ თვალში რეაბილიტირებული იქნები. –მართლაც, მართლაც! – ბურტყუნებდა ბედნიერი ალუ I, – მჯერა, რომ ყველაფერი კეთილად დასრულდება. როგორ ფიქრობ, რეალური მკითხველის თავში ჩემი ორეული უსიამოვნო თემატური რეალობით თემატურად დათრგუნული ადამიანის შთაბეჭდილებას ხომ არ ტოვებს? – რა თქმა უნდა, არა – ვუპასუხე სასწრაფოდ, – ვერ ხედავ, სრულიად კმაყოფილი და ბედნიერია. შეხედე ერთი, რა გაბრწყინებული დგას. ვისაც სიცოცხლეში ერთხელ მაინც უგემია Schisch სულ სხვა იერი აქვს. მაშინვე რატომ არ ჰკითხე, ტანჯავს თუ არა რაიმე თემატურად? ეს, ალბათ, ყველაზე უკეთ თვითონ იცის! – იცი რა, – მიპასუხა ალუ I-მა ხმადაბლა, – ცხადია, უნდა მეკითხა, მაგრამ ვერ გავბედე. ჩემო კარგო, ამ საკითხზე იმდენი რამ არის დამოკიდებული, რომ რეალურ თავში პირველსავე შემხვედრს, თუნდაც ჩემს რეალურ ორეულს, ასე სახელდახელოდ ვერ გავუმხელდი. ანდა ვინ დამიდგება თავდებად, რომ ალუ II თანაგრძნობის გამო სიმართლეს არ დამიმალავდა. ასეთ შემთხვევაში კი, ძვირფასო, რეალურ სიმართლეს ვეღარასოდეს გავარკვევდით. ჩვენთვის, რეალური თავის სფეროში მოხვედრილი აბსოლუტური ახალბედებისთვის, თემატური სიმართლის დამალვა ალუს არ გაუძნელდება. შეუძლია, ისე მოგვატაროს აქაურობა, რომ ვერასდროს ვნახოთ ის, რაც გვაინტერესებს. ახლა ხომ ხვდები, რომ არ მინდა რისკის გაწევა. დიახ, მინდა რეალური სიმართლე ვიცოდე, რასაც ალუ II-სგან ყველაზე უკეთ მაშინ შევიტყობ, თუ თავს უდარდელად მოვაჩვენებ და ისე მოვიქცევი, თითქოს აქ ჩვეულებრივ ტურისტულ ენთუზიაზმს მოვეყვანეთ.

ალუ მართალი იყო. მისმა საზრიანობამ, რომელსაც იგი პრაქტიკულ საკითხებში იჩენდა ხოლმე, კიდევ ერთხელ აღმაფრთოვანა. ამასობაში

ალუ II-მ სურათები გადაგვიღო და რეალური თავის უზარმაზარ მზეს თუ რაღაც მანათობელ ლაქას ხან ერთი მხრიდან მოგვანათებდა და ხან კი - მეორედან. საკმარისი იყო, ხელი გაეშვირა და ჩუმად გაეცა ბრძანება, რომ მოციმციმე ვარსკვლავიც მკითხველის თავის რეალურ ცაზე მაშინვე ამოძრავდებოდა და მითითებული ადგილისკენ მორჩილად გაემართებოდა. – ყველას შეუძლია თქვენთან მზის, მთვარისა და ვარსკვლავების დამორჩილება? – ვკითხე – არა, – ამიხსნა ალუ II-მ თავაზიანად, რომელსაც ფოტოკამერასთან საქმიანობა დაემთავრებინა, – ცხადია, ყველას არ შეუძლია. ამის უნარი მხოლოდ მე მაქვს. – ბუნებრივია, ამ პასუხმა კიდევ უფრო მეტი კითხვა დაბადა. რატომ ფლობდა მხოლოდ ის ამ ძალას და, საერთოდ, ვინ იყვნენ დანარჩენები? ნუთუ ჩვენი თემის მთელი პერსონალი მართლა რეალური (პირების) სახით არსებობენ? თუ ეს ასე იყო, მაშინ რეალურ მუცალსაც უნდა შევხვედროდი. ნეტავ როგორ ცხოვრობდა რეალური მუცალი, თუ ის მართლა არსებობდა? ალუ II–სავით ბედნიერი იყო? არსებობდა თუ არა მათ შორის განსხვავება? ცხადია, ეს კითხვები მხოლოდ ნაწილი იყო იმ დაეჭვებისა, რომელიც ასე მიფორიაქებდა გონებას. მაგრამ ვდუმდი, გადავწყვიტე, ალუ I-ის ბრძნული რჩევისთვის არ გადამეხვია და უბრალოდ მოვლენებისთვის თვალყური მიმედევნებინა. საკუთარი თვალით უნდა გვენახა, რა ხდებოდა აქ, ზემოთ და რეალურ თავში ჩვენი თემის (თემატიკის) ახლებურ ვარიანტსაც პირადად უნდა გავცნობოდით – ეხლა კი ქვემოთ ჩავიდეთ, – თქვა ალუ II-მ,– თორემ ფეხქვეშ ყველაფერი დაგვიდნება.

წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, როცა ალუ II-აგან შევიტყვეთ, რომ თურმე რეალური თავის აზრის მყინვარზე ვმდგარვართ, ანუ მის მიერ გამოუსადეგრად მიჩნეული და გადაყრილი იდეური მასალის უზარმაზარ მთაზე, რომელიც ქვეცნობიერის ნაკადში ჩამოსრიალებულიყო და რეალური თავის ცნობიერების საზღვართან უკვალოდ უნდა გამქრალიყო. – მსგავსი აზრის მყინვარები აქ თითქმის ყოველთვის დაცურავს, – განმიმარტა ალუ II-მ, – ეს მასა რეალური ცნობიერების ნაკადს თან მიაქვს, რომელიც ჯერ სფეროს ფორმას იღებს, შემდეგ მთად აღიმართება, საბოლოოდ კი რეალური ნაკადი საზღვართან დნება და უკვალოდ ქრება. მართლაც საოცარია, რამდენ ინფორმაციას განდევნის რეალური თავი, როგორც გამოუსადეგარ აზრობრივ მასალას და ივიწყებს. გაიხედეთ, რამდენი მყინვარია ჩვენს უკან! – უკან მივიხედეთ და თვალწინ შთამბეჭდავი სურათი გადაგვშალა. ჩვენკენ დაახლოებით 15 დაკბილული გიგანტი ლანდივით მოემართებოდა. – ესენი უსარგებლო აზრობრივი მასალის მთებია, რომელიც სულ მალე განიდევნება რეალური თავიდან, – განაგრძო ალუ II-მ. – რამდენჯერ მიცურია მოტორიანი ნავით

მის გასწვრივ და თითოეული მთა შემისწავლია. ჯოჯოხეთური საქმეა! წარმოიდგინეთ, ყოველ მათგანზე ვძვრებოდი და წერაქვს ვუკაკუნებდი. ამ მასიური ფორმების ქვედა ფენები ერთმანეთს წყლის ორი წვეთივით ჰგავს. – რას გულიხმობთ? – ვიკითხეთ გაოცებულებმა, – რომელ მსგავსებაზე საუბრობთ? – შიდა ფენებში ყოველი რეალური აზრის მყინვარის იდეური მასალის მსგავსებაზე, – მშვიდად გვიპასუხა ალუ I-მა. – როგორც წესი, პირველი ფენა მუდამ ზოგადი იდეებისაგან შედგება, რომელიც სხვა დანარჩენ ნაწილებთან ერთად რეალური თავის თემას შეადგენს. თუ თემა თემს, წიგნის სამყაროს ისტორიის (პოემის) უბანს წარმოადგენს, მაშინ იქ კონკრეტული წიგნის უბნის დროის (მზისა და მთვარის მდებარეობის, უბნის ლანდშაფტის თავისებურების – ტყეების, ველების, მინდვრების და ა.შ) შესახებ ერთმანეთში არეული და დაწნეხილი აზრების სახით მხოლოდ კოსმოლოგიური მონაცემები უნდა არსებობდეს. რადგან კოსმოლოგიური თვალსაზრისით, წიგნის ისტორიის – პოემის უბნები ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით ჰგავს, ამიტომ მხოლოდ ამ მონაცემების საფუძველზე შეუძლებელია განისაზღვროს, რომელი კონკრეტული თემი (თემა) რომელი კონკრეტული აზრის მყინვარით გადმოედინება რეალური თავიდან. თავად განსაჯეთ, რამდენი ასეთი ისტორია და პოემა აქვს თემას სიუჟეტად. ცხადია, სიუჟეტები თავიანთი კონკრეტული მნიშვნელობის მიხედვით შეიძლება არათუ სხვადასხვა, არამედ ურთიერთდაპირისპირებულიც იყოს. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გავწვალდი, სანამ ამ მოტივტივე რეალური აზრის ნაგავს გადავაწყდებოდი. – ამ მთას ეძებდით? – და თითი მყინვარის ძირისკენ გავიშვირე, – სადაც ვდგავართ, იმას ეძებდით? – ზუსტად ამ მთას, სწორედ ეს მაინტერესებდა, – ალუ II-ს ეშმაკურად ჩაეცინა, – სანაძლეოს დავდებ, თქვენც არანაკლებ დაინტერესდებით, როცა გაიგებთ, საქმის არსს.

– დიახ, – გაეცინა ალუ I, – მართლაც გასაოცარი ამბავია, თანაც ჩვენთვის ძალზე სასიამოვნო! – შენ რა, უკვე იცი? – ვკითხე გაოგნებულმა. – ამაზეც მოვასწარით საუბარი, სანამ ზემოთ ამოხვიდოდით, – ჩაერთო ალუ II, – ბევრი რომ არ გავაგრძელო, ეს მყინვარი თქვენი თემია, უფრო ზუსტად თქვენი ხევსურული წიგნის სამყაროს რეალობის თემის თემაა. – შეუძლებელია, – წამოვიყვირე ურწმუნოდ, – ნუთუ ეს მთა, ეს მყინვარია ჩვენი თემის თემა? ასე უბრალოდ ვერ დაგიჯერებთ, უნდა დამიმტკიცოთ. მყინვარი ჩვენს თემატურ სასაზღვრო მთებშიც უამრავია. ყველა მთა ზეპირად ვიცი და გარწმუნებთ, რომ ამ უცნაური რეალური აზრის გროვის კონტურები ჩვენი სასაზღვრო მთების არც ერთ მთას არ ჰგავს, იმ უჩვეულო მასალაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რისგანაც ეს

მყინვარია შექმნილი და რომლის მსგავსიც ჩვენთან არ ... – არა, რატომ – შემაწყვეტინა ალუ II-მ თავაზიანად, – იმას კი არ ვამბობ, თითქოს ეს მაღლობი, სადაც ჩვენ ახლა ვდგავართ, თქვენი თემის კონკრეტული მთა იყოს. თუმცა აქ თქვენი მშობლიური მთების ზუსტ ასლსაც იხილავთ. ბატონებო! ამ შემთხვევაში ეს თანაფარდობა კი არ მაქვს მხედველობაში. თქვენ ახლა იმ რეალური აზრობრივი მასალის, ანუ იმ მატერიის მთაზე იმყოფებით, რომელიც მხოლოდ რეალური მკითხველის თავში არსებობს და რომელიც ძირითადად თქვენი წიგნის სამყაროს თემის (თემატიკის) ცხოვრების პირობებს ასახავს. რაც უნდა უსახური იყოს, რაც უნდა ზიზღს იწვევდეს მისი ნაწილები, ეს მაინც განსაკუთრებული მასალაა, რომლის ყურებაც კაცს არასდროს მობეზრდება. ზოგჯერ მის ყველაზე პატარა ნატეხებშიც კი მთელი თემატური მიკროკოსმოსი ისეა ჩაკირული, როგორც წარღვნამდელი მწერი ქარვის მარცვალში. ამ უცნაურ მასალას ჩვენ რეალურ სიუჟეტურ მასალას ვუწოდებთ. – მართლაც საოცარია, – წამოვიძახე აღფრთოვანებულმა (იმ წუთას ჩემში, წიგნისა და რეალური სამყაროს (თავის) მეცნიერმა მთელი ძალით გამოიღვიძა). მზად ვიყავი, საათობით მესაუბრა ალუ II-სთან ამ იდუმალებით მოცული რეალური სიუჟეტური მასალის შესახებ. – თქვენ თქვით, რომ მასალა ნაწილობრივ უსიამოვნოა და ზიზღსაც იწვევს. როგორ გავიგოთ თქვენი ნათქვამი?

– სულ უბრალოდ, – მიპასუხა ალუ II-მ, – როგორ გგონიათ, რატომ იშორებს თავიდან რეალური თავი ყველა იმ აზრის მყინვარს, რომელიც სათითაოდ თქვენი წიგნის სამყაროს რომელიმე თემის რომელიმე სიუჟეტს შეადგენს!. რატომ ისვრის წყალში ერთიანად მთელ ამ იდეურ მასალას? იმიტომ, რომ მისით უკმაყოფილოა, აღარ მოსწონს, აღარ უნდა, რომ ცნობიერების ნაკადის ნაპირებთან დიდხანს გააჩეროს. ალბათ, ხვდებით, რომ რეალური თავის მიერ დაწუნებული წიგნის სამყაროს უბნის ისტორიის მასალა მართლაც სერიოზულ ნაკლს უნდა ავლენდეს და, შესაძლოა, მისი ყველა ნაწილი აუტანელი არ იყოს, მაგრამ ხანდახან მაინც აუტანელი გახდეს. რეალური თავი, რომელიც ამ ადგილებს სწორად აცნობიერებს, – ცხადია, თუ თავად იგი წესიერი თავია და მხოლოდ უზადო იდეურ მასალას ინახავს, ეცდება ამ ნაყარ-ნუყარისაგან გათავისუფლდეს. ის – როგორც ამ გაქრობის პირას მისული მყინვრის მაგალითიდანაც ჩანს – მთელ ამ საეჭვო ფიქრებს ერთ უზარმაზარ სფეროდ დაამრგვალებს და ცნობიერების ნაკადიდან ქვემოთ, დავიწყების უფსკრულში ჩაუძახებს.

– ბატონო ჩემო! წამოვიძახე აღელვებულმა, – გონება თანდათან მინათდებოდა, – ხომ არ ნიშნავს ის, რასაც თქვენ ამბობთ, რომ რეალური

თავი, რომლის საზღვრებშიც ჩვენ ამ წუთას ვიმყოფებით, ჩვენი წიგნის სამყაროს ისტორიულ პოეტურ თემას აუქმებს და ამ მასალას საკუთარი სფეროდან განაგდებს? – ზუსტად ასეა .– ღიმილით თქვა ალუ II-მ, – დიახ, ნამდვილად ასეა. რეალური თავი, სადაც თქვენ ამ წუთას იმყოფებით, თქვენს ისტორიაზე ფიქრებისგან თავისუფლდება. უსამართლობა იქნება იმის თქმა, რომ რასაც იგი თავიდან იცილებს, თქვენი თემი იყოს. ეს არის თქვენი თემა, ანდა მოიცადეთ ...! – ალუ ერთხანს შეყოვნდა, შემდეგ გულიანად გაეცინა. – ღმერთო ჩემო! ახლა კი მართლა შევიშლები! – თქვა მან. – მგონი, მართალი ხართ. ყველაფერს, რასაც რეალური თავი აზრის მყინვარის ფორმით განდევნის, შესაძლოა თემების შესახებ მოსაზრებები იყო. – რატომ წამოჭერით საერთოდ ეს საკითხი? ვკითხე დაძაბული ინტერესით, – თემი და თემა ხომ თითქმის ერთი და იგივეა? – ალბათ! – ჩაილაპარაკა ალუ II-მ. – თუ ეს ერთი და იგივეა, თუ თემიც და თემაც რეალური თავის მეხსიერებაში დავიწყებას ეძლევა, მაშინ რაღაა ის მშვენიერი პოემის სამყაროს უბანი –„ალუდა ქეთელაური“, მისი ცნობიერების ნაკადის ზედა სანაპიროზე? მხედველობაში მაქვს ის უბანი, სადაც მე, როგორც მთავარი პერსონაჟი, ისე ვარსებობ. ის ხომ აშკარად თქვენი წიგნის სამყაროს უბნის პარალელურად მდებარეობს, როგორც რეალური ცნობიერების მოვლენა და ამიტომ ან თქვენი თემი უნდა იყოს, ანდა თემა, რაიმე მესამე არ არსებობს! – დიახ, – ჩავილაპარაკე დაფიქრებულმა, – სწორი ბრძანდებით. რთული საკითხია, მაგრამ, იქნებ ჯერ თქვენი მშვენიერი წიგნის უბანი მოგვენახულებინა ამ რეალურ თავში და პრობლემის გადაჭრის გზაც გამოჩენილიყო. – ასეა, – ჩაერთო საუბარში ალუ II. – საკუთარი თვალით რომ გვენახა, როგორ ვითარდება თქვენთან აქ, ზემოთ, ჩვენი თემატური ურთიერთობები, იქნებ ყოველივე უკეთესადაც შეგვეფასებინა. მანამდე კი ... – მანამდე კი – შეგვაწყვეტინა ალუ II-მ, – კიდევ ერთხელ, ან თუნდაც ორჯერ, შეავლეთ მზერა რეალური აზრის მყინვარის იდეურ მასალას. არ გაინტერესებთ, წიგნის სამყაროს რომელ თემას აღარ სწყალობს რეალური თავი? – რა თქმა უნდა, – წამოვიძახე მაშინვე და ალუ I-ს შევხედე, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, ჩვენი წიგნის უბნის თემის (რეალური მკითხველის თავში არსებულ) რეალურ ვარიანტამდე მიეღწია, – ჩვენთვის თანაბრად საინტერესოა, ჩვენი თემის შესახებ რომელ ფიქრს განაგდებს რეალური თავი და რომელს იტოვებს. მაგრამ, თქვენ არა თქვით, თუ არ ავჩქარდით, ფეხქვეშ აზრის მყინვარი დაგვიდნებაო? – დიახ, – გაეცინა ალუ II-ს, – აზრის მყინვარის მასალის შემოწმება დიდ დროს არ წაგვართმევს. ამის გაკეთება უკანა გზაზეც შეგვიძლია. მაშ, წავედით!

წითელი წერტილი საგრალო ხელისგულზე

ის წინ მიდიოდა. არა იმ გზით, რომლითაც ჩვენ ამოვედით. ეს იყო ვიწრო ბილიკი, რომელიც ალუ II-ს ამოსვლისას წერაქვით გაეკვალა. – სულ ადვილია, – გვიხსნიდა თან სიარულისას, – რეალური აზრის მყინვარის ნივთიერება ისე მყიფეა, რომ მცირე ბიძგითაც კი იმსხვრევა. უბრალოდ, მთის ბუნებაში უნდა ერკვეოდეთ. – ალუ II-ს უკან მივყვებოდით. „გზაზე" ზურგჩანთის გვერდით მისი წერაქვი იდო. – რამდენიმე ნიმუშს აქ ნახავთ! – თქვა მან და ზურგჩანთა გახსნა. – თვალის ერთი შევლებითაც ბევრ საინტერესო ინფორმაციას მიიღებთ. კარგი იქნება, თუ ჩვენი თემის ტექნიკურად მაღალგანვითარებულ ლაბორატორიაში ჩავატარებთ ანალიზს, – თქვა და რეალური აზრის ნატეხი სათითაოდ მოგვაწოდა. აზრის ნაჭერი გულაძგერებულმა გამოვართვი და თვალებთან ახლოს მივიტანე. განსაკუთრებულს ვერაფერს შეამჩნევდით. ვისაც გეოლოგიური ექსპედიციებიდან ჩამოტანილი დაძარღვული, მინერალშერეული, წვეტიანი, ან სიპი ქვა სჭერია ხელში, კარგად მიხვდება, რასაც ვიგრძნობდი თითებს შორის. გეოლოგიურ წარმონაქმნს აქეთ-იქით გაუბედავად ვატრიალებდი, რომელიც, სხვათა შორის, ბევრად უფრო მსუბუქი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. შემდეგ მხრები ავიჩეჩე და უკან დაბრუნებას ვაპირებდი, მაგრამ ალუ II ჩამაცივდა – კარგად შეხედეთ! რომელიმე ერთ ადგილს დააკვირდით და არ შეიძლება, რაიმე კარგად ნაცნობი არ დაინახოთ! – ისე მოვიქეცი, როგორც მირჩია. ჩემმა მეგობარმაც მომბაძა, გვერდით მედგა და რეალური აზრის მყინვარის ნატეხს საგულდაგულოდ აკვირდებოდა.

ჰოი საოცრებავ! დაძაბული ვაკვირდებოდი და უეცრად ნატეხმა ჩემს ხელში სახე იცვალა: რეალური აზრის ნივთიერებაში უჩინარი სული ჩასახლდა და მის ძარღვებზე პლასტიკური კონტურები გამოიკვეთა. დიახ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მის ფორიან ზედაპირზე ჩვენი თემის თემატიკის გარკვეული თემატური საგნები, ნივთები და სულიერი არსებები იძენდა ფორმას. თანდათან ჩემს თვალწინ ჩემი მოკვეთილი მარჯვენა გამოისახა. ამის დანახვაზე თმები ყალყზე დამიდგა. ფაქტია, ის იყო. ჩემს საცოდავ, მოკვეთილი სხეულის ნაწილს მილიონში გამოვარჩევდი. ცხადია, არა რაიმე ნიშნით – მე არც ბეჭედს ვატარებდი და არც სვირინგს – არამედ იმიტ, რომ ჩვენი წიგნის პერსონაჟები საკუთარი თემატური სხეულის ნივთიერებასთან განსაკუთრებულად მჭიდროდ ვართ დაკავშირებულნი და ჩვენი სხეულის ქსოვილის უმცი-

რეს ბოჭკოსაც კი დანახვისთანავე ვცნობთ. (დღეს უკვე ცნობილია, რომ ორგანული სიუჟეტური მასალა წიგნის სამყაროში გაცილებით ნელა იხრწნება და ქრება, ვიდრე ორგანული რეალური მატერია რეალური სამყაროს უბნებში). მაშინვე შევამჩნიე, რომ რეალური აზრის გარსში დანახული ჩემი ხელი ზედმიწევნით ზუსტად იმეორებდა კიდურს თემატური საკითხავი მასალიდან. ეს სიზუსტე კი პირველ რიგში, ხელისგულზე გამოსახულ ხაზებს ეტყობოდა. ეს ნამდვილად ჩემი იყო. არ მითქვამს თქვენთვის, რომ მე დაღარული და ურთიერთ- საწინააღ-მდეგო ნაოჭებით დასერილი ხელისგული მაქვს, რაც ჩვენს თემში ბოშებს დიდ თავსატეხს უჩენდა. არც არის გასაკვირი! ხაზები ჩემს ხელისგულზე ისე კვეთს ერთმანეთს, როგორც PanaMeranican—ის საჰაერო გზები და თუ ამ ავიაკომპანიის მფრინავი არა ხართ, ან, შესაბამისად, კარგი ქირომანტი, ვერაფერსაც ვერ მიხვდებით. ჩემს მარჯვენა ხელზე ჩემთვისაც და დანარჩენებისთვისაც მხოლოდ ერთი წერტილია გასაგები. ეს ის წერტილია, რომელიც ხელისგულის ცენტრში მდებარეობს და საიდანაც ყველა ხაზი გამოედინება. ჩვენ მას ერთხმად ის თემატური დრო ვუწოდეთ, როცა ხევსური მინდია ჩემს (მკვდარ) თემატურ სხეულს მარჯვენას ჰკვეთს და თემში ალუდას ვაჟკაცობის დამამტკიცებელ საბუთად მიაქვს. რეალური აზრის ქვაში, მის დახორკლილ აქერცლილ ზედაპირზე ის ადგილი, რომელიც ჩემს საბრალო ხელისგულს გამაოგნებელი სიზუსტით იმეორებდა, მეწამულისფრად ციმციმებდა და უტყუარი ალღო მკარნახობდა, რომ ამ ხელის რეალურ-აზრობრივი წარმოსახვა და მისი იდეურ მასალაში შეტანა (ჩემი თემატური გვამიდან), მარჯვენა მკლავის მოკვეთიდან წიგნის უბნის რამდენიმე წამის შემდეგ მოხდა. ამ გრძნობას დიდად არ შევუშფოთებივარ და არც თავზარი დამცემია, რადგან ჩემთვის - როგორც წიგნის უბნის ისტორიის დასაწყისიდან მის დასასრულამდე, მარადიულად, ციკლურად, ანუ მუდმივად არსებული წიგნის პერსონაჟისთვის - თემატურ სიკვდილსა და დასახიჩრებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არც გააჩნია. ჩვენს სამყაროში მხოლოდ თემატური სხეული გვიზიანდება, მხოლოდ ეთერული სხეულის ფიზიკური გარსი, თავად ეთერული სხეული კი უვნებელი რჩება და საკუთარ სემანტიკურ უბანში წიგნის წარმოდგენის დამთავრებამდე – მწყემსების მიერ საგანგებოდ მოწყობილ სამედიცინო დახმარების პუნქტებში საგულდაგულო მოვლის შემდეგ – განახლებულ, საღსალამათ თემატურ კანს აღიდგენს და წიგნის ან პოემის უბნის მთელი ისტორიაც ხელახლა, წესდების თანახმად ვითარდება. სასიკვდილოდ დაშავებულ (თემატურად სიცოცხლეწართმეულ), სუბიექტურად ზემგრძნობიარე წიგნის პერსონაჟებს

ისეც ემართებათ, რომ სიკვდილის შემდეგ, მათი ეთერული „მე" თემატურ სუბსტანციას კი არ გამოეყოფა, არამედ წიგნის უბნის ისტორიის დასასრულამდე და ახალი წიგნის უბნის ისტორიის დასაწყისამდე გრძნობამიხდილი მასში გაირინდება. ხოლო თუ პერსონაჟი, როგორც ეს ჩემს შემთხვევაშია – თემატურად დაჩაგრული და წიგნისა და რეალური სამყაროს ჭეშმარიტი მეცნიერულ-ფილოსოფიური ცნობისწადილით შეპყრობილი სული გახლავთ, – მაშინ მისი ეთერული *მე* უბანში თემატური სიკვდილიდან სულ მალე გონს მოეგება და წიგნის დასასრულამდე ბევრად ადრე, თემატურად დაკარგული უკლებლივ ყველა სიუჟეტური პერსონაჟის დაბრუნებამდე, თემატურად დაუმთავრებელ, ჯერ კიდევ მიმდინარე წიგნის უბნის ისტორიაში დახეტიალობს. თავისთავად ეს იდეური მასალისაგან შემდგარი წიგნის უბნებისთვის დიდ სენსაციას არ წარმოადგენს. როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვენი ეთერული „მე" ჩვენივე თემატური წიგნის სამყაროს რეალობისგან არ განსხვავდება. ეთერულად ისევე გამოვიყურებით და თავსაც ისევე ვგრძნობთ, როგორც თემატურ რეალობაში. იგივე ხმა გვაქვს, ოღონდ ცოტა უფრო მჟღერი და თავაზიანი – ეს კი განსაკუთრებით იმ პერსონაჟებს ემჩნევათ, ვინც თემატური წიგნის უბნის ცხოვრებაში გაუთლელი, მოძალადე და საერთოდ, უსიამოვნო მოქმედი პირები არიან.

ბუნებრივია, ნაადრევად მკვდრეთით აღმდგარ წიგნის პერსონაჟებს წიგნის უბნის ისტორიის მსვლელობაში ჩართვის უფლება არა აქვთ. მათ ისტორიის არც იმ მონაკვეთის მონახულების უფლება ეძლევათ, რასაც მკითხველი რეალური თავის ფიზიკური და სულიერი თვალი უმზერს, რადგან ეს პირები, ფაქტიურად (თემატურად) მკვდრები, ისტორიიდან ამორიცხულები არიან, ამიტომ მათი გამოჩენა რეალურ თავს ზედმეტად დააბნევდა და წიგნის უბნის ისტორიის ლოგიკაშიც დააეჭვებდა. ქისტური უბნის სამყაროში, სადაც განსვენებულ წიგნის პერსონაჟთა სულებზე წარმოდგენები ბუნებრივი მოვლენაა, პროტაგონისტთა ეთერული სამშვინველის „მე" ისეთსავე მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც მათი თემატური სუბსტანციურობა. რეალისტურად ინსცენირებულ წიგნის უბნებში კი პერსონაჟთა სიკვდილი მათი თემატური წარმოდგენებიდან მათ საბოლოო გამოთიშვას გულისხმობს. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში შეიძლება ჩაერთოს (თვით თემატურად მკვდარი, უბედური შემთხვევით სასიკვდილოდ დაშავებული) პერსონაჟთა სამშვინველის „მე", რეალური მკითხველის თავისთვის გამართულ სპექტაკლში. მაგალითისათვის საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც თემში ალუს სიზმრის სცენა, სადაც თემატური რეალობის მონაწილეებად

ჩვენი თემატური წიგნის პერსონალის მხოლოდ ეთერული ნაწილი გვევლინება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის განსხვავებაც, თუ ვის ეკუთვნის მსგავს სიტუაციაში ეთერული „მე“, თემის მძინარე პერსონაჟს, თუ, – როგორც ეს ჩემს შემთხვევაშია – თემის თემატურად მკვდარ პირს. თემატურად მკვდარი წიგნის პერსონაჟთა სუბსტანციის ეთერული „მე“ ტრანსცენდენტულ სცენებში უფრო მართვადია, ვიდრე იმ პერსონაჟთა ეთერული მე, რომლებიც ფაქტიურად (თემატურად) მუდამ ცოცხლები არიან და წიგნის უბნის ჭეშმარიტ ისტორიულ მოვლენებში პირადად მონაწილეობენ. მე, როგორც დამოუკიდებელი, მკვდარი, თემატური პერსონაჟის გარსიდან სრულიად განძარცული ეთერული სამშვინველი, ჩვენი წიგნის უბანში სხვებთან შედარებით გაცილებით თავისუფალი ვარ. შემიძლია ისე მოვიქცე, როგორც მომესურვება. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ალუს სიზმრის სცენა ჩაივლის, სადაც წმინდა მშვინვიერი ფენომენის სახით ვფიგურირებ და სადაც მწყემსები თემატური რეალობის აღსასრულებლად მიყენებენ. ქისტური წიგნის სამყაროში არხეინად მივფრინავ და ხევსურულ თემში წიგნის დამთავრებამდე დროს საამურად ვატარებ.

თავისუფალ დროს ქისტებთან სტუმრად მაშინ მივდიოდი, როცა დანარჩენ თემატურ პროვინციებს მოვივლიდი და მოქმედების ზუსტ მსვლელობას ვეცნობოდი.

ყველა არათემატურად ქცეული წიგნის პერსონაჟის ეთერული მესთვის მონიშნული მანძილიდან ალუდა ქეთელაურის მძიმე თემატურ ბედისწერას მოხერხებულად ვადევნებდი თვალ-ყურს და შიშველ Schisch—ზე დამყარებული ჩვენი წიგნის უბნის რეჟიმის დაუნდობელ ხასიათში ვრწმუნდებოდი. ძრწოლაატანილი შევყურებდი, როგორ დაგორავდა ჩემი მოკვეთილი მარჯვენა თემში (თემაში). კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, ხევსური მინდია ჩემს თემატურ გვამს მარჯვენას მოჰკვეთს და ჩემზე, ქისტ მუცალზე ალუს გამარჯვების დამამტკიცებელ საბუთად შატილში მიაქვს, რადგან ალუ მე, ორთაბრძოლაში დაცემულ ქისტს, ხელს არ მჭრის და ჩვენი პოემის დაძაბულ ანტი და დიახ, არათემატურ კულმინაციურ წერტილში თემის ყველა უხუცესსა და მწყემსს გარკვევით უხსნის, რომ მსგავს არაადამიანურ აქციაში მონაწილეობის მიღება აღარ სურს. ამის შემდეგ აღშფოთებული ბერიკაცები ჩემს მეგობარს ლაჩარს უწოდებენ და ბრალს სდებენ, თითქოს ჩემთან (მუცალთან) ბრძოლისთვის თავი აერიდებინოს. ხევსური ახალგახრდები ალუს სიძულვილით ზურგს აქცევენ და ისიც, ფაქტიურად, თემში, საკუთარ არათემატურ აზრებთან მარტოდმარტო რჩება. ეს მოვლენები ჩვენი უბნის მეორე თემატურ პროვინციაში ხდება. უკვე მზადდება ჩემი

მეგობრის თემიდან მოკვეთის საკითხიც. მოვლენათა მდინარებას, როგორც წმინდად ეთერული არსება, ადრიდანვე ვადევნებდი თვალყურს და ჩვენი თემის ტერიტორიაზე ისტორიის (პოემის) მეასეჯერ განვითარების შემდეგ თუ შევძელი, თანდათანობით დამეძლია თემატური ზიზღი ჩემი მკვლელის – ალუდას მიმართ. მოხიბლული ვიყავი მისი არათემატური შეუპოვრობით, რომელსაც იგი თემის ასეთ რთულ საკითხში იჩენდა. ალბათ, გამიგებთ, ადვილი არ არის, მშვიდად უყურო, როგორ (იქნება ეს რეალური პირი თუ წიგნის პერსონაჟი) დაატარებენ შენს საბრალო მარჯვენას, რომელსაც, როგორც რაღაც უწმინდურს, ისე ექცევიან. ხედავდე, როგორ არავის ემეტება სულ მცირე თანაგრძნობაც კი. დიდი დრო დამჭირდა, სანამ ამის მონელებას შევძლებდი და მანამ ჩემი ფაქტიური მკლავის მომკვეთ ხევსურ მინდიას გულღიად მივიღებდი, რომელსაც ამ საქმის გარდა სხვაც ბევრი რამ ეკისრება და ამ დავალებას დღეს იძულებით ასრულებს. რა შუაშია, წიგნის პერსონაჟი რომ ასეთია. მათ თემს (თემას) სურს ასე და წიგნის პერსონაჟები, ჯერ მაინც, ვერაფერს გააწყობენ. მათ მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ წიგნის უბნებში წიგნისა და რეალური სამყაროს დროთა განმავლობაში თემის, ან თემატიკისადმი კრიტიკულად განეწყონ, ანტი და არათემატურ კავშირში გაერთიანდნენ და ყველა საშუალებით – თომინოთი, მტრედებით, მერნებით, წიგნის სამყაროს უბნებს შორის სიზმრად სატრანზიტო მიმოსვლით, ან თუნდაც დახმარებისთვის მუდამ მზადმყოფი რეალური თავთა უშუალო და ეფექტური მხარდაჭერით, რომელთა მზარდი გავლენაც წიგნის სამყაროს კოსმონავტიკის განვითარების საქმეში წარმოუდგენელ მასშტაბებს იძენს – საკუთარი ისტორიის მსვლელობა უფრო ასატანი გახადონ. მე კი ჩემს თემას მივუბრუნდები და პატარა რეალური აზრის მასალაზე დაკვირვების შედეგად მიღებულ წარუშლელ, ამაღელვებელ შთაბეჭდილებებზე მოგახსენებთ. როგორც გითხარით, ის რეალური თავის აზრის მყინვარზე ასვლისას ჩამიდო ხელში ალუ II-მ. ამ უცნაური მინერალის ძარღვებში ჩემი საბრალო მარჯვენის ნარჩენები გამოჩნდა. – ის წითლად ელავდა, ეს კი იმაზე მიუთითებდა, რომ მკლავი ახლახან მოეკვეთათ. ერთხანს თვალთ დამიბნელდა, შემდეგ კი სისუსტეს ვძლიე და მშვიდად ვუყურებდი, რას მომითხრობდა რეალური აზრის მყინვარის ნატეხი.

რეალური აზრის მასალის შრეებში დანახული ისტორია

ეს იყო კარგად ნაცნობი, ჩვენი წიგნის სამყაროს ისტორიის (პოემის) ტერიტორიაზე ჩემს მიერ ოდითგანვე დეტალურად შესწავლილი თემატური მოვლენები, რომელიც ჩემს საბრალო მარჯვენის ნარჩენებს ეხებოდა. ამ სევდიანმა მოვლენებმა თვალწინ ფილმის კადრებივით ჩამიარა. კადრები მონაცვლეობდა, მე კი ყოველივეს მოციმციმე რეალური აზრის ნატეხში ვხედავდი. რეალური აზრის ქვის თვით პატარა, უმცირეს ნაოჭებსა და ძარღვებში უცნაური სიმბოლური ფორმები თემატურ ფიგურებად ლაგდებოდა და ერთმანეთს ისე ერწყმოდა, როგორც ყავის ნალექში დანახული ფიგურები. შემდეგ ეს ფორმები ქრებოდა და კვლავ ახალი, თემატური გამოსახულებები ჩნდებოდა. რეალური აზრის ქვაში თითქოს უჩინარი სული ჩასახლებულიყო, რომელიც მის ფორებიან ზედაპირზე მხოლოდ ჩვენი წიგნის უბნის გარკვეულ თემატურ მოვლენებს ასურათებდა, აქრობდა და შემდეგ კვლავ გამოსახავდა. მის ზედაპირზე გამჟღავნებული თემატური მოვლენები მხოლოდ ჩემს საბრალო მარჯვენას ეხებოდა და დანარჩენი მოვლენების დანახვის შესაძლებლობას არ იძლეოდა.

ვხედავდი, როგორ შემოვიდა ჩვენს თემში გამარჯვებული სახით ხევსური მინდია ხმლის წვერზე წამოგებული ჩემი სისხლიანი მარჯვენით. მესმოდა, როგორ საყვედურობდა ხევსურებს ალუდასთვის ნაჩქარევად გამოტანილი განაჩენის გამო. მეოთხე თემატურ პროვინციაში მთელი მონოლოგი ისმის, რომლის სიტყვასიტყვით გადმოცემითაც თავს არ შეგაწყენთ. იმ წუთს ვერც კი ვხვდებოდი, მინდიას ხმა თავად რეალური აზრის მასალიდან შემომესმა, თუ ჩემს მეხსიერებაში რეალური აზრის ქვაში დანახული სურათხატებით გახმოვანდა. მოგვიანებით ჩვენი პოემის უბნის რეალური ვერსიის ჩინებულ ლაბორატორიაში – შეიძლება ასეც ითქვას, რეალური თავის ვარიანტში, – შევიტყვე, რომ რეალური აზრის მასალას აკუსტიკური შესაძლებლობებიც აქვს და დამკვირვებელს მის მიერ ფიქსირებული თემატური მრვლენებიდან უმნიშვნელო ჩქამიც კი ესმის. დამკვირვებელი მედიტაციურად უნდა ჩაუღრმავდეს რეალური აზრის ქვის ღარებსა და ძარღვებს: სმენადობის უმთავრესი პირობა სწორედ ეს გახლავთ. ამ პირობას მშვენივრად ვასრულებდი, რადგან რეალური აზრის მყინვარზე გარე სამყაროდან სრულიად გამოთიშული, დაყრუებულ-დამუნჯებული ვიდექი და თვალწინ მთელმა სევდიანმა ისტორიამ კიდევ ერთხელ ჩამიარა.

ვხედავდი, როგორ გადასცა მინდიამ ალუდას ჩემი მარჯვენა, მესმოდა, როგორ ურჩევდა ჩემს მეგობარს, ვაჟკაცობის უტყუარ საბუთად თემის ციხე-სიმაგრის კარიბჭეზე მიეჭედებინა. გავიგე, როგორ მოუჭრა უხეშად ჩემმა მეგობარმა (ალუ I) და განუცხადა, რომ მტრის მოკვეთილი მარჯვენა ნამუსიან მეომარს ღირსებას არ ჰმატებდა. ეს სამარცხვინო, შიშველი Schisch თემში (თემაში) უნდა დაეგმოთ, ხოლო თავად ალუდა კი მომავალში მოკლულ ქისტს მარჯვენას არასდროს მოჰკვეთდა, რადგან ეს გვამის შებილწვას ნიშნავდა და ზიზღისა და გაკიცხვის მეტს არაფერს იმსახურებდა. უნდა გითხრათ, რომ რეალური აზრის მასალაში ჩემი მეგობრის ნათქვამი ზოგადად გადმოსცემდა იმ აზრს, რასაც იგი ჩვენი წიგნის სამყაროს ისტორიის (პოემის) ტერიტორიაზე შესაბამის სცენებში მინდიასა და გაოგნებული ხევსურების წინაშე წარმოთქვამს. ეს იყო არა პოეტურად ამაღლებული გამოთქმებითა და პათეთიკური რიტორიკით შემკული ტექსტი, როგორც მეტყველებს ალუდა თემის თემატური წიგნის უბნის სინამდვილეში, არამედ აზრის პროზაული და უფრო საღი გამოხატულება.

მოგვიანებით ალუ II-სგან შევიტყვე, რომ რეალური აზრის მყინვარის ნამსხვრევებისგან შედგენილი ტექსტის პოეტური ხასიათი ნამსხვრევების ზრდასთან ერთად ძლიერდება. კაცის სიმაღლე და კიდევ უფრო დიდი მოცულობის რეალური აზრის მყინვარის ნატეხი, თუ გულისყურს მოიკრებთ, – რაც ამ მოცულობის ფართობზე თემატურად ჩაღრმავებისთვის აუცილებელია, – მაშინ მისი წიგნის უბნის (პოემის) პერსონაჟები პოეტურად შთაგონებული სიტყვებით ისევე ამეტყველდებიან, როგორც ეს შესაბამისი წიგნის სამყაროს რეალობაში ხდება. მცირე მასშტაბის რეალური აზრის ქვაში მათი მეტყველება უფრო აბსტრაქტულია (შეიძლება ითქვას, უფრო ობიექტური და პროზაულია), ხოლო თუ ამ უცნაური და მეტყველი მასალის ნამცეცს ძლიერი ელექტრონული მიკროსკოპით გააშუქებთ, მაშინ მოქმედი პერსონაჟები თვალწინ მუნჯი ფილმის კადრებივით ჩაივლიან. რეალური აზრის ქვა, რომელიც ხელში მეჭირა, სწორედ იმ მოცულობისა იყო, რაც იქ გათამაშებული თემატური მოვლენების აზრის ლაკონურად გადმოცემისთვის არის განკუთვნილი. ამიტომ, თვალწინ კადრების მთელმა წყებამ ჩამიარა და ქვაში მეხუთე თემატური პროვინციის მოვლენები გამოჩნდა. ეს არის ადგილი სივრცესა და დროში, სადაც ჩვენი დიდი დღესასწაული, – ხატობა, როგორც მას ხევსურულად ჰქვია, – იმართება. რაც თავი მახსოვს, მსგავსი დღესასწაულები ჩვენს თემში (თემაში), მუდამ მწყემსთა რეჟიმის ძალაუფლებასა და მათ ბრწყინვალებას გამოხატავდა. დღესასწაული სამხედრო აღლუმითა და თემის მოსახლეობის დემონსტრაციით იწყება. მსვლელობა

შატილის თემატური ნაწილის მთავარ ქუჩაზე ეწყობა და თემატური სამინისტროს კიბეებთან აშენებულ ხის დიდ ტრიბუნასთან იყრის თავს. იქ კი მაღალი თანამდებობის თემატური პერსონაჟები (მწყემსები, ხევსურები) გაქვავებული სახეებით იბარებენ პარადს. შემდეგ კი ყველანი სახლებში მიდიან, სადაც მათ ვიწრო, მეგობრულ წრეში, ანდა თემის მაღალი ჩინის თემატურ წარმომადგენლებთან ერთად საზეიმო სუფრა ელით. ანტი და არათემატური წიგნის პერსონაჟთა საცხოვრებელ უბნებში ხატობა რაიმე თემატურ-პოლიტიკურ მოსაზრებას კი არ უკავშირდება, არამედ, უბრალოდ, წვეულების მოწყობისა და გვარიანად მოლხენის საბაბია. ახალ შატილში გამართულ ლხინზე საკუთარი თემის (თემატიკის) და Schisch-ის ლანძღვასაც მოისმენთ, რომელიც დღითიდღე გაუსაძლისი ხდება და ჭიქით ან ყანწით მშობლიური წიგნის უბნის უკეთესი მომავლის სადღეგრძელოსაც სვამენ, თუმცა ვერავინ გეტყვით, დადგება თუ არა საერთოდ ეს დღე. ხატობამდე ერთი კვირით ადრე შატილის მაღაზიებსა და უნივერმაღებში მეტი და უკეთესი საქონელი იყიდება. ამიტომაც დაჰქრიან ქუჩებში ხელში ჩანთებითა და ბადურებით წიგნის მდედრობითი პერსონაჟები და დეფიციტური საქონლის შესაძენად გრძელ რიგებში დგებიან. ასეთ დღეებში ჯანმრთელი ანტი და არათემატური სულის ადამიანი კინოთეატრებში წასვლას ვერც კი გაბედავს. ფილმები და სპექტაკლები თემში (თემაში) მწყემსების ტრიუმფალურ მოსვლას ასახავს და ამ ისტორიულ ფაქტს, როგორც ახალი ერის დასაწყისს, ისე განადიდებს.

ახლა კი კვლავ ხატობას მივუბრუნდეთ. ამ ზეიმის კულმინაციური წერტილი ყოველთვის აღლუმი კი არ ყოფილა. სულ ადრე, ჩვენი თემის პირველ ხანებში, წიგნის პერსონაჟების (ჩემი ჩათვლით) ანტითემატურ კრიტიკულ ორიენტაციამდე კულმინაციური წერტილი ხატისთვის მსხვერპლშეწირვა გახლდათ. ხატს ცხენზე ამხედრებული, ან სავარძელში მოკალათებული მმართველი მწყემსის სურათი (ფოტო) წარმოადგენდა. ხატებს ძველ დროში ხევსურული წიგნის სამყაროს მრავალ ადგილას შეხვდებოდით, რომელიც რეალური თავის გამოსახულება იყო და ერთ დროს ისტორიის (პოემის) ამ მშვენიერ უბანს, შემზარავი Schisch-ისა და თემატური რეალობის სახეს აძლევდა. პირადად მე ამ სახის ხატი აღარსად შემხვედრია. როგორც ამბობენ, ეს ხატი უსიამოვნო თავი ყოფილა – გამჭოლი მზერითა და ხშირი ულვაშებით. ეს თავი აშკარად იგივე თავი უნდა ყოფილიყო, რომელიც მე ჩვენი თემის არსებობის პირველ ხანებში წიგნის უბნის ცაზე მომევლინა. იმასაც ამბობენ, რომ ამ ხატის დამკვიდრებამდე და მის კერპად ქცევამდე ხევსურულ თემში სულ სხვაგვარი და შეუდარებლად უკეთესი ხატიც არსებულა. ის, რაც

ახლა მოგახსენეთ, მხოლოდ ჩემი ვარაუდია, რადგან იმ წუთს რეალური აზრის მყინვარზე ამის შესახებ ჯერ არაფერი ვიცოდით. ჩვენი მოსაზრების ფაქტობრივი სიმართლე მხოლოდ რეალური თავის ღრმად გაცნობის შემდეგ გამოვლინდა. ის ადრეული კარგი ხატი, ქრისტიანული ხატი უნდა ყოფილიყო, – ღვთის ძის, ღვთისმშობლის, წმინდა გიორგისა და სხვა წმინდანების გამოსახულებით. ყოველი ხევსურული პოემის ტერიტორიას თავისი საკუთარი ხატი ჰქონია. იმ უძველეს პერიოდში, ჩვენი ჯერ კიდევ წმინდა და სრულიად შეურყვნელი თემის (თემატიკის) ოქროს ხანაში ხევსურთა გულები გუდანის ჯვარსაც დაეპყრო. მას მსახურებდნენ და განადიდებდნენ, როგორც წმინდა რელიქვიას და ხატის მოსალოცად უშორესი წიგნის უბნის ტერიტორიებიდან ჩამოდიოდნენ. თავისთავად ცხადია, ჩვენი თემატური წიგნის უბნის დღესასწაულიც – ხატობა – სულ სხვა რამ იყო და, რადგან ჩვენი თემის (თემატიკის) წიგნის პერსონაჟებიც უკეთ ცხოვრობდნენ, ამიტომ ხატობაც განსაკუთრებული ზარ-ზეიმით იმართებოდა. სოფლურ-გლეხური თემებიდან ხევსური წიგნის პერსონაჟები ხატობაზე ქათმებით, თხებით, ცხვრებითა და ხარებით მოემართებოდნენ და მათ ძღვენს მღვდლები წმინდანებს სწირავდნენ. შესაწირს რაიმე სურვილს ჩაუთქვამდნენ. თემის მღვდელმთავარი და ხატის მცველი ბერდია (ამავე სახელის პერსონაჟის წინაპარი, რომელსაც დღეს ჩვენი თემატური პრეზიდიუმის წინა პლანზე იხილავთ და მწყემსების იდეოლოგიას ემსახურება) მხსვერპლშეწირვის მიზეზს საგანგებოდ გამოიკითხავდა ხოლმე და თუ თემატურად გამართლებულად მიიჩნევდა, ნაკურთხი ხმლით ძღვენს ხატს სწირავდა. თემში (თემაში) მწყემსების მოსვლის შემდეგ ხატობის რიტუალი ზემოთ აღწერილი სამხედრო აღლუმითა და თემის მოსახლეობის დემონსტრაციით შეიცვალა. ჩვენი წიგნის უბნის მთიან მხარეში, რომელიც თემატურად ნაკლებად კონტროლდებოდა, მსხვერპლშეწირვის რელიგიური რიტუალი ერთხანს კიდევ შემორჩა.

ადრე, ჩვენი თემის (თემატიკის) არსებობის პირველ სამ-ოთხ წელს, თურმე მსხვერპლს ალუც სწირავდა. დროში განსხვავება ნუ გაგაკვირვებთ. როცა ჩვენ, წიგნის პერსონაჟები, თემატურ ასაკს მივაღწევთ, ამ ასაკს სამუდამოდ ვინარჩუნებთ, ანუ ამ ასაკში ვკვდებით და წიგნის სამყაროს კვლავ ისეთად ვევლინებით, როგორც ის თემშია (თემაშია) ნაგულისხმევი. მაშინ, როცა შატილი ჯერ კიდევ მთის პატარა სოფელი იყო, რიტუალის აღსასრულებლად ალუს ბერდიასთან შავი ხარი ჩამოჰყავდა. კითხვაზე, თუ ვის სულს სწირავდა ასეთ ძვირფას ძღვენს, ალუ პასუხობდა: – ერთი კვირის წინ მთებში ტყვიით მოკლულ ქისტ მუცალს. – ე-ეჰ! მგონი, სათქმელს უფრო პოეტურად გამოხატავდა,

მაგრამ აზრი კი ასეთი იყო. ადრეულ სცენებს ჩემი ეთერული „მე“ ჯერ კიდევ არ ესწრებოდა, რადგან გადატანილი თემატური სიკვდილით დათრგუნულს ჩემი ეთერული „მე“ ჩემს ტყვიით განგმირულ თემატურ იდეურ სხეულს ჯერ კიდევ არ გამოჰყოფოდა. ალბათ, მიხვდებით, რა აღშფოთებული შეხვდებოდა ხევისბერი ბერდია ალუს განაცხადს. – რა? – დაიყვირა გონდაკარგულმა, – ქისტის სულს სწირავ? გონს მოეგე! სულს ნუ წაიწყმედ და მასთან ერთად ჩვენც ნუ წარგვწყმედ! დაივიწყე! ხატს ნუ განარისხებ, ასეთ მსხვერპლს ხატი არ მიიღებს! არც კი იფიქრო! – მე კი პატიებას გთხოვთ აზრის პროზაულად გადმოცემისთვის. პოეტური, ორიგინალური ტექსტი, რომელსაც ორივე წარმოთქვამს, უკვე შორეული წარსულის კუთვნილებაა და ამიტომ, როცა მიყვებოდა, ალუსაც აღარ ახსოვდა. გაფრთხილების შემდეგ ბერდიამ ალუს ყველა ის მარჯვენა შეახსენა, რომელიც მან ბრძოლაში დამარცხებულ ქისტებს მოჰკვეთა. – დახოცილი ქისტებისთვის მსხვერპლი არასდროს შეგიწირავს. რატომ შეიცვალე ასე უეცრად აზრი, ამით ხომ ხევსურთა ზიზღსა და რისხვას დაიმსახურებ? – რაც ამის შემდეგ ხდება, ჩვენი პოემის ტერიტორიის თვით უძველესი სიუჟეტისთვისაც კი კულმინაციურ წერტილად და ხატობის ანტი და დიახ, არათემატურ ნერვად იქცა – ხოლო თემის ცაზე რეალური მკითხველის თავისა და თემის გაოგნებისგან გახევებული პერსონაჟებისთვის კი – მარადიულ სენსაციად. საერთოდ კი პერსონაჟები წიგნის უბნის თემატურ მოვლენებს ძალზე სწრაფად ეგუებიან და ბოლოს უკვე თემატურ მოქმედებას მხოლოდ მოვალეობად (სრულიად მექანიკურად) აღიქვამენ. საკუთარი წიგნის უბნის ისტორიასთან პერსონაჟის შინაგან გაუცხოებას უსასრულოდ შორს მყოფი რეალური მკითხველის თავი წესიერად ვერც ამჩნევს. გამონაკლისს ამ მხრივ მხოლოდ ჩვენი წიგნის უბნის ძველ, ორიგინალურ სიუჟეტში ალუს სიზმრის სცენის თემატურ-არათემატური განვითარება წარმოადგენს. ამბობენ, რომ ამ სცენას პერსონაჟები (თემატურიც, ასევე ანტი და არათემატურიც) მუდამ ისეთი გაოცებით შეჰყურებდნენ, როგორც ჩვენი თემის (თემატიკის) გაჩენის პირველ დღეს. ამ ფაქტში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ვინაიდან ეს მოვლენები თავად არ განმიცდია და მის შესახებ მხოლოდ ალუსა და ჩვენი თემის ხანდაზმული პერსონაჟებისგან (აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი პერსონაჟებისგან) მსმენია, ამიტომ მეც, როგორც ვარაუდს, ისე მოგახსენებთ. საქმე ეხება ჩემი მეგობრის – ალუს მიერ ხატისა და მისი მსახურის, ბერდიასთვის თავსმოხვეულ, ჩემთვის, ქისტი მუცალისთვის შესაწირ მსხვერპლს, რომელსაც იგი ხმლის ერთადერთი სასიკვდილო დაკვრით კლავს. შავი ხარის თავი (მსხვერპლად შესაწირი პირუტყვი, რომელიც ალუს მოჰყავს) ისევე დაგორდა მთის

დამრეცი კალთებიდან, როგორც ჩემი საბრალო თემატური მარჯვენა. ხევსურული წიგნის უბანში თემატური ისტორიის (პოემის) დასასრულს მაშინდელი ხევსურული წარმოდგენებისთვის გაუგონარი, უტიფარი თვითნებობის შემყურე თემი ერთხანს გაირინდა. ჩემმა მეგობარმა სისხლით შეღებილი ხმალი, რომელსაც ჯერ კიდევ ოხშივარი ასდიოდა, ქარქაშში ჩააგო. მიწაზე კი თავწაცლილი ხარის ტანი ფართხალებდა. ნაძალადევი მსხვერპლშეწირვის ინციდენტი საბედისწერო შეცდომად მიმაჩნია. ახლაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბერდიასთან და ხატთან აშკარა დაპირისპირებით თემის თემატური ნაწილის მტრად მოკიდება ალუს მხრიდან სრულიად გადამეტებული იყო. ჩემი ამხანაგის ფრთხილ საქციელს, ალბათ, არც მისი თემატური გაძევება მოჰყვებოდა, რაც ჩვენი ისტორიის (პოემის) სევდიანი დასასრულია და, დამერწმუნებით, არც ჩვენს თემში ანტი და არათემატური ერთიანობის ფრონტის განვითარებას შეაფერხებდა წიგნის სამყაროს მრავალი წლით. ის, რომ ზემოთაღწერილ მსხვერპლშეწირვის სცენაში ალუ თემატურად შეუზღუდავი პერსონაჟის იდეური სურათხატია, რომელიც თავისუფალია თავის ქმედებაში, წიგნის სამყაროს ფილოსოფიურად ადრევე შევიცანი. წიგნის უბნის ისტორიის (პოემის) თავდაპირველ მოვლენებში არათემატურ-თემატური პერსონაჟები საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედებენ და თავდაპირველი ტექსტის ავტორისთვის დიდი მნიშვნელობა მხოლოდ მოქმედ პერსონაჟთა თავისუფალი ნების გამოსახულებას ენიჭება, რომელსაც იგი შემდეგ პერსონაჟთა წიგნის უბნის თემატური ქცევის ნორმად ამკვიდრებს. წიგნის სამყაროში პერსონაჟთა თემიდან მოკვეთა საბოლოო არასდროს არის, რადგან უბნის ისტორიის მსვლელობისა და წიგნის დასრულების შემდეგ პერსონაჟები ისტორიის (პოემის) ტერიტორიაზე, ციკლურად განახლებულ თემატურ მოვლენებში მონაწილეობის მისაღებად კვლავ უნდა გამოჩნდნენ, რაც ისევ და ისევ მათი გაძევებით მთავრდება და ა.შ. იმავე თემის (თემატიკის) ყველა პერსონაჟი საკმაოდ ადრე მიხვდა, რომ მსგავსი გაძევება მხოლოდ ფიქციაა და არა წიგნის სამყაროს უბნის სინამდვილე. უკიდურესი ზომების მიღება, იშვიათად, რომ უშედეგოდ დამთავრდეს და წიგნის პერსონაჟებს, თუკი ოდესმე საკუთარ სხეულში – იდეურ მასალაში არათემატური უკმაყოფილება განუცდიათ, იმის გაფიქრებაც კი აშინებთ, რომ შეიძლება თვითონაც დაისაჯონ და შიშისგან დამფრთხალნი თემს ემორჩილებიან. სრული დარწმუნებით მოგახსენებთ, რომ ალუს თემიდან ვითომცდა მოკვეთის გამო დატრიალებულმა სპექტაკლმა ჩვენი არალეგალური (ანტითემატური) ხევსურული პარტიის განვითარების გზაზე აშკარად შემაფერხებელი როლი ითამაშა. ასეა თუ ისე, ფარული, ოპოზიციური პოლიტიკური

აზრებით შეპყრობილი თემის გულგატეხილი მოსახლეობა პასიურად, უმიზნოდ ცხოვრობდა და, როგორც მოგახსენეთ, შიშით ძრწოდა იმის გაფიქრებაზე, რომ ალუს ბედი თავადაც არ გაეზიარებინა, ხოლო წყეული თემიდან ალუს თემატური მოკვეთის შემდეგ იმავე თემაში ალუს კვლავ გამოჩენა, თუნდაც მძიმე გზით, თავისუფლების მოპოვებისა და ხსნის ბოლო იმედსაც უკარგავდა.

დღეს უკვე ღრმად მწამს, რომ ჩვენი თემის არსებობის პირველ ხანებში ხევსური პერსონაჟებისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური გულგატეხილობა და უიმედობა მნიშვნელოვანწილად თემიდან ალუს მოჩვენებითი თემატური მოკვეთით იყო გამოწვეული და ის, რომ ჩვენი ისტორიის პოემის ტერიტორია საბოლოოდ მწყემსების ხელში აღმოჩნდა, სწორედ ამით უნდა აიხსნას. ვფიქრობ, რომ იმ ძველ ხატობაზე ალუდას ფრთხილი საქციელი (რა ეშმაკი შეუჩნდა, ნეტავი ხარი უკან წაეყვანა), ხევსურთა ანტი და არათემატურ გამბედაობას ბევრად უფრო ადრე მოამწიფებდა და მწყემსებიც თემატურ ძალაუფლებას ასე იოლად ვერ ჩაიგდებდნენ ხელში. ალბათ, ავტორისა და სიუჟეტის მიმართ პერსონაჟთა ონტოლოგიურ უძლურებაზე დამიწყებთ საუბარს და მეტყვით, რომ ყველა პერსონაჟმა ისტორიისა და პოემის ავტორის მიერ წინასწარ მონიშნული საბედისწერო გზით უნდა იაროს , რომ მათ ანტი-არათემატური აზროვნების უფლება არასდროს ექნებათ. წიგნის პერსონაჟთა თემატური შეზღუდულობის პირობით ღირებულებებზე ჩატარებულმა ჩემი და ალუს წიგნის სამყაროს მეცნიერულმა გამოკვლევებმა, – რომელიც ქისტური წიგნის სამყაროს ექსპერტთა მდიდარ გამოცდილებას ეყრდნობოდა, განსაკუთრებით კი რეალურ თავებში ჩვენმა ნოვატორულმა გაფრენამ – ამგვარი ფატალიზმის უსაფუძვლობა ცხადყო. იმისთვის, რომ გაჩვენოთ, თუ რამდენად მცდარია ამგვარი ფატალიზმი, სულაც არ არის საჭირო, დილეტანტისთვის ძნელად გასაგებ ჩვენს მეცნიერულ კვლევებზე გესაუბროთ. საკმარისი იქნება, თუ თქვენს ყურადღებას Schisch-ის წინააღმდეგ მიმართულ ალუს პროტესტის კრიტიკულ მნიშვნელობაზე გავამახვილებ. ეს პროტესტი ხომ თემის ნორმების დარღვევაა, ანუ ანტი და, დიახაც, არათემატური აქტია. სწორედ ანტითემატურობა მოსავს წესიერებით და საუკეთესო აზრით იმას, რაც საკუთრივ ჩვენი პოემის ტერიტორიის თემას განეკუთვნება. ხევსურული პოემის უბნის პირველ და ნამდვილ რეალურ ავტორს (შემოქმედ რეალურ თავს), რომელმაც ეს ტერიტორია გამოიგონა და ძლიერი, რეალური ფანტაზიის ძალისხმევით წიგნის სამყაროში ჩართო, ამით ხომ უმთავრესად იმის ჩვენება სურდა, რომ სიმართლე სწორედ თემატურობის, ფანატიკური ქისტმოძულეობისა და, აქედან გამომდინარე, მკლავის

მოკვეთისა და ყელის გამოჭრის ბარბაროსული ჩვევების წინააღმდეგ მიმართული ანტი და არათემატურობის მხარესაა, ხოლო ისტორიისა და, შესაბამისად, პოემის უბნის ამგვარ ტერიტორიაზე პერსონაჟთა უპირველეს მოვალეობას ანტი და არათემატური აზროვნება წარმოადგენს, რომელმაც თემის ორიენტაცია თანდათან მისკენ უნდა მიმართოს.

ცხადია, რეფორმისტული მცდელობა, რომლის პირველადი ვარიანტი ჩვენს თემში ყველა მართალი ადამიანის სინდისს მოუხმობს და სოციალურ-პოლიტიკურ (ეკონომიკურ) სტრუქტურას არ გულისხმობს, უძველესი ტექსტის სინამდვილეში ალუს არაფერში გამოადგა, რადგან აღშფოთებულმა თემის ხელისუფლებამ ალუ თემიდან არათემატური საქციელის გამო მოკვეთა. მაგრამ უკვე იმ ფაქტს, რომ პერსონაჟს არათემატური მოქმედების უნარი შესწევს, საჯაროდ თემის ნორმების წინააღმდეგ ილაშქრებს და არათემატურობას (არატრადიციულს) საკუთარი მოქმედების წარმმართველ პრინციპად ამკვიდრებს, მუდმივად ამ ამბოხების შემყურე მოსახლეობის სული უნდა შეეძრა და მისთვის დროთა განმავლობაში ყოველგვარი არათემატურობის შემეცნებითი ღირებულება განემარტა. როგორც უკვე მოგახსენეთ, ალუს თემიდან მოკვეთა, – რომელიც ციკლურად მეორდება, როგორც წიგნის სამყაროს ფაქტი – თემიდან თავის დაღწევის გზად არასდროს გამოდგება. ერთი მხრივ, ამ ფაქტმა მოვლენათა კონცეპტუალურ, ნათლად ჩამოყალიბებულ არათემატურ განმარტებას დიდად ავნო, მაგრამ მეორე მხრივ კი პერსონაჟები წიგნის სამყაროში თემატური თავისუფლებისა და დემოკრატიის წარმოდგენებს თემის დასაწყისშივე მიუახლოვა. აბა, რითი უნდა აიხსნას, რომ როგორც კი წიგნის (და, შესაძლოა, რეალური) სამყაროს დიდმა გამყალბებელმა რეალურმა თავმა ჩვენი წიგნის უბნის პოემაში მწყემსები მოავლინა, თემის თემატურმა ხელისუფლებამაც მაშინვე ამ საძაგელი ბანდის მხარე დაიჭირა? როგორ მოხდა, რომ თემის ღირსეულმა თავკაცებმა მწყემსთა უცხო ძალასა და კანონებს უმნიშვნელო პროტესტიც კი არ განუცხადეს და მაშინვე დიდი ენთუზიაზმით ცნეს. ანდა, რას უნდა ნიშნავდეს ის გარემოება, რომ იგივე ბერდიები და უშიშები, რომლებიც ჩვენი პოემის (ისტორიის) ხელუხლებულ სუვერენობაზე საუბრობდნენ, მლიქვნელური თაყვანისცემით ხვდებოდნენ ჯილდოსა და დაწინაურებას, რომლითაც მათ ასე ბედნავსად თავსდამტყდარი მწყემსთა რეჟიმი სწყალობდა?

სწორი პასუხის მოძებნა, ალბათ, ძნელი არ უნდა იყოს. თემის გაყალბება ჩვენმა ხელისუფლებამ მხოლოდ იმიტომ აიტაცა, რომ ალუდას ანტი და არათემატურ პროტესტს საეჭვო სუნი ასდიოდა, – ხელს არ აძლევდა, – და, შესაძლოა, არცთუ უსაფუძვლოდ შიშობდა, რომ წიგნის

სამყაროს მსოფლმხედველობაში მთელი წიგნის სამყაროს მიერ გაუფასურებულად აღიარებული Schisch, რომელიც განახლებას საჭიროებდა, თვით ხევსურებსაც აღარ მოეწონებოდათ, მით უმეტეს, რომ ალუს რევოლუციური გამოსვლები (მის მიერ მკლავის მოკვეთისა და ყელის გამოჭრის ბარბაროსული ჩვევების აქტიური უარყოფა) მუდამ მათ თვალწინ ხდებოდა და მისი აშკარა დაუმორჩილებლობით წაქეზებული პერსონაჟებიც მათ აღარ დაუჭერდნენ მხარს. ამ შიშის გამოხატულების ბოლო ზღვარი ხატობაზე ალუს მიერ ხარის მსხვერპლშეწირვა უნდა გამხდარიყო. ამ აქტში იარაღი სამსხვერპლო პირუტყვის წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ აღშფოთებულ კაცს (ალუდას) ერთხელაც გადაეწყვიტა და დანით ხევისბერი ბერდიასათვის მოეღო ბოლო. მართალია, ისინი მხოლოდ პერსონაჟები იყვნენ და ისე უნდა ემოქმედათ, როგორც ეს მათ თემას (თემს) სურს და რადგან მაშინაც და მომდევნო ხატობის თემატურ სიტუაციაშიც მსხვერპლი მუდამ მხოლოდ ხარი იყო, შესაძლოა, ბერდიას სერიოზულად არც შეშინებოდა, მაგრამ წიგნის პერსონაჟთა საკუთარი თემის თემატიკით დეტერმინაცია, – როგორც უკვე მოგახსენეთ, – სულაც არ არის აბსოლუტური, როგორც ეს, შესაძლოა, ერთი შეხედვით ჩანდეს და, მით უმეტეს, თემის ანტი და არათემატური პერსონაჟების შემთხვევაში ვერავინ იტყვის, რომ ისინი ანტითემატური აფექტისას ჯიბრით რაიმე უკიდურეს საქციელს არ ჩაიდენენ. ძალდატანებით ხარის მსხვერპლშეწირვა უკვე ჩვენი თემის ყველა თემატურ საზღვარს სცილდებოდა და თემატურ საფუძველზე მისი წარმოდგენაც შეუძლებელი იყო. ასე რომ, ანტი და არათემატურობა, – სამწუხაროდ, წიგნისა და (ალბათ, რეალური სამყაროს ისტორიაშიც მსგავსი მაგალითები საკმაოდ მოიძებნება) – თემატური პერსონაჟების ფიზიკურ განადგურებასა და მათი თემატური უბნების მოსპობას დააჩქარებდა. მაშინ უკვე წიგნის უბნის სინამდვილეში შექმნილი გარემო მის თავზე დაკიდებული წიგნის უბნის ცის ტექსტის შესატყვისი აღარ იქნება. რეალური ასოთა ცხაური წიგნის უბნის ცის საფარზე ცრუ ცხაურად იქცევა, რომელიც რეალურ მკითხველს მის ქვეშ მდებარე წიგნის უბნის შესახებ იმგვარ სურათს დაუხატავს, რაც სემანტიკური რეალობისათვის აქტუალობას დაჰკარგავს და ანტი და არათემატური ნემეზიდასთვის მსხვერპლად შეწირულ თემატურ ხელისუფლებას კი კვლავ მესაჭედ წარმოუდგენს იმ დროს, როცა უფლებააყრილმა, ამოჟლეტილმა, გაძევებულმა და განდევნილმა თემატურმა ხელისუფლებამ წიგნის უბნის ახალ მეამბოხე ძალებს უნდა დაუთმოს ადგილი.

ამგვარ, ძირისძირობამდე შეცვლილი უბნის პირობებში დიდხანს

ველარც ძველი, ისტორიულად ჩამორჩენილი წიგნის უბნის ცის ტექსტი გაძლებს. გონიერი მკითხველი მიხვდება, რომ ეს ტექსტი ყალბი საბუთია, სადაც უკვე ნამდვილი აღარაფერია და წიგნის უბანს აბუჩად აიგდებს: შემდეგ უკვე დროთა განმავლობაში მისი პოზიცია წიგნის უბნის მიმართ მკვეთრად გამოხატულ უარყოფით საქციელში გადაიზრდება (ისინი უკვე მრავლობით რიცხვში უნდა მოვიხსენიოთ, რადგან თუ წიგნის უბნის შიდა რეალობა ცის ტექსტის შინაარსს აღარ დაემთხვა, თუ ტექსტი მხოლოდ ასოთა ყალბ, დამახინჯებულ ნიღბად იქცა, მაშინ მის სავალალო დაკნინებაზეც მთელი რეალური სამყარო ალაპარაკდება. ეს კი რეალური თავებში წიგნის უბნის ტექსტის მიმართ უნდობლობას, ზიზღსა და გულგრილობას აღუძრავს). მათ შეუძლიათ, ეს უბანი, როგორც უკვე გაუფასურებული რამ, საკუთარი წიგნის უბნის სამყაროდან ამოშალონ და საეჭვო წიგნის უბნის წიგნის ხელახალი გამოცემაც სამუდამოდ შეწყვიტონ. რადგან რეალურ სამყაროში ტექსტები დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცემა, ცვდება, ანდა სულაც ნადგურდება კიდეც, ამიტომ ასეთი უბანი თავიდან ჯერ ისევ წიგნის უბნის ცის ტექსტის დიდ მოცულობაზე განაგრძნობს არსებობას, რომელიც შემდეგ უკვე თანდათან, სულ უფრო მეტად მცირდება. წიგნის უბნის ცის შეკუმშვა უბანში პანიკას თესავს. შეძრწუნებული პერსონაჟები, – რომლებსაც თავი აქამდე უკვდავად მიაჩნდათ, და არიან კიდეც, თუ მათი წიგნის უბნის ცის ფიზიკური უსაფრთხოება რეალური თავების სამყაროში გარანტირებულია – ხვდებიან, რომ თავადაც სასიკვდილოდ არიან განწირულნი, ანუ წიგნის სამყაროში გარდაუვალი სემანტიკური სიკვდილი ელით. თემში სასოწარკვეთილი მოქმედებები იწყება. ძირითადად, პერსონაჟები თემიდან გაქცევას ცდილობენ. რადგან თემატური ხელისუფლება ასეთ სიტუაციაში თემზე (თემაზე) ძალაუფლებას კარგავს, ამიტომ სხვა წიგნის სამყაროს უბანში გადასვლას უპრობლემოდ, ფაქტიურად, მხოლოდ აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი პერსონაჟები ახერხებენ, ანუ ისინი, ვინც საკუთარ უბნებთან თემატურად მჭიდროდ არ არიან დაკავშირებულნი. ძირითად და აბსოლუტურად მთავარ პერსონაჟებს საქმე ცუდად აქვთ: თემში მათ ასობით თემატური საქმე აკავებთ, თანაც უძრავი ქონებიდანაც თან ბევრს ვერაფერს წაიღებენ. უცხოობაში კი აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი პერსონაჟის ყოფა ელით და ამის გამო უჭირთ კიდეც ამ ნაბიჯის გადადგმა.

მსგავს ექსტრემალურ პირობებში ამ გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ რამდენიმე ძირითად მეორეხარისხოვან და აბსოლუტურ მთავარ პერსონაჟს თუ შეუძლია. თემატური მთავარი საქმისა და საკუთარი

(პირადი), პირობითი ანდა აბსოლუტურად თემატური ფუნქციის დაკარგვა მათთვის სემანტიკურ სიკვდილზე უარესია. ეს თვალსაზრისი – იმ ბუნდოვან იმედთან ერთად, რომ იქნებ წიგნის უბნის ცის ტექსტის მოცულობის შემცირება სერიოზული არ იყოს და რომ ისინი მხოლოდ გამოგონილი წიგნის პერსონაჟები არიან, რის გამოც მშობლიურ თემასა და თემში მშვიდად შეუძლიათ დარჩენა, – წიგნის უბნის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, სამწუხაროდ, კვლავ წიგნის უბანში ტოვებს. ასე რომ, წიგნის უბნის ცის ტექსტის გაქრობით გამოწვეული გამანადგურებელი კატასტროფა მრავალ ადამიანს (პერსონაჟს) იმსხვერპლებს. რადგან ცის ტექსტის მოცულობის შემცირების შესახებ ისინი უშუალოდ ვერასდროს ვერაფერს შეიტყობენ, ამიტომ იმედიც, სამწუხაროდ, კვლავ საკმარისად აქვთ. წიგნის სამყაროს კოსმოსში, – რომელიც კონკრეტული (სრული) წიგნის უბნის ცის ტექსტის მოცულობას შეადგენს, – მძიმე ღრუბლები ჩამოწვება და მის თავზე ავადსახსენებელი სიმსიმვნის მსგავსად დაეკიდება. თავიდან ეს წვიმიანი ამინდის შთაბეჭდილებას ტოვებს – ჩვეულებრივ (თემატურ, ანდა არათემატურ) ავდარს ჰგავს, რომელმაც შეიძლება, გადაიაროს. რადგან ამ ნიშნებს მეტეოროლოგიურ მიზეზებთან საერთო არაფერი აქვს, ამიტომ ამ პროცესის საწყის ეტაპზე მაინც შესაძლოა, გამოიდაროს კიდეც და უცოდველმა ცის ლაჟვარდმა წიგნის პერსონაჟებს ავი წინათგრძნობა გაუქარწყლოს, ანდა ის აზრი შთაუნერგოს, რომ ის, რაც მათ აშინებდათ, მხოლოდ მეტეოროლოგიური უამინდობა ყოფილა, რასაც სერიოზული შედეგები არ მოჰყვება.

ამგვარად, ილუზიას შეუძლია, კატასტროფული ჭეშმარიტება შენიღბოს მანამ, სანამ წიგნის უბნის ცის ტექსტის მოცულობა ისე არ შემცირდება, როცა უკვე წიგნის უბანში მისი ჩამოქცევა გარდაუვალი ხდება და გადარჩენაზე ფიქრიც დაგვიანებულია.

ამ დროს ცის ტექსტის მოცულობა ისე კლებულობს, რომ რეალური ტექსტის ტერიტორიას თანაზომიერად ვეღარ ფარავს. წიგნის უბნის ცის (ტექსტის) უკმარობა წიგნისა და რეალური სამყაროს კოსმოსიდან უბანში მომწამლავ გაზებს უხსნის გზას, რასაც შედეგად იქაურ ცოცხალ არსებათა მასიური ამოხოცვა მოჰყვება. თუ წიგნის სამყაროს ტექსტმა რეალურ სამყაროში მისი გამკიცხავი, ანდა, უბრალოდ, უყურადღებო რეალური თავისგან საბოლოო, გამანადგურებელი დარტყმა განიცადა, თუ ნაკუწ-ნაკუწად ქცეული ცის საფარი წიგნის უბნიდან აფრიალდა, ეს უკვე წიგნის უბნის სამყაროს მარცხია. მსჯავრდებულ წიგნის უბანთან ერთად ნადგურდება ის ყველაფერი, რასაც მასთან შინაგანი – თემატური – კავშირი აქვს. მაშინ კი, წიგნის სამყაროს პერსონაჟებიც და

ყველა ცოცხალი არსებაც სამუდამოდ ქრება, რაც დაახლოებით რეალური თავების (მკითხველის თავების) რეალური სიკვდილის ტოლფასია. თანამედროვე, ცივილიზებული წიგნის სამყაროში, სადაც ყველა უბანი რეგისტრირებულია და რეალური სამყაროს არქივებში მათი ტექსტების, სულ მცირე, ერთი ეგზემპლარი მაინც საიმედოდ ინახება, წიგნის უბნის მსგავსი კატასტროფა, პრაქტიკულად, თითქმის გამორიცხულია. სრული დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ უკეთესი და საუკეთესო წიგნის უბნის პერსონაჟები უკვდავი, მარადიული სემანტიკური სიცოცხლით სავსე არსებები არიან. რადგან ყოველი დიდი წიგნის უბნის ცის ტექსტის მოცულობის შემცირება უბნების კლიმატზე უკიდურესად ცუდად მოქმედებს და იქაურ პერსონაჟთა ცხოვრებას უჩვეულოდ ამძიმებს, ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ წიგნის უბნის მოსახლეობას და, განსაკუთრებით კი, მის თემატურ ხელისუფლებას არაფერი ისე არ აფრთხობს, როგორც ამგვარ კოსმოლოგიურ მდგომარეობაში მოხვედრა. ყველა ამ ფაქტის შეპირისპირების საფუძველზე სრულიად დამაჯერებელია ის დასკვნა, რომ თემის თემატური თავკაცები, ბერდიები და უშიშები, ჩვენი წიგნის უბნის ისტორიაში არათემატურ / თემატური ტენდენციების წინაშე შიშით, ამ ისტორიის გაყალბების მონაწილენი გახდებოდნენ და ჩვენს თემაში თხის მწყემსების არსებობასაც დაუშვებდნენ. სწორედ იმის გამო, რომ ბერდიებმა და უშიშებმა ჩვენი თემის თემაში დემოკრატიული პოტენცია ასე კარგად შეიცნეს და ამბოხებისაც ეშინოდათ, ამიტომ თემაში საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად ძალა არ დაუზოგავთ. უფრო მეტიც, საკუთარი თემი გაიძვერა ფალსიფიკატორს მუხანათურად ჩაუგდეს ხელში (შესაბამისად, რეალურ თავში). ვერ გეტყვით, როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ რეალური სამყაროს უბნებში, რამდენად დაცულია, ან საერთოდ, არის თუ არა დაცული ეს უბნები მსგავსი დამახინჯებისაგან. რეალურ სამყაროში, სადაც ყოველივე ლოგიკურად მხოლოდ რეალური, ანუ ნამდვილი უნდა იყოს, ალბათ, მსგავსი გადაგვარება თავისთავად გამორიცხულიცაა, ანდა იშვიათი და დროებითი მოვლენაა. წიგნის სამყაროს სფეროში უცხო, უსაზღვროდ ცუდი თემებით სემანტიკური ტერიტორიული ნაწილის დეფორმაცია ძალზე იოლია, და თუ მსხვერპლი – გასაყალბებელი წიგნის უბნის ტერიტორია – თავდაცვის ეფექტურ მექანიზმს არ ფლობს, ყოველი გაქნილი თავი ამას უპრობლემოდ განახორციელებს. განა რამ უნდა შეუშალოს ხელი რეალურ თავს, რომ წიგნის სამყაროს თემის თემა ხელში ჩაიგდოს, თავის ჭკუაზე გადააკეთ-გადმოაკეთოს და შემდეგ წიგნის სამყაროს სინამდვილეში, როგორც ორიგინალის კარიკატურული სახე, ისე გამოაცოცხლოს? – არც არაფერმა, – ან თითქმის

არაფერმა. თუ არ გავითვალისწინებთ ღიმილისმომგვრელ საავტორო უფლებას, რამაც ჩვენი თემის თემები უცხო (რეალური) ავტორის თავებისგან უნდა დაიცვას. ის, რომ საავტორო უფლების გაუქმება, ან მისი სხვაგვარად ინტერპრეტაცია რეალურ თავს ნებისმიერ დროს შეუძლია, სრულიად აშკარაა, რასაც ვითომცდა პროფილაქტიკური მიზნით ჩატარებული ღონისძიებებიც ამტკიცებს: თხის მწემსებმა ჩვენი ქალაქი ერთ ღამეში დაიპყრეს. ეს იყო არა წიგნის სამყაროს შიდა კონფლიქტის შედეგი, არამედ რეალური თავების მიერ სანქცირებული აქცია. სრულიად დაუცველი წიგნის უბნის მიმართ მოწყობილ ამ აღმაშფოთებელ აქტში დანაშაული, ბუნებრივია, რეალურ ნაძირალას, ჩვენი ორიგინალური თემის გამყალბებელს მიუძღვის, მას, ვინც თხის მწემსები მოგვივლინა და ვინც ჩვენი თემი ტოტალური გემოვნებით გარდაქმნა. ხევსურთა (ხევსური პერსონაჟები) მიერ Schisch-ისა და ქისტმოძულეობის წიგნის სამყაროს მსოფლმხედველობრივ პრინციპად აღიარებაც სწორედ მისი დამსახურებაა და პასუხისმგებლობაც მას ეკისრება.

რეალურ თავებს საავტორო უფლება არავითარ დაბრკოლებას არ უქმნით. საავტორო უფლება წიგნის სამყაროს უბნის შესასვლელში მხოლოდ ფორმალურად ჰკიდია, როგორც გამაფრთხილებელი, წიგნის სამყაროს მკითხველის სინდისზე გათვლილი აბრა. მაგრამ ეს მხოლოდ აბრაა და სხვა არაფერი. რეალურ თავებს შეუძლიათ, მას არც ყური ათხოვონ და არც წაიკითხონ. წიგნის უბნის თემების (თემატიკის) ერთადერთი და საუკეთესო დამცველი მისი ავტორის რეალური თავია, ანუ ის რეალური პირია, ვინც წიგნის უბნის ისტორია შექმნა და ვისი შემოქმედებითი გონიც ყოველივეს განსაზღვრავს. სანამ წიგნის უბანს ცაზე საკუთარი რეალური ავტორის თავი ჰყავს, შიშიც არაფრის უნდა ჰქონდეს. რეალური წიგნის უბნის ავტორი ყველა წიგნის უბნის მფარველი ანგელოზია (რადგან იგი თავისი თემის თემებში უცხო რეალური თავების ჩარევას არ დაუშვებს), მაგრამ, ვაი იმ წიგნის სამყაროს უბანს, ვისი რეალური ავტორის თავიც რეალურ სამყაროში გარდაიცვლება (რეალურ სულს განუტევებს) და საკუთარი წიგნის სამყარო უბნებს წიგნის სამყაროს ცაზე მცველად აღარ დაუდგება! თუ გარდაცვლილი რეალური ავტორის თავის სამყარო კანონით დაუცველი სამყაროა, თუ წიგნის უბნებს მისი გარდაცვალებისთანავე უცხო რეალური თავები ეპატრონებიან, მაშინ – დიახ, მაშინ აღარც არაფერი გვეთქმის. დაობლებული წიგნის სამყაროს უბნები უცხო უზურპატორების ხელში ნადგურდება. ქისტებს კი, ამ და სხვა დანარჩენ საკითხებში ხევსურებზე უკეთ აქვთ საქმე. საავტორო უფლება რეალუ-

რი ავტორის თავების გარდაცვალების შემდეგაც ძალაში რჩება და ამგვარი თავის სიკვდილი მისი წიგნის სამყაროს უბანზე მავნედ არ ზემოქმედებს, ვინაიდან უბანიცა და უმთავრესად კი წიგნის უბნის ქონებაც ქისტებისთვის (წიგნის პერსონაჟებისათვის და რეალური პირებისთვისაც) ხელუხლებლად ითვლება. ამ ქონების მონაგები კი გარდაცვლილი ავტორის ნათესავ-მოკეთეების ხელში გადადის. თუ ცოცხალთა შორის აღარც ისინი არიან, მაშინ ფულს ხელმოკლე ავტორის თავებს აძლევენ, ანუ იმ რეალურ თავებს, ვისაც წიგნისა და რეალურ სამყაროში ნაკლები წარმატება ხვდათ და მატერიალურ დახმარებას საჭიროებენ.

სულიერად მონათესავე რეალური ავტორის თავთან ქისტ პერსონაჟებს მტკიცე კავშირი აქვთ. ლამაზ, თავისუფალ არსებობას და წიგნის პერსონაჟისთვის მოვლენებით დატვირთულ, საინტერესო და ღრმა-აზროვან (ხშირად ასევე კომფორტულ) სემანტიკური ცხოვრების პირობებსაც სწორედ მას უნდა უმადლოდნენ. ამიტომ ქისტი პერსონაჟები თავგამოდებული ქომაგები არიან საავტორო უფლებისა, რომელიც ყოველი წიგნის უბნის უპირველესი და უზენაესი კანონია. ერთი გაბედოს რომელიმე უცხო რეალურმა თავმა და თავისი მოსაზრებების დაწესება სცადოს! მაშინ ისინი თავად წიგნის პერსონაჟების მხრიდან, – რომლებმაც კარგად იციან, რომელ რეალურ თავს ეკუთვნიან და საკუთარ წიგნის უბნის სიუჟეტსაც ამქვეყნად ყველაზე მეტად აფასებენ და განადიდებენ, – ცივ უარს წააწყდებიან. პერსონაჟები მის იდეურ მასალას დაანაკუწებენ, წიგნის უბნის მიწაზე ფეხით გასრესენ და წიგნის უბნის ნაგავში მოისვრიან. ისეთ დასკვნას კი ნუ გამოიტანთ, თითქოს ქისტი პერსონაჟები საავტორო უფლების მონები არიან. თითქოს არც სურვილი ჰქონოდეთ და არც საშუალება, მას გადაუხვიონ. საკუთარი ნება-სურვილით მოქმედების თავისუფლება ქისტური წიგნის უბნის სიუჟეტში კოდექსით გათვალისწინებული უზენაესი კანონია, თუმცა ცვლილებები ძველი სიუჟეტის ხარჯზე, ან მის საწინააღმდეგოდ არ ხდება. რეალური ავტორის თავის მიერ შეთხზული ყოველი ქისტური წიგნის უბნის ისტორიული გარემო ტექსტურად დაცული და ხელშეუხლებელია მისი პირვანდელი წიგნის უბნის წიგნში, რომელიც ამ უბნის ყველა ერუდირებულ ქისტ პერსონაჟს გააჩნია და წიგნის უბნის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომია. მოსახლეობა, რომელიც საყოველთაო ქისტური წიგნის სამყაროს პროგრესის განმავლობაში თავისი პირვანდელი წიგნის უბნის ისტორიას რამდენადმე დასცილდა და შემდეგ კი საკუთარ ძველისძველ ისტორიაში ჩართვის სურვილი კვლავ გაუჩნდა, გამომდინარე თავისი პირვანდელი წიგნის

უბნის წიგნიდან, რომელიც მას მუდამ ხელთ აქვს, ორიგინალური ტექსტის სინამდვილეს კვლავ განაახლებს და ძველებურად ცხოვრებას იწყებს, რაც მეტად რომანტიკული გახლავთ და კაცს დიდ სიამოვნებასაც განაცდევინებს.

ზემოთ ნათქვამიდან ცხადად ჩანს, რომ წიგნის სამყაროს უბნები, – სადაც საავტორო უფლება, როგორც რეალური თავის, შესაბამისად, ავტორის თავის საკუთრების, ანუ მთელი წიგნის უბნის ტერიტორიის ქომაგი და დამცველი კანონი, – არასაიმედო პერსონაჟების ხელშია, სადაც უბნის აბსოლუტურად მთავარ პირებს (წიგნის პერსონაჟებს) უკეთური ზრახვები ამოძრავებთ (მაგ: მხოლოდ ეგოისტურ მიზნებს ისახავენ და წიგნის სამყაროს კეთილდღეობას, კერძოდ კი, რეალური თავის მიმართ მოწიწებით სიყვარულს ანგარებიან მისწრაფებებს ანაცვალებენ), წიგნის უბნის ისტორიის გაყალბებას ყველა გზას უხსნის. თუ რეალური ავტორის თავი, მსგავსი ლაბილური ტექსტუალური რეალობის წიგნის უბნის ციდან სამუდამოდ (ფიზიკურად) გაქრა, ცხადია, მაშინ უკვე ცუდ, თემატურ პერსონაჟებს ვეღარც ვერაფერი შეაჩერებთ, საავტორო უფლებას დაარღვევენ და, თუ დასჭირდათ, უცხო, გარყვნილი რეალური თავების დახმარებით წიგნის უბნის სიუჟეტსაც თავის ჭკუაზე გადააკეთებენ. როგორც უკვე მოგახსენეთ, ხევსურული წიგნის უბნის თემატური ხელმძღვანელობა, ხატის მღვდელმსახურები – ჩვენი რეალური ავტორის – შემოქმედი თავის სიცოცხლეშივე აიტანა შიშმა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, თემში ანტი და არათემატური ელემენტები გაერთიანდებოდნენ და ისტორიაში (უფრო ზუსტად: პოემაში) მათი მთავარი როლიც ეჭვქვეშ დადგებოდა. ამას ემატებოდა მათი სრულიად კანონიერი სიფრთხილეც, რომ ჩვენი თემის (თემატიკის) თავზე მდგომ რეალურ თავებს – წინააღმდეგობრივი ლიტერატურის მიმართ, – სადაც უკვე წიგნის უბნის ცის ტექსტისა და მის სინამდვილეს შორის ყოველგვარი კავშირი ირღვევა, – ინტერესი არ დაეკარგა და უარყოფითი შთაბეჭდილებების ქვეშ მოქცეულს, მთელი წიგნის უბნის წიგნი, – როგორც ცრუ, წიგნის უბნის რეალობასთან სრულიად შეუთავსებელი და ამდენად ყალბი საბუთი საერთოდ მეხსიერებიდან არ ამოეშალა, მაშინ კი, წიგნის უბნის ცის ტექსტის მოცულობაც შემცირდებოდა და მთელ ხევსურულ წიგნის უბანსაც გარდაუვალი დაღუპვა არ ასცდებოდა. მსგავსი კატასტროფები წიგნის სამყაროში, სამწუხაროდ, იშვიათობას არ წარმოადგენს და მათ შესახებ მთელი მოსახლეობა ნაწილობრივ ყურმოკვრით, ნაწილობრივ კი თვითმხილველთაგან (წიგნის უბნის პერსონაჟებისაგან, ვინც შეძლო და, განგების ძალით, კატასტროფას ხელიდან დაუსხლტა) პრინციპში,

საკმარისად ინფორმირებულია. ამიტომ, სრულიად გასაგებია, რომ ყოველი მათგანი ეცდება, ამ სავალალო დასასრულს თავი ააარიდოს. ამის წინააღმდეგ საუკეთესო საშუალებაა სოლიდური წიგნის უბანი, ანუ კარგი თემი რეალური თავებისათვის მუდამ საინტერესო თემატიკით, რომელსაც დემოკრატიულ საფუძვლებზე, თავად ექნება ახალ-ახალი ისტორიული ფორმების წარმოქმნის უნარი (ნებისმიერი გაგრძელების შესაძლებლობა) და რომელიც თავის ანტი და არათემატური წიგნის მოსახლეობას მისცემს რეალურ შანსს, ოდესმე თემატური გახდეს, ანუ წიგნის უბანში საპასუხისმგებლო როლი ერგოს და შემდეგ ის საზოგადოებრიობის სასარგებლოდ შემოქმედებითად გარდაქმნას. მეორე საშუალებას წიგნის სამყაროს თემების ასპროცენტიანი ეროტიზაცია წარმოადგენს. ასეთ პირობებში, – როგორც უკვე დამტკიცებულია, – თემის თემატურ და არათემატურ ელემენტებს შორის შიდა წინააღმდეგობები უკიდურესად მწვავდება. რეალური თავები, რომლებსაც თავაშვებული პერსონაჟების ყურება დიდად ართობთ, უმსგავსი წიგნის სამყაროს ცის ტექსტს ყველაფერ იმასთან ერთად, რაც მის ქვეშ დევს, განსაკუთრებულ (რეალურ – პირად) მფარველობას უწევენ და დიდად ფრთხილობენ, რომ მას არაფერი დაუშავდეს. არსებობს კიდევ მესამე საშუალებაც – რეალური თავების მიერ წიგნის სამყაროს ცის ტექსტის შემოკლების, დარეგულირების მცდელობა; მათი დავალდებულება ხელშეკრულებით, რომ ყოველი წიგნის უბნის ცის ტექსტის განადგურება მხოლოდ მის ქვეშ მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების გათვალისწინებით მომხდარიყო, ანუ არა ერთბაშად და ყველა პერსონაჟის ამოხოცვით, არამედ მათი წინასწარი გაფრთხილების საფუძველზე და დაზარალებული პერსონაჟების საიმედო სემანტიკურ ტერიტორიებზე გადასახლებით. მიღებული კონვენციის თანახმად, კონკრეტული წიგნის სამყაროს ცის ტექსტის შემოკლების სანაცვლოდ რეალურ თავებს ახალი, ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საფარი (წიგნის უბანი) უნდა შეექმნათ, სადაც უსამშობლოოდ (წიგნის უბნის გარეშე) დარჩენილ პერსონაჟთა დიდი რიცხვი ახალ თავშესაფარს ჰპოვებდა. როგორც ხედავთ, წიგნის უბნის ცის თავდასაცავად მრავალი საშუალება არსებობს და თუ დღეს ვინმეს მისი გამოყენება შეუძლია და ბედნიერი, უსაფრთხო წიგნის სამყაროს რეალობით იწონებს თავს, ცხადია, ესენი მხოლოდ ქისტები არიან.

თავისუფალი წიგნის სამყაროს ისტორია წიგნის პერსონაჟებს წიგნის უბნის სიუჟეტში თემატურ (თემატიზირებულ) მონად კი არ ხდის, არამედ მისგან ათავისუფლებს და მათ ლოგიკურად თანაზომიერ, საერთო კეთილდღეობაზე ორიენტირებული ქისტური წიგნის სამყა-

როს განვითარების პროცესში დემოკრატიული და ლიბერალური ცხოვრების ახლებური ნორმებისკენ, დიახ, წიგნის სამყაროს სემანტიკურ სფეროში, თითქმის რეალურ-ადამიანური ცხოვრების წესისკენ მიჰყავს. ეს ჩინებული, თავისებურად უმაგალითო წიგნის სამყაროს ისტორია წარმოადგენდა ასევე აუცილებელ და ბუნებრივ გარანტიას იმისათვის, რომ ქისტებს წიგნის სამყაროს ცის (ტექსტის) შემოკლებისგან თავი დაეზღვიათ. მსგავსი ხელსაყრელი ისტორიული წინაპირობა ხევსურული წიგნის სამყაროში საერთოდ არ არსებობდა. მცირე გამონაკლისის გარდა, უნამუსო ძლიერნი ამა სოფლისა – უშიშები და ბერდიები – ერთადერთ მიზანს ესწრაფვოდნენ: ხევსურული ისტორიის (პოემის) ანტი და არათემატური ელემენტების წინააღმდეგ სემანტიკაში საკუთარი პოზიციები განემტკიცებინათ და სხვა რამ საზრუნავი არც გააჩნდათ. ბუნებრივია, არსებობს სხვა მოსაზრებებიც. მრავალთა აზრით, ჩვენი თემატური ხელმძღვანელები მოძალადე ადამიანები (პერსონაჟები) კი არ არიან, არამედ მერყევი ხასიათისანი, რომელთაც საკუთარი უნიათობის გამო ვერ შეძლეს თემის თემა დაეცვათ, რასაც თავადვე მიხვდნენ და საბოლოოდ დახმარების სათხოვნელად რეალურ სამყაროს (რეალურ თავებს) მიმართეს არა ხელქვეითთა მიმართ ვერაგული ზრახვების გამო, არამედ სრულიად დარწმუნებულებმა იმაში, რომ თემს ბედნიერებას მათი მმართველობა (სიუჟეტი) მოუტანდა, ხოლო იმ ფაქტს, რომ ეს თემატიკის გაყალბებას გამოიწვევდა, როგორც გარდაუვალ უბედურებას ისე შეურიგდნენ, რადგან მათი აზრით, თემის თემატიკის საყოველთაო გაუქმებას თვით ყველაზე უფრო უხეში თემატური დამახინჯება სჯობს. როგორც ამბობენ, უშიშებმა და ბერდიებმა ერთ დროს ჩვენი წიგნის სამყაროს უბნის ნამდვილ ავტორსაც კი მიმართეს თხოვნით, თემის თემას მეტი ყურადღებით მოჰკიდებოდა, ანტი და არათემატური ალუსთვის თემატური შეფერილობა მიეცა, ანდა ის ხატის მორჩილად მაინც ექცია.

მათი მცდელობა ამაო იყო, რადგან ჩვენი ხევსურული წიგნის სამყაროს უბნის ნამდვილი ავტორი – ამ საკითხში მეც, ალუსაც და ჩვენი ისტორიის (პოემის) ყველა პროგრესული ანტი და არათემატური ელემენტებიც ერთი აზრისანი ვართ – აბსოლუტურად ჩვენს მხარეზე იყო, მთელი თავისი რეალური მწერლური გულით წიგნის (შესაძლოა რეალურ) სამყაროშიც ხევსურთა და ქისტთა შორის გაჩენილი Schisch-ს ეწინააღმდეგებოდა, რაც მათ მშვიდობიანი თანაარსებობის უფლებას ართმევდა. ეს ჩვენი თემის ჩანაფიქრიდანაც ჩანს და ალუს უკმაყოფილებიდანაც, რომელსაც იგი თემში გამეფებული უკიდეგანო ქისტმოყვარეობისა და ველური ადათ-წესების (მოკლული მტრისათვის მკლავის

მოკვეთის) მიმართ იჩენს. ამაზე მეტყველებს ხატის წინააღმდეგ ალუს ამბოხიც, როცა (ხატი) ქისტი მუცალის (ანუ ჩემი) სულისათვის მსხვერპლად შესაწირ ხარზე უარს აცხადებს. და ბოლოს, ამასვე მოწმობს საბოლოო გადაწყვეტილებაც ჩემი მეგობრისა, რომელმაც ირაციონალურ და არაადამიანურ ზიზღს თემიდან განდგომა ამჯობინა.

ქისტი მუცალის შემაჯამებელი და საგოლოო მოსაზრებები რეალურის აზრის მყინვარზე

სიცრუე იქნებოდა იმის მტკიცება, რომ თითქოს აზრის მყინვარის მასალის შინაარსი – უფრო ზუსტად, რეალური აზრის ნაგვის გორა – წიგნის სამყაროს ცის ტექსტის ჩამოქცევისა და წიგნის სამყაროს ფუძემდებლური კანონის – საავტორო უფლების შესახებ მოსაზრებებს ასახავდეს. ყველა ამ, წიგნის სამყაროს მეცნიერულ (კოსმოლოგიურ და სოციოლოგიურ) პრობლემათა შესახებ მოსაზრებები მე მეკუთვნის – ქისტ მუცალს – რომელიც რეალური აზრის ნაგვის გორაში, საკუთარი ტანჯული სიუჟეტის აღმოჩენისა და მასზე დაკვირვების შედეგად შემექმნა.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, აზრის ნაგავზე დაკვირვებისას დამკვირვებლის ფიქრები დასაკვირვებელ ობიექტში ისე შეუმჩნევლად და უჩუმრად ჩაედინება, რომ ობიექტურსა და სუბიექტურს შორის ზღვარის დადგენა, ანუ იმის აღქმა, თუ სად მთავრდება საკუთრივ ნაგავი და სად იწყება კრიტიკული კომენტარი, თითქმის შეუძლებელია. ეს იმით აიხსნება, რომ აზრის ნაგვის მიმართ გამოთქმული კომენტარი – როგორი კრიტიკულიც უნდა იყოს იგი, თავადაც ნაგავია, ანუ ორივე მხოლოდ ერთად მოიაზრება (ისევე, როგორც შხამი და შხამსაწინააღმდეგო საშუალება). სწორედ ამ კონცეპტუალური ურთიერთგანკუთვნილობის დამსახურებაა ის, რომ აზრის ნაგვიდან დედუქციის მეთოდით მიღებული დასკვნები მაინც ამ ნაგავშია ჩართული. ეს არის აშკარა აპერცეფციული ცდომილება – გამოწვეული რეალური აზრის მყინვარის მასალის უჩვეულოდ ძლიერი გამოსხივებით.

ახლა კი იმაზეც მინდა მოგახსენოთ, რის შესახებაც იმ წუთიდანვე ვიცოდი, როცა უკვე აზრის ნაგავს ვაკვირდებოდი. ვიცოდი, რომ ეს მე ვიყავი, ვინც ამას ფიქრობდა, ვინც ამ მოსაზრებებს ავითარებდა. ჩემი აზრები წიგნის და რეალურ სამყაროში ჩემი და ალუს კოსმოსურ გაფრენას, რეალური თავის ცნობიერების ნაკადში ჩვენი დარჩენის მნიშვნელობას დასტრიალებდა და თანაც ხევსურული წიგნის (პოემისა და ისტორიის) სამყაროში უკან დაბრუნებასაც არ ივიწყებდა. ალბათ, გაგიკვირდებათ და

მკითხავთ კიდეც – აბა, ერთი რას იტყვის ამაზე ქისტი მუცალი, რას მიედ-მოედებაო? ახლა მოგინდა უკან დაბრუნება, როცა წიგნის სამყაროს პირისათვის სრულიად გაუგონარ, სენსაციურ მდგომარეობაში აღმოჩნდი, ანუ რეალური, შესაძლოა ხევსურული მკითხველი თავის ცნობიერების ნაკადის სფეროში. – მეცნიერული ექსპედიცია ხომ ახლა იწყება და შენ უკან დაბრუნებას აპირებ? – არა, ასე ნუ გაიგებთ, მთლად ასე ცუდადაც არ არის საქმე. დაუყონებლივ დაბრუნებაზე არ ვფიქრობ, რეალური მკითხველის თავში მე და ალუ, რა თქმა უნდა, ერთხანს კიდევ დავყოფთ. ქვეცნობიერის ნაკადის სანაპიროზეც დიდხანს ვისეირნებთ და იქაურობას დავათვალიერებთ. თავისთავად ცხადია, რომ პირველ რიგში აქ, ზემოთ, ჩვენი წიგნის სამყაროს ისტორიულ (პოემის) ნათესაობასთან დაკავშირება გვაინტერესებს, რა თქმა უნდა, მაგრამ რეალური მკითხველის თავში მოხვედრილმა წიგნის პერსონაჟმა საკუთარი შემეცნების შესაძლებლობათა საზღვრებიც უნდა გაიაზროს და რაიმე შეუძლებელი არ მოითხოვოს. ყოველი მკითხველის თავი – თუ ის ყეყეჩი ხისთავა არ არის, – სხვადასხვა უსასრულობათა ჰორიზონტებს მოიცავს და ჩვენთვის სულაც არ არის სასურველი, რომ იქ განურჩევლად ყველაფერს მიედ-მოვედოთ. ამგვარი რეალური სამყაროს შიდა სივრცეების უფრო მკაფიოდ გაშუქების უფლებას მომდევნო ასტრონავტული ექსპედიციებისათვის ვიტოვებთ. ჩვენ, რეალური მკითხველის ცნობიერების კოსმოსში მოხვედრილ წიგნის სამყაროს პირველ-ადამიანებს სრულად განსაზღვრული პროგრამა და კონკრეტული მიზნები გვქონდა და ვფიქრობ, რომ რეალური აზრის მთის ნაგავზე მოხვედრით, პრინციპში, ჩვენს მიზანს მივაღწიეთ კიდეც. ის, რომ რეალურ თავს ყოველივე არადემოკრატიულის და, საერთოდ, ჩვენს თემსა და თემში, წიგნისა და რეალურ სამყაროს ადამიანისთვის ღირსების შემლახავის თავიდან მოცილება სურდა, დღესავით ნათელი იყო. ეს იქიდანაც სრულიად აშკარად ჩანდა, რაც მე პატარა რეალური აზრის ნაგვის გორამ მომითხრო – სიუჟეტური მასალის დაკბილულმა ნატეხმა ჩვენი ხევსურული თემის თემატიკიდან, – რომლის დაძარღვული ზედაპირიც, თუ მას სათანადო (თემატური) ინტერესით ჩაუღრმავდებით, ქისტი მუცალის მთელ ტრაგედიას ვიდეოფილმივით წარმოგიდგენთ. თუ ხევსურულ თემში ჩემს ტრაგედიას რეალური თავი ასე ხელაღებით უარყოფს, მაშინ ის, ალბათ, – ლოგიკურად სწორედ ასე უნდა ვივარაუდოთ, – აზრის ნაგვის გორაზე ალუს სიზმრის შემზარავ თემატურ რეალობასაც ასევე მოისვრის. ცხადია, სასურველი იქნებოდა დამატებითი ნივთიერი სამხილის ჩვენებაც, თუ როგორ გამოხატავს კონკრეტული აზრის მყინვარის ქვის ნატეხი ალუს სიზმრის თემატურ რეალობას. ალბათ, ისიც მოსალოდნელია, რომ ჩემი ალუდა ასე იოლად არც ამით

დაკმაყოფილდებოდა და რეალური თავის მიერ ქვემოთ, თემში, მისი სიზმრის შეფასებისას, ამ თავისგან მეტ სიცხადესა და გარკვეულობას მოითხოვდა. ის, რომ რეალური აზრის მყინვარზე ნაგვის გადაყრით ეს ფაქტები დავიწყებას ეძლეოდა, სრული დამაჯერებლობით მტკიცდებოდა. ასე რომ, თავისუფლად შეგვეძლო იმის თქმა, რომ ჩვენი წიგნისა და რეალური თავნავტიკის ექსპედიციამ თავისი დანიშნულება შეასრულა.

ყოველივე ეს მაინც არ არის ის უმთავრესი მომენტი ჩემს მოსაზრებებში, რომელიც მე რეალური აზრის მყინვარზე შემექმნა. პირველ რიგში, წიგნის რეალური სამყაროს (უფრო სწორად: რეალური თავის) მეცნიერული საკითხი მაინტერესებდა; კერძოდ კი: როგორ გამოგვეყენებინა რეალური თავიდან აზრის ნაგვის გადაყრა უკან, თემის თემაში დასაბრუნებლად. მყინვარზე რომ ჩავრჩენილიყავით, მაშინ იმ შანსსაც ვკარგავდით, რომ რეალურ თავს მშობლიურ წიგნის სამყაროს თემში დავებრუნებინეთ და სწორედ იქ დავევიწყებინეთ. ადამიანს მხოლოდ იმის დავიწყება შეუძლია, რაც უკვე იცის, (ვისაც უკვე იცნობს). ჩვენი კი, ორივე პერსონაჟმა, რეალური თავის ქვეცნობიერის ნაკადში ისე შევცურეთ, რომ მას არც გავუცნობიერებივართ. ამიტომ ჯერ რეალურ თავს უნდა დავნახვებოდით, მისი ცნობიერების ნაკადის ზედაპირზე ამოვტივტივებულიყავით და ისიც, როგორც წესი და რიგია, ისე დაგვივიწყებდა. თუ ეს მოხდებოდა, მაშინ ჩვენ უკვე მისი აზრის ნაგვის გორაზე ჩამოვსხდებოდით და ცნობიერების ნაკადით, ზღვისა და დავიწყების ყველა წყლის გავლით წიგნის სამყაროს თემში გადავინაცვლებდით (მართალია, ალუ II-მ კი გვითხრა, რომ რეალური აზრის ნაგვის გორას სიცარიელე შთანთქავდა, მაგრამ მისთვის, რეალური თავის ცნობიერებაში დაბადებულ-გაზრდილი პერსონაჟისათვის, დავიწყების ჰორიზონტი არარად ქმნას ნიშნავდა – ანუ ყოველივე იმასთან ერთად დაღუპვას, რისი შენახვის სურვილიც რეალურ თავს თვით ცნობიერების ნაკადის ქვედა სანაპიროებზეც კი აღარ ჰქონდა (დიახ! დავიწყება შეიძლება, სრულ წაგებასაც ნიშნავდეს, მაგრამ, არა მხოლოდ ამას – ვფიქრობ, რომ ჩვენ, პერსონაჟებმა, ეს უკეთ ვიცით).

უკან დაბრუნების კონკრეტული მსვლელობა სრულებით არ მაწუხებდა. საკუთარი თემის თემაში პერიოდულად (ციკლურად) დაბადებულ პერსონაჟს გამოცდილება არ აკლია: მას არაერთხელ განუცდია, როგორ ივიწყებს მას თანდათან რეალური მკითხველის თავი. რომელიმე მთავარმა მოვლენამ (თუ ის იტორიის მთავარი პერსონაჟია), ან უმნიშვნელო მოვლენამ (თუ ის მეორეხარისხოვანი პერსონაჟია), შესაძლოა, რეალური მკითხველის თავს ჩვენი არსებობა შეახსენოს. Mაგ; ჩემი მოკვეთილი მარჯვენა იმას ემსახურება, რომ მე ჩვენი მკითხველი რეალური

თავების მეხსიერებაში შემომინახოს, მაგრამ ეს მხოლოდ საგანია და არა თავად წიგნის (სამყაროს) პერსონაჟი, ვისაც ის ეკუთვნის. თავად პერსონაჟი კი რეალური მკითხველის თავში უკვე მივიწყებულია, ან სანახევროდ არის მივიწყებული და თუ ოდესმე ეს თავი შესაბამისი წიგნის (პოემის) სამყაროს რეალობას არ დაუბრუნდა (არ გადაფურცლა), მაშინ ეს პერსონაჟი, ასე ვთქვათ, დავიწყების სტატუსს შეინარჩუნებს.

დავიწყება – ეს ის აბსოლუტური მდგომარეობაა, რომელიც რეალური მკითხველის თავს ჩვენი თავიდან ბოლომდე წაკითხვის შემდეგ ექმნება. ყოველი წიგნის სამყაროს უბნის ისტორიის დასასრული, რეალური თავების მიერ ჩვენს დავიწყებასაც ნიშნავს. ცხადია, რეალური მკითხველის თავებში სრული დავიწყების სხვადასხვა გარდამავალი ფაზა და მოდალური განსხვავებებიც არსებობს: პირველ ფაზად შეიძლება მივიჩნიოთ ის, როცა რეალური თავი წიგნის სამყაროს უბნის ისტორიას მხოლოდ ზოგადად იხსენებს; მას შეუძლია დაასახელოს მისი აზრი, ანდა, შესაძლოა, იმაზეც ისაუბროს რაც განსაკუთრებულად მოეწონა, რამაც შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ ცალკეული დეტალი, წიგნის სამყაროს ადამიანთა პიროვნული, კონკრეტული ნიშნები მის მეხსიერებაში ან წაშლილია, ან სულ უფრო მეტად უფერულდება. ამ პროცესის საბოლოო პუნქტი სრული დავიწყება, ანუ რეალური თავის მეხსიერებიდან სრული ამოვარდნაა. ის უკვე ჩვენი თემატური ცხოვრებიდან ვერაფერს კონკრეტულს ვეღარ იხსენებს და იმისათვის, რომ მეხსიერებაში აღგვიდგინოს, ის წიგნი უნდა გადაშალოს, სადაც ჩვენ ვწერივართ.

აქ კი შეიძლება შემეკამათოთ და მითხრათ, რომ ზოგჯერ რეალური თავები წიგნის უბნებს, – რომელიც მანამდე არც კი უნახავთ (წაუკითხავთ), კითხვა-კითხვით გადაუფრენენ ხოლმე და მისკენ ცნობისმოყვარეობა და მოლოდინი თუ იზიდავთ. რა თქმა უნდა, ეს ასეა. მაგრამ ისიც ხომ ჭეშმარიტებაა, რომ წიგნის უბნებს – გამორჩეულად ნამდვილს, ანუ ტექსტოლოგიურად მდიდარსა და საინტერესოს – რეალური სამყაროდან სტუმრები არ აკლია, და თუ პერიოდულად დავიწყებას მიეცემიან ხოლმე, მათ სრულიად სპეციფიკურ არარსებობას მთელი ისტორიის (ყველა მთავარი / მეორეხარისხოვანი პერსონაჟებით და საგნებით) ხელახალი რენესანსი მოჰყვება.

როგორც ხედავთ, წიგნის პერსონაჟს, თუ ის საკმარისად განათლებულია და საკუთარი არსებობის შესახებ გარკვეულ ინფორმაციასაც ფლობს, ვერ შეაშინებს ის, რომ მას რეალური თავი ივიწყებს.

ამიტომ რეალური აზრის მყინვარზე ჩემი დაფიქრების უმთავრესი საგანი ის გახლდათ, შევძლებდით თუ არა ჩვენ, პერსონაჟები, რეალური აზრის ნაგვის მთის მეორე ლიფტად გამოყენებასა და მისი საშუალებით

საკუთარი წიგნის სამყაროს თემის თემაში დაბრუნებას იმ შემთხვევაში, თუ პირველი ლიფტი რაიმე გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო არ გაამართლებდა: თუ რეალური თავი კითხვას შეწყვეტდა და რეალური დიდი დროით გადააგდებდა და ა.შ. რეალური აზრის ნაგვის მთა რეალური თავის ქვეცნობიერებაში ჩაედინება, რადგან რეალურ თავში მუდამ საკმარისად მოიძებნება ისეთი რამ, რისი თავიდან მოცილებაც მას სურს. რატომ არ უნდა გვესარგებლა ამ გარემოებით ჩვენ, წიგნის სამყაროს მომავალ ასტრონავტებს?! ამაზე ყოველი გონიერი პერსონაჟი უყოყმანოდ დამეთანხმებოდა!

– მაშ ასე, წინ! – გავიფიქრე ამ იდეით გახარებულმა და თან ცნობისმოყვარობაც არ მასვენებდა, როგორ შევძლებდი პრაქტიკულად ჩემი ჩანაფიქრის განხორციელებას.

– წინ! რეალური ქვეცნობიერის ნაკადიდან ზემოთ, მდინარის ზედა სანაპიროებზე, იქით, სადაც რეალურმა თავმა, შესაძლოა, რამენაირად თვალი მოგვკრას, რათა ჩვენი დავიწყება კვლავ მშვიდად შეძლოს, ხოლო ჩვენი კი სახლებში დავბრუნდეთ! – ამის გაფიქრებაზე გული ამიძგერდა. ჩემში წიგნისა და უკვე რეალური თავის მეცნიერს გაღვიძებოდა და ვეღარაფერი აკავებდა. უცებ ავჩქარდი, მინდოდა ჩემი თანამგზავრი მომეძებნა და ახალი შთაბეჭდილებებისა და შემეცნებისაკენ წავძღოლოდი. რეალური აზრის ნაგავზე (კონცეპტუალურ ნაგავში, ქისტებსა და ქრისტებს შორის საზღვარზე, თემატურად განსხვავებული თემებისა და თემატიკის გამყოფი უზარმაზარი ცემენტის ბლოკები, ცეცხლსასროლი დ მოწყობილობები და მესაზღვრის ავი ძაღლების დაგლეჯილი აზრის გვამები ცხადად მოჩანდა) ვეღარაფერი დამაკავებდა.

აღფრთოვანებულმა, წიგნის და რეალური სამყაროს მეცნიერული მოლოდინით შეპყრობილმა, მყინვარიდან დავიწყე დაშვება. უეცრად პატარა ეჭვმა გამიელვა, სულ ერთმა ბეწომ, ალბათ, სათქმელადაც რომ არ ღირს, ისეთმა, მაგრამ ვინაიდან ჩემი ეს დაეჭვება შემდგომ გამართლდა კიდეც, ამიტომ მის შესახებ ახლავე მოგახსენებთ. – მუცალ! ადამიანი-შვილო!– ვფიქრობდი ამ უეცარი იდეით თავგზააბნეული, – როგორ შეძლებს ოდესმე რეალური თავი ასე იოლად ჩვენს დავიწყებას, თუკი რამე გზით ჩვენი არსებობის შესახებ ხმას მივაწვდენთ? განა მისთვის ისეთივე სენსაციად არ ვიქცევით, როგორც მთელი წიგნის სამყაროს კაცთა მოდგმისთვის? განა ჩვენ, მის იმანენტურობაში მოხვედრილნი, მის უსაზღვრო განცვიფრებას არ გამოვიწვევთ და დაუვიწყარ შთაბეჭდილებად არ ვიქცევით? განა რას ნიშნავს ის, რომ დაუვიწყარი იყო რეალურ თავში? რამდენ ხანს შეიძლება შემორჩე მის მეხსიერებას? ჩემთვის, წიგნის პერსონაჟისათვის, შეუძლებელი იყო ამის განსაზღვრა, მაგრამ ის, რომ ეს

დრო ვერც ერთი წიგნის სამყაროს უბნის ისტორიულ-თემატური წელთაღრიცხვით გაიზომებოდა და ჩვენთვის მარადისობას უტოლ-დებოდა, ეჭვს არ ბადებდა. ცხადია, ეს დრო არც თვით რეალური თავისთვის უნდა ყოფილიყო აბსოლუტური, ალბათ, ათასი სხვა საფიქ-რალიც აქვს (მთავარი თუ მეორეხარისხოვანი). სხვადასხვა წიგნის სამყაროს უბნის სიგრძისელა, წიგნის სამყაროს ადამიანური წარმოდგენებისათვის უზარმაზარი რეალური დროის მონაკვეთში ჩვენ მისი ცნობიერების ნაკადის უშორეს სანაპირომდე მივაღწევთ და ისიც აღარასოდეს დაგვივიწყებს. მთელი წიგნის სამყაროში არ მოიძებნება წიგნის პერსონაჟი, ვინც რეალური დროის თვალსაზრისით დაუვიწყარი იქნებოდა.

წიგნის სამყაროში, ჩვენი ისტორიის (ანდა პოემის) დროში მკაცრად განსაზღვრულ გზაზე ჩვენ, როგორც მიმავალ-წარმავალი პერსონაჟები, ისე ვარსებობთ. თუმცა, ცალკეული პერსონაჟები, შესაძლოა, რეალური თავისთვის დაუვიწყარ შთაბეჭდილებადაც იქცეს და თუ მას ამ პერსონაჟის რამე თვისება იზიდავს, მაშინ მას დიდი სიამოვნებითაც იხსენებს და სრული სიცხადითაც აცნობიერებს, მაგრამ რეალური თავების მიერ წიგნის პერსონაჟებზე წარმოდგენები მხოლოდ წარმოდგენებად რჩება, რომლებიც – რეალური მნიშვნელობისა და სიცოცხლისუნარიანობის მიუხედავად, რაც მათ ამ თავებისთვის გააჩნიათ – მუდამ, როგორც შესაბა-მისი ტექსტის სტრუქტურაში მოცემული პერსონაჟები, მხოლოდ ისე გაიაზრებიან. ჩვენ კი (ალუ I-ს და მე) რეალური თავი გაგვიხსენებდა, – როგორც უცნაურ, ტექსტის სინამდვილიდან მისი ცნობიერების ნაკადის სფეროში მოხვედრილ პერსონაჟებს, ჩვენით აღფრთოვანდებოდა და გაოცდებოდა. მაშინ ის თავის მოგონებებშიც დაგვიტოვებდა. ჩვენ კი შინ დაბრუნებას ვერც მისი მიზანმიმართული კითხვით და ვერც აზრის მყინვარით შევძლებდით და ხანგრძლივი რეალური დროით, რაც წიგნის პერსონაჟთა ჩვეულებრივი წიგნის უბნის ისტორიულ თემატურ სიცოც-ხლეს დიდად აღემატება, ამ თავის ქალაში ჩავრჩებოდით, რასაც მეტად საშიში შედეგები მოჰყვებოდა: არტერიებისა და სხვა მნიშვნელოვანი სისხლძარღვების დასკდომა და, აქედან გამომდინარე, მთელი სხეულის, პირველ რიგში კი ეთერული სხეულის საბოლოო რღვევა. რაც უნდა იყოს, ჩვენ ხომ მაინც წასაკითხი მასალისგან ვართ შექმნილნი და მხოლოდ გარკვეული უბნის ისტორიულ თემატურ დროში ვარსებობთ!...

რას ნიშნავს და როგორ უნდა გავიაზროთ თანმიმდევრულად ის წინააღმდეგობა, რომელიც წიგნის სამყაროში ჩვენს ციკლურ დავიწყებასა და რეალური თავის ცნობიერების ნაკადში ჩვენი, როგორც წიგნის სამყაროს ადამიანის მარად ხსოვნაში მდგომარეობს?

ეს კითხვა მაშინვე ამოვიგდე თავიდან. რეალური თავის მეცნიერულ

პრობლემებზე საფიქრელად ჯერ არ მეცალა. მოვლენათა ამ მდინარეებაში უთვალავი რამ იყო გამოსაკვლევი და ჩვენი, ისედაც ხანმოკლე ტექსტუალური სამყაროს ადამიანური ცნობიერებისთვის შესაცნობი.

ასე, რომ სჯობს გავერიდოთ ამ კითხვებს! ჯერ მაინც!